

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი  
ГРУЗИНСКИЙ ФИЛИАЛ АКАДЕМИИ НАУК СССР

*ი. ნ. ჯორჯიანი*

აკად. ნ. შარის სახელობის ენის, ისტორიისა  
და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის

გ რ ა მ ბ ე

ИЗВЕСТИЯ

ИНСТИТУТА ЯЗЫКА, ИСТОРИИ И МАТЕРИАЛЬНОЙ КУЛЬТУРЫ  
им. акад. Н. Я. ШАРЫ


I

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა

თბილისი

1937

Тбилиси



დაიშეცა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის  
საქართველოს ფილიალის განკარგულებით  
თავმჯდომარის მთადგილ  
პრთაყ. ნ. შერსეღლივილი

რედაქტორი პროფ. სიმონ ჯანაშია

შ ი ნ ბ ა რ ს ი

1. სიმონ ჯანაშია. საზოგადოებრივი მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლის თავზე . . . . .	XI XI.
2. ივანე ჯავახიშვილი. - ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში . . . . .	1 8
3. არნოლდ ჩიქობავა. ისტორიულ-შედარებითი ნარკვევები ქართველური ენებიდან:	
I. შიმართლებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის . . . . .	9 -31
II. პოტენციალის კატეგორია ქართველურ ენებში . . . . .	32-39
III. წარ-პრევერბის მნიშვნელობისათვის ქართულში . . . . .	40 47
IV. სიტყვა „ზოგი“-ს ეტიმოლოგიისათვის . . . . .	48 54
V. ერთი უცხოები თანდებული ახალ ქართულში . . . . .	55-65
VI. ს- ბგერის დასუსტება კიზიყურში . . . . .	66 -77
4. აკაკი შანიძე. „ტოპადის“ ეტიმოლოგიისათვის . . . . .	79 -88
5. არნოლდ ჩიქობავა. ინფინიტივის დიალექტური ვარიაციები ხუნძურში (ავარულში) . . . . .	89-96
6. არნოლდ ჩიქობავა. გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში . . . . .	97 106
7. გიორგი ახვლედიანი. ფონეტიკური შენიშვნები:	
I. ფონეტიკური ტერმინოლოგიის უნიფიკაციისათვის . . . . .	107 108
II. „საშუალო მგდროობა“ თუ ფშვინეობა? . . . . .	108 111
III. „ხორხისმიერობა“ თუ ფარინგალობა? . . . . .	111 113
IV. რთულია თუ არა ყველა „აფრიკატი“ ქართულში? . . . . .	113 -118
8. ვარლამ თოფურია. ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში:	
IV. ბუნებრივი კომპლექსებისათვის . . . . .	119-122
9. ვლადიმერ ყანჩვიძე. სახელთა ბრუნებისათვის უდურ ენაში . . . . .	123 139
10. ვარლამ თოფურია. -ენჯ სუფიქსი მეგრულში . . . . .	141 144

11. იოსებ ყიფშიძე. I. საანგარიშო მოხსენება კანტოში საენათ- მეცნიერო მივლინებისა 1917 წ. ზაფხულს	145	152
II. მივლინების დღიური . . . . .	153	177
12. ვარლამ თოფურია.— ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ქანურში . . . . .	179	183
13. სიმონ ჯანაშია.— თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი . . .	185	245
14. გიორგი ჩიტაია.— რაჭული სახენელი . . . . .	247	294
15. გიორგი წერეთელი.— შუა აზიის არაბული დიალექტები (წინასწარი ანგარიში) . . . . .	295	307
16. გიორგი ჩიტაია.— Professor J. L. Myres, A modern 'kernos' vessel from Tiflis. Man, February, 1937, London, № 30, with Plate B . . . . .	309	312

С О Д Е Р Ж А Н И Е

1. С. П. Джанашиа. Общественные науки в Советской Грузии к 20-ой годовщине Великой Октябрьской Социалистической Революции . . . . .	XI	— XI
2. И. А. Джанашия и вилн. Наши задачи в области языковедения и истории культуры . . . . .	1	8
3. А. С. Чикобава. Сравнительно исторические очерки картвельских языков: I. Об образовании, значении и истории направительного падежа в грузинском языке . . . . .	9	— 31
II. К категории возможности (потенциалса) в картвельских языках	32	— 39
III. О начальном значении прееверба წარ- tsar- в грузинском языке . .	40	— 47
VI. К этимологии слова «ზოგი» «zogi» . . . . .	48	— 54
V. Об одном неизвестном преевербе в грузинском языке . . . . .	55	— 65
VI. К ослаблению звука <i>ts</i> в диалектном говоре грузинского языка .	66	— 77
4. А. Г. Шанидзе. К этимологии названия «Тонада» . . . . .	79	— 88
5. А. С. Чикобава. Диалектические варианты инфинитива в аварском языке . . . . .	89	— 96
6. А. С. Чикобава. К истории грамматических классов в аварском языке . . . . .	97	— 106

7. Г. С. Ахвледиани. Фонетические заметки:		
I. К вопросу об унификации фонетической терминологии . . . . .	107	108
II. «Средняя звонкость» или аспирация? . . . . .	108	111
III. «Гортанное» или фарингальное? . . . . .	111	113
IV. Все ли «аффрикаты» грузинского языка сложные? . . . . .	113	118
8. В. Т. Гопуриа. Фонетические наблюдения над картвельскими языками:		
IV. Об естественном юмилексе . . . . .	119	122
9. В. П. Паччиадзе. К вопросу о склонении имен в удинском языке . . . . .	123	139
10. В. Т. Гопуриа. Суффикс - <i>ḡbḡ</i> в мегрельском языке . . . . .	141	144
11. П. В. Кипишадзе. I. Отчет о лингвистической командировке в Чаншо (Лазистан) летом 1917 года	145	152
II. Дневник поездки . . . . .	153	177
12. В. Т. Гопуриа. К генезису некоторых надежей в мегрело-чанском языках . . . . .	179	183
13. С. П. Джавашиа.—Тубал-Табал, Тибарен, Нобер . . . . .	185	245
14. Г. С. Читая. Рачинское пахотное орудие . . . . .	247	294
15. Г. В. Церетели. Арабские диалекты Средней Азии (предварительный отчет) . . . . .	295	307
16. Г. С. Читая. Professor J. L. Myres, A modern 'kernos' vessel from Tiflis, Man, February, 1937, London, № 30, with Plate B.	309	312



## TABLE DES MATIÈRES

1. S. Djanachia. — Les sciences sociales en Géorgie Soviétique vers le 20-me anniversaire de la Grande Révolution Socialiste d'Octobre XI	XI
2. I. Djavakhichvili. Nos problèmes en linguistique et en histoire de la culture . . . . .	1 -8
3. A. Tchikobava. — Esquisses sur l'histoire comparée des langues karthvéliennes	
I. Formation, signification et histoire du cas allatif (directif) dans la langue géorgienne . . . . .	9 31
II. A propos de la catégorie du potentiel dans les langues karthvéliennes	32 -39
III. De la signification primitive du préverbe ჳდბ-ღარ- dans la langue géorgienne . . . . .	40 47
IV. A propos de l'étymologie du mot géorgien „ბეგო“ „ზოგი“ . . . . .	48 -54
V. A propos d'un préverbe inconnu dans la langue géorgienne . . . . .	55 64
VI. A propos de l'affaiblissement du son S dans le parler de Kisik de la langue géorgienne . . . . .	66 77
4. A. Chanidzé. — Sur l'étymologie de «Topada» . . . . .	79 88
5. A. Tchikobava. — Variations dialectiques de l'infinitif de la langue avare . . . . .	89 96
6. A. Tchikobava. A propos de l'histoire des classes grammaticales dans la langue avare . . . . .	97 106
7. G. Akhvélédiani. — Notes phonétiques:	
I. Sur l'unification de la terminologie phonétique . . . . .	107 108
II. «Sonorité moyenne» ou aspiration? . . . . .	108 -111
III. «Gutturalité» ou pharyngualité? . . . . .	111 -113
IV. Tous les affricates sont-ils compliqués en géorgien? . . . . .	113 -118
8. V. Thopouria. — Observations phonétiques sur les langues karthvéliennes:	
IV. Sur les complexes naturels . . . . .	119 122
9. V. Pantchvidzé. A propos de la déclinaison des noms substantifs dans la langue oudine . . . . .	123 139
10. V. Thopouria. Le suffixe -ჭჳ- enზ dans le mégrélien . . . . .	141 144

11. J. Kipchidzé.	I. Compte rendu sur l'expédition linguistique à Tchanéthi (Lazistan) en été 1917	
	II. Le journal de l'expédition . . . . .	145 174
12. V. Thopouria.	Sur la genèse de quelques cas dans la langue mégrélo-çane . . . . .	179 183
13. S. Djanachia.	Thoubal-Thabal, Tibarène, Ibère . . . . .	185 245
14. G. Tchitaita.	Un instrument aratiforme de Raça . . . . .	247 294
15. G. Tséréféli.	Les dialectes arabes en Asie Centrale . . . . .	295 207
16. G. Tchitaita.	Professor J.M. Myres, A modern 'Kernos' vessel from Tiflis, Man, February, 1937, London, № 30, with Plate B, 295	312

---

საზოგადოებრივი მემკვიდრეობის საზოგადოებრივი საკანონმდებლო  
დოქტრინის სოციალისტური რევოლუციის 20 წლის თავზე

შესანიშნავია გზა, განვლილი ქართული მეცნიერების მიერ პირველი სოციალისტური ოქტომბრიდან მეოცემდე, ამ გზის მოხილვბ სიამაყის გრძნობით ავსებს საბჭოთა პატრიოტის გულს.

რა იყო ქართული მეცნიერება რევოლუციამდე?

რუსეთის მეფეების საპრობილეში საქართველო შეიყვანეს პოლიტიკურად დაძაბუნებული, შეურწმობრივად დასუსტებული, საზოგადოებრივად მძიმე წრეში მომწყვდეული. მაგრამ ეს კრიზისი, რომელმაც მოამზადა ნიადაგი ანექსიისათვის, იყო ფეოდალური მეურნეობის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს დაქვეითება. ქართველი ხალხი სავსე იყო ჭაბუკური შემოქმედებითი ენერგიით. გამობრძქვდილი უთვალავ ბრძოლებში თავის შინაურ თუ გარეშე მტრებთან, გულ-გატეხელი, სიცოცხლისა და თავისუფლების მოყვარე, „მუდამ მხნე, მუდამ მღერალი“, ქართველი ხალხი, არსენათა და „ოთარანთ“ მოდგმის ეს „ჩაკარული“ ერი, ეძებს და ჰქმნის თავისი „გაღვიძებული ცხოვრებისათვის“ ახალ კალაპოტს. ქართველმა ხალხმა იცოდა, მისი დიდი შეილის ილიას სიტყვით, რომ თავისუფლების „მძებნელი“ „სისხლით იკვლევს გზას“ და იგი მთელი თავისი არსებით მიეცა ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლას.

ამ ბრძოლაში ქართველ ხალხი შეიარაღებული იყო, სხვათა შორის, თავისი ძველთაძველი კულტურითაც, რომლითაც იკვთებოდა მისი ინდივიდუალური ეროვნული სახე.

ამ კულტურის ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტიაგანია, რათქმაუნდა, მეცნიერული კვლევა-ძიება ქართულ ენაზე. ჯერ კიდევ წინაფეოდალურ ხანაში წარმოშობილი, ორგანულად დაკავშირებული ძველი აღმოსავლეთის, მსოფლიო ლირებულების მქონე, მიღწევებთან ამ დარგში, იგი ჩვენთვის ჯერჯერობით უფრო კარგად ცნობილია ფეოდალური ხანის ძეგლებით. ფილოლოგია, ისტორია, მედიცინა, მათემატიკა და ასტრონომია, ტექნიკური ცოდნანი აღწევენ ძველ საქართველოში თვალსაჩინოდ მაღალს, ფეოდალურ პირობებში შესაძლებელს, — დონეს. ამ კულტურის აყვავების ხანა მე-10 მე-14 სს. პერიოდზე მოდის. მაგრამ ქართ. ფეოდალიზმის დაცემის ეპოქაშიაც, კერძოდ, მე-18 ს-ში, პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის წინ, მეცნიერული-აზროვნება საქართველოში სრულიადაც არ ყოფილა ჩამქრალი. საკმარი-

სია დავასახელოთ ამ პერიოდის ისეთი მოვლენები, როგორცაა ქართული ლექსიკოლოგიის უკვდავი ქმნილება სულხან-საბას ლექსიკონი, დიდი ვახუშტისა და მის თანამედროვეთა ისტორიული შრომები, ძლიერი გავლენის მქონე (ანტონისეული) გრამატიკული სკოლა, ახლად აღორძინებული ფილოლოგია და პოეტიკა და სხვ.

ამ ნოყიერი ტრადიციების ნიადაგზე, მე-18 საუკუნეში იწყება ძველი ქართული (ფეოდალური ხანის) მეცნიერული აზროვნების ურთიერთობა ახალი დევბთან, რომლებიც იჭრება საქართველოში, უპირატესად რუსეთის მეშვეობით, კაპიტალისტური განვითარების გზაზე შემდგარი ევროპიდან. მრავლმეტყველია ის ფაქტი რომ ქართველოლოგიის დამაარსებელი (მე-19 საუკუნის ოცდაათიან წლებში) რუსეთში, ბროსე, ჯერ კიდევ პარიზში ყოფნისას, მოწაფე ხდება ძველი ქართული სამეცნიერო სკოლის წარმომადგენლებისა. რომელთაც მე-18 საუკუნიდან მე-19-ში გადმოიტანეს მშობლიური წარსულის ცოდნა და თაობიდან თაობაში გადმოცემული კულტურული ტრადიციები.

შემდეგ ხდება ევროპული სამეცნიერო გამოცდილებისა და მონაპოვარის უფრო ღრმა შეთვისება. საუკუნის უკვე პირველ ნახევარში სარბიელზე გამოდიან ისეთი მუშაკნი, როგორც იყენენ პლატონ იოსელიანი, პროფ. დ. ჩუბინაშვილი და სხვ., ხოლო იმავე საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ხალხი აძლევს მსოფლიო მეცნიერებას ისეთს სახელოვან თანამშრომლებს, როგორც იყენენ პროფესორები: ვას. პეტრიაშვილი, აკად. ივ. თარხნიშვილი, პ. მელიქიშვილი, ალ. ცაგარელი, აკად. ნ. მარი, ალ. ხახანაშვილი და სხვები. საინჟინერ-სიტეტო ცენტრებს გარეშე, სამშობლოში, მუშაობს თავდადებული ენთუზიასტების მთელი წყება (დ. ბაქრაძე, თედო ჟორდანიას, მ. ჯანაშვილი, პ. ჭარაია, ნ. ხიზანიშვილი, დ. კარიჭაშვილი, ს. გორგაძე და სხვ.). დაუფიწყარია ამ მუშაკთა ღვაწლი. დიდი მსხვერპლი და გმირობა იყო საქირო სამეცნიერო ლაბორატორიისაკენ გზის გასაკვლევა. ვინც ახერხებდა მიეღწია აკადემიური კარები-სათვის თავის „ინოროდცობის“ დალით, ის სამუდამოდ უნდა მოსწყვეტოდა სამშობლო ქვეყანას. აქ დარჩენილნი კი, სამეცნიერო მუშაობის ელემენტარულ პირობებს მოწყვეტილნი, ლუკმა-პურისათვის ზრუნვაში დაღუული დღით დაქანცულნი, ლამეებს სტაცებდნენ დროს რომ თავიანთი საზოგადოებრივ-მეცნიერული ინტერესი მცირედ მაინც დაეკმაყოფილებინათ. დილას მათთვის მოჰქონდა ცენზორის „კონსულტაცია“, ხელისუფალთა რისხვა, ღვენა და შეურაცხყოფა.

მეფესა და მის სატრაპებს ჭეშმარიტი მეცნიერული სიტყვის ეშინოდათ ისევე, როგორც რევოლუციურ-პუბლიცისტურის და პოეტურისა. „ცრემლიანი ცოდნა“ იყო დამონებული ხალხის შვილების მეცნიერული ცოდნა. გაყვლეფილი ხალხის ვაება და მეტრძოლთა მოწოდება, მტარვალთა დასამხოზად მიმართული, ესმოდათ მეფის რუსეთის „დერჟიმორდებს“ თვითფულს მართალს მეცნიერულ სტრიქონში.

სასაცილო იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ ეს ბარბაროსული რეჟიმი სასელ-მწიფოგბრძოვ დახმარებას გაუწევდა სამეცნიერო საქმის ორგანიზაციას ეროვნულ ნიადაგზე. უძველესი, ქართულ სიძველეთსაცავებს შორის, საეკლესიო მუზეუმი, რომელშიაც თავმოყრილი იყო ქართ. კულტურის უძვირფასესი განძი,

საბჭოთა პერიოდაშდე ერთ ოთახში იყო გამომწყვდეული. ერთადერთი, რევოლუციამდელი, ქართული საკვლეო დაწესებულება, საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება (დაარსდა 1907 წ.) არსებობდა მხოლოდ დამზოლოდ კერძო გზით შემოსული საშუალებებითა და ქველმოქმედებით.

როგორი განუზომელი განსხვებება აღწერილ მდგომარეობასა და დღევანდელს შორის! თუ მე-19 ს. საუკეთესო ქართველი მოღვაწეები უნაყოფოდ ოცნებობდნენ თუნდაც ერთი, ისიც, რატქმანდა, არა ეროვნული, უმაღლესი სასწავლებლის შესახებ, თუ საქართველოში მომუშავე მეცნიერნი მეტწილად ავტოდიდაქტები იყვნენ, დღეს საქართველოში 19 უმაღლესი სასწავლებელია, რომლებშიაც 22.000-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს. თუ ჩვენს უახლოეს წინაპრებს წართმეული ჰქონდათ საშუალება და უფლება ყოფილიყვნენ მეცნიერების პროფესიონალნი, დღეს საქართველოში მეცნიერების მუშაკთა პროფესიონალური კავშირი ათასობით ითვლის თავის წევრებს. თუ ჯერ კიდევ მე-19 და მე-20 სს. მიჯნაზე საქართველოში მომუშავე მეცნიერნი იძულებულნი იყვნენ, საერთო პირობების გამო, ენციკლოპედისტები ყოფილიყვნენ არქეოლოგები, არქეოგრაფები, ისტორიკოსები და ენათმეცნიერგრამატიკოსები, ერთდამიხვე დროს, -- დღეს ეს დარგები ჩვენში მკაცრად სპეციალიზებულია. მეცნიერება საბჭოთა საქართველოში უნახავ აყვავებას განიცდის. ფართოდ რომ განვაზოგადოთ, საბჭოთა საქართველოს მიღწევები საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში შემდეგნაირად გამოიხატება: ათეული სასწავლო და საკვლეო, უმაღლესი ტიპის, ორგანიზაციის გაჩენა იქ, სადაც რევოლუციამდელ არაფერი გვექონდა; უნახავი ზრდა კვალიფიციური კადრებისა, რომელნიც ესლა ხალხის უღრმესი ფენებიდან გამოდიან; ამ კადრების შეიარაღება მეცნიერების უმაღლესი მეთოდით -- მარქსიზმ-ლენინიზმით.

ნათქვამის კონკრეტული ილუსტრაციისათვის ჩვენ ზოგადად გავითვალისწინებთ სსრკ მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალის აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში წარმოდგენილ საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებას საბჭოთა პერიოდში\*.

დავიწყით ქართული ენათმეცნიერებით. ამ დარგში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოიხატა როგორც კვალიფიციური კადრების, ისე სათანადო მეცნიერული პროდუქციის ზრდა. ქართველურ ენათა შესწავლისას აღსანიშნავია გაღრმავებული ძიება თეორიული საკითხების გარშემო.

ფონეტიკიდან პირველად ჩვენს ყურადღებას იპყრობს ხმოვანთა რედუქციის ბუნების გამორკვევა (ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის: „წელიწდეული“, 1924) და უმლაუტის კანონის დადგენა სვანური მასალების მიხედვით (ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში: „არილი“, 1925). ხმოვანთა რედუქციისა და უმლაუტის მოვლენათა ახსნის საფუძველზე შესაძლებელი გახდა გარკვევართულ მორფოლოგიურ ფორმებში, განსაკუთრებით სვანურისათვის. აქ დადგენილ კანონებზე დაყრდნობით ვ. თოფურიაშ გაარკვია საინტერესო საკითხები სახელთა დაბოლოების ისტორიიდან (ტფ. უნივ. მოამბე, VII, 1927) და რე-

\* ჩვენი მიმოხილვა ბიბლიოგრაფიულ სისრულეს არ ისახავს მიხნად.

კონსტრუქცია უყო ძველ ფორმებს საზოგადოდ („კვლავ უმლაუტისათვის სკანურში“: ტფ. უნივ. მოამბე, VIII, 1928). ა. ჩიქობავას „გრძელი ხმოვნები მთიულურში“ (ტფ. უნივ. მოამბე, IV, 1924) არკვევს ამ კილოში შენიშნული გრძელი ხმოვნების ბუნებას. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ვ. თოფურიას „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“ (I: მიმომხილველი I, 1926; II: ტფ. უნივ. მოამბე, X, 1930, და III: საქ. არქივი, 1927 წ.), რომელნიც არკვევენ ქართვ. ენების ბუნებრივ კომპლექსებს.

მორფოლოგიიდან უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ქცევის საკითხი ზმნებში, რომელიც პირველად გაშუქებულია 1925 წელს გამოსულს ნარკვევში (ა. შანიძე, „ქართული ენის საქცევი“: ტფ. უნივ. მოამბე, VI, 1925). გარკვეულია აგრეთვე ისეთი საკითხები, როგორიცაა პირიელ ნაცვალსახელთა ბრუნება, ქართ. ზმნის მრავალპირიანობა (პოლიპერსონალიზმი), ინვერსიული ფორმები გარდამავალი ზმნისა, ორი სახე ვნებიძი გვარისა (დინამიკური და სტატიკური), ფორმათა მესამე ჯგუფის წარმოება გარდაუვალ ზმნებში და სხვ. (ა. შანიძე, ქართ. ენა, I, მორფოლოგია, 1930), დადგენილია „პოტენციალისის კატეგორია ქართვ. ენებში“ (ა. ჩიქობავა, აქვე) და სხვა.

სინტაქსის საკითხებს ეხება დიდი მონოგრაფია ა. ჩიქობავასი „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ (1928), მისივე: „რითია წარმოდგენილი ზმნაში სახელობითის ბრუნვაში დასმული მორფოლოგიური ობიექტი“ (ტფ. უნივ. მოამბე, IX, 1929) და მისივე რიგი წერილები „ქართ. ენის სტრუქტურული თავისებურებანი“ („ახალი სკოლისაკენ“, 1929, №№ 4, 9, 11, 12, „კულტურული მშენებლობა“, 1930, №№ 5, 7, (8), აგრეთვე ვ. თოფურიას „სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით“ („ჩემცნიერება“, 1923, № 1).

ცალკე ენების შესწავლის ხაზით შემდეგი სამუშაოებია ჩატარებული:

1. ქართული ენა. ძველი ქართულის შესწავლისათვის ამ მოკლე ხნის განმავლობაში ბევრია გაკეთებული: აღმოჩენილია და გამოქვეყნებული უძველესი (V-VIII სს.) ძეგლები ქართული ენისა: 1. ბოლნისისა და მცხეთის ხანმეტი წარწერები (ა. შანიძე, „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართ. ზმნებში“: ტფ. უნივ. მოამბე, II, 1923). 2. პალიმფსესტური ხანმეტი ტექსტები: ა) ივ. ჯაფახიშვილი, „ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართ. ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“, ტფ. უნივ. მოამბე, II); ბ) ა. შანიძე, ხანმეტი მრავალთავის ნაწყვეტები (ტფ. უნივ. მოამბე, VII, 1927) და მისივე, გ) სინური ლექციონარი (ტფ. უნივ. მოამბე, IX, 1929). 3. ჰაემეტი ტექსტები VIII ს. (ა. შანიძე, „ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართ. ენის ისტორიისათვის“: ტფ. უნივ. მოამბე, III, 1923).

გამოქვეყნებულ ტექსტებს თან ახლავს სპეციალური მიმოხილვანი ენის შესახებ. ამ ძეგლების აღმოჩენითა და გამოქვეყნებით მეტად გაფართოვდა ჩვენი წარმოდგენა ძველი ქართული ლიტერატურის მოცულობისა და ქართ. სალიტერატურო ენის ხასიათის შესახებ უძველეს პერიოდში.

ოცხალი კილოების შესწავლის დარგში აღსანიშნავია: შესწავლა და გამოკვევა ქართულისა (ვ. თოფურია, ზმნის ზოგიერთი თავისებურებანი გომ-

რულში“: ჩვენი მეცნიერება № 2, 1924; „ქართლური“: არილი, 1925), ფერეიდ-ნულისა (ა. ჩიქობავა, „ვ-ინის რეფლექსები ფერეიდნულში“: ჩვენი მეცნიერება, № 5, 1925; წელიწადული, 1925, „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი“ ტფ. უნივ. მოამბე, VII, 1927). გარე-კახურისა (ა. ჩიქობავა, „გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად“: არილი, 1925), გურულისა (ს. ჟღენტის, გურული კილო, 1936 წ., ქ. ლომთათიძე. „მესამე პირის ობ. ნიშანი გურულსა და აჭარულში“, ტფ. უნივ. შრომები, VI, 1937), აჭარულისა (მ. ხუბუა, ზემო აჭარის ენობრივი მიმოხილვა, 1932), მთარაჭულისა (შ. ძიძიგური, იბეჭდება ენიმკი-ს „მოამბის“ ტ. II-ში), ქვემო იმერულისა (ელ. ფანჩიძის სადისერტაციო ნაშრომი, ჯერ გამოუქვეყნებელი) და სხვ.

ამას გარდა შეიკრებილია ტექსტები და მასალები: ხევსურულისათვის (ბ. გაბუ-ური: წელიწადული, 1925), ქიზიურისა და ინგილოურისათვის (სტ. მენთე-შაშვილი). ქართლურისათვის ენიმკი-ს ექსპედიციის ნაშრომები, 1937 წ. (ანგა-რიშები იბეჭდება ენიმკი-ს „მოამბეში“ ტ. II და სხვ.).

ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხებს ეხება თ. გონიაშვილის სა-დისერტაციო ნაშრომი: „დიალექტიზმები ჰადისის ხელნაწერში 894 წ.“.

მეგრულ-ქანურის ხაზით აღსანიშნავია ა. ჩიქობავას „-ონ სუფიქსი მეგრულ-ში“ (ტფ. უნივ. მოამბე, 1925), მისივე „ქანური ტექსტები“, 1, ხოფური კილო-კავი (1929), მ. ხუბუას „მეგრული ტექსტები“ (იბეჭდება ენიმკი-ს გამომცემლობაში), ს. ჟღენტის ქანური ტექსტები (იბეჭდება ენიმკი-ს გამომცემლობაში) და განსაკუთრებით, ა. ჩიქობავას ვრცელი მონოგრაფიები „ქანურის გრამატიკული ანალიზი“ (ენიმკი-ს გამოც., 1936) და ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ (იბეჭდება ენიმკი-ს გამომცემლობაში).

სვანურის ხაზით პირველ ყოვლისა უნდა აღნიშნულ იქნეს, რომ ჩაწერი-ლია ტექსტები ყველა კილოსა და კილოკავზე (ა. შანიძე, ვ. თოფურია და სხვა) და გამორკვეულია ამ ენის ყველაზე უფრო რთული მოვლენებს მორფოლოგიაში (ა. შანიძე „უძელაუტი სვანურში“, ვ. თოფურიას ვრცელი მონოგრაფია „სვანური ენა, I ნაწილი“, ტფ. 1931. კ. დონდუას „К вопросу о численности множественного числа в сванских терминах родства“: მასალები საქ. და კავკ. ისტორიის-ათვის, VII).

ისტორიული საკითხები გაშუქებულია რიგ წერილებში, როგორცაა: ვ. თო-ფურიას „ორმაგი უარყოფა ქართულში“ (წელიწადული), ა. ჩიქობავას „მოთხ-რობითი ბრუნვის ისტორიისათვის“ (ტფ. უნივ. მოამბე, X) და მისივე „მიმარ-თულებითი ბრუნვის წარმოებისა, მნიშვნელობისა და ისტორიისათვის“ (აქვე) და სხვ. ეტიმოლოგიური ძიებანი მოცემულია რიგ წერილებში: ა. შანიძის „წე-ლიწადის ეტიმოლოგიისათვის“ (წელიწადული, 1925) და სხვ.

უკვე ის გარემოება, რომ ქართველურ ენების შესწავლა ასეთს ფართო, მა-ღალ მეცნიერულსა და ისტორიულ-შედარებითს, ნიადაგზე დადგა საბჭოთა საქარ-თველოში, ბუნებრივად აყენებდა საკითხს დანარჩენი კავკასიური ენების შეს-წავლის საჭიროების შესახებ. ამასვე ხელს უწყობდა ის თავისთავადი ინტერე-სიც, რომელიც კავკასიურ ენებს თან ახლავს და რომელიც კარგად არის ცნო-ბილი მსოფლიო ლინგვისტური მეცნიერებისათვის. რევოლუციამდე კავკასიური ენათმეცნიერება საქართველოში, როგორც ცალკე მეცნიერული დარგი, შეიძლე-ბა ითქვას, რომ არ არსებობდა, მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა მოღვაწეებმა

უკვე იმ შავ-ბნელ დროში შესძლეს თავისი მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ლინგვისტიკის ამ სფეროში, საკმარისია მოვიგონოთ ცხოვრება და ღვაწლი პეტრე ჭარაიასი, რომელიც თვითგანვითარების გზით სოფლის მასწავლებლიდან თვალსაჩინო ენათმეცნიერად იქცა და რომელმაც საფუძველი ჩაუყარა აფხაზური ენის შედარებით-ისტორიულ შესწავლას. ჩვენ არ ვიხსენიებთ აკად. ნ. მარის დიდ ღვაწლს ამ დარგშიაც, რადგანაც ამ სახელოვანი მეცნიერის მოღვაწეობა პეტერბურგის (ამჟამად ლენინგრადი) უნივერსიტეტში მიმდინარეობდა.

დღეს საქართველოში მდგომარეობა ძირეულად სხვაგვარია, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას რომ ტფილისი უკვე გადაიქცა კავკასიური ენათმეცნიერების ერთს უმნიშვნელოვანეს ცენტრად. ტფ. სახ. უნ-ტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩამოყალიბებულია კავკასიური და აღმოსავლური ენების განყოფილება. რომელმაც 1937 წ. იანვარში უკვე 6 სპეციალისტი მოგვცა. ივნისში—11, უახლოესი ორი წლის განმავლობაში განყოფილება გამოუშვებს კიდევ 15 სპეციალისტს. გამართულია სპეციალური ასპირანტურა კავკასიურ ენებში; აფხაზურ ენაში, მაგ., უკვე წარმოდგენილია პირველი საკანდიდატო დისერტაცია (ქეთევან ლომთათიძე, „ძირითად დროთა წარმოებისათვის აფხაზურში“).

ეს ახალგაზრდობა მომზადდა და მზადდება მხოლოდ ადგილობრივი კადრების მიერ. ენიმკი-ს ერთს ძირითად სექტორთაგანს — კავკასიურ ენების განყოფილებას — ჰყავს სპეციალისტი კავკასიური ენების ყველა ძირითადი ჯგუფისათვის: ხუნძური (ავარიული) ენისათვის — პროფ. ა. ჩიქობავა, ქისტურის ჯგუფის ერთი უმნიშვნელოვანესი წევრის, წოურისა ანუ ბაცბიურისათვის — პროფ. აკ. შანიძე, ლაკურისათვის — პროფ. ვ. თოფურია, აფხაზურისათვის (ქ. ლომთათიძე), უღურისათვის (ვლ. ფანჩვიძე), ქისტურისათვის (თ. გონიაშვილი; სტ. ჩხენკელი), ადიღეური ანუ ჩერქეზულისათვის (გ. როგავა). გარდა ამისა, განყოფილებაში წარმოდგენილია ისეთი „გაკავკასიურებული“ ენები, როგორიცაა, სომხური და ოსური (პროფ. გ. ახვლედიანი). ძალიან საყურადღებოა, რომ აღნიშნული სპეციალისტები აქტიურს პრაქტიკულს. მეცნიერულსა და პედაგოგიურს, დახმარებას უწყვეტ სათანადო ეროვნულ რესპუბლიკებსა და ოლქებს როგორც კადრების მომზადების საქმეში (ვ. თოფურიას ხელმძღვანელობით მომზადდა და მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით დაჯილდოვებულ იქნა ლაკური ენის პირველი ლაკი სპეციალისტი), ისევე კულტურულ მშენებლობაში (გრამატიკების შედგენა, ლიტერატურული ენისა და ორთოგრაფიის ნორმების დადგენა და სხ.). გეგმაშეწონილად არის წარმართული ტფილისის კავკასიურ-ენათმეცნიერული სკოლის მუშაობა თეორიულ სფეროში. ცენტრალურ პრობლემად არის აღებული გარდასავალი ზმნის ბუნება (ანუ ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა) კავკასიურ ენებში. ამ ენების სტრუქტურული განსაზღვრისა და მათი ურთიერთობის გარკვევისათვის უწყებულ პრობლემას ძირითადი მნიშვნელობა აქვს, ისევე როგორც ნათესაური დამოკიდებულების შესასწავლად ქართველურსა და კავკასიურ ენებს შორის, ერთი მხრით, და კავკასიურსა და წინა აზიის უძველეს კულტურულ ენებს (სუმერული, ხეთური, სუბარული, ხალდური და სხვა) შორის, მეორე მხრით. ამ ძირითად პრობლემასთან დაკავშირებულია ისეთი სპეციალური საკითხები, როგორიცაა სახელთა ბრუნებისა

და ზმნათა უღვლილების საკითხები, ფონეტიკური და ლექსიკური შემადგენლობის საკითხები. ეს მეცნიერული პრობლემები გაცხოველებული კვლევის საგნად არის გადაქცეული ენიმკი-ს შესაბამის ლაბორატორიაში. ენიმკი-ს გამომცემლობაში გამოდის (ბეჭდვა უკვე მთავრდება) პროფ. ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური მონოგრაფია: „ქართულ-ქართველურისა და კავკასიური ენების ნათესაობის პრობლემა“ (700 გვერდამდე). აქ პირველადაა მოცემული შედარებითი კვლევა-ძიება ამ ენათა ისტორიის გათვალისწინებით. გაცხოველებული მუშაობა წარმოებს კავკასიური ენების თარგმნითი ლექსიკონების შესადგენად. შედგენილია უკვე: უღურ-რუსულ-ქართული ლექსიკონი, წოურ-ქართული და ქართულ-წოური ლექსიკონი. მუშაობა მიმდინარეობს აფხაზურ-ქართულ-რუსულ დოკუმენტირებულ ლექსიკონზე.

დამუშავებულია მონოგრაფიულად ცალკეული საკითხები კავკასიურ ენათა სტრუქტურისა და გენეტურ-ისტორიულ დამოკიდებულებათა შესახებ. ამ მონოგრაფიათაგან ზოგი უკვე გამოქვეყნებულია, ზოგიც ელის გამოქვეყნებას. დაბეჭდილი ნაშრომებიდან აღვნიშნავთ: „ინფინიტივის დიალექტური ვარიაციები ხუნძურში“ (ა. ჩიქობავა, აქვე), „გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში“ (ა. ჩიქობავა, აქვე), „სახელთა ბრუნებისათვის უღურ ენაში“ (ვ. ფანიჩიძე, აქვე).

ქართველური და კავკასიური ენათმეცნიერების განვითარება, ენათმეცნიერული კვლევა-ძიება სხვა ენების (მაგ. ირანულის, სლავურის) მასალაზედაც ნაწარმოები, გულისხმობდა საჭიროებას ფონეტიკის ცალკე დარგად ჩამოყალიბებისას. ეს ამოცანაც ამჟამად წარმატებით არის გადაწყვეტილი.

მეცნიერული ფონეტიკური (კერძოდ, ექსპერიმენტული) კვლევა საქართველოში იწყება ტფ. უნივ. ენათმეცნიერების კათედრაში (გამგე გ. ახვლედიანი) 1921-23 წლებიდან, და, განსაკუთრებით საენათმეცნიერო საზოგადოებაში (თავმჯდომარე გ. ახვლედიანი). ამ დროიდან უკვე ქვეყნდება წმინდა ფონეტიკური ნაშრომები — უმთავრესად ქართული ენისა (დიალექტებითურთ) და აგრეთვე ოსური ენის შესახებ. სპეციალურად ფონეტიკურ საკითხებზე მუშაობდა გ. ახვლედიანი (კვლევის ობიექტი — ქართული და ოსური ენები), მაგრამ ფონეტიკურ საკითხებზე მუშაობდნენ და ბეჭდავდნენ ნაშრომებს აგრეთვე აკ. შანიძე, ა. ჩიქობავა და ვ. თოფურია (იხ. ზემოთ). ამ პერიოდს ეკუთვნის გამოკვლევები გ. ახვლედიანისა ქართული და ოსური ენის ფონეტიკიდან:

1. ყრუ „მჟღერები“ ქართულში (ყურნ. „განათლება“, სადაც დადგენილია მარტივი იარაღებით დაკვირვებით, ქართულ „მჟღერთა“ სუსტი მჟღერობა);
2. მარცვლის საკითხის გარშემო („მომავალი“, 1921), სადაც დადგენილია მეტათეზისის ერთი კანონზომიერება;
3. მკვეთრი ხშულნი ქართულში (ტფ. უნივ. მოამბე, II, 1922-23); ამ შრომაში გაშუქებულია ქართული კონსონანტიზმის ძირითადი თავისებურება შედარებით, კერძოდ, რუსულთან;
4. შენიშვნა „ჟვარები, ჟარე“-ს შესახებ („ჩვენი მეცნიერება“, 1923);
5. მასალები აფხაზურ ბგერათა ფიზიოლოგიისათვის („მომხილველი“, 1926), სადაც მოცემულია ზუსტი დაკვირვება აფხაზურის სპეციფიკურ თანხმოვნებზე.
6. შენიშვნები ქართულ ბგერათა კლასი-

ფიკაციისათვის („მიმომხილველი“, 1926) — საფუძვლად დაედო ქართულ თანხმობანთა „სამეულეზად, წყვილეულეზად და ცალეულეზად“ დაყოფას, და სხვა. ამას ემატება ამავე პერიოდის ნაშრომები გ. ახვლედიანისა ოსური ენის ფონეტიკიდან (იხ. ქვემოთ).

ამავე პერიოდს ეკუთვნის ფონეტიკური გამოკვლევები ა. შანიძისა, ა. ჩიქობავასი, ვ. თოფურიასი, გ. წერეთლის, მ. ხუბუასი, ს. ჯიქიასი და სხვ. (იხ. თავ-თავის ადგილას).

1930—32 წლებამდის კვლევის მეთოდი იყო უმთავრესად უშუალო დაკვირვება ცოცხალ წარმოთქმაზე და ისტორიული და შედარებითი შესწავლა ქართველურ და სხვა კავკასიურ ენათა ფონეტიკური მოვლენებისა. ამ დროიდან კი შესაძლებელი შეიქმნა ექსპერიმენტული კვლევა, რადგანაც უნივერსიტეტში ეწყობა ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია (გამგე გ. ახვლედიანი). ძველ კადრებს ემატება ახალიც (ქ. ლომთათიძე, მ. ხუბუა, სტ. ჩხენკელი, შ. ძიძიგური, გ. როგავა, ვ. ფანჩიძე, თ. გონიაშვილი და სხვ.), რომელთაგან ზოგიერთს უკვე მოცემული აქვს მნიშვნელოვანი მეცნიერული პროდუქცია როგორც ქართული, ისე სხვა კავკასიური ენების შესახებ.

დაარსება ენიმიკის ინსტიტუტის ფონეტიკის კაბინეტისა (გამგე გ. ახვლედიანი, თანამშრომელი ჟღენტი) უქმნის ფონეტიკურ კვლევას ახალს, მძლავრ, სტიმულს. კაბინეტმა უკვე ჩაატარა კიმოგრაფიული და ფონოგრაფიული ჩაწერა ქართულის, ჭანურის, სვანურის, აფხაზურის, ლაკურის და აგრეთვე შუა აზიის არაბული ცოცხალი მეტყველებისა.

ქართველურ და კავკასიურ ენათა ბგერითი შედგენილობის შედარებითი შესწავლა მიმდინარეობს სინოპტიკური ცხრილების შედგენის სახით — არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და ექსპერიმენტულად ბგერების შემოწმების საფუძველზე. შედგენილია სინოპტიკური ცხრილები აფხაზურის, ოსურის, ლაკურის, ხუნძურის და ჩერქეზული ენებისათვის — მათი ბგერების კლასიფიკაციითურთ გ. ახვლედიანის სისტემით.

ასეთი მუშაობის შედეგად მიღებულია მნიშვნელოვანი მეცნიერული პროდუქცია, დაბეჭდილი ან დასაბეჭდად გამზადებული შრომების სახით (მოხსენებულია ინსტიტუტის სხდომებზე).

1. აბრუპტივთა და ასპირატების დისიმილაციური გამჟღერება ოსურში. აქ ავტორმა (გ. ახვლედიანი) დაადგინა კანონზომიერება, რომლის მიხედვით ირკვევა ოსთა ენობრივი (და კულტურული) თანდათან შეგუება კავკასიური ენების (და კულტურის) სინამდვილეში.

2. ფაუკალური და ლატერალური თანხმოვნების საკითხისათვის ქართულში. აქ ავტორმა (გ. ახვლედიანი) დაამტკიცა ფაუკალური და ლატერალური ბგერათა იმთავითვე არ არსებობა ქართულში და ამის საფუძველზე ახსნა ქართულ ბგერათა ისტორიული გამძლეობა. გზადაგზა ავტორმა გამოიკვლია სლაფური, კერძოდ, რუსული ენის ისტორიის ერთი აქამდის აუხსნელი პრობლემა (გრენ—\*გრენა, пал—\*пала).

3. „ფონეტიკური შენიშვნები“ (გ. ახვლედიანი, აქვე) ა) „საშუალო მქედრობა“ თუ „ასპირაცია?“ ბ) „ქართულის ფარინგალური თანხმოვნები“, გ) „ქართულ აფრიკატებზე“.

4. „ბუნებრივი მარცვალთგასაყარის შესახებ“. აქ ავტორმა (გ. ახვლედიანი) პირველად ახსნა თანხმოვანთა არტიკულაციის ფიზიოლოგიური თანამიმდევრობა ქართვ. ენებში.

ასეთი მუშაობის შედეგად იბეჭდება ვრცელი შრომა გ. ახვლედიანისა „ზოგადი და ქართ. ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები“, ნაწ. I (უნივ. გამოცემა).

5. ს. ჟენტმა დაბეჭდა ვრცელი გამოკვლევა გურული კილოს შესახებ, რომელიც უმთავრესად ფონეტიკური ხასიათისაა (იხ. ზემოთ) და დაადგინა საყურადღებო ფონეტიკური მოვლენა ქანური ენისათვის — „თანხმოვანთა გადაწევა“.

უკანასკნელ კაბინეტმა გამოუშვა ქართველურ და კავკასიურ ენათა ფონეტიკური შესწავლისათვის მეტად საჭირო წიგნი:

6. ქართველურ ენათა ფონეტიკური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია (ენიმიკი-ს გამოც., 1937), რომელშიაც შეკრებილია ქართველურ ენათა შესახებ მთელი ფონეტიკური ლიტერატურა ვრცელი ანოტაციით.

ფონეტიკის განვითარების ამ ახალ ეტაპზე ჩვენში კვლევის მასშტაბი გაფართოვდა სხვა კავკასიურ ენათა მიმართ: ფონეტიკურ საკითხებს ეხებიან და წარმატებით სწავებენ ენიმიკი-ს სხვა სექტორებიც.

საბჭოთა საქართველოს ენათმეცნიერნი მარტო ქართველური და კავკასიური ენებით არ ზღუდავენ თავის საკვლევო არეს. მათი ყურადღების ფარგლებში შემოდის სხვა ენებიც, როგორც კავკასიის სხვა ენები, აგრეთვე ისეთნიც, რომელნიც ისტორიულსა და კულტურულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ქართველურ და კავკასიურ ენებთან.

ასე, საბჭ. საქართველოში ჩაისახა და დიდი წარმატებით ვითარდება ოსური ენის შესწავლა, რისი ინიციატორი და მთავარი წარმომადგენელი არის პროფ. გ. ახვლედიანი.

გ. ახვლედიანის გამოკვლევებმა ამ დარგში მიიქციეს ყურადღება და მაღალი შეფასება მიიღეს როგორც საბჭ. კავშირის, ისე საზღვარ-გარეთის სპეციალისტებისაგან. ამ ნაშრომებიდან აქ აღვნიშნავთ:

1. „პროთეტული ხმოვნის საკითხისათვის ოსურში“ (ჩვენი მეცნიერება, 1923). 2. „სამი „ტ“ ოსურში და მათი მიმართება ძველი ირანულის შესაფერ ბგერებთან“ (წელიწადეული, 1923) — ამ შრომამ საფუძველი ჩაუყარა ოსური ენის თანხმოვანთა ახალ გაგებას (დადასტურებულია პროფ. აბაევის გამოკვლევებით). 3. *Dativus praedicativus* ოსურ ენაში, 1923.

შრომები ოსური ენის დიალექტოლოგიიდან უმთავრესად ფონეტიკური ხასიათისა, რომელთა საფუძველზე დადგენილია ოსური ენის დიალექტების სრულიად ახალი კლასიფიკაცია („ოსური ენის ისტორიისათვის“, I, ტფ., უნივ. მოამბე, V, 1925, II: „იალღუზიე ი. და მისი ოსურად დაწერილი შრომები“, იქვე, VI, 1926, „გემინირებული და ნახალიზებული“ აფრიკატების შესახებ ოსური ენის დვალურ დიალექტში“, ტფ. უნივ. შრომები, V, 1936 და სხვ.).

სპეციალურად უნდა აღინიშნოს არმენოლოგიის განვითარება საბჭოთა საქართველოში. ენა, ისტორია და კულტურა სომეხი ხალხისა, რომელიც ქართველ ხალხთან მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობით არის დაკავშირებული, ხოლო ამჟამად ერთა ურყვევი სტალინური მეგობრობით არის შესისხლხორცებული საბჭ. კავშირის დიდი ხალხებს ოჯახთან, ფართო მეცნიერული შესწავლის საგნად იქცა საბჭოთა პერიოდში. მეტიც: ჩვენი რწმენით ქართველოლოგიის წარმატებით განვითარება არმენოლოგიის განვითარებასაც გულისხმობს, და პირუკუ. ქართველოლოგიის მეცნიერულ საქურველში სომხური ენის, კულტურის, ისტორიის ცოდნა მიუცილებელ ელემენტად არის შესული. არმენოლოგიის ორგანიზაციული მდგომარეობიდან საბჭ. საქართველოში აღვნიშნავთ: არმენოლოგიის კათედრის (გამგე პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი) არსებობას ტფ. სახ. უნ-ტში და იმ საპატიო ადგილს, რომელიც უჭირავს არმენოლოგიურ სამუშაოებს ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში.

არმენოლოგიური მუშაობა საბჭ. საქართველოში მიმდინარეობდა ძირითადად 3 ხაზით: სომხური ენის, სომხური ლიტერატურის ისტორიისა და სომხეთის ისტორიის სწავლებისა და კვლევა-ძიების (უმაღლესი სასწავლებლები, საკვლევი დაწესებულებები) ხაზით.

აღზრდილია არა ერთი თაობა ახალგაზრდა არმენისტებისა: საქართველოს მუზეუმსა, ცენტრარქივსა და შ. რუსთაველის ინსტიტუტში დაგროვილია 250-ზე მეტი ძველი სომხური ხელნაწერი წიგნი და რამდენიმე ასეული საბუთი.

ენის კვლევის ხაზით გამოცეპულია გრამატიკები და ქრესტომათიები (ლ. მელიქსეთ-ბეგი, ილ. აბულაძე).

ლიტერატურის ისტორიის ხაზით გამოქვეყნებულია მრავალი გამოკვლევა და წერილი, უმთავრესად — სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხისათვის, სახელდობრ: გამოკვლევა რუსთაველის ეპოქის სომხური ლიტერატურის ვითარების შესახებ საქართველოს ფეოდალურ მონარქიის სფეროში (ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი“, 1927 წ.), გამოკვლევები ძველ სომეხ ისტორიკოსების შესახებ V—VII სს. (პროფ. ივ. ჯავახიშვილი, „ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“ 19ა5. იხ. აგრეთვე, С. Н. Джанашия, „К критике М. Хоренского“: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, VI, 1937). გამოქვეყნებულია სომეხ ისტორიკოსთა არსებული ძველი ქართული ვერსიები (ლ. მელიქსეთ-ბეგი), სომხური სამართლის წიგნები (ლ. მელიქსეთ-ბეგი, 1928) და სხვ..

ისტორიის ხაზით პირველად საქართველოში წამოყენებულ იქნა საკითხი კლასთა ბრძოლის შესწავლისათვის სომხეთის ისტორიაში (ნარკვევი სივნიეთის აჯანყების შესახებ, X ს., ივ. ჯავახიშვილისა, ტფ. უნივ. მოამბე, II, 1922), აგრეთვე ანისის უთანხმოების შესახებ 1918 წ. (იგივე, 1935), შეკრებილ იქნა და ნ წილობრივ გამოქვეყნდა სომხური ეპიგრაფიკული ძეგლები საქართველოში (ლ. მელიქსეთ-ბეგი, სხვადასხვა დროს). ქვეყნდება ცალკეული მონოგრაფიები სომხურ სიძველეთა შესახებ (С. Т.-Аветисян, г. Джуга, 1937, ენიმკი-ს გამოც.), დაიწყო თარგმნა და გამოცემა სომხური წყაროებისა საქართველოს შესახებ.

უკვე გამოქვეყნდა: „თომა მეწოფელი“ (პროფ. მგლიჟსეთ-ბეგი 1936), „იოანე დრასხანაკერტელი“ (დოც. ილ. აბულაძე, 1936) და სხვ..

ბიზანტინოლოგიის დარგში მუშაობა მიმდინარეობდა ორი მიმართულებით:

1. ქართველმეტყველების დარგში მომუშავენი თავიანთ მონოგრაფიებში საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით არკვევდნენ ზოგიერთ საკითხებს ბიზანტინოლოგიისას. ამ მხრივ საყურადღებოა:

ა) პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ „ქართული სამართლის ისტორიის“ საკითხების პარალელურად ბერძნულ-ბიზანტიური სამართლის კოდექსის განხილვა.

ბ) პროფ. კ. კეკელიძის მიერ თავის მოყრა და დალაგება ყველა იმ უცხო (უპირატესად ბიზანტიელ) მწერალთა, რომელთა ნაწარმოებნიც ძველ ქართულ თარგმანებში მოიპოვება (მისი შრომა „უცხო ავტორები ქართულ მწერლობაში“).

2. ბერძნულ-ბიზანტიური ფილოლოგიის დარგში მომუშავეთა გამოცემები და მონოგრაფიები ბიზანტიანოლოგიის დარგში: ამ მხრივ საყურადღებოა:

ა) დამსახ. პროფ. გრ. წერეთლის, რომელმაც საბჭ. საქართველოს მკითხველს საზოგადოებას შესძღვნა თავის მრავალმხრივ საყურადღებო ორტომიანი „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“ (1926-7, 1935), მიერ გამოცემული სერიის „რუსეთისა და საქართველოს პაპირუსების კრებულის“ ცალკე, ნესამე, ტომი: „გვიანდელ—რომაული და ბიზანტიური ტექსტები“ (1930).

ეს გამოცემა საერთაშორისო სამეცნიერო აზრის მიერ ერთხმად აღიარებულია უზადოდ და სანიმუშოდ. პროფ. გ. წერეთლის მიერვე გამოცემულია:

ბ) რუსთაველის ეპოქის ქართ. ფილოსოფიურ აზროვნების ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი მწერლის, ი. იტალის, შრომები, 2 ნაწ. (1924—1926).

გ) პროფ. გრ. წერეთლის მონოგრაფია „კორიდუაის ხელთნაწერი და მისი ბერძნული მინაწერები“ (ენიჭიკი-ს გამოცემა, 1937), სადაც ვარკვეულია ბიზანტიური (ბერძნული) პალეოგრაფიის ზოგიერთი სადაფო საკითხი და პირველად გამოცემულია მთლიანად, საქართველოში შესრულებული ამ განთქმული ხელნაწერის, ბერძნული (ბიზანტიური) მინაწერები, თარგმნითა და კომენტარიებითურთ.

დ) პროფ. ს. ყაუხჩიშვილის „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“ ტ. II და III (ბერძნული ტექსტი, ქართული თარგმანი და წვრილი გამოკვლევები ცალკეულ საკითხებზე). ეს დიდი შრომა გრძელდება და იგი მაზნად ისახავს საქართველოს შესახებ ბიზანტიური წყაროების სრულს გამოცემას დედანსა და თარგმანში, რასაც საქართველო ისტორიის მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის მეტად თვალსაჩინო მნიშვნელობა აქვს.

ე) უახლოეს დღეებში გამოდის პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ (პროფ. შ. ნუცუბიძესთან ერთად) გამოცემული ფილოსოფოსის პ. ოკლე დიადოხოსის „ელემენტების“ („კავშირნი“) ქართული თარგმანი. XII საუკუნეში

შესრულებული ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის მიერ; გამოცემა შეიცავს 2 ტომს.

საყურადღებოა რომ საბჭოთა საქართველოში წარმატებით ვითარდება არაბისტიკა (დოც. გ. წერეთელი), ირანისტიკა (პროფ. ი. მარი, დოც. ვ. ფუთუ-რიძე, დოც. მ. ხუბუა), თურქოლოგია (დოც. ს. ჯიქია), მეცნიერებათა ის დარგები, რომელნიც სწავლობენ საქართველოს კულტურული ისტორიის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვან ენებს და კულტურებს. დოც. გ. წერეთელმა პირველად აღწერა შუა აზიის მეტად ორიგინალური არაბული კილო, რომლის შესახებაც მეცნიერებამ დღემდე არაფერი იცოდა და რომელიც უაღრესად საინტერესოა არა მარტო არაბული ენის ისტორიისა და დიალექტოლოგიისათვის, არამედ სემიტოლოგიისათვის, საერთოდ. საბჭოთა არაბისტიკის საკავშირო ყრილობაზე (ოქტომბერი, 1937, ლენინგრადი) გ. წერეთლის მოხსენება ამ საგანზე ყურად-ღების ცენტრში მოექცა და მაღალი შეფასება მიიღო (პირველი ანგარიში იხილეთ აქვე). ეს მუშაობა გრძელდება და არაბისტიკას სრულიად ახალ თავს მზარდება.

ჩვენი არაბისტიკი მონაწილეობას იღებენ აგრეთვე არაბული ლიტერატურის სრულებით ახალი დარგის, ჩრდილო-კავკასიურ წარმოშობის არაბული ძეგ-ლების დამუშავებაში, რომლებიც საყურადღებოა არა მარტო როგორც ნიმუ-შები ჩრდილო-კავკასიის ორიგინალური არაბული მწერლობისა, არამედ ნათელს მჭინენ აგრეთვე საკითხს ჩრდილოეთ-კავკასიის ხალხთა ეროვნულ-ვანობათა-ვისუფლებელ ბრძოლისა მეფის რუსეთის წინააღმდეგ. ამ მხრით აღსანიშნავია შამილის პიროვნებასთან დაკავშირებული დოკუმენტების აღმოჩენა საქართვე-ლოს მუზეუმში და მათი გამოცემა სათანადო დამუშავების შემდეგ<sup>1</sup>.

ს. ჯიქია სწავლობს საქართველოს სამხრეთი რაიონების ქართველი მოსა-ხლეობის თურქული მეტყველების თავისებურებას (სამუშაო გათვალისწინებულია ენიმიკი-ს გეგმებით, უკვე გამოქვეყნებულია, „ტფ. უნივ. შრომებში“, ტ. VI, დაკვირ-ვება თურქული ენებისათვის ჯერ უცნობი ენობრივი მოვლენის შესახებ: „Однoм морфoлогическoм явлeнии в ахапцихскoм наречии аналoгичнo-гyрццoгo язькa“) და ამ მხარის ისტორიის თურქული პერიოდის (სამცხე-საათაბაგო დაპყრობილ იქნა თურქების მიერ 1578 წ.) ისტორიულ ძეგლებს. კერძოდ ს. ჯიქიას მიერ ამოკითხულ იქნა (რაც რთულ მეცნიერულ ამოცანას შეადგენდა) და გადმოითარგმნა ქართულად „გურჯისტანის ვილაიეთის საბეგრო დავთარი“ მე-16 ს. დამლევისა, პირველხარისხოვანი და ვრცელი (20 ფორამდე) ისტორი-ული წყარო (გადაცემულია წარმოებაში). ირანისტიკის დარგიდან აღვნიშნავთ: პროფ. იური მარის „სპარსულ-რუსულ დოკუმენტურებულ ლექსიკონს“ (პირველი ნაკვეთი დაიბეჭდა 1935 წ.), რომელიც ახალსა და მნიშვნელოვან სიტყვას წარ-მოადგენს სპარსულ ლექსიკოგრაფიაში, მთელ რიგ წერილებს რუსთაველის

<sup>1</sup> იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, IX, 13 (1), ტფილისი, 1936, გვ. 103—120; ИИВ АН СССР, V. Л. 1935, стр. 97—114; Труды Первой Сессии Арабистов, Л., 1936, стр. 95—112. იხ. ამის შესახებ აგრეთვე აკადემიკოს ე. კრაჩკოვსკის წერილი ვახუ-თიანესტიკაში, 4. XII, 1935, № 281 (5834), გვ. 4.

თანამედროვე ირანელი პოეტებისა (ხაკანი, ნეზამი) შესახებ, რომელთა ნაწილი მოთავსებულია კრებულში „Незामी-Хакани-Руставели“ (ენიშვილ-ის გამოც. 1936); აქ განხილულია ქართ.-ირანულ კულტურულ ურთიერთობის საინტერესო საკითხებიც; ი. მარისა და კ. დონდუას პუბლიკაცია ს: „სპარსულ-ქართული ცდანი“ (1926); დოც. ვ. ფუთურაძის წიგნი „ისტაბრი-ჰუდუდ ალ-ალ-მი, ჰამიდ ლლაჰ ყაზვინი“ (ტფილისი, 1937 წ.), რომელშიაც მოცემულია ამ ავტორების ცნობები საქართ ელოს შესახებ, მისვე წერილს სპარსული ვის-რამიანისა და ქართული ვისრამიანის ურთიერთობის შესახებ (თეირანის ჟურნ. „მეპრ“-ში) და დოც. მ. ხუბუას წიგნი „მხატვრული პროზის საკითხისათვის უახლეს ირანულში“ (ტფილ. უნივ. შრომ., IV). ცალკე უნდა აღვნიშნოთ ენიშვილ-ის მიერ გამოცემული ორი კრებული სპარსული დოკუმენტებისა ამიერ-კავკასიის შესახებ („ნახიკონის დოკუმენტები“, 1936 და „ყუბის ხანთა ფირმანები“, 1936). ეს მუშაობა გრძელდება—ინსტიტუტი ააზ დებს ქართ. წარმოშობის თუ საქართველოს შესახებ სპარსული დოკუმენტების სრული კრებულის გამოცემას.

აღმოსავლეთის ენათა შესწავლის ხაზით, აღსანიშნავია აგრეთვე, რომ იმ მზრუნველობასთან დაკავშირებით, რომელსაც იჩენს პარტია და ხელისუფლება კადრების მომზადების საქმეში, ჩვენმა სპეციალისტებმა სერიოზული მუშაობა ჩაატარეს სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის შედგენისა და დამუშავების მხრივ. თუ რევოლუციამდის ჩვენ არ მოგვემოგებოდა აღმოსავლური ენების არც ერთი სახელმძღვანელო, ამჟამად ჩვენს ხალგაზრდობას საშუალება აქვს ხელი მოჰკიდოს აღმოსავლეთის ენების შესწავლას სპეციალურად მათთვის შედგენილი სხელმძღვანელოებით, რომელთაგან აღსანიშნავია ი. მარისა და ვ. ფუთურაძის სპარსული ქრესტომათია, ი. აბულაძის სპარსული ენის სახელმძღვანელო, გ. წერეთლის არაბული ქრესტომათია (რომელიც საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეშეცაა გამოყენებული სახელმძღვანელოდ), ს. ჯიქიას თურქულის ქრესტომათია (დამზ. დებულია დასაბეჭდად) და სხვ.

განსაკუთრებული კაპოტალეობით უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა საქართველოში გაჩნდა და განვითარების სწორ გზაზე დადგა ძველი აღმოსავლეთის ენებისა და კულტურის მეცნიერული შესწავლის საქმე. ძველი აღმოსავლეთი, განსაკუთრებით ქართველ ტოქთა უძველეს ისტორიასთან დაკავშირებით, აინტერესებდათ მე-19 საუკუნეშიაც. მაგრამ ძველი აღმოსავლეთის ენების დამოუკიდებელი კვლევის შესაძლებლობა ჯერ არ მოქონდათ. ეს შესაძლებლობა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში გაჩნდა, როდესაც მეთოდოლოგიურად და ფაქტური ცოდნის (ქართველოლოგია, კავკასიოლოგია, ასირიოლოგია) მხრივ სათანადოდ აღჭურვილმა მეცნიერებმა მოჰკვიც ხელი ამ საქმეს იმ აუცილებელ სამეცნიერო პირობებში, რომელიც პარტიისა და მთავრობის, პირველ რიგში, პირადად ამხანაგლ. ბერიას მზრუნველობითა და დახმარებით არის შექანილი. აღნიშნული ხაზით ყველაზე ადრე მოხსენიებულ უნდა იქნას გ. წერეთლის დიდი ნაშრომი „საქართ. მუზეუმის ხალდური ძეგლები“, ლურსმული ტექსტები, დედანსა და ტრანსკრიპციაში, თარგმანითა და გამოკვლევით. ძველი აღმოსავლეთის ენებსა და კულტურაზე, კერძოდ, მათს კავშირზე ქართველურ ენებსა და ქართულ კულტურასთან მუშაობს ენიშვილ-ის ინსტიტუტის თითქმის ყველა უფროსი მეცნიერი

თანამშრომელი. ამ მუშაობის პირველი შედეგები ნაწილობრივ გამოქვეყნებულია ინსტიტუტის მოამბის წარმოდგენილ ტომში (იხ. აქვე წერილები პროფ. ივ. ჯავახიშვილისა, აკ. შანიძისა, არნ. ჩიქობავასი, გ. ჩიტაიასი, ს. ჯანაშიასი).

გ. ახელედიანი იკვლევს კონსონანტიზმის საკითხებს ხეთურში, რომელშიც იგი პოულობს ხშირ თანხმოყანთა ისეთსავე სამეულებრივ სისტემას, როგორცაა ქართველურ ენებში. ამ კვლევის დადებითს შედეგებს შეუძლია გ. ხსნას სოულიად ახალი გზა ხეთური ენის შესწავლის ისტორიაში—ქართველურ ენებთან ხეთურის ნათესაობის დადგენის მხრივ.

სპეციალურად უნდა აღვნიშნოთ პავლე ინგოროყვას მოხსენება (საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში 1931 წ.), რომელშიაც მოცემული იყო ახალი არგუმენტაცია ხეთურ-ქართული ნათესაობის საკითხისათვის და პირველი ცდა (თარხუდიმეს ცნობილი ბეკდის ტექსტზე) ამოშიფრული ყოფილიყო ხეთური, ჰბეროგლიფური დამწერლობა ქართველური ენობრივი მსაღის საშუალებით.

ენიმიკი-ს მეცნ. თანამშრომელმა პ. უშაკოვმა დაამზადა და დასაბუთდად წარწოადგინა მონოგრაფია „ლიდიური ენის“ შესახებ. მანვე 1937 წ. გეგმით დაამთ.ერა „ხალღური (ურარტული) ენის ლექსიკა“.

ჩვენი ტომების წინა აზიის უძველეს მოსახლეობასთან ეთნიკური და კულტურულ-ისტორიული ნათესაობის დიდი პრობლემა ენიქი-ს ყველა განყოფილების ყურადღების ცენტრში დგას მესამე ხუთწლეულის გეგმებითაც. ენა-სტრუქტურა, ისტოოიკოსები, არქეოლოგები და ეთნოგრაფები—ყველანი, საკუთარი მასალის საფუძველზე, ცდილობენ დასახელებული პრობლემის ცალკე საკითხების გადაჭრას (იხ. ამავე წერილში, ცალკე სამეცნიერო დარგების მიმოხილვისას). უახლოესი წლები ამ მხრივ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, გ.ნსაკუთრებულ შედეგებს მოგვცემს.

თვალსაზირო საქმეა გაკეთებული ლექსიკოლოგიის დარგშიაც. მართალია, ოქტომბრის წინადროინდელი ქართული სალქსიკოლოგია მუშაობის შედეგად არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი ლექსიკონი მოგვეპოვება: დ. ჩუბინაშვილისა. რ. ერისთავის, ნ. მარის, ი. ყიფშიძის, ვ. ბერიძის, ი. ჭყონიას და სხვათა, მაგრამ ჯერ ერთი, უმეტესობა ამ ლექსიკონებისა შესრულებულია საქართველოს გარეთ, რუსეთში, და, მეორეც, სისტემატური სალქსიკოლოგია მუშაობა მაშინ არ წარმოებულა. საქართველოში დაბეჭდილი ლექსიკონებისა და სალქსიკონო მასალების მეტი წილი შექთხევეიფის ხასიათს ატარებდა და მეცნიერულადაც ყოველთვის ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას.

ქართველურ ენათა ფარგლებში გეგმაშეწონილი სალქსიკოლოგია მუშაობა დაიწყო 1923 წ., როდესაც ტფილისის სახ. უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრა, მისი გამგის, პროფ. აკ. შანიძის ხელმძღვანელობით, შეუდგა ქართული განმარტებითი ლექსიკონისათვის მასალების შეკრებას. ვრცელი ქართული აკა-

დემიური ლექსიკონის შედგენა პოლიტიკურად და კულტურულად უარესად მნიშვნელოვანი აქტუალური ამოცანაა, რომელიც მოითხოვდა და მოითხოვს ქართული ზღვა ლექსიკური მასალის შეგროვება-თავმოყრას. ამ მიზნით, პირველ რიგში დამუშავდა მე-19 საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობის თითქმის ყველა ძეგლი. გარდა ამისა, ლექსიკონის მსლიკონლებელ წყაროს, ხალხურ მეტყველებას, რომ თავისი კუთვნილი ადგილი ეპოვა ლექსიკონში, ყურადღება მიექცა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სალექსიკონო მასალების მოძიებასაც; ამ საქმიანობას ხელმძღვანელობდნენ ქართული ენის კათედრა, სატერმინოლოგიო კომიტეტი და ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება. საკანგებოდ შედგენილი ანკეტა-ინსტრუქცია (ახვლედიანი, ბერიძე) დაგზავნილ იქნა ადგილებზე. საენათმეცნიერო საზოგადოების წევრ-კორესპონდენტები დროდადრო გზავნიდნენ მასალებს ხსენებული ანკეტა-ინსტრუქციის მიხედვით.

ქართული ლექსიკოლოგიური ნაშრომების მიხედვით პუბლიკაცია ამ ხნის განმავლობაში ძირითადად ოთხი მიმართულებით წარიმართა. ესენია: ა) ქართული დიალექტოლოგიური ლექსიკონები; ბ) ქართველ კლასიკოსთა აკადემიური გამოცემებისათვის დართული ლექსიკონები, გ) თარგმნითი და დ) უცხო სიტყვათა ლექსიკონები. დიალექტოლოგიურ ლექსიკონთაგან აღსანიშნავია: ა. შანიძის 1. ფშური ლექსიკონი ვაჟა-ფშაველას მიხედვით (დართული აქვს პოეტის სხვადასხვა გამოცემას), 2. მისივე ხევისურული ლექსიკონი (დართული ბ. გაბუერიის მასალებზე: „წელიწდული“, I-II, 1924), 3. ა. ჩიქობავას ფერეიდნული ტექსტების ლექსიკონი (ტფ. უნივ. მოამბე, № 7, 1927), 4. ე. ნინოშვილის „პარტახის“ (1935 წ.) ლექსიკონი ქ. ლომთათიძისა, 5. ს. ჟღენტიის გურული ტექსტების ლექსიკონი (1935 წ.). დიდძალი მასალა შესული ივ. ჯავახიშვილის საქ. ეკონ. ისტორიის 2 ტომში (1930-1934 წწ.). ქართველ კლასიკოსთა გამოცემების ხაზით: 1. ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი, (იუსტ. აბულაძის, ს. კაკაბაძის, კ. ჭიჭინაძისა, 1926-1935), 2. შაჰნაშეს ლექსიკონი (იუსტ. აბულაძისა, 1934), 3. დავითიანისა და 4. შაჰნავაზიანის ლექსიკონი (ს. იორდანიშვილისა), 5. ბესიკის ლექსიკონი (ვ. თოფურიასი, 1932), 6. იოსებ ზილიხანიანისა და 7. თეიმურაზის ლექსიკონი (გ. ჯაკობიასი, 1927, 1934), 8. ძვ. ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის ლექსიკონი (ი. აბულაძისა, 1935), 9. წიგნი სააქიმოს ლექსიკონი (ლ. კოტეტიშვილისა, 1936), 10. ირანულიდან ნათარგმნი ასტრონომიული ძეგლის (1926 წ.) ლექსიკონი (ი. მარისა და კ. დონდუასი, 1926), 11. საიათნოვას ლექსიკონი (ლ. მელიქსეთ-ბეგისა, 1935 წ.), 12. ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი ა. შანიძის რედაქციით (1937), 13. ვეფხისტყაოსნის ყარაბაღული ვარიანტის ლექსიკონი (ლ. მელიქსეთ-ბეგი, 1936) და სხვ. თარგმნით ლექსიკონთაგან აღსანიშნავია: 1. იუსტ. აბულაძის რუსულ-ქართული ლექსიკონი, 1 ნაწ. (1926), 2. გ. ახვლედიანისა და ს. იორდანიშვილის — რუს.-ქართ. ლექსიკონი, 1 და II (1931-1935 წ.), 3. რუს.-ქართული ლექსიკონი, ტფილ. უნივერსიტეტის გამოცემა, 1937; უცხო სიტყვათა ლექსიკონთაგან: უცხო სიტყვათა ლექსიკონი გ. ახვლედიანისა (1931) და მისივე რედაქციით გამოსული უცხო სიტყვათა ლექსიკონი ი. იმედაშვილისა (1928).

ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში 1936 წლის მაისში ჩამოყალიბებულმა სალექსიკოლოგიო განყოფილებამ (გამგე ვ. თოფურია), რომელიც ამჟამად ცენტრს წარმოადგენს სალექსიკოლოგიო მუშაობისას საქართველოში, ფართოდ გაშალა მუშაობა. მოკლე ხნის განმავლობაში განყოფილებამ შესძლო სტამბისათვის გადაეცა დიალექტოლოგიურ ლექსიკონთაგან: 1. გურული, 2. ლეჩხუმური და 3. ზემომერული; შედარებით ლექსიკონთაგან: უაღრესად მნიშვნელოვანი ნაშრომი პროფ. არნ. ჩიქობავასი: მეგრულ-ჭანურ-ქართული შედარებითი ლექსიკონი (15 თაბ.), წელსავე ამთავრებს განყოფილება ერთს დიალექტოლოგიურ ლექსიკონს: ქართლურს (შ. ძიძიგურისა და პ. ხუბუტიასი) და კლასიკოსთაგან ილ. ჭავჭავაძის ნაწერთა სრულს ლექსიკონს (15 თაბახის მოცულობით). განყოფილებამ თავი მოუყარა დიდძალ მასალას ქართული განმარტებითი ლექსიკონისა და სენური, მეგრული და ჭანური თარგმნითი ლექსიკონებისათვის, ისე რომ, განყოფილებას ხუთწლიანი გეგმის თანახმად, დასახელებული ლექსიკონები უნდა დამზადდეს და გამოიცეს მესამე ხუთწლედის დამლევისათვის.

ასევე ფართოდ გაიშალა საბჭოთა საქართველოში ლექსიკოლოგიის ერთი, უაღრესად პრაქტიკული და აქტუალური დარგი, — ტერმინოლოგიური მუშაობა. საბჭოთა, ყველა ტიპის და საფეხურის, სკოლამ მოითხოვა სამეცნიერო ტერმინოლოგია ცოდნის ყველა დარგში. ეგვევ ტერმინოლოგია საჭირო შეიქმნა სხვადასხვა დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის. თავისთავად ცხადია, რომ მეფის რუსეთის კოლონიალურ რეჟიმის დროს ამგვარ ტერმინოლოგიაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა.

საბჭოთა წყობილებას არ მიუღია მზა, მეცნიერულად დამუშავებული; ტერმინოლოგია მეცნიერების არც ერთს დარგში. ამ გარემოებამ შექმნა მიუცილებელი საჭიროება ფართო და განსაკუთრებული ღონისძიებებისა ქართული სამეცნიერო, საყოველთაოდ სავალდებულო, ტერმინოლოგიის შემუშავებისათვის. 1926 წელს გამოცემულ კანონის თანახმად დაარსდა „ცენტრალური სამეცნიერო-სატერმინოლოგიო კომიტეტი“, რომელსაც დაევალა—შეემუშავებინა მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგის ტერმინოლოგია, ინტერნაციონალიზმისა და ხალხურობის პრინციპებზე დამყარებით.

ამ საფუძველზე კომიტეტმა დაადგინა და გამოსცა: 1. მათემატიკური ტერმინოლოგია, 2. ფიზიკისა და ელექტროტექნიკის (ტფ. 1928), 3. ლიტერატურისა და ენათმეცნიერების (ტფ. 1928), 4. ნორმალური ანატომიის (ტფ. 1930), 5. საანგარიშო (ტფ. 1928), 6. ბიბლიოაეკისა და პოლიგრაფიული წარმოების (ტფ. 1932), 7. ტექნიკური ტერმინოლოგია (ტფ. 1935), 8. სოც.-ეკონომიური ტერმ. მასალები (ტფ. 1936).

გარდა ამისა გამოცემულია 9. „სააღმშენებლო ლექსიკონი“ (ტფ. 1926). ყველა აღნიშნული წიგნი პროფ. ვ. ბერიძის რედაქციითაა გამოცემული.

1925 წელს გამოცემულია აგრეთვე სამხედრო ტექნიკური ლექსიკონი ლ. ცაგარლისა; რუსულ-ქართული საგზაო ტექნიკური ლექსიკონი და სხვ.

1936 წ. შემოდგომიდან სატერმინოლოგიო საქმე ენიმკ-ის ინსტიტუტშია გადმოსული, სატერმინოლოგიო განყოფილების სახით. ამ ხნის განმავლობაში განყოფილებამ ჩაატარა შემდეგი სამუშაოები: დაამზადა ა) მემცენარეობისა და სოფლის მეურნეობის მავნებლების ტერმინოლოგია (გადაცემულია სტამბაში), ბ) ფინანსებისა და კრედიტის ტერმინოლოგია, გ) სოფლის მექანიზაციის ტერმინოლოგია.

მესამე ხუთწლედის ბოლოსთვის განზრახულია სატერმინოლოგიო მუშაობის დამთავრება მეცნიერების ყველა დარგისათვის.

მნიშვნელოვანი გზა გაიარა საქართველოს ისტორიის მეცნიერებამაც საბჭოთა ხანაში. ისტორიოგრაფიას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს. ძალიან საყურადღებოა, რომ ფეოდალურ საქართველოს კარგად ვიცნობდა შეგნებული ისტორიის, როგორც მკვებრი იდეოლოგიური იარაღის. საზოგადოებრივი ფუნქცია: ძირითადი წყარო ფეოდალურ საქართველოს ისტორიისა, „ქართლის ცხოვრება“, ნახევრად ოფიციალური კრებულია; ფეოდალურ აღზრდის მიუხედავად ელემენტად ისტორიული განათლებაც არის მიჩნეული.

მეფის რუსეთის მიერ დაპყრობილს საქართველოში ისტორიოგრაფიული მუშაობა უფრო ფართოდ გაიშალა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ეს პროცესი დაკავშირებული იყო, პირველ რიგში და განსაკუთრებით, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის ზრდასთან.

იმჟამად ქართ. ისტორიოგრაფია უმთავრესად არქეოლოგიურ ინტერესებითაა გატაცებული. ცდილობენ შეაგროვონ, დაიკვან და გამოაქვეყნონ საქ. ისტორიის რაც შეიძლება მეტი ძეგლები, წყაროების ყველა კატეგორიის წარმომადგენელი. ჩნდება სიძველეთსაცავები და სათანადო საზოგადოებები (საეკლესიო მუზეუმი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მუზეუმი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება თავისი მუზეუმით და სხვ.), საკუთრივ ისტორიული კვლევა-ძიებაც უმთავრესად გარეგან ისტორიის საკითხებითაა დაინტერესებული. ამ პერიოდის მუშაკებმა და დასახელებულმა ორგანიზაციებმა მეტად დიდი და ფასეული სამუშაო შეასრულეს. მაგრამ, რაკუქმუნდა, არც ამ დაწესებულებებს და არც იმდროინდელ მუშაკებს-ენთუშიასტებს არ მოეპოვებოდათ შესაძლებლობა გადაეწყვიტათ საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები. ამისთვის საჭირო იყო სრულიად სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირობები, რომლებიც ჩვენს მეცნიერებას მხოლოდ ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოუტანა.

საქართველოს ისტორიის საუნივერსიტეტო შესწავლა და სწავლება, რომელიც წარსული საუკუნის მიწურულში ჩაისახა, როგორც სომხურ-ქართული ფილოლოგიის საერთო ჰერქვეშ შეკედლებული დარგი (პეტერბურგის, ამჟამად ლენინგრადის, უნივერსიტეტში, ხელმძღვანელი პროფ. ივ. ჯავახიშვილი) ამჟამად წარმოდგენილია ტუ. სახ. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სათანადო კურსებისა და აკადემიური მუშაობის სახით, რომელთა ძირითადი საორგანიზაციო უჯრედია, პირველი და ერთადერთი საუნივერსიტეტო, კათედრა საქართველოს ისტორიისა. 1934 წლიდან ამავე უნივერსიტეტთან არსებობს

საქართველოს ისტორიის კაბინეტი, საქ. მუზეუმთან ეწყობა ხელნაწერთა განყოფილება, რომელიც თავს უყრის ყველა სათანადო ფონდს. ეწყობა საქ. ცენტრ-არქივი თავისი რაიონული ფილიალებით, არსდება პრავალი ახალი მუზეუმი (რევოლუციისა, ხელოვნებისა—„მეტეხი“, ბათუმის, კოლხეთის სამხარეთ-კოდნეო ფოთში, სოხუმის, ზუგდიდის, გორის, თელავს, ახალციხის სამხარეთ-კოდნეო, ტფ. კომუნალური და სხვ.). არსდება მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალი, დიდ დავის დაწესებულება, რომელიც სპეციალურად სწავლობს მუშათა მოძრაობისა და კომუნისტური პარტიის ისტორიას საქართველოში. დასასრულ, ეწყობა (1937) ენიმკი-ს საქართველოს ისტორიის განყოფილება.

შესაბამისად გაიზარდნენ კადრები—ერთეულების ნაცვლად ეხლა კვალი-ფიციური მუშაკების ათეულები იღწვიან ამ ასპარეზზე.

საბოლოოდ გადაწყვეტილია მეცნიერების ძირითადი საკითხი—მეთოდის საკითხი—საქართველოს ისტორიისათვისაც. საქართველოს ისტორიის რევოლუციონურ-მარქსისტულ შესწავლის ფუძემდებელია ამხანაგი სტალინი. ამხანაგმა სტალინმა და მისმა სახელოვანმა თანამებრძოლებმა, კერძოდ—ალ. წულუკიძემ, მკვეთრად დაუპირისპირეს რევოლუციური მარქსიზმის დიალექტიკურ-მატერიალისტური თვალსაზრისი ყველა ჯურის ცრუ მარქსისტულ-მექანისტურს „კონცეპციებს“, რომლებიც საქართველოს ისტორიაში მხოლოდ ბურჟუაზიული დასავლეთის ბრმა ანალოგიებსა და განმეორებებს წვედავდა. მეტიც უნდა ითქვას: ამხანაგმა სტალინმა და ამხანაგ სტალინის თანამებრძოლებმა და მოწაფეებმა განუმარტეს საქართველოს მებრძოლ მუშათა კლასს საშობლო ქვეყნის წარსულის კრიტიკულად შესწავლის მნიშვნელობა და ჩაუნერგეს მას რევოლუციონური მარქსიზმის შეხედულება იმის შესახებ რომ ახალი, ნამდვილად თავისუფალი და ნამდვილად ადამიანური, სამყაროს მშენებელი კლასი იღებს წინა თაობათა ნამეგვიდრევიდან ყველაფერს, რაც პროგრესულია, კულტურულად ღირებული და მალალი. სწორედ ამხანაგმა სტალინმა და მისმა მოწაფეებმა გაანადგურეს ის ყოვლად მავნე, საზოგადოებრივად და მეცნიერულად, არსებითად ლიკვიდატორული, ნიჰილიზმი ამ დარგში, რომელსაც მკვლავებდნენ ჩვენებური ფსევდო-მარქსისტები (ცნობილია მაგ. ქართული მეცნიერების ერთი ლიდერთაგანის „აფორიზმი“: „მეზიზღება ჩემი ქვეყნის წარსული“-ო).

გასაგებია ამიტომ ის წარმატებები და ის გაქანება, რომლებიც, მოიპოვა საბჭოთა საქართველოს მეცნიერებამ საქართველოს ისტორიის სფეროშიაც. საქმარისი იქნება აქ დაეასახელოთ ამხანაგ ლ. ბერიას შრომები, კერძოდ მისი წიგნი: „ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის ამიერ-კავკასიაში“, რომელიც დამყარებულია დიდ ფაქტიურ მასალაზე და რომელსაც ეხლა გულმოდგინედ ითვისებენ მშრომელთა მილიონები არა მარტო მთელი საბჭოთა კავშირის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე, არამედ კავშირის ფარგლებს გარეთაც. ამ შეანაწინავემა ნაშრომმა ობიექტურად, ქვემარტად მეცნიერულად, გააშუქა ამხანაგ სტალინის ფუძემდებელი, ხელმძღვანელი როლი მარქსიზმ-ლენინიზმის დანერგვისა და ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბების საქმეში საქართველო-ამიერ-კავკასიაში და მუშათა კლასის რევოლუციონური მოძრაობის

გაშლაში აქ, და უჩვენა ამ მოძრაობის მსოფლიო მნიშვნელობა. ამავე ნაშრომმა პირველად უპასუხა მეცნიერულად საქართველოს ისტორიის წინაპერიოდის მეტად რთულ საკითხებს, რომელნიც მანამდე შეადგენდნენ დაუსრულებელ და უნაყოფო დავის საგანს და რომელთა გარშემოც სხვადასხვა ჯურის ფალსიფიკატორებს ობსკურანტიზმის, სიყალბისა და სიბრყივის ხშირი ბურუსი ჰქონდათ შექმნილი.

საქართველოს უახლესი ისტორიიდან (XIX-XX სს.) საბჭოთა პერიოდში მრავალი გამოკვლევა გამოქვეყნებული, რომელნიც საყურადღებო მასალას შეიცავენ. ჩვენ აქ მათ ვერ განვიხილავთ, ვინაიდან საკვლევო ცენტრს საქ. ისტორიის ამ პერიოდში მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალი შეადგენს.

საქართველოს ძველი ისტორიიდან აღვნიშნავთ ცალკე დარგების მიხედვით შემდეგს:

სამოქალაქო ისტორიაში პროფ. ი. ჯავახიშვილი განაგრძობდა რევოლუციამდე წამოწყებულ შრომას. 1924 წელს მან გამოაქვეყნა „ქართველ ერის ისტორია“, წ. IV. აქ განხილულია საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება მე-15 ს-ში. მონოგრაფია დიდ ფაქტიურ მასალას ემყარება. მანვე გამოაქვეყნა 1928 წ. ამავე ისტორიის I ტომის დიდად გადაბეჭდვებული და შევსებული გამოცემა.

სპეციალურად სოციალურ ისტორიას ეხება ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფია „სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში“ IX—XIII სს., 1924.

პროფ. გ. ნათაძე უწერს: „საქ. ისტორიის მოკლე სოციოლოგიურ მიმოხილვას“, 2 წიგნად (1924-25 წწ.). ძველს ხანას ეხება ს. კაკაბაძის „ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები“ (საისტორიო მოამბე, I, 1924).

საქართველოს ისტორიის უძველესა და ძველ პერიოდს მოიცავს ს. ჯანაშიას კურსი დაუსწრ. პედ. ინსტიტუტის მსმენელებისათვის (ნაკვ. I: „გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში“, 1932, ნაკვ. II: [კლასების და სახელმწიფოს წარმოშობა ქართვ. ტომებში], 1932, ნაკვ. III: „ადრინდელი ფეოდალიზმი“, 1934,) და მისივე მონოგრაფიები: „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“, 1935, „არაბობა საქართველოში“, 1936 და „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“, 1937.

ამავე დროს მიმდინარეობს მუშაობა საქ. ისტორიის საუნივერსიტეტო კურსის შექმნის გარშემო. იწერება გაშლილი პროგრამა (ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი) და კონსპექტები საქ. ისტორიისა: ს. ჯანაშია, „საქ. ისტორია უძველესი დროიდან მე-13 საუკ-მდის“ (ტფ. უნივ. შრომები, V, 1936 წ. და ნ. ბერძენიშვილი, „საქ. ისტორია მე-13-15 საუკუნეში“ იქვე, VI, 1937).

ქვეყნდება მრავალრიცხოვანი წერილები საქ. სამოქალაქო ისტორიის ცალკეულ საკითხების შესახებ: ივ. ჯავახიშვილი, „ახლად აღმოჩენილი ქართ. ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის“, (ტფ. უნივ. მოამბე, II, 1922-23), ნ. ბერძენიშვილი, „ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა ბრძოლიდან მე-13 საუკუნეში“ (მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის“, I, 1937, ენიმკი-ს გამოც.), თ. ლომაური: „სუმბატ დავითის-ძისა და გიორგი მერჩულის ცნობები მე-9—მე-10 ს.

ქართ. ბეგრატონიანთა შესახებ“ (არლი, 1925); ს. ჯანაშია, „ეგრისის სამეფოს წარმოშობა“ (ტფ. უნივ. შრომები, I, 1936), ს. კაკაბაძის წერილი წერილები კრებულებში: „საისტორიო ძიებანი“ (1924), „საისტორიო მოამბე“ (1924-25) და „საისტორიო კრებული“ (1928-1929), და სხვა.

ცალკე ვითარდება საქ. სამეურნეო ისტორია ც. ამ დარგში უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს პროფ. ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური შრომა: „საქ. ეკონომიური ისტორია“ I, 1930, II, 1934. აქ, უზარმაზარ ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით, ავტორს განხილული აქვს საქართველოს სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების—მემინდვრეობის, მებოსტნეობის, მებაღეობის და მევენახეობის—განვითარების ისტორია, ისტორია სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა საქართველოში და მიმოხილული აქვს თვით საქართველოს ეკონომ. ისტორიის წყაროები ძალიან დეტალურად. ავტორს განზრახული აქვს მოცემული ისტორიის კიდევ ორი ტომის გამოქვეყნება. საქ. ეკონომიური ისტორიის საკითხებს ეხება ნ. ბერძენიშვილის „სამღებროთა შესახებ მე-18 საუკ. საქართველოში“ (მასალება საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. VI, 1937); ს. კაკაბაძის, „საქ. ეკონომ. ვითარების შესახებ მე-18 საუკ.“ მნათობი, 1926.

ქართ. ხელოსნობის ისტორიას შეეხება სპეციალური მონოგრაფია გ. გამყრელიძისა (ხელოსნობა ტფილისში, 1926).

ქართ. სამართლის ისტორიიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს პროფ. ივ. ჯავახიშვილისავე კაპიტალური ნაშრომი „ქართულ სამართლის ისტორია“ ორ წიგნად (1928-1929). აქ მოცემულია ქართულ სამართლის ისტორიის წყაროების ვრცელი მიმოხილვა და სამართლის ინსტიტუტების განვითარების ისტორია საქართველოში სხვა ქვეყნების ანალოგიურ მოვლენების შედარებით განხილვასთან ერთად.

სამართლის (კანონიკურის) ერთ მომენტს შეეხება ნ. ბერძენიშვილის წერილი: „დას. საქ. საეკლესიო წესწყობილება მე-13 — მე-15 საუკ. (მიმოხილველი, 1, 1926) და პროფ. კ. კეკელიძის „კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში“ (ტფ. უნივ. მოამბე, X, 1930).

საბჭოთა საქართველოში ჩაისახა პირველად და განვითარებული სახე მიიღო საქ. ისტორიის დამხმარე დარგებმა. ამ მხრივ ფუძემდებელი ადგილი უჭირავთ პროფ. ივ. ჯავახიშვილის შრომებს: 1. „ქართ. ნუმისმატიკა და მეტროლოგია“, 1925; 2. ქართული პალეოგრაფია, 1926, 3. „ქართული დიპლომატიკა“, 1926. ქართ. ნუმისმატიკაში სპეციალურად მუშაობს თ. ლომაური (იხ. მაგ. თამარის ფულების განძი, ტფ. უნივ. შრომებში, 1, 1936 და სხვა).

იბეჭდება ნარკვევები აგრეთვე კულტურის ისტორიის, საეკლესიო ისტორიის, ისტორიულ ქორონოლოგიურსა, გენეალოგიურსა და ისტორიულ-ფილოლოგიურს თემებზე (კ. კეკელიძე, „ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქორონოლოგიური საკითხები“, მიმოხილველი, 1926; მისივე, „საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ“, ტფ. უნივ. მოამბე, VI, 1926; „მისივე რამდენიმე, ჯერ კიდევ გაურკვეველი, ტერმინი ჩვენი საისტორიო მწერლობისა“, ტფ. უნივ. მოამბე, V, 1925; პ. ინგოროყვა, ძვ. ქართ. წარმართული კალენდარი, საქ.

მუზ. მოამბე, VI, 1931; ს. ჯანაშია, „ტრაქტატი ფეოდალური სწავლა-აღზრდის შესახებ მე-17 ს. საქართველოში“, სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული, I, 1937; ს. ჯანაშია, ინგოროყვას „გენეალოგიისათვის“, ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1934 და სხვ.

გაცხოველებული მუშაობა მიჰდინარეობდა საქ. ისტორიის წერილობითი წყაროების გამოცემისა და შესწავლის სფეროში. უკანესკენლის მხრიბი უნდა აღნიშნულ იქნას პროფ. ივ. ჯავახიშვილის „ქართული საისტორიო მწერლობის“ I ნაწილის მეორე შეესებული გამოცემა (1921) და ცალკე წერილები (ივ. ჯავახიშვილი, I „ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება“ და თამარ მეფის მეორე, აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება“, ტფ. უნივ. მოამბე, III, 1923; კ. კეკელიძე, „ლ. შრომების ლიტერატურული წყაროები“, ტფ. უნივ. მოამბე, III, 1923 და სხვ.). თვით წყაროების პუბლიკაციის მხრივ აღსანიშნავია გამოცემა შემდეგი ისტორიული თხზულებებისა: 1. ლაშა გიორგის დროინდელი მემატინისა (ივ. ჯავახიშვილი, 1927), 2. ფარსადან გდორგიჯანიძისა (ს. კაკაბაძე, „საისტორიო მოამბე“, 1925, II) და სხვ. ქვეყნდება მნიშვნელოვანი დოკუმენტალური მასალაც, როგორც ცალკე საბუთების სახით (ნ. ბერძენიშვილი, გ. გოზალიშვილი, ს. კაკაბაძე, შ. ჩხეტია, ი. ცინცაძე), ისევე კრებულებად: 1. „დას. საქართველოს საეკლესიო საბუთები“, 2 წიგნად, ს. კაკაბაძე, 1921; 2. „საქ. სიძველენი“, III ტ., დამატება, ს. ჯანაშიას რედაქციით; 3. ი. ლორთქიფანიძე, „ქვემო ქართლი“, 1935 (გამოცემა შეიცავს როგორც დოკუმენტურ მასალას, ისე მის სტატისტიკურ გადამუშავებასაც). 4. 1832 წ. შეთქმულების მასალები, გ. გოზალიშვილი, 1936, 5. „მასალები სამთო მრეწველობის ისტორიისათვის საქართველოში“, ტ. I, 1936, შ. ჩხეტია და პ. აკრიტასი, რედ. გ. გრიგორიანი... სარქივო საქმის დაყენებას ძველ საქართველოში ეხება შ. ჩხეტიას წიგნი (უკრაინულ ენაზე), „არქივები საქართველოში“, ხარკოვი, 1932. ქვეყნდება აგრეთვე ისტორიული მნიშვნელობის მქონე არქეოგრაფიული მასალაც (ი. საბანიძისა და ბ. ზარზმელის თხზულებანი, კ. კეკელიძის გამოც., 1935; ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტიპები, ს. კაკაბაძის გამოც., 1928 და სხვ.).

საბჭოთა პერიოდში გამოქვეყნდა მეტად საყურადღებო ქართ. ეპიგრაფიკული მასალაც (ვ. თოფურია, ლ. მელიქსეთ-ბეგი, აკ. შანიძე, ივ. ჯავახიშვილი), ზოგჯერ თავმოყრილი ცალკე პროვინციების მიხედვით.

სპეციალურად უნდა აღნიშნულ იქნას რომ საბჭოთა პერიოდში მკვიდრ ნიადაგზე დგება რუსეთის არქივებში დაცული რუსული და ქაოთული დოკუმენტების გამოცემა საქართველოს შესახებ. ამ საქმეში არა ერთი მუშაკია ჩაბმული (პროფ. მ. პოლიევქტოვი, ი. ცინცაძე, ნ. ბერძენიშვილი, ი. ლორთქიფანიძე). უკვე გამოცემულია შემდეგი კრებულები: 1. ტოლოჩანოვისა და იველივის ელჩობა იმერეთში 1650—52 წწ. (1926), 2. მიშეცკისა და კლუჩარევის ელჩობა კახეთში 1640—1643 წწ. (1928) და 3. Материалы по истории грузинско-русских взаимоотношений (1615—1640 гг.) სამივე მ. პოლიევქტოვის რედაქციით. გამოსაცემად მზადდება ასუთივე რამდენიმე კრებული.

ისტორიის უმნიშვნელოვანეს დამხმარე დარგთაგანმა, არქეოლოგიამ აგრეთვე დიდ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა საქართველოში. რევოლუციამდე ჩვენში თითქმის არ ჰქონია ადგილი მეცნიერულს, დაკვირვებას და წინასწარ მომზადებულს არქეოლოგიურს კვლევა-ძიებას. სათანადო აღმოჩენებს, უმეტეს წილად. შემახვე ვითი ხაღიათი შქონდა. მოპოვებული ნივთები ნ.წილობრივ იკარგებოდა, ნაწილობრივ საზღვარგარეთ მიდიოდა. ზედმეტი იყო ფქრი სიძველეთა დაცვაზე სახელმწიფოს მხრივ. ესლა მდგომარეობა შეცვლილია ძირიან-ფესვიანად. არქეოლოგიური ძიებისა და გათხრების ნება მხოლოდ სპეციალურად მომზადებულ პირებს ეძლევა. არქეოლოგიური სიძველენი და განძები საბჭოთა ხელისუფლების მიერ ხალხის კუთვნილებად არის გამოცხადებული, მათ იცავენ სპეციალური ორგანოები და სათანადო მონაპოვარის შენახვისათვის შესაფერის ადგილად მხოლოდ სპეციალური მუზეუმებია მიჩნეული. გაჩნდნენ უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი-არქეოლოგები, სათანადო ასპირანტურა (ენიშკი, უნივერსიტეტი) ამზადებს ახალ კადრებს. საქართველოს მუზეუმში მძლავრი არქეოლოგიური განყოფილება მოწყობილი. სპეციალური განყოფილები სახითაა წარმოდგენილი არქეოლოგია აგრეთვე ენიშკი-ში.

სათანადო შედეგებიც მეტად ძვალსაჩინოა. პალეოლითის შესახებ საქართველოში, მაგ., ჩვენს მხოლოდ საბჭოთა პერიოდში შევსებული მიგველო მეცნიერული წარმოდგენა. პროფ. ვ. ნიორაძის გამოკვლევებმა (1926—1930 წწ. გათხრები დევის-ხვრელში, ჩხერიმელას ხეობაში; 1935—1936 წწ. საკაუაში. ნოწახეთის ბილაძობებში) ქართული პალეოლითის შესახებ ურადლება მიიქციეს როგორც საბჭოთა კავშირში, ისე კავშირის გარეთაც (იხ. „პალეოლითის აღმინი დევის ხვრელში“, საქ. მუზეუმის შრომები, VI)

პალეოლითი დადგენილია აუხაზეთშიაც, აკად. ძეშჩანინოვის ექსპედიციაში პროფ. ზამიატინის მიერ (1934—1936 წწ. გათხრები), არმაზში (ენიშკი-ის ექსპედიცია 1937 წ.).

ნეოლითური კულტურა დადასტურებულია ქუთაისის მახლობლად, თეთრამიწის მიდამოებში, დიდუბეში, წილკაში და სხვ. (იხ. „Заря Востока“ № 840, 1925). ეხეოლითის ნაშთები დადგენილია დიდუბეში, რეკაში (ნაოხვამუ), ანაკლიაში, ოჩამჩირაში და სხვ..

ალბათ დაახლოებით ამ ისტორიულ ხანას ეკუთვნის მეტად საყურადღებო „ციკლოპური“ კულტურა, მრავალრიცხოვანი ძეგლების სახით დადგენილი და აღწერილი საბჭ. საქართველოში [იხ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ახალი პროცლება საქართველოს ისტორიაში (საქართველოში ახლად აღმოჩენილი „ციკლოპური“ შენობების გამო), მნათობი, 1925 წ., № 2].

უაღრესად საყურადღებო შედეგებია მიღებული საბჭოთა პერიოდში ბრინჯაოსა და ადრინდელი რკინის ეპოქების კვლევის სფეროში. 1927 წ. გათხრამ ზემო-ავეჯალაში (პროფ. ვ. ნიორაძე, „ზემო-ავეჯალის სამარე“, საქ. მუზეუმის მონაბე, VI, 1931 წ.) მოგვცა მეომარი ქალის უძველესი სამარხი, მიახლოებით მე-13 ს-ისა, ძვ. წ., მეტად საყურადღებო იხვეტაოთ (ბოლოკვეთილი მახვილი, დამახასიათებელი აღმ. საქართველოსთვის და სხვ.). დიდი მნიშვნელობის ბრინჯაოს განძელობა აღმოჩენილია 1931 წ. სოფ. სასარეთში. საყურადღებო ნაშ-

თია ნ. პოვნი სოფ. ფლაისმანში; აქაურ ინვენტარში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „სარკმლიანი ურნა“ (იხ. ს. მაკალათია, „ფლაისმანის უძველესი ნეკროპოლი“, საქართველოს მუზეუმის მოამბე, V, 1930). „სარკმლიანი ურნა“ ნაპოვნია ბაშკიჩეთის რაიონშიაც. საინტერესოა რომ ამგვარი ურნები ჩვენ გვხვდება, ამიერ-კავკასიის გარდა, მხოლოდ მცირე-აზიასა და ევროპის განსაზღვრულ მხარეში, და, შესაძლებელია, იმ ფუტების რიცხვს ეკუთვნოდეს, რომელნიც ამ ქვეყნების უძველესი მოსახლეობის ერთიანობას ამტკიცებენ. ამავე დროის ნივთები ბევრია ნ. პოვნი იკოთში, წინანდალში, კადიჯვარში, ბეჟუთა-უბანში, ნარცკავაში, საჩხერის მიდამოებში, საყულიაში, ჩხარში, საქარაში, პატარა ფლოში, ბაშკიჩეთში, წიწამურში, ველსტახეში, დაბლა გომში და სხვ. წიწამურში გ. ჩიტაიასა და ს. იორდანიშვილის მიერ 1924 წ. გათხრილ სამარეში აღამიანის ჩონჩხთან ერთად ცხენისაც აღმოჩნდა.

საქართველოს ბრინჯაოს კულტურის შესწავლის საქმეში ყველაზე დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება რომ ევრედწოდებული „ყობანის კულტურა“, საესებით ორიგინალური და მაღალი განვითარების საფეხურზე ასული ცივილიზაცია, რომლის ძეგლები პირველად ჩრდილო-ოსეთში იყო აღმოჩენილი, შესაძლოა ამჟამად დას. საქართველოს ადგილობრივ კულტურად იყოს მიჩნეული. შრავალი მეცნიერი (მაგ., აკად. მეშჩანინოვი) ამ კულტურას ამჟამად უკვე „კოლხურ კულტურას“ ეძახის და მართლაც, საბჭოთა პერიოდში მისი ძეგლები ნაპოვნი იქნა დას. საქართველოს ყველა კუთხეში: აჭარა-გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში, რაჭაში, აფხაზეთში. ქუთაისის, ბათუმის, ზუგდიდისა და სოხუმის მუზეუმებში ეხლა დაკულია ამ კულტურის განათხარი ნივთების უძვირფასესი კოლექციები. საინტერესოა რომ ამ უაღრესად საყურადღებო კულტურული ფორმებიდან ზოგიერთს თავი დაუცავს დას. საქართველოს ეთნოგრაფიაში დღემდე (შეადრ. მაგ. „კოლხური“ და დღევანდელი წალი). ამავე კულტურის ნაშთები დღეს აღმოჩენილია აგრეთვე ართვინსა და, რაც კიდევ უფრო საინტერესოა, ორდუში. აქაც, მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ საქართველოს ისტორიის მჭიდრო კავშირს წინა-აზიასა და, კერძოდ მცირე აზიასთან. თვით კულტურის შესახებ შეგვიძლია უკვე ვთქვათ რომ თუ ის, პოლიტიკური განსაზღვრით, კოლხეთის კულტურაა, ეთნიკურად ეს „თუბალური“ კულტურაა, ე. ი. კულტურა იმ თუბალ-ტიბარენებისა, რომელთაც მთელი ძველი სამყარო საუკეთესო მეტალურგებად აღიქვამდა და რომელთაც, ამის გამო სემიტებისაგან „ქაენის“ (ე. ი. „მქედელის“) ეპითეტიც კი მიიღეს.

რკინის დროის დამახასიათებელი ნივთებიც ბლომად არის აღმოჩენილი საბჭოთა საქართველოში. მაგ., აღსანიშნავია კარსნისხევის სისტემატურად გათხრები, 1925—6 წწ., და მათი შედეგები (გ. ნიორაძე, კარსნისხევის სასაფლაო. ტფ., 1926), აქ, უეჭველია, ჩვენ საქმე გვაქვს საქართველოს უძველეს პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრებს—არმაზის, საქალაქო სასაფლაოს ერთ სექ-

<sup>1</sup> ჩვენ ვლაპარაკობთ სწორედ ბრინჯაოს კულტურის და არა ეპოქის შესახებ. უკანასკნელის თვალსაზრისით, ეს არის არა მარტო ბრინჯაოს, არამედ ადრინდელი რკინის ხანაც, რადგანაც ბრინჯაოს იარაღებთან ერთად თითქმის ყოველთვის გვხვდება რკინისაც, როგორც ამას სპეციალისტები აღნიშნავენ (პროფ. გ. ნიორაძე).

ტორთან, რაც მეტად ზრდის ინტერესს ძველისადმი და მოითხოვს სამუშაოების განახლებას (განზარახული აქვს ენიმკი-ს).

შემდეგ საყურადღებოა საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გათხრები მცხეთის რაიონში, სადაც დადასტურდა მეორედ დამარხვის წესი (იხ. G. Nioradze, «Die Nachbestattung im alten Georgien». Archiv für Anthropologie. N. F. Braunschweig, 1930, Bd XXII, Heft 1-2, გვ. 1 შმდ.). ქვისა თუ აგურის ყუთ-სამარეები დადასტურებულია რეყეში, ზემოაგვჭალაში, მცხეთაში (ს. მაკალათია, ,,1920—1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის“, საქ. მუზეუმის მოამბე, IV), ტაბახმელაში, წყნეთში, ელპში, კიკეთში და სხვ. (E. Пчелина, „Археологические разведки в районе Триалетского хребта“, საქ. მუზეუმის მოამბე, V). რკინის ხანის მეტად საყურადღებო ნაშთი ნაპოვნია ინგურის ნაპირზე, სოფ. თაველონთან, 1930 წ. აქ, სხვათა შორის, აღმოჩენილია მძიმე სამხედრო საქურველი, კერძოდ ჯაჭვის პერანგი (A. Амиранашвили, Новая находка в низовьях р. Ингура, ტფ 1935).

ისტორიულ ძეგლების არქეოლოგიურ შესწავლის დარგში უფრო ადრინდელი სამუშაოებიდან აღვნიშნავთ 1930—31 წწ. ექსპედიციას ნოქალაქეში (საქ. ვან. სახ. კომისარიატი), რომელმაც გამოარკვია ძველი ციხის კედლის მიმართულება და საყურადღებო ინვენტარიც მოიპოვა.

ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტმა არქეოლოგიურ სამუშაოებს იმ თავითვე დიდი მნიშვნელობა მიანიჭა და მათი გვეგმიანი, სისტემატური წარმართვა აუცილებელ პირობად დასახა. უკვე თავის 1936 წ. გეგმაში ინსტიტუტი ითვალისწინებდა ისეთ ობიექტების შესწავლას, როგორცაა ნაქალაქარი დმანისი, ნასასახლარი გეგუთი, ქართ. კულტურის უძველესი ცენტრ-თავანი ბოლნისი, დაბლა-გომი და სხვ. პირველი ორი ძეგლი, მათი უშუალო კავშირის გამო რუსთაველის ეპოქასთან, შემდეგში რუსთაველის მუზეუმს გადაეცა. აქ წარმოებულმა (1936—37) გათხრებმა (არქეოლოგიურ სამუშაოებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა ლ. მუსხელიშვილი) წარმოაჩინეს ქართ. ფეოდალიზმის პერიოდის ბრწყინვალე მატერიალური კულტურა.

ენიმიკი-ს ორგზისმა ექსპედიციამ დაბლა-გომში (1936) მეტად საყურადღებო შედეგები მოიტანა; მათ შორის აღვნიშნავთ: მაღალ ღირსების კერამიკას, უძველესი ქართ. ფულის, კოლხური თეთრის (V-II სს. ძვ. წ.) მიცვალებულთან დატანების რამდენიმე შემთხვევას, დამწვრობითის ნიშნებს ჭურჭელზე, რომელნიც თავიანთი მოხაზულობით, უახლოვდებიან ქართულ ასოების უძველეს სახეებს და საყურადღებო მასალას იძლევიან ქართ. ანბანის წარმოშობის საკითხისათვის. ბოლნისში ინსტიტუტი უმთავრესად უძველეს ქართულ წარწერებს ეძებდა (უკვე ცნობილი ეპიგრაფიკული მასალის მიხედვით). სათანადო ექსპედიციამ 1936—37 წწ., პროფ. ივ. ჯავახიშვილის საერთო ხელმძღვანელობით (გათხრები ჩაატარა ლ. მუსხელიშვილმა) საეგვით გაამართლა იმედები — მრავალ სხვა შედეგებთან (ტაძრის პირვანდელი გეგმის აღდგენა, ახალი მდიდარი ეპიგრაფიკული მასალა და სხვ.) ერთად აღმოჩენილია უძველესი (დღემდე ცნობილთა შორის) თარიღიანი ქართ. წარწერა (ამოჭრილი პეროზ სასანიდის ზეო-

ბაში, 459—483 წწ.). საქ. არქეოლოგიური ინსტიტუტის ენიმიკი-სათვის გადმოცემისა და აქ არქეოლოგიური განყოფილების ჩამოყალიბების შემდეგ (1936 წ. შემოდგომა) ენიმიკის არქეოლოგიური სამუშაოები კიდევ უფრო გაიშალა. 1937 წ. განყოფილებამ (გამგე პროფ. გ. ნიორაძე), სხვა სამუშაოებთან ერთად, დაზვერვაც დაისახა მიზნად. შედეგები მეტად საყურადღებოა. ალაზნის პირზე, სოფ. არხილოსთან, ჩატარებულმა გათხრებმა (1937, აპრილი, ხელმძღვანელი გ. ნიორაძე, თანამშრომელი გ. გობეჯიშვილი) სხვათა შორის მოგვცეს — პირველად საქართველოში — მეტად საყურადღებო ჭურჭელი: 1. გრძელნიკარტიანი დოქები, ნიკარტიანი დატანებული დაფანჯრული საწურით; ამგვარი დოქების წარმოშობის ცენტრად ხეთების სამეფოს ტერიტორიაა მიჩნეული და 2. სამეფო ჭურჭელი, რომელიც ცნობილია აგრეთვე ხეთურ კარხემიში და ტროიაში (შლიმანის გათხრებით). ბაშიჩეთის ექსპედიციამ (იმავე შემადგენლობით, 1937, აგვისტო), სოფ. საფარლოს მიხლობლად, გასთხარა სასაფლაო, რომლის მეტად საინტერესო ინვენტარი, გ. ნიორაძის დასკვნით, ჭაღდურ კულტურას განეკუთვნება. ყველაზე ხანგრძლივი არქეოლოგიური სამუშაოები ინსტიტუტმა აწარმოა საქართველოს უძველეს დედა-ქალაქ არმაზში (1937, ივლისი-სექტემბერი; გათხრითი სამუშაოების უფროსი ალ. კალანდაძე, თანამშრომლები ნ. ხოშტარია და ვ. აუშალი). აქ აღმოჩენილია უძველესი ქართ. ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, როგორც ჩანს, აბანო, ალბათ ძველი ქართლის (იბერიის) იმ საზოგადოებრივ შენობათა კატეგორიიდან, რომელთა შესახებაც სტრაბონი ამბობს რომ ისინი აშენებულია ხუროთმოძღვრების რიგზეო. აქვე მოპოვებულია უმდიდრესი ინვენტარი, ნუმისმატიკური მასალა და სხვა. ძეგლი მრავალწლიან მუშაობას მოითხოვს თავის სრული გამოვლინებისათვის. — საყურადღებო საიარხები (თიხის კუბოებში) გასთხარა გ. ნიორაძემ აგრეთვე დუშეთსა (1936) და დიდ-ლილოში (1937), ბრინჯაოს ბალთები აღმოაჩინა ღებში (1936) გ. გობეჯიშვილმა. დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ სამუშაოები წალკაზე, ხელმძღვანელი ბ. კუფტინი, (1936—7). აქ გათხრილია კურღანები და ჩვეულებრივი სახის სამარხები, რამაც მოგვცა შესანიშნავი ინვენტარი ოქროსი, ვერცხლის, ბრინჯაოსი და სხვ., კერძოდ შესანიშნავი ვერცხლის თასი ხეთური ხელოვნებისა.

დიდი ოქტომბრის XX წლისთვის საქართველოს ეთნოგრაფიაც მნიშვნელოვანი მიღწევებით ხვდება. საბჭოთა პერიოდის მანძილზე საქართველოში ეთნოგრაფიის დარგში მუშაობა გეგმიანი და სისტემატური ხასიათისა იყო. გეგმა ითვალისწინებდა მუშაობას შემდეგ უბნებზე: 1. სამეცნიერო კვლევისათვის საკოლექციო ფონდების ცენტრალური ბაზის შექმნა, 2. ახალი კოლექციების შეგროვება, 3. საგამოყენებო მუშაობის გაშლა, 4. სამეცნიერო კვლევითი მუშაობა და 5. კადრების მომზადება.

1. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტისათვის საქართველოში ეთნოგრაფიული კოლექციები გაბნეული იყო ტფილისის სხვადასხვა მუზეუმებში. საჭირო იყო მათი ერთად თავმოყრა იმისათვის, რომ გარკვეული ყოფილიყო მათი სამეცნიერო ღირებულება და შემდგარიყო ცალკეულად შეგროვილი ნივთებიდან საკოლექციო კომპლექსები.


მთავრობის სათანადო დეკრეტით 1923 წლიდან ეს მუშაობა ჩატარდა ისე, რომ ტფილისის მუზეუმებში დაცული ყველა ეთნოგრაფიული ფონდი გადაეცა საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებას. ამით კონსოლიდაცია ექმნა ეთნოგრაფიულ კოლექციებს საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმიდან, ხელოვნების მუზეუმიდან და სხვ. ამათ შეემატა ცალკე პირებისაგან შექმნილი ეთნოგრაფიული კოლექციები, მაგ. იარაღების კოლექცია და სხვ.

2. ამ მუშაობას მოჰყვა სისტემატური მუშაობა ახალი კოლექციების შეგროვების ხაზით. საჭირო იყო ეს მუშაობა გაშლილიყო სათანადო გზებითა და მეთოდით. ცხადია, ეთნოგრაფიული კოლექციების შეგროვების ძველი მეთოდი, რარიტეტების შეგროვება, თუ ამას შეიძლება მეთოდი ეწოდოს, — საბჭოთა ეთნოგრაფიისათვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო. გამოჩნდა გენერალური გეგმა საველე მუშაობისათვის. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით საქართველო დანაწილდა სამ ზოლად: ბარისა, ზეგანისა და წითისად. ნოეწყო მრავალი ექსპედიცია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (იხ. კარტოგრაფია). ამ მუშაობის შედეგად შეგროვდა ათასობით ახალი კოლექცია. ექსპედიციები მუშაობდნენ ინტენსიური მეთოდით, რომელიც მოითხოვს კოლექციების შეგროვებას კომპლექსურად და თემატიკურად. გროვდებოდა კოლექციები უბნობრივად, სოფლობრივად და ხეობების მიხედვით. ამის შემწეობით არა ერთი კოლექცია გადაჩა სამუდამო დაღუპვას. ჩამოტანილი იყო მუზეუმში არა ერთი და ორი უნიკალური კოლექცია, მაგ.: ქვემყურნა სვანეთიდან (ს. მაკალათიას მიერ), ლამარია, ზენახარი, უქუში, მეზირის კომპლექსი სვანეთიდან (ვ. ბარდაველიძის მიერ), რაქული სახენელი (გ. ჩიტაიას მიერ), ხატისყმის ჯაჭვები კახეთიდან (ს. იორდანიშვილის მიერ) და სხვ.

ამჟამად განყოფილებაში 25.000 მეტი კოლექციაა, რომლებიც სამეცნიერო კვლევის შესანიშნავი ობიექტებია. ამგვარად საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების სახით შექმნილია უდიდესი სამეცნიერო საგანძური, მტკიცე ბაზა სამეცნიერო კვლევისათვის, რაც მიუცილებელი წინაპირობაა სამეცნიერო კვლევისათვის ამ დარგში. შესრულებული ექსპედიციები და მარშრუტები იხ. თანდართულ კარტოგრაფიაზე.

უნდა აღინიშნოს იგივე, რომ ცენტრალური ეთნოგრაფიული საგანძურის გარეშე, ამავე პერიოდში, რაიონებში შეიქმნა მხარეთმცოდნეობითი მუზეუმები, რომლებიც ეთნოგრაფიულ კოლექციებსაც აგროვებენ. ამგვარი შემგროვებელი პუნქტი ამჟამად უკვე 12-ია.

3. შეგროვებითი მუშაობის პარალელურად წარმოებდა აგრეთვე საგამოფენო მუშაობა. ფართო მშრომელთა მასებისათვის კულტურის ისტორიის კონკრეტული მასალების მიწოდების მიზნით ნოეწყო რამდენიმე ეთნოგრაფიული გამოფენა, მათ შორის ზეგნსურეთისა და სვანეთის, სადაც ამ კუთხეების მატერიალური კულტურა, სოციალური ყოფა და იდეოლოგიური გადმონაშთები სისრულით იყო წარმოდგენილი: კოლექციების სიუხვესა და კომპლექსური თემების სიმრავლეს თან ახლდა მაღალ დონეზე აყვანილი საგამოფენო გაფორმება.



ეთნოგრაფიული მქსელციებისა და მარშუტების კარტოგრაფია

4. საექსპედიციო და საგამოფენო მუშაობას დიდი დრო და შრომა უნდებოდა. ასევე დიდ შრომას და დროს მოითხოვდა სამეცნიერო კვლევითი მუშაობა და კადრების მომზადება. საჭირო იყო ახალ საფუძველზე აგებულიყო როგორც ერთი, ისე მეორე საქმე. ქართველი ტომების უძველესი კულტურის პრობლემებიდან მუშავდებოდა: ა) მატერიალური კულტურის ხაზით: 1. შრომის იარაღების საკითხები (გ. ჩიტაია, „ეთნოგრაფიული მოგზაურობა, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. IV; სტ. მენტეშაშვილი, „სვანური კვერი“, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. VIII). 2. სახლისა და სამეურნეო ნაგებობათა საკითხები (გ. ჩუბინაშვილი, ქართლის დარბაზი, ტფ. 1927, გ. ჩიტაია, „გლეხის სახლი ქვაბლიანის ხეობაში“, მიმომხილველი. ტ. I), 3. ტანსაცმელის, 4. ხალხური ორნამენტის საკითხები (ენიმკის ეთნოგრაფიულმა განყოფილებამ დასაბეჭდად მოამზადა „ხევსურული ორნამენტი“). ბ) ხალხური რელიგიების გარდამონაშთების ხაზით: 1. ს. მაკალათია, ფალოსის კულტი საქართველოში, მიმომხილველი, ტ 1. 2. გ. ნიორაძე. *Vergegennis und Totenkultus bei den Chewsuren*, 3. ვ. ბარდაველიძე, *Опыт социологического изучения хевсурских верований*. 1932 г., 4. ვ. ბარდაველიძე, ხის კულტისათვის საქართველოში (საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. III). გ) სოციალური ყოფის ხაზით: სვანური ოჯახი (რ. ხარაძე) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში საზღვარგარეთის ბურჟუაზიული მეცნიერება საქართველოს ეთნოგრაფიის დარგში უკეთეს შემთხვევაში ადგილს სტკეპნიდა.

ამავე პერიოდში ჩვენში დიდად გაიზარდა სამხარეთმცოდნეო ლიტერატურა, რომელშიც საკმარისად მოიპოვება ეთნოგრაფიული მასალა (ს. მაკალათია, ჯ. ნოღაიძე, გ. თედორაძე, დ. გულია და სხვ.).

ცალკე კრებულად გამოიცა ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიული წერილები (მეც. აკად. საქ. ფილიალის გამომცემლობაში, გ. ქიქოძის რედაქციითა და წინასიტყვაობით).

5. განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული ჰქონდა კადრების მომზადებას. ტფ. სახ. უნივერსიტეტში იკითხებოდა სათანადო კურსები (ზოგადი ეთნოგრაფია, კავკასიის და საქართველოს ეთნოგრაფია). ამის შედეგად მომზადდა რამდენიმე პირი, რომლებიც წარმატებით აგროვებენ ეთნოგრაფიულ მასალებს. ასპირანტების მომზადება წარმოებდა როგორც საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში, ისე ნ. მარის სახელობის ინსტიტუტში. ამჟამად ინსტიტუტს ყავს ხუთი ასპირანტი ეთნოგრაფიის დარგში.

ამავე ინსტიტუტში მას შემდეგ, რაც ის წამყვან დაწესებულებად გადაიქცა ქართველი ტომების ძველი კულტურის პრობლემების კვლევის დარგში—ჩამოყალიბდა ეთნოგრაფიული ჯგუფი, რომელიც აწარმოებს გაღრმავებულ მუშაობას თავის სპეციალობაში.

ზემოთმოყვანილი სქემატური მიმოხილვის ზოგადი დასკვნისათვის გვსურს აქ გამოცალკევებით გავითვალისწინოთ ზოგიერთი მეცნიერული აღმოჩენა, რომელთა განხორციელებაც სწორედ საბჭოთა პერიოდში შეიქმნა შესაძლებელი და რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მეცნიერული ცოდნის გაფართოებისა და სათანადო დარგების შემდგომი განვითარებისათვის. ასეთებია: უძვე-

ლესი (V—VII სს.) ქართული ხელნაწერების აღმოჩენა პალიმფესტებში (ივ. ჯავახიშვილი), ამ პალიმფესტებისა დაუძე ელესი წარწერების შედარებითი შესწავლის ნიადაგზე ქართული ანბანის უძველესი სახის (კერძოდ თავშეკრული ასოების) აღდგენა (ივ. ჯავახიშვილი), ქართული სალიტერატურო ენის უძველესი საფეხურის, „ხანმეტობისა“ და „ჰამეტობისა“ სახით, დადგენა (აკ. შანიძე), უძველესი თარიღიანი ქართული წარწერის აღმოჩენა ბოლნისში (ლ. მუსხელიშვილი), მანამდე უცნობი ქართული ისტორიული თხზულებების (ბასილი ეზ-სმოდღერის „თამარ მეფის ისტორია“ და ვახტანგ VI სწავლულ კაცთა კომისიის „ქართლის ცხოვრების გაგრძელება“) აღმოჩენა (ივ. ჯავახიშვილი), ალბანური ანბანის აღმოჩენა (აკ. შანიძე, ილ. აბულაძე), საქართველოს უძველესი დედაქალაქის — არმაზის — ნაწილის (საქალაქო აბანო?) აღმოჩენა (ენიმკი-ს ექსპედიცია), ხეთური ნამარხევი კულტურის აღმოჩენა ალაზნის ველზე (გ. ნიორაძე), შესანიშნავი ნამარხევი ხეთური კულტურის აღმოჩენა წალკაზე (ბ. კუფტინი) და სხვ.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმატებანი საბჭოთა საქართველოში, მკრთალად მოხაზული ჩვენ მიერ, და მათი უდიდესი მონაპოვარი — შესაძლებლობა შემდგომი შეუჩერებელი, სულ უფრო და უფრო სწრაფი, განვითარებისა, ნაყოფია იმ პირობებისა, რომელიც ქართველი ხალხის ცხოვრებასა და შემოქმედებას დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ შეუქმნა. თავისი პირველი წლიდანვე ოქტომბერი გავლენას ახდენს საქართველოს კულტურულ ცხოვრებაზე. პირველი და ერთად ერთი, მაშინ — კერძოდ, ქართული უნივერსიტეტის გახსნა (1918) შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ რომ პროლეტარულმა დიქტატურამ, ლენინისა და სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, მოსპო და გაანადგურა ეროვნული, პოლიტიკური და კულტურული, ჩაგვრის ყოველგვარი ფორმა რუსეთში. მაგრამ მენშევიკურ საქართველოში, რომელიც გალათაკებული და დაუძღურებელი იყო მენშევიკების პოლიტიკის წყალობით, სადაც მთელი ენერგია მეზობელ ხალხებისა და შინაგანი რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლას ხმარდებოდა, სადაც ყველა ჯურის იმპერიალისტური გარეწრები დათარეშობდნენ, ზედმეტი იყო კულტურულ მუშაობის გაშლაზე ფიქრი. ნამდვილი აღმშენებლობითი კულტურული მუშაობა და კულტურული რევოლუციისათვის მზადება იწყება 1921 წლიდან, როცა ქართველმა ხალხმა ნებაყოფლობით თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა საბჭოთა კავშირის ერთადერთ ოჯახს, როცა მან თავისი განვითარების გზად აირჩია გზა, განათებული ლენინისა და სტალინის გენიის მიერ, როცა დაიბადა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ხალხის უდიდესი შვილის და ხალხის მამის, საბჭოთა კავშირის ერთა ბელადის, ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით ქართველი ხალხი აშენებს თავის ბედნიერ ცხოვრებას, ზგროვებს ნივთიერსა და სულიერ დოვლათს 16 წლის განმავლობაში უფრო ქარბად, ვიდრე ეს მას შეეძლო, სხვა პირობებში, საუკუნის განმავლობაში.

ნამდვილი გარდატეხა, ბრწყინვალე აღმავლობის მიმართულებით, ქართულს კულტურულს, კერძოდ — მეცნიერულ ცხოვრებაში, ხდება 1931 წ., როცა საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელობის სათავეში დგება ურყევი სტალინელი, ბრძოლებში გამოწოთობილი, ამხანაგი ლავრენტი ბერია,

რომელმაც ვაჟკაცური ხელით დაამკვიდრა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში მუშაობის სტალინური სტილი. ამხანაგ ლ. ბერიას ხელმძღვანელობით განხორციელებულია ამხანაგ სტალინის ბრძნული მითითებანი კულტურული (კერძოდ მეცნიერების) პოლიტიკის დარგში, აღდგენილია, განახლებულ საფუძველზე, ტფ. სახ. უნივერსიტეტი, დაარსებულია მრავალი ახალი კულტურული დაწესებულება, კერძოდ—ენის, ისტორიისა და მატერიალურ კულტურის ინსტიტუტი აკად. მარის სახელობისა, წაყვანი ორგანიზაცია ენათმეცნიერების, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის დარგში. ეს დაწესებულებანი საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შეუწელებელი ყურადღებისა და მზრუნველობის ქვეშ ვითარდებიან. აქ მომუშავე მეცნიერებს შექმნილი აქვთ ყველა პირობა ინტენსიური, ხალისიანი, მეცნიერული შემოქმედებასათვის, საკუთარი გამოგონების თანახმად არჩეულ სფეროში. და საბჭოთა მეცნიერების მუშაკთა უდიდესი სურვილია იყვნენ თავიანთი დიადი, სტალინური კონსტიტუციის მზით განათებული, სამშობლოს ღირსეული შვილები.

---

**ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა  
და კულტურის ისტორიის სფეროში**

ცნობილია, რომ მსოფლიო მეცნიერება უაღრესად დაინტერესებულია ქართველური და კავკასიური ენების ბუნებითა და მათი სხვა ენებთან, მათ შორის ხალდურ, ხეთურ და სუმერულთანაც, ნათესაობის საკითხებით, მათი თავდაპირველი სამშობლოსა და მერმინდელი გადმოსახლების ისტორიით ისევე, როგორც საკვები მცენარეებისა და შინაური ცხოველების სადაურობისა და შერჩევის, დასასრულ ლითონის კულტურის ისტორიის ამოცანებითაც. ამაზე უკვე მრავალი გამოკვლევაა გამოქვეყნებული, უმთავრესად უცხოეთში, საკვები მცენარეების შესახებ-კი, აკად. ვავილოვის თაოსნობით, საბჭოთა კავშირში და თვით საქართველოშიაც. სრულებით ბუნებრივია, რომ ზემოაღნიშნული საკითხებით მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის დაწესებულებანი და ცალკეული ქართველი მეცნიერებიც იყვნენ დაინტერესდნენ. მეტის თქმაც შეიძლება: ამ პრობლემების მეცნიერული შესწავლა ჩვენს უპირველეს მოვალეობასაც კი უნდა შეადგენდეს, რათგან ეს ენათმეცნიერული საკითხები უშუალოდ ჩვენვე გვება, ხოლო კულტურული ისტორიის ზემოაღნიშნული ამოცანების გადასაჭრელადაც პირველ-ხარისხოვანი მასალები ჩვენში უხვად მოიპოვება და შედარებით უფრო ადვილი მისაწვდომიც არის. რამდენადაც ყოველი ქვეყანა ვალდებულია მსოფლიო მეცნიერების საგანძურში თავისი წვლილი შეიტანოს, იმდენად ქართული მეცნიერებაც, საქართველოს ფილიალიცა და ცალკეული მეცნიერებიც მოვალენი არიან ამ პრობლემების შესწავლას უდიდესი ყურადღება მიაქციონ მით უმეტეს, რომ ეს ამასთანავე ჩვენი ხალხის წარსული კულტურის ახალ-ახალს ცოდნას შეგვძენს და ძველს გაგვიღრმავებს.

სამწუხაროდ, ასეთი პრობლემების შესასწავლად, სხვადასხვა გარემოების გამო, ჯერ-ჯერობით მეტად ცოტა რამე გვაქვს გაკეთებული და ამ დარგში საგრძნობლად ჩამორჩენილები ვართ. ამის ერთი მთავარი მიზეზთაგანი ის იყო, რომ ქართულ მეცნიერებას რევოლუციამდე გზა დახშული ჰქონდა, მეცნიერ მუშაკთა სიმცირე და ყოველმხრივ გაჭირვებული მდგომარეობაც ქართველ მეცნიერებს ფართო გასაქანის შესაძლებლობას უსპობდა. მას შემდგომ, განსაკუთრებით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, ქართველ მეცნიერების მდგომარეობა ძირიანად შეიცვალა, სათანადოდ მომზადებულ მალალხარისხოვან მეცნიერთა რიცხვმაც თვალსაჩინოდ, იმატა, მაგრამ

ზემოხსენებული პრობლემების კვლევა-ძიებისათვის საჭირო მეცნიერ მუშაკთა სიმცირე ჯერჯერობით მიიწვევს ხაზგასმობა, რაც დროის ხანმოკლეობის გამო სრულებით ბუნებრივად არის.

არ უნდა დაევიწყოთ, რომ დასახული ფართო მიზნის მისაღწევად და ამოცანების სისწორით გადასაჭრელად, ყველა ძირითადი საკითხების სხვადასხვა მხრითა და სხვადასხვა სამეცნიერო დარგის წარმომადგენელთა მონაწილეობით არის განხილვა საჭირო.

ხოლო მკვლევართა მცირერიცხოვანობისა და ამ პრობლემებზე მუშაობის მოგვიანებით დაწყების გამო, თავისთავადაც, არსებითადაც, ზემოაღნიშნული ყველა ამოცანის დროულად და ღირსეულად განსახორციელებლად უკეთესია, რომ მომავალი მუშაობის საერთო გეგმა ც. გვქონდეს შემუშავებული და ჩვენ დაწესებულებათა და ცალკეულ მეცნიერთა შორის შრომაც უკვე ამთავითვე იყოს განაწილებული.

ქართულისა და ქართველურ ენათა მეცნიერულს კვლევა-ძიებასთან ერთად მთავარი ყურადღება ე. წ. კავკასიური ენების საფუძვლიანსა და გაღრმავებულს შესწავლას უნდა მიექცეს, თუნდაც იმიტომაც, რომ ამას უაღრესი მნიშვნელობა თვით ქართულის თავდაპირველი ბუნებისა და მერმინდელ ცვლილებათა გასაგებადაც აქვს. საქართველო უნდა ამ ენების კვლევაში უმთავრეს ცენტრად ვაქციოთ და ამ ენათ-ბგერების ექსპერიმენტული ფონეტიკის ზედმიწევნით მეთოდების გამოყენებით, თავისთავადი და ქართულთან შედარებითი შესწავლით, ისევე როგორც მთელი აქამდე დაგროვილი გრამატიკული, თუ ლექსიკური მასალის მკაცრი შემოწმებით, მათ მეცნიერულ შესწავლას უნდა მკვიდრი საძირკველი ჩავუყაროთ. ამ ჩვენთვის სავალდებულო ამოცანის განხორციელება არც დაუძლეველ სიძნელეს და არც სრულებით ახალს რამეს არ წარმოადგენს, რადგან ამ დარგში და ამ მიმართულებით ქართველი მკვლევარნი უკვე გვეყვანან: პროფ. გ. ახვლედიანი ექსპ. ფონეტიკაში, პროფესორები აკ. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვარ. თოფური, სვ. ჯანაშია, სტ. ჩხენკელი და სხვ. ერთ-ერთი ცალკეულ ამ ენათგანის გრამატიკულ-ლექსიკური კვლევების სფეროში მუშაობენ და გამოსაქვეყნებელი მასალა ნაწილობრივ უკვე დაგროვილი აქვთ.

თუ წმინდა ენათმეცნიერული საკითხები, როგორც ქართული და კავკასიური ენების აგებულება და ისტორიული, თუ შედარებითი გრამატიკა, ან და ხალღურ, ხეთურ, ელამურ, სუმერულ და მცირეაზიურ ენებთან დამოკიდებულების პრობლემებია, უეჭველია მხოლოდ ენათმეცნიერების საკვლევა-ძიებო სარბიელს წარმოადგენს, რა წამს კულტურის ისტორიის ამოცანების შესწავლას შეუდგებით, მართა ენათმეცნიერული გზით და მეთოდებით დასახული მიზნის სრულად მიღწევა შეუძლებელია. ამ საკითხების სირთულისა და უაღრესი პასუხსაგებინარობის გამო, ამ პრობლემების გადასაჭრელად მათი სხვადასხვა სამეცნიერო დარგის თვალსაზრისით განხილვა და შესწავლა საჭირო, სხვადასხვა სპეციალობის მკვლევართა გეგმიანი, თანხმობრივი მუშაობაა აუცილებელი.

უკვე ქართველური და კავკასიელთა ტომების სადაურობისა, პირვანდელი სამშობლოსი და მერმინდელი იმიგრაციის პრობლემების გამოკვლევაში ენათ-

მეცნიერებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა, ფილოლოგოსებმაც და გეოგრაფ-ისტორიკოსებმაც, რატუნ ამისათვის ხომ უპარველესად ძველი და მერკინდელი გეოგრაფული მწიროლობ სველა ცნობების შეგროვება და კრიტიკულად შესწავლა სკირო, ეს-კა ლურსაშული წარწერების მკოდნე პირებისა, სემიტოლოგების, ბე ძნულ-ლათ ნურა, ქართული და სომხური მწიროლობის მკვლ ვაოთა თანამშრომლობას გარეშე შეუქლ ბელია. საკუარისია აღინიშნოს, რომ აქამდის სტრაბონის, პლანიუსის, პტოლემეაძოსის და არიანეს თხზულებების ნამდვილად კრიტიკული, ადგილობრივი გეოგრაფული სახელების მართლწერას აღფგენის მცდელო, გამოცემა ჯერ არ არსებობს, რომ ლუ-სმული წარწერების გეოგრაფიული სახელების რე-ლური შესატყვისობა ხშირად სრულებით გამოურკვეველია, რომ ებრაელთა „დაბადებს“ ცნობებმაც ამ თვალსა რისით ძირინად გადასინჯვა-სჭიროდება, აღარას ვიტყვიოთ არაბ გეოგრაფ-ისტორიკოსთა კავკასიის გეოგრაფიული დამახინჯებული სახელების აღფდგენლობაზე, რომ სხვადასხვა სპეციალობის მკვლევართა გეგმიანი თანამშრომლობის აუცილებლობა სრულებით ცხადი მოქნის. ან და, განა შესაძლებელია, იმპიერაცია-მიგრაციის საკითხი მთლი თავისი სიღრმე-სიგანით ამოიწყოს ისე, რომ დიერ-ამიერ კავკასიისა, მცირე აზიისა და მახლობელ აღმოსავლეთის გეოგრაფიული ნომენკლატურა ქართველურ-კავკასიური ენების მკოდნე პირების მონაწილეობით საფუძელიანად შესწავლილი არ იყოს?

კაცობრიობის უძველესი ნავთიერი კულტურის ისტორიის უმთავრეს საკითხთაგ. წს გარეული ცხოველებისა და ველური მც ნარების, ხეხილის თანდათან გაშინაურება-გაკეთილშობილება, ლითონის დამუშავების ღონეობის მიგნება და ხელოვნების შექმნა შეადგენს. დიდი ხანია, რაც ამ პირობებების გამოკვევის დროს მსოფლიო მეცნიერების ყურადღება კავკასიის, მცირე აზიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ძველი მოსახლეობისადმი იქნა მიპყრობილი. არა ერთი საკითხი უკვე საკმაოდ არის გამოკვეული, მაგრამ მრავალი პირველხარისხოვანი საკითხის გადაჭრა მეცნიერებას ჯერ ვერ მოუხერხებია, რათგან შემოდასახლებული ქვეყნები ამ თვალსაზრისით ან სათანადოდ შესწავლილი არ არის, ან და სრულებით ხელუხლ ბელია. მსოფლიო მეცნიერებას უფლება აქვს ამ ნაკლის შეგვება ჩვენ, ამ ქვეყნების მეცნიერთ, მოგვთხოვოს. ცხადია, რომ ეს ჩვენი მოკალეობა უნდა პირნათლად შევასრულოთ.

გიქტორ ჰენ-ის შედგომ, ანც ერთი მეცნიერი კულტურული მცენარეებისა და შინაური პარუტყვის ისტორიის იმ მრავალმხრივი წყარობის გამოყენებით, როგორც ამ მკვლევარმა იცოდა, აღარ შეჭნებია. ო. შრადერმა, ვით რკა ენათმეცნიერმა, ამ შესანიშნავი გამოკვლევის უკანასკნელი გამოცემისათვის თანამშრომლებად ორი გამოჩენილი გერმანელი პალეობოტანიკოსი მოიშველია და მათა დანართი ცნობები ჰენ-ის ნაშრომს მრავალნაირად ავსებს და ბევრგან ასწორებს კიდევ, რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგია, მაგრამ აქაც წერილობითი და ბოტანიკური ცნობები ისევე, როგორც შრადერის მიერ დამატებული ენათმეცნიერული მოსაზრებანი მაინც ცალცალკეა და ამ საკითხების ზოგადი ყოველმხრივი განხილვა, უროლოდაც ამ პირობების შემუშვარად გადაწყვეტა შეუძლებელია, ჯერ არ მოგვეპოვება.

ეს იმ გარემოებითაც აიხსნება, რომ ჩვეულებრივ ენათმეცნიერნი მხოლოდ სიტყვების ლინგვისტიკური ანალიზით არიან ხოლმე დაინტერესებული და ამ სახელების ზოგადი მნიშვნელობის გათვალისწინებით კმაყოფილდებიან, ბოტანიკოსები და ძოოტექნიკოსები-კი თავიანთ მხრივ მხოლოდ მათი ბოტანიკური, თუ ძოოლოგიური რაობის ზედმიწევნით გამოკვლევის დროს უმეტესად ლათინური ტერმინოლოგიის გამოხატვას ეტანებიან, საკვლევადიეზო ობიექტების ადგილობრივ სახელებს კი ან არაავითარს, ან და ძალიან მცირედ ყურადღებას აქცევენ. ცხადია, რომ ამ გზით სრული ქეშმარიტების გამოკვლევა ძნელია. მეტიკ ითქმის: შეთანხმებული, გეგმიანი მუშაობის გარეშე კულტურის ისტორიის ესოდენ დიდი და პასუხსაგები პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელიც კია. ამიტომაც ჩვენი მთელი მუშაობა სწორედ გეგმიანს, შეთანხმებულს მუშაობაზე უნდა იყოს დამყარებული: ბოტანიკოს-აგრონომებმა და ძოოტექნიკოსებმა ობიექტების შესწავლისთანავე უნდა შექველად მათ ადგილობრივ სახელებსაც, ამ სახელების გავრცელების საზღვრებსა და მიმართულებასაც მიაციონ ჯეროვანი ყურადღება და ყველაფერი სისწორით აღწესდონ ხოლმე, ენათმეცნიერებსა და წერილობითი წყაროების მკვლევართაც უნდა ყოველთვის ახსოვდეთ, რომ სახელების ანალიზისათვისაც ამსიტყვებს რეალურს მნიშვნელობას, ბოტანიკურს, თუ ძოოლოგიურს რაობას ანგარიში უნდა გაეწიოს. ზოგჯერ უკვე თვით სახელის შინაარსი და მისი სადაურობა, მისი გავრცელების არე ამა თუ იმ მცენარისა, თუ ცხოველის სადაურობას, გაშინაურებისა, თუ შიფისების ხანას სწყევტს. არა ერთხელ ბოტანიკური, თუ ძოოლოგიური სახესხვაობითი თვისების გათვალისწინება მკვლევარს თვით სახელის თავდაპირველი მნიშვნელობის გაგებასა და ლინგვისტიკურს ანალიზს გაუადვილებს.

პირველი მცენარეები ჩვენში პროფესორების დეკაპრელევიჩისა და იულ. ლომოურისა, დოც. ვ. მენაბდისა, ნ. კეცხოველის, ვალ. სუპატაშვილის, ალ. მაყაშვილისა და გ. აბესაძის ნაშრომების წყალობით ბოტანიკურად საკმაოდ კარგადაა შესწავლილი, მაგრამ არა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ჯერ კიდევ გამოსარკვევია. ბოსტნეულობისა და მცხილეობის დარგები-კი ამ მხრივ ჯერ თითქმის ხელუხლებელია. მევენახეობაშიც კვლევა-ძიება პროფ. ს. ჩოლოყაშვილისა და მისი მოწაფეების მიერ დაწყებულია, მაგრამ უდიდესი მუშაობა ჯერ კიდევ გასაწევია.

საქართველოს შინაურ მსხვილფეხა პირუტყვთაგან განსვ. ნ. იოსელიანისა და მისი თანამშრომლების წყალობით საფუძვლიანად ჩვენებური ფორი, კამეჩი და ნაწილობრივ ცხვრია შესწავლილი, მაგრამ შეკრებილი ცნობებისა და დაკვირვებათა უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი დევს. სრულებით შეუსწავლელია ცხენი და თხა. მაგრამ ისიც, რაც შესწავლილია, ესლანდელი საქართველოს საზღვრებს არ სცილდება, შინაური ცხოველების წარმოშობილობისა და შერჩევა-გაუმჯობესების ისტორიისათვის-კი ჩვენ აუცილებლად ჩრდილო კავკასიის და მცირე აზიის მესაქონლეობის ჯიშებრივი რაობის ცოდნაც გვჭირდება: ამ მხრივ კი ჯერ არაფერია გაკეთებული.

ვიწროდ შემოფარგლული ნივთიერი კულტურის სფეროში მთელი ჩვენი ცოდნა ლითონის, თიხისა და სხვ. მასალისაგან გაკეთებული საგნების შესახებ. შესაძლებელია ითქვას, თითქმის მხოლოდ შემთხვევით აღმოჩენილს მასალაზეა დამყარებული და, ამისდა მიუხედავად, კულტურის ისტორიის არა ერთი პირველ-ხარისხოვანი საკითხია უკვე წამოყენებული. შემთხვევითობის წყალობით აქამდე განათხარებში ნაპოვნი საკვები მცენარეებისა და ცხოველების ნაშთებს თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. რა თქმა უნდა, რომ ამნაირად მოპოვებულსა და ასეთს მასალაზე მსჯელობისა და ზოგადი საკითხების გადაწყვეტის დროს შეცდომების თავიდან აცილებაც ძნელია და მოპოვებული შედეგისა და დასკვნის ურყევ დებულებად მიჩნევაც შეუძლებელია. ამიტომ აუცილებლად საჭიროა, რომ ამიერიდან არქეოლოგიური კვლევა-ძიება გარკვეული გეგმისა და მიხედვით, ისტორიული სააღმომიკვამო გზების მიმართულებითა და გზათა შესაპირების გათვალისწინებით, ძველი ქველა ისტორიული ცნობების ცოდნითა და კულტურის ისტორიის მთავარი ამოცანების გადასაჭრელად ყველა მასალებისადმი ჯეროვანი ყურადღების მიპყრობით წაჭიმობდეს. მაგრამ, საწყუხაროდ, ის საკმაოდ მდიდარი მასალაც, რაც აქამდეა მოპოვებული, ჯერაც სათანადოდ შესწავლილი არ არის, რაც ჩვენ არ გვეპატიება.

რამდენიმე მაგალითი საკმარისი იქნება იმის დასარწმუნებლად, თუ რამდენად უფრო საგულსხმო შედეგისა და მტკიცე დასკვნის მოპოვება შეიძლება, როდესაც ერთდღიანად საკითხი სხვადასხვა სპეციალობის თვალსაზრისით არის ხოლმე განხილულად. საქართველოს ეკონომიური ისტორიის I<sup>2</sup> წიგნში თავმოყრილი მაქვს ყველაფერი, რაც ბოტანიკოს-აგრონომებს პურეულის, იფქლის, დიკის, ასლის, ზანდურის, მახას და სხვ. შესახებ დაკვირვებისა და ცდების საშუალებით გამოკვლეული ჰქონდათ. მაგრამ მათი დასკვნა ბუნებრივად ბოტანიკოსისა და აგრონომიის არეს არ სტყობდებოდა და ამიტომაც არაერთხელ კულტურის ისტორიისათვის პირველხარისხოვანი პრობლემები, როგორც მათი ნამდვილი ადგილობრივი ძველი და თანამედროვე სახელები, მათი სადაურობა და მათი ხნიერება-გაჩენის საკითხებია, გამოურკვეველი დარჩა. ქართულ ძეგლებში და უცხო წყაროებში გაფანტული ცნობების ცოდნა და გათვალისწინებამ და პუტაულის სახელების ანალიზმა კი ზემოაღნიშნული გაურკვეველი საკითხების გამოკვლევა გაგვიადვილა. ისევე როგორც ბოტანიკოსებს უისტორიკოსოდ ამ პრობლემების ვადაჭრა არ შეეძლოთ, ცხადია, ისტორიკოსიც თავის ამოცანის გადაწყვეტას ვერ მოახერხებდა, ბოტანიკოს-აგრონომებს რომ პურეული წინასწარ ბოტანიკურად საფუძვლიანად შესწავლილი არ ჰქონოდათ და ისტორიკოსს მათ მიერ მოპოვებული ცნობების გამოყენების საშუალება არ ჰქონოდა. პროფ. დეკაპრელევიჩსა და ვ. მენაბდეს გამოთქმული ჰქონდათ მოსაზრება, რომ მახას საქართველოში ერთი უძველეს პურეულთაგანი უნდა იყოს და საქართველოს ეკონომიური ისტორიის II<sup>2</sup> წიგნში ეს მათი მოსაზრება სრულებით სამართლიან დებულებად მაქვს მიჩნეული. ქართველი ერის ისტორიის შესავალი“-ს მე-III წიგნში, რომელსაც დასაბეჭდად ვამზადებ, აღნიშნულია, რომ პურეულის ეს სახელი მართლ საქართველოში-კი არ არის გავრცელებული, არამედ ჭანეთში მხოლოდ მოყოლებული ჩრდილოეთ კავკასიამდე, დაღისტანში და სხვაგანაც მოიპოვება.

უკვე ეს გარემოება ამ პურეულს განსაკუთრებული ყურადღების ღირსად ხდის და ამ საკითხის გამოსარკვევად ბოტანიკოსების, ენათმეცნიერებისა და არქეოლოგის-ისტორიკოსების შეთანხმებული კვლევა-ძიება უეჭველია ფრიად საგულისხმო შედეგს მოგვცემდა.

ეხლა რომ შინაური ცხოველების ისტორიის ამოცანებს შევეხეთ, ცნობილია, რაოდენი მნიშვნელობა აქვს კულტურის ისტორიისათვის ცხენის მოშინაურების საკითხს. დიდხანია უკვე გამოარკვეულია, რომ ცხენი ადამიანის მეურნეობაში შედარებით უფრო მოგვიანებით გაჩნდა.

სუმერებს და სხვა ტომებსაც უძველეს ხანაში ვირი ჰყავდათ, ცხენი კი არა და პროფ. ფრიც ჰომმელს ჰქონდა უკვე აღნიშნული, რომ ცხენის სუმერული სახელი „მთის ვირსა“ ჰქნიშნავს. ე. ი. რომ ცხენის სახელი თავდაპირველად ვირის სახელთან ყოფილა დაკავშირებული. მრავალი ენის ლექსიკური მასალა იყო გამოყენებული სხვადასხვა მეცნიერთა მიერ ამ მნიშვნელოვანი ამოცანის, ცხენის სადაურობისა და გაჩენის ხანის გამოსარკვევად, ქართველური და კავკასიური ენების მასალებს გარდა. უცილობელ ჭეშმარიტებად-კი ითვლება, რომ ვირის ბერძნული სახელი „ონოს“ ბერძნული სიტყვა არ არის, არამედ იგი რომელიღაც აზიური ენითგანაა შენათვისები.

ამ საკითხის განხილვის დროს არავის ყურადღება არ მიუქცევია იმ საგულისხმო გარემოებისათვის, რომ ძველ ქართულში მე-XI ს-მდე ცხენს ჰუნე ეწოდებოდა, რომელსაც მონათესავენი ჩრდილო კავკასიის ზოგს ენაშიც მოეპოვება და რომელიც უეჭველია იგივე სიტყვაა, რაც ბერძნულში აზიური ენითგან შეთვისებული ვირის სახელი, „დოს“-ია. ცხადი ხდება, რომ სუმერულის მსგავსად, ქართულშიც ცხენის სახელი ვირის სახელთან ყოფილა თავდაპირველად დაკავშირებული. ამის შემდგომ არა მგონია ვისმე უსაფუძვლო მოსაზრებად ეჩვენოს, თუ ვიტყვით, რომ ქართულ-კავკასიური მასალების გამოყენებაც ამ პრობლემის განხილვის დროს აუცილებლად საჭიროა. ამისთვის-კი ცხენისა და ვირის ჯიშების ძოლოლოგიური შესწავლაც, ლინგვისტიკური, ისტორიულ-არქეოლოგიური ყველა ცნობებისა და ფაქტების დაგროვებაც არის აუცილებელი. განა ძველი კუდიანი და თუშური ცხერის ურთიერთობისა და გაჩენის ამოცანა, ან და თუნდაც ჩვენი ნაგაზის საუცხოოვო ჯიშის საკითხი-კი უალრესად საყურადღებო არ არის? აქაც, ყველა ამ ამოცანის გადასაჭრელადაც გვემიანს, შეთანხმებულს კვლევა-ძიებას გვერდს ვერ აწუხებვით.

ერთი მაგალითიც წარმართულ თქმულებათა და ზნეჩუელების ისტორიიდან იმის ცხად-საყოფელად, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა შესაძლებელია ჰქონდეს ძველი ხეთური წყაროების ცნობების გამოყენებას ქართული მასალების გასაგებად. „ქართველი ერის ისტორიის“ I წიგნის მესამე გამოცემაში გამოარკვეული მაქვს, რომ ქართულ წარმართობის ხანის შეილიერება-ნაყოფიერების ღვთაების ანარეკლი „ადრეკილაჲ“-სა და „მელჲ ტელეფიჲ“-ს სვანურსა და ყვენობის ქართლ-კახურს ჩვეულებებშია დაცული. იქ გამოთქმული მქონდა მოსაზრება, რომ, თუმცა „ადრეკილაჲ“ ფერხული და საგალობელის სიტყვები „ადრეკილაჲ წაგვივიდა და მოგვივიდა“ ამჟამად „მელჲ ტელეფიჲ“-ს წესისაგან სრულებით დამოუკიდებელია, მაგრამ წინათ, „ადრეკილაჲ“ ფერხული და

საგალობელის სიტყვები „ადრეკილაჲ წაგვივიდა და მოგვივიდა“ უკვეელია „მელჲა ტელეფიჲას“ დღესასწაულის ერთი ნაწილთაგანი უნდა ყოფილიყო (გვ. 59 და 63). მხოლოდ „ქართველ ერის ისტორიის“ I წიგნის გამოქვეყნების შემდგომ, მოგვიანებით მოსული, 1928 წ. დაბეჭდილი «Indogermanisches Jahrbuch»-ის წიგნში მოთავსებული წერილითგან შევიტყე, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის 14 საუკუნით უწინარესი, ბერლინში 1926 წ. დაბეჭდილი, ხეთური ლურსმული საბუთებით შესაძლებელია „ქართველი ერის ისტორია“-ში გამოთქმული ზემომოყვანილი მოსაზრების სრული კემმარტება უკვე ურყევად დამტკიცდეს. სახელდობრ «Kaischrifturkunden aus Boghasköi» (Heft. XIV, XVII, Berlin Vorderasiatische Abteilung der Staatlichen Museum, 1926) „ბოლშეკომას ლურსმულ-დამწერლობიანი საბუთები“-ს მე-14—17 რვეულში დაბეჭდილია ქ. წ. მე-XIV ს. თქმულება, რომელშიაც მოთხრობილია, თუ როგორ წავიდა ღვთაება ტელეფინუში და ამის გამო გაქრა მოსავლის აღმოცენება და ნაყოფიერება და როგორ დაბრუნდა ბოლოს იგი და უმალ აღდგა მანამდე მიმქრალებული აღმოცენება-ნაყოფიერებაც. ცხადია, რომ „ადრეკილაჲს“ ფერხულის სიტყვები „ადრეკილაჲ წაგვივიდა და მოგვივიდა“ და „მელჲაჲ ტელეფიჲაჲ“ სწორედ ამავე ნაყოფიერება-შვილიერების ღვთაების ტელეფინუშის წასვლისა და მოსვლის მომთხრობელი საგალობელის ამოძახილია. ამგვარად, მე-20 საუკუნის დამდეგამდე საქართველოში დაცულს ხალხურ ზნე-ჩვეულებასა და ამ წარმართულ საგალობელს უკვე ამ 33 საუკუნის წინათ ხეთების მიერ აღბეჭდილი რწმენისა და თქმულების ანარკელი დაუცავს.

რასაკვირველია, ეს საუცხოვო ცნობა მაშინვე „ქართველ ერის ისტორიის“ შესავლის მესამე წიგნისათვის გამოიყენე და ჩემს ხელთნაწერში შევიტანე იმ იმედით, რომ უნივერსიტეტის წიგნსაცავი თვით ამ გერმანულს გამოცემასაც გამოიწერდა და მიიღებდა და მაშინ საშუალება მექნებოდა, ამ საყურადღებო საკითხზე უკვე პირველ წყაროზე დაყრდნობით უფრო დაწვრილებით მემსჯელა. მაგრამ, მგონია უამისოდაც ცხადი უნდა იყოს, თუ რამდენად აუცილებელია ჩვენთვის ხეთური, სუმერული და ხალდური წყაროებისა და მასალების გამოყენება ქართულ კულტურის ისტორიის შესწავლისა და აღდგენისათვის. ასეთი სხვა მაგალითებისა ც ბლომად შეიძლება დასახელება, მაგრამ ვგონებ ეს საქმარისი უნდა იყოს.

ამგვარად, ჩვენ წინაშე კულტურის ისტორიის პირველხარისხოვანი ამოცანების ფართო ასპარეზია გადაშლილი, რომელთა შესასწავლად და გამოსარკვევად ეხლაც საკმაოდ უხვი და მრავალმხრივი მასალა მოგვეპოვება, მომავალში ხომ უფრო მეტია მოსალოდნელი. მართალია, საქართველოს მეცნიერნი ჯერ საკირო რაცხვამრავლობით არ მოიპოვებია, მაგრამ ვინცა გვეყავს, მათი ერთად თავმოყრითა, წინასწარ შემუშავებული გეგმისადა თანახმად შესწავლილი საკითხების მიზანშეწონილად განაწილებითა და მათი ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა სპეციალობის თვალსაზრისით განხილვით, დასახული ამოცანის პირნათლად შესრულებაც შეიძლება და ქართულ მეცნიერებასაც კაცობრიობის მეცნიერების საგანძურში თავისი წვლილის შეტანის საშუალებაც ექნება, რა თქმა უნდა, თუ უცხოეთიდან საკირო ლიტერატურის მიღებისა და დაწერილ

გამოკვლევათა გამოქვეყნებისათვისაც ხელშემწყობი პირთბებითაც ფილიალი უზრუნველყოფილი იქნება.

ზემოაღნიშნულის შემდგომ მოქმედების უახლოესი, გეგმა მოკლედ ასე შეიძლება დაისახოს და მთელი მუშაობა შემდეგნაირად უნდა დაიყოს:

I. წმინდა ენათმეცნიერული ამოცანები ქართველური და კავკასიელთა ენების ბუნებისა, ნათესაობისა და ხალღურ-ხეთურ-სუმერულ ენებთან დამოკიდებულების გამოსარკვევად.

II. კულტურის ისტორიის საკითხები:

1. ქართველებისა და კავკასიელთა თავდაპირველი სამშობლო და გადმოსახლების ისტორია.

2. საკვები და საკმელდ მცენარეებისა და ხილ-ხმილის სადაურობის საკითხები.

3. მსხვილფეხა და წვრილფეხა შინაური ცხოველების სადაურობისა და მოშინაურობა-შერჩევის ისტორიის გამოსარკვევი ამოცანები.

4. ლითონის გამოყენებისა და ჭედვა-ჩამოსხმის ხელობის გაჩენის თავდაპირველი კერა და გავრცელების გზები.

5. ქართველთა და კავკასიელთა უძველესი გონებრივ და ნივთიერი კულტურის (მათ შორის მუსიკისაც) ისტორიის დანარჩენი საკითხები.

III. უპირველესად უნდა გამოირკვეს აშნაირი საკითხების გასაშუქებლად განკუთვნილი და უკვე გამოსაცემად დამზადებული ნაშრომების რიცხვი და მოცულობა, რომ მათ გამოცემაზე ვიზრუნოთ.

IV. წმინდა ენათმეცნიერული ამოცანების კონკრეტული დანაწილება მკვლევართა შორის ენის სექტორს დაევალოს.

V. კულტურის ისტორიის ამოცანები ოთხ მთავარ ჯგუფად გაიყოს:

1. კულტურულ მცენარეთა ისტორიის საკითხები.

2. შინაურ ცხოველთა ისტორიის საკითხები.

3. ლითონის და ნივთიერი კულტურის ისტორიის საკითხები.

4. ქართველთა და კავკასიელთა თავდაპირველი სამშობლოს, გადმოსახლების და უძველესი მსოფლმხედველობის ისტორიის საკითხების ჯგუფი.

VI. კულტურის ისტორიის ამოცანების სხვადასხვა სპეციალობათა შორის განაწილებისა, მუშაობისათვის ხელის შესაწყობად, კვლევა-ძიების მიმდინარეობის საცოდნელად, სხვადასხვა სპეციალობის დარგის მკვლევართა შორის კონტაქტის გასაადვილებლად და დამზადებული ნაშრომების გამოცემაზე მზრუნველობისათვისაც აკადემიის ფილიალის პრეზიდიუმთან სათანადო ორგანო უნდა მოეწყოს.

VII. სპეციალობათა შორის ამოცანების განაწილების შემდგომ, კონკრეტული საკითხების მკვლევართა მიერ არჩევა-განაწილების მოგვარება სათანადო სპეციალობის სექტორებს, ანდა დაწესებულებებს დაეკისროთ, რომელთაც, როგორც განაწილების შედეგი, ისევე მუშაობის მიმდინარეობის შესახებ უნდა პრეზიდიუმთან მყოფ ორგანოს აცნობონ ხოლმე.

VIII. რაკი ეს გეგმაცა და სამუშაოც, ცხადია, ერთი და ორი წლის საქმე არ არის, არამედ შესაძლებელია მხოლოდ თანდათანობითა და საფუძვლიანი კვლევა-ძიების გზით განხორციელდეს, ამიტომ უნდა გადაწყდეს, თუ რომელი ამოცანები როგორის თანდათანობით იქნეს შესწავლილი.

## ისტორიულ-შედაკავებითი ნარკვევები ქართველური ენებიდან

### I. მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის

(ქართველური ენებისა და ხალღურის ურთიერთობისათვის)

მხედველობაში გვაქვს ის ბრუნვა, რომლის ნიშნებსაც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში წარმოადგენს: ამხანაგად, მეგობრად, მასწავლებლად... მტკიცედ, განუხრელად, ადვილად... მინდვრად, სოფლად, ქალაქად...

ეს ბრუნვა უცხოა ევროპული ენებისათვის ისევე, როგორც მოთხრობითი, თუმცა ჩვენი ენის სტრუქტურისათვის ის ისე სპეციფიკური არ არის, როგორც მოთხრობითი ბრუნვა.

რაც შეეხება კავკასიურ ენებს, მათში იმათ, რომელთაც ბრუნვა გააჩნიათ, ძირითად ბრუნვათა შორის ეს ბრუნვა არა ჩანს (არც ჩაჩურში, არც ხუნძურში, არც ლაკურში, დარგულსა თუ კიურულში); მისი ფუნქციები განაწილებულია ნაწარმოებ ბრუნვათა შორის ანდა ზმნისართულ წარმოებათა შორის.

კავკასიური ენები ჯეროვნად შესწავლილი არ არის და ამიტომ ვამბობთ არა ჩანს-თქო არსებული სპეციალური ლიტერატურის მიხედვით.

რაკი მიმართულებითი ბრუნვა ევროპულ ენებში არ მოიპოვება, მაშასადამე, ევროპული ენების გრამატიკებშიაც მას ჯდგილი არ ჰქონდა; ეს გრამატიკები კი იყო ერთად ერთი დასაყრდენი ქართველი გრამატიკოსებისათვის; ამიტომ ბუნებრივია, თუ ერთხანს ჩვენს გრამატიკოსებს არც შეუშინებიათ ამ ბრუნვის არსებობა. ანტონის ვრცელ ქართულ გრამატიკაში (1767 წ.) ამ ბრუნვას ვერ ვპოულობთ. ანტონი რვა ბრუნვას ასახელებს; ესენია: წრფელობითი (ე. ი. ბერძენთა „ორთე“ ანუ ლათინური გრამატიკის ნომინატიუს ანუ სახელობითი), ნათესაობითი, მიცემითი, შემასმენელობითი (ე. ი. აკუზატივისი, винительный, „ბრალდებითი“), დაწყებითი (შეისაგან, ტაძრისაგან), მოთხრობითი, მოქმედებითი და წოდებითი.

მიმართულებითი ბრუნვა არ არის მოხსენებული ბრუნვათა შორის არც გაიოზის (1789 წ.), ვარლამ არქიეპისკოპოზის (1802 წ., რუსულად), იესე ჩუბინაშვილის (1816 წ.), გ. ფირალოვის (1820 წ.), ს. დოდაშვილისა (1830 წ.) და პლ. იოსელიანის (1840 წ.) გრამატიკებში. გასაგებია: ყველა ეს გრამატიკა ანტონის გრამატიკის საფუძველზეა შედგენილი

და ანტონისეული გრამატიკის შემოკლებულ გადმოცემას იძლევა. გამოჩაგლისის შთაბეჭდილებას პლ. ჩოსელიანის გრამატიკა სტოვებს, მაგრამ ამ ბრუნვის საკითხში ისიც ანტონის გზას შერჩა. საინტერესოა, რომ კლავროთიც უცხოელი ავტორი ქართული გრამატიკისა — ამ ბრუნვას არ იხსენიებს. საფიქრებელია, რომ აქაც ანტონის სისტემა იყო ამოსავლად გამოყენებული.

პირველი ავტორი, რომელმაც ჩვენთვის საინტერესო ბრუნვას სხვა ბრუნვათა შორის ადგილი დაუთმო, იყო მ. ბროსე (1833 წ.). მან შენიშნა, როგორც ეტყობა, ეს ბრუნვა პირველად. ბრუნვათა წყება ბროსესთან ასეთია: წრფელობითი და შემასმენლობითი, ნათესაობითი, მიცემითი, წოდებითი, მოქმედებითი, მოდალობითი (ბაგად) და დამთავრებითი (ბაგამდე)...

ამგვარად, აქ ორი ტერმინი გვაქვს ამ ბრუნვისათვის: პირველი მოდალობითი (ბაგად) აღნიშნავს ამ ბრუნვას, უთანდებულოდ ნახმარს, მეორე — დამთავრებითი, იმავე ბრუნვას, მდე- თანდებულ-დართულს (ბაგამდე). ბროსედან მოყოლებული ყველა გრამატიკოსი უთმობს ამ ბრუნვას ადგილს დიმიტრი ყიფიანის გარდა; ამ უკანასკნელის გრამატიკაში არც მიმართულებითია გამოყოფილი და არც მოქმედებითი (მხოლოდ დასახელებითი, ნათესაობითი, მიცემითი და მოთხრობითია ნაჩვენები). მოქმედებითი ცალკე ბრუნვა ისევე არ არის, როგორც დაწყებითი (ბოძისაგან... ივანესაგან...): „სახელობით სახეს დაჰყვებოდა სპწიგნობრო კილოში თანდებული „თურთ“ ან ნათესავობითს „თანა“: პავლეს თანა, კეთილითურთ... და ახლა ეს „თურთ“ და „თან“ ისე შევამოკლეთ, რომ სახელობითს ვუმატებთ მარტო თან „თი“-ს და ნათესავობითის მაგიერად მიცემითს „თან“ (იხ. დ. ყიფიანი: „ახალი ქართული გრამატიკა“, სპბ. 1882, გვ. 23).

რა თქმა უნდა, თუ მოქმედებითის -თ თანდებულის ნაწილად გამოვაცხადეთ, ნაშთი სახელობითად მოგვეჩვენება (დ. ყიფიანის ეს მსჯელობა მშვენიერი ილუსტრაციაა იმისა, რომ სიტყვის სწორად დაშლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ენობრივი მოვლენის კვალიფიკაციისას!).

„სამართალი მოითხოვდაო — დასძენს დ. ყიფიანი — „რომ სადაც ამ ოთხ ბრუნვას ექნებოდა ადგილი, იქ უსაცილოდ კიდევ რამდენსამე სხვა ბრუნვასაც ჰქონიყო: მყოფობითსა: სახლში, ტყეში, წყალში... აღმავლობითსა: ბანზე, ხეზე, წყალზე... გამოსვლითსა: სახლიდამ, წყლიდამ, ტყიდამ... უკუთქმითსა: უსახლოდ, უწყლოდ, უტყეოდ და ცვლილებითს: სახლად, წყლად, ტყედ... სულ გვექნებოდა მაშინ ცამეტი ბრუნვა, — სიმდიდრე თავსგადასაყრელი, შემაწუხებელი. მაგრამ რაც საჭირო არ არის, რათ უნდა ვინდებდეთ ამით საქმესა?“ (იქ., გვ. 24).

აქედან ჩანს, რომ დ. ყიფიანს მიმართულებითი ბრუნვა არ გამოჩნენია. მაგრამ ბრუნვად არ მიუჩნევია ისევე, როგორც სხვა თანდებულიანი ბრუნვები. ბრუნვად რომ დაესახა, ეტყობა, ცვლილებითს დაარქმევდა.

ის გრამატიკოსები, რომელთაც მიმართულებითი ბრუნვად მიაჩნიათ, სხვადასხვა ტერმინს ხმარობენ; სახელობრ: დ. ჩუბინაშვილი (1855 წ.)<sup>1</sup> და

<sup>1</sup> წლები სათანადო გრამატიკული ნაშრომის გამოსვლის თარიღს აღნიშნავს.

პ. კვიციარიძე (1888 წ.) — გარდაქმნითს, არ. ქუთათელაძე (1889 წ.) — განვითარებითს, თ. ჟორდანიას (1889 წ.) — ზმნისზედითს, მ. ჯანაშვილი (1906 წ.) — ზმნისზედათს, ს. ხუნდაძე (1906 წ.), ი. ნიკოლაიშვილი (1917 წ.) და მ. კელენჯერიძე (1920 წ.) — ვნებითს, აკ. ნ. მარი — მიმართულებითს. პროფ. ა. შანიძე 1930 წ. გამოსულ „ქართულ გრამატიკაში“ ვნებითს იყენებს; საშუალო სკოლებში მიღებული სახელმძღვანელო ილ. სიხარულაძისა მიმართულებითს ხმარობს. მიმართულებითი გვაქვს მოცემული პროფ. ვ. თოფურიას გამოკვლევაში სვანურის შესახებ და დაუსწრებელი ინსტიტუტისათვის შედგენილ განაკვეთებშიაც (მიმართულებითს იყენებდა ამ წერილის ავტორიც, მაგრამ „ქანურის გრამატიკულ ანალიზში“ იძულებული გახდა სხვა ტერმინი ეძია; დაბრკოლებები იხ. ქვ.).

თქმულიდან ჩანს, რომ ამ ბრუნვისათვის სახელის შერჩევა გაკირდა. ევროპულ ენებს რომ ჰქონოდა ეს ბრუნვა, მის სახელს გადმოთარგმნიდნ და ერთი ტერმინი გვექნებოდა აქაც ისევე, როგორც, მაგალ., ნათესაობითისა და მიცემითის შემთხვევაში. რაკი სახელი უნდა შეერჩიათ, გრამატიკის ავტორები ბრუნვის მნიშვნელობას დაემყარნენ, მაგრამ ეს მნიშვნელობა მრავალფეროვანი იყო და ამიტომ, ზოგმა ერთი მომენტი გამოიყენა ამოსავლად და ზოგმა — მეორე.

ზემოხსენებული ტერმინებიდან: მ. ბროსეს მოღალაობითი, თ. ჟორდანიას ზმნისზედითი, მ. ჯანაშვილის ზმნისზედათი ერთი და იგივეა, რამდენადაც ტერმინს მხედველობაში აქვს ამ ბრუნვის ზმნისართული მნიშვნელობა (კითხვა: როგორ? მტკიცედ, სწრაფად, ნაყოფიერად...); დ. ჩუბინაშვილისა და პ. კვიციარიძის გარდაქმნითი და არ. ქუთათელაძის განვითარებითი ასევე ერთი რიგის ტერმინებია: განვითარდა, გარდაიქმნა — რად? ამავე მომენტს გულისხმობს დ. ყიფიანის ცვლილებითი. აკ. ნ. მარიისეული მიმართულებითი სხვა ნიშნის მიხედვითაა წარმოებული. პირველ ყოვლისა აქ ძვ. ქართულის ის შემთხვევები უნდა მოვიგონოთ, სადაც ეს ბრუნვა მიმართულებას აღნიშნავს (მოვიდა ვარსკენ ტაძრად... და ვითარცა შევიდეს ციხედ...). რა უდევს საფუძვლად ს. ხუნდაძისეულ ვნებითს, ჩვენთვის ცხადი არაა.

ვინც ევროპულ ენათა გრამატიკებში ხმარებული ბრუნვების სახელთა ისტორიას იცნობს, მას მოხსენდება, რომ ეს სახელები სტოელთა ფანტაზიის ნაყოფს უფრო წარმოადგენენ, ვინემ სათანადო ფორმათა მნიშვნელობის გარკვევაზე დაფუძნებულ ტერმინებს. ამ სახელთა პირობითობა უდაოა. მიცემითი ბრუნვა იმ შემთხვევაშიაც იხმარება, როცა ვისზე რამეს აძლევენ და მაშინაც, როცა ართმევენ (მივეცი დავითს ფანქარი — წავართვი დავითს ფანქარი). ასევე საფუძელიანი იქნებოდა, ამ ბრუნვისათვის დაგვერქმია „გაგზაენითი“ (ვუგზაენი — ვის?), „თხრობითი“ (მოვუთხრობ — ვის?), „მიწოდებითი“ (ვაწვდი — ვის?)... ასევე: სახელობითი ბრუნვა დასახელებას მხოლოდ სიებში და ნომინატიურ წინადადებაში თუ წარმოგვიდგენს, თორემ ჩვეულებრივად ხან მოქმედზე მიუთითებს, ხან უმოქმედო საგანზე, იმისდა მიხედვით, რანაირია ზმნა — მოქმედებითი თუ ვნებითი გვარისა (მოლარე ყიდის ბილეთს... ბილეთი იყიდება)...

„ნათესაობითი“ და „ბრალდებითი“ ბრუნვები ხომ ბერძნული „გენიკე“ („გვარობითი“) და „აქტივტიკე“-ს („შეპირობებითი“, „инъцѣловѣніи“) მცთარ თარგმანს წარმოადგენენ — შეცთომა ლათინურად თარგმნისასა და შევებული და იქიდან მცთარი genetivus-ისა და accusativus-ის სწორად გადათარგმნამ სხვა ენებშიც გაავრცელა ეს შეცთომა — და თუ მაინც მათ შესახებ არავინ დაობს, ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ბრუნვის სახელი პირობითი ხასიათისაა და სათანადო ბრუნვის შინაარსს არსებითად არ გამოხატავს: განსაკუთრებით ეს ითქმის იმ ბრუნვათა შესახებ, დამოკიდებულებების აღმნიშვნელ ფორმასა რომ წარმოადგენენ (ასეთია: ნათესაობითი, მიცემითი, ბრალდებითი) <sup>1</sup>.

ასეთ პირობებში, ბუნებრივი იქნებოდა მიმართულებითი ბრუნვისათვის რომელიმე ხმარებული ტერმინი მიგველო და ის გაგვემტკიცებინა: ამით თავს დავალწევდით იმ უხერხულობას, რომელიც ტერმინთა სიჭარბეს ახლავს ხოლმე. მაგრამ საქმე ისაა, რომ მოკმედებითი და მიმართულებითი განსხვავდებიან სხვა ბრუნვათაგან იმით, რომ მხოლოდ დამოკიდებულებას კი არ აღნიშნავენ, არამედ სიტყვაწარმოებითს მომენტებსაც არ არიან მოკლებული. მაშასადამე, სათანადო ტერმინი მთლიანად პირობითი ვერ იქნება: ბრუნვის მნიშვნელობის ყველა მომენტი თუ არა, ძირითადი მაინც უნდა იქნეს აღნიშნული სათანადო ტერმინით.

ამჟამად გავრცელებული ორი ტერმინიდან ვნებითი სრულებით უტყვია: მიმართულებითის ხმარებას, ყოველ შემთხვევაში, ახალ ქართულში მძიმე დაბრკოლება ელოდება: ჯერ ერთი, იმ შემთხვევებში, სადაც ძვ. ქართულში ეს ბრუნვა ყველაზე მეკეთრად გამოხატავდა მიმართულებას, ახალ ქართულში ხშირად სულ სხვა ბრუნვაა გამოყენებული: „მოვიდა ვარსკენ\* ტაძრად“ — „ვარსკენი ტაძარში მოვიდა“... „ვითარცა შევიდეს ციხედ“... „როგორც ვი შევიდენ ციხეში“: მიმართულებითი ბრუნვის ადგილი თანდებულის მიცემითს უკავია... მეორე: მეგრულში მიმართულებითი ბრუნვა სხვაა და ჩვენთვის საინტერესო — სულ სხვა: შდრ.: ჯიმათ მიმოჩქუ ძმად მიმანია — და ჯიმაშა მეფურქ — ძმასთან (ძმისაკენ) მივდივარ, მივალ... ჯიმათ უდრის ქართ. ძმად; მაგრამ თუ ამას მიმართულებითი დავარქვით, რალა ვუყოთ მეორე ბრუნვას: ჯიმაშა — ძმისაკენ, რომელიც მიმართულების აღმნიშნავი საგანგებო ბრუნვაა (მისი შესატყვისი ცალკე ბრუნვა ქართულს არ მოეპოება). მეგრულის ვითარებას გვერდს ვერ აფუქცევთ შედარებითი გრამატიკის დამუშავებისას. მესამე: თვით ახალ ქართულში არის შემთხვევები, როდესაც აუცილებელი ხდება ჩვენთვის საინტერესო ბრუნვა გაიმიჯნოს მიმართულებითი ბრუნვისაგან: შდრ.: იმად არა ღირს და: იმის და მიუხედავად... მის და მიმართ...

როგორ უნდა შევარჩიოთ ჩვენთვის საინტერესო ბრუნვისათვის ტერმინი? ერთად ერთი საშუალებაა ამ ბრუნვის მნიშვნელობის გათვალისწინება. ბრუნ-

<sup>1</sup> როგორც ცნობილია, ძვ. ინდურ გრამატიკაში ბრუნვები რიგითი რიცხვითი სახელით აღნიშნებოდა (პირველი ბრუნვა, მეორე ბრუნვა... შდრ. პირველი უღვლილება, მეორე უღვლილება...). ტერმინებად სახელმს არ ხმარობდნენ.

ვის მნიშვნელობას ჩვეულებრივ კითხვის საშუალებით არკვევენ; კითხვებად გამოყენებული სახელები (კინ? რა?) წარმოადგენენ ალგებრულ ფორმულას, კითხვად ქცეულ სახელებს, რომელთაც თარგად ვიყენებთ სხვა ბრუნვათა გამოცნობისას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს თარგა ხშირად გვალაატობს, მეტადრე თანდებულისანი ბრუნვების შემთხვევაში (შდრ.: რას? მიწას... მაგრამ: სად? მიწაში: ორივე მიცემითი ბრუნვაა, კითხვა კი—სულ სხვადასხვა!). ამგვარ დაბრკოლებათა გამოა, რომ კითხვები არაა საიმედო საშუალება ბრუნვათა აგებულების გასარკვევად, მაგრამ ბრუნვის მნიშვნელობის გამოსამჟღავნებლად კითხვები მთლიანად გამოსადეგია (მით უმეტეს თუ ბრუნვა სიტყვა-წარმოებითს მომენტებსაც შეიცავს).

ჩვენთვის საინტერესო ბრუნვის ძირითადი მნიშვნელობა რამდენიმე კითხვას უპასუხებს.

### 1. რად?

- ... რად ესე მიყავ? რად არა მითხარ? დაბად., წიგნი პირვ. მოს., ოშკის 978 წლის ხელნაწ. ფოტოპირი, თ. 12 მუხ. 18-19
- ... და მოვიყვანე იგი თავისა ჩემისა ცოლად... იქვე, 12 19-20
- ... რამად მრავალთა ნათესავთა დაგადგინე შენ... იქვე, 17 5-6
- ... და დაგადგინო შენ ნათესავად და მეფენი შენგან გამოვიდენ... იქვე, 17 7-8
- ... და ჰრწმენა აბრაჰამს ლად და შეერაცხ მას სიმართლედ... იქვე, 15 6-7
- ... და დავამტკიცო აღთქუმაჲ ჩემი აღთქუმაღ საუკუნოდ... იქვე, 17 19-20
- ... შეწირე იგი მუნ მსხუერპლად... იქვე, 22 2-3
- ... მომეცით მე ადგილი საფლავად... იქვე, 23 4-5
- ... აწ ესერა ვიქმენ ორად ბანაკად... იქვე, 32 10-11
- ... არა ვღირდია ამბორის ყოფად... იქვე, 31 28-29
- ... და მისცა ლიას... ზელფა მკეველად... იქვე, 29 24-25
- ... და აღიღო ლოდი იგი და აღმართა ძეგლად... იქვე, 28 18-19
- ... და მოიღო ლოდი... და დაიდვა სასთუნლად... იქვე, 28 11-13
- ... დაჯედ ქურივად სახლსა შინა მამისა შენისა... იქვე, 38 11-13

### 2. სად?

ახალს ქართულში მიმართულებითი ბრუნვა ამ კითხვას ჩვეულებრივად არ იგუებს. კითხვაზე სად? მეტ-წილად მიცემითი მიუგებს, ისიც თითქმის ყოველთვის თანდებულისანი (თევზი წყალში არ დაფასდება... მთასა და ბარში... კლდესა და ღრეში...), მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მიმართულებითი ბრუნვაც მიუგებს კითხვაზე სად? მინდვრად გასვლა სამუშაოდ... ქალაქად და სოფლად...

ძვ. ქართულში კითხვაზე სად? საით? ჩვეულებრივია მიმართულებითი ბრუნვა.

- ... შევიდა აბრაჰამ ეგვბტედ... იქვე, 12 14-15
- ... და გამოვიდა აბრაჰამ ეგვბტით... და ლოტცა მისთანა უდაბნოდ... იქვე, 13 1-2

- ... და ისწრაფა აბრაჰამ შესვლად კარვად სარაჲსსა... იქვე, 18<sub>6-7</sub>  
 ... და მიაქციეს მისა და მივიდეს სოლომოდ... იქვე, 18<sub>22-23</sub>  
 ... მოვიდეს ორნი იგი ანგელოზნი სოლომოდ... იქვე, 19<sub>1-2</sub>  
 ... და წარვიდეს ქყნად ფილისტიმედ... იქვე, 21<sub>32-33</sub>  
 ... და გარდავიდა ერწოდ: და დადგა ჟალეთს... მოქც. ქართლ. შატბერდ.  
 კრებ. (საქართვ. მუზეუმის ხელნაწ. ფონდი № 1141), გვ. 440 a სვ.  
 ... მაშინ მოვიდა... პიტიახში: ტფილისად ქლქად ციხედ და ქართლი  
 მისსა ხარკსა შედგა... იქვე, 442 b სვ.  
 ... დასწულდა და წარმოემართა მცხეთად... იქვე, გვ. 440 b სვ.  
 ... და მისა ზევე სპარსთა მეფობად მცხეთად მოვიდა... იქვე, გვ. 444 b სვ.  
 ... ქართლად მოსლვითგან მეათხუთმეტესა წელსა... იქვე, 441 a სვ.  
 ... განვიდა იაკობ და წარვიდა ქარანდ... დაბად. წიგ. 1. თავი 28<sub>10-11</sub>

### 3. როდის?

- ... ამისა შემდგომად წარვედით... იქვე, 24<sub>35-36</sub>  
 ... ჰამეთ და ამისა შემდგომად წარვედით... იქვე, 18<sub>5-6</sub>  
 ... სადა იგი ექმნა მას პირველად... იქვე, 13<sub>4-5</sub>

### 4. სანამდის? (როდემდის?)

ამ კითხვაზე ჩვენთვის საინტერესო ბრუნვა მიუგებს ახალ-ქართულშიაც, მიუგებდა ძველ-ქართულშიც.

- ... მდინარითგან ეგვიპტისაჲთ ვე მდინარედმდე დიდად ევფრატად...  
 იქვე, 15<sub>18-19</sub>  
 ... და ჰამეს ვე დაძინებადმდე... იქვე, 19<sub>31-4</sub>  
 ... ესე არს მამაჲ მოაბელთაჲ ვე დღენდელად დღედმდს... იქვე, 19<sub>37-38</sub>  
 ... და იყო ვე აღსრულებადმდე მისა სიტყვსა ამისა... იქვე, 24<sub>15-16</sub>  
 ... და დაეშინა ევილათითგან... ვე მოსვლადმდე ასურასტანელთა...  
 იქვე, 25<sub>18-19</sub>

5. კითხვაზე — როგორ? ეს ბრუნვა ზმნისართული მნიშვნელობისაა; ამ მნიშვნელობით ეს ბრუნვა ხშირია ახალ-ქართულშიაც და ძვ. ქართულშიაც.

- ... გამოვწერტე კარგად კარგად ყრვე სამოციქულოჲ წიგნი... საქ. მუხ. ხელნაწ. № 1138, 6<sub>3</sub>  
 ... და მე ესერა დატევებულვარ უშვილოდ... დაბ. 14<sub>2-3</sub>  
 ... და თქა ქეშმარიტად ვშვემეა... იქვე, 18<sub>13-14</sub>  
 ... და უთხრა მას მსგავსად სიტყვსა ამისა... იქვე, 24<sub>28-29</sub>  
 ... მეყსეულად რებეკა მოვიდოდა... იქვე, 24<sub>45-46</sub>  
 ... გეშინოდენ რ არა ცუდად კრმალი აბიეს... საქ. მუხ. ხელნაწ. № 1138, 49<sub>1</sub>  
 ... და წარვიდეს ორნივე ზოგად (= ერთად)... დაბ. 22<sub>6-7, 8-9</sub>

6. ცალკე განხილვას საჭიროებს ის შემთხვევები, როდესაც ამ ბრუნვაში მასდარია დასმული (... უკეთეთ ვინმე უძლოს ქუშაჲ ქუეყნისაჲ აღრა ცხად...); ამაზე სპეციალურს მოხსენებაში გვექნება საუბარი, აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ახალი ქართლისათვის ასეთი წარმოება უცხოა.

ჩამოთვლილ ძირითად მნიშვნელობათაგან ყველაზე მეტი ხვედრითი წონა აქვს 1, 2, 4, 5 (რად? სად? საით? სანამდის? როგორ?).

უკანასკნელი მნიშვნელობა, როგორც ეთქვით, ზმნისართულია; ზმნისართად ქცევა ნიშნავს უფორმო სიტყვათა კატეგორიაში გადასვლას, და მაშასადამე, სხვა ბრუნვებთან კავშირის გაწყვეტას; „კარგად სწავლობს“ — „მასწავლებლად ნიშნავენ“; „მასწავლებლად“ ჩვეულებრივი ბრუნვაა, ხოლო „კარგად“ ისეთივე ღირებულებისაა, როგორც „გუშინ, ახლა, შემდეგ, მუდამ“ (შდრ. კარგად სწავლობს — ახლა სწავლობს, მუდამ სწავლობს...). ამიტომ ზმნისართული მნიშვნელობა ამ ბრუნვისათვის სახელის შერჩევისას ამოსავალი ვერ იქნება: გაზმნისართება ბრუნვასთან კავშირის გაწყვეტას ნიშნავს. ზმნისართულ ფუნქციაზე შიუთითებს ტერმინები: „მოდალობითი“ (ბროსე), „ზმნისზედითი“, „ზმნისზედათი“ (თ. ჟორდანიას, მ. ჯანაშვილი). ამათი საკითხი, ამგვარად, უნდა მოიხსნას.

რჩება სამი მნიშვნელობა: რად? სად? (საით?) სანამდის? ბუნებრივია, თუ უპირატესობა მიეცემა პირველს (რად?)<sup>1</sup>. ამის შესაბამისი იქნებოდა ტერმინი „გარდაქმნითი“ (ჩუბინაშვილისა და პ. კვიციანიძისა), უხერხული ოღონდ ისაა, რომ „რად გარდაქმნაო“ არ ამბობენ. ჩვეულებრივად ითქმის: „რად გადაიქცა?“ ამის შესაფერისად ნაწარმოები ტერმინი იქნება „გარდაქცევითი“ (transformativus).

რა თქმა უნდა, პრინციპის საკითხი არ არის, რა სიტყვისაგან იქნება ტერმინი ნაწარმოები; არსებითია ის ემყარებოდეს ამ ბრუნვის ისეთ მნიშვნელობას, რომელიც მისთვის, როგორც ბრუნვისათვის, არის ნიშანდობლივი.

ქვემოთ ამ ბრუნვისათვის ნახმარი იქნება „გარდაქცევითი“.

გარდაქცევით ბრუნვასთან რამდენიმე მთავარი საკითხია დაკავშირებული ქართული და სხვა ქართველური ენების ისტორიაში. სახელდობრ:

1. რა არის ამ ბრუნვის ფლექსია?

2. როგორი წარმოშობისაა „ფრიად“, „ძნადა“, „მალიად“ და მაგვარი ფორმები ძველ ქართულში?

3. როგორ უნდა აიხსნას „სახილ“, „სიკუდილ“ და მსგავსი ფორმები ძველი ქართულისა?

4. რა მნიშვნელობისა იყო ამ ბრუნვაში დასმული მასდარი (სახელზმნა) ძვ. ქართულში და რა ტენდენციები გააჩნდა მას?

აქ შეეჩერდებით მხოლოდ პირველ კითხვაზე: რა აწარმოებს გარდაქცევით ბრუნვას? ერთის შეხედვით, ეს არც არის კითხვა: ბრუნვის ნიშანი — დ არის; მართლაც, ხმოვანზე დაბოლოებული ყველა ფუძე ამყამად სალიტერატურო ქართულში — დ-ს დაირთავს: ძმა-დ, კლდე-დ, კალო-დ, ყრუ-დ... ზოგ კილოში აქ — თ გვაქვს, მაგრამ ეს — თ, ცნობილია, რომ — დ-საგან არის მიღებული. ძველი

<sup>1</sup> უკანასკნელი ორი მნიშვნელობა მეტ-ნაკლებად მხარს უჭერს ტერმინს „მიმართულებითი“. განსაკუთრებით ძვ. ქართულისათვის. მაგრამ ამ ტერმინს ზოგიერთი უხერხულობა ახლავს (იხ. ზევ. გვ. 12).

<sup>2</sup> ბრუნვები ყველგან არაემფატიკური სახითაა აღებული.

ქართულისათვის ხომ -დ-ს და თ-ს საკითხი აღარც დგას: იქ მხოლოდ და მხოლოდ -დ- გვაქვს.

მაგრამ რაღა ვუყოთ თანხმობებზე დაბოლოებულ ფუძეებს: კაც-ად, ნათესავ-ად, დიდ-ად, მრავლ-ად...? თუ ბრუნვის ნიშანი დ- არის, რაღაა ეს წინამავალი -ა? პროფ. ა. შანიძე წერს: „ენებიზში ბრუნვითი ნიშანი ნამდვილად მარტო -დ- არის, მაგრამ მის წინ -ა- ისტორიულად არის განვითარებული თანხმობიანი ფუძის შემდეგ“ („ქართული გრამატიკა“. I. მორფოლოგია, § 24, გვ. 23).

სამწუხაროდ, აქ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რატომ და როგორ განვითარდა აქ ა. ცხადია, ავტორს მხედველობაში ჰქონდა ისეთი შემთხვევები, როდესაც თანხმობიანზე დაბოლოებული ფუძე ძვ. ქართულში მხოლოდ დ-ს დაირთავდა: ბეთლემ-დ, იერუსალჰმ-დ, სეგორ-დ...

... აღვიდა იოსებცა... ნაზარეთით... ქლ'აქდ დ'თისა ბეთლემდ... საქ. მუზ. ხელნაწ. № 19, გვ. 26.

... მუნვე მიექცე სიონდ... იქვე, გვ. 159<sub>2</sub>

... ვე მოსლვადმდე სეგორდ... დაბ. ოშკის 978 ხელნაწ. ფოტოპირი, თავი 13<sub>10-11</sub>

... და ლოტ შევიდა სეგორდ... იქვე, თავი 19<sub>23-24</sub>

... იტყოდეს რაჲ წარვიდეთ დოთაიმიდ და წარვიდა იოსებ და პონა იგინი დოთაიმი... იქვე, თავი 37<sub>17-18</sub>

... აღდეგ და აღვედ შენ ბეთელდ... თავი 35<sub>1-2</sub>

... და განვიდა იაკობ და წარვიდა ქარანდ... თავი 28<sub>10-11</sub>...

პროფ. ა. შანიძის გაგების სასარგებლოდ ლაპარაკობს -დ ფორმანტის გამოყენება სვანურში თანხმობიანზე<sup>1</sup> დაბოლოებულ ფუძეებთანაც:

ქორდ: ალა ქორდ მაკუ—ეს სახლად მიინდა... ხეხუდ: ადჟე ეჯა ხეხუდ წაიყვანა იგი ცოლად... ლეზობდ — საქმლად, ეზარდ — კარგად...

... დინალ მაგ აშხუდ ათშედდახ ჟისგუარს... ქალიშვილები ყველა ერთად მიცვიდნენ ვაშლებს... სვან. ზღაპ. Собр. мат. по опис. местн. и плем. Кавк. ტ. X, განყ. II, გვ. 162.

... ჩუადგანებ არა მარე ყარვილდ... დაყენეს რვა კაცი ყარაულად. იქვე, გვ. 164.

... აღ მახა მოზნანისგა რაშარ ხოშად აჩხაფხ... ამ ახალ მოსამსახურებთან რაშები უფრო („უფროხსად“) გახდნენ... იქვე, გვ. 164.

... დინა მიჩა გეზლა ხეხუდ ხეკვად... ქალიშვილი თავისი შვილისთვის უნდოდა ცოლად... იქვე.

... ხოშა ლავდილა კასარდ მიჩა გეზლა ხეხუდ მოზნანად ოთგანე... უფროსი დები მეფემ თავისი შვილის ცოლს მოსამსახურედ დაუყენა („დაუდგინა“)... იქვე.

... ჩეი ქორს ხარ ჟომდუტ კუთხუ ი თითუ ჟერვი მარე ყარვილდ ათგანედ ლუთოფდ ი ლუტუბაჩად... თუნუქის სახლს აქვს ოთხი კუთხე და თითოს ორი კაცი ყარაულად დაუყენეთ თოფიანად და დამბაჩიანად... იქვე.

<sup>1</sup> ხმობებზე დაბოლოებულ ფუძეებს ხომ -დ აქვთ: წირნი -დ—წითლად...

ეს ფაქტები უადრესად ანგარიშგასაწევია, მაგრამ არ შეიძლება იმ შემთხვევების დავიწყებაც, როდესაც თანხმონით დაბოლოებული ფუძე -დ-ს კი არ დაირთავს, არამედ მხოლოდ -ა-ს:

- ჯოჯოხეთ-ა:** ...და შთავლინოთ სიბერც ჩემი ჯოჯოხეთა... დაბ: წ. I თავი 42<sup>38</sup>  
 ...შთავიდე მე ძისა ჩემისა თანა ჯოჯოხეთა... იქვე, 37<sup>35-36</sup>
- სალოცველ-ა:** ...დავაწერიე სწიერსა ძმასა ჩემსა ივანე საფარელსა სალოცველა სულისა ჩემისა... საქართ. მუზ. ხელნაწ. № 968, ანდერძი (ბოლოს).  
 ... და სალოცველა სულთა გარდაცვალებულთათვის... ჰადიშის ოთხთავი, ანდერძი (იქვეა ნახმარი რამდენიმეჯერ „სალოცველად“).
- სადიდებელ-ა:** ამენი ღა სადიდებელა ჩნ მიერ... საქართ. მუზ. ხელნაწ. № 1138, ფ. 86<sup>35</sup>
- მოუკლებელ-ა:** და ამისთვისა ვჰმადლობ ღმერთსა მოუკლებელა... იმავე ხელნაწერში, ფ. 136 v.
- საბერძნეთ-ა:** ხ მეტემან წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთა და ითხოვა... მოქც. ქართლ. საქართვ. მუზეუმის ხელნაწ. № 1141 შატბერ. კრებ. გვ. 443 ხ სვ.
- სივნიეთ-ა:** და მისა ზევე სპარსთა მეფისა მარზაპარნი შემოვიდეს სივნიეთა... იქვე, 442 ხ სვ.
- თოშეთ-ა:** ესმა ესე და გარდაკრბეს თოშეთა... იქვე, 440 a სვ.

ეს -ა- შემთხვევითი არ არის გარდაქცევითი ბრუნვისათვის; ამას ნათელყოფს:

ა) მეგრული, ბ) ზოგ ქართულს კილოში შემონახული წარმოება და გ) თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ზოგიერთი ჩვენება.

ა) მეგრულში გარდაქცევითი ბრუნვისათვის თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან -ო იხმარება: კოჩო მიმოჩქულუ = კაცად მიმანდა... მეზობლო მიყუნდუ ( || ჰყუნდუ) = მეზობლად მყავდა... ხე მანგარო ქომოკინდუ = ხელი მაგრად მოკიდა... ოჭარალო — საწერად, ოკეთებლო — საკეთებლად, ოქიმი-ნალო — საქმნელად, ოყვილარო — მოსაკლავად და სხვ.

მეგრულის ეს -ო ქართულისთვის -ა-ს გვაგარაულებინებს; შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, ხომ არ იყო მეგრულში თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან -ს გარდა დ-ც (ე. ი. -ოდ || -ოთ) და ხომ არ დაიკარგა ბოლოკიდური -დ-; მაგრამ ეს ეჭვი უსაფუძვლოა: მეგრულში იკარგება ბოლოკიდური -ნ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მეტ წილ შემთხვევაში იჩრდილება (და ხმოვნების წინ ისევ აღდგება: რე(ნ) — რე-ნ-ო?), მაგრამ დ-არც იკარგება და არც იჩრდილება. ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან მეგრულს ჩვეულებრივად თ — დ აქვს (ჯიმა-თ, მოჯგირე-თ, მოკო(რ)დუ...), რაიც მოწმობს აგრეთვე იმას, რომ მეგრულში თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან -დ არ დაკარგულა...

ჭანურში გარდაქცევითი ბრუნვა არა გვაქვს („დილო“ და ორიოდე ამგვარ მაგალითში ეს ფორმა შეთვისებული ჩანს); ამიტომ შეიძლებოდა კითხვა

ენიმიკი-ს მოამბე, ტ. I.

დასმულიყო: ხომ არ არის მეგრულშიც ეს ბრუნვა ქართულიდან შემდეგ შეთვისებული? მაგრამ ასეთ შემთხვევაშიაც მეგრულის -ო- ქართულში -ა-ს სასარგებლოდ შისცემდა ჩვენებას.

ერთი სიტყვით, როგორც არ უნდა განიმარტოს გარდაქცევითი ბრუნვის საკითხში მეგრულის ვითარება, ერთი მაინც უდაოა: მეგრულთან შედარება ქართულში -ა-საც გვაგვარაუდებინებს გარდაქცევითი ბრუნვისათვის.

მ. ჯანაშვილის მიერ ჩაწერილ ინგილოურ ტექსტებში ხშირია -ა-თი წარმოებული გარდაქცევითი ბრუნვა ზმნისართული თუ სხვა ფუნქციით:

- ... დღელს ატკინი სახლ კეწიფე - დედუფლიანა, იმათ. შტლებიანა, ნაზირ - ვეზირებიანა, მოჯამაგირე - სავაზიროებიანა და გასდგომი გზას... იხ. ძვ. საქართველო. ტ. II, განყოფ. IV, გვ. 188
- ... მისულ, ცეცხლთან ნაღვლიანა დამუდარ... იქვე, გვ. 201
- ... თითო ლოკმაზე თითო ლავაშ ერთა გადაუყლაპი... იქვე, გვ. 189
- ... შეგრუებულან ერთა, ერთმანეთიბეა თავი დერდ ჰუთქომუ... იქვე, გვ. 208
- ... ფენურებ მაგრა დაუკლეთიყ... იქვე, გვ. 189
- ... კარ შივნიით მაგრა დაუკლეთიყ... იქვე, გვ. 190
- ... ჰურბენი ყურდღელ დასაჭერელა... იქვე, გვ. 187
- ... რაბე მოსულხარა? შენ შესაჭმელა... იქვე, გვ. 183, 184
- ... ფართალ დააგა, დაწო დასაზინებლა... იქვე, გვ. 192
- ... მაშაა წაჟდა ქალები საზებნელა... იქვე, გვ. 193
- ... ერთ ოთალ... კაც დააწოღელა (= დასაწოღად), ფართალ დააკეცლა (= დასაკეცად), ჩხებით ჰარალ დაჰაკიჭებელა (= დასაკიდებლად)... იქვე, გვ. 206
- ... დედამ კაც გუღით თეთრ მათნელა გაგზავნა... იქვე, გვ. 193
- ... სახლში შაასლელა (= შესასლელად) მიწამს არ ჰუშებენ... იქვე, გვ. 196
- ... დააწეწელა (= დასაწეწად) არ ჰუშებსავ... იქვე, გვ. 200
- ... შეუგრუები თავი ზროხაა აგივ მააკლელა (= მოსაკლავად)... იქვე, გვ. 200
- ... ირემ ეგონებ, ჩომოვ მააკლელა... იქვე, გვ. 207.

ბ) იმერულს მეტყველებაში დღემდის მოღწეულია ამგვარი გამოთქმები: ცოლშვილიანა, ძირფესვიანა, დედაბუდიანა... ლიტერატურულს მეტყველებაში აქ ყველგან -დ გვექნებოდა ბოლოს: ცოლშვილიანად, ძირფესვიანად, დედაბუდიანად...

ამგვარად, ზემოხსენებულს დიალექტურს ფორმებში შემონახულა გარდაქცევითი ბრუნვა -ა- დაბოლოებით (მოსალოდნელი -ად-ის ნაცვლად).

გ) თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც ზმნისართების წყება -ა-ზე ბოლოვდება: შალა, დაბლა, ახლა, ნელა, ჩქარა... წარმოშობით ეს ისეთივე ზმნისართებია, როგორც: სწრაფად, მაგრად, ურყევად, გრძლად, სქლად, წვრილად და სხვ.

მაშასადამე, ამით ისევ -ა გამოდის გარდაქცევითი ბრუნვის მაწარმოებელი თანხმონით დაბოლოებულ ფუძეებთან.

ამასთან დაკავშირებით ძალა-უნებურად ყურადღებას იქცევს -მდე თანდებულის წინ გარდაქცევითი ბრუნვის -დ ნიშნის დაქარგვა; ტფილისამდე, ქალაქამდე, სოფლამდე (ანდა: ტფილისამდის, ქალაქამდის, სოფლამდის). ნახვამდის... რას უნდა გამოეწვია -დ-ს დაქარგვა -მდე || -მდის თანდებულის წინ? ნუთუ: ტფილისამდე, ქალაქამდე, სოფლამდე... ისეთ ძნელ კომპლექსებს შეიცავდა, რომ მათი გამარტივება გამოთქმის გასაადვილებლად რყო საჭირო? ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ -დ-ს დაქარგვა ასეთ შემთხვევაში გააადვილა იმ გარემოებამ, რომ მხოლოდ -ა- საჭმარისი იყო — გარკვეულს დიალექტებში მაინც — გარდაქცევითი ბრუნვის საწარმოებლად! საგულისხმოა, რომ ძველ-ქართულშივე გვაქვს -დ-ს დაქარგვის შემთხვევები -მდე- თანდებულის წინ: ...მე იცმითგან... ვე ი ღ ჯ რ ი კ ე მ დ ე მივივლინე (საქართვე. მუხ. ხელნაწ. № 1138. ფ. 52 r).

რა მივიღეთ გარდაქცევითი ბრუნვის საწარმოებლად ძვ. ქართულში? ხმოვნების შემდეგ -დ, თანხმოვნების შემდეგ ორი მაჩვენებელი: -ა და -დ. როგორც წესი, ძვ. ქართულში თანხმოვნების შემდეგ -ა-დ გვაქვს (კაც-ა-დ, პირ-ა-დ...), მაგრამ ნაშთის სახით შემორჩენილია მარტოოდენ ა-ც (სალოცველ-ა) და მარტოოდენ -დ-ც (ბეთლემ-დ).

დ-სუფიქსს ხშირად -ა მოსდევს ახალს ქართულში: -ცა ნაწილაკის წინ ეს -ა ყოველთვის გამოჩნდება — კაც-ა-დ-ა-ც, აშხანა-გა-დ-ა-ც, ძმა-დ-ა-ც... ეს -ა იმავე ლირებულებისა უნდა იყოს, როგორც მიცემითსა, ნათესაობითსა და მოქმედებითში ბრუნვის ნიშნებს დართული -ა: ძმა-ს-ა-ც, ძმ-ის-ა-ც, ძმ-ით-ა-ც... როგორც ცნობილია, ეს -ა ბრუნვის ნიშანს არ ეკუთვნის. მხოლოდ ამიტომ არის შესაძლებელი, რომ ის მეორდება სხვადასხვა ბრუნვაში (მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და გარდაქცევითში). თუ ეს -ა ახალ ქართულში არ მიიჩნევა ბრუნვის ნიშნის ნაწილად, მით უფრო ეს ითქმის ძვ. ქართულის შესახებ: ძვ. ქართულში ბრუნვის ნიშნად -დ- უნდა გამოიყოს (და არა: და). ამასვე გვაფიქრებინებს სვანური.

გარდაქცევითი ბრუნვისათვის ორი აფიქსი მივიღეთ: -ა- და -დ. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხი ისმის, მაგრამ, სანამ მათ შევხებოდეთ. საჭიროა ჩვენთვის საინტერესო ბრუნვის შესახებ აკად. ნ. მარის აზრი გავითვალისწინოთ. „ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკაში“ (ლენინგ. 1925 წ.) ის წერს: ა-ხმოვნიანი მიცემითი — ეს წიგნური განუსაზღვრელი სახის წარმოება, გამოხატავს წინადადების ნაწილს კითხვებზე —საით, როდის ანდა როგორ. პირველ კითხვასთან დაკავშირებით ბრუნვა ფუნქციონალურად იწოდება მიმართულებითად: საბერძნეთ-ა, თოშეთ-ა, ჯოჯობეთ-ა. ერთ-ა ( || საი-დან? — ა. ჩ.). კითხვაზე — როდის? მიმართულებითი გვხვდება ზმნისართების გაქვავებულს ფორმებში. მაგ. ახლა. სიტყვა „ახლა“ ადის მიცემითის სრულ ფორმამდის -ან: ახლ-ან-დ-ელ-ი. როგორც ზმნისართი კითხვაზე — როგორ? რანაირად? ეს ბრუნვა გვხვდება უპირატესად ახალს ქართულში: ჩქარა, ნელა, ცქვიტა (? — ა. ჩ.). ხმოვნიანი მიცემითი ძველ საეროზო ლიტერატურაში გვევლინება ნაცვალსახელოვან ფუძეში ამ, იმ, რისათანაც მიცემითის ეს ფორმა გამოყენებულია, როგორც ნათესაობითი: იმა ყმისა მეუნებლე კორციელი არა ვინ ა“ (§ 40, გვ. 27).

და შემდეგ: „ჩვეულებრივი მიმართულებითი რთული ან თანდებულიანი ბრუნვა. იგი წარმოადგენს უბრალო მიმართულებითს -ა-თი ნაწარმოებს, საკუთრივ ხმოვნიან მიცემითს, დ-თანდებულთ, მაგალ.: საბერძნეთ-ი — საბერძნეთა-დ, ჯოჯოხეთ-ი — ჯოჯოხეთა-დ, კაც-ი — კაცა-დ, კელ-ი — კელა-დ. თანდებული -დ არის ნარჩენი მისი სრული სახისა -და, რომელიც I და II პ. პიროვნებითი ნაცვალსახელების მიმართულებითში გვაქვს“ (იქვე, § 41, გვ. 27—28).

აქ წარმოადგენილ შეხედულებაში ზოგი სავსებით სწორი აზრია გამოთქმული, მაგრამ იმრიგად დასაბუთებული, რომ ეს სწორი აზრი შემთხვევითის შთაბეჭდილებას სტოვებს.

რამდენადაც ქართველური ენების მონაცემთა ისტორია იქნება გათვალისწინებული:

1. სავსებით სწორია, როცა აკად. ნ. მარი აკავშირებს „ახლა“, „ნელა“, „ჩქარა“ ზმნისართებს და ისეთ ფორმებს, როგორიცაა „საბერძნეთ-ა“, „თოშეთ-ა“...;

2. სწორად მიგვაჩნია აგრეთვე დებულება, რომ „კაცად“-ფორმაში ორი აფიქსია -ა და -დ (კაც + ა + დ), მაგრამ,

3. არაა სწორი, თითქოს ეს -დ მიღებული იყოს -და თანდებულისაგან (და საერთოდ, ეს ბრუნვა „თანდებულიანი“ ბრუნვა იყოს); მაშინ გამოვიდოდა, რომ ძმა-დ, მამა-დ, წყარო-დ და სხვა ხმოვანზე დაბოლოებული შიშველი ფუძეები დაირთავენ თანდებულს, მაგრამ ასეთი ვარაუდი ეწინააღმდეგება ფუძის ცნებასაც და თანდებულის ბუნებასაც. ვარდა ამისა, ასეთ შემთხვევაში ძმა-დ, მამა-დ, წყარო-დ, კაც-ა-დ ჩვენ უნდა მიგვეჩნია ძმა-და, მამა-და, წყარო-და, კაც-ა-და-საგან მიღებულად, რაც არ შეეფერება ცნობილ ფაქტებს ქართველური ენების ისტორიიდან; ზევით უკვე იყო აღნიშნული, რომ გარდაქცევის ბრუნვაში უანო -დ არის ამოსავალი -და-ს-თვის და არა პირუტყუ; ამას გვეუბნება ძველი ქართულიცა და სვანურიც;

4. არაა სწორი, თითქოს -ან მიცემითი ბრუნვის სრული ფორმა იყოს სიტყვაში ახლ-ან-დ-ელ-ი (შდრ. გუშინდელი, ხვალისდელი, ძვ. ქართ. დღენდელი)...;

5. შეცთომია, თითქოს გარდაქცევითი ბრუნვის -ა (საბერძნეთ-ა, ჯოჯოხეთ-ა...) მიცემითის ნიშანი იყოს. ასეთი შეცთომა ქართულის არაბულთან ნათესაობის დაუმტკიცებელი დებულების შედეგად იყო მიღებული. მიმართულებითს აქვს ერთგვარი ფუნქციონალური კავშირი მიცემითთან, მაგრამ მათი გაიგივება დაუშვებელია: ესენი სხვადასხვა ფორმაციის ბრუნვებია. პირველთაგან თვით მიცემითს ქართულში -ა არ აწარმოებს. არაბულის მიცემითში -ა-ფლექსიის გამოყენება საკმარისი არაა, რომ ქართულისათვისაც ეგვემ მაჩვენებელი ვივარაუდოთ — წინააღმდეგ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებისა;

6. იმა, ამა-ნაცვალსახელებში ა-ს გამოცხადება მიცემითის ნიშნად წინა პუნქტში აღნიშნული უმართებულო დებულების გამოყენების შედეგია; იმა, ამა-ნაცვალსახელებში ბოლოკიდური -ა არც მიცემითის ნიშანია და არც სხვა რომელიმე ბრუნვისა: ის ფუძისეულია. ამიტომ მცთარია მტკიცებაც: „მიცემითის ეს ფორმა (იმა) გამოყენებულია, როგორც ნათესაობი-

თიო“... თუ წინათ მიცემითი და გარდაქცევითი იყო ერთმანეთში არეული, აქ მიცემითი და ნათესაობითი აირია...

გარდაქცევითი ბრუნვის თავდაპირველ ნიშნებად -ა და -დ-ს მიჩნევა კითხვას სვამს: რამდენად ეგუება ქართული ბრუნების ძირითად პრინციპს ორი მაჩვენებლის ქონა ერთი ბრუნვისათვის? აქი ქართულში ერთი ბრუნება გვაქვს, თითოეულ ბრუნვაში თითო ფორმანტია გამოყენებული ყველა სახელისათვის, ხოლო სადაც ერთი შეხედვით სხვაობაა (ძმაო! || ძმაგ! კაცო! ქვეყანაგ!), ორი სხვადასხვა მორფოლოგიური ოდენობა კი არა გვაქვს, არამედ ერთი და იმავე მორფოლოგიური მონაცემის ორი ფონეტიკური ვარიანტი (-ვ იგივე -ა, ფონეტიკურად დასუსტებული).

მაგრამ -ა და -დ ფონეტიკურად ერთმანეთს ვერ დაუკავშირდება: არც -ა მიიღება -დ-საგან და არც, პირუკუ, დ--ა-საგან: ფონეტიკა ამათს ურთიერთობას ვერ გაარკვევს, ეს ორი სხვადასხვა აფიქსია.

ქართველური ენებიდან მხოლოდ -დ-ს სვანური უკერს მხარს<sup>1</sup>, ძველი ქართული ორივე მაჩვენებელს იყენებს: -ა-საც და -დ-საც; ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან მარტოოდენ -დ გვაქვს, მას აქ დუბლერი არ გააჩნია (ძმა-დ). თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან კი, როგორც ნორმა, ა + დ გვაქვს (კაც-ა-დ), მაგრამ აქაც მოიპოება ნაშთები, როგორც მარტოოდენ ა-ს ხმარებისა (ჯოჯოხეთ-ა, სალოცველ-ა, სადიდებელ-ა...), ისე მარტოოდენ -დ-ს გამოყენებისა (ბეთელმ-დ, სიონ-დ, ბეთელ-დ, ქარან-დ...).

მეგრულს თ-ც (-თ -დ) აქვს გამოყენებული და -ო-ც (მეგრ. ო || ქართ. ა), ოლონდ სხვადასხვა ფუძესთან: თანხმოვანზე გათავებულთან -ო (კოჩ-ო კაცად, მეზობელ-ო — მეზობლად), ხმოვანზე გათავებულთან -თ (ჯიმა-თ — ძმად, და-თ — დად...), მაგრამ ორივეს ერთად ხმარებას არა ვხვდებით: -ო-თ ამ ბრუნვაში მეგრულმა არ იცის (შდრ. ქართ. კაც-ა-დ და მეგრ. კოჩ-ო, ცოლ-ა-დ ჩილ-ო...). ამგვარად, მეგრულში დაცულია ისეთი მდგომარეობა, რომელიც წინ უსწრებდა ქართულში კაც-ა-დ ტიპის ჩამოყალიბებას.

ეს ფორმანტები (-ა, -დ) ქანურში არა ჩანს<sup>2</sup>; ეს გვაფიქრებინებს, რომ ქანურისა და მეგრულის დიალექტური დიფერენციაცია მომხდარი ფაქტი იყო, როცა ბრუნვის ეს ფორმანტი ყალიბდება ქართულში და ჩნდება მეგრულში, როგორც გარდაქცევითი ბრუნვის აღმნიშვნელი. ამ დროისათვის მეგრულსაც და ქანურსაც უკვე გააჩნდა მიმართულებითი ბრუნვა (კოჩიშა — კაცისკენ): ამიტომ უცხოა მეგრულში ამ წარმოებისათვის მიმართულებითის ფუნქცია.

უფრო რთული, მაგრამ არსებითად ასეთივე მდგომარეობა გვაქვს სვანურში; სვანურსაც აქვს საგანგებო წარმოება მიმართულებითის ფუნქციით, -იწარმოება ის -თე სუფიქსით: ავითე აჩად — შინისაკენ („სახლისაკენ“) წავიდა...

<sup>1</sup> -დ მაწარმოებელი სვანურს მოთხრობითისთვისაც აქვს, მაგრამ ეს -დ სხვა წარმოშობისა ჩანს; იგი ორ ქართულს სახელში შემონახულ -მ-ს (მან, ვინ) კორელატია. საკითხს სპეციალური განხილვა სჭირდება.

<sup>2</sup> არ არის მოსალოდნელი იქაც ყოფილიყოს და შემდეგ დაეკარგოს ქანურს.

როგორია ისტორიული ურთიერთობა ამ ორი ფორმანტისა: ა-სი და დ-სი?

-დ და -ა ფორმანტების შეფარდებითი წონის გასათვალისწინებლად უნდა მოვიგონოთ, რომ -დ ქართულშიაც არის, მეგრულშიაც (-თ-ს სახით) და სვანურშიც, ა-კი ქართულსა და მეგრულს აქვს -ო-ს სახით, მაგრამ სვანურს კი --- არა...

მეორე მხრივ, -ა ფორმანტი დაუხვდა -დ ფორმანტს თანხმოვნაზე დაბოლოებულ ფუძეებთან, და დ-ს მოცილეობა ამგვარ ფუძეებთან (ბეთლემ-დ ტიპი!) მისი დამარცხებით გათავდა. ეს ცხადყოფს ა-ს სიძველეს. ყოველ შემთხვევაში, არც ერთი აფიქსია ჩვენი ენებისათვის შემთხვევითი და არც მეორე. ორივე დამახასიათებელია ქართველური ენების ძველი ვითარებისათვის. ეს ორი აფიქსი ქართველურ ენებში ორ სხვადასხვა ენობრივ ფენს განეკუთვნება. მათგან გარდაქცევითი ბრუნვის -დ ქართველურ ენებში ააშკარავებს იმ ფენას, რომელიც ხალღურისათვის (ურარტულისათვის) არის დამახასიათებელი.

ხალღური (ურარტული) ფორმანტი, რომელიც ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს, არის *edi* (-ედი); მას ი. ფრიდრიხი გამოყოფს, როგორც მიმართულებითი ბრუნვის (*Richtungskasus*) მაწარმოებელს ხალღურში: „მიმართულებითი ბრუნვა კითხვაზე „სად?“ „საით?“ მხოლოობითში იძლევა -*edi* (-ედი) სუფიქსს. განსაკუთრებით ეს ცხადია -ა და -უ ფუძეებთან: *kiuraedi* „მიწისაკენ“ (ფუძე *kiura*), *KUR Manaidi* „მანას ქვეყნისაკენ“<sup>1</sup>, *KUR Bustuedi* „ბუშტუს ქვეყნისაკენ“<sup>2</sup>. ი-ზე დაბოლოებულ ფუძეებთან ფუძის ბოლოკიდურ ი-სა და სუფიქსის თავკიდურ ე-ს შერწყმა იძლევა ე-ს: *ebanedi* „ადგილდ“, „ქუეყანად“ (ფუძე *ebani*), *d Haldedi* „ხალღისაკენ“<sup>3</sup> (იხ. J. Friedrich: *Einführung ins Urartäische Leiz.*, 1933, § 62, გვ. 13).

მრავლობითში იმავე ბრუნვისათვის ზოგჯერ იგივე სუფიქსი გვაქვს, რაც მხოლოობითში, ოღონდ ა-ს წამძღვარებით, ჩვეულებრივ კი სულ სხვა სუფიქსი -*aste*-ო (-აშტე), ამბობს ი. ფრიდრიხი (იქვე § 63).

ისეთ შემთხვევებს, როდესაც მიმართულებითის ნიშანი მხოლოდ -*di* სახით არის წარმოდგენილი, ი. ფრიდრიხი ხსნის ფონეტიკურ ნიადაგზე *ai*-ს და *a*-ს მონაცვლეობით: *KUR Biainaidi* || *KUR Bianaidi* || *KUR Bianadi*... (იხ. იქვე, § 18a, გვ. 4).

რა აქვს საერთო ამ ბრუნვასთან ჩვენი ენების დ-ს? ხალღურში (ურარტულში) ესაა მიმართულებითი ბრუნვა, ქართულში — გარდაქცევითი, იქ მას აწარმოებს -ედი, აქ კი მხოლოდ -დ?

რაც შეეხება მნიშვნელობას, უკვე ვიცით, რომ ძვ. ქართულში გარდაქცევითი ბრუნვის ერთი მთავარი ფუნქცია იყო მიმართულების აღნიშვნა (და სხუანი იგი მთად კერძო ივლტოდეს... დაბად. წიგ. I, თ. 14<sub>10-11</sub>... და წარვიდეს ქყნად ფილისტიმედ... იქვე, თ. 21<sub>22-23</sub>... რქს მიეახლა ეგვკტედ... იქვე, თ. 12<sub>11-12</sub>... სხვა მაგალითები იხ. აქვე, გვ. 13, 14, 16).

მართალია, ახალ ქართულში ეს ბრუნვა ასეთი მნიშვნელობით არ იხმარება, მაგრამ სწორედ ისაა განსაკუთრებით ფასეული, რომ მიმართულებითის

<sup>1</sup> ძვ. ქართულით: „მანას ქუეყანად“...

<sup>2</sup> ძვ. ქართულით: „ბუშტუს ქუეყანად“ (მაგ. წარემართა).

<sup>3</sup> ძვ. ქართულით „ხალღედ“.

მნიშვნელობა ამ ბრუნვას სწორედ ძვ. ქართულში ჰქონდა, რომ ეს მის წარსულს ახასიათებს და შემდეგ განვითარებული, მეორეული ფუნქცია არ არის, ე. ი., რაც უფრო ვუახლოვდებით ძველს ვითარებას, მით უფრო მატულობს მსგავსება (და არა პირუკუ!).

რაც შეეხება ბრუნვის მაწარმოებლებს, სხვა მკვლევრები - აკად. ნ. მარი, აკად. ი. მეშჩანინოვი მიმართულებითი ბრუნვისათვის -di-ს გამოყოფენ (იხ. Н. Марр. Надпись Сардура II сына Аргиштиа в Даш-керти на Чахирском озере. Петрогр. 1919, გვ. 28-29. - И. Мещанинов: Язык Ванской клинописи II: Структура речи, Ленингр. 1935, გვ. 157, 160). ი. მეშჩანინოვი სრულიად კატეგორიულად აცხადებს: „ხალდურს ენაში სავსებით ზუსტად დასტურდება მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოება -di“ (გვ. 157, იხ. აგრეთვე გვ. 160)... აკად. ნ. მარისა და აკად. ი. მეშჩანინოვის შეხედულება ამ დაბოლოების შესახებ იმ მხრივაც საგულისხმოა, რომ სხვადასხვა თვალსაზრისზე მდგომ, სხვადასხვა წესებით მომუშავე მეცნიერთა დასკვნა არსებითად ერთნაირ შედეგს გვაძლევს. ეს კი მნიშვნელოვანია, თუ მოვიგონებთ, რომ არიან ისეთი მეცნიერებიც, რომლებიც მიმართულებითი ბრუნვის საკითხს ხალდურში სულ სხვაგვარად უყურებენ<sup>1</sup>.

თუ მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოების (-edi) ხმოვანთა საკითხს თვით ი. ფრიდრიხის შეხედულების ნიადაგზე განვიხილავდით, ჩვენს ყურადღებას მიიქცევდა ორი ადგილი ი. ფრიდრიხის გამოკვლევისა, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ -edi (-ედი) ფორმანტისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ხმოვნებს კი არა აქვს, არამედ თანხმოვან -d(-დ)-ს. სახელდობრ: 1. ი. ფრიდრიხი თვითონ შენიშნავს, რომ „მიმართულებითი ბრუნვის ფორმანტი“ -idi (-იდი) სახითაც იწერებაო (§ 62, გვ. 13, შენიშვნა 1); 2. მიმართულებითის ამ -edi- ფორმანტს ის უკავშირებს ინფინიტივის მაწარმოებელ -de-ს: „ინფინიტივი უნდა ბოლოვდებოდეს -de-თი და უნდა გვექონდეს წარმოდგენილი ფორმაში arede „მიცემა“ („zu geben“ ფუძისაგან -aru). თუ ეს ფორმა სწორად არის გაგებული -ede კავშირში იქნება სუფიქსთან -edi (იქვე, § 37, გვ. 8).

ი. ფრიდრიხის ეს ვარაუდი ჩვენთვის ორი მხრით არის საინტერესო: ჯერაა და, მკვლევარი აქ ერთმანეთს უკავშირებს ისეთ აფიქსებს -edi (|| idi), ede || de, -- რომელთაც უცვლელ ინგრედიენტად მხოლოდ -დ მოეპოებათ; თუ ეს შესაძლებელია ერთსა და იმავე ენაში, მით უფრო მეტს განსხვავებას აიტანს ორი ენის მასალებში დადასტურებული საერთო მაჩვენებელი. ესე იგი, არაფერი შეუძლებელი არ არის

<sup>1</sup> წამოყენებულია, მაგალ., დებულება, რომ ხალდურში მიმართულებითის ნიშანია -a (იხ. ჟურნ. «Revue d'Assyriologie et d'Archéologie Orientale», vol. 32, № 1, Paris. 1935, გვ. 40); მასვე აქვს დანიშნულებითისა და ლოკატივის ფუნქცია: de (-edi) კი წარმოადგენს თანდებულს, დანიშნულების აღსანიშნავად ნახმარს (იხ. იგივე ჟურნ. ტ. 30, № 1 (1933 წ.), გვ. 28). სემიტოლოგმა დოქ. გ. წერეთელმა ყურადღება მიაქცია იმ დამთხვევას, რომელსაც ასეთ შემთხვევაში მივიღებდით ხალდურის -a-სა და ჩვენი მიმართულებითის მეორე მაწარმოებელ -a-ს შორის. ქართველურ ენებში ასეთ ვარაუდს დიდი სიმძლევეები ელოდება.

იმაში, რომ ხალდურში მიმართულებითისათვის სპეციფიკურად მხოლოდ -დ დავსახოთ<sup>1</sup>.

შემდეგ: ი. ფრიდრიხი შესაძლებლად თელის დააკავშიროს ინფინიტივი და მიმართულებითი ბრუნვა. ასეთი რამ ძვ. ქართულშიაც დემონსტრაციულად წარმოგვიდგება (...ესე გიღირდა ყოფად და იგი არა დატევებად... ჰადისის ოთხთავი, მათე, თავი XXIII, მ. 23... *Haec oportuit facere et illa non omittere...* *Сие надлежало делать и то не оставлять...* და ვერვინ შემძლებელ იყო მიგებად მისა არცა იკადრა ვინ მიერთგან კითხვად მისა არლარა... იქვე თავი XXII, მ. 46... *Et nemo poterat ei respondere quicquam neque ausus fuit quisquam ab illo die amplius eum interrogare...* *И никто не мог ему отвечать ни слова и с того дня никто уже не смел спрашивать его...*).

ხალდურში მიმართულებითისა და ინფინიტივის დაკავშირება ი. ფრიდრიხისათვის მხოლოდ შესაძლებლობაა, ძვ. ქართულში კი მიმართულებითისა და ინფინიტივის ამ ჩანასახის ანალოგიური კავშირი უდაო ფაქტია. ეს გარემოება ი. ფრიდრიხის ვარაუდსაც მხარს უჭერს, ძვ. ქართულისა და ხალდურის სამიმართულებო ნაწილაკების დაკავშირების სასარგებლოდაც ლაპარაკობს<sup>2</sup>.

კავკასიური ენებიდან ხუნძურში (ავარულში) ფართოდ არის გამოყენებული -და, -დე მაწარმოებლების მქონე ლოკატივები. პირველი წარმოება მიუგებს კითხვაზე სად? მეორე — საით? „რისად“? მაგალითად: ბაზარ (ბაზარი), ბაზარ-ალ-და (ბაზარზე)... ბაყ (მზე) — ბაყ-ალ-და (მზეზე), რაკ (გული) — რაკალდა (გულში, გულზე)... ვაც (ძმა): ვაც-ას-და — ძმაზე... ვაც-ას-დე — ძმისაკენ, უფრო ზუსტად „ძმისად“: დიცა აბუნა ვაცასდე — მე ვუთხარი ძმას („მე ვთქვი ძმისად“)... დუნ ინა მაყარდე — მე წავალ მთაში... თუ -დე-ზე დაბოლოებულ ფორმებს დაემატება -კუნ, მივიღებთ მიმართულების აღნიშვნას: ინა ვაც-ას-დე-კუნ — წავალ ძმისაკენ, ინა მაყარ-დე-კუნ — წავალ მთისაკენ (იხ. II. Услар. Этногр. Кавказа. III. Аварский язык, Тифл. 1889, § 59, 60, გვ. 68 — 77). ზოგ ხუნძურ თქმაში -და, -დე-ს ენაცვლება -ტა, -ტე... ასეა, მაგალითად, გუმბეტში: განჭიტა — ნაცვლად — განჭიდა-სი — „ქვაზე“ (იხ. იქვე, § 59, გვ. 69).

აქვე შევნიშნავთ, რომ დაბოლოება -ე ხუნძურში აღნიშნავს მიმართულებას (კითხვაზე — საითკენ?) სხვაგვარად ნაწარმოებ ლოკატივებშიც: ვაც-ას-უკ (ძმასთან), — ვაც-ას-უკ-ე (ძმისაკენ), ვაც-ას-უტლ (ძმის ქვეშ) — ვაც-ას-უტლ-ე („ძმის ქვეშისაკენ“)... მაშასადამე, -და, -დე მაჩვენებლებში დ-ს ხმოვანი დაერთვის და მიმართულებების აღნიშვნაც მას ეკისრება.

აკად. ნ. მარმა ხუნძური -და, -დე ლოკატივი ხალდურს დაუკავშირა: „სომხეთის ფარგლებში სრულებითაც არ იყო უცხო მოვლენა სწორედ ამ ბრუნვის ფორმის გამოყენება მიმართულებითისათვის, მასთან ყველა სახელებში,

<sup>1</sup> ქართულის მაგალითში: „დავებტები ცალ-ადა“-ში, როგორც ვიციო. არც ისე ადვილი აღმოჩნდა ბრუნვის ნიშნის გამოყოფა. ქართული ხომ ცოცხალი ენაა და აქ ამ ოპერაციისათვის შეუდარებლევ უკეთესი პირობებია.

<sup>2</sup> ზემოთ (იხ. გვ. 15) აღნიშნულია, რომ ინფინიტივის ამ ჩანასახის საკითხი ძვ. ქართულში ცალკე გვექნება განხილული.

როგორც ეს ხუნძურში გვაქვს, და არა მხოლოდ ზმნისართულს გამოთქმებში. ასე, მაგალ., განსაკუთრებით საინტერესოა აღვნიშნოთ მიმართულებითი ბრუნვის წარმოება ხალღურს ენაში, ვანის მეფეთა ლურსმულ ძეგლებში: ხალდი + ე + დი ხალდისაკენ, ბიანა-დი resp. ბიანა-დი და ბიანა-დი ბიანაში, ბიანისკენ“... (იხ. „Непочатый источник истории Кавказского мира“, Изв. Ак. Наук, 1917, გვ. 310).

ამავე ხუნძურ -და-, -დე-ს პოულობდა აკად. ნ. მარი ქართ. ზმნისართში „სადა“ და თანდებულებში მ-დე || მ-დი: სანამ-დი, მანამ-დი, სახლამ-დი... და გარდა ამისა სვან. -თე-ში, ჭან. -თე-ში (იქვე, გვ. 309). ყველა ამ შემთხვევაში დალისტნის ენათა ნორმებია მოწოდებული გაარკვიოს საკითხი („лезгинскими нормами объясняются некоторые особенности в грамматике или армянского или грузинского языка“... იქვე, გვ. 309).

ხუნძურისა და ქართველური ენების ზემოხსენებულ ურთიერთობის შესახებ შემდეგი უნდა ითქვას:

1. ჭანური -თე (ზუსტად: -ითე) მოქმედებითი ბრუნვის ნიშანია (კოჩითე, ჯუმათე -- კაცით, ძმით) და ლოკატივებთან დაკავშირებით ისევე არაა მოსატანი, როგორც ქართული მოქმედებითი (ეს უკანასკნელი არც აქვს აკი მოხსენებული აკად. ნ. მარს!).

2. სვან. -თე მნიშვნელობით მეტ-ნაკლებად უდგება ხუნძურ -დე-ს, -- ისიც მიმართულებითია, მაგრამ საეკვოა, რომ იგივე მონაცემი იყოს: სვანურში დ-ს თ-დ გადაქცევისათვის საფუძველი არა გვაქვს. ბოლოკიდური დ-ც კი არ ცვლილა -თ-დ (შდრ. სვ. ხუპრიდ, ხპრიდ -- ქართ. ვართ, ხართ...); მით უფრო ძნელი წარმოსადგენია, რომ ხმოვნის წინ მომხდარიყო ეს...

3. სახლა-მ-დი-ს -დი და ხუნძური ლოკატივის -დე შეიძლება ერთმანეთს შეეუღაროთ, თუ ხუნძურის ამგვარ წარმოებას (ვატ-ას-დე...) მივიჩნევთ თანდებულიან ბრუნვად: ასეთი რამ არ არის გამორიცხული, რა თქმა უნდა. ოღონდ მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ხუნ. ლოკატივის -და-, -დე-ში ხმოვნები სპეციფიკური საამნაწილაკო არ არის, ისინი სხვა ლოკატივებშიც გვაქვს მაშინ, როდესაც ქართულში, არავის დაუმტკიცებია (და არც უთქვამს), რომ თანდებულ მ-დე || მ-დი-ს ხმოვნები (-ე || -ი) ასეთ ცვალებად ინგრედენტებს შეიცავდეს. მერე კიდევ: თუ ხუნძ. ლოკატ. -და-, -დე თანდებულიან ბრუნვად გავიგეთ და ქართულ თანდებულიან „სახლა-მ-დი“-ს დავუკავშირეთ, ხალღურისა და ხუნძურის დაკავშირება მოიხსნება: ხალღურში მიმართულებითი აკად. ნ. მარის გაგებით თანდებულიანი ბრუნვა არაა<sup>1</sup>.

4. სა-და-ს -და და ხუნძ. ლოკატივის -და ერთ სიბრტყეზე არ დაისმის: ქართულში ეს -და ნა-ს კორელატია: შდრ. სა-და, სა-ნა (დიალექტ.), სა-და-მდის, სა-ნა-მდის... ეს -ნა სხვაგანაც გვაქვს და გარკვეულ ნაცვალსახელურ დეტერმინანტად გვევლინება...

<sup>1</sup> სამაგიეროდ, ვინც ხალღურის მიმართულებით თანდებულიან ბრუნვად მიიჩნევს, მისთვის არავითარი დაბრკოლება არ იქნებოდა ეს მიმართულებითი დაკავშირებინა ხუნძური ლოკატივისათვის და ქართული თანდებულიანი მიმართულებისათვის.

5. დასასრულ, კითხვა ისმის: რატომ ლეკური ენების მონაცემებით უნდა აიხსნას ქართული და სომხური და არა პირუკუ: სომხურითა და ქართულით — ლეკური, ანდა კიდევ, ხალღურით — სამივე? ასეთი უპირატესობა ლეკურ ენებს ამ შემთხვევაში არა აქვთ.

მ-დე, მ-დი-ს შესახებ მსჯელობისას აკად. ნ. მზრი გაკვრით, შენიშვნაში ქართული მიმართულებითი ბრუნვის დ-საც იგონებს: „ამ დაბოლოების (-დი; გადანაშთი, უხმოვნო, ჩვენა გვაქვს დ-ს სახით რთულ მიმართულებითში: სახლ-ა-დ, ხოლო არქაულად ძველს სალიტერატურო ქართულში და უბრალო მიმართულებითში: იერუსალემ-დ, რაიც თავის მხრივ კავშირშია სათანადო 'ბრუნვის' დ-თი წარმოებასთან სვანურში“ (იქვე, გვ. 309, შენიშვნა 2).

სამწუხაროდ, აკად. ნ. მარს არაფერი აქვს ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მ-დე || მ-დი თანდებულისაგან ქართულში მიგველო -დ მიმართულებითი ბრუნვისა. ამის გარეშე კი (მ)-დი-ს გათანაბრება მიმართულებითი ბრუნვის -დ-სთან არაფრით მართლდება: ორივე ერთდროულად გვხვდება, ერთი ბრუნვის ნიშანია, მეორე — თანდებული, ერთი დაერთვის მეორეს: სახლ-ა-დ-მ-დე (სახლამდი)... დაუჯერებელია, რომ ერთ სიტყვაში ორჯერ ზედიზედ ერთი და იგივე ნაწილაკი მოგვევლინოს სხვადასხვა ფუნქციის მქონედ.

ამრიგად, ხუნძურის -და, -დე-სთან ხალღურის დაკავშირებით, ხოლო იმავე ხუნძურის -და, -დე-სთან ქართული თანდებულისეული დი-ს (სახლ-ა-მ-დი) დაკავშირებით, აკად. ნ. მარმა გარდაქცევითის (მიმართულებითის) -დ დააშორა, როგორც ხუნძურს, ისე ხალღურს. არც აკად. ნ. მარს, არც აკად. ნ. მუშანიანოს არ უცდიათ გაერკვიათ ქართულის მიმართულებითის -დ-ს ურთიერთობა ხალღურის მიმართულებითის დ-სთან.

ეს არაა შემთხვევითი. ეს გამოიწვია იმან, რომ აკად. ნ. მარს მიმართულებითის „სახლ-ა-დ“-ში ბრუნვის ნიშნად -ა მიაჩნია (მიცემითის მაჩვენებელი!), დ-კი თანდებულად აქვს გამოცხადებული. როგორც ცნობილია, იაფეტური თეორიის თვალსაზრისით დ- შეუძლებელია დავსახოთ ბრუნვის ნიშნად: ფორმანტად შეიძლება გვქონდეს ხმოვანი და არა თანხმოვანი; ამას ავალებს მას სემიტურთან ქართულის ნათესაობის დებულება; თანხმოვანი თუა, ის ბრუნვის ნიშანი ვერ იქნება. ამიტომაც -დ თანდებულებშია გადარიცხული.

ჩვენთვის საინტერესო ფორმანტის ხალღურთან დაკავშირებაზე როცა ვლაპარაკობთ, გვერდს ვერ აფუხვევთ სომეხ ენათმეცნიერის გრ. ხაფანციანის ნაშრომში გაკვრით გამოთქმულ ორ მოსაზრებას: 1. „ურარტულის (ე. ი. ხალღურის — ა. ჩ.) ბრუნვის ნიშანი -di (-დი — მიმართულ.) ისევე, როგორც -ნი მიცემითისა აკავშირებს ამ ენას ქართულ-მეგრულ ენებთან, ხოლო ბრუნვის ნიშანი უე (|| -ჟე) ჩვენ უნდა შევეუბირისპიროთ ხურიულ „-უე-ს“-ო, ამბობს ის (იხ. „Общие элементы между урартским и хеттским языками“, Эрив. 1936, გვ. 21). სამწუხაროდ, არაფერია ნათქვამი, ქართულისა და მეგრულის რა მოვლენებთან აკავშირებს ავტორი ზემოხსენებულ ბრუნვის ნიშნებს და რა მოსაზრებათა მიხედვით... 2. „ურარტულის -di ჩვენის აზრით ყოველთვის წმინდა მიმართულებას არ გამოხატავს, არამედ ზოგჯერ უახლოვდება ჩვეულებრივს მიცემითსო“ (გვ. 62)... საინტერესოა, რომ ძვ. ქართულის მიმართულებითის

არა ერთი შემთხვევა გადმოიკვმა ამეამად თანდებულნიან თუ უთანდებულო მიცემითით (შევიდა აბრაჰამ ეგვტედ... დაბად. წიგნი I, თავი 12<sub>11</sub>... ეგვტედ = ეგვტეში... ახ. ქართ. გაემგზავრა ქალაქს... აქ მიცემითი მიმართულებითის ფუნქციის მქონეა... ამგვარი მაგალითებიც გვქონდა მხედველობაში, როცა ვამბობდით: „მიმართულებითს აქვს ერთგვარი ფუნქციონალური კავშირი მიცემითთან“ - თქო (იხ. ზევ. გვ. 20)...

საქმის ობიექტურ ვითარებას არ გამოხატავს, როცა იმავე წიგნის დასკვნითს ნაწილში გრ. ხაფანციანი აყენებს დებულებას: „ურარტულში კავკასიურ ჩონჩხს, როგორც მის განმსაზღვრელ მომენტს, ჩვენ ვერ ვპოულობთ“ (იქვე, გვ. 67). ეკამათება რა აკად. ი. მეშჩანინოვს გრ. ხაფანციანი შენიშნავს: ქართველური ენები ლამის არის ყველა ენის საფუძვლად გამოაცხადონ ალქიმიური ოთხი ელემენტის სწფუძველზე! კავკასიურ ენებთან სხვა ენების დაკავშირება ამ ოთხი ელემენტის მეოხებით, ხდება! (იხ. გვ. 65)...

სამართლიანი საყვედურია! ოთხი ელემენტის მეოხებით დამტკიცებული დამტკიცებულად ვერ მიიჩნევა. ამგვარი საშუალებით მტკიცებას შეუძლია მხოლოდ სახელი გაუტეხოს თვით დასამტკიცებელ პრობლემას: რაკი მის საშუალებით ყველაფერი „მტკიცდება“, ობიექტურად ის არაფრის დასამტკიცებლად არ გამოდგება. ალქიმიის უარყოფა კანონიერია, მაგრამ „ჭიშია“ ალქიმიისათვის პასუხს ვერ აგებს, და არა „ალქიმიურად“, არამედ „ქიმიურად“ კავკასიური ენები და მათ შორის ქართველური ენები წინა-აზიის ძველი ენებისაყენ რომ იყურებიან (თუ პირუტყუ!) ამას ხომ არაიაფეტიდოლოგებიც, არაკავკასიელებიც არ უარყოფენ, ამას თვით ავტორიც (გრ. ხაფანციანი) არ უარყოფს, როცა იმავე ნაშრომში წერს, „ძველი ენების პრობლემათა გასარკვევად სომხური (არაინდოევროპული ფენისა) და ქართული ენა მდიდარ მასალებს გვაწვდის, თუმცა საკითხს არ ამოსწურავს“ (გვ. 59). არა ინდოევროპული ფენა სომხურისა და ქართული — ორივე კავკასიური ენების სამყარო.

რაც შეეხება საკითხის ამოწურვას, ეს, რა თქმა უნდა, დაბრკოლებებს ხდება. ხალღურის ხაზით ეს დაბრკოლებები მასალათა შედარებითს სიმცირესა და ერთფეროვნებაში გამოიხატება და ამ მასალათა გადმოცემის ტექნიკასა და ინტერპრეტაციას უკავშირდება (მკვდარ ენათა მონაცემების ინტერპრეტაციის სიძნელე ცნობილია). ქართველურისა და სხვა კავკასიური ენების ხაზით კი, პირიქით, მასალათა ამოურწყავი სიუხვე-მრავალფეროვნება და ამ მასალათა შეუსწავლელობაა ის მთავარი დაბრკოლება, რომელიც კვლევა-ძიების სწორად წარმართვას ხელს უშლიდა და უშლის. ეკვი არაა, რაც უფრო მეტად (რა თქმა უნდა, ზუსტად, მეცნიერულად და არა ალქიმიურად!) იქნება შესწავლილი ქართველური და სხვა კავკასიური ენების ისტორია, მით უფრო ნათელი გახდება წინა-აზიისა და შუამდინარის ზოგი მკვდარი ენების მკიდრო, ორგანული კავშირი ამ ენებთან, კავშირი არა მხოლოდ ლექსიკური, არამედ აგებულების პრინციპებისა და აგებულების მასალის მხრივ: და ეს კი არის სწორედ არსებითი ენათა გენეტური ურთიერთობისათვის.

გარდაქცევითი (მიმართულებითი) ბრუნვის ფორმანტების ვითარება ქართველურ ენებში და ერთი ამ ფორმანტთაგანის კავშირი ხალდურ მიმართულებითთან ერთ-ერთი ფაქტია ქართველური ენებისა და ხალდურის ურთიერთობის ხაზით. რამდენადაც ხალდურში მიმართულებითი ბრუნვის საკითხი გაგებულა ისე, როგორც ეს ესმის ი. ფრიდრიხს (და ზოგ სხვა მეცნიერსაც — აკად. ნ. მარს, აკად. ი. მეშჩანინოვს), ქართველურისა და ხალდურის შეხვედრა აქ, დადასტურებულად უნდა ვცნოთ: ამ ფორმანტის აგებულება და ფუნქცია ორივე შესაძარებელ სინამდვილეში, აგრეთვე ამ ფორმანტის ისტორია ქართველურ ენებში — ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ფორმანტის ხაზით შეხვედრა გაცილებით უფრო დამახასიათებელია ამ ენათა ურთიერთობისათვის, ვინემ ასეული საერთო სიტყვის ქონა; ქართულში მრავალი სპარსული სიტყვა მოიპოება, ისეთი „არსებითი“ სიტყვებიც კი, როგორცაა „ფანჯარა“, „ოთახი“, „იატაკი“, „ნიადაგი“, „ჩაჩო“, ... მაგრამ არც ერთი ფორმანტი... ლექსიკური მარაგის ხაზით შეხვედრა კულტურულ-ეკონომიურ ურთიერთობას ემყარება. ეს ურთიერთობა შეიძლება იყოს უშუალოცა და მრავალგზის გაშუამავლებულიც, არაბული „საათი“, რუსული „სამოვარი“ ქართულმა უშუალო ურთიერთობის პროცესში მიიღო ამ ენებიდან, ინგლის. „კომბაინი“, ამერიკ. „თამბაქო“ იმავე ქართულში გაშუამავლებულია მრავალი ენით. ლექსიკური შეხვედრები კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა, მაგრამ ენათა გენეტურა ურთიერთობის გასარკვევად მხოლოდ მაშინ გამოდგება, თუ ნასესხები არ არის, არამედ საერთო კუთვნილებას წარმოადგენს (ან ერთნაირს, ანდა კანონზომიერად სახეცვლილს).

ფორმანტის ხაზით შეხვედრა კი ან ენათა წარმოშობითს ერთიანობას მიეწერება (ერთი ენის დიფერენციაციით მიღებულ ენებში) ანდა ენათა შეჯვარებას. სწორედ ეს უკანასკნელი შესაძლებლობა გვაქვს მხედველობაში, როცა ქართველური ენებისა და ხალდურის ურთიერთობის შესახებ ვლაპარაკობთ. გარდაქცევითი (მიმართულებითი) ბრუნვის ისტორია ქართველურ ენებში გვაფიქრებინებს, რომ ქართველურ ენებში ჩამართულია მთელი ენობრივი ფენა<sup>1</sup>, რომელიც მას აკავშირებს ხალდურთან.

<sup>1</sup> ანალოგიური ფენა უნდა ვივარაუდოთ ხუნძურისათვის, უკეთუ აღმოჩნდება, რომ ხალდურის მიმართულებითი ბრუნვა თანდებულიანი ბრუნვაა და -edi (-ედი) არის თანდებული. მაშინ იგივე მოვლენა ქართულში -(მ)-დე თანდებულით იქნებოდა წარმოდგენილი.

АРН. ЧИКОБАВА

## ОБ ОБРАЗОВАНИИ, ЗНАЧЕНИИ И ИСТОРИИ НАПРАВИТЕЛЬНОГО ПАДЕЖА В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

### (РЕЗЮМЕ)

1. Из падежей грузинского языка, кроме повествовательного падежа, не имеет соответствия в русском и других европейских языках также направительный падеж.

Термины для обозначения других падежей в груз. яз. являются точным переводом традиционной номенклатуры в том виде, в каком она установилась в латинской грамматике.

Для направительного же падежа, поскольку приходилось устанавливать новый термин, в грузинской грамматической литературе были предложены: модальный, превращательный, страдательный, направительный...

Исходя из функций этого падежа было бы правильно обозначить его термином «трансформативный» падеж. Термин «направительный», обозначая одну из основных функций этого падежа в древнегрузинском литературном языке, связан с определенными неудобствами, поскольку в сванском языке, а также в мингрельском диалекте занского языка имеются, как трансформативный падеж, так и направительный, по существу отличный от первого (мингр. трансформ. ჯოჩ-ო *koč'cho* — направит. ჯოჩ-იშა *koč'ch-icha*).

На основании сравнительного анализа данных картвельских языков выясняется, что исторически показателями трансформативного падежа в картв. языках служили два форманта *-a* и *-d*.

Из них в сванском используется только *d*, в древнегрузинском *-a*, *-d* и их комбинация *-a-d*; при основах с исходом на гласный только *-d* (ძმა-დ *dzma-d*), при основах же с исходом на согласный, как *-d* (ბეთლემ-დ *Bet'lem-d*), так и *-a* (საბერძნეთ-ა *Saberdznet'-a*), оба пережиточно, обычно же — оба показателя вместе: *-a-d* (კაც-ა-დ *kat's-a-d*)...; в мингрельском *-d* видоизменилось в *t'* (ჯიმა-თ *djima-t'*), *-a* же представлен закономерным эквивалентом *-o* (ჯოჩ-ო *koč'ch-o*); таким образом, оба показателя используются отдельно; в чанском трансформативный падеж не получил развития.

С использованием эмфатического *-d* в грузинском получаются показатели *-da* || *-t'a*... *-a-da* || *a-t'a*.

В виду того, что в картвельских языках, являющихся в основе агглютинативными, для каждого падежа используется только по одному форманту, наличие двух различных показателей с необходимостью ставит вопрос о принадлежности этих показателей двум лингвистическим слоям, прослеживаемым в картвельских языках и по другим морфологическим категориям.

Тот факт, что формант *d* является в сванском и грузинском языках или единственным или одним из основных показателей трансформативного

падежа свидетельствует о наличии в картвельских языках лингвистического слоя, генетически связанного с урартским (халдским) языком, в котором даже наиболее осторожные в своих выводах ученые (как напр. И. Фридрих) устанавливают направительный падеж с показателем *-edi*, в каковом показателе специфическим можно признать *-d-*, исходя из общего понимания свойств этого показателя у И. Фридриха же<sup>1</sup>.

Из живых кавказских языков те же показатели фигурируют в аварском языке в определенных видах локатива (*-da*, *-de*), но приходится отметить, что в аварском все локативы вторичного образования и не исключена возможность, что они являются послетложными падежами на подобие грузинского ქალაქა-მ-დე || ქალაქა-მ-დი *k'alak'a-m-de* || *k'alak'a-m-di* (-до города).

Вышеозначенная встреча урартского (халдского) и картвельских языков не в лексической, а в морфологической плоскости не нашла должной оценки в яфетидологической литературе в виду ошибочного понимания<sup>2</sup> в ней природы картвельских языков, понимания, а priori исключавшего возможность признания в согласном (в данном случае *-d*) форманта.

ARN. TCHIKOVAVA

FORMATION, SIGNIFICATION ET HISTOIRE DU CAS  
ALLATIF (DIRECTIF) DANS LA LANGUE GÉORGIENNE

(RESUMÉ)

Le cas allatif (directif), ainsi que le narratif n'ont de cas correspondants ni dans la langue russe, ni dans d'autres langues européennes.

Les termes, signifiant les autres cas de la langue géorgienne représentent la traduction exacte de la nomenclature traditionnelle, ainsi qu'elle a été constituée dans la grammaire latine.

Quant au cas allatif (directif), tant qu'il fût nécessaire d'établir un nouveau terme, la littérature de la grammaire géorgienne en donna quelques-uns, dont nous citerons: modal, transformatif, passif, allatif (directif)...

Les fonctions de ce cas nous font supposer que le terme «transformatif» serait le plus exact.

L'emploi du terme «allatif» (directif), indiquant une des fonctions essentielles du cas dans l'ancien géorgien littéraire, soulève quelques difficultés,

<sup>1</sup> Акад. Н. Марр, а вслед за ним акад. И. Мещанинов окончанием направительного падежа в халдском яз. считают *-di*.

<sup>2</sup> Такое понимание базируется на тезисе о родстве картвельских языков с семитическими, выставленном Н. Марром еще в 1888 г. и по сие время остающемся недоказанным.

puisque la langue svane et le dialecte mégrélien de la langue zane possèdent le cas transformatif, ainsi que l'allatif (directif), ce dernier étant, au fond, tout différent du premier (mingr. კოჩ-ო kot'ch-o transformatif, კოჩიშა kot'ch-icha -- allatif).

En nous basant sur l'analyse comparative des langues kartvéliennes, citées ci-dessous, nous voyons que les formants *-a* et *-d* avaient servi autrefois d'indices au cas transformatif.

La langue svane n'emploie que le formant *-d*, tandis que dans l'ancien géorgien on employait *a*, *d*, et leur combinaison *a + d*; dans les thèmes avec une désinence vocale on n'employait que le formant *-d*, mais dans les désinences consonnes — les formants: *-d* et *-a* (ბეთლემ-დ Bet'lem-d — საბერძნეთ-ა Saberdznet'-a, -- les deux étant les restes...), et l'emploi des deux indices à la fois: *-a + d* était le plus usité.

Dans le dialecte mégrélien *-d* change en *t'* (ჯიმა-თ djima-t') l'indicateur *-a* est représenté par l'équivalent régulier *-o* (კოჩ-ო kot'ch-o); ainsi, on voit que les deux sont employés séparément; dans le dialecte tchane l'emploi du cas transformatif n'a pas eu de suite.

L'usage de l'*a* emphatique donne les indicateurs *-d (a) || -t' (a), -a + d || -a + t' a (a)*.

Vu qu'on emploie un seul formant pour chaque cas dans les langues kartvéliennes qui sont essentiellement agglutinatives, l'existence de deux différents indices impose la nécessité d'analyser l'origine de ces indices, appartenant à deux couches linguistiques que nous avons étudiées dans les langues kartvéliennes, ainsi que dans d'autres catégories morphologiques.

Le fait que le formant *-d* représente le seul ou l'un des indicateurs essentiels du cas transformatif dans les langues svane et géorgienne témoigne assurément de l'existence d'une couche linguistique dans les langues kartvéliennes, d'un couche qui, dans son origine, tient à la langue ourarte ou chalde, dans laquelle les savants les plus circonspects dans leurs conclusions (par exemple, J. Friedrich) constataient le cas transformatif avec l'indice *-edi*.

Parmi les langues caucasiennes vivantes c'est dans celle d'Avare que figurent les mêmes indices dans quelques aspects du locatif (*-da, -de*), mais il faut noter que dans la langue d'Avare tous les locatifs sont d'une seconde formation et, il est possible qu'ils soient des cas postpositifs, pareils au სახლამ-დი saxla-m-di («jusqu'à la maison») géorgien.

La rencontre des langues kartvéliennes avec celle d'Ourarte, dont nous venons de parler, n'a pas été appréciée à sa juste valeur dans la littérature japhétidologique, ce qui est dû à sa fausse conception de la nature des langues kartvéliennes.

De là, l'impossibilité de reconnaître l'élément morphologique dans la consonne (en ce cas dans la consonne *-ლ, -d*).

## II. პოტენციალის კატეგორია ქართველურ ენებში

1. პოტენციალისი ზმნის კატეგორიაა; იგი შესაძლებლობას გამოხატავს; რამდენადაც ეს კატეგორია გრამატიკულია, შესაძლებლობაზე აფიქსები მიუთითებენ.

ქართველური ენებიდან პოტენციალისს მკვეთრად ჩამოყალიბებული სახე აქვს მეგრულში. აქ ეს კატეგორია ვნებითი გვარის ზმნებით გადმოიცემა; სათანადო ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანიცა და ორპირიანიც. პირველში აღნიშნულია განყენებულად აღებული შესაძლებლობა, მეორეში — შესაძლებლობა გარკვეულ პირებთან დაკავშირებით, რომელთაც ის მიეწერება.

პოტენციალისი ერთპირიანი ზმნაა:

1. ი-ჰარ-ე-(ნ) — შეიძლება (და)იწეროს, „იწერება“: „ამ ქალაღზე მელნით კარგად იწერება“
2. ი-თას-ე-(ნ) — შეიძლება (და)ითესოს, („ითესება“)...
3. ი-ნახვ-ე-(ნ) — შეიძლება ირეცხოს, ირეცხება სარეცხი: წვიმის წყალში სარეცხი კარგად ირეცხება...
4. ი-ჰოდ-ე-(ნ) — შეიძლება დაჭერილიქნას...
5. ი-ყვილ-ე-(ნ) — შეიძლება მოიკლას...

პოტენციალისი ორპირიანი ზმნითაა გადმოცემული:

1. მ-ა-ჰარ-ე-(ნ) — მე შემიძლია ვწერო  
გ-ა-ჰარ-ე-(ნ) — შენ შეგიძლია წერო  
ა-ჰარ-ე-(ნ) — მას შეუძლია წეროს...
2. მ-ა-თას-ე-(ნ) — მე შემიძლია ვთესო  
გ-ა-თას-ე-(ნ) — შენ შეგიძლია თესო  
ა-თას-ე-(ნ) — მას შეუძლია თესოს...
3. მ-ა-ნახვ-ე-(ნ) — მე შემიძლია ვრეცხო (სარეცხი)  
გ-ა-ნახვ-ე-(ნ) — შენ შეგიძლია რეცხო  
ა-ნახვ-ე-(ნ) — მას შეუძლია რეცხოს
4. მ-ა-ჰოდ-ე-(ნ) — მე შემიძლია (და)ვიჭირო  
გ-ა-ჰოდ-ე-(ნ) — შენ შეგიძლია (და)იჭირო  
ა-ჰოდ-ე-(ნ) — მას შეუძლია (და)იჭიროს...
5. მ-ა-ყვილ-ე-(ნ) — მე შემიძლია ვკლა  
გ-ა-ყვილ-ე-(ნ) — შენ შეგიძლია კლა  
ა-ყვილ-ე-(ნ) — მას შეუძლია კლას...

როგორც ამ მაგალიტებიდან ჩანს, ერთპირიანი ზმნის პოტენციალის აწარმოებს ი-თავსართი და -ე- ბოლოსართი: ი- — -ე-; ორპირიანი ზმნებისას კი-- ა-თავსართი და -ე- ბოლოსართი: ა — -ე-.

ერთიცა და მეორეც ვნებითი გვარისაა, მაგრამ მეგრულს პოტენციალის შინაარს-მოკლებული ვნებითიც გააჩნია; ამ უკანასკნელს იგივე თავსართი აწარმოებს, რაც პოტენციალისში გვაქვს, ოღონდ ბოლოსართია სხვა (-ჟ). ამგვარად, სათანადო ვნებითების ფორმულაა მეგრულში: ი — -ჟ-; ა — -ჟ-:

1. ი-თას-ე-(ნ) — შეიძლება დაითესოს...  
 ა-თას-ე-ნ — შეუძლია თესოს.  
 ი-თას-ჟ-ე-(ნ) — ითესება...  
 ა-თას-ჟ-ე-(ნ) — ეთესება, მისთვის ითესება.
2. ი-ნახვ-ე-(ნ) — შეიძლება (გა)ირეცხოს სარეცხი...  
 ა-ნახვ-ე-(ნ) — შეუძლია რეცხოს სარეცხი...  
 ი-ნახ-ჟ-ე-(ნ) — ირეცხება...  
 ა-ნახ-ჟ-ე-(ნ) — ერეცხება, ირეცხება სარეცხი (მისი ან მისთვის).

ჭანურს კილოში, რომელიც მეგრულ კილოსთან ძალიან ახლოს დგას, პოტენციალის არა აქვს საკუთარი წარმოება, განსხვავებული ჩვეულებრივი ვნებითისაგან. პოტენციალისის მნიშვნელობით ეს ვნებითი გამოდის: ი-ჭარ-ე-ნ — შეიძლება იწეროს (და: — იწერება)... ი-თას-ე-ნ — შეიძლება ითესოს (და: ითესება)... ა-ჭარ-ე-ნ — მას შეუძლია წეროს... ა-თას-ე-ნ — მას შეუძლია თესოს... აქ მეორდება მეგრული პოტენციალისის ფორმები უცვლელად. ერთად ერთი ფონეტიკური განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ბოლოკიდური -ნ-, მესამე პირის სუბიექტს რომ აღნიშნავს, ჭანურში ყოველთვის ითქმის, მეგრულში კი დაჩრდილულია და მხოლოდ ხმოვნის წინ აღდგება. სპეციფიკური სავნებითო წარმოება ჭანურში იშვიათია<sup>1</sup>, ყოველ შემთხვევაში, ჯერ-ჯერობით დადასტურებულია მხოლოდ ცალკეული შემთხვევები.

ამგვარად, ის წარმოება, რომელსაც მეგრულში პოტენციალისის მნიშვნელობა აქვს, ჭანურში პოტენციალისის ფუნქციებსაც ატარებს და ჩვეულებრივი ვნებითისას. ეს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ მეგრულშიაც ერთს წარმოებაში უნდა ყოფილიყო შეთავსებული ჩვეულებრივი ვნებითიცა და პოტენციალისიც; ამ წარმოების ძირითადი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო პოტენციალისი; ჩვეულებრივი ვნებითი კი (ი — -ჟ-, ა — -ჟ-) დიფერენციაციის გზით შემდეგ უნდა მიგვეღო.

2. როგორია მდგომარეობა ქართულში? თუ ჩვენი ზემოაღნიშნული მოსახრებები სწორია, ქართულის სათანადო წარმოებაში უნდა მოველოდეთ პოტენციალისის კვალს. საერთოდ, პოტენციალისის კატეგორია ქართულში ა პრიორი მოსალოდნელია, რადგანაც არ არის არც ერთი სხვა ისეთი გრამატიკული კატეგორია, რომ ქართულს ჰქონდეს და მეგრულსა და ჭანურს — არა ანდა

<sup>1</sup> ეს ცალკეული შემთხვევები, ჭანურ ტექსტებში რომ გვხვდება, საკითხს დადებითად ვერ გადაგვაწყვეტინებს.

პირუკუ. ქართულის დახახასიათებელი გრამატიკული კატეგორიები საერთოა მეგრულისა და ქანურისათვის, აგრეთვე სვანურისათვის. ამიტომაც ენობრივი ფსიქოლოგია ყველა ამ ქართველურ ენას ერთი და იგივე აქვს.

რა წარმოება შეეფერება მეგრ. და ქანურ პოტენციალის ქართულში? ი — ი- ერთპირიანი ზმნებისათვის და ე — ი- ორპირიანი ზმნებისათვის. ამ მაწარმოებელთაგან სუფიქსი -ი- ახალ ქართულში შემონახულია მეორესა და პირველ პირში, მესამე პირში კი მის ადგილს -ა იჭერს.

მდრ. ძვ. ქართ.

ახ. ქართ.

ვ-ი-წერებ-ი

ვ-ე-წერებ-ი

ვ-ი-წერებ-ი

ვ-ე-წერებ-ი

ი-წერებ-ი

ე-წერებ-ი

ი-წერებ-ი

ე-წერებ-ი

ი-წერებ-ი-ს

ე-წერებ-ი-ს

ი-წერებ-ა

ე-წერებ-ა

არის თუ არა რაიმე ნიშან-წყალი პოტენციალისისა ამ წარმოებასთან დაკავშირებული? არის და არც თუ იშვიათად, ოღონდ პოტენციალისი ნათლად არ იგრძნობა. შედარებით უფრო იშვიათია უდაო პოტენციალისის მაგალითები, მაგრამ ასეთი მაგალითები ლიტერატურულს ძეგლებშიაც დასტურდება და სასაუბრო ენაშიც.

„ქალი ვინმე გიკითხავსო, ინახვისმცა ამირბარი“ (ვეფხისტყაოსანი, ტაეპი 339, ს. კაკაბაძის I გამოც.). „ინახვის(მ)ცა ამირბარი“ ნიშნავს -- შეიძლება თუ არა ამირბარის ნახვა. „ინახვის“ უდაო პოტენციალისია.

„ამ ფიფქს თოვლში სანადიროდ საით გაისვლები“ (ალ. ყაზბეგი „ხევის ბერი გოჩა“ ტფილ. სახელგამი, 1935, გვ. 30): „გაისვლების“ -- შეიძლება გავიდეს კაცი.

„ჩვენში ყველაფერი იშოვებაო“: „ყველაფერი იშოვება“ = „ყველაფერი შეიძლება ვიშოვოთ“.

ანდაზებსა და ანდაზურს თქმებშიაც ვიპოვით მსგავს მაგალითებს:

„მისი ავლა-დიდებაო კურდღელს აეკიდებაო“: აეკიდება -- შეიძლება აეკიდოს.

„ზღვაც დაილევა კოვზითა“: დაილევა აქ ნიშნავს: შეიძლება დაილიოს.

„კარგი კაცის პურ-მარილი ზღვაზე ხიდად „გაიდებაო“: გაიდება = შეიძლება გაიდოს.

„ხანდაზმულ კაცს სიზმარიც „დაეჯერებაო“: შეიძლება დაეჯეროს...

ყველა ეს მაგალითი თანაბრად როდი აღნიშნავს შესაძლებლობას: „აეკიდება“ („მისი ავლა-დიდებაო კურდღელს აეკიდებაო“) უთუო პოტენციალისია, მაგრამ „იშოვება“ („ყველაფერი იშოვება“) ფაქტსაც შეიძლება აღნიშნავდეს და მაშინ მის პოტენციალისობა ერთბაშად განელდება; ჩვეულებრივად კი ეს სიტყვა შესაძლებლობაზე მიუთითებს: „იშოვება“ = можно достать... ფაქტის აღნიშვნის უნარი კიდევ უფრო მეტი აქვს ზმნას: „გაიდება“ („კარგი კაცის პურ-მარილი ზღვაზე ხიდად გაიდება“), თუ ამ გამოთქმას გავიგებთ ამგვარად: პურ-მარილს ხიდად სდებენ, პურ-მარილი ხიდად გვევლინება ხოლმე... ამგვარი ა აგება ჩვენს გამოთქმაში შესაძლებელი კია, მაგრამ აუცილებელი არაა. მეორე

მაგალითში — „ხე ნაყოფით იცნობება“ — „იცნობება“ უფრო ვნებითია, ვინემ პოტენციალისი: იცნობება - познается უფროა, ვინემ можно познать...

„ადვილად ითქმის“... „ეს წყალი და ილევა“... „ეს ძეხვი იქმება“... „ავადმყოფს ფაფა ექმება“ და მსგავსი გამოთქმები ყოველდღიურს მეტყველებებში შექველ პოტენციალისს წარმოადგენენ.

და მიანიც პოტენციალისი საძებარია დადებითი შინაარსის გამოთქმებში, უარყოფითში კი ის საყოველთაოდ ცნობილი მოვლენაა: ქართული განასხვავებს ორგვარ უარყოფას; ერთი აღინიშნება „არ“-ნაწილაკით, მეორე კი „ვერ“-ნაწილაკით; არ წერს ვერ წერს... არ აკეთებს — ვერ აკეთებს... არ მიყავს - ვერ მიყავს... არ ამზადებს - ვერ ამზადებს...

„არ“-ნაწილაკი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს მოქმედება არ სრულდებოდეს იმის გამო, რომ მოქმედს ეს არ უნდა; ამას დეტალური გარკვევა სჭირია; ჩვენ ამას აქ არ გამოვუდგებით. ამჟამად „ვერ“-ნაწილაკი გვაინტერესებს. მისი მნიშვნელობა ნათელია: „ვერ წერს“ = არ შეუძლია წერა... „ვერ აკეთებს“ = არ შეუძლია კეთება... „ვერ მიყავს“ = არ შეუძლია წყყენა...

ერთი სიტყვით, ვერ-ნაწილაკი გამოხატავს უარყოფას შეუძლებლობის გამო. არც მეგრულსა და არც ქანურში უარყოფითი ნაწილაკების ასეთი განსხვავება არა ჩანს. უარყოფითი ნაწილაკი იქ ერთია: ვარ (|| ვა); მნიშვნელობით ის უდრის ქართულ არ-ს. შეუძლებლობის გადმოსაცემად მეგრული და ქანური იყენებს პოტენციალისის დადებითს ფორმებს და უმატებს ვა(რ)-ნაწილაკს. შევადაროთ ქართული და მეგრ. უარყოფითი ფორმები:

მეგრული <sup>1</sup>	ქართული
ვა ჭარუნს... ვა აკეთენს	არ წერს... არ აკეთებს...
ვა აჭარე(ნ)... ვა აკეთინე(ნ)	ვერ წერს... ვერ აკეთებს...

მეგრულში უცვლელად დარჩა უარყოფითი ნაწილაკი (ვა), იცვალა ზმნა; ქართულში უცვლელად დარჩა ზმნა (წერს... აკეთებს...), იცვალა უარყოფითი ნაწილაკი (არ — ვერ). მეგრულში პოტენციალისი ზმნამ აღნიშნა, ქართულში — ნაწილაკმა. კატეგორია პოტენციალისისა იქაც არის და აქაც. ენობრივი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით სხვაობა არ არის: შესაძლებლობის კატეგორიას ქართულიც არჩევს და მეგრულიც; მეგრული — ზმნის უღვლილების სპეციფიკური ფორმებით, ქართული — სპეციფიკური უარყოფითი ნაწილაკით. საშუალებები სხვადასხვაა, მიზან-დანნიშნულება — ერთი და იგივე.

3. მეგრული და ქანური უარყოფით ნაწილაკებს, როგორც ვნახეთ, არ ასხვავებს, რადგანაც საჭირო განსხვავება ზმნაშია მოცემული. ამის მიხედვით ქართულისთვისაც უნდა გაკეთდეს ერთგვარი დასკვნა. საქმე ისაა, რომ ქართულში ვნებითი გვარის ზმნებთან არ-უარყოფითი ნაწილაკია ხშირად იქ გამოყენებული, სადაც ვერ-ნაწილაკი იყო მოსალოდნელი. რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ ზმნაში იგრძნობა პოტენციალისი (მსგავსად მეგრულისა)...

<sup>1</sup> ქანურშიაც ასეთივე მდგომარეობაა. სიმარტივისათვის მხოლოდ მეგრულზე მივუთითებთ.

ავადმყოფს ცხარე საქმელი არ ექმევა... ღვინო არ დაეღვევა (ეს-მეება)... მას საყვედური არ ეთქმის... ეს წყალი არ დაიღვევა... ეს ხორცი არ იქმება... მისი საყვედური არ ითქმის — ამგვარს ზმნებთან, როგორც უკვე ზევითაც აღვნიშნეთ, პოტენციალის დადებითს გამოთქმებშიაც ექვს გარეშე იყო. სავსებით ბუნებრივია, რომ უარყოფითს გამოთქმაში არ-ნაწილაკი იქნა გამოყენებული და არა ვერ. ეს უკანასკნელი ისევე არ იყო აქ საჭირო, როგორც მეგრულსა და ქანურში.

ამავე ნიშნის მიხედვით ასეთივე დასკვნა უნდა გავაკეთოთ მსგავსი მაგალითების შესახებ. ჩვენ განზრახ მივმართავთ ისევ ანდაზებსა და ანდაზური ხასიათის თქმებს.

„ცალი ხელითა ტაში არ დაიკვრისო“<sup>1</sup> (ე. ი. არ შეიძლება დაიკრას)...

„ორი ყოჩის თავი ერთ ქვაბში არ მოიხარშებაო“ (ე. ი. არ შეიძლება მოიხარშოს)...

„ერთი მხრიდან ძელი არ გაითლებაო“ (ე. ი. არ შეიძლება გაითალოს)...

„ერთი წლის ბერწობითა ფური არ დაიკვლებაო“...

„თევზი წყალში არ დაფასდებაო“...

„თივასთან ცეცხლი არ მიიტანებაო“...

„ბატის პატრონს ქათამი არ დაეჭირებაო“...

„ცხვირი პირიდან არ მოიჭრებაო“...

„ორმოში დამპალი თოკით არ ჩაისვლებაო“...

„ნაჩუქარს ცხენსა კბილი არ გაეცინჯებაო“...

„ტირილითა და გლოვითა მტერი არ შეიშინების“...

„შუბი ხალთაში არ დაიმალებაო“...

„შენი ჭირიმეთი შეილი არ გაიზრდებაო“...

ამგვარი მაგალითების მოყვანა კიდევ ბლომად შეიძლებოდა სალიტერატურო თუ სამეცნიერო მეტყველებიდან. ჩვენი მიზნისათვის ესეც კმარა.

პოტენციალის კატეგორიის არსებობა ქართულში დადასტურებულად უნდა მივიჩნიოთ: ვერ-ნაწილაკის სმარება მოკმედვითი გვარის ზმნებთან ამ კატეგორიის გამოხატვის საჭიროებას მოწმობს (ვერ წერს, ვერ აკეთებს, ვერ დაიჭირავს სიკვდილსა...); არ-ნაწილაკის სმარება ვნებითი გვარის ზმნებთან (და ვერ-ნაწილაკისთვის გვერდის ავლა) ამ ზმნების პოტენციალისობას ამჟღავნებს, ე. ი. ისევ პოტენციალის კატეგორიის არსებობას ცხადყოფს (არ ჩაისვლება, არ მიიტანება, არ დაიკვრის...) 4.

4. როგორი მდგომარეობა გვაქვს სვანურში? სვანური ამ შემთხვევაში და სხვით შემთხვევა არც თუ მცირეა — ქართულს მიყვება, მეგრულსა და ქა-

<sup>1</sup> ეს და წინათ ნაჩვენები ანდაზები ამოღებულია ლ. მეტრეველის „ანდაზებიდან“ (გამოქ. მეორე, ტფილ. 1936 წ.).

ნურს შორდება. ქართველურ ენათა შორის სვანური ყველაზე მდიდარია უარყოფითი ნაწილაკებით. ამ დოვლათში საკმაო ოდენობით შემოდის სხვა კავკასიური ენების (აბხაზურ-ადიღეური ჯგუფის ენების) მასალაც. ჩვენს შემთხვევაში საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ სვანური განასხვავებს „არ“ და „ვერ“ ნაწილაკებს, და პოტენციალისის უარყოფითს გამოთქმებში ისევე აღნიშნავს, როგორც ქართული. ენებითი გვარის ზმნებთანაც ვერ- უარყოფითი ნაწილაკის არ ხმარება და მის ნაცვლად არ- ნაწილაკის ხმარება ქართულის ზემოხსენებულ მოვლენებს მოგვაგონებს. ერთი სიტყვით, სვანურისთვის პოტენციალისის კატეგორია ისევე რეალურია, როგორც ქართულისთვის და იგი სვანურში იმგვარივე სწულალებითაა გადმოიცემა, როგორც ქართულში. ორიოდ მაგალითი: „მარე როქე თხუმ დეშ ხემშადალ ი ჯა მერმა ხემშადალ“ — კაცი თავს ვერ შევლისო და სხვას შევლისო (ანდაზა)... ალ ჭყინტლდას დე შმა ოლგონვედ! — ამ ჭყინტილდას ვერაფერი (ზუსტად: „ვერა“) მოგუხერხეთ (მოვუგონეთ)... საბლუ ბოფშარ, ლეყრი ბოფშარ! დეშ ჯიბაჟახ აბჯრშიშ ჩიჩხილდ — საბრალო ბავშვები, საცოდავი ბავშვები! ვერ გავიგიათ აბჯრის რაჩხუნი!.. დეშ — ქართ. ვერ; დეშმა — ვერ(რ)ა.

ქართულის მსგავსად სვანური ხმარობს: ალა იმი, ითჷნი — ეს იქმება, ისმება... მამ იმი, ითჷნი — არ იქმება, ისმება... მამ (არა) და არა დეშ (ვერა)!

5. მეგრულსა და ქანურში პოტენციალისი ენებითი გვარის ზმნებში გადმოიცემა; ქართულშიაც ენებითი გვარის ზმნებში ეპოულობთ ამ კატეგორიას, როცა იგი მოცემულია ზმნაში. ამგვარად, თავსართი -ი- საზიაროა პოტენციალისისა და ენებითი გვარისთვის. ეგვე, -ი- გააჩნია სასუბიექტო ქცევისა და რეფლექსიურ ზმნებს. ამგვარად, ქართული უღვლილების ისტორიის თვალსაზრისით ენებითობის, პოტენციალისისა და (სასუბიექტო) ქცევის ურთიერთობა მრავალმხრივ საინტერესოა. ეს საკითხი სპეციალურ განხილვას საჭიროებს.

დასასრულ ერთი შენიშვნა. ქართულ ზმნასთან „იცის“ ყოველთვის არ-ნაწილაკი იხმარება, „ვერ“- ნაწილაკი მას არ ეგუება: არ ვიცი, არ იცი, არ იცის!... იმიტომ ხომ არა, რომ ეს ზმნა აგებულით ენებითია (ი-პრეფიქსი, იც-ო-დ-ა — ნამყო უსრულში) და პოტენციალისის მნიშვნელობა მისთვის უცხო არაა?!

<sup>1</sup> აღმოსავლეთ საქართველოში „ვერ ვიცი“-ც იხმარება, მაგრამ ქართული ენის ისტორია ამას მზარს არ უჭერს.

АРН. ЧИКОБАВА

К КАТЕГОРИИ ВОЗМОЖНОСТИ (ПОТЕНЦИАЛИСА)  
В КАРТВЕЛЬСКИХ ЯЗЫКАХ

(РЕЗЮМЕ)

Категория возможности (потенциалис) характерна для всех картвельских языков, но выражена она различными средствами; а именно: в сванском и грузинском языках — синтаксически при отрицательных формах глагола посредством употребления специальной частицы ვერ *ver* (груз.), დეშ *dech* (сван.), обозначающих отрицание из-за невозможности: груз. ვერ წერს *ver tsers* «не может писать», ვერ აკეთებს *ver aket'ebs* «не в состоянии делать»..., сван. დეშ ზარო *dech žuri*, დეშ იჩო *dech it'cho* (значение тоже).

Эти частицы употребляются в грузинском и сванском языках преимущественно при глаголах действительного и среднего залогов.

В мингрельском и чанском диалектах занского языка не имеется отрицательной частицы, соответствующей груз. ვერ *ver* и сван. დეშ *dech* и категория возможности выражается в глаголе при помощи аффиксов *o — g i — e* ა — *g a — e* (в настоящ. времени): *o-ჭარ-ე-ბ* *i-tchar-e-n* «можно писать», *a-ჭარ-ე-ბ* *a-tchar-e-n* «он в состоянии писать», «ему можно писать»; *o-ჭვ-ე-ბ* *i-tchv-e-n* «можно жечь», *a-ჭვ-ე-ბ* *a-tchv-e-n* «он может жечь».

Первое образование *o — g i — e* представляет одноличный глагол, безотносительную форму, второе же — двуличный глагол, относительную форму.

Оба образования — страдательного залога, причем в чанском диалекте за немногими исключениями эти же формы служат обычными формами страдательного залога (*o-ჭარ-ე-ბ* *i-tchar-e-n* «можно писать, пишется»), тогда как в мингрельском, как правило, обычный страдательный залог образуется с тем же префиксом, но при помощи другого суффикса (*o-ჭარ-ე-ბ* *i-tchar-e-n* «можно писать», *o-ჭარ-უ-ბ* *i-tchar-u-(n)* пишется).

Для обозначения невозможности в мингрельском и чанском диалектах занского языка используется обычное отрицание ვა — ვარ *va — var* = груз. არ *ar* : ვა *a-ჭარ-ე-ბ* *va a-tchar-e-(n)* «он не может писать», ვა ჭარუნს *va tcharuns* — «не пишет».

Часто при глаголах страдательного залога в грузинском языке используется частица არ *ar* в случаях, где по смыслу фразы можно было ждать употребления частицы ვერ *ver*; ясно, что в этих случаях страдательный залог имеет значение потенциалиса: არ იტყვის *ar it'k'vis* «нельзя сказать», არ იჭმება *ar itchmeba* «нельзя есть», ავადმყოფს არ ეჭმევა *avadmqoფს ar etchmeva* «больному нельзя есть», ცალი ხელით ტაში არ დაიკვრის *t'sali xe-lit' tachi ar daikvris* «одной рукой нельзя аплодировать (рукоплескать)».

Это же можно сказать относительно сванского языка. Таким образом, страдательному залогу типа *o — o i — i*, *g — o e — i* в грузинском и сванском языках ископи не было чуждо значение потенциалиса.

ARN, TCHIKOBAVA

A PROPOS DE LA CATÉGORIE DU (POTENTIEL)  
DANS LES LANGUES KARTVÉLIENNES

(RÉSUMÉ)

La catégorie de la possibilité (du potentiel) est propre à toutes les langues kartvéliennes, exprimée seulement par des moyens différents; par exemple, dans les langues svane et géorgienne, les formes négatives du verbe s'expriment par l'emploi de la particule ვერ — ver (géorg.) et დეშ dech (svane).

Les deux particules signifient la négation «à cause de l'impossibilité» de faire ceci ou cela: géorg. ვერ წერს, ver tsers «ne peut écrire», ვერ აკეთებს, ver aket'eb's «n'est pas en état de faire», svane: დეშ შარი, დეშ იჩო dech āyri, dech it'cho (même signification):

Ces particules s'emploient dans les langues géorgienne et svane surtout devant les verbes actifs et neutres.

Dans les dialectes mégrélien et tchane de la langue zane, in n'existe pas de particules négatives, correspondant au ვერ ver géorgien et au დეშ dech 'svane.

La catégorie du potentiel est exprimée dans les verbes à l'aide des affixes ი — ე i — e, ა — ე a — e (au présent): იჭარენ -- itcharen «on peut écrire», აჭარენ — atcharen «il est en état d'écrire», «il peut écrire», იჭვენ — itchven «on peut brûler», აჭვენ atchven «il peut brûler». La première formation ი — ე i — e représente le verbe unipersonnel, forme absolue.

La seconde formation représente le verbe bipersonnel, forme relative.

Les deux formations sont à la voix passive; pourtant ces mêmes formes expriment également le passif usuel dans le dialecte tchane, à quelques exceptions près: იჭარენ itcharen «on peut écrire», «cela s'écrit», alors, comme dans le dialecte mégrélien, la règle veut que le passif usuel se forme avec le même préfixe, mais à l'aide d'un autre suffixe: იჭარენ itcharen «on peut écrire», იჭარუნ itcharun «cela s'écrit».

Pour exprimer l'impossibilité dans les dialectes mégrélien et tchane de la langue zane, on emploie la négation usuelle ვა — ვარ — va — var; géorg. არ ar: ვა აჭარენ va atcharen «il ne peut écrire», ვა ჭარუნს va tcharuns «il n'écrit pas».

Très souvent la particule «არ ar» est employée auprès des verbes passifs de la langue géorgienne dans les cas où, d'après le sens de la phrase, on aurait pu admettre l'emploi de ვერ ver, il est clair que dans les cas cités la voix passive exprime le potentiel: არ ითქმის ar it'k'mis «on ne peut dire», არ იჭმება ar itchmeba «on ne peut manger», ავადმყოფს არ ეჭმევა avadmqop's ar etchmeva «le malade ne peut manger». «ცალი ხელით ტაში არ დაიკვრის» 'tsali xelit' tachi ar daikvris «on ne peut applaudir d'une seule main».

Ce que nous venons de dire se rapporte également à la langue svane.

Ainsi l'idée du potentiel était anciennement rattachée au passif des langues géorgienne et svane.

### III. წარ- კრევერბის მნიშვნელობისათვის მართლში

ახალ ქართულში ამ პრევერბს წა-ს სახე აქვს: წა-ვიდა, წა-იყვანა, წა-იქცა, წა-აწერა, წა-უმატა... აქა-იქ შემონახულა წარ-, ჩვეულებრივად ნაზმნარ სახელებში: წარ-დგენა, წარ-ჩინება, წარ-მატება, წარ-წერა... წარ-დგენილი, წარ-ჩინებული, წარ-წერილი... ზმნა „წარ-ადგენს“, „წარ-ადგინა“ ისევე ჩვეულებრივია, როგორც „წარ-დგენა“, „წარდგენილი“..., მაგრამ „წარ-აჩინა“, „წარ-უმატა“, „წარ-უწერა“ აღარ იხმარება. ახალს ქართულში წარ- ნარჩენია ძველი ქართულის ნორმებისა: ძვ. ქართულში წარ- იხმარებოდა მხოლოდ — წარ-ვიდა, წარ-ავლინა, წარ-სცა, წარ-ტყუენა და სხვა საერთო წესის თანახმად ეს პრევერბი ზმნასთანაც იხმარებოდა და ნაზმნარი სახელების წინაც...

რას ნიშნავს ეს პრევერბი ქართულში?

პრევერბებს, როგორც ცნობილია, შეაქვთ ცვლილება ზმნის მნიშვნელობაში. ეს ცვლილება სხვადასხვაგვარია. იმისდა მიხედვით, თუ როგორია ზმნის მნიშვნელობა: 1. პრევერბი აღნიშნავს მიმართულებას, თუ ზმნის ფუძე ერთი აღდგოლიდან მეორეზე გადასვლას აღნიშნავს ანდა გულისხმობს: შე-დის, შე-აქვს... ა-დის, ა-აქვს... გა-დის, გა-აქვს... მი-დის, მი-აქვს... მო-დის, მო-აქვს... 2. პრევერბი აღნიშნავს ზმნაში ნაჩვენები მოქმედების დამთავრებას: კერა — შე-კერა, აკეთა — გა-აკეთა, თხარა — გა-თხარა, თესა — და-თესა... 3. პრევერბი აწარმოებს დროს, სახელდობრ, აწმყოსაგან მყოფად: კერავს — შე-კერავს... აკეთებს — გა-აკეთებს, თესავს — და-თესავს, თხრის — გა-თხრის... 4. პრევერბს შეუძლია არსებითად ცვალოს ზმნის მნიშვნელობა: სახლი ა-აგო, ხალიჩა და-აგო, ფული წა-აგო... თავი შე-ყო, ქონება ვა-ყო, ხელი მი-ყო...

საფიქრებელია, რომ ამ მნიშვნელობათაგან პირველადია მიმართულების აღნიშვნა; მოქმედების დამთავრების (სრული ასპექტის) აღნიშვნა შემდეგ განვითარებული ჯანს ამ პირველადი მნიშვნელობისაგან: და-არტყა, და-კლა, გა-ათავა, ჩა-ალბო და მაგვარებში მეტ-ნაკლებად კიდევ იგრძნობა სივრცითი დახასიათება, ნიშანდობლივი პირველი მნიშვნელობისათვის. რაც შეეხება დროის აღნიშვნას, ეს ფუნქცია, ასე ვთქვათ, ჩვენ თვალწინ განვითარდა: ძვ. ქართულში პრევერბიანი, აწმყო ჩვეულებრივად მყოფადს არა ჯმნის (თუმცა ამის ჩანასახი უკვე არის) — მყოფადის როლში იქ კავშირებითი გამოდის. ზმნის მნიშვნელობის ცვლა — უკანასკნელი ფუნქცია — ძველის ძველი ჩანს, მაგრამ ეს შედარებით იშვიათია, და მას ისეთი ზოგადი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც პირველ სამს.

წა- პრევერბის მნიშვნელობას ისევე, როგორც სხვა პრევერბებისას, მიმართულების აღნიშვნაში ხედავენ.

აკად. ნ. მარი აღნიშნავს: „წარ- (вულг. წა-) — наружу, вдаль, прочь, от — (იხ. Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленингр. 1925, გვ. 165).

პროფ. ა. შანიძე ასეთ განმარტებას იძლევა: „წა- აღნიშნავს მოძრაობას პირველი პირისაგან (მომთხრობისაგან) დამაშორებელს, წამო — კი, პირიქით, მოძრაობას პირველი პირის (მომთხრობის) დამახლოებელს; მაგალითები: ა) წა-ვიდა, წა-იყვანა, წა-ითამაშა და მისთ.; ბ) წამო-ვიდა, წამო-იყვანა, წამო-ითამაშა და მისთ.“ (იხ. ქართული გრამატიკა: I. მორფოლოგია, ტფილ. 1930, გვ. 74).

ასეთ გაგებას ერთი დაბრკოლება ელოდება წინ: წა- თუ აღნიშნავს მოძრაობას იქით, მოძრაობას, მომთხრობისაგან დამაშორებელს, წამო- უნდა ნიშნავდეს მოძრაობას იქით და აქეთ: წა-ვიდა (იქით), წამოვიდა (იქით და აქეთ)! ნამდვილად კი პროფ. ა. შანიძის სიტყვით წამო-ვიდა აღნიშნავს „მოძრაობას პირველი პირის (მომთხრობის) დამახლოებელს“... ამგვარად, წა-მო- პრევერბის ფაქტიურ მნიშვნელობას არ ეგუება წა- პრევერბის განმარტება პროფ. ა. შანიძისა. ეგვევ ითქმის აკად. ნ. მარის განმარტების შესახებაც, რამდენადაც ისიც მომთხრობისაგან დაშორებას ღვლის წა- პრევერბის მნიშვნელობისათვის არსებითად. წამო- პრევერბის მნიშვნელობა მაშინ გაუგებარი გამოდის.

ხომ არ შეიძლებოდა ეს დაბრკოლება თავიდან აგვეშორებინა მი-მო-პრევერბზე მითითებით: მი- აღნიშნავს მოძრაობას იქეთ, მო- პირუკუ, მოძრაობას, აქეთ; ორივე ერთად (მი-მო-) — მოძრაობას იქითაც და აქეთაც: მი-მო-სვლა, მი-მო-ქცევა... მი-მო-ვიდოდა, მი-მო-იქცეოდა... მაგრამ ეს პრევერბი გულისხმობს განმეორებით ანდა უწყვეტს, განგრძობითს, დაუშთავრებელ მოძრაობა-მოქმედებას; ამისდა კვალად ბუნებრივია მასდარის გარდა ნამყოფსრული (უწყვეტი): მი-მო-ვიდოდა, მი-მო-იქცეოდა... მაგრამ სრულებით შეუძლებელია — „მი-მო-იქცა“, „მი-მო-ვიდა“... , რომელიც ერთგზითს, დამთავრებულს მოქმედებას აღნიშნავდეს... წამოიყვანა, წამოილო, წამოიწყო, წამოიწია, წამოისროლა!.. და მაგვარები მშვენივრად ეგუება ერთგზისი, დამთავრებული მოქმედების აღნიშვნას; ეს — ერთი. მეორეცაა და, არავითარი ორკეცი მოძრაობა — მომთხრობისაგან — იქეთ, და შემდეგ, მომთხრობისაგან — აქეთ, წამო- პრევერბის ხმარებისას არა ჩანს, მი-მო- პრევერბის ხმარებისას კი ეს თვალში გვეცემა.

მართალია წა- პრევერბის ხმარებისას (წა-ვიდა, წა-ილო. წა-იყვანა...) იგულისხმება „იქით“ მოძრაობა, მაგრამ მნიშვნელობის მიხედვით ეს პრევერბი მი- პრევერბის დუბლიკატი არ უნდა იყოს.

მაშ, რა უნდა იყოს ამ პრევერბის მნიშვნელობა? ერთგვარი გარკვეულობა შეაქვს სხვა ქართველურ ენებთან შედარებას.

სვანურის ჩვენება არ გამოგვადგება: პრევერბთა უმეტესობა სვანურში სულ სხვა მასალისა ჩანს, ვინემ ქართულში. კერძოდ, წა-ს მნიშვნელობისათვის იქ კერაფერს ვიპოვით.

მეგრულში აქა-იქ იხმარება წა- პრევერბი: წართუ — წახდა, წააჟონუ — გააფუჟა... მაგრამ ასეთი მასალის მიხედვით კიდევ უფრო ნაკლებ შეიძლება რაიმე დასკვნის გაკეთება, ვინემ ქართულში. სამაგიეროდ, საგულისხმო ჩვენებას იძლევა ის შემთხვევები, სადაც ქართული წა-ს შესაბამისად რთული პრევერბია ნახმარი.

1. წა-ვიდა — მეგრ. მი-და-რთუ (ქან. მე-ნ-და-ხთუ).
2. წა-იყვანა — მეგრ. მი-დე-ყონუ (— მი-და-იყონუ) (ქან. მე-ნ-დ-ი-ყონუ ან: მე-ნ-დ-ი-ჟონუ).

3. წა-ართვა — მეგრ. მი-დ-ულუ (— მი-და-ულუ), (ქან. მე-ნ-დ-ულუ). ამ შემთხვევაში მეგრული და ქანური იყენებს იმავე ფუძეს, რასაც ძვ. ქართული ხმარობდა: „წარ-ულო“ ძვ. ქართ. „წაართვა“-ს ნიშნავდა...

4. წარ-ავლინა (ძვ. ქართ.) — მეგრ. მი-და-აჩქუ (ქან. მე-ნ-დ-ოჩქუ)...

ყველა ამ შემთხვევაში ქართული წა(რ)- პრეფერბის ადგილს მეგრულში მი-და იჭერს, რთული პრეფერბი; ასევეა ქანურში, ოღონდ აქ დ-ს წინ ფონეტიკური მეტბოროცი -ნ- ჩანს. და- პრეფერბის -ა- მომდევნო ხმოვნის ზეგავლენით იჩრდილება მეგრულშიც და ქანურშიც, — ამ უკანასკნელში უფრო მეტად. ამ რთული პრეფერბის პირველი ნაწილი ქართული მი- არის, მეორე — და; მი- პრეფერბი ქართულში აღნიშნავს მოძრაობას -იქეთ, -და — მოძრაობას ძირს, ქვევითკენ. მაშასადამე, მეგრულს ზნებში წა- პრეფერბი გაგებულა, როგორც მოძრაობის მაჩვენებელი — იქით<sup>1</sup> + ქვევით, ძირს, მეგრულმა უფრო ახლოს მდგომი პრეფერბები ვერ იპოვა... წა-ს მნიშვნელობის გადმოსაცემად.

„ქვევით, ძირს“ წა- პრეფერბის მნიშვნელობისათვის შემთხვევითი არაა. ამას მოწმობს ქანური. ამ უკანასკნელში წა- პრეფერბი საკმაოდ ხშირია და მისი მნიშვნელობაც მრავალს შემთხვევაში ეჭვს არ იწვევს: „ძირს“, „ქვევით“ აქ ნათლად ჩანს. ნიმუშები:

ქანური:	მეგრული:	ქართული:
... თუდე ჯა ეწუძინ	თუდო ჯა ეთუძუნ(ნ)	ქვეშ ხე უდევს
... ბერე სერენდიში ფსკა- ლას გეხეტუ დო გეწუ- კაპუ	ბალანა ნანიში კიბეს გი- ლახედუ დო გევილას- ხაპუ	ბავში სასიმიინდის კიბეზე იჯდა და (ძირს) ჩა- მოხტა
... თუდე სარლა ეწებუდ- გამ	თუდო ნისორს ქეთულ- გუნქ	ქვეშ გობს შეეუდგამ
... წკაი თუდე ქეწუსქი- ლუნ	თუდო წყარი ქეთუსქი- ლუნ(ნ)	ქვეშ წყალი შერჩება
... ფუჯის ეწურჩამან	ჩხუს თუდო ეთურჩანან(ნ)	ძროხას ქვეშ დაუგებენ
... კუკუმა წკაის ქეწუდგუ	თუნგი („კუკუმა“) წყარს თუდო ქეთუდგუ	თუნგი („კუკუმა“) წყალს ქვეშ შეუდგა
... კერემული ჰერის გო- წობუნ	ნაჭა „ჰერს“ თუდო გი- თობუნ(ნ)	ჯაჭვი „ჰერს“ ქვეშ კი- ლია...

ყველა ამ შემთხვევაში წა(ა)- პრეფერბი ჭავის მნიშვნელობით უდრის ზმნი-სართს „ქვეშ“, რომელიც სამ შემთხვევაში განმეორებულიცაა ქანურ ტექსტში

<sup>1</sup> „იქით“ არ ნიშნავს უთუოდ მომთხრობისაგან დაშორებას; შეიძლება სხვა პუნქტიდან დაიწყოს მოძრაობა. დართული მეორე პრეფერბი გვაჩვენებს, საითკენ იქნება მოძრაობა მიმართული.

(თუღე ეწუძინ, თუღე სარღა ეწებუღდგამ, თუღე ქეწუსქიღუნ...), მეგრულს თარგ-მანში „თუღო“ (ქვეშ) ყვეღგანაა ნაჩვენები გარღა ერთი შემთხვევისა: გეგიღსხაპუ: აქ რთული პრევერბი საკმაოღ დემონსტრაციულად მიუთითებს, რომ მოძრაობა ქვევითკენ იყო მიმართული („ჩამოხტა“). გამეორება ამ ზმნისართისა ისევე არაა აუცილებელი, როგორც ქართულს გამოთქმებში: შევიღა შიგ, ავიღა ზევით, გავიღა გარეთ — დართული ზმნისართების მნიშვნელობა უკვე მოცემულია პრევერბებში შე-, ა-, გა-.

ჭანურში მოიპოება წა- პრევერბის შესატყვისი ზმნისართი: ესაა „წაღღ“, რომელიც აღნიშნავს „ქვევით, ქვემოთ“ და უპირდაპირღება „ჟიღე“-ს (ზევით, ზემოთ)... „ჟიღე ოსმან-ჩაუში, წაღე აბღღ-რაჰმანი“ — „ზევით („ზერე“) ოსმან-ჩაუში, ქვევით („ქვერე“) — აბღღ-რაჰმანი“<sup>1</sup>.

თუ ეს ასეა, გასაგები ხღება, რატომ ნიშნავს ჭანური „ეწუღღგუ“ „ქვეშ უღღგას“-ს, გასაგები ხღება ისიც, თუ რატომ გაჩნღა მეგრულში ქართ. წა- პრევერბის შესაბამისად -ღა (მი-ღა).

რასაკვირველია, ამჟამად ქართულში წა- პრევერბის პირვანღელი მნიშვნელობის გამოაშკარავება ზმნათა 'უმეტესობაში ისევე შეუძლებელია, როგორც შეუძლებელია „ღა-ხაღა“ — ზმნაში ღა- პრევერბის პირვანღელი მნიშვნელობის (ძირს მოძრაობის) შეცნობა. და მაინც შეიძლება თითქოს თითო ოროღა შემთხვევაში წა- პრევერბის გამართლება ამ ძველი მნიშვნელობის საფუძველზე:

„წარწერა“ ე. ი. წერა ზევიღან ქვევით. რეალურად ეს გამართლებულია: წერის დროს, — ქაღაღღზე ვწერთ, ლითონზე თუ ქვაზე — წერა ზევით იწყება და ქვევითკენ მოღის. ქაღაღღზე „წარწერა“-ს აღარ ხმარობენ, მაგრამ „ღა-წერა“-შიც ხომ ღა- პრევერბი იხმარება, „ღა“- პრევერბი კი ძირს მოძრაობას აღნიშნავს...

წა-ქცევა: ქცევა ძვეღად „ტრიღლს“, „ბრუნვას“ ნიშნავღა (ზღრ. „ყოფა-ქცევა“...), წა- პრევერბიც იმას გვეუბნება, რომ „ძირს“, „ქვევითკენ“ მიმართება „წაქცეული“...

წა-ყრა ლაგამისა: სათანაღო მოქმეღება ლაგამის „ქვევითკენ“ მოძრაობას გულისხმობს...

წა-მო-ვიღა: წვიმა წამოვიღა: ქვევით ჩვენკენ მოღის წვიმის წვეთები... მეგრ. წა-რთუ „სიტყვა-სიტყვით“ გაღმოგვეცემს ძვ. ქართ. „წარ-კღა“ და ნიშნავს: „გაღუჭღა“, ე. ი. „ქვევით წავიღა“; „ქვევით სვღა“ აქ გაღატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი და „ღაქვევითებაზე“ მიუთითებს. წაუღა („წაუღას კირი ვააკო“) — გაღუჭება, წახღენა (გერ. Niedergang) „ქვევით სვღას“ მოასწავებღა...

შენიშვნა. ქართულში წა- პრევერბს არსებითად სხვა მნიშვნელობა უნღა მქონღდეს ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა „წამეგრადღ“... წააგრძეღა, წარღღა — აქ თითქოს „წინ“ უნღა იგულისხმებოღდეს ისევე, როგორც მეგრულს

<sup>1</sup> იხ. ავტორის „ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ“ ტფიღ. 1936, ნაწ. II, გვ. 143, „ნანი-ნანი“ (ჭანური ნანა).

მაგალითებში: ეწოხენ(ნ) — წინ ზის, ეწუძუ(ნ) — წინ უდევს, ეწობუ(ნ)<sup>1</sup> — წინ უბია... საკითხავია, იგივეა ეს პრევერბი, თუ ის „წინ“ (მეგრ. წო-ხ-ოლ-ე) ზმნისართს უკავშირდება...

რატომ დაიჩრდილა წა- პრევერბის მნიშვნელობა ისეთ ზმნებთან, რომლებიც გადაადგილებას აღნიშნავენ? სხვა პრევერბების (გა-, შე-, მო-...) პირველადი მნიშვნელობა მრავალ ზმნასთან გაუჩინარდა (გა-აკეთა, შე-ატყო, მო-სპო...), მაგრამ მოძრაობის (უკეთ ვთქვათ, გადაადგილებას) აღმნიშვნელ ზმნებთან შეგვე-ნაბა: გა-ვიდა, შე-ვიდა, მო-ვიდა... რატომ დაბნელდა წარ- პრევერბის მნიშვნელობა ამგვარ ზმნებთანაც? ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენს ენებში იგი უცხო საპყაროდანაა შემოსული. მეგრულში ის ისევე უტყვია, როგორც ქართულში; ქანურს, მართალია, შესაბამი ზმნისართი „წალე“ გააჩნია, მაგრამ მის პარალელურად „თუდე“-ს ხმარობს; ეს „თუდე“ უნდა იყოს მისი კუთვნილება; მეგრულში იგივე სიტყვაა „თულო“. ასე რომ, წა- პრევერბიცა და „წა(ლე)-ც ქანურშიაც შეთვისებული უნდა იყოს სხვა ენიდან<sup>2</sup>.

ეს ენა ატხაზური უნდა იყოს. ატხაზურს გააჩნია პრევერბი -წა-, რომელიც ნიშნავს „ქვეშ, ქვევით“:

აქლანდ ამუჟუბ აწოუბ

აწლა სანწატიოუბ

აღბ ახოზ აწააოუბ

აძაწყა — წყალქვეშ,

სტწყა ანდა სგწყა — ჩემ ქვეშ, უწყა შენ (ვაჟის) ქვეშ და სხვ.

ქალადლი წიგნის ქვეშაა

ხის ქვეშ ვზივარ

ძალი ცხენის ქვეშ წევს

ახააჰაწყა — ქვის ქვეშ

(იხ. Услар. Архазский язык, Тифл. 1887, § 77, გვ. 87).

რატომ ატხაზურიდან უნდა ესესხა ქანურს და არა, პირუკუ, ქანურიდან ატხაზურს? ატხაზურისთვის რომ ეს წა- შეძენილი მასალა არ არის, იტიდან ჩანს, რომ ატხაზურში ამ წა-ს მოუპოვება ეტიმოლოგია: „ა-წა“ „ძირს“ „ფსკერს“ აღნიშნავს (იხ. Услар. Абх. яз. გვ. 172: წა-)...

საინტერესოა, რომ ატხაზურში წა- პრევერბს „წინ“- ზმნისართის მნიშვნელობაც აქვს, როგორც ამას უსლარი აღნიშნავს:

„აწლა სანწატიოუბ — ვზივარ ხის ქვეშ, საკუთრივ: „ვზივარ ხის წინ“...

„სტმწან ჩემ წინ ანუ ჩემ გვერდით... ტმწან — შენ წინ (მაშაკაცის წინ) ან გვერდით, ბტმწან — შენ წინ ან გვერდით (ქალის წინ...). იხ. Архазский яз. გვ. 87, § 77.

ანალოგიური შემთხვევები ქართულშიაც არის და მეგრულ-ქანურშიაც (იხ. ზემოთ, შენიშვნა, გვ. 44—43). იქ ჩვენ კითხვას ვსვამდით, იგივეა ეს პრევერბი თუ „წინ“- ზმნისართს უკავშირდება. ამგვარი კითხვა ატხაზურის ჩვენების მიხედვითაც ჩნდება. ანდა ეგებმის ერთ-ერთის არჩევა არც არის საჭირო: წა- პრევერბსა და წინ- ზმნისართს შორის არის კავშირი (ატხაზურად — მწა — „წინ“, „გვერდით“ (იხ. Арх. яз. გვ. 149). მაშინ ქართული „წინ“- ზმნისართის,

<sup>1</sup> მსგავსი შემთხვევები ქანურსაც მოეპოვება.

<sup>2</sup> -ლე ნაწილაკი ქანურია, საქმე წა-ს უნება.

მეგრ. „წიმი“-ს (იმავე მნიშვნელობისაა)<sup>1</sup> და აბხაზ. მწა-ს ურთიერთობის საკითხი დაისმოდა. შეუძლებელი არ იქნებოდა, ეს საკითხიც ისევე გადმწყდარიყო, როგორც წა- პრევერბის საკითხი, მაგრამ აქ ამ საკითხს ღიად ვტოვებთ, ვკმაყოფილდებით იმით, რომ აღზნაზურშიც დასტურდება წა-სთვის ისეთივე მნიშვნელობა, ძირითადისაგან განსხვავებული, როგორცაა ქართული და მეგრულ-ქანური გვაძლევს...

დასასრულ, ერთი შენიშვნა. წა- პრევერბი ჩვენ დაჯუჯვებით „წალე“-ზმნისართს; წა-ლე ისეთივე აგებულებისაა, როგორც ყი-ლე, გა-ლე, რომელთაც ქართულში უდრის ზე-რე (ღიალ.), გა-რე... ლე || რე; ასე რომ წა-ლე-სათვის უნდა გვქონოდა წა-რე; ამ მეორე ნაწილის ნარჩენია -რ, რომელიც ძვ. ქართულში დაერთვის წა- პრევერბს: წა-რ.

წა- პრევერბის აქ მოცემულ გაგებასთან დაკავშირებით, ერთი სიტყვის ეტიმოლოგიაც შეიძლება მოვიგონოთ. ესაა „წალენჯიხა“, დაბა, ამჟამად სარაიონო ცენტრი დასავლეთ სამეგრელოში. ამ სახელის ერთი ვარიანტია „წენ-დიხა“; მას ადგილობრივ ხმარობენ. განსვენებული პროფ. ი. ყიფშიძე ფიქრობდა, რომ „წენ-დიხა“ „ჭან-ციხეს“ ნიშნავს (ამ რაიონში შენახულა მდინარის სახელიც ჭან-წყარი — „ჭანწყალი“). „წენ-დიხა“-ს ასეთი ინტერპრეტაციის შემთხვევაში აუხსნელი რჩებოდა: 1. რატომ უნდა ყოფილიყო მეგრული სახელის პირველი ნაწილი წენ- სისინა წრის ნორმების მიხედვით ნაწარმოები (წ, ე, ნაცვლად ზ, ა-სი), მაშინ, როდესაც მეორე ნაწილი დიხა || ჯიხა შიშინა წრის ჩვეულებრივი სიტყვაა; 2. თუ „წენ-დიხა“-ს ამ სახელის პირველადს ფორმად მივიჩნევდით, როგორ უნდა მიგველო აქედან წალენ-ჯიხა?

გვეფიქრება, რომ ქართულში ხმარებული წალენჯიხა-ში უნდა იყოს შემონახული პირველადი ფორმა, ადგილობრივ ხმარებული; ქართულმა ეს ძველი ვარიანტი უცვლელად შეგვინახა, ადგილობრივ კი სიტყვამ ცვლილება განიცადა (შდრ. სხვა მეგრული გეოგრაფიული სახელების ადგილობრივი სახეცვლილი ვარიანტი და მათი უფრო ძველი სახეობა, ქართულში შენახული: ზუგდიდი — ზუგიდი, სენაკი — სანაკი, ნოქალაქევი — ნოქალაქი, ტეხური — ტეხირი...).

წენ-დიხა ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტია წალენ-ჯიხა-სა; წალენ წა-ლე-საგან ნაწარმოები ატობუტდება წალე — ქვეშ, ქვემოთ; წალენ-ი — ქვემოური, ქვემო; წალენ-ჯიხა — „ქვემოციხე“ (შდრ. გეოგრ. სახელები: ქვემოხეთი, ზემო-ხეთი, — გურიაში...).

<sup>1</sup> სვან. სულ სხვა ძირია: „სტუბინ“ — წინ; ეს ძირი, როგორც სამართლიანად ასკვნის აკად. ნ. მარი, „შუბლ“-ძირს უკავშირდება.

АРМ. ЧИКОБАВА

О НАЧАЛЬНОМ ЗНАЧЕНИИ ПРЕВЕРБА

წმ- TSAR- В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

(РЕЗЮМЕ)

Преверб წმ-რ tsa-r из картвельских языков характерен только для грузинского языка, основное же его назначение — указывать «движение туда», движение, отдаляющее от говорящего: წმ-ვიდა tsa-vida «ушел»; но непонятно, как же может с ним сочетаться преверб მ- მო- обозначающий «движение сюда»: წმ-მ-ვიდა tsa-mo-vida «пошел сюда», по направлению к говорящему.

Объясняется это противоречие легко, если учесть, что წმ-რ- || წმ- tsa-r- || tsa- восходит к наречию წმ-ლე tsa-le, представленному в чанском диалекте занского языка и являющемуся синонимом თუღე || თუღო t'ude || t'udo, употребляемых в чанском и мингрельском диалектах занского языка в значении «вниз, вниззу»: წმ-ლე tsa-le противоположно ჟი-ლე ji-le «наверху».

Таким образом, первоначально преверб წმ-რ- || წმ- tsa-r- || tsa- должен был обозначать «(движение) вниз», წმ-მ- tsa-mo «движение вниз сюда»; წმ-იქცა tsa-ik'tsa «упал», წვიმა წმმ-ვიდა tsvinia tsamo-vida дождь пошел (букв. «пошел вниз сюда»)...

В самом чанском диалекте წმ- tsa- усвоен из абхазского, где он в глаголах употребляется в значении «под, вниз» и где он этимологически связывается со словом ა-წმ a-tsa «дно».

АРМ. ЧИКОБАВА

DE LA SIGNIFICATION PRIMITIVE DU PRÉVERBE

წმ- TSAR DANS LA LANGUE GÉORGIENNE

(RÉSUMÉ)

Dans les langues kartveliennes le préverbe წმ-რ- || წმ- tsar- || tsa- n'est propre qu'à la langue géorgienne; sa signification essentielle est celle d'indiquer le mouvement *là — bas*, mouvement, exprimant l'idée de l'éloignement par rapport à la personne qui parle: წმ-ვიდა, tsa-vida «s'en est allé»; mais il est incompréhensible, comment le préverbe მ- მო- qui exprime le mouvement contraire, peut-il s'unir avec le premier? წმმ-ვიდა, tsamo-vida = «vient ici», vers la personne qui parle.

On s'explique facilement cette contradiction, en considérant que წარ- || წა- tsar- || tsa- remonte vers l'adverbe წა-ლე tsa-le, représenté dans le dialecte tchane de la langue zane, qui est le synonyme de თუდე || თუდო t'ude || t'udo, employé dans les dialectes tchane et mégrélien de la langue zane qui signifie «en bas»: წა-ლე, tsa-le est l'opposé de ელე «en haut».

Ainsi, à l'origine, le préverbe წარ- || წა- tsar- || tsa- devait signifier le mouvement «en bas», წა-მო — le mouvement «en bas vers nous», წა-იქცა tsa-ikt'sa «est tombé», წვიმა წა-მო-ვიდა tsvima tsa-mo-vida «il a plu», littéralement: «est allée en bas, ici».

Dans le dialecte tchane même წა — tsa est emprunté à l'abkhasien, où il s'emploie dans les verbes et signifie «sous», «en bas» et où il s'unit d'après son étymologie au mot ა-წა a-tsa «le fond».

#### IV. სიტყვა „ზოგი“-ს მტიმოლოგიისათვის

სიტყვის ეტიმოლოგიის გარკვევა პირვანდელი მნიშვნელობის გათვალისწინებაა, იმ წარმოდგენის ამოფესვა, რომელიც სიტყვაშია ჩამარხული და რომელიც ცხადყოფს, რატომ დაერქვა ეს სიტყვა ამ ობიექტურ მონაცემს.

პირვანდელი მნიშვნელობა ისევე, როგორც საერთოდ მნიშვნელობა, სიტყვის ფუძეშია მოცემული; ეტიმოლოგიაც, მაშასადამე, სიტყვის ფუძეში უნდა ვეძიოთ.

სიტყვის ფუძე დროთა ვითარებაში შეიძლება იცვალოს: ესა თუ ის ბგერა დაიკარგოს, გადაისვას ან სხვა ბგერით შეიცვალოს (ათ-ორ-მეტი → თორმეტი... ათ-ხუთ-მეტი → თხუთმეტი || თუთხმეტი || ხუთმეტი... წყალრღენა → წარღენა... ქრცხილვანი → ცხინვალი... ერთმან-ერთი → ერთმანეთი...), ანდა აფიქსეული მასალა მარტივ ფუძეს შეეზარდოს და ძირის კუთვნილებად იქნეს გამოცხადებული (ხუცეს: ხ-უ-ც-ეს-ი = მეგრ. უჩაში, პირვანდელი მნიშვნელობით „უფროსი“ ნიშნავდა; შდრ. უხუცესი... მეგრულ: მ-ეგრ-ელ, ე. ი. ეგრისის მკვიდრი...).

ცხადია, ეტიმოლოგიის ძიება ფუძის ანალიზს საჭიროებს, მასში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებას მოითხოვს. ამის შესაბამისად საჭირო იქნებოდა სიტყვაში „ზოგი“ გამოგვეყო ფუძე და ამ ფუძის მნიშვნელობა გაგვეხადა ყურადღების საგანი.

ამჟამად ამ სიტყვის ფუძე არის „ზოგ“; რაც შეეხება მნიშვნელობას, ის მეტ-ნაკლებად ცხადი იქნება, თუ მოვიგონებთ იმ ნაწარმოებ ფუძეებს, რომლებიც „ზოგ“-იდანაა მიღებული და იმ გამოთქმებს, რომლებშიაც „ზოგი“ სიტყვა მონაწილეობს:

ზოგ-ი, ზოგიერთი, ზოგი ვინმე, ზოგი რამ...

ზოგ-ად-ი, გან-ზოგ-ად-ება... ზოგ-ავ-ს...

სა-ზოგ-ად-ო...

სა-ზოგ-ად-ო-ება...

ამ სიტყვებს რომ დავაკვირდეთ, დავინახავთ, რომ მნიშვნელობის მიხედვით ერთგვარი ზღვარია ზოგ-სა და მისგან ნაწარმოებ ზოგად-ს შორის:

ზოგი = некоторый; ის უპირისპირდება „ყველა“-სიტყვას; მასში რალაკ ნაწილზეა მითითება, ნაწილი გამოიყოფა მთელისაგან, კერძობითობაა წინა რიგში მოქცეული.

ზოგადი = общий, ამ სიტყვის მნიშვნელობა კერძობითობას გამორიცხავს, მნიშვნელობით მას უპირდაპირდება: „ზოგადი კურსი“, „ზოგადი მიმოხილვა“, общий курс, общий обзор, revue générale, cours générale... „ზოგადად“, вообще...

აქედან - საზოგადო, ე. ი. ის, რაც ყველას ეხება და არა კერძოდ ვისმე; „საზოგადო საქმე“ — რაც დაპირისპირებულია „კერძო საქმეს“, „პირად საქმეს“...

აქედანვე და მნიშვნელობის იმავე ხაზით: საზოგადოება «общество»-ს მნიშვნელობით.

„ზოგად“-სა და „საზოგადო“-სთან მნიშვნელობით ძალიან ახლოს დგას „საერთო“: შდრ. „საზოგადო საქმე“ და „საერთო საქმე“... ფრანგულსა და ინგლისურში გარჩეულია ეს ორი სიტყვა: „ზოგად“-ს, „საზოგადო“-ს შეეფერება ფრ. général, ინგ. general, „საერთო“-ს — ფრ. commun, ინგლ. common; გერმანულში და რუსულში ორივესთვის ერთი სიტყვაა — გერ. allgemein, რუს. общий: общий обзор, общий курс — ზოგადი მიმოხილვა, ზოგადი კურსი; общие интересы, общее дело — საერთო ინტერესი, საერთო საქმე.

ზოგ-ისა და მისგან ნაწარმოები ზოგად-ის მნიშვნელობათა სხვადასხვაობა გარკვევით აქვს აღნიშნული ლექსიკოგრაფ საბა ორბელიანს:

ზოგი — ესე განწილულს ცხადჰყოფს, ხოლო საზოგადო — საზიაროსა, და ზოგად ვიდოდეთ — ერთბამად ვიდოდეთ-სა; ზოგი — ვიეთათჳსცა ითქმის (იხ. საბას „ქართული ლექსიკონი“ ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, ტფილ. 1928 წ. გვ. 130).

ზოგად — ერთობით (იქვე, გვ. 130).

საზოგადო — საერთო (იქვე, გვ. 289).

თუ „ზოგი“ კერძობითზე მიუთითებს (некоторый), როგორღა მოხდა, რომ „ზოგადი“ საზიარო-ს (общий-ს) აღნიშნავს, „საერთო“-ს სინონიმადაა ქცეული? რა მომენტი აკავშირებს ამ ორი ფუძის მნიშვნელობას? რა უნდა ყოფილიყო პირველადი მნიშვნელობა ზოგ-ისა, რომ მისგან ნაწარმოები „ზოგად“-ი, „საზოგადო“ общий-ს აღმნიშვნელად ქცეულიყო?

ეს უნდა ყოფილიყო „ერთი“-ს მნიშვნელობა; ზოგ-ი ნიშნავდა „ერთს“ და ამით აიხსნება ის განსხვავებაც, რომელთაც ნაწარმოებ ფუძეებში ვიღებთ საწარმოებლისაგან განსხვავებით; ამ ვარაუდის მიხედვით მივიღებთ:

ზოგი — ერთი...

ზოგად — ერთად

ზოგადი — „ერთადი“, საერთო

საზოგადო — „საერთადო“, საერთო

საზოგადოება — „საერთადობა“, общество, ფრ. „communauté, société“...

გერ. Gemeinde.

ზოგი ვინმე — ერთი ვინმე

ზოგი რამე — ერთი რამე

ზოგ-ზოგი — თითო-თითო

ზოგიერთი — ერთ-ერთი (აგებულია ისევე, როგორც „სეუბედი“: მეორე ნაწილი იმეორებს პირველს):

ზოგჯერ — „ერთ-ჯერ“, иной раз, иногда (იხ. ქვემოთ)

ზოგავს — ზოგს სტოვებს, აპატივებს...

ზოგი, როგორც სინონიმი ერთისა, უპირისპირდება „ყოველს“, „ყველას“... ამიტომვე ზოგი, როგორც ერთის სინონიმი იძლევა „საერთო“-ს ნაწარმოებ ენიმკი-ს მოამბე, ტ. I.

სახელებში: „ზოგად“, „ზოგადი“, „საზოგადო“... ის, რაც გაუგებრად გვეჩვენა ნაწარმოები ფუძეების მნიშვნელობაში, სრულიად ბუნებრივი ჩანს ამ ვარაუდის მიხედვით.

რას ემყარება ეს ვარაუდი? იმ შემთხვევებს, რომლებიც ძვ. ქართულში გვაქვს და ზოგ-ის მნიშვნელობას კონტექსტში ექვიმუტანელს ხდის:

... და ვერ შემძლებელ იყვნეს დამკვდრებად ზოგად... დაბადება, წიგნი პირველი მოსცსი, თავი 137, ოშკის 978 წლ. ხელნაწ. ფოტოკოპირი:

სომხურს დაბადებაში ეს ადგილი ასე იკითხება: ... *և սչ կարէին ըսակէ 'ի մխասին...*

სლავური დაბადებით ასეა: ... и не можашу жити вкупѣ ...

... და წარვიდეს ორნივე ზოგად... დაბადება, წიგნი პირვე., თავი 22, (იმავე ხელნაწ.).

სომხურს დაბადებაში ამას უღრის: ... *և գնային სրկიգხან 'ի մխասին...*

სლავურს დაბადებაში: и ндоста она вкупѣ ...

ქართული ტექსტის „ზოგად“-ს შეეფერება სლავური вкупѣ (ე. ი. вместе) ძვ. სომხ. *'ი მქასინ*, რაიც ნიშნავს: ერთად.

აგრეთვე: ... რბიოდეს ორნივე ზოგად... ოთხთავი, იოანე, თ. XX, მუხლი 4, — ხანმეტი ლექციონარიდან... (იხ. პროფ. ა. შანიძე: ქართული ხელნაწერები გრატიში, ტფილ. უნივ. მოამბე, IX, 1929 წ. გვ. 336). ასევე იკითხება ეს ადგილი ბიბლიური საზოგადოების მიერ გამოცემულ ოთხთავში (1912).

სომხურს ოთხთავში ამის შესაბამისად გვაქვს: ... *ընწահային სრկიգին 'ի մխասին...*

სლავურ ოთხთავში: тчаств же она вкупѣ ...

ბერძნულს ოთხთავში: ἕ-ρ-ε-γ-η ἕ ἑ ἑ ἑ ἑ ἑ ἑ ...

ლათინურში: currebant autem duo simul ...

სომხური (*'ი მქასინ*), სლავური (вкупѣ), ბერძნული (ἑ-ρ-ε-γ-η), ლათინური (simul) ერთად -ს ნიშნავს; ამრიგად: ზოგად = ერთად...

მაგრამ ეგების ქართული თარგმანი ყველა ამ შემთხვევაში სხვა გზით მიდის და „ზოგად“, თუმცა ამ სიტყვების ადგილას იხმარება, მაგრამ სხვა რამეს ნიშნავს? ასეთი რამ არ არის მოსალოდნელი, რაკი რამდენიმეჯერ სხვადასხვა ენის ტექსტი ერთმანეთს ხვდება, მაგრამ მაინც შეიძლება რაიმე ეჭვი დარჩეს.

ამ ეჭვებს ჰფანტავს ჰადიშის (987 წლ.) ოთხთავი, სადაც იმავე ადგილას იკითხება: რბიოდეს ორნივე ერთად ტაბ. 195 ა<sub>2</sub> ... ზოგად = ერთად; ზოგი = ერთი.

ამ მნიშვნელობის შემდგომი გუნვითარებაა მოცემული გამოთქმაში:

„მთხოვე რააცა გნებავს და მიგცე შენ ზოგი მეფობისა ჩემისაჲ“... (საქართვე. მუზეუმის ხელნაწერი № 1147, ფ. 165r): აქ „ზოგი“ თითქოს „ნაწილს“ აღნიშნავს, მაგრამ არა! იქვე ვკითხულობთ:

„ზოგი იგი სამეფოჲ დასდევ ფერკთა შროკვალისათა; ილოცე, ნუ უკუშ კულად როკვიდეს და შეროდელა თუ როკვიდეს, დაგადოს შენ პურის მთხოველად“... იქვე, ფ. 165r—v.

ექვს გარეშეა, აქ „ზოგი“ ნიშნავს ნახევარს, ე. ი. ორ თანაბარ ნაწილში ერთს: სამეფოს ერთი ნახევარი უკვე დადებული გაქვს მოცეკვავის ფერხთ — მისი ცეკვის საჩუქრად; თუ კიდევ მეორედ იცეკვა, მათხოვარი დარჩები („და-გაგდებს პურის მთხოველად“), რადგანაც მეორე ნახევარსაც ეს მოცეკვავე წარლებსო (ტექსტი ეხება ცნობილ სიუჟეტს სალომეს ცეკვისა და ცეკვით აღტაცებული მეფის მიერ მის დასაჩუქრებისა)...

„ნახევრის“ მნიშვნელობით „ზოგი“ იხმარება შემდეგს ნაწყვეტშიც:

„სახის მეტყუელმან თქუა. ლომ ჯინჭველისაჲ რ' მამისაჲ მის პირი ლომისაჲ არს. და დედისაჲ ჯინჭველისაჲ. მამაჲ იგი მძორის მკამელ არს და დედაჲ თივის მკამელ. რ' ჯინჭველ-ლომმან გამოკდის ორთაგანვე მკვდრი ზოგი ლომისაჲ არნ ხატი და ზოგი ჯინჭველისაჲ. ვერ მძორი ქამის მამისა მის: მკვდრობისათჳს და ვერცა მარტული დედისათჳს... (სახისმეტყუელი... გამოცემული აკად. ნ. მარის რედაქციით, თავი XXIII, სტრ. 4—18, გვ. 31—32): ლომ-ჯინჭველი ლომსაც გავს და ჯინჭველს, მისი „ხატის“ ნახევარი ლომისაჲ, ნახევარი — ჯინჭველისაჲ... სომხურს ტექსტში, რომელიც ქართულის პარალელურად არის გამოცემაში წარმოდგენილი, აქ ნახმარია *ქსა*, რაიც „ნახევარს“ ნიშნავს...

„ზოგ“-ის ეს მნიშვნელობა უდევს საფუძვლად „განზოგებას“, რომელიც „განახევრების“ მნიშვნელობით იხმარება: ... განზოგებასა ოდენ მის დღესასწაულისასა აღვიდოდა ივ' ტაძარსა მას და ასწავებდა... ჰადიშის ოთხთავი, ტაბ. 170 ა<sub>3</sub>, იოანე, თავი VII<sub>14</sub>... განზოგებასა ოდენ ე. ი. მხოლოდ განახევრებისას, შუა დღესასწაულში... ამ მნიშვნელობას ადასტურებს სათანადო ადგილას სომხურს ტექსტში ხმარებული *ღაჟმტქსჟაჲ* და სლავური ტექსტის „*неполовение*“ (праздника)...

ძე. ქართულშივე უვითარდება „ზოგ“-ს ის მნიშვნელობა, რომელიც ახლა მისთვის ჩვეულებრივია:

ეგრე შერაცხეთ რეცათუ ზოგი რაჲმე გესმა და არა ყლი... საქართვ. ბუზ. ხელნაწ. № 1147, ფ. 10 r... ზოგი აქ უპირისპირდება „ყოველს“; ეჭვი არაა, რომ ის „ნაწილს“ ნიშნავს.

საინტერესოა ის შემთხვევა, როცა „ზოგი“ „სხვას“ ნიშნავს:

... და ხატი მათ ზღვს ქალთაჲ ვ'ე' უპედმდღე კაცისაჲ არს ზოგი ხატი მათი მფრინველთაჲ... სახისმეტყ. თ. XVI, სტ. 16—20, გვ. 21: სომხურად ეს ადგილი ასე იკითხვის: *և ևსկყოսրսնք ზოյა მქსჯს ქ պարսն կնոջ ძարჟս և მქსან ქიչსოჲ ք...* «*ქსა*» — „სხვა“, „ზოგი ხატი“ — სხვა „ხატი“, სხვა ბუნება... ალბათ, ეს მნიშვნელობა უდევს საფუძვლად გამოთქმას „ზოგჯერ“ — „სხვა ჯერ“ *иной раз, иногда*...

ამრიგად, ძე. ქართულის ტექსტები „ზოგი“-სიტყვის შემდეგს მთავარ მნიშვნელობებს გვაგულისხმებინებენ: 1. ერთი, 2. ნახევარი (ე. ი. ორი თანაბარი ნაწილიდან ერთი), 3. ნაწილი, „ყველა“-ს საპირისპირო (ე. ი. მრავალიდან ერთ-ერთი)...

ამჟამად უკანასკნელი მნიშვნელობაა ამ სიტყვისათვის ძირითადი, „ერთი“ კი ნაწარმოებს ფუძეებსა შემოუნახავს („ზოგადი“, „საზოგადო“...).

ახლანდელი მნიშვნელობა ამ სიტყვისათვის ჩვეულებრივია უკვე „ვეფხვისტყაოსანში“:

... დიდებულთა ჯარისაგან ზოგნი ჰგვანდეს ვითა მთრვალსა...  
 ხანა 739, კ. ჭიჭინაძის გამოც.  
 ... ერთსა კაცსა ეყოფოდეს, დიდებანი რომე მჭირდეს,  
 ზოგთა შორით დამლოციან, ზოგნი კოცნად გამიპირდეს... ხანა 491  
 ... ზოგნი ტირან მამისათვის, ზოგნი ჩემთვის ტიროდიან... ხანა 371  
 ... ზოგნი ნდომით შეჰფრფინვიდეს, ზოგნი იყვნეს სულწასულად...  
 ხანა 116

სიტყვის მნიშვნელობის განვითარების თვალსაზრისით საინტერესოა, რომ მრავლობითი დასმული „ზოგნი“ შეიძლება შევცვალოთ სიტყვებით: „ერთნი და „სხვანი“: ზოგნი ტირან მამისათვის, ზოგნი ჩემთვის ტიროდიან ერთნი მამისათვის ტიროდენ, სხვები -- ჩემთვის... ასევე: „ზოგთა შორით დამლოციან, ზოგნი კოცნად გამიპირდეს“ იქნება: ერთნი შორიდან მლოცავდენ, სხვები კოცნას მიპირებდენ, საკოცნელად მოაწვედენ...

ამგვარად, დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ „ზოგი“ და „ერთი“ ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვები იყო. როგორია ამ ფუძეების ურთერთობა და ადგილი ქართულში? „ერთი“ ყველა ქართველურ ენებში გვაქვს: ართ-ი (მეგრ.), ართ-ი || არ- (ჭანურში), ეშხუ (სვან.). ეს ძირი მკვიდრად გრძნობთავს ქართველურ ენებში. ამასვე ვერ ვიტყვი „ზოგ“-ის შესახებ. ამ ძირის შესატყვისები სხვა ქართველურ ენებში არა ჩანს. აგებულებითაც მისი ფუძე ქართულს არა გავს: ფუძის ბოლოკიდურად -ვ ქართულს არ მოუღის (და სათუნადო სიტყვები: ნიადავ-ი, ფარდავ-ი, დილევ-ი... ნასესხებია).

„ზოგ“-ის შესაბამის ძირს თუ სხვა კავკასიურ ენებში მოვიკითხავთ, ყურადღებას მიიქცევს ხუნძური ცო (სუსტი ც — ისმის თითქმის, როგორც ს!) და აფხაზური ძირი ზა-...

ცო აღნიშნავს „ერთს“, „ვინმეს“ ხუნძებთან. ძირეულ ს-ს ვხვდავთ „ერთის“ აღმნიშვნელ სიტყვაში მთელ რიგ კავკასიურ ენებში (კაურულში, ტაბსარანულში, არკულში, რუტულურში, წახურულში...), ც-ს „ერთის“ აღმნიშვნელ სიტყვა შეიცავს დარგულში, ლაკურში, ჩაჩურში (ამასთანავე, ალბათ, დაკავშირებული ქართული ც-ალ-იც).

ხუნძურში ცო-საგან არის ნაწარმოები: ცოცო — თითო; ცინ — ერთხელ ერთგზის... ცინგ — შემდეგ... ცადაკ — ერთად... ცოგ — სხვა (იხ. II. წყნარ. ყვ. ტიქ.ა. 1889, ლექსიკონი, გვ. 212). ეს უკანასკნელი გვაქვს მხედრელობაში ქართულ „ზოგ“-ისთან დაკავშირებით. მართალია, „ცოგი“ აღნიშნავს „სხვას“, მაგრამ მისი ძირი მიუთითებს „ერთ“-ზე; გარდა ამისა ძვ. ქართულში როგორც ვნახეთ, არის შემთხვევები, როცა „ზოგი“ მნიშვნელობით „სხვა“ უდრის. ასე რომ, არც აგებულებისა და არც მნიშვნელობის მხრივ გადაულახავი დაბრკოლება არა გვხვდება. და მაინც ასეთი დაახლოება შემთხვევითი შთაბეჭდილებას დასტოვებდა, ხუნძური და ჩვენი ენების შეხვედრათა სხვა მთავარი მიზეზებიც რომ არა გვქონდეს. ასეთი შეხვედრები არის (რა თქმა უნდა, არა

მესამე წყაროდან შეთვისებული საერთო მასალის სახით!)... ამიტომ შემთხვევითად არ მიიჩნევა ამ სიტყვების შეხვედრაც.

აფხაზურში, როგორც ამაზე ასირ. ქეთ. ლომათიძემ მიმითითა, მოიპოება ძირეული მასალა ზა- „ერთის“ მნიშვნელობით; ქეთ. ლომათიძე მიუთითებს აქედან ნაწარმოებ სიტყვებზე უეფზა თერთმეტი, „ათი + ერთი“; ა-ზ-ნა ერთჯერ, მთელი, სავსე... ღარა-ზ-ნაკ — ერთბაშად... ზა-წუკ — ერთად ერთი... აზეფფუ (← ა-ზა-ფფუ) — ზოგადი... აფ-ზა-რა — კრება... ზეგეგ (← ზა-გგ) — ყველა...

ეს უკანასკნელი აგებულებით უფრო ახლოს არის „ზოგი“-სთან, ვინემ ხუნძური „ცოგი“... მნიშვნელობით ის უფრო დაშორებულია ქართულ „ზოგ“-ს, ვინემ ხუნძური სიტყვა. მაგრამ თუ მოვიგონებთ, სემასილოგიურად როგორ ფართოდ ტოტიანდება „ერთი“ აფხაზურშიც, ხუნძურშიც და თვით ქართულშიც, ცხადი იქნება, რომ ქეთ. ლომათიძის დაკვირვება საქმის ვითარებას შეეფერება.

მოშავალი ძიება გაარკვევს, აფხაზურიდან უნდა ამოვიღეთ ამ ძირის ისტორიულ-შედარებითი ანალიზისას თუ ხუნძურიდან, ანდა კიდევ ეს ძირი კავკასიური ენებისათვის საერთოდ მივიჩნიოთ.

ДРН. ЧИКОБАВА

## К ЭТИМОЛОГИИ ГРУЗ. СЛОВА „ზოგი“ «ZOGI»

(РЕЗЮМЕ)

Слово „ზოგი“ «zogi» в груз. яз. обозначает «некоторый», но в производных основах ზოგ-ად-ი, სა-ზოგ-ად-ო zog-ad-i, sa-zog-ad-o «общий», სა-ზოგ-ად-ო-ება sa-zog-ad-o-eba «общество» появляется чуждый основному значению семасиологический момент.

Такие контroversы основного и производного значений заставляют предполагать, что первичным значением слова являлось не «некоторый», а «один»; отсюда: ზოგად zogad = ერთად et'ad «вместе», საზოგადო sazogado «general» — საერთო saert'o — соитии... «общий».

Это предположение находит полное подтверждение в древнегрузинском литературном языке, где „ზოგი“, «zogi» значит: 1. «один», 2. «половину» (т. е. одну из двух частей), 3. «часть», «некоторую часть» (т. е. одну из нескольких частей)...

В древнейших памятниках грузинской письменности „ზოგად“ «zogad» дублирует „ერთად“ et'ad «вместе»: რბიოდეს ორნივე ზოგად — რბიოდეს ორნივე ერთად rbiodes omive zogad — rbiodes omive et'ad «бежали оба вместе».

Слово „ზოგი“ «zogi» увязывается, с одной стороны, с абхазскими ზეგეგ zeg'ga в значении «все», с другой стороны, с аварским „ცოგი“ «t'sogi» «иной», «другой». Корневой элемент в обоих случаях значит «один»: авар. ცო so один, абх. ზ-ნეგ z-nek, «один раз», абх. ზა-წუკ za-tsuk «единственный».

ARN. TCHIK'OBAVA

A PROPOS DE L'ÉTYMOLOGIE  
DU MOT GÉORGIEN „ზოგი“ „ZOGI“

(RÉSUMÉ)

Le mot ზოგი «zogi» signifie «certain» dans la langue géorgienne, mais dans les thèmes dérivés „ზოგად-ი“ «zogad-i», „საზოგადო“—sazogado «général», საზოგადოება, sazogadoeba «société» apparaît un principe sémassologique, étranger à la signification primitive du mot.

Ces controverses entre les significations primitives et dérivées nous font supposer que la signification primitive du mot „ზოგი“ «zogi» n'était pas «certain», mais «un»; de là: „ზოგად“ «zogad» = „ერთად“ «ensemble», „საზოგადო“ «sazogado» — «général», „საერთო“ «saert'o» — «commun».

Cette supposition se trouve pleinement confirmée dans l'ancien géorgien littéraire, où „ზოგი“ «zogi» signifie: 1. un, 2. une demie (c'est à dire, «l'une des deux parties»), 3. «une partie, une certaine partie» (c'est à dire, l'une des plusieurs parties).

Dans les textes les plus anciens des manuscrits géorgiens „ზოგად“ «zogad» double „ერთად“ ert'ad «ensemble»: რბიოდეს ორნივე ზოგად — rbiodes oruive zogad, — რბიოდეს ორნივე ერთად — rbiodes oruive ert'ad — «couraient tous les deux ensemble».

D'une part, le mot „ზოგი“ «zogi» coïncide avec l'abkhasien „ზეგე“ — «zeg» dans la signification du mot «tout», d'autre part, — avec le «t'sogi» «autre» de la langue d'Avare.

Dans les deux cas, l'élément radical signifie «un»: avare — t'so = «un», abkh. z-nək «une fois», abkh. za — tsik — «unique».

## V. მართი უცნობი თანდებული ახალ ქართულში

1. -გან თანდებული, როგორც ცნობილია, დაერთვის ორ ბრუნვას: ა) ნათესაობითს — კითხვაზე: ვისგან? რისგან? და ბ) მოქმედებითს — კითხვაზე: საიდან? ნათეს.: წერილი მომივიდა ძმისა-გან... შექარი კეთდება ქარხლისა-გან... ნიჩაბი გამოვთაღე ხისა-გან... მოქმედ.: წერილი მომივიდა სოფლიდ-ან... ბავშვი ჩამოვარდა ხიდ-ან... გზიდ-ან დაბრუნდა...

უკანასკნელს შემთხვევებში ადგილი ურჩება ცვლილებებს, როგორც სახელის დაბოლოებაშიც, ისე თვით თანდებულშიაც: ჯერაა და გ-ამჟღერებს თ-ს (ნაწილობრივი ასიმილაცია), ვიღებთ დ-ს (სოფლით-გან, გზით-გან — სოფლიდ-გან, გზიდ-გან); შემდეგ იკარგება -გ- (სოფლიდ-გან, გზიდ-გან — სოფლიდ-ან, გზიდ-ან); ამგვარად, მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი -ით შეცვალა -იდ-მა, -გან თანდებულისაგან დაგვრჩა -ან (და არა -დან, როგორც ამას ხშირად ამბობენ; არავითარი -დან თანდებული ქართულს არ გააჩნია: -დ სახეცვლილი თ-ა და მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოებას ეკუთვნის).

სოფლ-ით-გან — სოფლ-იდ-გან — სოფლ-იდ-ან...

გზ-ით-გან — გზ-იდ-გან — გზ-იდ-ან... აქ მოცემულია განვითარების სამი საფეხური. ყოველი მათგანი დადასტურებულია ძეგლებში — ძველი ქართულიდან დღემდის. ეს კია, რომ ძვ. ქართულში კითხვაზე საიდან? ჩვეულებრივად უთანდებულო მოქმედებითი მიუგებდა, მაგრამ გვხვდება -გან თანდებულები -ით-დაბოლოების შემდეგ, ე. ი. კითხვაზე — საიდან? მიუგებს უთანდებულო მოქმედებითიცა და გან- თანდებულნიც.

უთანდებულო მოქმედებითი ძვ. ქართულში კითხვაზე — საიდან? <sup>1</sup>

... მას უამსა ოდეს ბაგრატის ასული-მარიამ დედოფალი აღმოსავლეთით  
(= აღმოსავლეთიდან) კონსტანტინეპოლს შემოვიდა... თ. ყორღანია, ქრონიკები, გვ. 229 (1081 წ.).

... შემდგომად სივლტაოლისა მის ნერსსისა ქართლით (= ქართლიდან) წარ-  
მოაელინა მაჰმედ ამირა მუმნან... სტეფანოზ ძე გურგენისა... აბო ტფილ.  
გვ. 20.

... და ვითარცა წარემართნეს იგინი ქუეყანიით აბხაზეთით (= ქვეყნიდან  
აფხაზეთიდან ანუ, როგორც ახლა ვიტყვი: აფხაზეთის ქვეყნიდან) მაშინ...  
აბო ტფილ., გვ. 20.

<sup>1</sup> ეს მაგალითები საილუსტრაციაა; ამიტომ თითო-ორიოლას დასახელებით ვკმაყოფილდებით.

თანდებულიანი მოქმედებითი ძე. ქართულში კითხვაზე — საიდან?

... მრავლით უამით-გან უწინარსს ეფთიმისა და გიორგისა... თ. ჟორდანი, ქრონიკები, გვ. 225.

... მათვე კელითა მიერ გაინუსხა დასაბამით-გან წელთა... იქვე, გვ. 229.

... ამიერიით-გან არლარა მოვილო სხუაჲ საზრდელი... აბო ტფილ. გვ. 28.

ანალოგიური მდგომარეობაა „ვეფხვისტყაოსანში“-ც: კითხვაზე **საიდან?** მიუგებს უთანდებულო მოქმედებითი და გან- თანდებულიანიც.

უთანდებულო მოქმედებითის ნიმუშები „ვეფხვისტყაოსანში“:

... სასიძოცა მოგვივიდა, იყვნეს ხანთა არ დამზმელი

შიგნით ჩეენი გაეგებნეს, გარეთ (= გარედან) მოღვეს ხვარაზმელნი... ხანა 450, ი. აბულაძის გამოცემა, 1926 წ.

... იგი ვნახე, დავებნივე, გონებანი გამიშმაგნა

შორით უკმე: რაშიგან ვართ ანუ ცეცხლმან რად დავედაგნა... იქვე, ხანა 479.

... არსით ნავი მომავალი უნახავად არ დავავდი... იქვე, ხანა 494.

... არ მომწუროდეს წინანი ზურგით მესროდეს მე ოდეს... იქვე, ხანა 513.

... მომეჯარნეს, ველარა ვქმენ, ნავით ცხენი გარდვიხტუნე... იქვე, ხანა 514.

შიგნით = შიგნიდან, შორით = შორიდან, არსით = არსაიდან, ზურგით = ზურგიდან, ნავით = ნავიდან...

თანდებულიანი მოქმედებითის ნიმუშები „ვეფხვისტყაოსანში“:

... მითხრა თუ, ძმაო, დღესითგან ცუდ ჩემი ლხინი ყოველი... ხანა 550.

... აჰა, ძმაო, მაშინდლითგან აქა ვარ და აქა ვკვდები... ხანა 561...

2. თანდებულიანი მოქმედებითი კითხვაზე — საიდან? იძლევა კიდევ ერთს სახეობას; ესაა: — ამ: სოფლიდამ, ქალაქიდამ, გზიდამ... ასეთი ფორმები ძალზე ხშირია აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერალთა ენაში და ზოგჯერ ერთად ერთ ფორმასაც კი წარმოადგენს ხოლმე.

რამდენიმე მაგალითი ილია ქავჭავაძის „მგზავრის წერილებიდან“ (ტფილისი, 1908, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამოცემა<sup>1</sup>): ... ქვეყნიერების ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირი დამ დადებულა, ყოველი შენობა ძირი დამ ამაღლებულა, მაღლი დამ კი შენობა არსად არ დაწყებულა (გვ. 26). ... შავი კლდის გული დამ გადმომსკდარი მიდის... (გვ. 26). ... ოთახი დამ გარედ გამოვედი... (გვ. 25). ... როცა სახლი დამ გავიდოდი... (გვ. 22). ... საი დამ უნდა შეშეტუო... (გვ. 21). ... ახლა დავიწყო იქი დამ... რაკი იქი დამ დავიწყეთ... (გვ. 19). ... განათლებულის ქვეყნი-დამ მოსული კაცი... (გვ. 18, 15). ... ერთის საგნი დამ მეორეზე გადახტე-ბით ხოლმე... (გვ. 17). ... ერთი თავი დამ რომ გადააფურთხო... (გვ. 16). პეტერბურგი დამ (იქვე) ... ვლადიკავკასი დამ გამოვედი... (გვ. 12). ... დაიძრნენ, როგორც იყო ადგილი დამ... (გვ. 9). ... როცა თვალები-

<sup>1</sup> ვარჩიეთ ეს ძველი გამოცემა.

დამ ცრემლებს გვაყრევენებს ხოლმე... (გვ. 7). ... ვლადიკავკასი დამ ტფილისამდე... (გვ. 7).

სპეციალურს ლიტერატურაში ეს -ამ მიჩნეულია -ან-ისაგან მიღებულ პარალელურ ფორმად.

ასე ხსნის ამას აკად. ნ. მარი „ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკაში“ (ლენინგრ. 1925 წ.).

„ქალაქითგან → ქალაქიდგან → ქალაქიდან || აღმოს. საქართ. ქალაქიდან or || из города“ (გვ. 21, § 32).

ასეთივე აზრისა იყო განსვენებული დ. კარიჭაშვილი:

„გან(ა) როდესაც მოქმედებითს საბრუნავს სთხოულობს, ლაპარაკში და ახალს მწერლობაში ხშირად საბრუნავის საბოლოებელის -თ ბგერას -დ ბგერად აქცევს; მაგალ. ამბობენ და სწერენ; სახლიდ-გან (ნაცვ. სახლით-გან); ცილ-გან (ნაცვ. ცით-გან). ზოგჯერ ამ შეცვლილ ნაკვთში ახალი ცვლილება ხდება: თანდებულის დასაწყისი გ- ბგერა იკარგება და ამბობენ (კიდეც სწერენ) სახლიდ-ან (ნაცვ. სახლიდ-გან). ცვლილება ამით არ თავდება. ხშირად ამ შეცვლილს ფორმაში ბოლო ბგერა ნ მ- ბგერად იქცევა და ამბობენ და სწერენ სახლიდ-ამ (ნაცვ. სახლიდან)“ (იხ. „ქართული ენის გრამატიკა“, 1930 წ. გვ. 125. — ხაზი ჩვენია ა. ჩ.).

ამგვარი გაგება არ მართლდება. საკმარისია მოვიგონოთ შემდეგი გარემოება: სოფლ-ით-გან → სოფლ-იდ-გან → სოფლ-იდ-ან...

სამივე ფორმა განვითარების ერთს ხაზზე მდებარეობს; ბოლო წევრს -ან-იანი წარმოება ქმნის (სოფლიდ-ან); თუ -ამ-იანი წარმოება (სოფლიდ-ამ) -ან-იანს (სოფლიდ-ან) დაეუკავშირეთ. ის ამ უკანასკნელისაგან მიღებულად უნდა ჩავთვალოთ (და არა პირუკუ). ამიტომ იყო, რომ დ. კარიჭაშვილი ამბობდა: ბოლო ბგერა -ნ მ- ბგერად იქცევა და ამბობენ და სწერენ: სახლიდ-ამ-ო.

მაგრამ თუ ეს ასეა, სახლიდამ, სოფლიდამ მას შემდეგლა შეიძლებოდა მიგველო, რაც სახლიდან, სოფლიდან-სახეობას მიაღწია მოვლენის განვითარებამ, ე. ი. ისტორიულად სახლიდამ, სოფლიდამ არ შეიძლება უსწრებდეს სახლიდან, სოფლიდან -ტიპს, ის მას უნდა მოსდევდეს.

ნამდვილად კი -ამ -ტიპი გაცილებით უფრო ადრე ჩნდება, ვინემ ის -ან, რომლისაგან მიღებულადაც. ეს -ამ მიაჩნიათ.

ქალაქიდამ, სოფლიდამ და მაგვარი ფორმები სპორადულად უკვე მეჩვიდმეტე საუკუნეში გვაქვს, მეთვრამეტეში კი ჩვეულებრივია; სოფლიდ-ან, ქალაქიდ-ან-ის ტიპი კი ამ ხანებში არსად ჩანს: იგი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება სალიტერატურო ქართულში. მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეში არა თუ ეს მესამე საფეხური (სოფლიდ-ან) არა გვაქვს, არამედ მეორე საფეხურიც (სოფლიდ-გან) აქა-იქ გვხვდება.

ასე, მაგალითად, დავით გურამიშვილთან, ერთსა და იმავე ტექსტში სულ ორი მაგალითი გვაქვს ამ მეორე საფეხურისა (არც ერთი — მესამისა), -ამ კი ათეულს იძლევა. შდრ.:

**იდ-გან:**

... რაც მომებოდა თავი დგან ბოლო ჟამს ისევ წამერთო... გვ. 135 „დავითიანი“ 1931 წლ. გამოცემა ალ. ბარამიძისა და სოლ. იორდანაშვილის რედაქციით.

... თავს თავი დგან გაუფრთხილდი, არცად უკუაგდო ჭირში... გვ. 76.

**-ამ იმავე მანძილზე:**

... არ ძალმიძს აქედამ დაძვრის ღონეო... „დავითიანი“, გვ. 110

... კიტრი უბი დამ გამცვივდა, გულზე მამედვა ცეცხლადა... იქვე, გვ. 112

... რომელიც კაცი ქართველნი ქართლი დამ გადმოგვყოლია... იქვე, გვ. 129

... ექვსის წლით წინათ ჩემს უკან ქართლი დამ წაბრძანებულნი... იქვე, გვ. 118

... ასე მიამა, პირი დამ გავყურე ყურძნის მარცვალი... იქვე, გვ. 115

... ციხი დამ თეთრი ალაპი გაშალეს, გარდმოჰკიდეს... იქვე, გვ. 122.

... რაც მე იქი დამ მომესმის, თქვენ ჩემგნით მოგესმინება... იქვე, გვ. 126

... ვედარცად წავალ აქი დამ... იქვე, გვ. 128

... გამოქობილ კლდი დამ წამოსულს... შეხვდენ... (სათაურია) იქვე, გვ. 108

... ტყე ეობი დამ გამოსვლის დროს... იქვე, გვ. 145

... შტო მიიწოდა ზეი დამ ქვემდი... იქვე, გვ. 146

... როგორც შორი დამ სტივითა კმა ესმა... იქვე, გვ. 308.

ამავე მასალაში რამდენიმეჯერ ვხვდებით **-ით-გან ტიპს** (პირველი საფეხური!) და ორიოდ შემთხვევაში უთანდებულო მოქმედებითსაც:

**-ით-გან — თანდებულიანი მოქმედებითი კითხვაზე — საიდან?**

... ვითა სმოდა პირველი ითგან... დავითიანი, გვ. 128.

... მალლითგან ნახა, სირბილით კაცი კიბზე ახტოდა... იქვე, გვ. 55

... ცხვარი გარეკეს ქალითგან ველად... იქვე, გვ. 250

... რა ახლა იცან საწუთრო დასაბჭი ითგან მბრუნავი... იქვე, გვ. 130

... არავინ უწყის მუნი ითგან ცოცხალი ვინ იქსნებაო... იქვე, გვ. 140.

**-ით (=იდან) — უთანდებულო მოქმედებითი კითხვაზე — საიდან?**

... იყვნენ მოსასვლელ შორითა (=შორიდან)... გვ. 84

... მეფე რომ გალმით (=გალმიდან) წაბრძანდა... გვ. 125

... მალლით დასწივა (=მალლიდან დასწია)... გვ. 145.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ სამი ტიპიდან: **სოფლით-გან** → **სოფლიდ-გან** → **სოფლიდ-ან** — დავით გურამიშვილისათვის სრულებით უცხოა მესამე (სოფლიდ-ან), იშვიათია მეორე (სოფლიდ-გან: ორიოდ შემთხვევა!); ამ უკანასკნელთან შედარებით მეტია პირველი (სოფლით-გან). ერთი სიტყვით არა თუ მესამე ტიპი, რომელიც განვითარების მესამე საფეხურს გვიჩვენებს, არ არის მოცემული, არამედ მეორე, შუა, საფეხურიც კი არ არის გავლილი, — იგი მხოლოდ იწყება: **გ-ს** ზეგავლენით თითო ოროლა შემთხვევაში ქცეულია **დ ბე-რად...** ამავე დროს უხგადაა **-ამ ტიპი** (ქართლიდამ, უბი დამ, ციხი დამ, კლდი დამ...), რომლის მისაღებად აკად. ნ. მარისა და დ. კარიჭაშვილის აზრით **-ან ტიპი** იყო საჭირო (ქართლიდან || → ქართლიდამ, კლდიდან || → კლდიდამ...).

დ. გურამიშვილიდან ზემოთ მოყვანილი მაგალითები და მეთვრამეტე საუკუნის სხვა ძეგლებში არსებული მდგომარეობა კვხადყოფს, რომ -ამ ტიპი (ქართლიდამ, სოფლიდამ) არ არის მიღებული -ან ტიპისაგან (ქართლიდან, სოფლიდან): პირველი ისტორიულად უსწრებს მეორეს. და ეს ნიშნავს, რომ -ამ ტიპი სხვა წარმოშობისაა.

იმავე დ. გურამიშვილთან მოიპოება -ამე ვარიანტი -ამ-ის პარალელურად:  
... თ ე რ გ ი დ ა მ ე სო ლა დ ს წ ა ვ ე ლ , სო ლ ა ლ ი დ ა მ ა მ შ ა რ ხ ა ნ ს ა ... დ ა ვ ი თ ი ა ნ ი ,  
გ ვ ე რ დ ი 117.

... მე მომითხრეს მ ა ნ დ ე დ ა მ ე — ა ხ ლ ა ა დ ე ქ , ს ხ ვ ა გ ა ნ წ ა დ ი ... ი ქ ვ ე , გ ვ . 144.

ეს არ არის დ. გურამიშვილის ენის ინდივიდუალური თავისებურება: მეთვრამეტე და მეჩვიდმეტე საუკუნის სხვა ძეგლებშიც მეორდება ეს: მ ა მ შ უ ლ ი -  
დ ა მ ე (=მამულიდან):

„... ერთი დიდათ ხელმოკლე და უილაჯო გახლავარ. რამთვენის ჩემის მამული დ ა მ ე გ ა რ დ მ ო ვ ა რ დ ნ ი ლ ი ა ქ ა მ დ ი თ ქ ი ზ ი ყ ს გ ა ხ ლ დ ი ხ მ ე ლ ს ა და უწყლოს ალაგს“... (არზა ერეკლე მეორის სახელზე, 1772 წ. — იხ. „საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 144).

ი ს პ ა ა ნ ი დ ა მ ე (=ისპანიდან).

„... მაშინ შენ და პატას ტუსიშვილს პირობა გქონდათ, თავგარდადებით გარდმო(გვ)ყევით ი ს პ ა ა ნ ი დ ა მ ე მ ა ნ ა მ დ ი ნ ყ ა ნ დ ა ა რ ს ჩ ა ვ ი დ ო დ ი თ“... (წყალობის წიგნი თეიმურაზ მეორისა გურგენიძეებისადმი, 1740 წ. — იხ. „საქართველ. სიძველენი“, ტ. III, გვ. 454)<sup>1</sup>.

ტ ა ხ ტ ი დ ა მ ე (=ტახტიდან):

„ ტ ა ხ ტ ი დ ა მ ე ჩ ა მ ო ა ვ დ ო , წ ა ი ყ უ ა ნ ა კ ო რ ც თ ა მ ც ო ხ რ ა დ “... (ფეშანგი: შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1936, გვ. 56, ხანა 309).

-ამ- დაბოლოების ადგილი ამ მაგალითებში დაიჭირა -ამე-მ. ამით -ამ დაშორდა -ან-ს: -ანე სალიტერატურო ქართულში არც მეჩვიდმეტე-მეტვრამეტე საუკუნეში იცოდა და არც სხვა დროს მანამდე თუ მის შემდეგ.

საიდან მოდის ეს -ამე? ამაზე გარკვეულ პასუხს იძლევა შემდეგი მაგალითები:

ა ქ ა დ ა ლ მ ე (=აქედან):

... დ ა ვ ი თ ი ს ძ ე ვ , დ ა ვ ი თ მ ი კ ს ე ნ ა ქ ა დ ა ლ მ ე ო ... დ ა ვ ი თ ი ა ნ ი , გ ვ . 111.

ქ ე ჯ ა ო დ ა ლ მ ე (=ქეჯაოდან ე. ი. ტახტრევანიდან):

... ქ ე ჯ ა ო დ ა ლ მ ე გ ა რ დ ა ხ დ ა , ე ტ ლ ი დ ა ა გ დ ო მ ზ ე მ ა ნ და... თ ე ი მ უ რ ა ზ I,<sup>0</sup> ლ ე ი ლ -  
მ ი ჯ ნ უ ნ ი ა ნ ი , ა ლ . ბ ა რ ა ჰ ი ძ ი ს ა და გ . ჯ ა კ ო ბ ი ა ს რ ე დ ა ქ ც ი თ , ტ ფ ი ლ . 1934,  
გ ვ ე რ დ ი 34.

<sup>1</sup> ამავე დოკუმენტში გვაქვს: საგრიდამ... დალისტინდამ..., ერთიც -იდგან: განხორციელები იდგან...

ბორკილიდალმე (=ბორკილიდან):

... ბორკილიდალმე აეხსნა იგ ყოვლთა საქებარია: იქვე, გვ. 127 (წაშება ქეთევან დედოფლისა).

ტახტიდალმე (=ტახტიდან):

... ტახტიდალმე ჩამოვარდა ჩაიკადა ფიცხლავ მკარსა... შაპ-ნამეს ქართული ვერსიები, ბ. აბულაძის რედაქციით, ტფილ. 1916 წ. გვ. 102, ხანა 339.

ცხენიდალმე (=ცხენიდან):

... რა ნარიმან ფრიღონ ნახა, ცხენიდალმე ჩამოვიდა... იქვე, გვერდი 35, ხანა 108.

ზღვიდალმე (=ზღვიდან):

... მოზიდა, გამოიყუანა ზღვიდალმე კიდევ მთელი...<sup>1</sup> იქვე, გვ. 141, ხანა 475.

ნათლიდალმე (=ნათლიდან):

... შორს მოუარეთ, მივედით, შემოვადეგით გარეო, მით ნათლიდალმე გამოცდა კმა, ჩვენი მოუბარეო... „ვეფხვისტყაოსანი“, ი. აბულაძის გამოცემა (1926 წ.), ხანა 1087.

ნავიდალმე (=ნავიდან):

... მით ნავიდალმე მათ რომე გარდმოსევს კიღობანითა აჰკადეს, ქალი გარდმოცდა უცხოთა რათმე ტანითა... იქვე, ხანა 994.

მუნიდალმე (=მუნიდან, იქიდან):

... ვინცა გწადდეს, ქმრად შეირთე, სამეფოთა ეპატრონე, მუნიდალმე გემსახურებდი, თავი შენი დაგვაშონე... იქვე, ხანა 1416.

ძეგლები წარმოგვიდგენენ ამავე გაფორმების მეორე ვარიანტსაც, რომლი-საგანაც - დალმე უნდა მომდინარეობდეს; ესაა დალმა (|| დალმან):

ტახტიდალმა (=ტახტიდან):

ტახტიდალმა ჩამოვარდა, საყელონი გარდიხივანა... შაპ-ნამეს ქართული ვერ-სიები, გვ. 125, ხანა 419.

სპილოდალმან<sup>1</sup> (=სპილოდან):

სპილოდალმან ჩამოაგდო და შეუკრა მაგრა კელი... იქვე, გვ. 123, ხანა 408.

ცხენიდალმა (=ცხენიდან):

... ცხენიდალმა ჩამოიჭრა, დაეხეთქა, დაემყარა... იქვე, გვ. 105, ხანა 348.

სამანდიდალმა (=სამანდიდან, სამობრი ცხენიდან):

... სამანდიდალმა ჩამოცდა, მეფეს შეჰყარის სალამი... იქვე, გვ. 87, ხანა 284.

ციხიდალმა (=ციხიდან):

... ციხიდალმა გამოუტდეს, ერთმანერთსა შეუტევენს... იქვე, გვ. 167, ხანა 560.

რედაქტორი მიუთითებს ვარიანტზე ხელნაწ. № 1505: ცხენიდალმე.

<sup>1</sup> რედაქტორი მიუთითებს ვარიანტზე: სპილოდალმა, ხელნაწერიდან № 1505.

ტყიდაღმა (= ტყიდან):

... დამალულიყუნეს, გამოძვრეს ტყიდაღმა, ვითა მელია... იქვე, გვ. 151, ხანა 509.

ძირიდაღმან (= ძირიდან):

... ძირიდაღმან ციხეს მივა, ესმა ომისა მძებნელსა... იქვე.

იქიდაღმან... აქადაღმან (= იქიდან... აქედან):

... რა ბარამან დაინახა, იქიდაღმან მომართა მან, ვით პილონი შეიძვერნეს, აქადაღმან მიმართა მან... იქვე, გვ. 526, ხანა 1932.

ქიშვადიდაღმან (ვარიანტი ხელნაწ. № 1501: ქიშვადიდაღმა):

... ქიშვადიდაღმა ჯაშუშნი გაძვრეს მარტ, ვითა მელია... იქვე, გვ. 133, ხანა 445.

არეთადაღმან (ვარიანტი ხელნაწ. № 1505: ჰაერთადაღმა):

... შუბისა, კლმისა ნალეწი არეთადაღმან ცვიოდა... იქვე, გვ. 161, ხანა 541.

ეს მაგალითი სხვა მხრივაც საინტერესოა: აქ ძველებური ნ-/-თ-იანი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვაა წარმოდგენილი (თუ ტექსტში შეცთომა არაა).

მთიდაღმა, სიდაღმა, ღვთიდაღმა, მზიდაღმა (= მთიდან, საიდან, „ღვთიდან“, მზიდან):

... ნარიმანს ესმა ამბავი: „ფრიღონ მოსულა მთიდაღმა!“

იკითხავს: „ვისი გვარია ანუ გამოჩნდა სიდაღმა?!“

ჰკადრეს: „აფთიონის ძეა, საფარველი აქუს ღვთიდაღმა,

და თქუენცა გმართებს ნახვა მისი, კაცი გაგზავნეთ მზიდაღმა!“ იქვე, გვ. 33, ხანა 104.

ზედადაღმან (= ზემოდან, ზევიდან):

... ჩემნი ყმანი ზედადაღმან ჩავპარნეს, ვითა ფრენით

დაევაჭრნეს, არ მიჰყიდეს, შავნი ვნახენ მეტად წყენით! „ვეფხვისტყაოსანი“ ი. აბულაძის გამოცემა (1926 წ.), ხანა 997.

ტყუეობიდაღმან (= ტყუეობიდან):

... მოხედა მოწყალეზამან ღთისამან და მოვიდა მეფეთ-მეფე ბატონი სუიმიონ ტყუეობიდაღმან... იტრიის ეკლესიის გუჯარი (1578—1600 წ.): საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 126.

ყაენიდაღმა (= ყაენიდან):

... მე ბენდიერის ყაენიდაღმან წამოველო და ჩემს მამულში მოველო... ეკუთვნის 1620 წ.: საქართველ. სიძველენი, ტ. II, გვ. 58.

ლორიდაღმა (= ლორიდან):

... ოდეს ბენდიერთ კელმწიფეთა პაპა-მამათა ჩუენთა პაპა თქუენი და მამა თქუენი ლორიდაღმა აეყარა და სომხეთს გარდმოესხა... როსტომ მეფის სიგელი, ეჯუბისშვილის დონდარასთვის ბოძებული (1651 წ.): საქართველ. სიძველენი, ტ. III, გვ. 2.

თეიმურაზ პირველის „ქეთევან დედოფლის წამებაში“ გვხვდება:

კ ა რ ი დ ა ლ მ (=კარიდან):

მხედართ ხელი ჰკრეს, გააგდეს კ ა რ ი დ ა ლ მ თავშიშველია... იხ. თხზულებათა კრებული, აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, გვ. 133.

ეტყობა, აქ ეს სიტყვა შეკვეცილია ლექსის საჭიროებისათვის: შეიძლება ბოდა ყოფილიყო „კ ა რ ი დ ა ლ მ ე“ ან „კ ა რ ი დ ა ლ მ ა“.

შეიძლებოდა კიდევ მოგვეყვანა მაგალითები, მაგრამ, ვუჭიკრობთ, ეს არაა საჭირო. ზემოთ ნაჩვენები მაგალითები ეკუთვნის XIII—XVIII საუკუნეებს.

ამ მაგალითების საფუძველზე -ამ-ის წარსული ასეთ სახეს იღებს:

-ამ ← ამე ← (ღ) აღმე || (ღ) აღმა; უკანასკნელი ზოგჯერ დაირთავს ნ-ს: -დაღმა; სოფლიდამ ← სოფლიდამე ← სოფლიდაღმე || სოფლიდაღმა.

მაშასადამე: მოქმედებითს ბრუნვას დართვია „დაღმა“; მის ზეგავლენით მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოების -თ დაკარგულია (ნაკლებ საფიქრებელია, რომ დ-ს გაემჟღერებინოს წინამავალი -თ და შემდეგ თითონ დაკარგულიყოს); თანდებულად ქცეულ დაღმა-საც თანდათანობით ეცვლებოდა სახე, სანამ ის -დამ ნაწილაკამდის არ დაილია; თანდებული შედუღდა სახელის ფორმასთან, ცვალა ისიც, იცვალა თვითონაც; არსებითად ეს იმგვარივე პროცესია, როგორ-საც -გან თანდებულის დართვისას ჰქონდა ადგილი, ოღონდ აქ თანდებულმა მეტი ცვლილება განიცადა<sup>1</sup>.

როგორ გახდა შესაძლებელი -დაღმე || -დამე მიგველო -დაღმა-საგან? საფიქრებელია, იმავე გზით, როგორადაც გაკეთდა კ ი დ ე მ ე, მ ა გ რ ა მ ე, რომელსაც ვხვდებით იმავე ეპოქის ძეგლებში (... მ ა გ რ ა მ ე მოკითხული ვქენით... საქართვ. სიძველენი, ტ. I, გვ. 127, ეკუთვნ. 1708 წ. ... კ ი დ ე მ ე სახარება სტამბისა ერთი... საქართვ. სიძველენი, ტ. III, გვ. 483, 1712 წლ. შითვის წიგნი)...

რამდენად გამოსადეგი უნდა ყოფილიყო დაშორებითი მნიშვნელობის გადმოსაცემად (კითხვაზე: საიდან?) „დაღმა“-? ამას ერთგვარად გასაგებს ხდის „წაღმა“- სიტყვის ხმარება გამოთქმაში: ... ვინ გინდა ვინ იყუნეთ და ანუ დღეის წაღმა იქნებოდეთ, მერმე თქვენც ასრე დაუთავეთ... (საქართვ. სიძველ. ტ. II, გვ. 27, ეკუთვნ. 1608 წ.); „დღეის წაღმა“=დღეის იქით, დღეიდან... „დაღმა“-საც ხომ დაახლოებით ამგვარივე როლის შესრულება უხდება...

დავასკვნათ: 1. სოფლიდამ არ არის სოფლიდან-ის ფონეტიკური ვარიანტი; აქ სხვადასხვა თანდებული ერთვის სახელს; უკანასკნელ შემთხვევაში (სოფლიდან) — გან- თანდებული, პირველ შემთხვევაში (სოფლიდამ) — დამ- თანდებული.

2. -დამ თანდებული მიღებულია დაღმა- ზმნისართისაგან; ამ უკანასკნელმა გამარტივების პროცესში გაიარა რამდენიმე საფეხური: დაღმა || დაღმე → დამე

<sup>1</sup> შეიძლებოდა კაც ეფიქრა — ეს „დაღმა“ ნათესაობის ბრუნვას დაერთო, მაგრამ ეს შესაძლებლობა უნდა გამოირიცხოს: ნათესაობის -ის დაბოლოებას შეუძლებელია -ს ზოგან მანც არ შეენახა, დ-ს მუხობლობა ს ბგერისათვის საფუძვრით ასატანია.

(|| დამა) → დამ. ყველა ეს საფეხური ისტორიულად დასტურდება მეცამეტე საუკუნიდან მეთვრამეტემდის (ჩარიცხვით): უკვე მეჩვიდმეტე საუკუნეში შესაძლებელია -დამ-ი შეგვხვდეს დაღმა || დაღმე-ს ადგილას და, პირუკუ, მეთვრამეტე საუკუნეშიც აქა-იქ კიდევ ამოტივტივდება ღ-იანი სახე (დაღმე), თუშკა გაბატონებული ვარიანტია -დამ.

3. -გან თანდებული ძვ. ქართულადან მოყვება სალიტერატურო ენას, -დამ კი ე. წ. საშუალო ქართულში ყალიბდება და იქიდან გადმოდის ახალს ქართულში. ე. წ. საშუალო ქართულში და შემდეგ ახალს ქართულში ეს ორი თანდებული პარალელურად იხმარება: თავდაპირველად მათ შორის მნიშვნელოვანი გარეგნული სხვაობაა; შდრ. მეჩვიდმეტე საუკუნის: მთი და ღმა, ერთის მხრით, და მთით გან (მთიდ გან --- იშვიათად!), მეორე მხრით. მეცხრამეტე საუკუნეში, მას შემდეგ რაც -გან- თანდებული კარგავს გ-ს (მთიდ-გან → მთიდ-ან), მოქმედებითს ბრუნვასთან ეს ორი თანდებული მხოლოდ ერთი ბგერით გაირჩევა: მთიდ-ან, სოფლიდ-ან — მთი-დამ, სოფლი-დამ...

მეოცე საუკუნის სალიტერატურო ქართულში განმტკიცდა „მთიდ-ან, სოფლიდ-ან“ წარმოება, -დამ თანდებულისი მოქმედებითი თითქმის აღარ იხმარება მიუხედავად იმისა, რომ მეცხრამეტე საუკუნის სივრცეზე ის იხმარებოდა უპირატესად.

4. ქართულში არ არსებობს -დან თანდებული (სოფლიდ-ან — აქ სახეცვლილი -გან გვაქვს), მაგრამ არის -დამ თანდებული (სოფლი-დამ).

ამ უკანასკნელის ვინაობა საინტერესოა არა მარტო ქართული ენის ისტორიისათვის, არამედ ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც: სოფლიდამ ითვლებოდა სოფლიდან-ის პარალელურ ფორმად, ამ უკანასკნელისაგან მიღებულად; თითქოს ყველაფერი ამის სასარგებლოდ ლაპარაკობდა: განსხვავება მხოლოდ ერთს ბგერაში იყო; მ — ნ ფონეტიკურად ერთმანეთთან ახლოს დგანან. თითქოს ყველაზე მარტივი იყო მათი შენაცვლებით აგვეხსნა ამ ორი ფორმის არსებობა, და მაინც ეს უმარტივესი ახსნა სწორი არ აღმოჩნდა. გამოირკვა, რომ აშკამად ერთმანეთთან ახლოს მდგომნი, ერთმანეთის მსგავსნი, წარსულში სრულიად განსხვავებულნი იყვნენ: მსგავსება მერმინდელი აღმოჩნდა...

ზოგადი ენათმეცნიერების ცნობილი დებულებაა: ოდესღაც მსგავსი, ერთნაირი მონაცემები დროთა ვითარებაში შეიძლება არსებითად იცვალოს, განსხვავებული აღმოჩნდეს და პირუკუ: არსებითად განსხვავებული მონაცემები დროთ: ვითარებაში შეიძლება ერთმანეთს დაემსგავსოს (პირველი უფრო ხშირი, მეორე — ისე არა).

ჩვენი შემთხვევა ამ უკანასკნელი დებულების მშენიერ ილუსტრაციას წარმოადგენს. ამასთან, ჩვენი თანდებულის მაგალითზე ერთხელ კიდევ დასტურდება დებულება: სადაც მოვლენის ისტორია გარკვეული არ არის, იქ სწორი ანალიზი შემთხვევით თუ მიიღება.

АРН. ЧИКОБАВА

ОБ ОДНОМ НЕИЗВЕСТНОМ ПРЕВЕРБЕ  
В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

(РЕЗЮМЕ)

В грузинском языке преверб -გან -gan сочетается с родительным падежом (на вопросы: от кого? из чего?) и с творительным падежом (на вопрос: откуда?). В последнем случае определенные фонетические изменения претерпевают, как окончание творительного падежа, так и сам преверб: ქალაქით-გან k'alak'it'-gan → ქალაქიდ-გან k'alak'id-gan → ქალაქიდ-ან k'alak'id-an — «из города».

В ново-грузинском литературном языке, а также в говорах Вост. Грузии имеется параллельное образование ქალაქიდამ k'alak'idam — «из города»; в специальной литературе оно считается полученной из ქალაქიდან k'alak'idan в результате замены конечного ნ и носовым же მ მ. Но, прослеживая историю обоих образований, находим, что тип ქალაქიდამ k'alak'idam исторически предшествует типу ქალაქიდან k'alak'idan, причем выясняется, что ქალაქიდამ k'alak'idam восходит к ქალაქით-დაღმა (ქალაქით-დაღმა) k'alak'it'-daḡma (k'alak'it'-daḡma), причем посредствующими звеньями служат ქალაქიდამა || ქალაქიდამე || ქალაქიდალმე k'alak'idama || k'alak'idame || k'alak'idaḡme. — Таким образом, образование типа ქალაქიდამ k'alak'idam ← ქალაქიდამა (|| ქალაქიდამე) k'alak'idama (|| k'alak'idame) ← ქალაქიდალმა (|| ქალაქიდალმე) k'alak'idaḡma (|| k'alak'idaḡme)... Все эти ступени развития засвидетельствованы в памятниках грузинской письменности XIII—XVIII веков.

Наш случай представляет прекрасную иллюстрацию известного положения общей лингвистики, согласно которой различные по происхождению явления (ქალაქით-გან k'alak'it'-gan и ქალაქით-დაღმა k'alak'it'-daḡma) в процессе развития могут угодиться до полного совпадения и что без уяснения истории лингвистического факта его правильная квалификация является делом случая.

АРН. ТЧИКОВАВА

A PROPOS D'UN PRÉVERBE INCONNU  
DANS LA LANGUE GÉORGIENNE

(RÉSUMÉ)

Dans la langue géorgienne le préverbe გან- gan- s'assimile avec le génitif aux questions: «de quoi», «de qui?» et avec l'instrumental (à la question «d'où?»).

Dans ce dernier cas la désinence de l'instrumental, ainsi que le préverbe même, sont sujets à des changements phonétiques bien déterminés: ქალაქით-გან k'alak'it'-gan → ქალაქიდ-გან k'alak'id-gan → ქალაქიდ-ან k'alak'id-an «de la ville».

Dans la nouvelle langue littéraire géorgienne, ainsi que dans les parlers de la Géorgie Orientale une formation parallèle se retrouve: ქალაქიღამ *k'alak'idam* «de la ville».

Il est établi dans la littérature spéciale que la formation du type ქალაქიღამ *k'alak'idam* a été le résultat de la substitution de l'ნ n final par la nasale მ m.

Mais, si nous étudions attentivement l'histoire des deux formations, nous trouverons que le type ქალაქიღამ précède celui de ქალაქიღან (au point de vue historique); en même temps on voit que ქალაქიღამ remonte vers ქალაქიღალმა (ქალაქით + დალმა) *k'alak'idayma* (*k'alak'it'-dayma*): ქალაქიღამა || ქალაქიღამე || ქალაქიღალმე *k'alak'idama* || *k'alak'idame* || *k'alak'idayme*.

De là, la formation du type ქალაქიღამ *k'alak'idam* — ქალაქიღამა || ქალაქიღამე *k'alak'idama* || *k'alak'idame* ← *k'alak'idayma* || *k'alak'idayme*...

Tous ces degrés de développement sont confirmés dans les textes des manuscrits géorgiens (depuis le XIII jusqu'au XVIII siècle).

Notre cas représente le tableau exact de la thèse bien connue dans la linguistique générale, d'après laquelle les phénomènes d'origine différentes (ქალაქით-გან *k'alak'it'-gan* et ქალაქით-დალმა *k'alak'it'-dayma*) peuvent s'assimiler jusqu'à une identification complète dans l'évolution de leur développement.

## VI. ს- გვერდის დასუსტება კიზიპურში

წერილში „გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად“ ჩვენ ვამბობთ: „ვინთ აღნიშნულ ბგერებს გარდა გარე-კახურის თავისებურებებს სანის, თუ შეიძლება ითქვას, მთელი ენობრივი ფონტის გასწვრივ დასუსტება განსაზღვრავს; იგი თავს იჩენს: 1. ფუძისეულ ელემენტებში უპირატესად ზოგიერთ თანხმოვანთა წინ — თანის, ტარის წინ (ნაწილობრივ კანის, პარის წინაც); 2. მორფოლოგიურ ელემენტებში; სახელდობრ: ბრუნებაში — ნათესაობითსა და მიცემითში (მხოლ., მრავლ.); უღვლილებაში — როცა მას წინ თანხმოვანი მიუძღვის და ზოგჯერ მაშინაც, როცა წინ ხმოვანი მიუძღვის. ამ დასუსტების ორი საფეხური შეიძლება იქნეს განსხვავებული: ზოგჯერ იგი აქვს სახით (ოდნავი ასპირაციით) არის შენახული, ზოგჯერ კი ნულამდი ჩამოსულა, უკვალოდ გამქრალა; აკუსტიკურად ყოველს შემთხვევაში მისი შემჩნევა არ ხერხდება“ (იხ. კრებული „არლი“ 1925 წ., გვ. 65—66).

ფაქტები, რომელთაც ვემყარებოდით ამ მსჯელობის დროს, ასეთი სახისა იყო: კომატაფე (გორაკის სახელია საგარეჯოს მახლობლად; უნდა იყოს: კოსტაფე), ძტუშარი, ძტანცია, ოძტატი, კომბოძტო, სუძტი, დაძტური, ქრიძტიანი, დოძტოლი, ნეძტორა, ჩუძტი, მანიფეტი — აქ ს ძ-ედ არის ქცეული. მაგალითებში, როგორცაა: ტროა (=სტროა), ტუშარი, ტრაქნიკი, ტაქანი, კამი, პიჩა, კვირითაფი — ს სრულებით იკარგება. იმავე წერილში გათვალისწინებულია ს-ს დასუსტება ნათესაობითსა და მიცემითში, როგორც თანხმოვნის, ისე ხმოვნის შემდეგ, აგრეთვე ზმნებშიაც; აღნიშნულია, თუ სად, რა პირობებში უნდა ყოფილიყო უფრო ადვილი პროცესის დაწყება და როგორ შეიძლებოდა წარმოგვედგინა მისი ვითარება... ზმნების შესახებ, კერძოდ, ნათქვამია: „ს-ანის საერთოდ დასუსტების შემდეგ უნდა მივიჩნიოთ ისეთი ფორმების არსებობა, როგორცაა: ჰუაფე, აქე (|| აქ), გაფე, არა უშაფე, მითქომ, შაუბამ; აქ თითქმის ყველგან თანხმოვნის შემდეგ იკარგება ს-ანი; მაგრამ გაცილებით უფრო დამახასიათებელია და ს-ანის მოშავალი ვითარებისათვის საგულისხმო რამდენიმე შემთხვევა ს-ანის დაჯარგვისა ხმოვნის შემდეგ ზმნებში: აძობდე (=აძობდეს), გააფუქე (=გააფუქეს), გადაუწყვიტე (=გადაუწყვიტეს), შაჭამოა (=შაჭამოს). საფიქრებელია, ამიტომაც, რომ ს-ანის დასუსტება გარე-კახურში მოშავალში უფრო ფართო ხასიათს მიიღებს“ (იქვე, გვ. 68—69).

გვეფიქრებოდა, რომ ს-ანის დასუსტება წმინდა ფონეტიკური ხასიათისა იყო და, მაშასადამე, მოსალოდნელი იყო, რომ იგი დაიწყებოდა უფრო ხელსაყრელ პირობებში თანხმოვნებთან, ხმოვნების შემდეგ მისი დასუსტება კი შემდეგშია იჩენდა თავს... ამიტომაც ზმნაში ხმოვნის შემდეგ ს-ის დაკარგვის

ორიოდე შემთხვევა განსაკუთრებით საყურადღებოდ გვეჩვენებოდა; მასში ვხე-  
დავდით პროცესის ყველაზე შორს წასვლის ნიშნებს.

ქიზიყურის ის მცირეოდენი მასალა (სულ 50 გვ. რვეულის ფორმატისა), რომელიც ჩვენის თხოვნით ჩაწერილ იქნა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდ-  
მარგო იაშვილის მიერ და საკმაო ზედმიწევნობით გადმოგვცემს ქიზიყური  
მეტყველების თავისებურებებს, დიდად საგულისხმოა, როგორც მორფოლოგიური  
და სინტაქსური, ისე ფონეტიკური მოვლენების გასათვალისწინებლად.

კერძოდ, ს ბგერის დასუსტების პროცესი აქ შორს არის წასული. თუ  
გარე-კახურში ხმოვნების შემდეგ ს-ს დასუსტება-დაკარგვის თითო-ორი  
შემთხვევა გვხვდებოდა (სულ 4 მაგალითი 200 გვ. მასალაში), აქ საამისო  
მაგალითებს მასობრივი ხასიათი აქვს.

ს დასუსტებას გვაძლევს ბრუნების პროცესში (ბრუნვის ნიშანი ნათესაო-  
ბითსა და მიცემითში) და უღვლილებაშიც (მესამე პირის სუბიექტის ნიშანი  
მხოლოებითსა თუ მრავლობითში: კავშირებითს პირველში, აორისტში, კავში-  
რებითს მეორეში...).

ჯერ ბრუნებიდან მოვიყვანოთ მაგალითები<sup>1</sup>:

ნათესაობითი ბრუნვის ს სუსტდება და ა-ს გვაძლევს ან სულ იკარგება:

იმ ქალიძათინ გადახტებიან... უთხრა გიორგის: იმიძათინ ილუპებიან...  
თუ იმიძ ღვიძლ მამიტან... ჩვენზე შეილდ-ისარიძ მსროლავე ხო არავინ არიო...  
იმიძთვიძ თორმეტი წელიწადი არი... მიადგა დევებიძ სახლ... გიორგიძ დედამ  
უთხრა დევსა... — იმ ვაშლი ჭამაზე ქალიძ დაორსულდა... დევი დედა ბანიდამ  
აუიდა... წამოიდა წყლი პირაძ... დაადგა თავი ძმიძ გზაძ... მივიდნენ სიმაძრი  
სახლთან...

მიცემითს ბრუნვაში -ს იკარგება თანხმოვნის შემდეგ:

მავლო პირი ვაშლ (=ვაშლს) და მიუტანა ქალ (=ქალს)... მემრე დაუ-  
ძახა თავის მოსამსახურეებ (=მოსამსახურეებს)... მეცხვარე სალამურით ცხვარ  
(=ცხვარს) აძუებდა... მაჯკლამს ირემ, მშველ (=ირემს, მშველს)... მემრე დეე  
(=დეეს) მოაქრა ცხრა თავი... გაწბილებული დედა ვერაფერ ვერაძ ებნება...  
გაუქრა ფეკები მშველ (=მშველს)... შენ ცოლ (=ცოლს) თითონ აკითხეა...

მიცემითს ბრუნვაში -ს სუსტდება ა-დ—ხმოვნების შემდეგ:

დაადგა იმ გზაძ (=გზას)..: ის რქაძ (=რქას) გადიქნეს... გოშპარებიც  
მიადევენ წყლი პირაძ (=წყლის პირას)... მე წავალ და ამ წონისაძ და ამ  
ზომისაძ მჭედელ გავაკეთებინებ (=ამ წონისას და ამ ზომისას მჭედელს გავა-  
კეთებინებ)... ოჰ, ჩემ ძმაძ (=ძმას) გააქირებიაო... მაგის დაკვლაა რაა (=და-  
კვლას რას) გამაძრჩებიაო... ყველაა (=ყველას) დააქრა თავები... პირობა იმაძ  
(=იმას) იგეთი აქ... რაა (=რას) ილუპებიან ეს ბიჭებიო... იმაძ (=იმას) კი  
ემგვანებაო... იმ ხემწიფეა (=ხელმწიფეს) ეგონა... იმ ლამეა (=იმ ლამეს) რო

<sup>1</sup> რადგანაც ტექსტები გამოქვეყნებული არ არის, მაგალითების მეტი წილი მოგვყავს.

დავწეკ... ერთ დღეა (=დღეს) წავიდა სანადიროდ... ამ დროა (=დროს) კიდევ წამოავლო (პირი)... ამ დროა გიორგიმ ფული მიაცა...

**ზმნის უღვლილებაში** -ს სუსტდება ე, ა, ო ხმოვნების შემდეგ და ძ-ს სახეს იღებს:

იმთავ დაკლვა, დასისხლეა და ხემწიფეა მუუტანეა (=დაკლეს, დასისხლეს და ხელმწიფეს მიუტანეს)... იმ ქალ გაანებეა (=ქალს გაანებეს) თავი... გამოზიდეა, გადაყარეა წყალში... სამთავ ააწივეა ქვაბი (=ქვაბის) საფარობელი და დახურეა ზედა... დაყადაღეა ოთხსაე მკარეა, აიღეა და წყალში გადააგდეა იი ქვაბი... იმ დროა გომპარებმა თქვეა... წყალში ჩააგდეა ჩვენი პატრონი... იმ ღორმა და იმ ირემმა უთხრეა... დაიწყეა გომპარებმა ყეფა... უპასუხეა თავიანთ ანბავი... რო გავიზარდე, მაშინ მითხრეა შენი საქმე... მეტვივინენ ერთმანეთ, დაკოცნეა... იცხოვრეა ორთავ ძმურად... მაშინ ჩააგდეა ბებერი ცეცხლში და დაწვეა... შუა ღამემდი ისხდნენ და ილაპარაკეა... უთხრეა იმ სოვდაგარს... ერთ უღრავ ტყეში მივიდნენ, იქ დაისვენეა... გამოცვიდნენ ყარაულები, ააწივეა და წამაიყვანეა თავი ცოლთან... დაიჭირეა ფაიტონი... დასხდნენ და იქეიფეა...

**ლექსებშიაც** სუსტდება -ს:

სამჯერ წამიყვანეა ციმიბირ, ვაი დედი-ჩემი ღმერთსა...  
მეტე ხანი არ გავიდა, აატეხეა თოფი კმანი...  
ჩამოლევწეა სტეკლოები, ნამეტნავ სახლის კარი...  
გაიგეა ქართლი შვილებმა, გაქრა ღრუბელი ცაზეა...  
ავსტრიაა გაანადგურეა, ქვაც აღარ არი ქვაზეა...  
პოლკი, სამასი ათასი წამაყვანეა ჯავრზეო...  
თავზე დახურეა ჩაჩანი, განჯა<sup>1</sup> წელზე შარტყესა...  
ერთი ამასაც მოარტყეა, ამ ოხერ (?) მიმინო ცხენსა...  
ერთი ხელი (?) რო ატირეა, სანთელივით ჩამოლხვესა...

ზევით ზმნა ყველგან აორისტში (ნამყო წყვეტილში) იყო; კავშირებით II-შიაც გვექნება ანალოგიური მაგალითები:

უნდა რო წავიდეა და აღარ ეთმობა... აქ იგეთი ციხე-ქალაქი გაკეთლდე; რო ჩემი ქმრი სოფელი მე შეყმოსო... მათხოვი შვილი რო გადახტეა, იმა უნდა მიეცეა ის ქალი (=მათხოვრის შვილი რო გადახტეს, იმას უნდა მისცეს ის ქალი)... ეხლა... რო გავვიპირდეა, როგო უშველოთ ჩვენ ერთმანეთო... გიორგი ყაზარი მოგიკვდეა... რო მოვიდეა, უთხარ...

ა-ს შემდეგ სუსტდება -ს (აწმყო, კავშირებით II): იმ ხემწიფეა წყალში უღგაა სახლი... ეს ახალოხი... ეცვაა (=ეცვას) ათი წელიწადი...

ბ სუსტდება ო-ს შემდეგ (ისევ კავშირებით II):

ჩემზე მეტი ვინ უნდა იყოა (=იყოს)... ან უნდა იყოა მთავარი ან დიკვანი... ბებერს კი უნდა იმ ქალის ძმა დალუბოა... ვინც გინდა ბევრი ეწვალო, ვერ მავა შვილი წელია... თუ ვერ გავგზავნი ციმიბირსა, დღე დაილიოა (=დაილიოს) ჩემია...

<sup>1</sup> ხანჯალი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია შემდეგი ორი მაგალითი:

აქ დაუდგები, რო ჩემი პატრონი არამ გააფუჭოაო (=გააფუჭოსო)... მაშინ ხემწიფემ (დაიძახა): გიორგი სიძეა გაუშარჯოაო (=გიორგი სიძეს გაუშარჯოსო)... აქ სხვათა სიტყვის -ო მოსდევს ს-ს მონაცვლე ა-ს; ხმოვნის წინ ჩვეულებრივად აღდგება ხოლმე დაკარგული ბგერა; ს- ბგერას ესეც არ შევლის, იმდენად მკვიდრია ის ცვლილება, რომელსაც ადგილი ჰქონდა.

ამ მხრივ მეტად სიმპტომატურია ისეთი შემთხვევები, სადაც ს ადგილს უთმობს ა-ს ი-ს შემდეგ: ის → ია... ახალი კომპლექსი -ია ფონეტიკურად ყველაზე ნაკლებ სასიცოცხლოა: ორს მონათესავე ბგერას თითქოს ერთად გაძლება უჭირს. ამას უნდა გაემაგრებინა ს-ს პოზიციები. მაგრამ ასეთს პირობებშიაც -ს ვერ ძლებს, ა-დ იქცევა: გიორგი იქილამ მოდის, დევსაგანი აქიდან მილია (=მიდის)...

ს-ს დასუსტება მარტო ბრუნებისა და უღვლილების ფორმანტებს კი არ ეხება: ფონეტიკური პროცესისათვის ეს უცნაურიც იქნებოდა. უფორმო სიტყვებშიაც მოიპოება ს-ს დასუსტების მაგალითები; როა (=როს), როდე (=როდეს); მემრე ქვაბში როდეა ჩაჯდა, მაშინ უთხრა... შენი თავი როა წყალში გედევგლო...

ამგვარად, ქიზიყურში ს სუსტდება და ა-თი იცვლება ანდა სრულებით იკარგება: ა ენაცვლება ბოლოკიდურ ს-ს ხმოვნების შემდეგ (აგრეთვე -თ და -ტ-ს წინ); ბოლოკიდური -ს იკარგება თანხმოვნების შემდეგ, ზოგჯერ ხმოვნების შემდეგაც.

ს- ბგერის დასუსტება-დაკარგვის პროცესი თავისი ბუნებით იგივეა, რაც გარე-კახურში გვექონდა, ოღონდ ეს პროცესი გაცილებით უფრო შორს არის წასული, ვინემ გარე-კახურში. რასაც გარე-კახურისათვის ვვარაუდობდით ს- ბგერის დასუსტების ხაზით მომავლისათვის, ის უკვე მომხდარი ფაქტია ქიზიყურისათვის. ამ უკანასკნელში ს- ბგერის დასუსტება, ჩანს, უფრო ადრე დაიწყო და ამიტომ უფრო შორსაც წავიდა. ს- ბგერის დასუსტება გარე-კახურის გარდა ქართლურშიაც იჩენს თავს; პროცესის კერა კი აღმოსავლეთით — ქიზიყში — უნდა ვივარაუდოთ.

მეტი თვალსაჩინოებისათვის ვურთავთ ერთ-ერთ იმ ტექსტთაგანს, რომელიც გამოყენებული იყო ს-ს საკითხის გარკვევისას ქიზიყურში.

\*  
\*\*

### გიორგი-ყაზარისა და დევსაგანის ზღაპარი<sup>1</sup>

იყო ერთი ხენწიფე. იმასა ყვანდა (?) ერთი ქალი, მზეთუნახავი, ცალკე ოთახში. მუდამ დღე წონამდა. გამოდიოდა სამი ჩარქი. მერე ერთ დროება<sup>2</sup> მოვიდა (?) წვიმა და მოვარდა ღვარი. ჩამაატარა ერთი წითელი ვაშლი. იმ ქალსა ყვანდა (?) გოშპარა. იმ გოშპარამ მათვლო პირი ვაშლ და მიუტანა ქალ. ქალმა ვაშლი გაფუქენა, ნაფუქენი გოშპარა მიუყარა და გული

<sup>1</sup> სათაური ჩვენ შეფურჩივთ.

<sup>2</sup> დაშლით არის აწყობილი ის სიტყვები, რომლებშიაც ს-ს დასუსტება-დაკარგვა ხდება.

კიდევ თითონ შაქამა. იმ ვაშლი ქამაზე ქალიც დაორსულდა და გოშპარაც. მერე აწონა მამამა და ოთხი ჩარეკი გამოიღა. მემრე დაუძახა თავის მოსამსახურებ (?) მამამ. „ჩააკვირე თავი სადღეღუფლო ტანისამოსი, გაატარ-გამოატარეთ, წაიყვან და დაკალით!“

ერთ ტრიაფ მინდორზე გაიყვანეს იი ქალი. შაახვდათ ერთი მეცხვარე. სალამურით, ცხვარ აძუებდა. მემრე უთხრა იმ მეცხვარემ მოსამსახურებ (?): — „სად მიგყავთ ეგ ქალი?“ გამოაკითხათ. — „ჩვენ გამოგვატანა ხენწიფემ ეს ქალი; დაკალით, ტანისამოსი დასისხლეთ და სისხლიანი ტანისამოსი აქ მამიტათ!“ მემრე უთხრა იმ მეცხვარემ: „მაგის დაკვლავ რაა გამაძრჩები? ცხვარ დაგიკლამთ; ეგ ტანისამოსი დასისხლეთ, მუუტათ, ჰოო!“ იმათაც დაკვლავ, დასისხლავ და ხემწიფე მუუტანე. იმ ქალ გაანებე თავი იმ ტრიაფ მინდორზე.

ქალმა იარა და გაიარა ერთი უღრავი ტყე. გააკეთა ანწლი ქოხი და შეაფარა თავი. გოშპარაც თან მიადევს. ერთ რამდენიოტე დღე იყვნენ იქ. იმ ქალს ეყოლა ბიჭი, გოშპარასაც გაუჩნდა ორი ლეკვი. ვინც წლით იადება, ის ბიჭი იმდენ დღით იადება. თორმეტი დღისა რო გახდა, იმითვი თორმეტი წელიწადი არი. ერთი მუხა (?) მოგლიჯა. ტყეში რომ გაივლის, გაისვრის იმ მუხას და გზას გაატანინებს. ტყეში მაჟკლამს ირემ, მშველ და იმათინახამს იმ დედა. დაუძახა თავი გუნებით დედამ „გიორგი ყაზარი“ (მალალი, ზდაროვი).

ერთ დღეა წავიდა სანადიროთ, მიადგა დევები სახლ. დევებსა აქვთ ქორწილი. ცხრა-თავა დევი ნეფეთა ზის. მივიდა იი ბიჭი, ყველა დაჟრა თავები. გოშპარებ უთხრა: „გაზიდე ეე მკვდრები!“ გამოზიდე, გადაყარე წყალში. იი ცხრა-თავა დაუგორდათ ხრამში. დევი დედა ბანიდამ ავიდა, წყალ-გაღმა გავიდა. მიაყარა იი ბიჭმა ფოთოლი ცხრა-თავა დევს, რო დაუგორდათ, და წავიდა სახლში დედათან. დედას უთხრა: „აქ რა ვაკეთოთ, ეგეთი ვნახე საფარე“ (ტყეში იყო გაადილი და სახლი სახელი არ იცოდა). დედაც გამაჟყვა თან. დილით წავა სანადიროთ, სალამოთი მოვა გიორგი ყაზარი. რო წავიდა გიორგი, დედამ ნახა დევი. „ნეტავი შენი თავი გამიცოცხლა, გინდა გიორგი ყაზარი მომიკვდესო!“ ეს ნატვრა გაიგონა დევი დედამ. „მე გავაცოცხლებ დევსა, მაგრამ შენი გიორგი ყაზარიდამ მეშინიან!“ „გავაცოცხლებნუ გეშინიან შენ გიორგიდამ!“ — დედამ უთხრა. „შკაფში, მუშით წამალია, გამაიტა, მოუსვი და გაცოცხლდება!“... დილით გამაიყვანიან (?) იმ დევ, სალამოთი დაჟმალამენ, როცა გიორგი მოსვლი დრო არი, ი დევი დედაც იქ მოვიდა, იმათთან.

ერთ დროება უთხრა იი დევმა იი გიორგი დედა: „ჩენი ყოფნა რა ყოფნაა? გიორგი მოუტერკოთ რამე!“ გიორგი დედამ უთხრა დევს: „აბა რა მოუტერკოთო?!“ — „შენ დაწე ქლოგინში, მაიგონე ავანტყოფობა!“ ისიც დაწვა. სალამოთ რო გიორგი მოვიდა, დაიწყო კნასა-კნუსი, — მითომ ავათ ვარო! „რალა მოატყუანოთ, რო გავგზავნოთ?“ — „მაშინ შენ უთხარ; ცხრა მთს იქით ერთი ღორი ვნახე! ცალი ეშვი მალლა ჰაერში აქვ, ერთი კიდე ძირსა აქვ დაბჯენილი. წუხელ მემელანდა სიზმრათ და იმან შამაშინა. თუ იმი

ღვიძლ მამიტან, მოვრჩები! თუ არა და, მოვკვდები!“ ამ დროს გიორგიმ ფიცი მიაცა: „თუ ის არ მოგიტანო, მაგ გიორგი ყაზარი მოგიკვდება!“

ადგა გიორგი, დაადგა იმ გზაზე. შუა გზაზე რო მივიდა, შახვდა ერთი ბერი კაცი. გამოაჯივინა გიორგი, რათ მიხვალო. „დედა-ჩემი შუშინებია სიხმარში ღორ, მე ის ღორი უნდა წავიდე და მოვკლა!“ იმ ბერიკაცმა უთხრა: „გიორგი! დედა-შენი ავით არ არი, ტყუილათ გითხრაო!“ — „არა, დედას მზემო, დედა ტყუილ არ მეტყვის!“ — „არა და, რო მიხვალ, ის დეგიქნევს ეშვ, შენ კიდე მიაშველე შვილდ-ისარი!“

მაშინ ღორმა უთხრა: „ნუ მამკლამ და ბედსა გცემო!“ — „არც მოვკლამ და არც მოსაკლავათ მოვსულვარ, დედა მყავ ავით და მამირჩინეო!“ „ჩაიარე, ემანდ ერთი ბურვაკი ეგდება (იქნება), მოკლა! ალაგა გამოგადგებიო!“ ჩამოიარა, მოკლა ბურვაკი და მოუტანა იმიღ ღვიძლი, იი რო შეწვა და შაქამა, მაშინ ადგა იი გიორგი დედა.

ეხლა დევმა უთხრა: „ეგაც ხო მოვიდა! ცხრა მთას იქით ერთი ირემია, ცალი რქა მალა უდევე, ერთი — ძირ მიწაზე. ახლა მოდი გავგზავნოთ იქ!“... შახვდა ისევ ის ბერიკაცი... „ის რქაზე გადიქნევს, შენ კიდევ შვილდ-ისარი შეაშველე!“... „გიორგი! ნუ მამკლამ და ბედსა გცემო!“... „ჩამიარა, დახვდა წაწალა (ირმის შვილი), მოკლა და მოუტანა იმიღ ღვიძლი დედაა...“

მოუტანა, შაწვა, შაქამა, ადგა. ამ დევმა უთხრა: „ეგაც ხო ადგა! როგო უყოთ? ამ დევებზე ქვაბში ჩაასხი წყალი! საღამოთ რო მოვიდეს, უთხარ: შვილო, დაგბანო თავი!“... შვილდი ისარი მიდყუდა (?) კარედთან. მემრე ქვაბში რო დიღ ჩაჯდა, მაშინ უთხრა: „აბა, შვილო, გაიწი, ჯანი რაში გაქო?“ ქვაბ რო ფეკები მიაჭირა, ჭაჭა-ჭუჭი დააწყებინა ქვაბ! „დაიცა, შვილო, ქვაბი არ გატეხოო!“ მაშინ დაუქნია დევ ხელი, და მოიდა დევი დედაც; სამთავ ააწივდა ქვაბი საფარობელი და დახურდა ზედ, დაყადაღდა ოთხსავ მკარეა. მაშინ უთხრა: „შვილო, აბა ახლა გაიწი! რაში გაქ ჯანი?“ საითლა გაიწევდა, აქათ-იქით ლურსმები ერჭობოდა. მერე უთხრა: „თქვენ კელთა ვარ, აღარა მაქ ჩემი ჯანიო!“

აიღე და წყალში გადააგდე იი ქვაბი, და გიორგი ქვაბში არი. ქვაბი რო წყალ მიაქ, გოშპარებიც მიადევენ წყალი (?) პირა და ღმუიან. მემრე იი ქვაბი მიკარჩხლა წყალმა. ამ დროს გოშპარებმა თქვეა: „ჩვენ როგო უშველოთ ჩვენ პატრონსაო?“ ერთმა თქვა: „მე ღორთან წავალო!“ მეორემ კიდე უთხრა: „მე კიდე ირემთან წავალო!“ გოშპარებზე დედამ უთხრა: „მე კიდე აქ დაუდგები, რო ჩემი პატრონი არამ გააფუჭოაო!“ აღგნენ, წავიდნენ... ერთი ღორთან მივიდა, ერთი — ირემთან. „წყალში ჩააგდე ჩვენი პატრონი და, მაშინ რო გვითხარი, ეხლა გვიშველეო!“ იმ ღორმა და იმ ირემმა უთხრეს: „გააწი და ჩვენც მოვალთ!“

სანამ მოვიდნენ გოშპარები, ირემი და ღორიც მოვიდა. მაშინ ღორმა უაჯიკელა: „როგო ხარ გიორგიო?“ „მე კარგა ვარ, მაგრამ ვგრე წყალში ვარო“. ირემს უთხრა ღორმა: „ჩადი და მოუგდე რქა და ამააგდე მწვანეზეო!“ ირემმაც ამააგდო მწვანეზე. შეექცა ის ღორი, ისე დახია ის ქვაბი, როგორც ქალმის (?) საკაბი.

სადამ (!) გიორგის ეშველებოდა, იმათ ეყოლათ ერთი ბიჭი კიდევ. როგორც იი გიორგი გაიზარდა, ისიც — იმგვარათ. იმასაც დაუძახეს დევსაგანი. მემრე რო გაიზარდა იი ბიჭი, დევსაგანი, დედას უთხრა: „დედი! ეე შვილდ-ისარი ვისიაო?“ (კარეთან რო ეყუდა). დედამ უთხრა: „შვილო! ერთი ძმა გყვანდა, მოვკალით და გადავაგედეთ წყალშიო!“ გამოიდა და გაშინჯა იმი შვილდ-ისარი, ძმისა, დევსაგანმა. მემრე უთხრა: „მე ჩემი ძმიე კელში ნაჭქერ არ ავილდე! მე წავალ და ამ წონისაე და ამ ზომისაე მქედელ გავაკეთებინეო!“ მართლაც გააკეთებინა შვილდ-ისარი. უთხრა: „დედი, მშვიდობით! მე უნდა ან ჩემი ძმა ვიპოვნო ან იმი გზაზე მოვკვდეო!“ (ისე ჩაუვარდა იმი სიყვარული, — ჯერ ხომ არ ენახა!).

მართლაც წავიდა, დაადგა იმიე გზაე. გიორგი იქილამ მოდის, დევსაგანი აქადან მილიე. აცდნენ ერთმანეთ და ვერ შამაძხვდნენ. გიორგი სახლში მივიდა, დევსაგანი წყლისაყენ წავიდა; გომპარები განზე დააყენა გიორგიმ (სახლში რო მივიდა).

დედამ ველარ იცნა თავიე შვილი. დედას უთხრა: „შენი გიორგიე მზესაო, ერთი პური მამიტეხეო!“ „აჰა, ეს პური და აღარა თქვა გიორგი! მე გიორგი სადამყვანდაო?!“ გამაართვა, ცოტა გომპარებ მიუყარა, ცოტა კიდევ თითონ შაჭამა. მაშინ კიდევ მოუბრუნდა გიორგი, უთხრა: „დედი! ეე შვილდ-ისარი ვისიაო?“ „შენ არ მამიკვდები, სწორედ მაგი პატრონი ქვენისთანა ბიჭი იყოო!“ ამ დროე კიდევ წამოავლო შვილდ-ისარ კელი გიორგიმ. ისენი კი სხედან ცეცხლა პირიე. ჯერ დევი დედაე ესროლა და მოკლა. მემრე დევ მოაჭრა ცხრა თავი.

დედა დაფიქრდა. მაშინ უთხრა: „დედი, მე რათ მილალატე? რაც მამთხოვე, ყველაფერი მოგიტანე. ხო არა დამიშავებია რა შენთვინ?“ გაწბილებული დედა ვერაფერ ვერაე ებნება გიორგისა. მემრე აილა გიორგიმ ნაცარი, ჩამანიავა და უთხრა: „დედი! თუ მე ვტყუოდე, ეგრე მე დავნიავდე, თუ არა და — შენაო!“ როგორც კი მუჭილამ ნაცარი გაათავა და დედაც იქცა ნაცრათ. იგრევ თითონვე დაიწყო ტირილი — „რათ გავიმეტე ეგრე მშობელიო?!“

ამ დროს კიდევ მოდის დევსაგანი (იქიდან (?) რო იარა, იარა და ვერ იპოვა). მაშინ დაიწყე გომპარებმა ყეფა. გეეძრახა გიორგი: „ვინა ხარ, აქ სად მოხვალო?“ დევსაგანმა დაუძახა: „ჭკვიანათ იყავი, თორემ მოვალ და მოგატრი თავსაო!“ კიდევ ჯავრობს გიორგი. დევსაგანმა დაუძახა: „ძალიან დამიკვილე! მე ვიცი, ჩემი ძმა, გიორგი-ყაზარი რო ყოფილა, იმაე კი ეგვანებო!“ რადგანაც რო ვერ იცნობდა გიორგი, დაფიქრდა. „რა ვქნა, მე ძმა სად მყვანდაო?“ მაშინ დაუძახა: „ახლო მოდი, შორილამ რაე მელაპარაკებო?!“

Dans la langue contemporaine d'Avare l'infinitif se forme à l'aide des suffixes *-ne* (|| -ni) et *-ze* (|| -zi) — dans le dialecte du Nord (Khunzakh).

Le troisième suffixe de l'infinitif est *-de*, institué dans le parler des aouls Kudalib, Manass-Aoul et Sougrathle; ce suffixe *-de* est la base de l'indi-

cateur *-di*, noté par l'académicien N. Marr, comme un phénomène exceptionnel dans le parler de l'aoul Tchoukh.

De ces trois indices de l'infinitif *-ne*, *-de*, *-ze* il faut citer le suffixe *ze* comme variation phonétique *-de*: *de* → *dze* (*dǰ*) → *ze*.

Ainsi, nous pouvons supposer qu'il existait anciennement deux suffixes pour l'infinitif de la langue d'Avare: *-ne* (*-ni*) et *-de* (*-di*).

L'action réciproque et la genèse de ces indices *ne*, peuvent être expliqués qu'après avoir étudié les parlers vivants de la langue d'Avare et comparé les données de la langue d'Avare avec les indications des autres langues caucasiennes, en commençant par celles du Daghestan.

გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში<sup>1</sup>

სიტყვათა დაჯგუფება სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ხდება: ზოგჯერ განასხვავებენ გონიერსა და „უგონო“ საგნებს, ზოგჯერ „სულიერსა“ და „უსულოს“, ზოგჯერ მამრობითსა და დედრობითს სქესს ანდა მამრობითს, დედრობითსა და საშუალო სქესს, ზუსტად რომ ვთქვათ, „გვარებს“, (род, genus)... სქესებად დაყოფა კლასიფიკაციის ერთ-ერთი სახეა და არა ერთად-ერთი სახე. არის ისეთი ენები, რომლებშიაც საგნები გარეგნული ფორმის მიხედვითაა ჯგუფებში გაერთიანებული ანდა კიდევ ღირებულების თვალსაზრისითაა დახასიათებული, და ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა გრამატიკულ დაჯგუფებაში შედის. ამგვარი დაჯგუფების აღსანიშნავად ბუნებრივი სახელი იქნებოდა გრამატიკული კლასი.

ხუნძურში გარჩეულია სამი გრამატიკული კლასი: პირველში შედის ადამიანი მამრობითი სქესისა, მეორეში—ადამიანი დედრობითი სქესისა, მესამეში— ყველა სხვა ცოცხალი არსება განურჩევლად სქესისა (ხარი, ძროხა, ცხენი, ცხვარი, ვაცი, ნეზვი, ლომი, არწივი...) და ყოველი სხვა საგანი, კონკრეტული თუ განუცნებელი (წყალი, ქვა, მიწა, სახლი, სინათლე, სიბნელე, სილამაზე...).

პირველი გრამატიკული კლასის ნიშანია მხოლოდობითში ვ- II უ, მეორისა — ჯ-, მესამისა — ბ-. ეს ნიშნები პრეფიქსებად წარმოგვიდგება, მაგრამ სუფიქსადაც გვაქვს. გვხვდება სუბსტანტივებში იშვიათად, ნაცვალსახელებში — ხშირად, ატრიბუტივებსა და მიმღობაში — ყოველთვის; ზმნაში და ინფინიტივში შედარებით მცირეა მაგალითი გრამატიკული კლასების გარჩევისა.

შდრ. ვ-აც ძმა... ვ-ას ვაჟიშვილი... დო-უ, დო-ჯ, დო-ბ-ის (он, она, оно)

ჯ-აც და... ჯ-ას ქალიშვილი... ჰე-უ, ჰე-ჯ, ჰე-ბ-ის (тог, та, то)

კუდიჯა-უ, კუდიჯა-ჯ, კუდიჯა-ბ — დიდი (большой, большая, большое)

ჰიტინა-უ, ჰიტინა-ჯ, ჰიტინა-ბ — პატარა (маленький, маленькая, маленькое)

უნე-უ, უნე-ჯ, უნე-ბ<sup>2</sup> — მიმავალი (идущий, идущая, идущее)

ვ-უგო, ჯ-იგო, ბ-უგო — ვარ, ხარ, არის I, II, III კლასის საგანი (განურჩევლად პირისა)

ვ-უკინე, ჯ-იკინე, ბ-უკინე — ყოფნა I, II, III კლასის საგნისა...

ჰა-ვ-იზე, ჰა-ჯ-იზე, ჰა-ბ-იზე — ქმნა I, II, III კლასის საგნისა...

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად 15. X. 1936 წლის სექტორთა შეერთებულ სხდომაზე.

<sup>2</sup> სპეციალურ განხილვას საჭიროებს ისეთი მიმღობა, რომელიც ერთდროულად ორი კლასის ნიშანს ატარებს.

მრავლობით რიცხვში კლასები არაა გარჩეული; თუ მხოლოდობითში გრამატიკული კლასები პრეფიქსებით აღინიშნებოდა, მრავლობითში რ პრეფ. გვექნება; თუ კლასის ნიშნად სუფიქსი გვექონდა, -ალ, -ელ სუფიქსებს მივიღებთ:

- ვ-უგო, ჟ-იგო, ზ-უგო — მრავლ. რ-უგო ვართ, ხართ, არიან (I, II, III კლ.)
- კულია-ალ — დიდები (განურჩევლად კლასისა)
- პიტინ-ალ — პატარები .. ..
- დოლ — ისინი, они .. ..
- პელ — ისინი, те .. ..

აღსანიშნავია, რომ ვ-აც, ჟ-აც, ვ-ას, ჟ-ას მრავლობითში ინარჩუნებენ კლასის ნიშნებს: ვ-აც-ალ ძმები, ჟ-აც-ალ დები, ვ-ას-ალ ვაჟიშვილები, ჟ-ას-ალ ქალიშვილები...

ხუნძურის მოქმედმა გრამატიკულმა სისტემამ, როგორც ვნახეთ, იცის სამი გრამატიკული კლასი; მაგრამ ხუნძურში უნდა ყოფილიყო მეოთხე გრამატიკული კლასიც. ხუნძურის დიალექტები რომ შესწავლილი იყოს, სამისო საბუთები, ალბათ, საძებარი არ იქნებოდა; მაგრამ ბოლ მაწე-შიაც, ვფიქრობთ, რომ შენახულია მისი უტყუარი ნიშნები. პირველ ყოვლისა, ზოგი მასდარის რ- იქცევს ამ მხრივ ყურადღებას.

— აჩიზე წალება, წაყვანა, ტარება (ინფინიტივი!) (იხ. უსლარი, ლექსიკ. გვ. 45): დიცა მუნ ვ-აჩილა მე შენ (I კლასის საგანს) წაგიყვან (მაგალ., ზურგით); ჰამიცა ბ-აჩილა წულ ვირს მიაქვს შემა... ზმნაში ყველგან აღნიშნულია კლას-კატეგორია ობიექტისა: თუ უნდათ ევროპული ენების განყენებული ფორმა нести, вести გადმოსცენ, იღებენ ზმნის ფორმას შესამე კლასის ობიექტით: ბ-აჩიზე... ნაზმნარი სახელის, მასდარის, საწარმოებლად ინფინიტივს სცილდება -ზე: ბ-აჩი წალება რისამე...

ხუნძურში მოიპოება სიტყვა რ-აჩი ტვირთის მნიშვნელობით; ექვს გარეშეა. ეს იგივე ბ-აჩი-ა, ოღონდ ბ-ს ადგილს აქ იჭერს რ- პრეფიქსი. მასდარი გასუბსტანტივებულია (შდრ. გასუბსტანტივებული ქართული მასდარები: წარწერა, შენიშვნა, განმარტება. გამოცდა...).

ასეთივე წარმოების რამდენიმე სხვა მასდარიც არის დადასტურებული უსლართან.

— ოტლიზე სიყვარული, жонить; რ-ოტლი სიყვარული: ვაჟ ყსიჟაბ როტლი, ყსიჟაბ როტლი! დუნიჟალგუნ ცადაც ბიშას ბიჟარაბ (იხ. უსლარი, ტექსტები. გვ. 14): ვაჟ ულმობელო სიყვარულო, ულმობელო სიყვარულო... „სიყვარული“ აქ შესამე გრამატიკულ კლასად არის წარმოდგენილი და მსაზღვრელი ატრიბუტივიც მასთან არის შეთანხმებული, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ განყენებულად იქნება აღებული ეს მასდარი და სიყვარულის ობიექტზე მითითებული არ იქნება, მაგრამ თუ ასეთი ობიექტი ნაჩვენებია, რ-პრეფიქსს მონაცემედ სხვა სათანადო კლასის ნიშანი შეიძლება გაუჩნდეს; ამის მაგალითი გვაქვს ლ. ტოლსტოის „ჰაჯი მურატის“ თარგმანის შემდეგს ადგილში: წაჟ ჰობოლ ვ-ოტლიჟალ'ულ ჰისაზაღდა (გვ. 8): სტუმრის დიდი სიყვარულის გამო; რაჟი ობიექტად პირველი გრამატიკული კლასია, მასდარიც შესაბამისი პრეფიქსით

მოგვევლინა... როტლი-მასდარში რ-პრეფიქსი ფუჟქსთან საბოლოოდ არ არის შეხორცებული.

— აყიზე შიმშილი ГОЛОДАТЬ; რ-აყი შიმშილი ГОЛОД; რ-აყულ სონ შიმშილიანი წელიწადი (სიტყვა-სიტყვით „შიმშილის წელიწადი“)... იხ. უსლარი, ლექსიკ. გვ. 41.

— ეციზე ქება ХВАЛИТЬ; ობიექტებთან მიმართებაში; ვ-ეციზე, დ-ეციზე, ბ-ეციზე... -ზე-ს გამოკლებით მივიღებთ მასდარს „ქება“: ვ-ეცი; დ-ეცი, ბ-ეცი... ამით გარდა იხმარება რ-ეც „ქება, ქათინაური“ (იხ. უსლარი, იქვე, გვ. 77): დოს დიფე ჰაბუნა რეც: მან მე მაქო „მან მე ქათინაური მიყო“... ცემერ რეც პუგეუ ჩი ვუგო ჰაუ „ძალიან პირმოთნე კაცია ეს“...

საესებით ანალოგიური აგებულებისა:

— ეწიზე დენა СОЧИТЬСЯ, СТРУИТЬСЯ... რ-ეწა ჩირქი (წყლულიდან მოდინარე)... იხ. უსლარი, ლექსიკ. გვ. 77.

— აღიზე ლანძღვა ОУРАНИТЬ; რ-აღ ბრძოლა... იხ. უსლარი, გვ. 36.

— იტლიზე გაყოფა ДЕЛИТЬ; ბ-იტლი გაყოფა, განაყოფი; რ-იტლი მდინარის ტოტი. იხ. უსლარი, ლექსიკ. გვ. 106.

— იჟიზე შექმნა СОЗДАТЬ; ალლაჰას რიჟანა ყადამალ „ალაჰმა შექმნა ჴდამიანები“; რ-იჟი ქმნილება СОЗДАНИЕ... იხ. უსლარი, ლექსიკ. გვ. 101.

— ეტლიზე თესვა СЕЯТЬ; ბ-ეტლი თესვა, სეხ; რ-ეტლი თესვა СЕЯНИЕ (РАЗЛИЧНО!) იხ. უსლარი, გვ. 79.

— ილ'ინე სელა ИЛИ; ამ ზმნისთან გრამატიკული კლასის ნიშანი მერყეობს: ილ'ა გასწი (ქალის, კაცის მიმართ იხმარება ჩვეულებრივად კლასის ნიშანდაურთველად), მაგრამ ბ-ილ'ა გასწი! (ცხოველის მიმართ!) კლასის ნიშანს ატარებს...

ამ ზმნის ფუძიდან გვაქვს რ-ილ'ინ სიარული ПОХОДИ... იხ. უსლარი, ლექსიკ. გვ. 106.

1 თავისებური სუფიქსით, რომელიც მრავლობითობის ნიშანს უნდა უკავშირდებოდეს, რ-პრეფიქსიანი წარმოება:

— რ-უკელ „სამყოფის“ მნიშვნელობით: ქოლოდა ბუგო დოსულ რ-უკელ ის ხუტორში ცხოვრობს („ხუტორში არის მისი ყოფნა, სამყოფი“) იხ. უსლარი, ლექსიკ. გვ. 114.

— იჩიზე გაწუწვა, დასველება МОКИТЬ; რ-იჩაელ ნესტი, ნოტიო... უსლარი, ლექსიკ. გვ. 105.

— ოხიზე სიხარული, РАДОВАТЬСЯ; რ-ოხაელ სიხარული; კუდიაბ როხაელ ბუგო ჰაბ „დიდი სიხარულია ეს“... იხ. უსლარი, ლექსიკ. გვ. 144.

— ეგიზე წოლა ЛЕЖАТЬ; ვ-ეგი წოლა (ადამიანისა); რ-ეველ საწოლა... იხ. უსლარი, ლექსიკ. გვ. 75.

ეს რ კლასის ნიშანი უნდა იყოს; რომელი კლასისა? პირველი და მეორე კლასი გამორიცხულია: ის სიტყვები, სადაც რ-პრეფიქსია შემონახული, ამ კლასებს ვერ განეკუთვნება; ყველა ეს სიტყვა ამჟამად მესამე კლასისაა; მათთან შეთანხმებული სახელები ამაში ექვს არა სტოვებს: კუდიჯაბ როხეღ ბუგო ჰებ დიღი სიხარულია ეს... რაკი ყოველ კლასს ჩვეულებრივად თავისი მაჩვენებელი აქვს, რ-პრეფიქსი IV კლასისა უნდა იყოს; სხვანაირად რომ ვთქვათ, ხუნძურში ოთხი კლასი უნდა გვქონოდა სათანადო ნიშნებით: I — ვ- || -უ, II — ა, III — ბ, IV — რ.

რაც პირველისა და მეორე კლასის გარეთ რჩება, ამჟამად მესამე კლასშია გაერთიანებული; წინათ სიტყვათა ეს კონტინგენტი ორ კლასს შეადგენდა, მესამესა და მეოთხეს.

ცხადია, მაშინ ხუნძურში ისეთივე მდგომარეობა გვქონდა, როგორცაა ახლა ანდიურში, ლაკურში, არქულში, ჰურკილიურში, რუტულურსა თუ წახურულში...

საფიქრებელია, რომ ხუნძურშიაც ისევე უჩინარი იყო საფუძველი, რომლის მიხედვითაც მეოთხე კლასი გამოიყოფოდა მესამისაგან. სამი კლასი მეორეული მოვლენაა ხუნძურისათვის.

რა დამოკიდებულებაშია ზემოხსენებული რ-პრეფიქსი იმ რ-პრეფიქსთან, რომელიც მრავლობითშია შემონახული? ვ-უგო, ა-იგო, ბ-უგო — რ-უგო.

ეს იგივე რ- უნდა იყოს. როგორ არის შესაძლებელი, რომ მხოლოდბითის გარკვეული კლასის, ამ შემთხვევაში მეოთხე კლასის, მაჩვენებელი მრავლობითში ყველა კლასისათვის იყოს გამოყენებული? განა უფრო ბუნებრივი არ იქნება ეს რ- მრავლობითობის ნიშნად დავსახოთ? ამჟამად ეს ასეც არის; ფრაზაში: ვაცალ რუგო (ძმები არიან) რ- ისევე გამოხატავს ზმნაში სიმრავლეს, როგორც -ალ სუფიქსი სახელში ვაცალ. მაგრამ ისტორიულად კი მათ შორის არსებითი სხვაობაა: -ალ მრავლობითის სუფიქსი იყო, რ- მეოთხე კლასის პრეფიქსი, შემდეგში ქცეული მრავლობითის ნიშნად.

არის კი შესაძლებელი მხოლოდბითის გარკვეული კლასის ნიშანი მრავლობითში ყველა კლასისათვის იქნეს გამოყენებული? თუ—კი, რაღა მაინცა და მაინც მეოთხე კლასის მაჩვენებელს უნდა დაკისრებოდა ეს როლი? დალისტნის სხვა ენებში საქმის ვითარების გათვალისწინება ცხადყოფს, რომ არსებობს საერთო წესი:

1. მრავლობითში თითქმის არასოდეს არ არის ამჟამად გარჩეული იმდენი კლასი, რამდენიც მხოლოდბითშია;
2. სწორედ მხოლოდბითის მესამე და მეოთხე კლასის ნიშნებია მრავლობითში გამოყენებული ყველა კლასისათვის.

მხოლოდბითისა და მრავლობითის კლას-ნიშანთა შეპირისპირება ამას უეჭველს ხდის:

წახურულში:	I	II	III	IV
მხოლ.	—	რ	ბ	დ
მრავლ.	—	ბ	დ	

		I	II	III	IV
რუტულურში:	მხოლ.	რ	რ	რ    ბ	ღ
	მრავლ.	ღ			
ლაკურში:	მხოლ.	უ	ღ	ბ	ღ
	მრავლ.		ბ		ღ
არქულში:	მხოლ.	რ    უ	ღ - რ...	ბ	ტ
	მრავლ.	—	ბ - ბქ	—	ბ.

ერთის შეხედვით ჩაჩნურს შეაქვს დისონანსი ამ მთლიან სურათში<sup>1</sup>: მრავლობითში მესამე კლასის ნიშნად გამოყენებულია ჰ-, რაც მხოლოდობითში მეორე კლასისათვის არის განკუთვნილი; მაგრამ რაკი ჰ საზიაროა მეორე და მესამე კლასისათვის მხოლოდობითში, ამიტომ მრავლობითში ეს ჰ შეიძლება დავსაზოთ მესამე კლასის ნიშნად და არა მეორისად, მით უფრო, რომ პირველი კლასისთვისაც კი მეოთხე და მეხუთე კლასის ნიშნებია გამოყენებული; იხ. სქემა:

ჩაჩნური:		I	II	III	IV	V	VI
მხოლ.		ვ	ჰ		ბ	ღ	ბ
მრავლ. I პ.	ღ		ღ — ჰ		ღ	ღ	ბ
მრავლ. III პ.	ბ		ბ — ჰ		ღ	ღ	ბ

ერთად ერთს ნამდვილს გამოწაკლის ანდიური ენა წარმოადგენს: მას მხოლოდობითში ოთხი კლასი აქვს გარჩეული: ვ, ჰ, ბ, რ და მრავლობითშიაც იგივე კლასის ნიშნებია გამოყენებული, რიცხვის ნიშნები სიტყვას ცალკე დაერთვის:

ვო-ჭობა	დიდი	I კლ.	ვ-ო-ჭობოლ	ვ-უკურ	ვკლავ	(მაგ. კაცს)
ჰე-ჭობა	„	II კლ.	ჰ-ე-ჭობოლ	ჰ-იკურ	„	(მაგ. ქალს)
ბე-ჭობა	„	III კლ.	{ ჰ-ე-ჭობოლ ბ-ე-ჭობოლ	ბ-იკურ	„	(მაგ. ცხოველს)
რე-ჭობა	„	IV კლ.	რ-ე-ჭობილ	რ-იკურ	ვჭრი	(მაგ. ყველს).

ანდიური, სამაგიეროდ, საინტერესოა იმით, რომ მას მხოლოდობითში გარჩეული აქვს ოთხი კლასი და კლასების მაჩვენებლებიც იგივე აქვს, რაც ხუნძურს; კერძოდ, მეოთხე კლასისათვის აქ რ- გვაქვს, სწორედ ის რ, რომელსაც ხუნძურში ვვარაუდობთ მეოთხე კლასისათვის.

<sup>1</sup> მართალია, ჩაჩნური არ არის დალისტინის ენათა ჯგუფისა, მაგრამ სტრუქტურულად ახლოს დგას დალისტინის ენებთან; კლასების საკითხიც იმგვარსავე პრინციპებზე დამყარებული ჩანს.

ლოდობერიული, კარატაული, ახვახური, ბავგალალური, ტინდალური გარდამავალ მდგომარეობას ამჟღავნებენ: მხოლოობითში ყველგან სამი კლასია მოქმედი ისევე, როგორც ხუნძურში; კლასის ნიშნებიც იგივეა: ვ-, ჯ-, ბ- მრავლობითში პირველი და მეორე კლასისათვის ბ- გვაქვს, მესამისათვის—რ-:

მაგალ. ლოდობერ.: მხოლ. ვ-ეჭუხა, ჯ-ეჭუხა, ბ-ეჭუხა დიდი  
მრავლ. ბ-ეჭუხა რ-ეჭუხა

ბოთლიხური სავესებით იმეორებს ხუნძურს კლასთა რაოდენობისა და კლასთა ნიშნების მხრივ მხოლოობითშიაც და მრავლობითშიაც.

დიდოურში არა ჩანს პირველი კლასის ნიშანი; სამაგიეროდ მეორე, მესამე, მეოთხე კლასი იმავე ნიშნებს გვაძლევს, რაც ხუნძურშიაც უნდა ყოფილიყო: ჯ, ბ, რ და მრავლობითშიაც ხუნძურისებურად საერთო მაჩვენებელია რ ყველა კლასისათვის: — იგუ, ჯ-იგუ, ბ-იგუ, რ-იგუ ლამაზი, რ-იგუ ლამაზები (ყველა კლასისათვის).

ხვარშიული თითქოს ამის წინა საფეხურს გვაწვდის, ნიშნებითაც თითქმის სავესებით იმეორებს ხუნძურს...

(ჟ), ჯ, ბ ლ (რ)  
ბ ლ (რ)

ამრიგად, არა თუ შეუძლებელი არ არის, რომ გარკვეული (IV) კლასის ნიშანი ყოფილიყო მრავლობითში გამოყენებული, არამედ სავესებით კანონზომიერი სწორედ მისი გამოყენება, როცა მრავლობითში მხოლოდ ერთი კლასის ნიშანი შეგვრჩა.

კლასთა ნიშნების ხმარების მხრივ ხუნძური და ანდიურ-დიდოური ენები გარკვეულ დასაფხურებას მოგვცემს:

ანდიური: მხოლოობითში 4 კლასი, მრავლობითშიც — 4; ნიშნებიც იგივე; ეს ნიშნებია: ვ, ჯ, ბ, რ.

ლოდობერიული }  
კარატაული } მხოლოობითში 3 კლასი, მრავლობითში — 2; ნიშნები:  
ახვახური } ვ, ჯ, ბ: ბ, რ (ბ—1, 2, რ—3).  
ბავგალალური }  
ტინდალური }

ქაფუჩურში: მხოლოობითში — 4 კლასი, მრავლობითში — 2; ნიშნები: —, ჯ, ჯ, ბ: ბ (1, 2), ჯ (3, 4).

ხვარშიულში: მხოლოობითში — 4 კლასი, მრავლობითში — 2; ნიშნები: (ჟ), ჯ, ბ, ლ (რ): ბ (1, 2), ლ (რ) 3, 4.

დიდოური: მხოლოობითში — 4 კლასი, მრავლობითში — 1; ნიშნები: —, ჯ, ბ, რ: რ ყველა კლასისათვის.

ბოთლიხურსა და ხუნძურში } მხოლოობითში—3 კლასი, მრავლობითში—1; ნიშნები:  
ვ (ჟ), ჯ, ბ: რ ყველა კლასისათვის.

ანდიურში განვითარების პირველი<sup>1</sup> საფეხურია მოცემული, ბოთლიხურსა და ხუნძურში—უკანასკნელი; ანდიურში მხოლოდობითშია ც მეტია, მრავლობითშია ც ოთხივე ერთეული მხოლოდობითისა შეგვრჩენია. ბოთლიხურსა და ხუნძურს მეოთხე კლასი დაუკარგავს მხოლოდობითში, მრავლობითშია ც კლასებს ვეღარ არჩევს, მეოთხე დაკარგული კლასის ნიშანი ამ მრავლობითში შემოუნახავს.

მრავლობითის მხრივ ხუნძურს გვერდში უდგას დიდოური; ერთი საერთო რ- ნიშანი მოეპოება (მრავლობითში).

მხოლოდობითის მხრივ ხუნძურს ემხრობა ლოდობერიული, კარატაული, ახვახური, ბავალალური, ტინდალური; მხოლოდობითმა აქ ყველგან სამი კლასი იცის.

დიდოურ მხოლოდობითში მეოთხე კლასიც ცოცხლობს, ლოდობერიულში, კარატაულში, ახვახურში, ბავალალურსა და ტინდალურში მრავლობითში ორი კლასი გაირჩევა...

ამგვარად, ბოთლიხურსა და ხუნძურში მხოლოდობითშია ც და მრავლობითშია ც ყველაზე უფრო გამარტივებულთა, განვითარება აქ ყველაზე შორს არის წასული.

რატომ უნდა მოასწავებდეს განვითარება გრამატიკული კლასების შემცირებას? რატომ არ არის მოსალოდნელი გრამატიკული კლასების რიცხვის გადიდება? ცხადია, ამაში წილი უდევს განყენებული აზროვნების განვითარებას, როგორც ამას ევროპული უნების მასალაზე დაყრდნობით აღნიშნავს, საფიქრებელი, სავსებით მართებულად ა. მეიე: „ცივილიზაციის პროგრესი განსაზღვრავს განყენებული აზროვნების პროგრესს და ინდო-ევროპულ ენათა განვითარების მანძილზე ვხედავთ, რომ კონკრეტული გრამატიკული კატეგორიები თანდათანობით ქრება მაშინ, როდესაც კატეგორიები, რომლებიც შეეფერებიან აზროვნების განყენებულ კატეგორიებს, შეინახებიან ანდა ვითარდებიან... გრამატიკული სქესი კი ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებ ლოგიკური და ყველაზე ძნელად გასათვალისწინებელი კატეგორიაა“ (იხ. მისი «Linguistique historique et Linguistique générale, Paris 1921, გვ. 201—202, წერილი: Le genre grammatical...).

მიზეზთა შორის უცხო ენის გავლენაც არ შეიძლება დავივიწყოთ; როცა გავლენის სუბიექტი-ენა გრამატიკული კლასებისა თუ სქესების საკითხში არსებითად განსხვავდება გავლენის ობიექტ-ენისაგან.

ზემონსენებულ მიზეზთა გამო კლასების რიცხვი თუ შემცირდებოდა, ცხადია, ეს, პირველ ყოვლისა, მეოთხე და მესამე კლასებს შეუქმნიდა საფრთხეს: მათი გამიჯვნა ყველაზე ნაკლებ ემყარებოდა რაციონალურ საფუძველს...

ნაშნარი სახელებისა და მრავლობითის გარდა ჩვენთვის საინტერესო კლას-ნიშანი შენახულია კუთვნილებითს სახელებში:

ღირ ჩემი, ღურ შენი, ნეჟერ ჩენი (სვ. ნიშგუეჟ), ნელ'ერ ჩენი (სვ. გუშ-გუჟეჟ), ნოჟორ თქვენი... რის მაქნისი უნდა ყოფილიყო აქ -რ?

<sup>1</sup> შედარებით სხვა აქ მოცემულ ერთეულებთან.

საქმე ისაა, რომ ყველა ეს კუთვნილებითი სახელი წარმოშობით ნათესაობითი ბრუნვაა, ნათესაობითის ბრუნვაში კი ანდიურ-დიდოურ ენებს კლასთა გარჩევის უნარი აქვთ; შდრ. ლოდობერიული ენის:

იმუ-ჟ ვაცი მამის ძმა

იმუ-ჟ ძაცი მამის და

იმუ-ბ ხოანი მამის ცხენი.

იმუ-ჟ, იმუ-ჟ, იმუ-ბ სამივე უდრის ქართულ ნათესაობითის — მამის; სხვადასხვა კლასის ნიშანი აქ გამოყენებულია იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი კლასისაა ის სახელი, რომლის განმარტებასაც ეს ნათესაობითი ბრუნვა წარმოადგენს.

ამჟამად ხუნძურს არა აქვს გარჩეული სხვადასხვა კლასის ნათესაობითი და resp. კუთვნილებითი ნაცვალსახელები; გარჩევა კი მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო ისევე, როგორც ეს არის წარმოდგენილი: ბოთლიხურში, ლოდობერიულში, კარატაულში, ბაგვალაულურში, კამალალურში, ტინდალურსა და ანდიურში; „ჩემი“, მაგალითად, ამ ენებში იქნებოდა დი-ჟ, დი-ჟ, დი-ბ სამი გრამატიკული კლასის შესაბამისად, რომლებიც გარჩეულია ამ ენებში. ანდიურს მეოთხე კლასიც აქვს; ამისდა კვალად „ჩემი“ ანდიურში ასეთ განსხვავებულ საკლასო ფორმებს ქმნის: დი-ჟ; დი-ჟ, დი-ბ, დი-რ... „შენი“: დუ-ჟ, დუ-ჟ; დუ-ბ, დუ-რ... (იხ. დირი: Кр. грам. ошерк анл. яз. Тиф. 1906, გვ. 36).

უკანასკნელი წევრები: დირ და დურ<sup>1</sup> მეოთხე კლასისათვის განკუთვნილი წარმოება; ხუნძური დირ (ჩემი) და დურ (შენი) იდენტურია ამ წარმოებისა.

მრავლობითის კუთვნილებითი სახელები პირველი და მეორე პირისა ანდიურს სხვაგვარად ეწარმოება, ვინემ ხუნძურს: ანდ.: იში-ჟ, იში-ჟ, იში-ბ, იში-რ (ჩენი); ბისი-ჟ, ბისი-ჟ, ბისი-ბ, ბისი-რ (თქვენ)... მაგრამ დირ (ჩემი) და დურ-ის (შენი) ანალიზი სწყვეტს ნეჟერ, ნელ'ერ, ნოჟორ-ის საკითხსაც.

როცა ხუნძური ენა ჯეროვნად იქნება შესწავლილი, რ-კლას-ნიშანი, ალბათ, სხვაგანაც აღმოჩნდება, კერძოდ ლეჟსიკაში. ამჟამად, შეიძლება დეასახელოთ რაკ გული, რომელშიც რ-კლასის ნიშნად ჯერ კიდევ უსლარმა მიიჩნია და ძირეული -კ-ქართული „გული“-ს გ-ს და აფხაზურის აგუ გ-ს დაუკავშირა.

#### დასკვნა:

1. ხუნძურში ოთხი გრამატიკული კლასი იყო გარჩეული; უკანასკნელი, მეოთხე კლასი ამჟამად დაკარგულია; ამ კლასის სახელები მესამე კლასშია მოქცეული.
2. მეოთხე კლასის ნიშანი იყო რ- აფიქსი, რომელიც ხან პრეფიქსად გვაქვს და ხან სუფიქსად.
3. ეს რ- აფიქსი დაცულია: ა) ზოგიერთ ნაშენარ სახელებში (რ-ოტილი, რ-ეცი...), ბ) მრავლობითში ხმარებულ რ- პრეფიქსში და გ) კუთვნილებითის ნაცვალსახელებში: დირ, დურ, ნეჟერ, ნელ'ერ, ნოჟორ; დ) აგრეთვე ცალკეულ სუბსტანტივებში (რაკ).

<sup>1</sup> შეუძლებელი არაა, თავკიდური დ-ც კლას კატეგორიისა აღმოჩნდეს.

4. კლასის დაკარგვა და ამის შედეგად კლასთა რაოდენობის შემცირება ანდიურ დიალექტებსაც უნდა ახასიათებდეს; როგორც ხუნძურისა, ისე ანდიურ-დიდოურისათვის ოთხკლასიანობა უნდა იყოს ამოსავალი. სადაც ამჟამად სამი კლასი გვაქვს (ლოდობერ., კარატ., ახვახ., ბაგვალ., ტინდ.), მეოთხე კლასი დაკარგულად უნდა ვივარაუდოთ. მრავლობითში ხმარებული -ჩ უდაოა ამ ენებშიაც იმავე ღირებულებისაა, როგორც ხუნძურში.

АРН. ЧИКОБАВА .

### К ИСТОРИИ ГРАММАТИЧЕСКИХ КЛАССОВ В АВАРСКОМ ЯЗЫКЕ

(РЕЗЮМЕ)

Анализ данных аварского языка приводит к выводу, что в нем различались четыре грамматических класса, а не три, как теперь.

Показателем четвертого класса надо признать *r*, который сейчас выступает: а) во множествен. числе глагола в виде префикса (*r-*: *r-ugo* -мы есми, вы есте, они суть...); б) в некоторых отглагольных именах (*r-et's* хвала, похвала...); в) в притяжательных местоимениях *di-r* мой, *di-r* твой, *peje-r* наш, *pojo-r* ваш); в отдельных субстантивах (*r-ak* сердце...).

Сокращение числа грамматических классов с четырех до трех по всей вероятности характерно и для андийских диалектов, сохранивших только три грамматических класса (таковы: годобер., карат., ахвах., багвал., тинд.).

На подобие андийского языка и в них, видимо, различались четыре класса.

Аффикс *r-*, используемый во множ. числе, и в них выполнял ту же функцию, что и в аварском: являлся показателем четвертого класса.

ARN. TCHIKOVAVA

### A PROPOS DE L'HISTOIRE DES CLASSES GRAMMATICALES DANS LA LANGUE D'AVARE

(RÉSUMÉ)

L'analyse des données de la langue d'Avare nous oblige à conclure que cette langue possédait quatre différentes classes grammaticales et non trois, comme cela est actuellement.

Il faut considérer *r*, comme indicateur de la quatrième classe.

Nous le rencontrons aujourd'hui: a) au pluriel des verbes, comme préfixe (*r-ugo* «nous sommes, vous êtes, ils, elles sont»...); b) dans quelques substantifs dérivés des verbes (*r-ēt'si* — «louange»)...; c) dans les pronoms possessifs (*di-r* «mon», *du-r* «ton», *nejr* — «notre», *nojor* — «votre»...); d) dans quelques substantifs (*r-ak* «coeur»...).

Il est probable que la réduction du nombre des classes grammaticales de quatre jusqu'à trois soit propre et aux dialectes d'Andi, qui n'ont conservé que trois classes (idiomes: *godober.*, *karat.*, *akhvakh.*, *bagval.*, *tind.*).

Ainsi que dans la langue d'Andi, il évident qu'on y distinguait quatre classes.

Le suffixe *r*, employé au pluriel, remplissait la même fonction que dans la langue d'Avare, c'est à dire, représentait l'indicateur de la quatrième classe.

ფონეტიკური უნიფიკაცია

1. ფონეტიკური ტერმინოლოგიის უნიფიკაციისათვის

ტერმინოლოგიის გაერთიანება ამა თუ იმ მეცნიერების დარგში საერთოდ უსაჭიროესი რამაა; შეტადრე საჭიროა იგი ზუსტ მეცნიერებათა დარგებში, კერძოდ — ზოგადსა და ექსპერიმენტულ ფონეტიკაში, როგორც ფილოლოგიურ მეცნიერებათა შორის ყველაზე ზუსტ მეცნიერებაში. ფონეტიკის, როგორც საენათმეცნიერო დარგის, განვითარება ისეთი სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ, რომ ზოგიერთ ძველ ტერმინს შეუძლია ხშირად გაუგებრობაც კი გამოიწვიოს, მეტადრე ისეთ შემთხვევებში, როცა ენათმეცნიერების სხვადასხვა მიმდინარეობანი ერთისა და იმავე ცნების გამოსახატავად ხმარობენ სხვადასხვა ტერმინს: ერთნი — ახალს, ხოლო მეორენი — ძველს. მაგალითისათვის დავასახელოთ თუნდაც ძველი gutturales (гортанные, ხორხისმიერნი) — ველარების ანუ უკანა ენის მიერთა ნაცვლად.

საბჭოთა კავშირში საენათმეცნიერო და სასკოლო გრამატიკულ ლიტერატურაში ხმარებული ფონეტიკური ტერმინოლოგია, მართალია, უნიფიცირებული მთლიანად არ იყო და არც არის, მაგრამ ის მეტნაკლებად მიჰყვება ფონეტიკის განვითარებას და უფარდებს მას ტერმინებს. მეორე მხრივ იაფეტილოლოგია, რომლის ფონეტიკური ტერმინოლოგია არც საერთო საენათმეცნიერო პრაქტიკაში შესულა ჯერჯერობით და არც სასკოლო გრამატიკულ ლიტერატურაში, სარგებლობს ზოგიერთი ისეთი ტერმინით, რომლებიც ცნების შინაარსის მხრივ შეეფერება იმდროინდელ წარმოდგენას ბგერისა ან ბგერითი მოვლენების შესახებ, როცა ეს ტერმინები შემოქონდა აკად. ნ. მარსკ; ამას კი ხშირად გაუგებრობა შეუძლია დაბადოს. კერძოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული და (საერთოდ) კავკასური ენების ბგერების და ბგერითი მოვლენების შესწავლა იმდენად წინ წავიდა ზმ უკანასკნელ წლებში, რომ მოითხოვს ახალ ტერმინებს იმ მოვლენათათვის, რომლებიც აქამდის ან სრულიად აღუნიშნელი იყო ან შეუფერებელი ტერმინით აღინიშნებოდა.

აკად. ი. ი. მეჩაინი (Пособие к пользованию яфетидологическими работами, Ленинград, 1931, 5) სწერს: «Яфетидология отстаивает свою транскрипцию в ее целом систематическом построении, отнюдь в тоже время не настаивая еще на безукоризненной точности ее во всех деталях представляемых звуков. Необходимость уточнения и совершенствования транскрипции признается в полной мере».

რამდენადაც იაფეტილოლოგიური ტრანსკრიფცია განსხვავდება ყოველი სხვა ტრანსკრიფციისაგან თავისი შკაცრი თანამიმდევრობით, იმდენად ამ ამონაწერში ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ არა მხოლოდ ტექნიკური გაუმჯობესებისა და დაზუსტების შესაძლებლობა, არამედ არსებითი ხასიათისაც, რადგანაც იაფეტილოლოგიურ ანბანში არც ერთი ნიშანი არაა შემთხვევითი: ესა თუ ის ნიშანი გულისხმობს ბგერის (ან ბგერითი მოვლენის) ამა თუ იმ კვალიფიკაციას. თუ, მაგ., ც გამოსახულია ორშედგენილობიანი ნიშნით (ჭ) და მოთავსებულია (სრულიად მართებულად!) ცნობილ კვადრატში (იხ. გვ. 114), ეს იმიტომ, რომ ც გაგებულება როგორც აფრიკატი (თ+ს—ჭ+ს); აგრეთვე, თუ ხ გამოსახულია ორშედგენილობიანი ნიშნით (q) და მოთავსებულია (სრულიად უმართებულად!) აქვე, ეს იმიტომ, რომ ხ აგრეთვე გაგებულება როგორც აფრიკატი. ამიტომ სრულიად აუცილებელია, როგორც მეცნიერულ-ფონეტიკური კვლევა-ძიებისათვის, ისე მათი პრაქტიკული გამოყენებისათვის, გადასინჯულ იქნეს ისეთი ფონეტიკური ტერმინები, რომლებშიც ხშირად იფარება ბგერითი მოვლენის უმართებულო გაგება. ზოგიერთ ჩვენს „ფონეტიკურ, შენიშვნას“ ეს მიზანიც აქვს.

## 2. „საშუალო მჟღერობა“ თუ ფონიციზირება?

აკად. ნ. მარკს ქართველურ resp. კავკასურ ენათა თანხმოვნები დაყოფილი აქვს ძლიერ და სუსტ თანხმოვნებად—იმ საფუძვლით, რომ პირველნი (მაგ., ქართ. ტ კ, დ გ, თქ; პ ბ ფ) უფრო გამძლენი არიან საზოგადოებრივ გამოყენებაში, ვიდრე მეორენი (მაგ., ქართ. ს ზ, შ ქ, რ ლ, მ ნ, ჯ, ჰ, ა); ძლიერი თანხმოვნები წარმოდგენილია ამ სისტემაში მელერობის სამი საფეხურით, მაგ. კ→გ→ქ ან პ→ბ→ფ და ყველა სხვა ჰომორგანული ხშულები (ჩვენით—„სამეულები“), ხოლო სუსტი თანხმოვნები—ორი საფეხურით, მაგ.: ქართ. ხ→ზ, შ→ჟ და სხვა (ჩვენით „წყვილეულები“). ძლიერთაგან პირველი (მაგ., კ) ყრუა, მეორე (მაგ., გ)—მელერი, ხოლო მესამე (მაგ., ქ)—„საშუალო მელერობის“ (средней звонкости—აკ. Мецанинов, იქვე გვ. 6; აკად. მარკს ეს საფეხურები წარმოდგენილი აქვს, როგორც „გამელერების გამა—гамма озвончения“, იხ. მაგ., Избранные работы, т. I, 319).

რა საფუძველი გვაქვს იმისათვის, რომ ფ თ ქ და ც ჩ (აგრეთვე ხ და კ) მივიჩნიოთ საშუალო მელერობისად? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არავითარი, რამდენადაც, როგორც ცნობილია, მელერობა (звонкость) შედეგია სახმო სიმების პერიოდულ-ვიბრაციული რხევისა; ე. ი. მელერი ბგერის (თუნდაც საშუალოსი) წარმოთქმის დამახასიათებელი მომენტია ხმა; ამაში სრულიად ადვილად შეიძლება დარწმუნდეს კაცი, როგორც უშუალო დაკვირვებით თავის წარმოთქმაზე, ისე—და განსაკუთრებით—ინსტრუმენტალური ჩანაწერებით კიმოგრაფზე: ზემოთ დასახელებულ თანხმოვნებში არაქანს ხმის მონაწილეობის არავითარი ნასახიციკი (იხ. ნახ. გვ. 110-111). თვითონ ნ. მარკსი ამბობს Грамматика древне-литературного груз. языка-ში, 1925, 10, 11: «Согласные делятся на... простые *сильные*... в таблице помещенные вне квадрата—горизонтально в порядке степени звонкости от *мучохо* через *звонкий* к *среднему*, по психологии языка причастно-

му одинаково и к звонкости, и глухоте, хотя объективно фонетически вы-  
является скорее его глухота, чем звонкость“...



თუ კი, მაშასადამე, ეს ჩვენი თანხმობები „ობიექტურ ფონეტიკურად უფრო ყრუნი არიან, ვიდრე მელერნი“, რატომ არიან ისინი „ენის ფსიქოლო-  
გიით მოზიარენი მელერობისაც და სიყრუისაც“? შეიძლება იმით, რომ ისინი (ფ თ ქ ც ზ) მეტი სონორობის შემცველნი არიან, ვიდრე შესაფერი ყრუები (მარბით შესაფერი ყრუებია პ ტ კ წ ჭ, რომლებსაც ჩვენ ყრუ მკვეთრებს და ყელზმულებს ვეძახით; ასეთივეა ჩვენის აზრით აგრეთვე ყ). სხვათა შორის, ფრან-  
გულად sonore-ს ეძახიან აგრეთვე მელერს; მაგრამ ვფიქრობთ, რომ ასეთ ტერ-  
მინოლოგიურ არევას აქ ადგილი არ უნდაქონდეს, რადგანაც ს შ კიდევ უფრო მეტი სონორობის მატარებელნი არიან, ვიდრე ფ თ ქ..., მაგრამ მარბი მათ არ მიაწერს საშუალო მელერებას.

ამიტომ ვფიქრობთ, რომ ასეთი შეუფერებელი და ორაზროვანი (ნ. ქვე-  
მოთ) სახელწოდების („საშუალო მელერობა“) წყარო უფრო ღრმა არის, ვიდრე წმინდა ტერმინოლოგიური.

ენათა იმ ფონეტიკურ სისტემებში, რაც კი არსებობდა საერთოდ საენათ-  
მეცნიერო ლიტერატურაში იაფეთილოლოგიური ანბანის შექმნისას, გათვალის-  
წინებული იყო უმთავრესად მხოლოდ ყრუ და მელერი თანხმობების დაპირის-  
პირება. მართალია, სპეციალურ ფონეტიკურ ლიტერატურაში (Merkel, Sievers)  
აღნიშნული იყო უკვე ყელზმული თანხმობებიც (Sievers-ის მიერ სპეციალურად  
ქართულსა და სომხურში), მაგრამ, როგორც ჩანს, საენათმეცნიერო პრაქტიკაში  
ეს საკმაოდ გამოყენებული არ იყო. მეტი ყურადღება მიაქციეს ენათმეცნიერებ-  
მა კერძოდ ხშულ თანხმობანთა სხვა (ყრუსა და მელერს გარდა) სახეებს ინსტრუ-  
მენტალურ-ფონეტიკური დაკვირვების განმტკიცების შემდეგ, მეტადრე მაშინ,  
როცა სპეციალურ ლიტერატურაში (Seydel, Meyer, Chlumsky) ამ საუკუნის დამ-  
დევს აღინიშნა ყელზმული თანხმობების არსებობა რომანულ ენებშიც, მაგ.,  
ფრანგულში. ამ მიღწევებისადმი უყურადღებობას, კერძოდ — ქართველურ  
resp. კავკასურ თანხმობანთა გავებაში, ისიც დაემატა, რომ უშუალო (უიარაღო)  
სმენით ფ თ ქ... აღქმულ იქნა როგორც არაფშინვიერი თანხმობები. აკად. მარს  
კარგად ესმოდა მათში ფშინვიერობის (ასპირაციის) ელემენტი („...произноше-  
ние их невольно сопровождается струею воздуха, проскальзывающей при  
их произношении... и потому они по недоразумению воспринимаются как  
придыхательные или аспирированные аффрикаты. Самая проскальзывающая  
волна воздуха возникает у места сдвигания или соприкосновения произно-  
сительных факторов“... იქვე 8, 9), მაგრამ მას არ სთვლიდა სახმო სიმების  
ასპირაციად, არამედ „საწარმოთქმო ორგანოების დაახლოების ან შეხების ად-  
გილას წარმოქმნილ ჰაერნაკადად“. თავისთავად ეს ფრიალ მნიშვნელოვანი და-  
კვირვებაა, რასაც შემდეგ იმეორებენ პროფ. პოლივანოვი და იაკოვლევი:  
მართლაც, ჰაერნაკადი ეხებება ორგანოთა შეხების ადგილს, როცა სკლამა უკვე  
მოხდა, და ორგანოები ეს არის შორდებიან ერთმანეთს, რომელ დროსაც ერთ-  
გვარი ნაპრალი კეთდება. მაგრამ სრულიად ცხადია, რომ ჰაერნაკადის დინება  
გრძელდება ამ „დროებითი“ ნაპრალის მოშლის შემდეგაც, რაც ჩანს პირისა და



ხორხის კიმოგრამებიდან: ხმოვნის მოგვიანებით დაწყება ამის მომასწავებელია. შეადარე თუნდაც ხმოვნის დაწყება პ-სა და ფ-ს შემდეგ.

არა ნაკლებ საყურადღებოა ასპირაციის ხანგრძლიობისათვის შემდეგი დაკვირვებაც, რომელიც ჩვენ ვაწარმოეთ სხვა თემასთან („დენტო-და ლაბიო-ფაუკალობისათვის ქართულში“) დაკავშირებით: იქ ჩვენ დავადგინეთ, რომ ქართულ კომპლექსებში „ღ, თ, ტ + ნ“ ან „ბ, ფ, პ + მ“ ჩვენ არ გვაქვს დენტი—ან ლაბიო-ფაუკალი, არამედ სრულიად დამოუკიდებელი ენაკბილის (ღ თ ტ) resp. ბაგეების (ბ ფ პ) + ნ resp. მ. ამის მიუხედავად „თ + ნ“ და „ფ + მ“ კომპლექსში თ-სა და ფ-ს ასპირაცია გადაეცემა ნახალესაც.



E. W. Selmer-ის თავის მნიშვნელოვან გამოკვლევაში (Georgische Experimentalstudien mit einem Nachtrag von H. Vogt, Oslo, 1935, გვ. 50) გამოანგარიშებული აქვს ამ ასპირაციის ხანგრძლიობა სხვადასხვა ასპირაციისათვის (ფ თ ქ). თითქმის ასეთივე შედეგი გვაქვს ჩვენც (ოღნაღი განსხვავებაა ჩვენთან ფ-ს მიმართ, რომლის ასპირაცია Selmer-ით 0,04 წუთია, ჩვენით 0,06 წ.). ყოველ შემთხვევაში, იგივე Selmer—Vogt-იც და (მათზე აღრე) პროფ. რ. შორ. К вопросу о консонантизме яфетич. языков Ю.-Кавказа-ში გვ. 195 გადაჭრით

იცავენ ფ- თ- ქ-ს ფშინვიერობას—იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ პროფ. შორ-ის აზრით ისინი სუსტფშინვიერები (schwachaspirierte Tenues), Selmer — Vogt კი საგანგებოდ განაზღვრეს მათს სრულ (ძლიერ) ფშინვიერობას. ქართული ქ- თ- ფ-ს სრულფშინვიერობაზე მიუთითებელი კიდევ უფრო ადრე (დაიბეჭდა „მიმომხილველში“ გვ. 325 და შემდ., 1926 წელს). გასათვალისწინებელია, რომ პროფ. შორ-ის კიმოგრამა საშუალებას არ იძლევა გამოანგარიშებულ იქნეს ფშინვის ხანგრძლიობა (არაა მოცემული ჩაწერის სიჩქარე): შესაძლოა, არც იმდენი განსხვავება იყოს ზვენს და შორ, Selmer-Vogt-ს შორის. ყოველ შემთხვევაში, უდაოა, რომ ქართ. ფ თ ქ ჩ ც ჩვეულებრივი (სრული) ფშინვიერობის თანხმოვნებია. მაშასადამე, „საშუალო მქლერობა ან გამქლერება“ სრულიად შეუფერებელი ტერმინია მათთვის. ამასთანავე, რაც აგრეთვე ფრიად მნიშვნელოვანია,



ამ ტერმინს შეუძლია გამოიწვიოს გაუგებრობა — მეტადრე დღეს, როცა „საშუალო მქლერობა“ სულ სხვა რასმეზღნიშნავს ე. წ. ფონოპოზიტომეტრიაში (Panconcelli Calzia, Die experimentelle Phonetik. 1924, გვ. 36 და შემდ.): ამ მეთოდით დადგენილია, მაგ. Selmer-ის ზემოთხსენებულ შრომაში (გვ. 36 და შემდ.) ქართულის მქლერ თანხმოვანთათვის მქლერობის რამდენიმე საფეხური... მაშასადამე, „საშუალო მქლერობა“ გამოყენებული უნდა იქნეს გ- ღ- ბ- ძ- ჯ-ს ერთ-ერთი სახეობისათვის.

3. „ხორხისმიერობა“ თუ ფარინგალობა?

ცნობილია, რომ ბერძნულ-ლათინური ტერმინი „გუტურალი“ (gutturalis) გამოყენებული იყო იმ თანხმოვანთა სახელად, რომელსაც დღეს უკანაენისმიერს (რბილსასისმიერს) ან ველარებს ვეძახით: მათი არტიკულაციის უიარაღოდ თვალმიუწვდომლობა იყო იმის მიზეზი, რომ მათ, როგორც შუაენის იქით წარმოე-

ბულთ, „ყელის“ (guttur „ყელი“) ბგერა ერქმეოდა. არქაიზმის სახით დღესაც იხმარება ეს ტერმინი. ზოგნი ამავე ბგერებს ეძახდნენ ლარინგალს (λάρυγγ „ხორხი“) ან მის თარგმანს (მაგ. რუს. гортанный „ხორხისმიერი“); ამ ტერმინს მეორე (უფრო სწორი) გამოყენება აქვს ისეთ ბგერათა აღსანიშნავად, როგორიცაა, მაგ. ქართ. ჰ ან მეგრ. ყ (=გერმ. aber-ში a-ს წინ მაგარ შეტევას, რაც გერმ. ტრადიციულ ანბანში არ გამოიხატება), ე. ი. ეს სახელწოდება (ლარინგალი, ხორხისმიერი) მიეცა ყელის (სახმო სიმების) მიერ დამოუკიდებელი წარმოებ ნაპრალოვანს (ჰ) ან ხშულს (ყ). იაფეტილოლოგიაში ეს ტერმინი (ხორხისმიერი, гортанный) იხმარება ისეთ თანხმოვანთა სახელად, როგორიცაა, მაგ. ქართ. ლ ხ («(задне-)язычно-гортанно-небные, Март, Грам. 227) და ყ კ [ქ] (задне-)язычно-гортанные», იქვე). ტერმინის თვალსაზრისით აქ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: ფონეტიკაში საერთოდ მიღებულია რთული ტერმინით აღინიშნოს ბგერის არტიკულაციაში მონაწილე უ რ თ ი ე რ თ მ ი მ ა რ თ მ ო კ მ ე დ ი ო რგანოები, მაგ. „წყვილბაგისმიერი“, „კბილბაგისმიერი“, „ენაკბილისმიერი“ და სხვა; მაგრამ უჩვეულოა „ბაგე-ცხვირის“ (гүңно-носовой — იქვე) „ბაგე-სასა-ცხვირის“ („гүңно-небно-носовой — იქვე). ასევე უჩვეულოა ზემოთ დასახელებული ორი ტერმინი. ამ პრინციპს რომ მივყევთ, მაშინ ბგერათა დასახასიათებლად ტერმინში უნდა გამოვხატოთ ყველა საწარმოთქმო ორგანო, რომელიც კი მონაწილეობას იღებს მათ წარმოებაში; მაგ., რამდენადაც ზოგიერთ ენაში ხორხის (სახმო სიმების) ან სუნთქვის ამათუქმ მონაწილეობის გარეშე არ წარმოითქმის არცერთი ბგერა, იმდენად ყველა სახელწოდება უნდა დაწყებულყო ასე: „ხორხ- (гортанно-“) ან „სუნთქვა- (дыхательно-“).

მაგრამ ამ საკითხის არსებითი მხარე მდგომარეობს შემდეგში: 1. ხსენებულ თანხმოვანთა (ლ, ხ, ყ, კ [ქ]) დახასიათებაში გახაზულია ხორხის არა ჩვეულებრივი, არამედ საგანგებო მონაწილეობა, მათი „აფრიკატობა“, რთულ-შედგენილი ანობა, რაც ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია (ამაზე შემდეგ თავში); 2. ამ თანხმოვანთა წარმოების ადგილები არაა სათანადოდ დაზუსტებული: ლ ხ მართლაც უკანაენისანი (რბილსასისანი, ველარნი) არიან, მაგრამ ყ და კ — ენისძირისანი (ფარინგსის, ხახის კედლის მიმართ ენის ძირით ხშულნი), ხოლო ე (მეგრ. ყ) — ყელისა (სახმო სიმების ხშული, „მაგარი შეტევა“); ამიტომ ყ-კ-სათვის უმჯობესი იქნებოდა ტერმინი „რადიკალური“ (იგულისხმება ენის ძირი, radix), მაგრამ ზოგიერთი ფონეტიკოსი Jespersen, Шерпа მათი რიგის თანხმოვანთათვის უკვე ხმარობს „ფარინგალურს“ (φάρυγγ). Selmer თავის Georgische Experimentalstudien-ში (Oslo, 1935, 49) ამბობს ყ-ს შესახებ: «Besonders bedauerere ich Zugeben zu müssen, dass der Charakter der occlusive postvélaire» (q) mir noch immer dunkel und rätselhaft geblieben ist. Lieber als gewagte und unbegründete Hypothesen aufzustellen (implosiver Suctionslaut??) verzichte ich vorläufig auf jede nähere Aualyse, in der Hoffnung, dass es, wenn nicht mir selbst, einem andern Forschern—vielleicht auf palatogrammatiscem wege?—gelingen wird, den Schleiern zu lüften“.

- რაც ნათქვამია აქ ყ-ს შესახებ, იგივე ეთქმოდა მას კ-ს შესახებაც, მასაც რომ დამკვირვებოდა. ამიტომ ორთავეს შესახებ უნდა შევნიშნოთ შემდეგი:

1. „პოსტველარი“ შეიძლება ეწოდოს მათ (ყ-ს და კ-ს) უაღრესად პირობითად, რამდენადაც აქტიურ ორგანოდ ნაგულისხმევია უკანანა (და არა ენისძირი); 2. საკმარისია უიარალო დაკვირვება თავისსავე წარმოთქმაზე, რათა დარწმუნდე, რომ ყ არაა წოვის ბგერები; 3. პალატოგრამით შეუძლებელია მისწვდეს მკვლევარი მათი წარმოთქმის ადგილს და 4. მათი (ყ კ) არტიკულაცია ჩვენთვის საესებით გამოირკვეულია: ენისძირი აწარმოებს ხშვას ფარინგის (ხახის) კედლის მიმართ; უკანა თაღები უახლოვდებიან ერთმანეთს და წარმოქმნიან ლარისებრ გასავალს; სიმები დახშულია ყ-სათვის (ამიტომ ეს მკვეთრია, როგორც ტ ქ წ ჭ ), ხოლო სიმები ღიაა საასპირაციოდ კ-სათვის (ამიტომ ეს ასპირატია, ფშინიერი, როგორც ფ თ ქ ც ჩ); მათი არტიკულაცია ხდება ხახის (ფარინგის) ღრუში, — ამიტომ ეწოდება მათ ფარინგალები (იხ. აგრეთვე პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ის ქ ა რ თ უ ლ ი გ რ ა მ ა ტ ი კ ა , 1930 გვ. 6, 7). რომ უკანანა სასის მიმართ არ მოქმედობს მათი წარმოთქმისას, ამაში ადვილად შეიძლება დარწმუნდეს კაცი: დააჭერთ თითს ან შპატელს უკანანას, მაგრამ ყ-კ-ს წარმოთქმა (მართალია, არა „დახვეწილად“) მაინც შესაძლებელია.

იმავე ადგილას, სადაც ყ კ, მაგრამ სახმო სიმების ვიზუალური მონაწილეობით შესაძლოა წარმოითქვას „მეღერი ფარინგალი ხშული“, ე. ი. მეექვსე დეფექტური სამეულის (სამეულებია: 1. ბ ფ პ, 2. დ თ ტ, 3. ძ ც წ, 4. ჯ ჩ ჭ, 5. გ ქ კ, 6. — კ ყ) მეღერი წევრი, მაგრამ ქართულ ენაში (არც ისტორიულად და არც დიალექტურად) ეს ბგერა დადასტურებული არა გვაქვს. მის შესახებ იხ. შემდეგი თავი.

#### 4. რთულია თუ არა შვაღ ა „აფრიკატი“ ქართულში?

ცნობილი იაფეტიდოლოგიური კლასიფიკაციით (იხ. გვ. 114) ღ ხ და ყ კ რთული (ორშედეგნილობიანი) აფრიკატული თანხმოვნებია (მათი წარმოების ადგილის შესახებ იხ. წინა თავი). მაშასადამე, ესენი ისეთივე რთულნი უნდა იყვნენ, როგორც ძ ც წ, ჯ ჩ ჭ.

საერთოდ ფონეტიკაში აფრიკატი გაგებულია: 1. ისტორიულად, როგორც „ხშული + ჰოროგანული სპირანტი“<sup>1</sup> (მაგ. ათსამმეტი > ცამეტი, ათშვიდმეტი > ჩვიდმეტი) და 2. გენეზისურად, როგორც „ხშულის დამართვის (რეკურსიის) გასპირანტება“ (მაგ. თიკანი > ციკანი, დევს > ძევს). პირველი გაგება მშვენიერადაა წარმოდგენილი ცნობილ იაფეტიდოლოგიურ კვადრატში — წინანისა და ალვეოლარ აფრიკატთა მიმართ (ძ < დ + ზ; ც < თ + ს; წ < ტ + ს; ჯ < ლ + ჟ; ჩ < თ + შ; კ < ტ + შ) — I'pam. 030; მაგრამ არ ითქმის იგივე უკანანისა და ფარინგალი „აფრიკატების“ (ღ ხ, კ, ყ კ) შესახებ: აქ უკვე აღარ ჩანს თანამიმდევრობა, ადგილი აქვს გაუმართლებელს „აპროორიზმს“ არა მხოლოდ სპირანტული (მეორე) კომპონენტების მიმართ, არამედ ძირითადი (პირველი) კომპონენტების მიმართაც. აქ ძირითად (ხშულ) კომპონენტებად მიღებულია გ, ქ და არ შენახული \*კ, ხოლო სპირანტულ კომპონენტებად — ჰ, არ შენახული ყ

<sup>1</sup> „სპირანტის“ თავისებური გაგების შესახებ იაფეტიდოლოგიაში იხ. შემდეგი თავი.

(ყელის მჟღერი სპირანტი), არ შენახული ა (ყელის ყრუ ხშული) და ა; ასეთ შეერთებათა შედეგად მიღებულია ქართულში თითქოს ხუთი შენახული „აფრიკატი“ (ღ, ხ; ქ; ყ კ) და ერთიც არშენახული \*ვ.

# ი ა უ ე ბ ი ლ ო მ ბ ი უ რ ი ა ნ ბ ა ნ ი

## A თანხმოვნები

მ ა ბ რ ე ბ ი ( ძ ღ ი ე რ ნ ი )

სუსტნი	მ რ უ	მჟღერი	საჟღერო	სუსტნი
ნარნარნი (სონორანი)	ტ. [k]	დ. ზ	თ. ქ	სიციციანი
ღ. [g]	ყ		ც. ხ	ს
რ. [r]	ჩ. [tʰ]		ჭ. ც	ს (-)
ლ. [l]		ძ. ჳ		ზ (-)
მ. [m]		წ. [ʃ]		შ
ნ. [n]	ვ. კ		ჩ. ქ	შ (-)
მ. [m]	ტ. k		ჭ. ც	
ლ. [l]		ჭ. [ʃ]		ქ (-)
ნ. [n]		ძ. [dʒ]		
ვ. [v]	პ	ბ	ფ	
	მ	ვ	ჩ. [tʰ]	
			ჩ. [f]	

## B. სმოვნები

ბარბიზნი	აა	je	ოი	ოი	უა
ლაგაღაღაღნი	—	—	—	—	[gʷ]
ნაპაპაპაპანი	—	—	აყ	—	ჟა
ორხმოვანი	აა	აყ	ღყ	ჭყ	უა აყ
ბრბრბნი	—	—	—	—	ოი (-ა-აა) უა (-ა-აა)

ესენი რომ აფრიკატები არ არიან, უკვე იქიდან ჩანს, რომ დარღვეულია „აფრიკატი“ ცნების ჩვეულებრივი გაგება (ნ. ზემოთ); არც ისტორიული და არც გენეზისური ბუნება მათი გათვალისწინებული არ არის; გ უკანაენის ხშულია, ხოლო სპირანტული მჟღერი ელემენტი (ყ), რომელიც მას უერთდება ღ-ს შესაძლებლად, — ყელისა; აგრეთვე ქ უკანაენის ხშულია, ხოლო სპირანტული ყრუ ელემენტი

მენტი (ჰ), რომელიც მას უერთდება ხ-ს შესადგენად, — აგრეთვე ყელისა. იგივე შეიძლება ვთქვათ სათანადო ცვლილებით ყ-სა (კ + ჰ) და კ-ს (\*კ + ჟ) შესახებ — იმ დამატებით, რომ კ ყელხშულია, ხოლო ჰ — ყელხსნილი, რის გამოც კ-სა და ჰ-ს შერწყმა შეუძლებელია მათ შუა უბგერო შუალედის გამო. მაშასადამე, გამოდის, რომ აფრიკატის შედგენილობაში შესაძლოა იყოს ჰეტეროგენური თანხმონები: მაშინ არაფერი დაგვიშლის აფრიკატებად ვცნოთ ფხ (ბერძნ. ფ), ქს (ლათ. x), ცხ, ჩხ, წყ და სხვა მისთანა. არ არის დაცული აგრეთვე ის მოთხოვნილება, რომ აფრიკატად შესაძლებელია ვცნოთ მხოლოდ ხშული, რადგანაც ყოველ აფრიკატში სჭარბობს პირველი (ხშული) კომპონენტი; როცა აფრიკატში გადაჭარბებს მეორე (სპირანტული) ელემენტი, ის უკვე სპირანტად იქცევა, რაც ხშირი მოვლენაა, მაგ. ქართულშიც: ჟდომა < ჯდომა, ზარი < ძარი და სხვ. როგორც უშუალო (უიარაღო) დაკვირვებიდანაც კი ჩანს, ღ ხ სპირანტებია: მათ არა აქვთ ხშვა-სკდომა, არამედ ჰაერნაკადის დენა ნაპრალით, როგორც, მაგ., შ შ, ხ ზ. „აპრიორიზმის“ საუკეთესო ნიმუშია ამ კლასიფიკაციაში კ-ს ცნობა აფრიკატად (კ < \*კ + ჟ); აკად. მე შ ჩ ა ნ ი ნ ო ვ ი ს რედაქციით (Подпись, გვ. 10) კ (მართებულად) ჩასმულია თავის ადგილას (კვადრატს გარეთ ზემოდან ტ-ს გვერდით, ძლიერ თანხმოვანთა რიგში), მაგრამ იგი (კ) დატოვებულია (უმართებულად) კვადრატშიც ჰ-ს გვერდით, როგორც აფრიკატი. არავითარი საბუთი არ მოგვეპოება ჯერჯერობით იმისათვის, რომ ვიგულოვთ ქართულში resp. ქართველურ ენებში (დღეს ან ძველად) ორი კ-ს არსებობა, რომელთაგან ერთია მარტივი, მეორე რთული: ქართულს აქვს და აქონდა მხოლოდ მარტივი კ — ამის თავმდებია ქართულ ხშულთა სამეულების სისტემა (ნ. ზემოთ, თავი 3); ამიტომ კ საბოლოოდ უნდა ამოღებულ იქნეს კვადრატიდან, თუნდაც სისტემის სიმეტრიულობის მსხვერპლით, და დარჩეს მხოლოდ იქ, სადაც აკად. მე შ ჩ ა ნ ი ნ ო ვ ი ს აქვს ის მოთავსებული — კვადრატის გარეთ ზემოდან.

რაც შეეხება იაფეტიდოლოგიურ კვადრატში მოთავსებულ მეორე არშენახულ ფ-ს (ნ. ზემოთ), რომელიც ამ სისტემით უნდა ყოფილიყო „მეორე აფრიკატი“, შედგენილი „გ + ჰ“-საგან, მის შესახებ შესაძლებელია ითქვას შემდეგი: ძნელი წარმოსადგენია ფ-ს „ხორხისმიერობა“, თუ მის შედგენილობაში არის მხოლოდ უკანანისმიერი (გ) და შუანისმიერი (ჰ) (Мещанинов, გვ. 7). ორში ერთი: ან ის არაა აფრიკატი — არის მხოლოდ „ხორხისმიერი“ (ჩვენიო — ფარინგალი) მარტივი, ან ის არაა „ხორხისმიერი“ (ფარინგალი) — არის უკანა ან შუა ენისმიერი „აფრიკატი“ (ეს უკანასკნელი — აკად. მარრის გაგებით, რამდენადაც აფრიკატად გაგებულია ჰეტეროგენურ თანხმოვანთა შეერთება). ჩვენი „სამეულების“ მიხედვით ის (ფ) უნდა ყოფილიყო პირველი, ე. ი. მარტივი მეორე ფარინგალი. მართლაც, რომ დავხედოთ ქართ. ხშულთა სამეულებს,

მეღერნი	ყრუნი
	ფშე. მკვ.
ბ	ფ პ
ღ	თ ტ
ძ	ც წ

ჯ	ჩ	ჭ
ბ	ქ	კ
--	კ	ყ

დაეინახავთ, რომ მკლერთა რიგში გვაკლია ფარინგალი კ და ყ-ს შესაყვისი მკლერი ხშული მარტივი; იგი უნდა ყოფილიყო იმავე ადგილწარმოებისა, როგორიც არიან ეს კ და ყ, ე. ი. ენისძირის ფარინგალი. მართლაც, ჩვენ შემთხვევა გვქონდა მოგვესმინა ტფილისის ფუნქც. -ნერვულ დაავადებათა საკვლეო ინსტიტუტში ენაჩლუნგის (9 წლის ქალი — ვ. თ-ია) მეტყველებაში, ალბათ, ეს ბგერა.

ვ. თ-იას ენაჩლუნგობა მდგომარეობდა ქართული უკანაენისმიერად სამეულის (კ ქ გ) გადანაცვლებაში, სახელდობრ: კ-ს ნაცვლად ამბობდა ყ-ს; ქ-ს ნაცვლად კ-ს, ხოლო გ-ს ნაცვლად — ქართულში დღეს არ ხმარებულ თანხმოვანს: მაგ. კოკო — ყოყო, ქოქო — ეკეო, გოგო — \*გო\*გო (გარსკვლავეანი გ აღნიშნავს მკლერ ფარინგალ ხშულს). ვფიქრობთ, რომ ეს ბგერა უნდა იყოს ის „ფარინგალი მკლერი ხშული“, რომელიც დღეს ქართულში აღარ იხმარება. ამ ბგერის ისტორიულად არსებობას მოითხოვს ქართ. ხშულთა სამეულებრივი სისტემა: მისი ჩასმა მეექვსე სამეულში მისცემს სამეულს სისრულის სახეს; იათეტიდოლოგიურ კვადრატს კი იგი, როგორც არა აფრიკატი, არ მიუდგება; ისტორიულ ხანაში ეს \*გ, როგორც ჩანს, დაიკარგა ქართულ რაფ. ქართველურ ენებში უკვლოდ; შესაძლოა, რომ შეცვალა ღ-მ ისე, როგორც ახალ სალიტერატურო ქართულში კ შეცვალა ხ-მ. საფიქრებელია, სხვათა შორის, რომ იმ \*გ-ს ქართველურ ენებში ჰქონდა რაიმე მორფოლოგიური ფუნქცია: ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ მორფოლოგიურ-ფუნქციანი თანხმოვნები უმეტესად პირველი (მკლერი) წყებისანი არიან (ზ დ გ).

წინა მსჯელობიდან, ვფიქრობ, საკმაოდ გამოიკვეა, რომ ლ ხ, კ ყ, კ \*გ არ არიან ნამდვილი აფრიკატები. უკანასკნელი სიტყვა შეგვიძლია ვათქმევინოთ იარაღობრივ (ექსპერიმენტულ) ზუსტ დაკვირვებას; ეს მეთოდი სრულიად გარკვეულ პასუხს მოგვცემს აფრიკატის მიმართ წაყენებულ შემდეგ მოთხოვნებზე: აფრიკატს უნდა ჰქონდეს მეტი ხანგრძლიობა, ვიდრე მის ძირითად კომპონენტს, მაგ. ჯ ან ძ უნდა იყოს მეტი ხანგრძლიობისა, ვიდრე დ; ჩ ან ც — მეტისა, ვიდრე თ; ჭ ან წ — მეტისა, ვიდრე ტ. მართლაც, საყოველთაოდ ცნობილ აფრიკატებისათვის ეს მოთხოვნები სავსებით მართლდება ექსპერიმენტით.

აქვე მომყავს Selmer-ისა (ნ. ზემოთ) და ჩვენს მიერ ნაანგარიშევი საშუალო ხანგრძლიობა (წამის მესაღებებში) ცალკეულ თანხმოვანთა. ჩვენს შორის განსხვავება აიხსნება იმით, რომ ბგერები ჩაწერილია სხვადასხვა კომპლექსებში:

Selmer-ით

ჩვენით

ძირითადი მარტივები

ტ = 14	და მეტს . . . . .	16	და მეტს
თ = 25	„ „ . . . . .	22	„ „
ღ = 11	„ „ . . . . .	18	„ „

Scilmer-ით	აფრიკატები	ჩენით
ჯ = 21		30-მდის
ძ = 19		—
ჭ = 22		17
წ = 5,5		14
ჩ		17
ც		25

ახლა შევადაროთ იაფეტილოლოგიაში აფრიკატებად ცნობილი თანხმოვნების (ღ ხ, ყ კ) ხანგრძლიობა მათი პირველი კომპონენტისას (კ ქ გ):

ძირითადი მარტივები

კ = 12-დან 20-მდის	12—30
ქ = 17 „ 22 „	13—17
ბ = 11 „ 16 „	

აფრიკატები

ყ = 4-დან 15-მდის	18—20
კ =	20-მდის
ხ = 7 „ 11 „	12-მდის
ღ = 8 „ 11 „	15-მდის

აქედან სრულიად აშკარად ჩაბნის, რომ უკანაენისა და ფარინგალი „აფრიკატები“ არა თუ მულამ მეტი ხანგრძლიობისანი არ არიან მათ შემადგენელ პირველ კომპონენტებზე, არამედ ზოგჯერ ნაკლებიც, სახელდობრ: ყ, რომელიც თითქოს შედგენილი უნდა იყოს „კ + ჰ“-საგან, მულამ ნაკლები ხანგრძლიობისაა კ-ზე; კ (<ქ + ჯ) ხშირად უფრო მოკლეა ქ-ზე; ხ (<ქ + ჰ) მულამ მოკლეა ქ-ზე; ღ (გ + ყ) უმეტესად ნაკლებ ხანგრძლივია გ-ზე.

ამგვარად, ექსპერიმენტიც მოწმობს, რომ ქართ. ძ ც წ, ჯ ჩ წ აფრიკატებია, ხოლო ღ ხ, ყ კ (და მით უფრო კ) აფრიკატები არ არის.

უკანასკნელ: როგორია ქართ. აფრიკატების ისტორია? ისტორიულად შედგენილი („ხშული + სპირანტი“) აფრიკატი ქართულში გვაქვს მხოლოდ ც (ცა-მეტი, დიალექტ. ერცახე<ერთსახე) და ჩ (ჩვიდმეტი, ბეჩავი<ბეთშავი<ბედშავი), მაგრამ ძ-ჯ-ს (როგორც ც-ჩ-ს მჟღერი შესატყვისების) შესახებ შეგვიძლიან ვილაპარაკოთ მხოლოდ ანალოგიურად; რაც შეეხებუ წ-ჭ-ს, აქ უფრო ნაკლები საბუთი გვაქვს ვილაპარაკოთ მათ შედგენილობაზე ისტორიულად. სამაგიეროდ ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს გავითვალისწინოთ ისინი ვენე ჯიკურად, ე. ი. როდესაც ის აფრიკატები მიღებული გვაქვს ხშულის დამართვის სპირანტიზაციით, მაგ. ციკანი<თიკანი; დიალექტ. ჰვირთი<ტვირთი; ძვეს<დევს; კნიწი<კნიტი და მრ. სხვა. საყურადღებოა, რომ ამ პროცესით მიღებული აფრიკატები გვაქვს ქართულში აგრეთვე უკანაენისმიერ ხშულთაგანაც, მაგ. ნახოჭი<ნახოკი (საბ.); სერჯი<სერგი; წინალამ<კინალამ და სხვ. ამავე პროცესთან (აფრიკატი-

ზაციასთან) ერთად ჩვენ გვაქვს აგრეთვე დეზაფრიკატიზაციაც, მაგ.: დიალექტ. სტავლა < სწავლა; შხევალი < მძევალი; შესაძლოა ზოგი მათგანი წარმოადგენდეს პირვანდელი აფრიკატების განმარტივებას, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ ისტორიულად და გენეზისურად ქართულში მიღებული გვაქვს მრავალი აფრიკატი. არავითარი ამის მსგავსის თქმა არ შეგვიძლია ლ, ხ, ყ, ჯ-ს შესახებ: ესენა, როგორც ჩანს, ისტორიის მანძილზე აფრიკატები არ ყოფილან და დღესაც არ ჩანს მათში ფიზიოლოგიური სირთულეც კი. სათანადოდ განმარტივდება იაჟუეტილოლოგიური კვადრატი.

Г. АХВЛЕДИАНИ

## ФОНЕТИЧЕСКИЕ ЗАМЕТКИ

(РЕЗЮМЕ)

1. *К вопросу об унификации фонетической терминологии.* — Доказывается необходимость пересмотра некоторых устаревших фонетических терминов, могущих иной раз ввести в заблуждение благодаря своей неточной или же неверной квалификации фонетических фактов; имеются в виду отчасти термины яфетидологии. Ссылка на акад. И. И. Мещанинова.

2. *«Средняя звонкость» или аспирация?* — Отвергается введенное акад. Марром понятие «средней звонкости» для придыхательных согласных груз. тср. кавказских языков и на данных инструментальной фонетики доказывается, что они обыкновенные сильно аспирированные взрывные. Причину введения оспариваемого термина автор находит в неправильном понимании данных звуков, вытекающем из неучета специфических особенностей т. н. кавказских согласных. Ссылки на акад. Марра, акад. Мещанинова, проф. И. Шор и Selmer-Vogt.

3. *«Гортанные» или фарингальные?* — Отвергается по существу неверный термин «гортанный» для согласных типа груз. ყ ჯ и предлагается заменить его термином *фарингальный*, применяемым уже, нпр., Jespersen-ом и проф. Шербой. Дается их (ყ ჯ) полное физиологическое описание. Ссылка также на акад. Марра и Selmer-Vogt.

4. *Все ли «аффрикаты» груз. языка сложные?* — Оспаривается термин «аффрикаты», применяемый для груз. ლ ხ ყ ჯ: ни исторически, ни генетически нельзя оправдать сложности, двусоставности этих согласных; противоречат этому также данные инструментальных наблюдений: автор приводит свои (и Selmer-Vogt) инструментальные наблюдения над длительностью этих согласных. При рассмотрении т. н. «несохранившихся» согласных в современном (и др.-груз.) языке автор сообщает свое наблюдение над косноязычной девочкой, передвигавшей заднеязычный ряд согласных (ღ ჯ ქ) в фарингс, в результате чего вместо ჯ она произносила ყ, вместо ქ — ჯ и вместо ზ — исчезнувший «звонкий фарингальный взрывной».

ფონეტიკური დაკვირვებანი ქართულში ენებში

IV

აუნებრივი კომპლექსებისათვის

წინასწარი შენიშვნები. 1. გრამატიკულ ლიტერატურაშიც გვხვდება ფორმის უმართებულო ანალიზი; მაგ.: თანდებულადა მიჩნეული თ უ რ თ (დ. ჩუ ბ ი ნ ო ვ ი, ქართ. ლრამმატიკა, XXVIII) და დ მ ი, დ ა მ ი, დ მ ი ს, დ მ ი ნ (იქვე; ს. ხუ ნ დ ა ძ ე, ქართ. გრამ., 48), ნაცვლად უ რ თ და მ ი თანდებულებისა (შვილით-უ რ თ, კაცისად-მ ი და სხვა). ამგვარი უმართებულო ანალიზის შედეგია, რომ რუსულში *вон*, *сам* წინდებულების *н* ელემენტი შეუერთდა *во*, *сам*, *им* ნაცვალსახელებს და მ-ვიდეთ არა მარტო *св-н-во*, *св-н-им*, *св-н-ам*, არამედ ამათი ანალოგიით *от н-во*, *у н-во*, *перед н-им* და სხვა, ნაცვლად *от во*, *у во* და მისთანებისა<sup>1</sup>.

2. უმართებულო ანალიზი უფრო ხშირად მოსალოდნელია სანდჰის 'შემთხვევებში'. უკანასკნელი გულისხმობს ერთი სიტყვის ბოლოკიდური და მეორე სიტყვის ან ნაწილაკის თავკიდური ბგერების ურთიერთზეგავლენას, ზოგჯერ შერწყმასაც. ასეთ პირობებში მიღებულ *ქ ა შ ხ ა*, *თ უ თ ა შ ხ ა*'სა და კვირის სხვა დღეთა სახელწოდებებში *შ ხ ა* გამოყოფილი ჰქონდა *ნი კ ო მ ა რ ს* და უკავშირებდა მას აფხაზურ *ა-მ-გ-შ* 'დღე'ს. ნამდვილად კი გამოსაყოფი იყო *ხ ა*, რადგანაც *ქ ა შ ხ ა*, *თ უ თ ა შ ხ ა* და სხვა წარმოდგარია *ბ ქ ა შ-დ ლ ა* 'შხის დღე', *თ უ თ ა შ-დ ლ ა* 'საგან' 'მთვარის დღე' (ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, Грам. мингр. яз., § 129 *Ан прил.*). უმართებულო ანალიზის გამო იყო, რომ ზოგჯერ -დან მიაჩნდათ თანდებულად, რომელიც, როგორც ცნობილია, შეიცავს მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოების -თ ელემენტსა და გან თანდებულის -ან ნაწილს: ქალაქი თ გან - ქალაქი დ გან - ქალაქი დ ან. აღსანიშნავია ისიც, რომ სულხან-საბა ო რ ბ ე-ლი ან ს წინა სიტყვის ნათესაობითის ნიშნის *ს* ელემენტი მომდევნო სიტყვის კუთვნილებად მიუჩნევია, მაგ., სამარ სიტყვაში 'მისი იმედნეული'. სამარი მიღებულია *აჰი-ს-ა-შ მ ა რ ი* 'საგან' ('შდრ. ამარი 'იმედნეულივით' საბასავე ლექსიკონში. ა. შ ა ნ ი ძ ი ს ჩვენებით).

მეგრულში არის თანდებული წკალა, წკელა, წკუმა || წკგმა ანუ ნ-წკგმა, ნ-წკმა და უდრის ქართ. თან'ს. ი. ყ ი ფ შ ი ძ ი ს განმარტებით *эти послелогн сочетаются с обесчлоржленным Р. падежом*, напр., კ ო რ ი-წ კ ა-

<sup>1</sup> А. Томсон. Общее языковедение, Одесса 1910, გვ. 343.

ლა (<კოჩიში-წკალა) с человеком, დიდა-წკემა с матерью, ფარეფი-წკალა с деньгами (§ 19 b); ან: 1. წკემა ილი с парашенным ნ: ნ-წკემა ი 2. წკალა, resp. წკელა с, вместе с, у, при, управляют оба обесформленным Род. падежом, напр. ...თი-წკემა с ним და სხვა (§ 121).

ამ თანდებულის სრული შესატყვისია ქანური კალა. ნ. მარის სიტყვით «Из послеложных в таблицу склонения вносят напрасно еще *сопутственный* падеж с послелогом კალა с. Сопутственный падеж представляет сочетание послелога კალა с Род. усеченным или обесформленным, напр. ბერე-შ კალა А ილი ბერე-კალა с мальчиком, ფუჯი-შ კალა А ილი ფუჯი-კალა с корою» (Грам. чанского яз., §§ 17 b, 51 a). უახლეს ლიტერატურაში ნათქვამია, რომ „წკუმა || წკელა || წკალა... იგივე „კალა“-ა -წ- დართული; ეს წ, ალბათ, ისეთივე წზრმოზობისაა, როგორც ქანურ „ჭკულე“ში“ (არნ. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, § 16 ა). ამგვარად, წკალა || წკელა || წკუმა“ში პირვანდელ სახედ კალა || კელა“ მიჩნეული და წ დართულადაა გამოცხადებული.

ჭკულე“ს შესახებ ასეთი ცნობაა ზემოხსენებულ გამოკვლევაში: „...ბრუნვის დაბოლოებას ხშირად დართავს ზმნის ფორმა; მაგალათად: „ფარა ქეკო-ფუ-შ-ქულე ძიციინერ-ძიციინერი ოხოიშა იგზალუ“...ფული აილო-ს შემდეგ სიცილ-სიცილით წავიდა შინ, ე. ი. „ფული რომ აილო“... ან: „მას შემდეგ, რაც ფული აილო“... ამ მაგალითში -შ- ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებაა; „კულე“ ზმნისართია („შემდეგ“); „კულე“-ს დართვისას ხშირად იკარგება ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -შ- და ვითარდება ჭ: ხოფურს კილოკავში ეს ქკულე ჩვეულებრივია: ჩხომიქ ეეჟვალლა“ დუწუ-ჭკულე მუში ქერცელა შენ უურ თანე ნიწკუ... თევზმა „მადლობა“ უთხრა-ს-შემდეგ თავის ქერცლიდან ორი ცალი აიძრო“... ე. ი. მას შემდეგ, რაც თევზმა მადლობა უთხრა... (§ 15 ვ). მეორე ადგილას: „ძალიან ხშირად ამ ნაწილას [წ-ი-ს] მოერთვის -უკულე || -კულე „შემდეგ“: თავკიდურ -უ-ს დაკარგვისას ვითარდება -ჭ- და შკულე-ს ნაცვლად ვიღებთ ჭკულე-ს...“ (§ 50; შდრ. ნ. მარის ქან. გრ., § 126 და ი. ყიფშიძის დამატებითი ცნობები, გვ. 6). ამგვარად, როგორც წკალა || წკელა || წკუმა“ში წ, ისე ჭკულე“ში ჭ განვითარებულად არის მიჩნეული ნათესაობითი ბრუნვის -შ ნიშნის დაკარგვის შემდეგ.

მაგრამ უნდა შევნიშნათ შემდეგი: 1. წ, ჭ არაა ნარნარი ან ბაგისმიერი ბგერა (როგორც, მაგ.: ნ, რ, მ, ვ...), რომ მისი დართვა შეიძლებოდა; 2. არა გვაქვს ანალოგიური შემთხვევა, რომ წ, ჭ დართული იყოს და პ. ესენი ჩნდებიან განსაზღვრულ პირობებში; ესაა: ნათესაობითი ბრუნვის ფორმა+კალა კელა || კულა (მეგრულში) და კულე (ქანურში). საფიქრებელია, რომ ამ პირობებში მიღებული შკ კომპლექსი გადაიქცა მეგრულ-ქანურისათვის დამახასიათებელ წკ, ჭკ კომპლექსებად. ამას ადასტურებს, ერთი მხრივ, ქანურივე და, მეორე მხრივ, ქვემოიმერული. ქანურის ათინურ კილოკავში ჭკულე არ გვევლინება იმიტომ, რომ „ათინური... მკვეთრების შემდეგ საერთოდ ვერ იტანს კ-ს“ (გვ. 17). მას შეუძლია დაიცვას შკ ან მარტო ჭ. ამიტომაც, რომ გვაქვს ნა-

თესაობითის ფორმა +კულე, რაც იქცევა ვიწურ-არქაბულ-ხოფურში კკულედ: დუწუ-შ-კულე - დუწუ-ჭ-კულე 'უთხრა-ს შემდეგ'<sup>1</sup>, ხოლო მეგრულში ნათეს. ფორმა +კალა იქცა წკალად: ათინ. სკანიშ-კალა - მეგრ. სქანი-წ-კალა 'შენთან'. ანალოგიური მდგომარეობაა ქვემოიმერულში კენ თანდებულთან და -ყენაწილაკთან დაკავშირებით. მაგ.: „ამ გზას რო დაადგებოდი და ტყიწყენ მიცემდი პირსო... ფეხები გაშვერილი ქონდა ცეხლიწყენ... მამაჩემს ტილიფონით დოუძახებია ზეიდან: ყველი ამეიყვანოწყენ ქალებმაო“ (შ. ძიძიგურის ჩანაწერებიდან). პირველ ორ შემთხვევაში მოცემულია ნათესაობითი ბრუნვის ფორმა +კენ: ტყისკენ, ცეხლისკენ, სადაც სკ - წყ'დ; ხოლო უკანასკნელ შემთხვევაში—ამეიყვანოსყენ'ში სყ - წყ'დ. სხვაგვარი ახსნა ამას არა აქვს.

ამგვარად, მეგრულ წკალა || წკელა || წკუმა, თანდებულში წ და ჰანურ კკულე'ში ჰ წარმომდგარია ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის -შ ელემენტისაგან მომდევნო მკვეთრ კ'სთან შეხვედრის დროს, და პირვანდელი სახე ამ თანდებულებისა არის კალა || კელა || კუმა მეგრულში და კულე ჰანურში.

საკითხი, თუ შკ კომპლექსი რატომ გადაიქცა ჰანურში ჰკ და მეგრულში წკ'დ, ცალკე მოითხოვს განხილვას.

V. TOPURIA

OBSERVATIONS PHONÉTIQUES  
SUR LES LANGUES KARTVÉLIENNES

IV

Sur les complexes naturels

(RÉSUMÉ)

La langue mégrelle possède la postposition *ḡkala*, *ḡkela*, *ḡkoma*, *ḡkuma* 'avec'. Elle se rencontre avec le génitif dont la désinence *ḡ* a subi l'élision: *ḡoḡi-ḡkḡla* 'avec l'homme'. Son équivalent dans la langue tchane est *ḡala* qui s'emploie avec le génitif: *beresḡ-ḡala*—*beres-ḡala* 'avec l'enfant'. On remarquera que la postposition *ḡala* de la langue tchane acquiert un *ḡ* dans le mégrelle. La langue tchane possède également l'adverbe *ḡule* 'après' qui se rencontre avec la forme verbale dont la terminaison est un *ḡ*, indice du génitif: *para k'eḡopuḡ-ḡule...* *oxoiḡa igzalu* 'après avoir reçu de l'argent ... il alla à la maison'. Souvent la désinence *ḡ* semble disparaître, et on a alors un *ḡkule* au lieu d'un *ḡule* (du-

<sup>1</sup> შდრ. ვიწ-არქ. დემკჷვა = ათინ. ლემშკვა 'ნერწყვი' (83-17).

çu-š-kule--duçu-çkule 'après avoir dit...'). Dans le mot çkule, le ç semble être ajouté. Mais il faut y voir la transformation du complexe šk en çk dans le mégrielien et en çk dans la langue tchane (\*kōčiš-kāla - kōčiçkāla, duçuš-kule - duçuçkule). On observe un cas analogue dans le dialecte iméréthien occidental où l'indice de la troisième personne ou bien celui d'un cas, c.-à-d. le s, de même que le k de la postposition ken et le q de la particule qe se transforment en çq: tqis-ken - tqiçqen, ameiqvano-s-qe-n - ameiqvanoçqe-n... On voit donc que l'aspect primitif de çkāla ou çkēla est kāla ou kēla.

სახელთა გრუნებიხათვის უღურ ენაში

უღური ენა კავკასიურ ენათა შორის მეტად საყურადღებო და ფრიად თავისებური ენაა. მისი გავრცელებულობა განისაზღვრება მხოლოდ სამი სოფლით (ვართაშენით და ნიჯით — აზერბეიჯანში, ზინობიანით — საქარბუველოში). ეს სოფლები მოქცეული არიან სხვა (თურქულ, სომხურ, ქართულ) ენების გარემოში.

უღური ენის სინამდვილე განიცდის ამ ენობრივი გარემოს გავლენას არა მარტო ლექსიკის მხრით, არამედ ფონეტიკა-მორფოლოგიაშიც. ამის გამო უღურში ჩვენ გვაქვს მორფოლოგიურ ელემენტთა სხვადასხვაგვარობა უფრო მეტად, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. ერთი და იგივე მორფოლოგიური კატეგორია უღურში გვაძლევს რამდენიმე წარმოებას, რაც მხოლოდ იმით შეიძლება ავხსნათ, რომ სხვადასხვა ენობრივი სისტემა დანალექს სტოვებდა უღურში და ამით იქმნებოდა რამდენიმე მორფოლოგიური ელემენტი ერთი და იმავე მოვლენისათვის. უცხოური ენობრივი გავლენის თვალსაზრისით საყურადღებოა ის გარემოება, რომ უღურში განვითარებულია თავისებური ბრუნვა, რომელიც ფუნქციით შეიძლება რუსული ენის Akkusativ-ის გავუთანაბროთ. ეს ბრუნვა, როგორც ცნობილია, არაა დამახასიათებელი კავკასიურ ენათათვის, და ამდენად მეტად საყურადღებო მოვლენაა უღურში მისი წარმოქმნა.

მაგრამ ამის პარალელურად უღურს შემოუნახავს კავკასიური ენების ზოგადი მოვლენები, როგორც ბრუნების, ისე უღვლილების სისტემაში (მაგ. მოთხრობითი ბრუნვა, პირდაპირი ობიექტისათვის მიცემითის გამოყენება და სხვა). თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ აქა-იქ ამ მოვლენებს ერთგვარი რყევა ემჩნევათ.

ამ წერილში ჩვენ მიზნად ვისახავთ, ზოგადად გაეარკვიოთ უღური ბრუნების ძირითადი მექანიზმი. მასალად გამოყენებული გვაქვს უმთავრესად ნაბეჭდი ტექსტები (გრამატიკულ შრომებში და ცალკეც)<sup>1</sup>, ნაწილობრივ კი ვემყარებით

<sup>1</sup> ტექსტები: 1. Р у с т а м. (უღური ზღაპარი—ვართაშენი) Сб. МОМПК, вып VI. 1888. Прил. გვ. 7—19 (=R); 2. უღური ოთხთავი — ს. ბეჟანოვის თარგმანი. Сб. МОМПК, вып. XXX, 1902.

გრამატ. შრომები: 1. А. Д и р р, Грамматика удинского языка. Сб. МОМПК, вып. XXXIII, 1902 და ცალკე ამონაბეჭდი (=D); 2. A. S c h i f n e r, Versuch über die Sprache der Uden. «Mémoires de l'Académie Imperiale des Sciences de St.-Pétersbourg», VII<sup>e</sup> Serie T. VI, №8. 1863.

საკუთარ დაკვირვებას მოქ. ზ. სილიკაშვილთან (ს. ზინობიანი) და ვ. ლუკასოვთან (ს. ნიჯი) მუშაობის დროს. მათთან შემოწმებული გვაქვს აგრეთვე ტექსტების მასალაც<sup>1</sup>.

\* \* \*

უღური ენის უკანასკნელ მკვლევარს ა. დირს გამოყოფილი აქვს უღურში 12 ბრუნვა<sup>2</sup> (თუმცა შემდგომ იგი მხოლოდ თერთმეტს სტოვებს)<sup>3</sup>. ა. დირი მთლიანად ემყარება ა. შიფნერს<sup>3</sup> და, ლებულობს რა არსებითად მის ტერმინოლოგიასაც, გვაძლევს შემდეგ ბრუნვებს:

ა. დირით.	შდ. ა. შიფნერით
1. Именительный	1. Der Nominativ
2. Родительный	2. D. Genitiv
3. Дательный	3. D. Dativ
4. Винительный	4. D. Affectiv
5. Творительный (Instrumentalis)	5. D. Instructiv
6. Dativus commodi (для кого или чего?)	6. D. Causativ
7. Terminativus	7. D. Terminativ
8. Предельный	8. D. Allativ
9. Отделяющий	9. D. Ablativ
10. Союзный	10. D. Comitativ
11. Падеж нахождения	11. D. Adessiv
12. [Locativus]	12. D. Locativ

შემდგომ ა. დირი (აგრეთვე ა. შიფნერზე დამყარებით) თითოეული ბრუნვისათვის გამოჰყოფს სათანადო ნიშნებს და არკვევს ბრუნვათა მნიშვნელობასა და მათ გამოყენებას სინტაქსურად. აქ ჩვენ ვერ გამოვუდგებით სინტაქსურ საკითხებს, აგრეთვე ბრუნვათა მნიშვნელობისა და ფუნქციის დახასიათებას; ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ბრუნვათა აგებულებას და ამ მწრივ ბრუნვათა ურთიერთობას.

**A.** დავიწყოთ ნათესაობითი ბრუნვით. ამ ბრუნვისათვის ა. დირი გამოჰყოფს მრავალ მაჩვენებელს, როგორც იგი თვით ამბობს: „ნაი, ნეი, ეი, ი, უნ.

<sup>1</sup> დახმარების გაწევისა და ყურადღებისათვის ორივე პირს მადლობას მოვახსენებ.

<sup>2</sup> ა. დირი, გრამ., გვ. 13—21.

<sup>3</sup> ა. შიფნერი, op. cit., § 46—67.

(უნ), ინ, -н-суффиксы родительного падежа“<sup>1</sup>. ეს ბრუნვის ნიშნები გადმოტანილია ა. შიფნერიდან და გაგებულია იმგვარად, თითქოს უღურს გააჩნდეს რამდენიმე ბრუნება და ეს სხვადასხვაობა ნიშნებისა ამიტომ გვექონდეს: ცალკე ბრუნებას შეესაბამებოდეს ცალკე ნიშანი. სახელდობრ, სახელები დაყოფილთა ერთმარცვლოვან, ორმარცვლოვან და სხვ.ჯგუფებად და თითოეულს მიჩენილი აქვს თავისი ნიშანი<sup>2</sup>.

ამგვარადვე ესმის ეს ნიშანთა მრავალფეროვნება ა. შიფნერსაც<sup>3</sup>.

მაგრამ გულდასმითი განხილვა უღური ბრუნებისა გვიჩვენებს, რომ უღურში ჩვენ გვაქვს ერთი ბრუნება და ნიშანთა მრავალსახეობა უნდა აეხსნათ ფონეტიკური პროცესების ნიადაგზე. ერთადერთი ბრუნვა, რომელიც ექვს იწვევს ამ მხრივ, ცალკე განხილვას საჭიროებს, და, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი, ესაა ნათესაობითი.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ როგორც ა. შიფნერი, ისე ა. დირიცი არ იძლევა ბრუნვის ნიშანთა ფონეტიკურ დაწერილობას, რის გამოც უღური ენის ბგერითი მხარის გადმოცემაში უბრალო შეცდომას აქვს ადგილი.

სახელდობრ ნიშნები -ნაი, -ნეი, -ეი უფრო აღდგენილი ფორმებია და ნამდვილად უნდა გადმოიცეს: ნაჲ, ნეჲ, ეჲ..., რადგანაც ცოცხალ მეტყველებაში ასე გამოითქმის: აქ ხდება დიფტონგიზაცია. ხოლო შემდგომ, დიფტონგის დასუსტებული წევრი ხშირად იკარგება და ვერჩება ერთი ხმოვანი (მაგალითად ნაი→ნაჲ→ნა).

ახლა თუ განვიხილავთ ამ გამოყოფილ ბრუნვის ნიშნებს და მათ მრავალსახეობას, უნდა გავითვალისწინოთ გარკვეული ფონეტიკური პროცესები და შეიძლება გამოვძებნოთ ფორმანტის ძირითადი სახეობა, ხოლო შემდგომ ფონეტიკურ ნიადაგზე მიღებული, ნაირსახეობაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველაზე მეტი ნიშანი გააჩნია ნათესაობით ბრუნვას. მაგრამ მაინც შეიძლება მათში სამი ძირითადი ფორმანტი გამოვყოთ. ჩვენ გვაქვს: I: -აი (|| -ნაი) II. -უნ III. -ინ.

მაგალითად გვაქვს:

I. Nom.	უს 'ხარი'	კულ- 'მიწა'
Gen.	უს-ნაი,	კულ-ლ-აი (←*კულ-ნაი)
II. Nom.	აღამარ 'აღამიანი'	ჰასო 'ღრუბელი'
Gen.	აღამარ-უნ	ჰასო-ნ-უნ
III. Nom.	არაბა 'ურემი'	ფაჩნა 'კვახი', 'გოგრა'
Gen.	არაბ-ინ (←*არაბა-ინ)	ფაჩნ-ინ (←*ფაჩნა-ინ)

<sup>1</sup> ა. დირიცი, გრამ., გვ. 14. სატრანსკრიფციოდ ჩვენ გამოყენებული გვაქვს ქართული ანბანი, იქაც კი, როცა ციტატი მოგვაქვს.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 14—15.

<sup>3</sup> ა. შიფნერი, op. cit., §§ 46—50.

განვიხილოთ ცალ-ცალკე ეს ფორმანტები.

1. -აი (|| -ნ-აი) სუფიქსი სხვადასხვა ფონეტიკურ გარემოში გვაძლევს შემდეგ სახეობათ: -აჲ||-ნ-აჲ დიფტონგიზაციით და -ეი→ეჲ||-ნ-ეი→ნ-ეჲ ასიმილაციით. უკანასკნელი გვაქვს მაშინ, როცა ბოლო მარცვალი სახელის ფუძისა შეიცავს „ე“ ან „ი“-ს; მომდევნო სუფიქსის „ა“ ემსგავსება მათ და გვაძლევს „ე“-ს.

მაგალითად:

- a. Nom. ექ 'ცხენი'
- Gen. ექ-ეი (←\*ექ-აი)→ექ-ეჲ
- b. Nom. ვიჩი 'ძმა'
- Gen. ვიჩ-ეი (←\*ვიჩი-აი)→ვიჩ-ეჲ
- c. Nom. ღი 'დღე'
- Gen. ღი-ნ-ეი (←\*ღი-ნ-აი)→ღი-ნ-ეჲ

სპეციალურ განხილვას საჭიროებს „ნ“ ელემენტი, რომელიც თითქოს ჩაერთვის ფუძესა და ბრუნვის ნიშანს -აი || -ეი'ს შორის (და რომელიც გასდევს დანარჩენ ბრუნვებშიც).

მაგალითად:

- Nom. ხაშ 'შთვარე'
- Gen. ხაშ-ნ-აი
- ხოდ 'ხე'
- ხოდ-დ-აი (←\*ხოდ-ნ-აი)<sup>1</sup>

ჯერჯერობით, მასალის სიმკირის გამო, შეუძლებელია მისი ბუნების გამოკვლევა; ერთი კი ცხადია, რომ მისი ბრუნვის ნიშნისთვის მიკუთვნება შეუძლებელია. წინასწარ შეიძლება რამდენიმე მოსაზრება გამოითქვას, თუ რა წარმოშობისა იგი. ზოგ შემთხვევაში იგი უნდა წარმოადგენდეს ფუძისეულ თანხმოვანს, რომელიც სახელობითში დაკარგულია, ხოლო ირიბ ბრუნვებში აღდგება ხოლმე.

მაგალითად:

- Nom. გა 'ადგილი'
- Gen. გა-ნ-ეი
- Nom. ზე 'წყალი'
- Gen. ზე-ნ-ეი
- შდ. ლეზგიური<sup>2</sup>
- Nom. ღენ 'ეზო'
- Gen. ღენ-ი
- შდ. ხუნძური<sup>3</sup>
- Nom. ლ'ინ 'წყალი'
- Gen. ლ'ელ || ლ'ადალ

მეორე მხრივ, იგი შესაძლებელია იყოს ხმოვანთ<sup>4</sup> გასაყარი გენეტიურა და წარმოშობით, ხოლო ამჟამად ამ ფუნქციის შეგნება უკვე დაკარგულია და იგი საერთოდ შერთულია ბრუნვის ფორმანტს.

მაგალითად:

- Nom. ღი 'დღე'
- Gen. ღი-ნ-ეი
- შდ. ლეზგიური<sup>5</sup>
- Nom. აოლ 'დღე'

<sup>1</sup> ეს „ნ“ ჩვეულებრივ ემსგავსება ფუძის წინაწაველ დ. რ, ლ-ს.

<sup>2</sup> П. Устар, Кавр. язык, გვ. 385.

<sup>3</sup> П. Устар, Аварский язык, გვ. 232.

<sup>4</sup> ასეთი მოვლენა ზოგი ენისათვის, მაგ. თურქული სათვის, დამახასიათებელია, რადგანაც მას არ შეუძლია ორი ხმოვნის ერთმანეთის მეზობლობაში გამოთქმა.



მაგალითად:

ძირითადი სახე:

Nom. ადამარ 'ადამიანი'                    დაე 'გზა'

Dat. ადამარ-ა                                    დაე-ა...

იმ შემთხვევაში, თუ ეს ნიშანი დაერთვის ისეთ ფუძეს, რომლის უკანასკნელი მარცვლი შეიცავს „ე“ ან „ი“-ს, იგი ემსგავსება მათ და გადადის „ე“-ში.

მაგალითად:

Nom. ვიჩი 'ძმა'                                    ხუნჩი 'და'

Dat. ვიჩ-ე (←\*ვიჩი-ა),                    ხუნჩე (←\*ხუნჩი-ა)

ორი შემდგომი ფორმანტი „-ნ-ა“, „-ნ-ე“ წარმოადგენს იმავე ძირითად ფორმანტს, გართულებულს ჩანართი ნ'-ის მიერ<sup>1</sup>.

მაგალითად:

Nom. აშ 'საქმე'                                    ხე 'წყალი'

Dat. აშ-ნ-ა                                    ხე-ნ-ე

რაც შეეხება „უ“ —ფორმანტს, რომელიც ა. დირს ცალკე აქვს გამოყოფილი, იგი გვხვდება მხოლოდ ნაცვალსახელებში და ზედსართავებში, მაგრამ არა ცალკე, არამედ როგორც შემადგენელი ნაწილი „-ტუ“ ფორმანტისა. ამიტომ მას განვიხილავთ სხვა დროს, ნაცვალსახელთა ბრუნების განხილვისას.

სხვა კავკასიური ენების შესაბამისად უდურს გააჩნია მოთხრობითი ბრუნვაც. ა. შიფნერი მას უწოდებს Instructiv-ს, ხოლო ა. დირი Instrumentalis'-ს (творительный паг.). ცხადია, რომ არცერთ ავტორს ეს ბრუნვა სწორად არ აქვს გაგებული. განსაკუთრებით ცდება ა. დირი, როდესაც მას ეს ბრუნვა მიაჩნია მოქმედებითად. ხოლო რომ მას იგი გაგებული აქვს მოქმედებითად, ეს გარდასახელწოდებისა იქიდანაც ჩანს, რომ თარგმნის დროს იგი ამ ბრუნვის ფორმებს სწორედ მოქმედებითით გადმოსცემს. ჩვენ აქ ვერ გამოვუდგებით ამ ბრუნვის სინტაქსური რაობის გარკვევას, და მხოლოდ მის მორფოლოგიურ ნიშნებს გავეცნობით.

ა. დირი ამ ბრუნვისათვისაც გამოჰყოფს აგრეთვე რამდენიმე ნიშანს: იგი წერს: „-ნ, -ენ, -ონ —субъективна творительного падежа (instrumentalis)“<sup>2</sup>.

ალარ გავიმეორებთ იმას, რაც ითქვა წინათ ნათესაობითი და მიცემითი ბრუნვის შესახებ, და აღვნიშნავთ, რომ მოთხრობითი ბრუნვის ძირითადი ნიშანი არის „-ენ“.

მაგალითად:

Nom. ღარ 'ძე, შვილი'                    ადამარ 'ადამიანი'

მოთხრ. ღარ-ენ                                    ადამარ-ენ

<sup>1</sup> შდ. აქვე ნათესაობითის წარმოება, გვ. 126.

<sup>2</sup> ა. დირი, გრამ., გვ. 18.

თუ სახელი ხმოვნით ბოლოვდება, მაშინ ხდება ფორმანტის „ე-“ ხმოვნის რედუქცია და გვრჩება მხოლოდ „ნ“.

მაგალითად:

Nom.	ბაბა 'მამა'	ნანა 'დედა'
მოთხრ.	ბაბა-ნ (←*ბაბა-ენ)	ნანა-ნ (←*ნანა-ენ)

აღნიშნული წესი არ ვრცელდება ერთმარცვლოვან სახელებზე, ე. ი. ორივე ხმოვანი რჩება;

მაგალითად:

Nom.	ხა 'ძალი'
მოთხრ.	ხა -ენ.

რაც შეეხება „ონ“ ნიშანს, რომელსაც გამოჰყოფს ა. დირი, ასეთი ცალკე ფორმანტი უღურში არ გვაქვს. მრავლობით რიცხვში ამ ბრუნვას თითქოს ასეთი „ონ“ აქვს, მაგრამ ნამდვილად იქ სხვა ვითარება უნდა გვექონდეს და ამას ქვემოთ გავარკვევთ<sup>1</sup>.

D. უღურ ენას გააჩნია ერთი ბრუნვა, რომელიც შეიძლება თვისი სინტაქსური ფუნქციით გაუთანაბრდეს ინდო-ევროპული ენების *Akkusativ*-ს. უღური ენის მკვლევართაგან ა. დირი ამ ბრუნვას სწორედ ასე უწოდებს, ხოლო ა. შიფნერი კი — *Affectiv*-ს. ა. დირი მის ნიშნებად გამოჰყოფს აგრეთვე რამდენიმე ნიშანს: „ახ, ოხ, ეხ (იხ) — *судящихся винительного падежа, который часто принимает „н“*, ამბობს ის<sup>2</sup>. მაგრამ ძირითადი მაჩვენებელი უნდა იყოს „ა-ნ“, რომელიც ფონეტიკურ გარემოში დებულობს სხვადასხვა სახეს.

მაგალითად:

Nom.	აღამარ	რუსტამ 'როსტომ'
Akk.	აღამარ-ახ	რუსტამ-ახ

„ეხ“ — ფორმანტს ვღებულობთ ისეთსავე პირობებში, როგორც მიცემითსა და ნათესაობითში.

მაგალითად:

Nom.	ვიჩი	ხუნჩი
Akk.	ვიჩი-ეხ (←*ვიჩი-ახ)	ხუნჩი-ეხ (←*ხუნჩი-ახ)

ამგვარადვე ვღებულობთ — ასიმილაციის გზით „ოხ“ — მაჩვენებელსაც.

მაგალითად:

Nom.	არუხ 'ცეცხლი'
Akk.	არ'ხ-ოხ (←*არუხ-ახ)

აქ ჯერ უნდა იყოს მომხდარი უ'ნის რედუქცია, ეს უ'ნი ახდენს გავლენას ა'ზე და გვაძლევს მის ლაბიალიზაციას. ამ მოვლენას მეტად ფართოდ აქვს ადგილი მრავლობითის წარმოების დროს, და ის ერთერთი დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენაა საერთოდ უღურისათვის<sup>3</sup>.

<sup>1</sup> შდ. აქვე, გვ. 133 შმდ.

<sup>2</sup> ა. დირი, გრამ., გვ. 16.

<sup>3</sup> შდ. აქვე, გვ. 133 შმდ.

E. ასეთი მდგომარეობა გვაქვს, ამ რიგად, ოთხი ძირითადი ბრუნვის განხილვის შედეგად. სავსებით ამასვე ვიღებთ სხვა დანარჩენი ბრუნვების ანალიზის დროსაც, მაგრამ საჭიროა დაისვას ზოგადი საკითხი: ბრუნვათა რაოდენობის შესახებ უღურში. საქმე ისაა, რომ ის რაოდენობა ბრუნვათა, რომელიც გამოყოფილია უღურის მკვლევართა მიერ, მეტად დიდია. ეს საერთო მოვლენა ყველა კავკასიური ენისათვის. ყველა ფორმას, რომელსაც კი სახელი გვიჩვენებდა, მკვლევრები ცალკე ბრუნვად სთვლიდნენ, მიუხედავად იმისა შედიოდა ამ ფორმის შედგენილობაში თანდებული თუ არა. ამ მხრივ ვფიქრობთ, რომ უღურშიც უნდა გვქონდეს ბრუნვად მიჩნეული ისეთი ფორმები, რომელნიც თანდებულნიან ბრუნვებს წარმოადგენენ. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ თანდებულთა გამოყოფა უღურის დღევანდელი ვითარების მიხედვით ძალიან ძნელდება, რადგანაც ეს ფორმანტები ისევე უკავშირდებიან ფუძეს, როგორც ბრუნვის ფორმანტები. მაგრამ მოიპოვება არსებითი გარემოება, რომ ეს მეორეული ბრუნვები გამოვეყოთ: მათი წარმოების დროს საფუძველად აღებულია მიცემითი ბრუნვის ფორმა, ყველა ეს თანდებულნიანი ბრუნვა აგებულია მიცემით ბრუნვაზე, ხოლო ერთ შემთხვევაში მოთხრობით ბრუნვაზეც.

ამის მიხედვით ჩვენ მივიღებთ ბრუნვათა რიგს, რომელნიც აგებულინი იქნებიან მიცემით ბრუნვაზე. გვაქვს:

ძირითადი ბრუნვები:

Nom.	ლარ	‘ძე, შვილი’
მოთხრ.	ლარ-ენ	
Gen.	ლარ-ი	
Dat.	ლარ-ა	

მიცემითზე დაყრდნობილი<sup>1</sup> თანდებულნიანი ბრუნვები:

Akkusativus	ლარ-ა-ხ	
Ablativus	ლარ-ა-ხო	‘შვილისგან’
Comitativus	ლარ-ა-ხოლ	‘შვილთან ერთად’
Terminativus	ლარ-ა-ლ	‘შვილზე’
Allativus	ლარ-ა-ჭ	‘შვილამდე’
Adessivus	ლარ-ა-სტა.	‘შვილთან’

ხოლო მოთხრობითს მხოლოდ ერთი ბრუნვა უნდა ემყარებოდეს:

მოთხრ.	ლარ-ენ	‘შვილი’
Causativus	ლარ-ენ-კ[ენა]	‘შვილისთვის’

<sup>1</sup> ბრუნვათა სახელწოდებებს ისევე ვტოვებთ, როგორც ეს მოცემული აქვთ ა. დირს და ა. შიფნერს. ამასთან აქ ვერ ვხედავთ ბრუნვების მნიშვნელობას, შინაარსს, ისევე როგორც ვერ ვხედავთ მათ ხინტაქსურ რაობასაც.

რომ ასეთი თვალსაზრისი სწორია, რომ ეს ბრუნვები მიცემით ბრუნვას ეყრდნობიან, ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა სახელთა ერთი ჯგუფის ბრუნება, რომელნიც ირიბ ბრუნვებში ფუძეს იცვლიან;

მაგალითად:

ძირითადი ბრუნვები:

1. Nom.	კოჯ 'სახლი'	ბულ 'თავი'
2. მოთხრ.	კოჯ-ენ	ბულ-ენ
	[Caus. კოჯ-ენ-კ-(ენა)	ბულ-ენ-კ-(ენა)]
3. Gen.	კოჯ-ინ	ბინ <sup>1</sup>
4. Dat.	კუ-ა	ბელ

მეორეული ბრუნვები:

1. Akk.	კუ-ა-ხ	ბე-ხ
2. Abl.	კუ-ა-ხო	ბე-ხო
3. Com.	კუ-ა-ხოლ(ან)	ბე-ხოლ
4. Term.	კუ-ა-ლ	ბე-ლ
5. Allat.	კუ-ა-ჭ	
6. Adess.	კუ-ა-ხტა.	ბე-ხტა

კიდევ უფრო ნათელი ხდება ეს, თუ გავითვალისწინებთ ნაცვალსახელთა (აგრეთვე ზედსართავისაც) ბრუნებას. სანიშნოდ შემდეგს ნაცვალსახელებს მოვიტანთ.

ძირითადი ბრუნვები:

Nom.	შე-ნო (    შონო) (←*შე-ნე-ო) 'ის',	ზუ 'მე'
მოთხრ.	შე-ტ-ინ	ზუ
[Caus.	შე-ტ-ენკ	ზ-ენკ]
Gen.	შე-ტ-აჲ	ბეზ-ი
Dat.	შე-ტ-უ	ზა

მეორეული ბრუნვები:

Akk.	შე-ტ-უ-ხ	ზა-ხ
Ablat.	შე-ტ-უ-ხო	ზა-ხო
Com.	შე-ტ-უ-ხოლ	ზა-ხოლ
Term.	შე-ტ-უ-ლ	ზა-ლ
Allat.	შე-ტ-უ-ჭ	ზა-ჭ
Adess.	შე-ტ-უ-ხტა	ზა-ხტა <sup>2</sup> .

<sup>1</sup> ეს და რამდენიმე სხვა სახელი ბრუნებაში თავისებურებას იჩენს, მაგრამ მეორეული ბრუნვები რომ მიცემითს ემყარებიან, აქაც ნათლად ჩანს.

<sup>2</sup> შდ. ა. შ ი ფ ნ უ რ ი, op. cit., § 72, 74. ა. დ ი რ ი, გრამ., გვ. 31.

აქ არ ვეხებით ნაცვალსახელთა თავისებურ ბრუნებასა და ახალ „ტ-უ“ ელემენტს; ჩვენთვის საინტერესო საკითხის თვალსაზრისით საქმის ვითარება ნათელია: მიცემითის ფორმა გამოყენებულია მეორეულ ბრუნვათა საწარმოებლად.

ამრიგად, დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ მეორეული ბრუნვების საფუძველად ჩვენ გვაქვს მიცემითი ბრუნვა<sup>1</sup>. მეტიც შეიძლება ითქვას: ერთ შემთხვევაში ნათესაობითის ფუძეც მიცემითის ფორმას ემყარება<sup>2</sup>. ხოლო მეორეული ბრუნვების მიცემითზე დართული ელემენტები უნდა წარმოადგენდნენ სათანადო თანდებულებს, რომელნიც დღეს გაქვევებული სახით გვაქვს შემორჩენილი. ერთ შემთხვევაში ამ თანდებულის გამოყოფა შესაძლებელია. სახელდობრ, Term. ფორმანტი „ა-ლ“ უნდა უკავშირდებოდეს დღევანდელ ზმნისართს „აღა“ ‘ზე, ზემოთ’. ამგვარსავე მნიშვნელობას გვაძლევს ეს ბრუნვაც. მაგრამ ამ საკითხს ცალკე კვლევა-ძიება და განხილვა ესაჭიროება<sup>3</sup>.

F. მეტად მნიშვნელოვანია სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება უდურში. ჩვენ აქ გვაქვს სრული სურათი იმისა, თუ სხვადასხვა წარმოშობის მორფოლოგიური ელემენტი როგორ ერთიანდება ფუნქციის მიხედვით—და ერთი მორფოლოგიური კატეგორიის გამომხატველად ჩნდება სხვადასხვა ფორმანტი.

ა. დირი ემყარება ა. შიფნერს და გამოჰყოფს მრავლობითი რიცხვის იმავე ნიშნებს: „ურ, უხ, მუხ, ურუხ, ურმუხ — сурцифисы множественного числа“<sup>4</sup>.

აღნიშნული მაჩვენებლები უდურში ნამდვილად გვაქვს. მაგრამ მათი მიჩნევა სახელთა ცალკეული ჯგუფებისათვის, როგორც ამას ჯერ ა. შიფნერი და შემდეგ ა. დირი შვრება, შეუძლებელია. დღეს მათი ხმარება ნაწილობრივ არეულია. ხოლო მათი წარმოშობისა და ბუნების გარკვევა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც უდურის ამ ფორმანტებს შეეუდარებთ სხვა კავკასიურ ენათა სათანადო ფორმანტებს.

ამჟამად შესაძლებელია გარკვევით აღინიშნოს, რომ ამ ხუთი მაჩვენებლიდან ორი უკანასკნელი „ურ-უხ“, და „ურ-მუხ“ წარმოადგენენ მრჩობლ მრავლობითს, ორმაგი მაწარმოებლის დართვით. შესაძლებელია აგრეთვე პარალელური ხმარება, როგორც ცალკე „ურ“—ნიშნისა, ისე „ურ-უხ“—ნიშნისა ერთსა და იმავე სახელთან<sup>5</sup>, თუმცა ტენდენცია გვაქვს, რომ ყველგან—ნაცვალსახელების გამოკლებით—მრჩობლი, ორმაგი, მრავლობითი მივიღოთ.

<sup>1</sup> ამ გარემოებას ყრუდ ა. შიფნერიც აღნიშნავს: «Von dem Dativcharakter ist die Bildung der übrigen Beugefälle mit Ausnahme des Instructivs abhängig» (op. cit., § 52). მაგრამ იგი არ არკვევს, როგორი ხასიათისაა ეს დამოკიდებულება და ბრუნების სისტემის განხილვისას ამ მოვლენას ყურადღებას არ აქცევს.

<sup>2</sup> ამ საკითხს ცალკე განვიხილავთ.

<sup>3</sup> სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ მიცემითის ბრუნვას დღეს არ თხოვლობს არც ერთი თანდებული (ცოცხალი და სრულმნიშვნელოვანი), რაც იმას უნდა მიუთითებდეს, რომ მიცემითის დართული თანდებულები შემონახული გვაქვს სწორედ მეორეულ ბრუნვებში.

<sup>4</sup> ა. დირი, გრამ., გვ. 21. შდ. ა. შიფნერი, op. cit., § 41—45.

<sup>5</sup> შდ. ა. დირი, გრამ., გვ. 21. შდ.

რაც შეეხება „მუხ“ ფორმანტს, ა. შიფნერი მას ასე ახასიათებს:

«Drittens giebt es eine Endung „მუხ“ mit Collectivbedeutung, namentlich fasst sie die einzelnen zu einem Ganzen gehörigen Theile zusammen»<sup>1</sup>.  
 ა. დირი არაფერს ამბობს ამგვარი შეხედულების შესახებ, თუმცა იხსენიებს მას<sup>2</sup>. მეტად საყურადღებო საკითხია, მაგრამ ამჟამად ძნელია გარკვეული დასკვნის გამოტანა. სათანადო მასალის გათვალისწინება გვიკარნახებს, რომ დაისვას საკითხი: ხომ არ გვაქვს აქ წყვილობითი რიცხვის (dualis) ნაშთი? ამას ცალკე კვლევა სჭირდება. აქ გარკვევით შეიძლება აღინიშნოს, რომ შესაძლებელია „მ-უხ“ ფორმანტი დაეშალოთ შემადგენელ ნაწილებად და გამოვყოთ „უხ“—ელემენტი, როგორც მრავლობითობის აღმნიშვნელი. მაშინ ძირითადი ნიშანი მრავლობითობისა გვექნება ორი: „-ურ“ და „-უხ“, რომელთაგან ორივე შესაძლებელია დაუკავშირდეს კავკასიური ენების სათანადო მაჩვენებლებს.

მაგრამ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ესაა პრინციპი, რომლის მიხედვითაც იწარმოება ბრუნება მრავლობით რიცხვში. ა. შიფნერი ამგვარად განმარტავს ამ პრინციპს:

«Im Plural haben alle obliquen Casus den Charakter „ლო“ gemeinsam, und an diësen treten die einzelnen Endungen; nackt tritt er im Dativ auf»<sup>3</sup>.

ხოლო ა. დირი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ა. შიფნერის დებულებას და შემდეგს ამბობს:

«Косвенные падежи множественного числа *наставляются* на суффикс „-ლო“ (*суффикс: дательной падежа во множественном числе*), который прибавляется к словам оканчивающимся на „-ურ“...; все остальные слова *заменяют* просто „-ხ“ окончанием „-ლო“, причем „უ“ перед „л“ часто сокращается или выпадает»<sup>4</sup> (ხაზი ყველგან ჩვენია, ვ. ფ.).

ა. დირის ეს დებულება სრულებით შემცდარია და უმწეო აგვიხსნას უღურის მრავლობითი რიცხვის წარმოების მექანიზმი. როგორც ჩანს, ა. დირი ფიქრობს, რომ ყველა ბრუნვა მრავლობითში იწარმოება მიცემითისაგან და ამ ბრუნვისათვის მას გამოყოფილი აქვს ცალკე ახალი სუფიქსი „-ლო“, მხოლოდობითისაგან განსხვავებით. ამით ა. დირი პრინციპულად ასხვავებს ბრუნებას მხოლოდობითსა და მრავლობითში. ნამდვილად კი უღურში გვაქვს ერთგვარი ბრუნება და ბრუნვათა ერთი და იგივე ნიშნები მხოლოდობითსა და მრავლობითში. საჭიროა მხოლოდ გაეითვალისწინოთ უღურის სამი დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენა: 1. ხმოვანთა რედუქცია, 2. ყრუ ბგერის გამჟღერება ორ ხმოვანს შორის, 3. ასიმილაცია—ხმოვანის რედუქციის შედეგად. ამ მოვლენების გათვალისწინებით ნათელი ხდება, რომ უღურში გვაქვს აგლუტინაციური წარმოება მრავლობითი რიცხვისა მსგავ-

<sup>1</sup> ა. შიფნერი, *op. cit.*, § 43.

<sup>2</sup> ა. დირი, *გრამ.*, გვ. 22.

<sup>3</sup> ა. შიფნერი, *op. cit.*, § 62.

<sup>4</sup> ა. დირი, *გრამ.*, გვ. 22.

სად ქართულისა. ამის მიხედვით მრავლობითი რიცხვი უღურში ამგვარად უნდა წარმოვიდგინოთ:

I. ადამარ 'ადამიანი'

- Nom. ადამარ-უხ 'ადამიანები,
- მოთხრ. ადა-მარ-ლ-ონ (←\*ადამარ-უხ-ენ)
- Gen. ადამარ-ლ-ოჲ (←\*ადამარ-უხ-აი)
- Dat. ადამარ-ლ-ო (←\*ადამარ-უხ-ა)

II. დჳს 'გაკვეთილი'

- Nom. დჳს-ურ-უხ 'გაკვეთილები'
- მოთხრ. დჳს-ურ-ლ-ონ (←\*დჳს-ურ-უხ-ენ)
- Gen. დჳს-ურ-ლ-ოჲ (←\*დჳს-ურ-უხ-აი)
- Dat. დჳს-ურ-ლ-ო (←\*დჳს-ურ-უხ-ა)

III. ღარ 'ძე, შვილი'

- Nom. ღარ-მ-უხ 'ძენი, შვილები'
- მოთხრ. ღარ-მ-ულ-ონ (←\*ღარ-მ-უხ-ენ)
- Gen. ღარ-მ-ულ-ოჲ (←\*ღარ-მ-უხ-აი)
- Dat. ღარ-მ-ულ-ო (←\*ღარ-მ-უხ-ა)

ამრიგად, მრავლობითის წარმოებისას ჩვენ გვაქვს შემდეგი ვითარება: მრავლობითის „-უხ“ (resp. „-მ-უხ“) ნიშანი დაერთვის ან პირდაპირ ფუძეს, ან „-ურ“ ფორმანტით გართულებულს, სახელობითში:

მაგალითად:

- Nom. ადამარ... ადამარ-უხ
- დჳს ... დჳს-ურ-უხ.

ირიბ ბრუნვებში სახელობითის ფუძე (მრავლობითობის ნიშნითურთ!) მთლიანად გადაჰყვება სახელს და მას ერთვის შესატყვისი ბრუნვის ნიშანი ისევე, როგორც სახელობითში:

მაგალითად:

- მოთხრ. \*ადამარ-უხ-ენ Dat. \*ადამარ-უხ-ა
- \*დჳს-ურ-უხ-ენ \*დჳს-ურ-უხ-ა

მხოლოდ აქ ხდება უღურისათვის დამახასიათებელი ზემოხსენებული ფონეტიკური პროცესები: ბრუნვის ფორმანტის ხმოვანი „ა“ ან „ე“ ემსგავსება წინამავალ მრავლობითის ფორმანტის „უ“-ს და გვაძლევს „-ო“-ს. იმავე დროს ზოგჯერ ფუძე იკუმშება და „უ“ ხმოვანი ამოვარდება, ხოლო თანხმოვანი „ხ“ მკედერდება და გვაძლევს „-ლ“-ს. მთელი პროცესი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

- მოთხრ. \*ადამარ-უხ-ენ → \*ადამარ-ულ-ონ → ადამარ-ლ-ონ ...
- \*ღარ-მ-უხ-ენ → ღარ-მ-ულ-ონ

საყურადღებოა, რომ მსგავსი მოვლენა გვაქვს მხოლოდობით რიცხვშიც

სახელთა ერთ კატეგორიაში; სახელდობრ ისეთ სიტყვებში, რომელნიც ბოლოვდებიან „-უხ“-ზე. ასეთებია: უღუხ — ‘კბილი’, ელმუხ — ‘სული’, ბიხუხ — ‘ღმერთი’ და სხვა<sup>1</sup>.

ეს სახელები იბრუნვიან შემდეგნაირად:

Nom.	ელმუხ	‘სული’	უღუხ	‘კბილი’
მოთხრ.	ელმულონ	(←*ელმუხ-ენ)	უღლონ	(←*უღუხ-ენ)
Gen.	ელმულოა	(←*ელმუხ-აი)	უღლოა	(←*უღუხ-აი)
Dat.	ელმულო	(←*ელმუხ-ა)	უღლო	(←*უღუხ-ა)

ამ სიტყვებში ჩვენ უნდა გვკონდეს გაქვავებული მრავლობითი რიცხვი და სახელის დაბოლოება „-უხ“ მრავლობითის ნიშანს უნდა წარმოადგენდეს. ამით უნდა ავსხნათ ის ფაქტი, რომ მრავლობითის მსგავსი მოვლენები გვაქვს მხოლოდითშიც.

მაგრამ ჩვენ გვხვდება უღურში ისეთი სიტყვა, რომელიც ბრუნების დროს ნაწილობრივ ზემოყვანილის მსგავს პროცესებს გვიჩვენებს, ხოლო ნაწილობრივ ნეგატიურად გვიდასტურებს ზემოყვანილ მოსაზრებებს:

ასეთია, მაგალ.

Nom.	ფასჯახ <sup>2</sup>		ფაშჩახ <sup>3</sup> (84 <sub>3</sub> )	‘მეფე’
მოთხრ.	ფასჯალ-ენ		ფაშჩალ-ენ (84 <sub>13</sub> )	
Gen.	ფასჯალ-უხ		ფაშჩალ-უხ (86 <sub>6</sub> )	
Dat.	ფასჯალ-ა		ფაშჩალ-ა (86 <sub>3</sub> )	

მოყვანილი სახელის ბრუნება გვიდასტურებს შემდეგს: 1. უღურისათვის ჩვეულებრივია ყრუ თანხმოვნის გამჟღერება ხმოვნებს შორის, 2. ბრუნვის ნიშნის „ა“ და „ე“ ხმოვანი რომ „ო“-ს გვაძლევს, ეს დამოკიდებულია მრავლობითის ფორმანტის „უ“ — ხმოვანზე, რადგანაც იქ, სადაც ასეთი ვითარება არ გვაქვს, ბრუნვის ნიშნის ხმოვანი უცვლელი რჩება.

ამრიგად ირკვევა, რომ უღურში ჩვენ გვაქვს სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება აგლუტინაციურად და ეს თვისება კიდევ უფრო ამჟღავნებს უღურის კავშირს კავკასიურ ენებთან. გასარკვევია მხოლოდ: რას ემყარება ის მოვლენა, რომ უღურში გვაქვს მრავლობითის რამდენიმე ფორმანტი (-ურ, -უხ -მ-უხ...)? მაგრამ ეს საკითხი შეიძლება გაირკვეს მხოლოდ სხვა კავკასიურ ენებთან შედარების საფუძველზე და მას ახლა ვეღარ გამოვუდგებით.

საყურადღებოა, რომ ნაცვალსახელებიც და ზედსართავებიც მსგავს წარბოებას გვაძლევენ მრავლობით რიცხვში (1 და 2 პირის პირიელ ნაცვალსა-

<sup>1</sup> შდ. შიფნერი, op. cit., § 64. იგი ამბობს: „Nach Analogie des Plurals werden diejenigen Nomina declinirt, welche auf „უხ“ ausgehen“.

<sup>2</sup> ფორმა მოყვანილია უღური ოთხთავის მიხედვით.

<sup>3</sup> ფორმა მოყვანილია ა. დირის გრამატიკას დართული ტექსტიდან. პირველი ციფრი გვერდს, მეორე სტრიქონს აღნიშნავს.

ხელთა გარდა). სანიმუშოდ შეგვიძლია ავიღოთ, მე-III პირის პირიელი ნაცვალსახელი (resp. მითითებითი ნაცვალსახელი). მივიღებთ შემდეგ სურათს<sup>1</sup>:

მხოლოდობითი რიცხვი  
 Nom. შენო (←\*შე-ნე-ო) 'ის, იგი'  
 მოთხრ. შეტინ (←\*შე-ტა-ენ)  
 Genet. შეტაჲ  
 Dat. შეტუ... (←\*შეტა)

მრავლობითი რიცხვი  
 Nom. შენორ (←\*შენო-ურ)  
 მოთხრ. შეტოლონ (←\*შეტა-უხ-ენ)  
 Gen. შეტოლოჲ (←\*შეტა-უხ-აი)  
 Dat. შეტოლო (←\*შეტა-უხ-ა)

ამრიგად ნაცვალსახელებიც მრავლობით რიცხვს აწარმოებენ ავლუტინაციურად და უდური ბრუნების მექანიზმი მხოლოდობითსა და მრავლობით რიცხვებში ერთნაირია. ამასთანავე მრავლობითი რიცხვის გათვალისწინება გვიდასტურებს იმასაც, რომ უდურში გვაქვს სახელთა ერთი ბრუნება: მრავლობითში სრულებით არ გვაქვს ბრუნვის ნიშანთა მრავალსახეობა.

#### დასკვნითი დებულებები

1. უდურ ენას გააჩნია მხოლოდ ერთი ბრუნება; ბრუნების მაჩვენებელთა მრავალსახეობა აიხსნება ფონეტიკური პროცესებით.

2. უდურ ენას გააჩნია ზოგად-კავკასიური მოთხრობითი ბრუნვა, ხოლო კავკასიურ ენათაგან განსხვავებით—აკუსატივი (ინდო-ევროპულ ენათა Akkusativ-ის ფუნქციის მქონე).

3. უდურში უნდა გამოვყოთ ძირითადი და მეორეული ბრუნვები. მეორეული ბრუნვების ფორმები დამყარებულია მიცემითისა და მოთხრობითის ფორმაზე.

ძირითადი ბრუნვებია:

1. სახელობითი
2. მოთხრობითი
3. ნათესაობითი
4. მიცემითი.

მეორეულია:

- |                   |                   |
|-------------------|-------------------|
| ა. 1. Akkusativus | 5. Allativus      |
| 2. Ablativus      | 6. Adessivus.     |
| 3. Comitativus    |                   |
| 4. Terminativus   | ბ. 7. Causativus. |

<sup>1</sup> აქ არ ვეხებით ნაცვალსახელთა ბრუნების თავისებურებებს, რომელთაც ცალკე წიგნში განვიხილავთ.

## 4. ბრუნვის ნიშნები უღურში შემდეგია:

ძირითადთა:

სახელ. 0 (ნოლი)

მოთხრ. ენ

ნათეს. აი (-აჲ) || -უნ || -ინ

მიც. ა

მეორეულთა:

a. Akk. ა-ხ                      b. Caus. -ენ-კ[ენა].

აბს. ა-ხო

Com. ა-ხოლ

Term. ა-ლ

Allat. ა-კ

Adess. ა-ხტა.

5. სახელთა მრავლობითი რიცხვი უღურში იწარმოება აგლუტინაციურად (მრავლობითის სუფიქსებია: -უნხ, -ურ, მ-უნხ, -ურ-უნხ): ბრუნვის ნიშნები მრავლობითში იგივეა, რაც მხოლოლობითში და ისინი დაერთვიან მრავლობითის ფორმანტით გართულებულ სახელობითის ფუძეს<sup>1</sup>.

ВЛ. ПАНЧВИДЗЕ

## К ВОПРОСУ О СКЛОНЕНИИ ИМЕН В УДИНСКОМ ЯЗЫКЕ

(РЕЗЮМЕ)

Анализируя механизм склонения в удинском языке, мы приходим к следующему выводу:

1. В удинском языке мы имеем только *одно склонение*; разнообразие падежных показателей обусловлено фонетическими процессами.

2. Для падежного состава удинского языка характерно наличие специфического для кавказских языков «*поветствовательного*» (т. н. *активного* или *эргативного*) падежа; кроме того в нем имеется *винительный падеж*, отсутствие которого столь характерно для кавказских языков. Появление этого падежа результат влияния иносистемных языков.

3. В удинском языке нужно выделить *основные* и *вторичные падежи*.

Основными падежами являются: 1. *Именительный*, 2. *Поветствовательный*, 3. *Родительный* и 4. *Дательный*.

Вторичные падежи суть: 1. *Akkusativus*, 2. *Ablativus*, 3. *Comitativus*, 4. *Terminativus*, 5. *Allativus*, 6. *Adessivus*, 7. *Causativus*.

Вторичные падежи базируются на формах дательного и поветствовательного пад.; а именно: *дательный* служит основой для падежей: *Akku-*

<sup>1</sup> წერილი არსებითად ემყარება ვართაშნული დიალექტის მასალას. ნიჯური გვამღვეს ზოგი ბრუნვის ნიშნის ფონეტიკურ სხვაობას, რასაც, როგორც სხვა მორფოლოგიურ თავისებურებასაც, სხვაგან განვიხილავთ. ვ. ფ.

sativus, Ablativus, Comitativus, Terminativus, Allativus, Adessivus, поветствовательный для Causativus.

4. Падежными флексиями в удинском служат:

Для основных падежей:

1. Именит. 0 (нуль)
2. Поветств. -гб -ен
3. Родит. -ан (аа) || -гб || -об -аі (ау) || -ин || -ин
4. Дат. -а -а

Для вторичных:

- |   |  |
|---|--|
| <p>A. 1. Акк. -а-б -а-х<br/>         2. Abl. -а-бга -а-хо<br/>         3. Com. -а-бга (аб) -а-хол (ан)<br/>         4. Term. -а-ла -а-л<br/>         5. Allat. -а-г -а-г<br/>         6. Adess. -а-бга -а-ста</p> | <p>B. 7. Caus. -гб-д (гба) -ен-к (ена)</p> |
|---|--|

5. Множественное число в удинском языке образуется *аплативatively* по показателю падежей во множественном числе те же самые, что и в единственном числе, и они присоединяются к основе именительного падежа един. чис., осложненной суффиксами множественности, каковы: -гб -у, -гб -иг, -гб -иг, -гб -иг, -гб -иг

## VL. PANTCHVIDZÉ

### A PROPOS DE LA DÉCLINAISON DES NOMS (SUBSTANTIFS) DANS LA LANGUE OUDINE

#### (RÉSUMÉ)

L'analyse du mécanisme de la déclinaison dans la langue oudine nous mène à la conclusion suivante:

1. Nous n'avons *qu'une seule* déclinaison dans la langue oudine; la variété des indices des cas est le résultat des procédés phonétiques.

2. Ce qui caractérise la série des cas dans la langue oudine — c'est l'existence du cas narratif (c'est à dire cas actif ou ergatif), spécifique dans les langues caucasiennes.

De plus, la langue oudine possède l'accusatif, dont l'absence est surtout caractéristique aux langues caucasiennes.

L'apparition de ce cas s'explique par l'influence de langues de formation différente.

3. Il faut distinguer les cas *primitifs* et les cas *dérivés*.

Les cas primitifs sont: 1) le nominatif, 2) le narratif, 3) le génitif, et 4) le datif.

Les cas dérivés sont: 1. Akkusativus, 2. Ablativus, 3. Comitativus, 4. Terminativus, 5. Allativus, 6. Adessivus, 7. Causativus.

Les cas dérivés se forment d'après le datif et le narratif; ainsi, le datif sert de *base* aux cas suivants: Akkusativus, Ablativus, Comitativus, Terminativus, Allativus, Adessivus; le narratif forme le Causativus.

#### 4. Flexions des cas dans la langue oudine:

##### Cas primitifs:

1. Le nominatif — 0 (zéro) .
2. Le narratif — -ენ -en
3. Le génitif — -აი (-აჲ) || -უნ || -ის -ai (ay) || -un || in
4. Le datif — -ა -a

##### Cas dérivés:

- |                                 |                                     |
|---------------------------------|-------------------------------------|
| A. 1. Akk. — -ა-ხ -a-x          | B. 7. Caus. — -ენ-ქ(ენა) -en-ქ(ena) |
| 2. Abl. — -ა-ხო -a-xo           |                                     |
| 3. Com. — -ა-ხოლ(ან) -a-xol(an) |                                     |
| 4. Term. — -ა-ლ -a-l            |                                     |
| 5. Allat. — -ა-ჭ -a-ჭ           |                                     |
| 6. Adess. — -ა-სტა -a-sṭa       |                                     |

5. Le pluriel se forme par l'agglutination dans la langue oudine: les indices des cas au pluriel sont analogues à ceux du singulier; ils s'unissent aux thèmes du nominatif au singulier, suivis des suffixes de pluralité, tels que: -უხ -ux, -ურ -ur, -მ-უხ -m-ux, -ურ-უხ -ur-ux.

**-ენჯ სუფიქსი მებრულში**

ქართულში არის სხვადასხვა ფუნქციით აღჭურვილი ორი -არ ბოლოსართი. ერთი მათგანი, ა. შანიძის გამოკვლევით, სადაურობის ანუ ვინაობის გამომხატველია. იგი ქართულში მეგრულ(-ჭანურიდანაა) შემოსული და რამდენიმე ძველად ნაწარმოებ სიტყვებშია დაცული, როგორცაა: ო ლ თ ი ს -არ-ი, მ ტ ბ ე ვ -არ-ი, ო ღ ი შ -არ-ი, ვ ი ხ ი კ -არ-ი და სხვა. დიდი ხანია, რაც მისი მოვალეობა დაეკისრა მის ეკვივალენტ -ელ (resp. -ურ, დისიმილაციის შემთხვევაში კი -ულ) სუფიქსს ქართულსა და -ურ, -ორს ქანურში<sup>1</sup>. ამდენად იგი დღეს ორივე ენაში (ქართ.-ჭანურში) მკვდარია. მეგრულში -არ შემონახულია მხოლოდობითი რიცხვის სამიოდე სიტყვაში, როგორცაა: გ უ ფ უ -არ-ი, ჭ ყ ო ნ დ -არ-ი, მ ა რ გ -ალ-ი (← მ ა რ გ -არ-ი), სხვა შემთხვევაში კი შეცვლილია -ურ (-ულ) ბოლოსართით, მაგ.: ს ა ნ ა კ -ურ-ი, ო ნ ტ ო ფ -ურ-ი, ხ ო რ გ -ულ-ი (სენაკელი, ონტოფელი, ხორგელი)..., სამაგიეროდ იგი ჩვეულებრივ იხმარება მრავლობითი რიცხვის ფორმებში: ს ა ნ ა კ -არ-ე ფ ი (სენაკლები), ო ნ ტ ო ფ -არ-ე ფ ი (ონტოფლები), ზ უ გ ი დ -არ-ე ფ ი (ზუგდიდლები) და სხვა<sup>2</sup>.

მეორე -არ ქართულში ცოცხალია და სათანადო თავსართებთან ერთად ფართოდაა გამოყენებული ყველა დროის მიმღეობის საწარმოებლად: მ-დ ე ვ -არ-ი, მ-წ ე ვ-არ-ი, მ-წ ო ვ-არ-ი, მ-კ ვ დ-არ-ი, მ-დ გ-არ-ი... ნ ა -ქ ნ -არ-ი, ნ ა -წ ვ ი მ-არ-ი... ს ა -ტ ე ვ -არ-ი, (შე)ს ა -წ ე ვ-არ-ი და სხვა (შდრ. ნ ა -ს ა ხ ლ -არ-ი, ნ ა -ს ო ფ ლ -არ-ი...). ამავე აწმყო-მყოფადის მიმღეობათა საწარმოებლად ქართულში ხსენებულ პრეფიქსებთან ერთად -ელ'იც მოიპოვება. მისი შესატყვისია მეგრულში -ალ: მ-დ გ მ-ელ-ი=მ ა-დ გ მ-ალ-ი, მ-თ ე ს ვ-ელ-ი=მ ა-თ ა ს-ალ-ი და სხვა.

კითხვა ისმის: რა შეესატყვისება ქართულ -არ სუფიქსს მეგრულში? უკანასკნელის მიმღეობებში გვაქვს (-ონჯ), -ენჯ (ან ენჯ'ის სახეცვლილება -ანჯ, -ინჯ) ბოლოსართი, მაგალითები:

ა) აწმყოს მიმღეობის მ ა — — ენჯ აფიქსიანი: მ ა -რ-ენჯ-ი მყოფი (← რ-ინ-ა ყოფნა); გ ი -მ ა -რ-ენჯ-ი ზედამდგომი. მ ა -რ ტ -ენჯ-ი, მ ა -რ ტ -ინჯ-ი გამქცევი, მლტოლვი (← რ ტ -ე ბ -ა ვ ლ ტ ო ლ ა).

<sup>1</sup> ნ. მ ა რ ი, Грамматика чанского языка, § 116 ж.  
<sup>2</sup> დაწვრილებით ა. შ ა ნ ი ძ ე, Два чапо-мингрельских суффикса в грузинском и армянском языках, გვ. 365—369; ვინაობის სუფიქსი -არ ქართულ ენაში: ურნ. „განათლება“, 1918, № 1.

მა-ხ-ენჯ-ი || მა-ხ-ინჯ-ი მპარავი, ქურდი  
 მა-ხვ-ენჯ-ი მჯდომი; გი-მა-ხვ-ენჯ-ი ზედ მჯდომი (←ხ-უნა  
 ჯდომი)  
 მა-ქე-ენჯ-ი მომგები (მაგ., ძროხა)  
 მა-გარ-ენჯ-ა მტირალა (გარა, ნ-გარა=გლო-ვა 'ტირილი')...  
 მა-ჩამ-ენჯ-ა, მა-ჩამ-ინჯ-ა || მა-ჩამ-ინდ-ა მკბენარა...

- ბ) ნამყოს მიმღეობის ნა- — ენჯ აფიქსიანი:  
 ნა-რ-ენჯ-ი, ნა-რ-ინჯ-ი ნამყოფი  
 ნა-რტ-ენჯ-ი განაქცევი, ნალტოლვი  
 ნა-ხვ-ენჯ-ი, დო-ნა-ხვ-ენჯ-ი ნაჯდომი, დანაჯდომი...
- გ) მყოფადის მიმღეობის ო- — ენჯ აფიქსიანი:  
 ო-რ-ენჯ-ი<sup>1</sup> სამყოფელი, სამყოფი: მულა-რ-ენჯ-ი (←მულა-ო-რ-ენჯ-ი)  
 სადგომი, ბინა  
 ო-ხე-ენჯ-ი საჯდომი  
 ო-შქურ-ენჯ-ი, ო-შქურ-ანჯ-ი || ო-შქურ-ანდ-ი საშიშარი, საშიში  
 ო-რცხ-ონჯ-ი სავარცხელი (←რცხ-ონ-უ-ა ვარცხნა).

დ) უარყოფითი მიმღეობის უ- — ენჯ აფიქსიანი:  
 უ-რჩქ-ენჯ-ი, უ-ჩქ-ინჯ-ი || უ-რჩქ-ინდ-ი უცოდინარი, უცივი  
 უ-შქურ-ანჯ-ი || უ-შქურ-ანდ-ი უშიშარი.

ე) -ენჯ სუფიქსიანი:  
 ლურ-ენჯ-ი მძინარი  
 იწო-რ-ენჯ-ი პირისპირ მდგომი(?)

მიკო-ქე-ენჯ-ი, მუკო-ქე-ენჯ-ი საცმელი, ტანისამოსი; გინო-  
 ქე-ენჯ-ი ზედასაცმელი, მოსასხამი (←მიკო-ქუნა ჩაცმა, გინო-ქუნა  
 გადაცმა)

მე-ცე-ენჯ-ი მიმყოლი; მო-ცე-ენჯ-ი მომყოლი; გე-ცე-ენჯ-ი  
 მომღვენო

შქურ-ინჯ-ა<sup>2</sup> || შქურ-ინდ-ა მშიშარა  
 ჭყორ-ინჯ-ა<sup>2</sup> მწყურალა

<sup>1</sup> ალბათ ამის სახეცვლილება ო-რ-ინჯ-ი — ორიჯ-ი || ორჯ-ი 'საქონელი, პირუტყვი' (ძროხა, ხარი). მის ამგვარ წარმოება-გაგებას მხარს უჭერს სა-ცხოვ-არ-ი, ცხოვ-არ-ი, ცხოვ-ელ-ი. ნ. მარი მართალი უნდა იყოს, რომ მას სომხურში *Լրիշ* მეგრულ(-ჭანურ)იდან შესულად მიაჩნია (Яфетические элементы в языках Армении, IV, 1912, გვ. 834).

<sup>2</sup> -ინჯ-ა ისეთივე სახეცვლილება უნდა იყოს -ენჯ-ა ბოლოსართისა, როგორც -ინჯ არის-ენჯისა: მახ-ენჯ-ი || მახ-ინჯ-ი, მართ-ენჯ-ი || მართ-ინჯ-ი... მაჩამ-ენჯ-ა || მაჩამ-ინჯ-ა... მაშასადამე, უნდა გვქონოდა: \*შქურ-ენჯ-ა || \*შქურ-ინჯ-ა, \*ჭყორ-ენჯ-ა || \*ჭყორ-ინჯ-ა... მაგრამ უკანასკნელი ფორმების (ჭყორ-ინჯ-ა და სხვ.) გამტკიცებას უთუოდ ხელი შეუწყო სახელზნანამ, როგორცაა: ჭყორინ-ი, შქურინ-ი... ინჯაში - ა კვლავ საწარმოებელი ფორმანტია ქართულ -ას შესატყვისი. ანდენად

ჩანს, აწმყო-ნამყო-მყოფადის მიმღობათა საწარმოებლად მეგრულს ქართულ -არ სუფიქსის ეკვივალენტად -ენჯ (-ინჯ/-ანჯ) გააჩნია. მაგრამ დღეს ეს უქმ ფორმანტად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ზემოაღნიშნულთ გარდა მით ახლების წარმოება ვერ ხერხდება. კიდევ მეტი: ამ შემთხვევებშიც მას ეცილება -ალ ბოლოსართი და ამის გამო გვაქვს პარალელური ფორმები: მაქვე-ენჯ-ი და მაქიმინ-ალ-ი, მახ-ენჯ-ი და მახირ-ალ-ი, ო-ხვ-ენჯ-ი და დახუნ-ალ-ი და სხვ.

ქართ. -არ და მეგრულ -ენჯ არა მარტო მორფოლოგიურად ფარავენ ერთმანეთს, არამედ ფონეტიკურადაც ეკვივალენტები ჩანან ერთუთისა. ეს მტიკლება ქართ.-მეგრული შედარებითი ფონეტიკის მონაცემებით.

ცნობილია, რომ ქართ. ას მეგრულში შეესატყვისება სათანადო შემთხვევებში ო და არაიშვითად ე<sup>1</sup>; მაგ.: ძარღვი=ჯერღვი, ვენახი=ბინეხო, მოძღვარი=ჯღვერი, ტყავი=ტყები, აღ-წინდებული=ე პრევერბს (ავება=ეფ-შაფა და სხვა)... ქათამი=ქოთომი, ასი=ოში, კაცი=კოჩი, ძალი=ჯოლორი და მრავალი სხვა. ქართ. რ ხშირად მეგრულში ჯ<sup>2</sup>ს შეესატყვისებს, რაც აგრეთვე დიდი ხანია ლიტერატურაში აღნიშნულია<sup>3</sup>; მაგ.: ცერი=ჩანჯი, წვერი=წვანჯი, ძირი=ჯინჯი, ქური=ქუჯი, ხარი=ხოჯი, ზამთარი=ზოთონჯი<sup>4</sup>, მარ(ილი)=მენჯი<sup>5</sup>, მ-ხარი=ხუჯი, ფური=ფუჯი და სხვა. რაც შეეხება ნ<sup>6</sup>ს, ის განვითარებულია ფონეტიკურად. ამის არა ერთი შემთხვევა გვქონდა ზევით: ჩანჯი=ცერი, ჯინჯი=ძირი და სხვ.<sup>6</sup> ამგვარად, -ენჯ ფონეტიკურადაც შეესატყვისება -არ ფორმანტს<sup>7</sup>. მაშასადამე, სრული ეკვივალენტები იქნებიან ჭყორ-ინჯ-ა (-\*ჭყორ-ენჯ-ა) და მ-წყრ-ალ-ა (-\*მ-წყრ-არ-ა), მაჩამ-ენჯ-ა 'მკებნარა' და მ-ცემ-არ-ა, მა-ქვე-ენჯ-ი (-\*მა-ქმ-ენჯ-ი) და \*მ-ქმ-არ-ი/მ-ქნ-არ-ი და ა. შ.

-ჯა<sup>8</sup>სა და მით უმეტეს ჯ<sup>9</sup>ის სუფიქსად მიჩნევა და გამოყოფა სწორი არ უნდა იყოს (ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, Грамматика мингр. яз., § 105 ახს; § 127; აღ. ც ა გ ა რ ე ლ ი, Мингрельские языки, II, § 28 ა, შნშ. მაგალითებიც იხ. იქვე). -ანჯიც (უ-შქურ-ანჯ-სა და სხვ.) სახეცვლილებად ჩანს -ენჯ<sup>10</sup>ისა. ზოგიერთ შემთხვევაში მიმღობის თავსართის გამოუვლინებლობა (ზოგორიკვა: ღურენჯ-ი, გინოქვე-ენჯ-ი, ჭყორ-ინჯ-ა...) არ ნიშნავს, რომ -ენჯ<sup>11</sup>ს სხვა ფუნქცია აქვს.

<sup>1</sup> ამჟამად არ ვარკვევთ, რა შემთხვევებში შეესატყვისება ქართ. ას მეგრულში ო ან ე (იხ. ა. ც ა გ ა რ ე ლ ი, ორ. ს., § 2 კ<sup>1</sup>; § 4; პ. ჭარბია, მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან: „მოამბე“, 1895, № XII).

<sup>2</sup> ა. ც ა გ ა რ ე ლ ი, ორ. ს. § 38 ნ<sup>7</sup>, 45; ნ. მარი, к вопросу о ближайшем средстве армянского яз. с иверским, 1909 გვ. 071—2 და სხვაგანაც.

<sup>3</sup> ზამთარი არაა ირანულიდან ნასესხები სიტყვა, როგორც ეს იუსტ. აბულაძეს ჰგონია (XII საუკუნე: ქართ. საერო მწერლობა და „ვეფხ.-ტყ.“, ტფ. 1922 გვ. 102).

<sup>4</sup> მენჯი ნიშნავს მლაშე ადგილს, ტბას (შდრ. მუჯა 'მლაშობი ადგილი': საბას ლექსიკონი).

<sup>5</sup> ნ (და აგრეთვე მ, რ, ბ... თანხმოვნების) გაჩენა მეგრულში სხვა ენებთან შედარებით საკმაოდ გავრცელებულია (ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, ორ. ს., § 3 ნ).

<sup>6</sup> აღ. ც ა გ ა რ ე ლ ი ცდებოდა, როცა -ენჯის ნაცვლად ჯ ი ჰქონდა გამოყოფილი და მის შესატყვისად -რი და მით უმეტეს დ ი მიაჩნდა და არა არ (იქვე, § 38, შნშ).

დასკენა. -ენჯ მეგრულში მიმღობათა საწარმოებელი ფორმანტია. -ინჯ, -ანჯ კი მის სახეცვლილებას წარმოადგენს<sup>1</sup>. დღეს იგი უქმი სუფიქსია: ხმარებიდან განდევნა ზსმა მორფოლოგიურმა მონაცვლე -ა ლ'მა. მას ფონეტიკურად და მორფოლოგიურად შეესატყვისება ქართული -არ ბოლოსართი, რომელთანაც ვინაობის საწარმოებელ -არს კავშირი არა აქვს. უკანასკნელი ქართულში შემოსულია მეგრულიდან და მის ეკვივალენტად ქართულში გვევლინება -ელ ფორმანტი.

## F. TOPURIA

### LE SUFFIXE -ENĶ DANS LE MÉGRÉLIEN

#### (RÉSUMÉ)

1. Le suffixe -enĶ, qui adopte aussi la forme de -inĶ, -anĶ, s'emploie dans le mégrélien pour former des participes. Mais il est chassé par sa variante -al, de sorte qu'il n'est plus usité. Il a dans le géorgien un équivalent phonétique et morphologique, le suffixe -ar, qui sert à former des participes. Par exemple, on a:

Participe présent: ma-čam-enĶ-a = m-ķben-ar-a 'mordant ou celui qui mord';

Participe passé: na-rĶ-enĶ-i = ga-na-keev-ar-i 'couru ou celui qui s'est enfui';

Participe futur: o-škur-e/anĶ-i = sa-š-išar-i 'ce qui est à craindre';

Participe négatif: u-rĶ-enĶ-i = u-codin-ar-i 'celui qui ignore, ignorant'...

Phonétiquement, e mégrélien = a géorgien, et Ķ mégrélien = r géorgien, n étant une adjonction: Ķeryvi = raryvi 'la veine'... xoĶi = xari 'le boeuf' etc.

2. La différence entre le suffixe -ar, qui sert à former des participes géorgiens, et le suffixe -ar marquant l'origine ou la provenance, consiste en ceci que ce dernier suffixe est emprunté au mégrélien et possède dans le géorgien un équivalent phonético-morphologique -el: Ķqond-ar-i (= \*Ķqondid-ar-i), qui signifie en géorg. Ķqondid-el-i 'originaire de Ķqondidi'.

<sup>1</sup> -ონჯ'ი ც იმავე -ენჯ'ის ფუნქციისაა და -არ'ის შესატყვისი. გვაქვს სიტყვებში, როგორიცაა: ზოთონჯი 'ზამთარი', ქომონჯი || ქომოჯი 'ქმარი', ორცხონჯი 'სა-ვარცხელი', მაგრამ ამთ შესახებ ცალკე.

I. საანგარიშო მოხსენება ჭანეთში საენათმეცნიერო  
მივლინებისა 1917 წ. ზაფხულს

II. მივლინების დღიური

აქ წარმოდგენილია განსვენ. პროფ. ი. ყიფშიძის (გარდაიცვ. 1919 წ.) საანგარიშო მოხსენება ჭანეთში საენათმეცნიერო მივლინების შესახებ 1917 წლ. ზაფხულს და ამავე მივლინების დღიური (შავი).

ერთი-და-მეორეც ქვეყნდება თითქმის უცვლელად იმ განსაკუთრებული სამეცნიერო მნიშვნელობის გამო, რომელიც მათ აქვს.

სამწუხაროდ, ეს მასალა დღემდის გამოუქვეყნებელი დარჩა. იგი მხოლოდ შემთხვევით გადაარჩა დაკარგვას.

მეგრულის შესახებ ფუნდამენტალური გამოკვლევის<sup>1</sup> ავტორს, პროფ. ი. ყიფშიძეს ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ჭანურის შესწავლის საქმეშიც: 1911 წლის ზაფხულს მან აწარმოა დაკვირვება ხოფური კილოკავის ჩხალურ თქმაზე და შედეგი ტექსტებისა და სპეციალური გამოკვლევის სახით გამოაქვეყნა<sup>2</sup>. 1917 წელს იმგზავრა ჭანეთში და თვენახევრის მუშაობის შედეგად, როგორც თვითონ აღნიშნავს (იხ. საანგარ. მოხსენ. გვ. 3), 15 ფორმამდის ტექსტები ჩაიწერა. ეს ტექსტები ყოფ. კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის ზოგიერთი თანამშრომლის დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობის გამო დღემდის ვერ ეღირსა გამოქვეყნებას (მისი ნაწილი ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერ. კულტ. ინსტიტუტს დაუბრუნდა ამ ერთი თვის წინათ ხელისუფლების ორგანოთა დახმარებით)\*. და ეს მაშინ, როცა ჭანურზე მომუშავენი იძულებული ვიყავით ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში შემთხვევით წარმოდგენილ ჭანურ მასალას დაეყრდნობოდით და ამ-მკრთალად უკუფენილი შუქის მიხედვით გაგვეთვალისწინებინა ჭანური კილოკავ-თქმების მრავალფეროვნება.

ხსენებული ტექსტების გამოცემა გადაუდებელი საქმეა. ამით შესაძლებელი გახდება გაირკვეს მთელი რიგი საკითხები, დაზუსტდეს სპეციალურ ლიტერატურაში წამოყენებული დებულებები და გამოთქმული ვარაუდები. უკვე ამ საანგარიშო მოხსენების მიხედვითაც ირკვევა ზოგი რამ საინტერესო; მაგალითად,

<sup>1</sup> «Граматика мингрельского (иверского) языка», СПБ. 1914.

<sup>2</sup> «Дополнительные сведения о чанском языке», СПБ. 1912.

\* ეს მასალები სავსებით თვითნებურად და აღმინისტრაციის დაუფიქრებლად გატანილ იქნა ინსტიტუტიდან ინსტიტუტის ყოფ. თანამშრომლის ის. ციტაშის მიერ, ვიდრე არ ჩამოერთვა მას 1937 წ. დამდეგს. ამჟამად მწელია თქმა, თუ რა და რამდენი აკლია ამ ტექსტებს, მაგრამ რომ აკლია, ეს კი უმჭვლეია. „მომამბის“ რედაქცია.

აქ ნათქვამია (იხ. გვ. 152), რომ: 1. უკანაენისმიერთა აფრიკაცია უფრო ფართოდ არის გავრცელებული, ვინემ დღემდის იყო ცნობილიო (ეს მოვლენა ს. ბულეფისთვის იყო მიჩნეული დამახასიათებლად); ჩვენში შეკრებილი ტექსტების მიხედვით ასეთივე დასკვნაა გაკეთებული ჩვენს ნარკვევში<sup>1</sup>; 2. ბოლოკიდური -ს- დასუსტება დადასტურებულია ართაშნულს ტქმაში<sup>2</sup> (ნაწილობრივ დოც. ს. ჯიქიას მიერ ჩაწერილ ათინურ ტექსტებში); საანგარიშო მოხსენებაში ეს მოვლენა საერთოდ ათინურისათვისაა გამოცხადებული დამახასიათებლად (გვ. 152); 3. საინტერესოა და მნიშვნელოვანი ორიოდ შემთხვევა -(ი)შა- დაბოლოების ხმარებისა ათინურში, როგორც მიმართულებითის, ისე დაშორებითი ბრუნვის მნიშვნელობით: „მემედ...ალოზადე (არანაში ჩოიშა)—იხ. „დღიური“, (აქვე, გვ. 164): ჩოიშა=ჩოიშე---სოფლიდან... ათინაშა წუკიტიშა ხუ ვერსი ონ (აქვე, გვ. 163)— „ათინიდან წუკიტამდის ხუთი ვერსია“; უნდა ყოფილიყო: ათინაშე წუკიტიშა... ამგვარად, მიმართულებითი ბრუნვა დაშორებითის როლშიაც გამოდის. როგორც ცნობილია, არქაბულშიაც ამ ორ ბრუნვას ერთი და იგივე ფლექსია აღნიშნავს, ოღონდ აქ დაშორებითი ბრუნვის ფლექსიაა ორივესთვის გამოყენებული... ბრუნვათა ისტორიული განვითარების თვალსაზრისით ამგვარი ფაქტი განსაკუთრებული ღირებულებისაა. ამგვარ საკითხებს დავუბრუნდებით ი. ყიფშიძისეული „ჭანური ტექსტების“ გამოცემასთან დაკავშირებით.

დღიურში ორჯერაა მოცემული დასახლებული პუნქტების ნუსხა — მოსახლეობის ჩვენებით; პირველ შემთხვევაში მოსახლეობის შესახები ცნობები მივლინებისდროინდელ ვითარებას უნდა ასახავდეს, მეორეში — გარეშე წყაროდან აღებული ცნობები უნდა გვეკონდეს. ამ მეორე ნუსხას შენიშვნა აქვს: „შემოწმებული არააო!“, მაგრამ პუნქტების სახელები აქაც ხშირადაა შესწორებული: რუსულად დაწერილ სიტყვის ამა თუ იმ ასოს ზედ ქართული ასო აწერია. ყველა ასეთ შემთხვევაში ადგილის სახელი შესწორებული სახით გვერდით ჩაწერეთ ქართულად და კავებში ჩავსვით (ფრჩხილებში თვით ავტორი ათავსებს თავის შენიშვნებს). საერთოდ თუ რამე ცვლილება ტექსტში შეტანილი, თუნდაც ტექნიკური ხასიათისა, ეს ყველგან აღნიშნული გვაქვს სათანადო ადგილას.

ტფილისი, 14 აპრილს, 1937 წ.

არნ. ჩიქმბაძე

<sup>1</sup> „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“... ტფ. 1936, გვ. 29.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 22.

ОТЧЕТ О ЛИНГВИСТИЧЕСКОЙ КОМАНДИРОВКЕ  
В ЧАНИЮ (ЛАЗИСТАН) ЛЕТОМ 1917 Г.

.....\*

Став ареной военных действий в течение нескольких месяцев, Лазистан испытал все ужасы современной беспощадной войны, и жители разбежались, бросив на произвол судьбы все свое состояние. «Не осталось ни дома, ни очага; куда нам идти, братец ты мой! Ходим во все стороны с плачем и рыданиями, братец ты мой!» Так оплакивает один из лазских народных поэтов современное состояние Лазистана. Другой поэт, рисуя бедственное положение лазов-беженцев, говорит, между прочим, следующее: «Какая масса беженцев идет, бросив дома и усадьбы свои! У многих нет средств к существованию, мрут с голоду; мало кто о них печалится!»

.....

Главной целью моей поездки в Лазистан было изучение лазского *или чанского языка*<sup>1</sup>. Поездка оказалась более чем удачной, в особенности, если принять во внимание тяжелые условия переживаемого момента, когда затруднена не только научная, но и всякая иная работа. Пробел, мешавший дальнейшему изучению чанского языка, именно неимение текстов в достаточном количестве, ныне восполнен: собрано разного рода текстов по чанскому языку по меньшей мере на 15 печатных листов. Строгий приговор

---

\* მრავალი წერტილი აღნიშნული რამდენიმე ფრაზა, რომელიც გამოცემაში გამოტოვებული რედაქციის მიერ. რ ე დ.

9. VIII. ოთხშაბათი. ფელუკით მივდივარ ვიწეს. თანამგზავრები ლახებია. 2 საათზე გამოვედით და 4-ზე მოვედით. ჰიმ ბიკი კავალი ოქანდინამს [ბეჩარ-ოღლი ხაჩიფი, ბევრი დესტნები აქვს, ვიწეს — მოუკლავთ].


ოსმან ეფ. რეზოღლი (ბათუმელი აფხაზი, ქართულად მშენებრად ლაპარაკობს).

<sup>1</sup> ფრჩხილებში ჩასმული ასო გაურკვეველია.— ა. ჩ.

ერთცახზე გადავრჩით, ვიწეში გადასვლის დროს. ზღვა ძლიერ ლელავდა. თითონ ვიწეში ჩვენი გადასხმა არ მოხერხდა, წავედით ზევით, ას ერთ ვერსზე და, როგორც იყო, იქ ვადმოგვსხეს. ფელაუკას ბურთივით ათამაშებდა ტალღები, ფელაუკას პატრონს მკერდამდის სცემდა ტალღებზე და ისე გადაიტანა ნივთები და მეც კისერზე დავაჯექი და ფეხები მუხლებამდის ტალღებში მოყვა და სულ ერთიანად დავსველდი. ოსმანი გადახტა, როგორც კი ნაპირს მივუახლოვდით, მაგრამ მერმე ძლიერ დასოვლდა, რადგან თოკი ეკავა ხელში და ფელაუკას იკავებდა... გურული ნაპირზე იყო და არ მოგვეხმარა. მივედით ვიწეში, ვინაშნულეთ მემედ ეჭ. და წაგვიყვანა ღამის გასათევად სოფელში გაქცეულის სახლში, ვივახშმეთ: თევზი, ტაფამწვარი, წვენი ხორციით... ჩაი... თხილი!

10. VIII. ხუთშაბათი. სახლი ორ სართულიანია. გარეშე კედლები ქვისაა: ჯერ დაკეთებულია პატარ-პატარა ხის უჯრედები და მერმე შიგ ჩაყენებულია ქვები (რიყის ქვები მოცისფრო) და მერმე გალესილი. შინა კედლები ხისაა (წიფლის). ფანჯრებს გარედან „სტამნები“ აქვს.

სასტუმრო ოთახში კარების თავის გასწვრივ სარტყელი მისდევს მოჭრულ ქვით და სვეტის თავებზე იქა-აქა



ტახტი ფართოა, თითქმის ორი არშინი. ჩარდახი (სასტუმრო), ოღა (ოთახი); კერია, სადაც ცეცხლი ანთია... მწკორა (საჯალაბო); დულაბი (შეაფი კედელში); მედინე (წვრიმანების ჩასაყარი). [ღემზი — ბიჭის სახლი... ორივე იცინის, ქანურს რო ვეკითხები... ჰემით გენჯალოლოლი]... მემსოფა (ტახტი)...

- 1) მუსა ეჭ. (ვაჰიდის ძმა);
- 2) მემედ " " "

3) ოსმან ეჭ. ჰაჯი ოსმან ოღლი, ვიწელია (?) მოხუცი 72 წ. დანა მიუცია მარს.

11. VIII. პარასკევი. ვიწეში ბაზრობის დღეა, სოფლიდან ქალები ჩამოვიდნენ, არც მაინცა და მაინც ძლიერ იფარავენ პირს. ქალამანი და ქრელი წინდები აცვიათ. ასზე მეტი ღუქანი ყოფილა...

მარბილი ოყა ასი ფარა = ერთი აბაზი...

შევხვდი ხუსეან კოჩოღლის; ფრიად გამიხარდა. თუ ომი არ გათავდა, ჩვენი ბავშვები ისე დარჩებიან როგორც აფაზების<sup>1</sup> ბავშვებო, ე. ი. წერა-კითხვა

<sup>1</sup> შევთომა „აფხაზების“ მაგიერ; სანეკოა, „აბაზების“ ინდივიდუალური გამოთქმა აფოს. „მოამბის“ რედაქცია.

არ ეცოდინებათო. ვახშმად: ყველის მუხლამა, კატაიფი (თ. შეროე) (ვერში-შელი), ლობაა (ხაჯი) [ძლიერ პიმპილიანი იყო; ხუსეინმა გასინჯა თუ არა წაჰოიდახა: „უხ, საათხაზო ყოფილარ“] ჩადებული პატრიყანი და კიტრი, ახალი კიტრი. როდესაც კითხავ რამეს, ნიშნად თანხმობისა წარმოსთქვამენ „ჰს“, თითქოს შესვებს რამეო.

• [კიევი 30 ფურნე და საკანდიტრო სულ ლაზებისა და ხემშინებისაა და ხემშინების ხელში იყო. სულ იქნებოდენ ორივენი 1200 (—600=600), ხაზეინები უჭეტესად ხემშინები იყვენ, აბუ-ულაადგან ოსმან დავით ოღლი].

12. VIII. შაბათი. გაი-ოცხანკათი (აკენკინე) ვოცხანკათამ/ფ... ფცხანკ-უმ/ფ (ვეენკავ)... ოცხანკათუ.

13. VI:II. ღამე ბაზარში გავათიე მემედ ეფ. ოთახში. ძლიერ ნოტიო და ბნელია. ვასიუხზე ჩაით და ყველით, ვერც პური და ვერც ჭადი ვერ ვიშოვე. ჩხუბით ვიკადე  $\frac{1}{2}$  გირვანქა პური მელუქნისაგან ჩაის შემდეგ. წავედი ეტაპის კომენდატთან. მისი თანაშემწე შტაბს-კაპიტანი სობოლევსკი გავიცანი, მოხუცი; ძლიერ კარგად მიმიღო, სადილად დამპატიყა და სამი გირვანქა პურიც 30 კ. გამომატანა.

[მემედ ეფ. ქართულად კითხულობს, მაგრამ არ იცის „ა“, ჰ, ე].

14. VIII. კევს ჭამენ მამაკაცები.

15. VIII. მემედ ეფ. მწერალი უნდა ვიწეში [?].

16. VIII. სუქლა, ვაკუფლები ვნახე.

ქვის ორტატი ალი ზაქ-ოღლი.

[მელიტონა ჩხეიძე, დიშის საზოგადოების, იმასთან ჰქონია ნივთები დატო-ვებული]. [კარგია, გაქცეულების სახლებს ინახავენ]...

ზორი = ჯავრი.

[ქვა — ნიყვა, ქვა — ლომ-აქლემა].

ფელუკით ვიმგზავრე არქაბემდის, მშენიერი ზღვა იყო.

საღამოს მიველი. გავჩერდი ნიკო ცერცვაძის „სასტუმროში“.

იქვეა სათემოდან ლაერენტი აშოთია... ღამე ვირობებმა კილამ შეგვკამეს.

17. VIII. თესფილი (კრიალოსანი).

ვარ მიჩქინ

შა მიჩქინი (ხომ არ ვიცი)

ვაშა (მაინცდამაინც არ)

ვაშა სოთი ნულუ[რ] (ხომ არ სად მიდინხარ).

ელა-ბღვი- — положил у чего-[л]

მებო-ღვი- — მივაყუდე

ქოდო-ბღვი- — დავსდეგ

ქოგე- — — ზეშედეგ

ქოგოლა-	—	—	სულ ზევით (მთაზე)
ქოდოლო-	—	—	ჩაეუშვი (ჭუვალის)
მეშა-	—	—	შევდევ (ხვრელში, უჯრაში)
ეწა-	—	—	ქვეშ ამოვდევი, ПОДЛОЖИЛ
ოკო-	—	—	მივადევი ერთმანეთს
გეწა-	—	—	თავი გავუდევი
მო-ბიდევი-	—	—	მხარზე გავიდევი (ბერგი, ტუფელი)
ე-	—	—	ზურგზე მოვიდევი
გე-ბუდევი-	—	—	სხვას გავუდევი.

18. VIII. პარასკევი. მიმინოები ბევრსა ჰყავს, ახლაც იჭერენ.

[იასონ ვასაძე (ПОТНИК, კანტორა შროშის გზისა), გურული, უნახავს არქა-ბეში ან თითბერის ან სპილენჯის  $\frac{1}{4}$  არშინი სიგრძით, ჯვარი, წარწერა აქვს. ეს ცნობა გადმომცა სვიმონ ჩაჩავაძე] სოფლიდან ჩამოვიდენ, თავი მოპარსული აქვსთ და წინ სულ ცოტაზე დატოვებული.

19. VIII. ფანჯრებს ხშირად რკინები აქვთ დატანებული, ქალი არ მოგეტაცონო. საღამოს ნუსრედ ეჭ. მიგვიპატიყა მე, ელიაზარი და ბათუმიდან მოსული. მშვენიერად ცხოვრობს, გაგვიმასპინძლდა: არაყი (გურიიდან), ორგვარი კიტრი: ნედლი და მჟავე, ტაფამწვარი, პატრიქიანი ერბოთი, კაჟამაქო, ფლავი მაწვნით.

ჭურჭელი ევროპიული, სუფთა, პირისაბანი...

20. VIII. ფორთოხლის ხეები ეზოებში აქვსთ, მაგრამ წელს არ აბია და გასულ ზამთარში დაზიანებული შემხმარა. ხუჯალში ერთ ადგილას აბია.

20-21. VIII. პერონთი. დ. კლდიაშვილთან<sup>1</sup>. სწუხს, რომ ისევ აქ გადმოიყვანეს . . . . .

წამომყვა სალდათი ალ. რომაქიძე.

ხოფის მამასახლისი: ომერ აზაქ-ოღლი.

კომისარმა პელცმა დააკავა.

21-22. VIII. წავედი ბუჯალში.

ვახშამი: ლობიო, კაჟმაქლი, ბურელი, მაკარინა, კიტრი ახალი, მჟავე პომიდორი.

რკინის კრაოტი, საკერავი მანქანა, ლოგინი სუფთა, მხოლოდ ნესტიანი სუნე უდის, აბრეშუმის საბანი.

22-23. VIII. ოთხშაბათი. ღამე ორთახოფას აბდულასთან.

[ლაშარონი ჯოლორი] (ცოფიანი) ლაშარი — ცოფი...

<sup>1</sup> ამ შეხვედრის შესახებ იხ. დავ. კლდიაშვილის „მემუარები“, ტფილისი, „სახელგამი“ 1933 წ., გვ. 358—359.

აბდულა ბრალსა გვედებს ქართველებს, რომ მათი შვილები რამოდენიმე მაინც არ იზრდებოდა ქუთაისსა და ტფილისში: „ენხლა ხომ ბევრს ეცოდინებოდა ქართულიო“. ქალებს მიტომ არ ვაგზავნით თათრულ შკოლებში, რომ დედაენა დაავიწყდებოდათო, როგორც ჩვენ მამაკაცებს დაგვაავიწყდაო. 30 წელიწადი ჩვენ ბავშავით მოვლა დაგვკვირდება, რადგან ენა არ ვიცით და სასამართლოებში თუ კარგი ვეჭილები არ გვეყოლა, ვერაფერს გავაწყობთო. ამ ოთხმოცი წლის წინად კიდევ იფიცებდნენ: დადიანი ვარ დოღურას, შაფა ვარ დოღურას,

[რას რა ნაყონუ დო (ვაი-ვაგლახი) ლომუ ლიბუ დიყუ!

მო-მაყონუ (მომყვა) მოგაყონუ, მო-აყონუ

მე-მაყონუ (მიმყვა)

მე-გაყონუ

ნაყონუ

ლაზუტის პ/ფუშქინარი — ბადიბუდია].

ჩაიში ურევენ კარამდილ (მიხაკი) დაღინ (დარჩინი)...

ზენჯედილ ჰინდისტან ჯევიზი (кокос. орех).

ჯაუზი (გურიაში) ჰალვიჯანი (ძირი).

23-24. VIII. ოკოთურა... ღამე გავათიე ახლად გამოშვებულ ომერთან.

აოღურთი დო კაკალითე შუკა გეჭკირელი.

კირი-ჰვეერი (ადგილის სახელი ჭიტაბუჯადის)...

კიკივათი (ადგილის სახელი ამის ზეით)...

ლორიგინძე (ადგილის სახელი ჭიტა ბუჯ. და ორთახოფის შუაზე)...

ქურუმი (ლომის თაველი)

ჩერტილი (გაუწმედელი ბრინჯი).

24-25. VIII. ღამე გავათიე ომერთან.

25-26. VIII. ღამე გავათიე მუჰამედ ეფ. [სოლომონ ლომაძე, სალდათი. მოსე ბაბილოძე, მოსეს მცველი].

27. VIII. ავტომობილით ბათუმისაკენ.

[აღსუფ-იოსებ ეფ., „თქვა“ რომ ვეტყოდი ერთ კაცს, გამისწორებდა „სი“ უნდა თქვაო].

[ბარგის გადამზიდავად ვიწვდანაც სუმლამდის და არქაბედან პირონითამდის ისპირლები მიშოვეს].

იცი კია რა ვქენი? [დიღმელი ვერა].

**პარლამ ტოფუზია**

**ზოგიერთი ბრუნვის ვენეზისისათვის მებრულ-ჭანურში**

მეგრულ-ჭანურის შესახებ არსებულ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართულთან შედარებით მეტი აქვს მეგრულს სამი ბრუნვა: მიმართულებითი, დაწყებითი და დანიშნულებითი, ხოლო ჭანურს ორი ბრუნვა: იგივე მიმართულებითი და დაწყებითი, ანუ დაშორებითი. მაგ.:

	მეგრული	ჭანური	ქართული
მიმართულებითი	კოჩიშა	კოჩიშა	კაცისკენ (კაცთან...)
დაწყებითი	კოჩიშე	კოჩიშენ	კაცისაგან
დანიშნულებითი	კოჩიშოთ <sup>1</sup>	—	კაცისთვის <sup>1</sup>

ბ. მარისა და ი. ყიფშიძის<sup>2</sup> სიტყვით მიმართულებითი არის «Именной Дательный (=Д.=Н.<sup>1</sup>) на შა с картскою огласовкою»..., ხოლო დაწყებითისათვის გამოყენებულია «Род. падеж с тубал-кайнскою огласовкою შე (|| ში)». რაც შეეხება დანიშნულებითს, ის შიჩნეულია მეორე მიცემით ბრუნვად—«Другой Дательный (=Д.=Н.<sup>4</sup>), собственно Дательный пользы, с тубал-кайнскою переогласовкою гласного элемента окончания а в о, напр., კოჩი-შო, иногда с добавлением послелога თ—კოჩი-შო(თ) *оля челоушка*... ამ ბრუნვათა დაბოლოებებად გამოცხადებულია -შა, -შე, -შო და ესენი ახსნილია წარმოდგარად ბევრების გადასმით პირვანდელი \*-აშ, \*-ეშ, \*-ოშ ფორმანტებისაგან (ჭან. გრ. §§ 15, 16 ხ, 18; მეგრ. გრ. §§ 17 ახ, 18 ხ). ამგვარად გამოდის, რომ მიმართულებითი და დანიშნულებითი ორივე მიცემითა, პირველი—ქართული გახმოვნებით (-შა) და მეორე მეგრულ-ჭანური გარდახმოვნებით (-შო), ხოლო დაწყებითი ნათესაობითა სველავ მეგრულ-ჭანური გახმოვნებით (-შე). მაგრამ ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება შემდეგი: 1. ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკიდან ჩანს, რომ მიცემითს მეგრულ-ჭანურში არ ჰქონდა \*-აშ (→ -შა) ან \*-ოშ (→ -შო) დაბოლოება, 2. აუხსნელი რჩება დანიშნულებითისათვის -თს დართვა და მისი ფუნქცია, 3. გაუგებარია მეგრულდაბოლოებიან მიცემითთან ერთად ქართულ-მეგრულდაბოლოებიანი მიცემითის გამოყენება, 4. სხვაგვარ შედგენილობისად გამოდის პირთა ნაკვალსახელეზი ამ ბრუნვებში მაშინ, როცა მათი შედგენილობა თითქოს მთლიანად

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ. 1936, გვ. 51-52.  
<sup>2</sup> ბ. მარია, Грамматика чанского (чакского) языка, 1910; ი. ყიფშიძე, Грамматика мшгрельского (иверского) языка, 1914.

ემთხვევა ზოგადი სახელებისას და 5. რაც მთავარია, ხერხდება ამ ფორმათა მართალი ანალიზი.

სამივე ზემოდსახელებული ბრუნვა—მიმართულებითი, დაწყებითი და დანიშნულებითი წარმომდგარია ნათესაობითისაგან. ამას ამტკიცებს: 1. საერთო ფუძე—შ დაბოლოებიანი (მიღებული ნათესაობითი ბრუნვისაგან), 2. ნაცვალსახელთა ბრუნება და 3. ანალოგიური წარმოება ზოგიერთ ქართულ დიალექტსა (როგორცაა: ფშაური, ხევსურული, გურული) და სვანურ ენაში. მაგ.:

	მეგრულ-ქანური შდ.		მეგრული	ქანური		
ნათესაობითი	თომა-შ	თმისა	ჩქიმ	ჩქიმ	შქიმ	ჩემ
მიმართულ.	თომა-შ-ა	თმისკენ	ჩქიმ-და	ჩქიმ-და	შქიმ-და	ჩემდა
დაწყებითი	თომა-შ-ე	თმიდან	ჩქიმ-დე	ჩქიმ-დე <sup>1</sup>	შქიმ-დე <sup>1</sup>	ჩემგან
დანიშ. მეგრ.	თომა-შ-ოთ	თმისთვის	ჩქიმ-ოთ			ჩემთვის

და ასე სხვა პირთა ნაცვალსახელები: სქან/სკან შენ, სქან-და/სკან-და შენდა, სქან-დე/სკან-დე<sup>1</sup> შენგან და ა. შ.

შეპირისპირებიდან აშკარად ჩანს, რომ გამოსავალია ნათესაობითი ბრუნვა (ფუძეა: თომაშ, ჩქიმ...) და დანიშნულებითს გამოყენებული აქტეს ეველა შემთხვევაში -ოთ<sup>1</sup>, ხოლო ერთმანეთისაგან განსხვავებით მიმართულებითს—ზოგადსახელებში -ა, ნაცვალსახელებში -და, დაწყებითს—ე, ქანურში -ე<sup>1</sup>, ნაცვალსახელებში -დე, ქანურში -დე<sup>1</sup>.

ჭნობილია, რომ დანიშნულებითის -ოთ<sup>1</sup> იგივეა, რაც ე. წ. ვნებითის დაბოლოება (კოჩ-ოთ=კაც-ად); ასე, რომ დანიშნულებითი ნათესაობითარი ვნებითა. მსგავსი წარმოება ჩვეულებრივია იმ დიალექტებსა და ენაში, სადაც -თვის თანდებული არ მოიპოვება. მაგ.:

ხევსურულში: მეთორმეტისა და რო შამაუკრავ კმალი... შაუძახნება ვთისა და (ბ. გაბუური, კვესურული მასალები: „წელიწადული“, 159) = ცეთორმეტისათვის რომ შემოუკრავს ხმალი... შაუძახნებია ღვთისათვის);

ერთ დღისა და დაამზადებს (იქვე, 129) = ერთი დღისთვის დაამზადებს...

ფშაურში: ქმრისა და სახლის მძებნელი (ვაჟა, III, 45) = ქმრისთვის...  
 სხვისა და მიცემა აბჯრისა (იქვე, 50) = სხვისთვის...  
 სახლისა და ხარ ურგები („ 46) = სახლისთვის...

გურულში ვნებითის დ იმსგავსებს ნათესაობითის -ხ ელემენტს და მის ზ'დ ქცევის შემდეგ თითონ იკარგვის<sup>1</sup>: იმიზა არ გაქ ხეირი (ნიროშვილი, II, 179): იმიზა ← იმის-და 'იმისთვის'.

მუშა კაციზა აგი ღლეები ძვირად ღირს (იქვე, 180): კაციზა ← კაცის-და 'კაცისთვის' და სხვა მრავალი.

სვანურში: ვოხვიშდ ლის, ჩიშიშდ ხაყახ: ქვიშიშდ, ლერთშდ ი ამს-ვწლდშდ

<sup>1</sup> ნ. მარი, Грамматика древнелит. грузинского языка, გვ. 90.

ხუთნი არიან, ყველასად ვარგან: სულისა დ, ღვთისა დ და ადამიანისა დ<sup>1</sup>  
ამგვალდნ<sup>2</sup>შ (ნათ.)+დ (ენებ.)=ადამიანისა+ად...

მერმა ლადლიშ დ ასდენიხ (არს. ონიანის ტექსტები, 41),—მეორე  
დღისთვის დარჩებიან: ლადლიშ+დ=დღის-ად, დღის-და → დღიზა...

ამგვარად, მეგრულის დანიშნულებითს სრული მორფოლოგიურ-ფონეტიკურ-  
რი შესატყვისი მოებოვება ქართულსა და სვანურში:

ქოთომ - ი შ - ო თ = ქათმ - ის - ა დ ან (ქათმ - ის - და →) ქათმიზ - ა = ქათ-  
ლ - შ - დ, სადაც ნათესაობითის - ი შ დაბოლოება უდრის ქართულ - ის ბოლო-  
სართს და ვნებითის - ო თ — ქართულ - ა დ 'ს ა<sup>2</sup> და სვანურ - დ 'ს. ამგვარივე შე-  
სატყვისობაა ნაცვალსახელებშიც: ჩქიმ - ო თ = ჩემ - ა დ || ჩემ - და.

რაც შეეხება მიმართულებითსა და დაწყებითს, მათ შესახებ ზევით ითქვა,  
რომ ზოგადი სახელების - ა მიმართულებითში (კოჩიშ - ა) და - ე / - ე 'ნ' დაწყ-  
ებითში (კოჩიშ - ე 'ნ') იგივეა, რაც ნაცვალსახელების - და (ჩქიმ - და) და - დ ე /  
დ ე 'ნ' (ჩქიმ - დ ე 'ნ'). მაშასადამე, მათ ერთი და იგივე ფუნქცია აქვთ. ეს კი  
გვაფიქრებინებს, რომ - და და დ ე 'ნ' ფორმანტები ერთვოდა ზოგადი სახელე-  
ბის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას, როგორც ნაცვალსახელებისას, და უნდა  
გვეჩონოდა კოჩიშ - და, კოჩიშ - დ ე 'ნ' (შდ. ჩქინ - და, ჩქინ - დ ე 'ნ' ჩვენ-  
კენ, ჩვენგან), მაგრამ ფონეტიკურ ნიადაგზე დ დაიკარგა და დარჩა ელემენტი  
- ა, - ე 'ნ' (კოჩიშ - ა, კოჩიშ - ე 'ნ'). დ 'ს დაკარგვა გამოწვეულია ქართულ-მეგ-  
რულ ენათათვის უჩვეულო შ დ კომპლექსის (კოჩიშ და) მიღების გამო. შენიშნუ-  
ლია, რომ რედუქციის შედეგად შეხვედრილი დ იქცევა თ ან ტ 'დ შ 'ს მეზობ-  
ლად: \*დაშედ — და შ თ - ი, \*ნეშედ - ი — ნე შ ტ - ი...<sup>3</sup> მეგრულშიც ეგევე იყო მოსა-  
ლოდნელი, მაგრამ შ 'ს მეზობლობაში ტ (თ) 'ც იკარგვის, რაც ჩანს სხვა შემთხვე-  
ვებიდან: შტერი — შ ე რ ი, შტრაფი — შ რ ა ფ ი... ასევე ს ტ კომპლექსი — ს: დასტრო  
(— დასტურ), ვერსი (— верста), ორსანტი (— ოსტატი: პ. ქარაიას მიხედვით),  
კასრულა (каспула) და სხვა. აღსანიშნავია, რომ თ ან და თ ა ნ ა თანდებულის  
თ იკარგვის ბრუნვის - ს ნიშნის მეზობლად ქვემოთმეგრულსა და გურულში: ხე-  
სან (— ხეს - თ ა ნ), ამასან (— ამას - თ ა ნ) და სხვ.

დ 'ს დაკარგვა ნათეს. ბრუნვის ფორმასთან შენიშნულია ძველს ქართულშიც  
ჩვენებითს ნაცვალსახელებსა და სხვაგან: მიაველინა მისა ელისე მოციქული  
(IV შეფეთა, 5<sub>10</sub>), მიერთვან არლარავინ მიაველინა მისა (შუშანიკის წამება)...  
სადაც მისა — მისდა.

ამგვარად, მიმართულებითსა და დაწყებითში - დ ელემენტი დაკარგულად  
უნდა ჩაითვალოს. დაიკარგა იგი მეგრულ-ქანურში ნათეს. ბრუნვის შ 'სთან დამს-  
გავსების შემდეგ, თუ იმგვარად, როგორც ეს ძველ ქართულში მოხდა, საქმის  
ვითარებისათვის ამას არა აქვს მნიშვნელობა.

<sup>1</sup> საარყე ქვაბი, სახურავი (ხუფი), როფი, დორა და არაყი.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, ჰან. გრ. ანალიზი, გვ. 54, 55.

<sup>3</sup> დაწვრილებით აეტორის „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში. II“ (ტფ. უნივ. მოამბე, X, გვ. 303—304).

ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება დაავასკვნათ:

1. მიმართულებითი, დაწყებითი (დაშორებითი) და ტანიშნულებითი სპეციფიკური ბრუნვებია მეგრულ-ჭანურისა. ამიტომ ისინი, როგორც ბრუნვები, ქართულსა და სვანურში არ გვხვდება და ვერც წინარქართულში ვივარაუდებთ მათ.

2. წარმოშობით ეს ბრუნვები მეორადია; მიღებული არიან: მიმართულებითი—ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან + -და: კოჩ-იშ-და — კოჩ-იშ-ა (შდ. ჩქიმ-და 'ჩემდა');

დაწყებითი (დაშორებითი)—ნათეს. ბრ. ფორმისაგან + -დე, ჭან. -დე'ნი: კოჩ-იშ-დე, ჭან. კოჩ-იშ-დე'ნი—კოჩ-იშ-ე, კოჩ-იშ-ე'ნი (შდ. ჩქიმ-დე, ჩქიმ-დე'ნი 'ჩემგან');

დანაშნულებითი (მეგრულში)—კვლავ ნათეს. ბრუნვის ფორმისაგან + ვნე-ბითის ნიშანი -ოთ: კოჩ-იშ-ოთ (შდ. ჩქიმ-ოთ 'ჩემად'). ამდენად უკანასკნელი ნაგენეტივარი ვნებითა, პირველი ორი კი ნაგენეტივარი ნაწილაკებიანი ბრუნვები.

3\* ქართველურ ენათა შედარებითს გრამატიკაში ესენი, როგორც ნაწარმოებნი—მეორადნი, ბრუნვებად არც კი შევლენ.

მინაწერი. ამჟამად არ ვეხებით საკითხებს: 1. თუ რა წარმოშობისაა მეგრ.-ჭან. -და, -დე/-დენ, 2. სადმე არიან შემონახულნი ესენი ქართულ-სვანურში თუ არა, 3. რა კავშირი აქვთ მათ სომხ. *te, ti* სუფიქსებთან, დალისტნის ზოგიერთი ენის ანალოგიურ ელემენტებთან, აფხაზურ -ნ-ძა, სვანურ -თე<sup>1</sup>, ფერეიდნულ -თი (კენ) თანდებულებთან და სხვა. მათ შესახებ ცალკე.

#### V. TOPURIA

### SUR LA GÉNÈSE DE QUELQUES CAS DANS LA LANGUE MÉGRÉLO-ՇANE

#### (RÉSUMÉ)

1. D'après la littérature spéciale concernant la langue mégrélo-Շane (Marr, Qipšize, Čikobava), le mégrélien possède, relativement au géorgien, les trois cas suivants qui font défaut dans la langue géorgienne, à savoir: Palatif, l'élatif et le cas indiquant le but ou le cas final: *kočiša* 'vers l'homme', *kočiše* 'de l'homme', *kočišot'* 'pour l'homme'. La langue Շane possède, selon les mêmes sources, encore deux cas qui font également défaut dans le géorgien. Ce sont: Palatif et l'élatif susmentionnés. Ces cas, propres à la langue mégrélo-Շane, manquent dans le géorgien et le svane, aussi bien que dans le prégéorgien.

<sup>1</sup> ჯერჯერობით: ნ. მარო, Непечатый источник истории кавказского мира, 1917, გვ. 309 და სხვა.

2. Quant à leur origine, les dits cas sont secondaires. Les deux premiers sont des cas dont la particule a servi d'indice pour le génitif, et le dernier un passif ou transformatif issu du génitif: ainsi l'alatif provient de la forme du génitif plus la particule *-da*: \**kočiš+da*→*kočiša* 'vers l'homme'; l'elatif a pour son origine la forme du génitif plus la particule *-de* (*-de'n*<sup>1</sup> dans la langue čane): \**kočiš+de*→*kočiše*, (\**kočiš+de'n*<sup>1</sup>→*kočiše'n*<sup>1</sup> pour la langue čane) 'de l'homme'; le final (dans le mégrélien) remonte à la forme du génitif plus la désinence du transformatif *-ot*: *kočiš+o't*<sup>1</sup> 'pour l'homme'. La formation analogue à celle du final s'observe dans les dialectes de la langue géorgienne (xevsur, pšav, gurien: *kač-is-ad*, gurien \**kačis-da*→*kačiza* 'pour l'homme') et dans la langue svabie (*māri-miš-d* 'pour l'homme'), tandis que les deux premiers cas et leurs particules *-da*, *-de* se maintiennent dans les pronoms: *čkim+da* 'vers moi', *čkim+de*, *čkim+de'n*<sup>1</sup> 'de moi'. Ayant une fois acquis de la ressemblance avec la désinence du génitif *-š*, le *-d* de la particule *-da*, *-de* n'apparaît plus dans son voisinage: \**kočiš-da*→*kočiš-ta*] (*kočiš-ta?*)→*kočiša* (cf. *šteri* géorg.→*šeri* mégr.; *štrapi*→*šrapi* 'l'amende'...).

3. Ces éléments là ne sont que dérivés et secondaires, et la grammaire comparée des langues kartvéliennes ne peut point les considérer comme des cas.

## სიმონ ჯანაშია

### თუხალ-თაბალი, ტიხარენი, იბერი<sup>1</sup>

ქართული კულტურის ფესვები ღრმად არის გადგმული შორეულ საუკუნეებში და სივრცეებში. მსოფლიოს ცნობილ მეცნიერთ, ფრ. ჰომელს, ელ. მაიერს, კიპერტს, ლემან-ჰაუპტს, ლენორმანს, აკად. ნ. მარს, აკად. ტურაევს და მრავალს სხვას არა ერთგზის გამოუთქვამთ მოსაზრება რომ ქართველი ტომები მემკვიდრეობითს კავშირში იმყოფებიან წინააზიის იმ უძველეს მოსახლეობასთან (სუმერები, ხეთები, მიტანიელები, ხალდეები და სხვ.), რომელმაც შექმნა საკაცობრიო კულტურის ყველაზე ადრინდელი კერები. მართლაც, ქართული კულტურის ისტორიულად მოცემული შედგენილობა ამჟღავნებს აღნიშნული კავშირის მრავალგვარსა და მრავალრიცხოვან ფაქტებს. ქართული კულტურის მეცნიერული შესწავლა ამიტომ შეუძლებელია ამ კულტურის წყაროსთვის (სათავის) ყოველმხრივი გათვალისწინების გარეშე.

აქ ჩვენ გვიხსენებთ წარმოვადგინოთ, ხეთურ-ქართული ნათესაობის საკითხისათვის, ერთი საბუთი, ამოღებული სატომო სახელწოდებათა სამყაროდან, რომელსაც ჩვენ უადრესად კრიტიკულად და ისტორიულად ვუძღვებით, რადგანაც შეგნებული გვაქვს ამ კატეგორიის ტერმინთა დიდი მიდრეკილება მრავალმხრივი ცვალებადობისადმი.

ქართველი ტომების წარმომადგენლები ამჟამად არიან<sup>2</sup>: საკუთრივ ქართველები, ანუ, როგორც მათ ზოგჯერ ეძახიან, ქართველი („ქართველი“ იმავე დროს საერთო სახელწოდებაა ამ მონათესავე ტომებისათვის), მეგრელები, ქანები, სვანები.

ეს სატომო სახელები ყველა ერთი ისტორიული ხანის პროდუქტი არ არის, ისევე, როგორც ისინი არც ერთგვარი აღნაგობისა და წარმოშობისა არ არიან.—მათი მორფოლოგიის თვალსაზრისით (და არა ფუძეთა ისტორიის მიხედვით) უძველესი, ზემოთააშობილი სახელთა შორის, არის, უეჭველად, სვანი და ქანი. პირველი, მოცემული ფორმით, *სახანი*, ცნობილია უკვე ანტიკური მწერლობისათვის, ჩვენს ერ მდე<sup>3</sup>. ბერძნულმა და რომაულმა მწერლობამ იცის ამ სახელის სხვა დაწერილობაც, რომელიც კიდევ

<sup>1</sup> მოხსენდა ენიშკი-ს ისტორიის განყოფილებას 1937 წ. 15. I. იბეჭდება გაფართოებული სახით.

<sup>2</sup> ვგულისხმობთ რომ იყენენ ისეთი ქართველი ტომებიც, რომელთაც, არახელსაყრელ პირობების წყალობით, ისტორიულ დრომდე ვერ მოაღწიეს.

<sup>3</sup> სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 2, § 14 და 19, მიხევეს გამოც. 1925, გვ. 698 და 701.

უფრო ახლოს დგას ქართულთან: ასე მაგ., პტოლემე, გეოგრ. წ. V, თ. VIII, SC 241: *Σααχρახιχίχιο*, თუ აქ მართლაც სვანები იგულისხმებიან; პლინიუს, Nat. hist., SC II, 178, VI, 14, *Suani* (თუ ესეც საეჭვო არ არის) და უკვე სრულიად უეჭველი, გვიანდელ ავტორთა, ცნობები; იხ. მაგ., პრისკე პანიელთან, გოთ. ისტორია, 41, SC I 845, *ἡβ Σααχρῶν χίχιοι*; *ἡβ Σααχρῶν*, იქვე, 846, და სხვ. ამავე სახელწოდებით იცნობენ სვანებს მეზობელი ტომებიც (ქართ. სვან-ი, მეგრ. შონი, აფხ. ა-შან-უა<sup>1</sup> და სხვ.) და ასევე უწოდებენ თვით სვანებიც თავიანთ თავს.

სიტყვა „შუან“ ამჟამად როგორც ზემო, ისევე ქვემო სვანეთში თვით ქვეყანას, სვანეთს აღნიშნავს, მაგრამ ეს, უეჭველია, მეორეული მოვლენაა. თავდაპირველად იგი სატომო სახელი იყო, რათქმუნდა. ამის საბუთია მოცემული ფუძის სხვა წარმოებანი და ანალოგიური მოვლენები სატომო სახელების სფეროდან. ზოგიერთი ზოგადი ხასიათის მოსაზრებაც ამასვე უჭერს მხარს. ასე, თუ „სვანი“ ამჟამად „მუშუან“ (ზ. სვ.) და „მუშუნი“ (ქვ. სვ.) ფორმებით გამოიხატვის, მრავლობითში უკვე ფუძე წმინდად აღიდგენს თავს — „შუანარ“ (ზ. და ქვ. სვ.). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მარტო მორფოლოგიური მოვლენა არ არის. მრავლობითისათვის ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი ძალიან საინტერესო ფორმა — „შუანლარ“, სვანები (ქვ. სვ.). „სვანეთის“ აღსანიშნავად საკუთარი ფორმებია „ლაშუან“, „სასვანო“ (ქვ. სვ.), „ლემშუანიერა“ (ზ. სვ.) და „ლემშუნერა“ (ქვ. სვ.). უკანასკნელი ფორმები ძვით სვანებს ესმით როგორც „მთელი სასვანო, მიწა-წყლითა და მოსახლეობით“<sup>2</sup>. გარდამავალი, ტომიდან ქვეყანაზე, მნიშვნელობა ტერმინისა ჩანს ისეთს ხალხურს თქმებში, როგორიცაა: „მურგულ შუან ანკანდ“ — „ყოველი სვანი (მთელი სვანეთი) ჩამოვიდა“; „მურგულ შუან ანხუატ უშუშუ“<sup>3</sup> — „მთელი სვანეთი (ყოველი სვანი) ჟამით ამოწყდა“. სემანტიკურ განვითარების ხაზი ასეთია: „სვანი“ (ისე როგორც სხვა სატომო სახელები, თუში, მაგ.) თავდაპირველად აღნიშნავს მთელ ტომს, როგორც გარკვეულს საზოგადოებრივ კავშირს, კრებულს. ტომის ცალკეული წარმომადგენელი, ინდივიდი, აღინიშნება როგორც „შვილი“ ამ ტომისა, „სახლის შვილის“, „სახლის წულის“ ენობრივ-ფსიქოლოგიურ ყაიდაზე. საზოგადოდ, კრებითი მნიშვნელობა უფრო აღრინდელია სატომო სახელებში, ვიდრე კერძობითი, საინდივიდო<sup>4</sup>.

სათანადო ფაქტები დღემდე შერჩენილია ქართულს ხალხურ პოეზიაში, სადაც ვხვდებით ისეთს დიდად საინტერესო ფორმებს, როგორიცაა: „ქართლი-

<sup>1</sup> იხ. Н. Марр. Абхазско-русский словарь, ამ სიტყვის ქვეშ.

<sup>2</sup> მადლობით უნდა აღვნიშნოთ რომ ეს ცნობები მოგვაწოდეს ა. დავითიანმა (ლბამულიდან) და სხვა სვანებმა. ალბათ გაუგებრობით ამტკიცებს სტოიანოვი — რომ „შუან“, „შუანარ“ ნიშნავს „სვანეთს“, „მუშირ“ („მუშენი“) — სვანს, СМОМПК X, отд. II, Словарь к песням. — გ რ ე ნ ი კიდევ სვანეთისათვის უზენებს „შუანა“ ფორმას იქვე, Словарь к текстам, собранным Греном.

<sup>3</sup> იმავე ცნობით.

<sup>4</sup> აკად. ნ. მარის მოსაზრებები ტერმინ „სვანის“ შესახებ იხ. მის Извездок в Сванию, X B., т. II, вып. I. განსაკ. გვ. 32 შენ. ავტორი აქ იმ აზრისკენ იხრება რომ სვანურის ძირითად შემადგენლობის მატარებელი ხალხი თავდაპირველად არ ატარებდა „სვან“ სახელწოდებას. — იაფეტური ეთნიკური სახელწოდება სვანებისა იყო „აბასნი“-ო, გვ. 34.

შვილები“<sup>1</sup>, „ქისტისშვილები“ ან „ქისტიშვილები“<sup>2</sup>, „ფშავლიშვილები“ (ან „ფშავლისშვილები“, „ფშაველთშვილები“)<sup>3</sup>, „ქარელთშვილები“<sup>4</sup>, „ოსმალში თათარი თარაქამაისშვილი“<sup>5</sup> („ოსმალში თათარს აქებენ თარაქამაის შვილსაო“, შემდეგ იგი და მისი ამხანაგები იწოდებიან როგორც): „თათრიშვილები“<sup>6</sup>, „თუშიშვილები“<sup>7</sup>, „ხევსურთშვილები“<sup>8</sup>, „ლეკისშვილები“<sup>9</sup>. ამ ტერმინებში ჩვენ, რათქმაუნდა, მეტრეული წარმოებანი გვაქვს, ოღონდ ისინი ძველი ნორმების მიხედვით არიან გამართულნი.

მოცემულს სტადიაზე, სატომო სახელი შეიცავს მწაწყლის მნიშვნელობის მომენტსაც, ან არა და, უკანასკნელი გამოიხატება სათანადო ტერმინით, რომელიც სატომო სახელთან საზღვრულის როლში გამოდის<sup>10</sup>. მხოლოდ ძალიან გვიან, კლასობრივ საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ, ჩნდება მოთხოვნილება, ამ ახალს საზოგადოებრივ-ტერიტორიულ კავშირს მოეძებნოს ახალი სახელიც<sup>11</sup>. ეს უკანასკნელი ჩვეულებრივად არის იგივე სატომო სახელწოდება, გაფორმებული ადგილსწორების აღმნიშვნელ აფიქსის საშუალებით (ქართ. სა—ო, -ეთი, თავისი გვიანდელი მნიშვნელობით). ამ საფეხურზე ძელი კრებითი მნიშვნელობის ტერმინი უკვე (ვალკეული ინდივიდის აღნიშვნის ფუნქციას კისრულობს.—კერძოდ, „სვანი“ ტერმინის ისტორიის კარგ ანალოგიას გვაძლევს ქვემოთ ნაჩვენები ისტორია „ზანისა“ (—მეგრელი) სვანურშივე<sup>12</sup>.

ქანების სახელიც, ამ ფორმით, საკმაოდ ადრე ჩნდება უცხოურ მწერლობაში. კერძოდ, პროკოპი კესარიელს, VI ს. ცნობილს ბიზანტიელ მწერალს, დაკული

<sup>1</sup> იხ. აქვე ა. ჩიქობავა, ს-ს დასუსტება ქიზიურში, გვ. 68.

<sup>2</sup> „ფშაური ლექსები, შეკრებილი დ. ხიზანაშვილის მიერ“, ტფ. 1887 წ., გვ. 24, 71, 90, 91.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 25, 30, 39, 56, 57, 67, 72, 77, 81, 153.

<sup>4</sup> „ „ 48.

<sup>5</sup> „ „ 51.

<sup>6</sup> „ „ 52.

<sup>7</sup> „ „ 53.

<sup>8</sup> „ „ 57.

<sup>9</sup> „ „ 68.—ასეთივე ფაქტები იხ. ბესარიონ გაბურთი, ხევსურული ტექსტები, გამოც. აკ. შანიძის მიერ, „წელიწდეული“, I—II.

<sup>10</sup> შეადრ. ქართ. ლიტ. ფსევდონიმი: „ქართველი ოსებში ნამყოფი“, რაც ნიშნავს „ოსების ქვეყანაში ან ოსეთში ნამყოფს“.

<sup>11</sup> ამ საკითხისათვის იხ. აგრეთვე ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალ-ხაიის გზაზე.

<sup>12</sup> საინტერესოა, რომ ძველმა რუსულმა „სვანეთის“ მნიშვნელობით სონი შეითვისა (გაგებულია როგორც მრავლობითი რიცხვის ფორმა), იხ. Белокуров, Материалы для русской истории, М. 1888, ელჩინისა და ზაზარეივის ელჩობა სამეგრელოში 1639—1640 წ.წ.: «ис Карачаев до Сопей или 5 дней, а от Сопей до Дяльяснской земли или 5 дней», გვ. 302; პარალელურად იხმარება Сонская земля: «прямою дорогою на Сони в Дяльясскую землю; а от Хануки до Сонской земли три дни ходу», გვ. 304; იხ. აგრეთვე 310, 318, 357 («в Сони и в Черкские Кабарлы и в Кумыны»); ტერმინი იმავე დროს აღნიშნავს თვით ტომს, სვანებს: «...с ними Сони воюют», გვ. 310. ადვილად შესაძენვეია რომ ამ შემთხვევაში ტერმინი იტევს ეთნიკურსა და ტერიტორიულ აზრს, ერთდროულად, სწორედ ჩვენ მიერ აღნიშნული წესის თანახმად.

აქვს ეს ფორმა, *Ἰζῆσι*: (უეკველია რომ გრაფიკული კომპლექსი Ἰ ბერძნული ენისთვის უცხო ბგერას, ამ შემთხვევაში, ქართულ აფრიკატს გადმოსცემს, იხ. ქვემოთ), იმ რწმენასთან ერთად რომ ჭანები ძველად სანებად, *Σαναι*, იწოდებოდნენ<sup>1</sup>. ეს აზრი, შემდეგში განმტკიცდა ბიზანტიურ მწერლობაში, რომლის წარმომადგენელთაგან ზოგნი იმასაც ფიქრობდნენ რომ „ჭანი“ მხოლოდ მდაბიური ფორმაა „სანისა“, რომელიც, ამავე მწერალთა მტკიცებით, თითქოს XII საუკუნეშიაც კი, ახ. წელთაღრიცხვით, ცოცხალი ფორმა უნდა ყოფილიყო<sup>2</sup>.

საყურადღებოა, რომ ჭანები, პროკოპისავე ცნობით, მრავალ ტომად იყოფოდნენ; პროკოპის, სხვათა შორის, დასახელებული ჭყავს ოკენიტისა და კოქსილინის ჭანები<sup>3</sup>. უეკველია იყვნენ სხვებიც. ჭანების მრავალტომიანობის თანამედროვე გამოხატულებაა ჭანური კილოს მრავალდიალექტიანობის ცნობილი ფაქტი.

თუმცა შემდეგში სახელწოდება „ჭანი“ ძირითადად განდევნილ იქნა ტერმინ „ლაზის“ მიერ (ამის ისტორია ჩვენ სხვაგან გვექნება განხილული), მაგრამ მთლიანად იგი მაინც არას დროს არ გამქრალა: „ჭანი“ და „ჭანეთი“ უკანასკნელ დრომდე შეინახა ქართულმა მწერლობამ და ხალხურმა თქმამ; უცნობი არ უნდა იყოს იგი, ამჟამადაც, თვით ჭანებისათვისაც<sup>4</sup>.

ძირეულად განსხვავდება, განხილულ სახელწოდებათაგან, როგორც თავის აღნაგობის, ისე წარმოშობის მხრივ, ტერმინები „ქართველი“ და „მეგრელი“. ჩვენ აქ არას ვამბობთ ამ სახელწოდებათა ფუძეების (ქართ-, ეგრ-) შესახებ, მათი ისტორია თავისთავად უაღრესად საყურადღებოა. ჩვენ მხოლოდ მათი მორფოლოგიური ნიშნეულობის მიხედვით ვადასტურებთ, რომ „ქართ-ლი“ და „მეგრელი“ ტერიტორიულ-პოლიტიკურ წარმომავლობის ტერმინებია, მაშინ როცა „სვანი“ და „ჭანი“ წმინდა სატომო სახელებია. მართლაც: ქართ-ველი, ისტორიულ ხანის დასაწყის მომენტში, აღნიშნავდა იმ სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელსაც ძველი ბერძენ-რომაელი მწერლები ეძახდნენ „იბერიას“, უახლოესი მეზობლები, სომხები, „(ი)ვირ-ქ“-ს (*վիրք*) და რომელიც ადგილობრივ „ქართ-ლ“-ად იწოდება. თვითონ „ქართლს“, როგორც ვთქვით, თავისი საკუთარი წინასწარი ისტორია აქვს, მაგრამ ამ საკითხს ჩვენ აქ არ ვეხებით და იგი სხვაგან იქნება განხილული.

<sup>1</sup> B. G. VIII 1, პროფ. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., „გეორგიკა“, 90; B. P. I 15, იქვე 25—26.

<sup>2</sup> ასეთი მტკიცება მოეპოვება ევსტათი თესალონიკელს, დიონისეს განმარტებაში, რომელიც გამოცემული უნდა იყოს XII ს. სამოცდაათიან წლებში. ევსტათი ამბობს: „მაკრონები, პონტოელი ხალხი, — ვეხირების საშრეთით. მათ ჩვენ ეხლა ვუწოდებთ სანნებს ანუ უფრო მდაბიუტად, ჭანებს (*Ἰζῆσι*)... სანნების ქვეყანასაც ჭანიკეს ეძახიან ისინი, ვინც მდაბიურ ფორმას ხმარობს“, 765, SC I 208. ეს „ჭანიკე“ უდრის ძველ „სანიკეს“, რომელიც, მაგ., მეხუთე საკუნის ანონიმის ცნობით, მდებარეობს ტიბარენიასა და კოლხეთს შორის (*Τιβηρηνίου καὶ Σανονίου καὶ Κολχίδας*), § 55, SC I 277.

<sup>3</sup> De Aedificiis, III 6, იქვე, 182—188. კაენების (Caenarum) ტომს მდინარე თერმოადონტისა და ქალაქ კოტიორის რაიონში<sup>4</sup> ასახელებს უკვე პლინიუსიც, წ. VI, § 11.

<sup>4</sup> ასე უწოდებენ თავის თავს ვონას (კერასუნტს დასავლ.) რაიონში მცხოვრები ჭანები, ზეპირი ცნობით.

„მეგრელიც“, მეგრ-ელ-ი, თავდაპირველად აღნიშნავს იმ დასავლურ ქართულ სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელიც უცხოურ მწერლობაში იწოდება „ლაზიკა“-დ, ქართულ მწერლობაში—„ეგრ-ის“-ად, სომხურში კიღვე—„ეგერ“-ქ (*եգրք*). სწორედ ამ ქვეყანა-სახელმწიფოს სახელწოდების ფუძიდან („ეგრ“) ნაწარმოებია, ძველი ქართული ნორმების სრულ შესაბამისად, მეგრ-ელ-ი (შე-ადრ. მგვიპტელი-ეგვიპტიდან, მხწყვერელი-აწყვერიდან, მჰჰარელი-აჰარიდან, მატანელი-ატენიდან, მარადელი-არადეთიდან, მროველი-რუისიდან, მარგველი-არგვეთიდან და სხვ.). იგივე ფუძე, სხვა ახმოვანებთ, აწარმოებს ადგილობ-რივს „მ-არგ-ალ“-ს (თავდაპირველ მეგრ-ალ-იდან<sup>1</sup>), აფხ. აგრ-უა-ს, ძველ-სომ-ხურს ეგერ-აცი-ს (*ეგერაყი*).

იყო თუ არა ტერმინები „ქართველი“, „მეგრელი“, რომლებიც, როგორც ვთქვით, დაკავშირებულია ამ გარკვეულ ისტორიულ-პოლიტიკურ წარმონაქმებ-თან, ერთდ-ერთი და იმ თავითვე მოცემული სატომო სახელები ამ ქართველი ტომებისათვის? რაჟქმეუნდა, არა.

მეგრელთა ნამდვილი სატომო სახელი „ზანი“- უნდა იყოს, რაც მრავალი ჩვენებით მტკიცდება.

დავიწყოთ უცხოურ წყაროების ცნობებით, სადაც ჩვენ ფორმა „სან“-ი გვაქვს. ცნობილი რომელი მწერალი პლინიუს სეკუნდი (გარდ. 79 წ., ახ. წ.) პირდაპირ ასახელებს ასეთ ტომს სამეგრელოს ტერიტორიის ძირითად რაიონ-ში. აღწერს რა დაწვრილებით მდ. ფაზისს, პლინიუსი განაგრძობს: „შემდეგ—სხვა მდინარე ხარიენტი (Charien), სალტიების ტომი (gens Saltiac), რომელსაც ძველნი ფთიროფაგებს უწოდებდნენ, და სხვა ს ა ნ ნ ე ბ ი (alia Sanni); მდინარე ხობი კავკასიდან სუანებზე (სუანების ქვეყანაზე) გამდინარე (per Suanos fluens); შემდეგ როანი (Rhoan), კეგრიტიკის სანახები (regio Cegritice), მდინარეები სი-განია, თერსი, ასტელფი, ხრისოროასი, აბსილების ტომი, ცხე ხებასტროპოლი-სი“<sup>2</sup>... დასახელებულ გეოგრაფიულ ობიექტების ლოკალიზაცია, რაც შედარე-ბით ადვილად ხერხდება, არკვევს პლინიუსის სანების ტერიტორიასაც. მდ. ფა-

<sup>1</sup> ეს მეგრული ფორმა უნდა ვიცნათ, როგორც ჩანს, პტოლემეს „მანრალეში“ „კოლხეთის ზღვისნაპირა ნაწილში მოსახლეობენ ლაზები. ზემოგანში-კი—მანრალეები და ხალ-ხები, რომელნიც ცხოვრობენ ეკრეტიკის ქვეყანაში“, ამბობს განთქმული გეოგრაფი, იხ. გეო-გრაფია, წ. V. თ. IX. § 5, S C I 241. *Μαυραίοι*—ფორმაში *αδ*—ჯგუფი ალბათ მიღებულია *უდ*—ჯგუფისაგან, ან პალეოგრაფიულად, ან ამ კონპლექსის ჩვეულებრივი ბერძნული წაკითხვის ნიშნავზე წარმოშობილი მიზეზების შედეგად. ქვეყნის სახელი *Εκαυραίου*, ბერძნული სუფიქსის ჩამოშორებით, ვეაძლევს ფუძეს „ეკრეკტ“,—რაც აგრეთვე ეგრისის სახელწოდების ადგილობ-რივი ფორმის მცირედ დამახინჯებული ვადმოცემაა. ამ ფორმის ერთი დღემდე შემონახული გარდმონაშთი უნდა იყოს ზუგდიდის რაიონში დაცული „ეგრეტა“ (← ეგრეტა, მეგრულისა-თვის ჩვეულ მეტათეზის შედეგად), ანაკლიის მახლობლად, აღმოსავლეთით. პლინიუსის ტექსტ-ში, *Nat. hist.*, წ. VI, § 14, ეს გეოგრაფიული სახელი მოცემულია ახალი ფორმით—*Cegritice*: აქ ფუძის უკანასკნელი მარცვალი განთავისუფლებულია ხორცმეტისაგან, რომელიც გადასუ-ლია თავში.

<sup>2</sup> *Nat. hist.*, VI. § 14, S C II 179.—საძიებელია, რით აიხსნება ორი ნ-ს გაჩენა. ამ სა-ხელში უნდა გათვალისწინებული იყოს ისიც რომ, როგორც პროკოპი კესარიელის ზემოთმოტა-ნილი ცნობებიდან ჩანს, „სან“-ის ერთნარიანი დაწერილობაც არსებობდა.

ზისი ეს რიონ-ყვირილა; მდ. ხარიენტი უდრის მდ. ცივს, რომლის ეს ძველი სახელწოდება, სოფელზე გადასული, ამჟამადაც შენახულია, მდ. ხობის მარცხენა ნაპირას, ხორვას ქვემოთ, „ქარიატას“ ფორმით; ხობი თანამედროვე ხობია; როანი, საფიქრებელია რიონი იყოს; სივანია ინგურის ძველი სახელია, ასტელფი კიდევ — მდ. კოდორისა; სებასტოპოლისი უდრის ძველ ცხუმსა და თანამედროვე სოხუმს<sup>1</sup>. ამრიგად, პლინიუსისა თუ მისი წყაროს წარმოდგენით, სანნები კოლხეთის იმ ნაწილში მოსახლეობენ, სადაც დის ცივი, ხობი, ენგური. ადვილად შესაძლებელია, ზემოთმოტანილი საკითხავი, რომლის მიხედვითაც კავკასიდან გამომდინარე ხობი შემდეგ სუანების მიწაწყალსა სჭრის, დამახინჯებული იყოს და თავდაპირველ ტექსტში აქ „სუანების“ მაგიერ იგივე „სანნები“ წერებულყო<sup>2</sup>. საქმის რეალურ ვითარებასთან, ისე როგორც ცნობის სხვა ელემენტებთან, ასეთი მტკიცება უფრო შეთხზებული იქნებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა მიგველო, რომ სვანები, ამ ცნობის წარმოშობის დროშიაც (უძველესი პერიოდისათვის ეს გარემოება ეკვს არ იწვევს), გაცილებით უფრო შორს ვრცელდებოდნენ სამხრეთისაკენ, ვიდრე ფეოდალურ ხანაში.

სამეგრელოს ტერიტორიაზე, სანნების გარდა, პლინიუსი მხოლოდ სალტიებს ასახელებს, როგორც ენახეთ. ამ ფორმით ეს სახელი ჩვენ სხვაგან არსად გვხვდება<sup>3</sup>, და, უმჯველია, იგი დამახინჯებული უნდა იყოს მეტნაკლებად. მაინც,

<sup>1</sup> ეს ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხები ავტორს სპეციალურ მონოგრაფიაში აქვს განხილული, რომელიც მოხსენდა ენიმკ-ის ისტორიის განყოფილებას 1936 წ. ივნისის 19-ის სხდომაზე.

<sup>2</sup> შესაძლოა, ასეთივე ხასიათის შეცდომა სავარაუდებელი იყოს პტოლემეს „სუანოკოლხებ“-ში, ნამდვილი „სანოკოლხების“ ნაცვლად, წ. V, თ. VIII, სადაც წერია: „პონტოს გასწვრივ (ცხოვრობენ) ახები, კერკეტები, ჰენიოხები და სუანოკოლხები“ (*Σουαννοκολχοι*). ასეთს შესწორებას ის საფუძველიც ექნებოდა რომ თავის ადგილს დაუბრუნებდა მოცემული ტერიტორიის ძირითად ტომს, ძველ კოლხებს, პტოლემეს-დროინდელ სანებს (ამ მნიშვნელობით უნდა ვაგვეგო ეს ეთნიკური კომპოზიტიც), რომელნიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, სრულიად მოუსხენებლნი დარჩებოდნენ. ჩვენს კონიექტურას ვერ დაარღვევს ძველი სომხური მწერლობის ცნობილი პარალელი პტოლემეს განმარტებული ჩვენებისა, რადგანაც სომხური ცნობა მწიგნობრული წარმოშობისა. ჩანს და იმავე პტოლემემდე დადის, ადგილობრივი კომენტარის ნიადაგზე რამდენადმე სახეცვლილი. ვგულისხმობთ ფავსტოს ბიზანტიელის *სურ-სიოსტ* ს (ტფ. გამოც. 1913 წ. გვ. 24), ფავტოსის ცნობაში ისაა საყურადღებო რომ ბერძნ. კოლხ-ს სომხ. ეგერ- შეესატყვისება.

<sup>3</sup> *Chronicon Paschale*, I, p. 61, 3, C. B., ჩვენ ასეთ ცნობას ვხვდებით: „კაპადოკიელთა მიღმა, მარჯვნივ, ცხოვრობენ სომხები, იბერები, ბერძანები, სკვითები, კოლხები და ბოსფორანები; შემდეგ ევრეთწოდებული სალლები ანუ სანტიები (*Σαλλοι οὗ καὶ Σαντακ*), რომელნიც პონტომდე არიან გაურკველებულნი, სადაც იმყოფება სიმაგრე აფსარე და სებასტოპოლისი და ისისი ნავთსადგური და მდინარე ფახისი“. შეიძლებოდა გვეფიქრა რომ „სალლები“ პლინიუსის „სალტიებს“ უდრიან. მაგრამ რადგანაც „ქრონიკონ პასქალე“-ს ეს ცნობა უმჯველ კაპოშირში იმყოფება იპოლიტე პორტელისა და სხვათა ანალოგიურსავე თხრობასთან, ამიტომ, საფიქრებელია, „ქრ. პ.“-ს ტექსტი დამახინჯებულია და მისი აღდგენა უნდა მოხდეს, კერძოდ, იპოლიტეს საკითხავის (იხ. ქვემოთ) ნიადაგზე. მაშინ მივიღებთ რომ „ქრ. პ.“-ს „სალლების“ ანუ სანტიების“ ნაცვლად დედანში უნდა ყოფილიყო „სანნები ანუ სანიგები“, რადგანაც იპოლიტესა და მასზე დამოკიდებული წყაროების ტექსტში გვაქვს: „სანნები, რომელნიც სანნიკებად იწოდებიან“ (იხ. ქვემოთ). „ქრ. პ.“-ს საკითხავი საინტერესოა, როგორც იმის ილუსტრაცია, თუ როგორ მახინჯდებოდა ცნობები, დროთა ვითარებაში, გადამწერელთა ხელში.

აქ წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ტერმინი, თავის ფუძით, იმავე „სან“-ს უნდა უახლოვდებოდეს, თუ -ti-ს გავიგებთ, როგორც ქართველურ სუფიქსს (წარმოდგენილს, სხვათა შორის, ზემოთგანხილულ „ეკრი-ტ-იკე-შიაც“) -თა-თი-ს<sup>1</sup>. სანების ტომს პლინიუსი უჩვენებს ტრაპეზუნტის ოლქშიაც, მაგრამ იქ იგი მათ ჰენიოხებს უკავშირებს: „ტომი სანებისა ჰენიოხებისა“, gens Sannorum Heniochorum<sup>2</sup>. სანებსა და სანიებს შორის კავშირს აბამს იპოლიტე პორტელი, III ს. (ახ. წ.) პირველი ნახევრის ავტორი, რომლის თხზულების ბერძნული დედანი დაკარგულია, მაგრამ შენახულია მისი ლათინური თარგმანი. იპოლიტე, „წარმომავლობის წიგნში“, ჯერ ერთი, საკუთარ ენის მქონე ხალხებს (gentes) შორის ასახელებს ჩვენთვის საინტერესო ჰიბერებს (Hiberi), კოლხებს (Colchi), სანებს (Sanni), ხოლო ტერიტორიული განსაზღვრისას ამბობს: „სანები, რომელნიც სანნიკებად (Sannices) იწოდებიან და ვრცელდებიან პონტამდე, სადაც არის აბსარის (Absarus) გასასვლელი და სებასტოპოლისი და ჰისულიმენი (ეს ნავთსადგურია) და მდინარე ფასიდი. ეს ტომები ვრცელდებიან ტრაპეზუნტამდე“<sup>3</sup>. აქ დაახლოვებით კოლხეთის მიწა-წყალია მოხაზული—აბსარი კოროზის შესართავთანაა საძიებელი, სებასტოპოლისი ცხუმ-სოხუმი, მდ. ფაზისი—რიონი, ჰისუს ნავთსადგური („ლიმენი!“) კიდეც შავიზღვის ნაპირზე მდებარეობდა, ტრაპეზუნტს აღმოსავლეთით (პირველი ნავთსადგური ტრაპეზუნტს შემდეგ; 134 წ. ახ. წ., აქ რომაული გარნიზონი იდგა, იხ. არიანეს პერიპლი, § 4). მაშასადამე, იპოლიტეს მიხედვით, „სანი“ არის კოლხეთის ძირითადი მოსახლეობის სახელწოდება და ეგვევ ხალხი „სანიკადაც“ იწოდება; „სანი“ უდრის „სანიკს“. ლათინური s ბერძნულ „სიგმას“ გადმოგვეცემს და ისევე როგორც სანიგში, სანშიაც თავიკიდური ბგერა ჩვენ სწორედ „ს“-დ უნდა წავიკითხოთ (შეადრ. სანიგი თამარ მეფის ისტორიკოსთან, აქვე, ჰეიმოთ, შენ., გაითვალისწინე ისიც, რომ „სანიგს“ სხვანაირად არაფერ არ კითხულობს).

იპოლიტეს ცნობას იმეორებს ევსევი კესარიელიც, იმ განსხვავებით, რომ ევსევისთან ტექსტი კიდეც უფრო დამახინჯებულია, საფიქრებელია, მეტწილად, გადამწერთა მიერ. ევსევისაც ერთა ფილიაციაში კოლხებისა (Colchi) და სანებისათვის (Sanni) ცალ-ცალკე აღვლი აქვს მიჩენილი, ხოლო სხვა ადგილას განმარტებული აქვს: „სანები, რომელნიც აგრეთვე სანიგიებად (Sannigii) იწოდებიან. რომელნიც პონტამდე ვრცელდებიან, სადაც არის შეერთება (congregatio; შესართავი?) აფსარისა და სებასტოპოლისისა და კაუსოლიმინი და მდინარე ფაზისი, ვიდრე ტრაპეზუნტამდე“<sup>4</sup>.

ამ ცნობაში, სანებისა და სანიების კავშირის შესახებ, ის ამბავი მანც უახლოვდება ისტორიულ სინამდვილეს რომ სანიგები, რომელთა შესახებაც

<sup>1</sup> სალტიები რაღაც კავშირში არიან უთუოდ ტაციტუსის მიერ მოხსენებულ ტომთან, სედოხებთან, რომელთა ტერიტორია იმავე მდ. ხობთან ურთიერთობაში ირკვევა, *Historiae*, III 47, S C II 249.

<sup>2</sup> იქვე, წ. VI, § 12.

<sup>3</sup> S C II 446-7.

<sup>4</sup> S C I 668.

ჩვენ არა ერთი სხვადასხვა დროის ისტორიული ჩვენება მოგვეპოვება<sup>1</sup>, ყოველთვის დაკავშირებული არიან სებასტოპოლის-ცხუმთან, თანამედროვე აფხაზეთთან და, საერთოდ, შავი-ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსთან. ამიტომ შეიძლება გვეფიქრა, რომ „სანიგი“ არის „სანისავე“ ფუძიდან ნაყარი ვარიანტული სახელწოდება იმ მეგრული მოდემის ტომისა, რომლის არსებობა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, აქ აფხაზეთა დამკვიდრების უწინ რუს, უმეტესობით არის საგულისხმებელი, როგორც ეს ჩვენ მიერ სხვაგან იქნება ნაჩვენები.

ამდენადვე შეიძლება დასანიგების და სანიგების გაიგივება იპოლიტე-ვესევის თვითნებობად არ მიგვეჩნია. მაგრამ საკითხი სანიგების შესახებ მაინც რთულია და მისი გადაწყვეტისათვის დამატებითი მასალებია საჭირო.

<sup>1</sup> 134 წ., ახ. წ., არიანე ადასტურებს სანიგების სამეფოს არსებობას, აბასგების ჩრდილოეთით; სანიგების ქვეყანაში მდებარეობდა მაშინ, არიანეს მტკიცებით, ქ. სებასტოპოლისი (ცხუმ-სოხუმი), § 15. მემონი (I ს. დამლევი და II ს. დამლევი, ახ. წ.), პონტოს ჰერაკლეს მკვიდრი, რომლის ცნობები წინ უსწრებს, როგორც ჩანს, არიანესს, ამბობს, რომ პონტოს შინაგანი სანახებნი დასახლებულია სანეგებითა (*Σανηγιαι*) და ლაზებით<sup>2</sup>, S C I 510.—არიანეს მერმინდელი (V ს.) უსახელო რედაქტორი ამტკიცებს რომ სანიგები (*Σανηγιαι*) ცხოვრობენ მდ. ახუნტოდან მდ. აბასკამდე, § 57. სტეფანე ბიზანტიელი, რომელიცსათანადო სიტყვის ქვეშ, იძლევა, როგორც ფიქრობენ, ელი ეროდიანეს (II ს., S C I 575—8) ცნობას და, იქნებ, ნაწილობრივ, არიანესაც იმეორებს,—ამბობს: „*Σανηγιαι*, სკვითური ტომი, აბასგების მუხობლად მცხოვრობი“. ძალიან საყურადღებოა, რომ სანიგებს იცნობს თამარ მეფის ისტორიკოსიც, რომელიც ამბობს, რომ გიორგი რუსის მხარეს გადასულს ვარდან დადიანს „შეეყარა ყოველი სვანეთი, აფხაზეთი, საეგროი, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკუერი და არგუეთი და, მომრთველმან სანიგთა და ქეშითა მან, აფიცა რუსისა გამეფებისა და მისი მეფე ყოფისათვის დიდებულნი და ლაშქარნი ქუეყანისანი“.. ქცხ. მარ., 435. ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ ვარდანმა, რომელიც, ფეოდალური წესით, „ლიხთ იქით ნიკოფსამდის უცილობლად“ მქონებელი იყო (იქვე), მოახერხა თავისი კანდიდატის მხარეზე მთელი ლიხთ-იმერეთის, ე. ი. დასავლეთ საქართველოს, დიდებულთა და ლაშქართა გადაყვანა; ავტორი ამ აზრის კონკრეტულობისათვის ჩამოსთვლის დას. საქართველოს ყველა პროვინციას: არგვეთი (ზემო-იმერეთი შორაპანს აღმოსავლეთით), სამოქალაქო (ვაკე-იმერეთი), რაჭა, თაკუერი (ლეჩხუმი), გურია, საეგრო (სამეგრელო), სვანეთი და აფხაზეთი. მაგრამ გარდა ამისა, ვარდანს, როგორც ჩანს, ჩრდილოეთ-კავკასიელი ტომებიც გადმოუყვანია, რომელნიც უკვე სხვაგვარ დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყვნენ მისგან (უკანასკნელი გარემოება მკლავდებდა, ნაწილობრივ, დასახელების წესში: ეს მოკავშირენი დასახელებულნი არიან სწორედ როგორც ტომები, სანიგნი და ქეშინი, და არა აღმინისტრაციულ პროვინციულ დაყოფის თვალსაზრისით (არგვეთი, საეგრო...)). ვინ არიან ეს ტომები? ხელნაწერებში მოცემული სახელები საკმაოდ დამაბნელებელია. ქეშინის მაგიერ ზოგ-ზოგნაწერში „ჯაშმაგი“-ა, სხვაში კიდევ—„ჯაბმათაგი“. უკანასკნელი ფორმების (ჯაშმაგი, ჯაბმათაგი) სატომო სახელები ჩვენ სხვაგან არსად გვხვდება, და ისინი კიდევ უფრო დამაბნელებულად უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე ქეშინი (ბ-სა და შ-ს არევა ხომ ადვილად ასახსნელია). სამაგიეროდ ჯაშმაგის საკითხავი ასწორებს ქეშინს, რომლის ნაცვლადაც თავდაპირველად „ქაშმაგი“ უნდა ყოფილიყო. „ქაშმაგი“ ძველ ქართულ მწერლობაში ხშირად გვხვდება, იგი შეესატყვისება ძველ რუსულ Кашор-ს, თანამედროვე ოსურ ქასაგ-ს, და ჩერქეზებს აღნიშნავს. სანიგები, თმარის ისტორიკოსის წარმოდგენით, მაშასადამე, რაღაც კავშირში იმყოფებოდნენ ჩერქეზებთან.—ცნობა უაღრესად საყურადღებოა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას რომ ერთგვარი ეჭვი მაინც გვრჩება—ხომ არ არის აქ რაიმე მწიგნობრული ელემენტი ხელოვნურად ჩართული, რადგანაც „ისტორიანი და აზმანი“-ს ავტორი დიდად განათლებული პირია, რომელიც კარგად იცნობს ძველ ბერძნულ მწერლობასაც. ამიტომ დამატებითი მასალა საჭირო იმის გამოსარკვევად, რამდენად ცოცხალია სახელწოდება „სანიგი“ მეთორმეტე საუკუნეში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს V ს. პირველი ნახევრის მწერლის, თეოდორიტე კვირელის, ცნობა, თავისთავადაც ძალიან საინტერესო. თეოდორიტე ამბობს: „... ბერეს, მონობის უღელში შებმულსაც, არ შეუძლია თავის დამმონებელთა კანონების მიხედვით ცხოვრება. ხომ არც ეგვიპტურ თებას მოსაზღვრე ეთიოპები, არც ისმაიტელთა მრავალრიცხოვანი ტომები, არც ლაზები (Αζαί), არც სანნები (Σαννί), არც აბაზგები (Αβαζγί), არც სხვა ბარბაროსები, რომელნიც დაემორჩილნენ რომაელთა ბატონობას, ხელშეკრულებას არ სძლებენ ურთიერთშორის რომაულ კანონების მიხედვით“<sup>1</sup>.

რადგანაც აქ ლაზები და სანები ურთიერთშორის განსხვავებულ ტომებად არიან ნაგულისხმევენ, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ „სანებში“ თეოდორიტე გულისხმობს არა ეგრისის მოსახლეობას, რომელიც მის დროს უკვე ლაზების სახელითაა ცნობილი, არამედ ქანებს, რომელნიც ამჟამად უკვე ლაზებად იწოდებიან უპირატესად.

ამ რიგად, კლასიკური ავტორები ჩვენთვის საინტერესო ტომის სახელად „სან“-ს უჩვენებენ, როგორც ენახეთ. ჩვენ-კი ვთქვით რომ მეგრელთა ნამდვილი სატომო სახელი „ზანი“ უნდა იყოს. თავიკიდური ბერის სხვაობას ამ ფორმებში და მის წარმოშობას ჩვენ სხვაგან შევეხებით, აქ კი უნდა აღვნიშნოთ რომ „ზან“ ფორმას ადგილობრივი მასალები უჭერს მხარს.

ჯერ ერთი, ეთნიკური მნიშვნელობით ეს ტერმინი დღესაც შენახულია სვანეთში. სვანეთის მთელ რიგ თემში (ეცერი, ფარი, ლახამული) მეგრებს ეძახიან „ზან“, რაც ქვემო-ინგურის სვანეთში სამეგრელოსაც ნიშნავს<sup>2</sup>: ჩოლურში იმავე მნიშვნელობით იხმარება „ზან“ (მრ. ზანარ); „მეგრელისავე“ მნიშვნელობით ხმარებული პარალელური ფორმებია იმავე ეცერის, ფარის, ლახამულის თემებში „მუ-ზნი“, რაც, რათქმაუნდა, მეორადი წარმოებაა („მეზანი“!); ამ მეორადი წარმოების ვარიანტებია მუჟალ-მულახური „მე-ზან“, იფარული — „მე-ზნი“; ამავე ფუძიდანაა ნაწარმოები „ლუ-ზნუ“ — მეგრული (ეცერი, ფარი, ლახამული)<sup>3</sup>. სვანებისათვის ცნობილია ტერმინი „მეგრელიც“, მაგრამ იგი, აშკარაა, ქართულიდანაა შეთვისებული.

„ზან“ ფუძე თითქოს ჩრდ. კავკასიაშიაც, კერძოდ ყაბარდოში უნდა გვხვდებოდეს (უთოდ სვანური გზით შესული)<sup>4</sup>. „ზან“ ფუძე შენახულია სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელებში: სოფ. ზანათი (მდ. აბაშაზე, სუჯუნის მუხობლად)<sup>5</sup>, სოფლები დიდი და პატარა ზანა, მდ. ცივის ხეობაში (უშაფათის

<sup>1</sup> სიტყვა მე-9, „კანონთათვის“ S C I 783.

<sup>2</sup> მაგ., გრენის მიერ შეკრებილს სვანურ ტექსტებში — ზანა, СМОНІК X, განყ. II; იხ. აგრეთვე ლექსიკონი, იქვე.

<sup>3</sup> Н. М а р р, Извлеченіе из сванско-русского словаря, сатანდო სიტყვის ქვეშ.

<sup>4</sup> А. Д и р р, Современныя названія кавказских племен.—პალასის ცნობით, აბაზგები (პირიქითელი აბაზგები) და ჩერქეზები სამეგრელოს „დოლ“-ს (Dol) ეძახიანო. Pallas, Voyages, P. 1788 II p. 120, n. I. ცნობა ეკუთვნის XVIII ს. დამლევს.

<sup>5</sup> ი. ყიფშიძის თავის ლექსიკონში ეს სოფელი „ზანათის“ სახელით აქვს მოხსენებული, Грам. мипр. яз., 236, მაგრამ ფორმა „ზანათი“ ჩვენ ვხვდებთ უკვე ლევან დადიანის 1628 წ. სიგელში, დას. საქ. საეკლ. საბ., I 43. „ზანათი“ აქვს ვლ. გაგუას, СМОНІК, X განყ. I, 102. აღნიშნული აქვს არქანჯელო ლამბერტისაც (XVII ს. დამდეგი, იხ. „სამეგრელოს აღწერა“, თარგმ. ალ. კუონიასი, ტფ., 1901) თავის რუკაზე Zannati-ის სახით.

დასავლეთით), და იქვე მიჰდინარე, ხობის მარცხენა შენაკადი ზანა<sup>1</sup> (რუსულ ხუთვერსიან რუკაზე „ზანა“ ამ მდინარეს ეწოდება სათავეებისაკენ, ქვემო წელზე კი „Занара“?). ძალიან საინტერესოა ამ ფუძიდან ნაწარმოებ სახელწოდებათა არსებობა თანამედროვე სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ფარგლებს გარეთ. მაგ.: მდ. ცხენისწყალზე, მდ. ხოფურის (ესეც საყურადღებოა!) შესართავს ცოტა ზემოთ; ცაგერის ჩრდილოეთით, არის სოფ. ზანაკარი<sup>2</sup>. ხომ არ მიუთითებს ეს ტოპონიმიკური ფაქტი ძველს ეთნიკურ-პოლიტიკურ საზღვარზე? თუ ამ კითხვაზე გადაჭრილი პასუხის გაცემა ძნელია, სამაგიეროდ ასეთივე ხასიათის მოვლენა ჩვენ უყოყმანოდ შეგვიძლია ვუჩვენოთ სხვაგან, აღმოსავლეთით, ზემო იმერეთში. ვგულისხმობთ უკანასკნელის დიდი სოფლის, საზანოს, სახელს. ზემო და ქვემო საზანოები მდებარეობს ძველი ვერისის (ლაზიკის) სამეფოს აღმოსავლეთის საზღვარზე, რომელიც თითქმის უცვლელად მრავალი საუკუნის განმავლობაში შორაპანსა და სკანდაზე გამავალ ხაზს მიჰყვებოდა. სკანდა და შორაპანი იყო ვერისის სანაპირო ძლიერი ციხე-ქალაქები. ამით აღმოსავლეთით უკვე ქართლის (იბერიის) ტერიტორია იწყებოდა. სკანდასა და შორაპანს შუა, არამცირედი სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობის ადგილი უნდა სჭეროდა საზანოსაც, რამდენადაც ასეთი დასკვნის გაკეთება შეგვიძლია ფეოდალური ხანის ცნობების მიხედვით, როდესაც საზანოზე გადის იმერეთ-ქართლის მაგისტრალის ერთი მნიშვნელოვანი ვარიანტთაგანი<sup>3</sup> და როდენ-

<sup>1</sup> ყიფშიძე, იქვე. — სოფლის სახელის თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო აქაც „ზანათი“, რაც დოკუმენტურად დადასტურებულია ლამბერტის რუკაზე — Zennati.

<sup>2</sup> ყურადღებას იქცევს მალა, იმავე რაიონის, მთებში მდებარე „წანაში“-ც. ამ ხეობის მნიშვნელობაზე მკაფიოდ მიუთითებს ზანაკარს ქვემოთ მდებარე განთქმული ციხეები ორბელი (თუ: ორბეთი), დეხვირი და, განსაკუთრებით, მური. მათ შესახებ ვახუშტი ამბობს: „ამ კვეხლ არის ციხე ორბეთისა, კლდესა ზედა შენი, ფრიად მაგარი. ამ კვეს ზეით, ლეჩხუმის საშუალს, ცხენისწყლის კიდევდ არს ციხე კლდესა ზედა შენი, დეხვირი, თავი თავვერისა! რამეთუ რომელსა უპყრავს იგი, მორჩილებასა ზინა მისსა არიან სულიად. ამის სამკრით და ცხენისწყლის აღმოსავლით არს ცაგერს ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი, ზის ევისკაჭლსი, მწყემსი ლეჩხუმისა და სვანეთისა. ამას ზეით არს მონასტერი, წოდებული მაქსიმე აღმსარებელისა და მუნ არს მაქსიმე აღმსარებელი დაფლული... მას ზეით; ცხენისწყალზედ, არს კავკასის ძირს მურის ციხე, არვისგან შემუსვრილ-ალბული. მუნიდამ გარდავალს სვანეთს გზა“, გეოგრა., ჯან. გამ., 263—264. სწორედ ამ სვანეთისაკენ გარდამავალ მეტად მნიშვნელოვან გზას ქვეტყეოდნენ ეს ციხეები, და, პირველ რიგში, მურის ციხე. უკანასკნელი ცნობილია ბიზანტიური წყაროებისათვისაც. აქ იყო დაპატიმრებული ბიზანტიის მთავრობის მიერ ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, მაქსიმე აღმსარებელი (VII ს.). მაქსიმეს ბიზანტიელი ბიოგრაფი ამ საპატიმრო ადგილს ლაზიკას მიაკუთვნებს. ვერისის მიათვლის მურის ციხეს იუსტინიანეც თავის მე-31-ე ნოველაში, „გეოგრაიკა“, II 198. აქვე, ცაგერს ქვემოთ მდებარე, ლასურიაში უნდა იყოს ის „ლოსორიონის“ ციხეც, რომელიც აგებულ იქნა იუსტინიანეს მიერ, პროკოპი კენსაზიელის ცნობით, გეოგრა., II 189 და რომელიც იხსენიება თვით იუსტინიანეს შემოღდასახელებულ ნოველაშიაც „ლისირი“-ს (თუ „ლუსირი“-ს) ფორმით. — უკანასკნელ საუკუნეებშიაც ეს რაიონი დადიანებს ეკუთვნოდა. მურში გ. რადდემ აღწერა დადიანების სახლი და სამი ციხე, რომელთაგანაც ერთ-ერთში მან იპოვა ზარბაზანი 1554 წ. ლათინური წარწერით, ЗКОРГО, КН. VII; в мн. I, 1., 1366 r., 52—55.

<sup>3</sup> აი, მაგ. შარდენის მარშრუტი (1672 წ. დეკემბერში); ტფილისი-გორი-ალი-კორბოლო-საზანო (შარდენის სწყობის „სეზანო“; მარჯვნივ რჩება სკანდა) — ჩხარის (ქართ. თარგმანში გუჯებრობი თ—ჩიკარისი) — ქუთაისი. იხ. შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, ტფ., 1935 წ. ვვ. 62 — 66.

საც აქ არსებობს, ვახუშტის სიტყვით რომ ეთქვათ, „საზანოს ციხე, კლდესა ზედა შენი, კარგი“. ამრიგად, „საზანო“, ქართული წარმოების სახელი, შერქმეულია ძველი ქართლის ამ რაიონის, არგვეთის, მოსახლეობის მიერ, რომელიც უშუალოდ ემზობლებოდა ეგრისს და აღნიშნულ სახელწოდებაში გამოქსატავდა ეგრისის (ლაზიკის) ეთნიკურ შინაარსს. „საზანო“ იგივე „სამეგრელოა“, და სკანდა-საზანო შორაპანის ხაზს ქვემოთ სწორედ ზანების ანუ მეგრელების ქვეყანა (საზანო-სამეგრელო) იწყებოდა. ამ ისტორიულ-ეთნოლოგიურ მითითებაში, რომელიც ასე საუბრობდა და ცუდი სახელწოდება „საზანო“-ში, ვხედავთ ჩვენ მოცემული ტოპონიმიკური ფაქტის განსაკუთრებულს მნიშვნელობასა და ინტერესს. დასასრულ, გაკვრით ვიტყვით, რომ ჩვენ არ მიგვაჩნია შეუძლებლად ამავე ბუდესთან იყოს დაკავშირებული სამცხისა და ქართლის „ზანავ“-ებიც, მაგრამ ამ კავშირის რეალურ ხასიათს მომავალი კვლევა-ძიება გაარკვევს.

აღნიშნულით არ ამოიწურება მოცემული ეთნიკური ტერმინის ადგილობრივი ვარიაციები. უკანასკნელთა რიცხვს მივაკუთვნებთ ჩვენ აფხაზურ „წან“-საც, რომელიც იქ ისტორიულ გარდემონაშთის სახითაა დაცული. აფხაზთა ხალხური გარდემოცემით, ძველთა-ძველ დროში აფხაზეთის მთებში ცხოვრობდა ხალხი, რომელიც ეკუთვნოდა წან-ის (აფხაზური ფორმაა) ანუ წ ა ნ ი ა-ს (სამურ-ზაყანული ფორმაა) გვარს. იმ ბედნიერ დროში არ იცოდა არც წვიმა-თოვლი, არც ქარი და სიცივე, არც დღე-ღამე იყო ერთმანეთში გარჩეული. წანები (აფხ. წანაა) მეჯოგეები იყვნენ, თავს რძეულნი და უმი ხორცით ირჩენდნენ. მაგრამ რადგანაც წანები უსჯულონი იყვნენ და ღმერთს არაფრად ავლებდნენ, ღმერთმა ისინი დასაჯა. ერთხელ როცა წანები წრეში ისხდნენ, ერთმა მათგანმა შეამჩნია რომ იქვე მდგომ თხას წვერი ერხეოდა. ეს ღმერთმა პირველად გამოგზავნა ქვეყნად ქარი. ქარს მოჰყვა შავი ღრუბლები და ბამბის წვიმა. ბამბამ თოვლივით დაჰჭარა მთელი მიწა. შემდეგ ღმერთმა ცეცხლი გაუჩინა ბამბას და მასთან ერთად უსჯულო წანებიც გადაბუგა.

ეს გარდემოცემა დაკავშირებულია აფხაზეთის თავისებურ არქეოლოგიურ ნაშთებთან, რომელნიც ნახევრად ციკლოპურ-მეგალითურ ხასიათისაა აზრიან და ვრცელდებიან ბზიფიდან ენგურამდე. ეს ძეგლები გვხვდება მთებში 2133-დან 2286 მეტრის სიმაღლეზე და წარმოადგენენ უორულად ნაგებ ოთხკუთხედს ან არა სწორი წრის სახის მქონე „ბაკებს“ (გარეგნული დახასიათებით). მათ აფხაზები „წან-იგუარა“-ს ეძახიან, რაც „წანის სადგომს“ ნიშნავს<sup>1</sup>.

ჩვენ უეჭველად მიგვაჩნია რომ წანიც ზანისა და ჭანის ბუდეს ეკუთვნის, მაგრამ რას უნდა გულისხმობდეს რეალ-ისტორიულად თვით გარდემოცემა? სხვაგან ჩვენ ვუჩვენებთ რომ საკუთრივ აფხაზებს, მათი დღევანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილზე, წინ უსწრებდა ქართველური მოსახლეობა, ერთი მხრით, სვანური შტოსი, მეორე მხრით — ჭანურ-მეგრულისა. მოყვანილ გარდემოცემაში, ჩვენი აზრით, სწორედ ამ ფაქტის ანარეკლი გვაქვს. „წანი“, ამ შემთხვევაში, ჭანურ-მეგრულ ფენას გულისხმობს. ჩვენ ვფიქრობთ რომ ეს იყო

<sup>1</sup> ეს ძეგლები პირველად აღწერა ლიტერატურაში და გარდემოცემაც გამოაქვეყნა ნ. ალბოცმა, იხ. მისი Ботанико-географические исследования в Зап. Закавказьи в 1898 г. ЗКОРГО, т. XVI, 144—145

ერთ-ერთი ტომთაგანი, ჭანურ-მეგრული განშტოებისა, და არა საკუთრივ ზანე-ბი (დღევანდელი მეგრელები) და ან, მით უმეტეს, ჭანები. ამაში გვარწმუნებს სახელწოდება „წან“, რომელიც შეუძლებელია მიჩნეული იყოს ზან-ის ან ჭან-ის აფხაზურ გამოთქმის თაქტად, აფხაზურ ვარიანტად. ასეთი ფონეტიკური გადასვლისათვის აფხაზურში ჩვენ საფუძველს ვერ ვხედავთ, იმიტომ რომ აფხაზურს თავისუფლად შეეძლო შეეთვისებინა როგორც ზან, ისე ჭან ფორმები.

უკანასკნელი დაცულია კიდევაც აფხაზურ გვარის სახელში ჭან-ბა, რაც ქართულს ჭანი შვილს უდრის. აფხაზურ-ქართველური ბგერითი შესატყვისობისათვის, ამ თვალსაზრისით, იხ. ისეთი ნასესხობანი აფხაზურში ქართულ-ქართველურიდან (ან უკანასკნელის გზით), როგორიცაა: აჰანდარ = ჭანდარი, აჰარხალ = ჭარხალი, აჰარამ = ჭერამი, ადაჰ = ჯაჰვი, აჰაბგრაჰაჰ = ხაბურხაჰი, აჰაზგ = მიზგზი, აგრეთვე აზაკუან (შეიძლება შესული იყოს რუსულიდანაც). ზოგჯერ განსაკუთრებულს ბგერითს (ხმოვნურ) გარემოში, ქართ. ზ + ხ აფხაზურში გვაძლევს ჟრ-ს: ჟურგით = ზურდიდი, ჟურაბ = ზურაბი, შეადრ. აგრეთვე აფხაზური გამოთქმა გვარის სახელისა ზვანბაია = აჟანბა<sup>1</sup>. აფხაზურ-ქართველურ გენეტურ შესატყვისობათა შორის ჩვენ ვაოულობთ შემდეგს საყურადღებო პარალელებს:

აფხ. ა-წაა	(მლაშე, მწარე) —	ქართ. მწარე;
ა-წხ	(ღამე) —	ქართ. მწუხრი (შეადრ. წუხელ),
ა-წარა	(სწავლა) —	სწავლა
ა-წარა	(წერა, დაწერა, წარწერა) —	წერა
ა-წა	(ტილი) —	წილი
ა-მწ	(ბუზი) —	მწერი

არის ერთი შემთხვევა, როცა აფხ. წ შეესატყვისება მეგრ. ჯ-სა და ქართ. ძ-ს:

ა-წლა (ხე) — ჯა(ლი)—ძელი<sup>2</sup>.

ამრიგად ჩვენ იძულებული ვართ დავასკვნათ რომ ფორმა „წან“ აფხაზურმა მზამზარეულად შეითვისა, და არა გადააკეთა თავის ფონეტიკის ყაიდაზე. როცა აფხაზური წანის ისტორიულ მნიშვნელობაზე ვფიქრობთ, შეუძლებელია სანიგები არ მოგვაგონდეს. წანი სანიგს ხომ არ უდრის? არიანეს 134 წ. (ახ. წ.) დოკუმენტური ცნობით, მის დროს სანიგები აზბასკების გვერდით (ჩრდილო-დასავლეთით, როგორც ყველაფერიდან ჩანს) ცხოვრობდნენ და მათს ქვეყანაში იღო ქალაქი სეზასტოპოლისი<sup>3</sup>, ე. ი. თანამედროვე სოხუმი. ამ ქალაქის სახელების ისტორიაც სავსებით ნიშანდობლივად ბერძნულს დიოსკურიასა (უძველესი სახელია, იქნებ არაწმინდა ბერძნული წარმოშობისა, არამედ გაბერძნულებული; მიაქციეთ ყურადღება სახელწოდების მეორე ნახევარს, სადაც შეიძლება გვქონდეს ცნობილი მეგრული ტოპოგრაფიული ტერმინი „სკური“) და სეზასტოპოლისს (შემდეგ შერქმეული სახელია) აქ შეესატყვისებ!

<sup>1</sup> იხ. П. Паря, Об отношении абхазского языка к ифетическим, 16—17

<sup>2</sup> ჭარაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 18 შემდ. ჭარაია აფხ. წჯფხ-ის („შარზან“) პირველ მცდელობაზე ქართ. წელის შესატყვისისა ხედავს, გვ. 45.

<sup>3</sup> პერიოლი, § 15; S C I 222.

ქართ. ცხომ || ცხუმი (შედარ. სვანური თემის „ცხუმარ“-ის სახელწოდება; ცხუმიდან მომდინარეობს ქართ. გვარები ცხომ-ელიძე და ცხუმ-არია) და აფხაზურ-ადიღურთი აყუა. ქართული ცხუმი შემდეგ თურქებმა, რომელთაც არც ცხე-რა აქვთ და არც ორი თანხმოვნის გამოთქმა შეუძლიათ სიტყვის თავში, გადააკეთეს „სუხუმ“-ად და ამ სახით შევიდა ეს სახელი ევროპულ ენებში. ამრიგად, აფხაზეთის დედა-ქალაქის სახელიც მეტყველი მოწმეა ეთნიკურ გადაჯგუფებათა სიხშირისა ამ რაიონში.

სანიგ-წანის წარმოდგენილ დაახლოებას იმდენად იგ მარცვლის გაქრობა არ აბრკოლებს აფხაზ. ფორმაში (ეს შესაძლებელია), რამდენადაც სხვა გარემოებანი, კერძოდ თამარ მეფის ისტორიკოსის ზემოთაღნიშნული ცნობა, თუ იგი რეალ-ისტორიული ჩვენებაა<sup>1</sup>.

წან-ზან-ჰანის შესატყვისობის თვალსაზრისით საყურადღებოა ერთი მდინარისა და პუნქტის სახელწოდება ცენტრალურ სამეგრელოში. ვახუშტი ამბობს: ხეთას „ჩრდილოთ დის ჰანის წყალი, წოდებული ქელენ-ჯიხის გამო. გამოდის მასვე კავკასსა და დის აღმოსავლიდამ დასავლეთად და მიერთვის ზღვას ხოფს“<sup>2</sup>. ნამდვილად, ჰანისწყალი არის მდ. ზობის მარჯვენა შენაკადი, როგორც ეს აღნიშნულია უკვე XVII ს. დამდეგის სამეგრელოს რუკაზე, რომელიც ლამბერტის ეკუთვნის. მართალია, ლამბერტისაც ჰანისწყლის შესართავი თითქმის ზღვის პირამდე ჩაუტანია, მაგრამ ეს უფრო მისი კარტოგრაფიის ნაკლი ჩანს, ვიდრე რეალური ამბავი<sup>3</sup>. ლამბერტის რუკაზე მოცემული ფორმაც მდინარის სახელწოდებისა, Cianeus Fl. incolis Ciani მოწმობს, რომ ამ იტალიელ მისიონერს სიტყვის თავში ესმოდა აფრიკატი, და ისიც შიშინა და არა სისინა: ჯგუფი ci სწორედ აფრიკატს აღნიშნავს, ჩ-ს ან ჰ-ს. წ-ს ლამბერტი, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, სხვაგვარად გადმოსცემს, მაშასადამე, Ciani უნდა წავიკითხოთ „ჩანის“ (იგულისხმე: „ჰანის“). ასე გაიგონეს რუსებმაც ეს სახელი XIX ს. დამდეგს. მაგალითისათვის აქ აღვნიშნავთ რომ მურავიოვი, რომელმაც მოიარა სამეგრელო XIX ს. ორმოციან წლებში, ასახელებს „ჰანის-წყალს ანუ ლაზების მდინარეს“ (Чани-цкати или река Лазовъ).

უეჭველია, ეს ცნობა მურავიოვს მიღებული აქვს სამეგრელოს მთავრის ძმის, ცნობილი პოეტისა („კოლხიდელი“) და ქართულ სიძველეთა დიდი მკოდნე-მოყვარულის, გრიგოლ დადიანისაგან, რომელიც იყო მურავიოვის მეგობარი<sup>4</sup> თანა-

<sup>1</sup> ლიტერატურაში არის ცდები სანიგთა ვინაობის სხვაგვარი ახსნისაც. კლაპროთი, მაგ., ფიქრობდა რომ „სანიხი“ ცნობილი ჩერქეზული ტომის ჟანის სახელია, Asia Polyglotta. P. 1831, 129—130; III. B.—Нигамов, История Алхейского народа, T. 1861, стр. 17, прим. 1.—ზოგი კიდევ სანიგებში ხედავენ სამ-ების აფხაზურ ტომს (მოსახლეობდა მდ. ბზიფიდან მოყოლებული ვიდრე უბიხების საზღვრამდე), იხ. მაგ. Дьячков-Тарасов, Гарги и их окрестности, ЗКОРГО, кн. XXIV, вып. I, стр. 43, прим. 32

<sup>2</sup> გეოგრაფია, ჯანაშვილის გამოც., გვ. 300.

<sup>3</sup> არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმ. აღ. ჭყონიასი, ტფ. 1901, რუკა; ტექსტი, გვ. 183, 189. საინტერესოა რომ მდინარის სახელს ლამბერტიც „ჰანს“ უკავშირებს: „ჩემის აზრით, ეს სახელი იმითომ ეწოდება ამ მდინარეს, რომ მასთან მოდის სავაჭროდ თავისი პატარა ნავეებით და ჩერდება ერთი მეზობელი ხალხი, რომელსაც ჰქვია ჰანი“. გვ. 189.

<sup>4</sup> Грузия и Армения, С. П. Б. 1848, ч. III, 276—277.

მეზავრი და ინტერპრეტატორი ამ მოგზაურობაში. ფორმა ქანის-წყალი, ქანი-წყარი, ცოცხალია დღესაც. მაგრამ, იმავე დროს, და ეს ჩვენთვის ძალიან საყურადღებოა, გვხვდება პარალელური ფორმები ქენი-წყარი და წენი-წყარი<sup>1</sup>. ფორმა წენი-წყარი ანუ წენ-წყარი ამჟამად ადგილობრივ გაბატონებულიც კი უნდა იყოს, რამდენადაც ვიცით. წ-ს გაჩენას ჭ-ს მაგიერ, სიტყვის თავში, პროფ. ი. ყიფშიძე რეგრესული ასიმილაციით ხსნის (შეადარეთ სქა-სერი-შქა-სერი)<sup>2</sup>, მაშასადამე, სათანადო „წენიან“ ფორმასაც მეორეულ მოვლენად სთვლის. შეადრ. მართლაც ისეთი ფაქტები, როცა ქართ. ჭ მეგრულში წ-ს გადაძლევს: ჭირისუფალი — წირსუფალი... ჩვენთვის საკმარისია თვით შესატყვი-სობის დადგენა.

ასეთივე შესატყვისობა ვვაქვს ჩვენ ჭალენ-ჯიხა-ში (ვახუშტის ქელენჯიხა). ასეთი ფორმა გვხვდება ეხლაც, მაგრამ გაბატონებული კია წალენ-ჯიხა (ამჟამად ამ სახელს ატარებს არა მარტო დაბა თავისი ისტორიული ძეგლებით, არამედ მთელი რაიონიც). კიდევ უფრო საყურადღებოა რომ არის პარალელური ფორმა წენ-დიხა<sup>3</sup>. ყიფშიძეს შესაძლებლად მიაჩნია „წენ“ „ქანის“ ექვივალენტად მიიღოს და მთელი სახელწოდება გაიგოს როგორც ქანის ქვეყანა (ციხე)<sup>4</sup>. თუ ამ სახელწოდების „ჭ-იანი“ ფორმა ვახუშტის აქვს დაცული, „წ-იანი“ ფორმა, უკვე XVII ს. დამდეგისათვის, დადასტურებული აქვს იმავე ლამბერტის, რომელიც თავის რუკაზე, სწორედ წალენ-ჯიხის ადგილას, აღნიშნავს Scalingichas: sc, ვფიქრობთ, წ-ს გულისხმობს, და არა ჭ-ს: ჩვენ აქ ყურადღებას ვაქცევთ იმ გარემოებას, რომ sc ჯგუფი ხმოვნის წინ დგას. „ჭა“ აქ გადმოცემული იქნებოდა cia-თი და ამიტომ ჩვენი წაკითხვის საწინააღმდეგო საბუთად ვერ გამოდგება ამავე რუკის Scandidi—ჭყონდიდი. ასეთს ფონეტიკურ კონტექსტში (თანხმოვნის, კერძოდ, ყ-ს წინ) წ-ც, კიდევ უფრო ჩვეულებრივად, იმავე s-ითაა გადმოცემული (მაგ. მეგრ. „წყარს“ ლამბერტი გადმოსცემს scari-თ: Marmar-scari, Heti-scari, ან schari-თ: Moquis-Schari, Scheni-schari). S-ითაა აქვს გადმოცემული ლამბერტის ც-ც თანხმოვნის წინ, მაგ. Scheni-schari—ცხენისწყალი<sup>5</sup>.

ქართული ბგერების ლათინურ-იტალიანური ტრანსკრიფციის ისტორიისათვის, რასაც ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც ქვემოთ კვლავ იქნება ნაჩვენები, საინტერესო მასალა მოიპოვება მ. თამარაშვილის მიერ გამოცემულს იტალიურ საბუთებში. „წალენჯიხა“, კერძოდ, ლამბერტისებურად აქვს ტრანსკრიბირებული ქრ. კასტელის, 1642 წ. სამეგრელოდან რომს გაგზავნილ წერილში (Scalencichelle = წალენჯიხელი)<sup>6</sup>.

სხვა იტალიელ მისიონერთა 1655 წლის წერილში იგივე ფუძე გადმოცემულია Scalingichelli<sup>7</sup>. ჭ-ი აქვე c-თია გადმოცემული, კერძოდ, ცნობილ თავადთა,

<sup>1</sup> И. Кишиндзе, Грам. мюгр. яз., лексикон, „ქანი“ სიტყვის ქვეშ.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ყიფშიძე, იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> რუკა.

<sup>6</sup> მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 644, თარგმ. 185.

<sup>7</sup> იქვე, 652 თარგ. 199.

საგვარეულო სახელში, კილაძე-ში (Cilazze)<sup>1</sup>. საინტერესოა რომ წ ზოგჯერ z-ითაა გადმოცემული; ასე ლევან დადიანის ცნობილი ვაზირის, პაატა წულუკიძის („წუწუკის“) გვარი აქ იწერება Zulochia<sup>2</sup> და Zulachia<sup>3</sup>.

აფხაზური ტერმინის წან-ის ეთნიკურ მნიშვნელობას შექსა ჰფენს და ტერმინის ვარიაციების ისტორიისათვის ძალიან საყურადღებოა ერთი მეგრული-ვე ფაქტი, საკმაოდ მოულოდნელ კონტექსტში შენახული: სამხრეთის ქარს სამეგრელოში წანი-ბორიას, ე. ი. წანის ანუ ჭანის ქარს, ეძახიან. ამ გამოთქმის სწორი გაგებისათვის გასათვალისწინებელია სხვა ქართა ისეთი მეგრული სახელები, როგორცაა: გურული-ბორია — გურული ქარი, ჯვარული-ბორია — ჯვარის ქარი და სხვ.<sup>4</sup>.

როინ-ენგურის სან-ზანების შესახებ მსჯელობისას შეუძლებელია სიტყვა არ ჩამოვარდეს ლაზ-ებზედაც. ცნობილია რომ, გარკვეული დროიდან მოყოლებული, ამ რაიონის მოსახლეობის აღსანიშნავად ბერძნულ-რომაული მწერლობა უპირატესად ტერმინ ლაზ-ს ხმარობს, თვით ქვეყანა-სახელმწიფოს კიდევ ლაზიკას უწოდებს.

თუ სტრაბონისა და მისი წყაროებისათვის ეს ეთნიკური სახელწოდება ჯერ კიდევ უცნობია, იგი ჩნდება უკვე პლინიუსთან (გარდ. 79 წ. ახ. წ.) და, თუ არ ვცდებით, ვგონებ პირველადაც დასავლურ ლიტერატურაში<sup>5</sup>. მაგრამ ძალიან საინტერესოა (და ამისათვის არავის მიუქცევია ყურადღება) რომ პლინიუსის ლაზები საკუთრივ ეგრისის ფარგლებს გარეთ იგულისხმებინან. აი რას ამბობს პლინიუსი: „140.000 ნაბიჯის მანძილზე ტრაპეზუნტიდან მდ. აბსარია და იმავე სახელის მქონე ციხე შესართავთან. ამ ადგილებში მთების გადაღმა (eius loci a tergo montium) ჰიბერიაა, ხოლო ნაპირის გასწვრივ (მოსახლეობენ) ჰენიოხები, ამპრეეტები, ლაზები (Lazi), მდინარეები აკამფსეონ, ისის, მოგრუს, ბათუს (ლრმა), კოლხთა ტომები, ქალაქი მატეუმ, მდინარე ჰერაკლეუმ, იმავე სახელწოდების კონცხითურთ და უსახელოვნესი პონტოს (მდინარეთაგან) — ფასის“<sup>6</sup>. ლაზების ტერიტორიას კარგად განსაზღვრავს პლინიუსის მიერ დასახელებული გეოგრაფიული ობიექტები. აბსარს სენ-მარტენი რიზესთან ეძებდა, მულერი ხოფასთან, კიპერტი — მაკრიალთან. აკად. თ. უსპენსკის აბსარის ციხე გონიოდ მიაჩნია. ჩვენც ამავე აზრისა ვართ და ვფიქრობთ, მის სასარგებლოდ, ანგარიშგასაწევი საბუთები გვაქვს მოტანილი<sup>7</sup>. მდ. აკამფსეონი, ყოველ ეჭვს გარეშე ქოროხია, ისიდი, მოგრი და ბათი აჭარა-ქობულეთ-

<sup>1</sup> იქვე, 177, 640 (თამარაშილი აქ იზოწმებს ლამბერტის „სამეგრელოს აღწერის“ იტალიურ ტექსტს, რომელიც ჩვენ ხელთ არა გვაქვს).

<sup>2</sup> იქვე, 173 (ლამბერტი).

<sup>3</sup> იქვე, 643 და 183.

<sup>4</sup> ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრომი, „ბორია“ სიტყვის ქვეშ.

<sup>5</sup> რომელიცე მწერალი, სახელგანთქმული ტ. ლივიუსის, რომლის ცნობების დრო ნახევარი საუკუნით წინ უსწრებს პლინიუსისას, როცა პომპეუსის მოქმედებას ასწერს, აღმ. ამ. კავკასიაში იხსენიებს ჰიბერებსა და ალბანელებს, დას. ამ. კავკასიაში-ი-კოლხებსა და ჰენიოხებს, S. C. II 50-51.

<sup>6</sup> Nat. hist., lib. VI, § 12.

<sup>7</sup> იხ. ჩვენი ზემოთდასახელებული ნარკვევი კოლხეთის ისტორიულ გეოგრაფიიდან.

გურიის მდინარეებია, რომელნიც ზღვას ერთიან ჭოროხსა და რიონს შორის, ეს მდინარეები დასახელებული აქვს არიანესაც, მაგრამ სხვა რიგით: ბათუსი, აკინასისი (რომელიც პლინიუსს ნახსენები არა აქვს), ისისი და მოგრი. აქ ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს იმ რთული საკითხის გადაწყვეტას, თუ რომელ მდინარეს აქარა-ქობულეთ-გურიისას შეესატყვისებიან პლინიუს-არიანეს ბათუსისის-მოგრი (მთავარი პრეტენდენტები, რათქმაუნდა ბათომის წყალი (კორონისთავი), ნატანები და სუფსა იქნებოდნენ). ჩვენთვის საკმარისია. ის საზღვრებიც, რომლებიც უკვე მოიხაზა და რომლებსაც კიდევ უფრო კარგად არკვევს პლინიუსის ცნობის უკანასკნელი ფრაზა, მოცემული ტერიტორიის უკიდურეს ჩრდილოეთ მიჯნად მდ. ფასის-რიონს რომ ასახელებს. მაშასადამე, პლინიუსის წარმოდგენით, ჰენიოხები, ამპრეტები, ლაზები და კოლხების ტომები ცხოვრობენ შავი ზღვის სანაპიროზე, ჭოროხის შესართავის რაიონსა (ან უკიდურეს შემთხვევაში — მაკრიალიდან მოყოლებული ჩრდილოეთით) და თანამედროვე აქარა-გურიის მიწა-წყალზე. ლაზებს აქ თითქოს შუა ადგილი უჭირავთ — მათ ზემოთ „კოლხების ტომები“ ცხოვრობენ. „კოლხების ტომების“ ამ სახით მოხსენება, შემდეგ ჰერაკლემუსის მდინარის და კონცხის დასახელება ამ ადგილას, მოწმობს იმას რომ პლინიუსის საერთოდ ნიშანდობლივი, კონკრეტული და კარგი, ცნობა ნაკლისაგან თავისუფალი არ არის და მას ერთგვარი სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ.

საკონტროლოდ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პლინიუსისავე თხრობის მომდევნო ნაწილს, რომელიც ზემოთ გვქონდა განხილული და რომელიც ფასის-რიონის აღწერილობით იწყება (§§ 13 და 14). როგორც ცნობის ანალიზმა დაგვარწმუნა, მდ. ფასის-რიონის ჩრდილოეთით პლინიუსისათვის უკვე ახალი ტერიტორიულ-ეთნიკური ოლქი იწყება, რომლის მოსახლეობაში იგი უჩვენებს მხოლოდ სალტიებს, სანნებს, სეანებს, აბსილებს, სანიკებს, და, დასასრულ, ჰენიოხთა ტომებს.

რიონის ჩრდილოეთით, როგორც ვხედავთ, ლაზების ხსენებაც კი არ არის, და პლინიუსის ტექსტისათვის ეს გარემოება, ჩანს, შემთხვევითი არაა.

თუ კვლავ § 12-ს და მის ჩვენებებს, ლაზების შესახებ, დაუბრუნდებით, საკმაო საფუძვლით შეგვიძლია მივიღოთ რომ, პლინიუსის გეოგრაფიულ წარმოდგენაში, ლაზებს ჭოროხის ხეობის ქვემო ნაწილი ეჭირათ, ე. ი. ის მხარე, რომელიც ქართველების, სომხების და სხვა ადგილობრივი ხალხების პირში ყოველთვის კლარჯეთად იწოდებოდა. ამიტომ ბუნებრივად შეიძლება დაიბადოს კითხვა, ხომ არ უდრას პლინიუსის „ლაზ“-ი ქართ. „კლარჯ“-ს, როგორც რეალ-ისტორიულად, ისე სიტყვიერადაც? ქართ. „ჯ“ აფრიკატის გადაცემა ლათ. z-ათი, შეუძლებელი არ არის. რ-ს მეტ-ნაკლებობაც აიხსნებოდა; გაცილებით უფრო რთულია საკითხი თავკიდური „კ“-ს დაკარგვის შესახებ. დამატებითი მასალის საპირობება საბოლოო დასკვნისათვის აქ თვალსაჩინოა.

სულ სხვა სურათს გვაძლევს არიანეს ცნობა, რომელიც 134 წ. ეკუთვნის, ახ. წ. ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე, არიანეს ცნობით, მოსახლეობენ (სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ): უმეფო სანნები, მაკრონები და ჰენიოხები (ერთ სამეფოდ), ზიდრიტები (თუ ზურდიტები), ლაზები, აფსილები, აბასკები,

სანიგები. მაკრონ-ჰენიოხებსავე ზიდრიტებს, ლაზებს, აფსილებს, აბასკებსა და სანიგებს თავიანთი განცალკევებული სამეფოები აქვთ (§ 15). ამ სამეფოების ტერიტორიული განსაზღვრისათვის მნიშვნელობა აქვს არიანესავე შემდეგ ცნობებს. თანამედროვე ჰენეთის მდინარეების ჩამოთვლისას (§ 8) არიანე, სხვათა შორის, ასახელებს მდინარე „პრუტანისს“, 40 სტადიონის მანძილზე ქ. ათინიდან (ჩრდილოეთისაკენ) და თანაც დასძენს რომ ამ მდინარეზე „არის ანხიალის სასახლე“ (παλαια), § 15-ში-კი არიანე გვამცნობს რომ მის დროს მაკრონებისა და ჰენიოხების მეფედ იყო ანხიალი. უეკველია, ამ ანხიალის „სასახლეს“ უჩვენებს არიანე მდ. პრუტანისზე. პრუტანისი, ყოველ ეკვს გარეშე, არის თანამედროვე მდ. ფურტუნა. რადგანაც საფიქრებელია რომ მეფის რეზიდენცია დიდად დაშორებული არ უნდა ყოფილიყო სამეფოს ცენტრალურ რაიონს, ამიტომ შეიძლება მივიღოთ რომ არიანეს მაკრონ-ჰენიოხებს ეჭირათ თანამედროვე ჰენეთის ნაწილი ცენტრით, დაახლოებით, ქ. ათინასთან. მაკრონ-ჰენიოხთა ტერიტორიის ფარგლების დაზუსტებისათვის უნდა დაეუბრუნდეთ კვლავ პლინიუსს და მოვიგონოთ მისი „ტომი სანების-ჰენიოხების“-აგენს Sannorum Heniochorum, § 12<sup>1</sup>. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პლინიუსი და არიანე ერთიანიძავე მოსახლეობის შესახებ ლ. პარაკობენ, იმ განსხვავებით, რომ არიანეს სანები შეუცვლია, ალბათ, თვითნებურად, მაკრონებით. საფუძველი ასეთი ხელოვნური კონსტრუქციისათვის, საფიქრებელია, იყო ჰეკატეს (VI ს. ძვ. წ.) განმარტება, რომ „მაკრონები ამჟამად სანები“ არიან (ფრ. 191)<sup>2</sup>, განმარტება, რომელსაც ასეთი ხალისით იმეორებს ყველა მომდევნო ძველი ბერძენი და რომაელი მწერალი. მოტივი-კი „სანების“ შეცვლისათვის მაკრონებით შეიძლება იყოს ის ყოფილიყო რომ სანებს არიანე უჩვენებს უფრო სამხრეთით, ტრაპეზუნტისაკენ, როგორც უმეფო ტომს, სან-ჰენიოხებს კი, არიანეს ცნობით, უკვე სამეფო ხელისუფლება მოეპოვებათ. სანების ეს ორი ნაწილი, მასსადამე, სხვადასხვაგვარ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში იმყოფებიან.

პლინიუსის ცნობით, სან-ჰენიოხების მოსახლეობა თითქოს მდ. პიქსიტიდან იწყებოდა (... Flumen est Pyxites, ultra vero gens Sannorum Heniochorum, § 12). მაგრამ, პლინიუსით, თვით პიქსიტი თითქოს ტრაპეზუნტს სამხრეთითაა, მაშინ როცა არიანეს პერიპლით პიქსიტი გაცილებით უფრო ჩრდილოეთითაა ნაჩვენები, ზემოთ დასახელებულ მდინარე პრუტანის-ფურტუნასა და არქაბეს შუა, თვითეულისაგან 90 სტადიონის დაშორებით (§ 8). პიქსიტი უნდა იყოს ვიწვე-წყარი (ვიწვე-სუ) ან აბუ-წყარი (უფრო საეკვოა). თუ პლინიუსის თხრობაში სათანადოდ, საკმაოდ დიდი, შეცთომის შესაძლებლობას დაუფლებდით, მაშინ უნდა მიგველო რომ ამ ცნობაში დასახელებულია სან(მაკრონ) — ჰენიოხების ტერიტორიის ჩრდილოეთი საზღვარი, რომელიც, დაახლოებით, თანამედროვე ვიწესთან, ან ამ უკანასკნელთან ცოტა ჩრდილოეთით გადიოდა. ხოლო, ამ შემ-

<sup>1</sup> ყურადღება მისაკცევია რომ პლინიუსი ორჯერ იხსენიებს ჰენიოხებს: ერთხელ სანებთან დაკავშირებით, მეორედ კი — ცალკე, აპარეტებისა და ლაზების რიგში.

<sup>2</sup> რომ არიანე ძველ ავტორებს იცნობს და იყენებს, ეს მის მიერ ფორმალურადაც დადასტურებულია ამავე მე-15 წ-ში, სადაც იგი ხან იმეორებს და ხან ვკამათება ქსენოფონტეს (V ს.).

თხევამი, ზემონათქვამის საფუძველზე (ათინა ცენტრია მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოსი), ამ სამეფოს სამხრეთი საზღვარი დაახლოებით რიზესთან უნდა გაგვეტარებინა. შემდეგ ქალ. სებასტოპოლისს (სოხუმს) არიანე სანიგების ტერიტორიაზე უჩვენებს (§ 15); ხოლო სანიგებსა და მაკრონ-ჰენიოხებს შორის ათავსებს ზიდრიტების, ლაზების, აფსილებისა და აბასკების სამეფოებს. ამ ოთხი სამეფოდან მაკრონ-ჰენიოხების მიწა-წყალს უშუალოდ „ემეზობლებოდა“ ზიდრიტების<sup>1</sup> მიწაწყალი, რომელიც, მაშასადამე, დაახლოებით ვიწეს ჩრდილოეთით იწყებოდა. ამ ოთხ სამეფოს რომ თვითეულს იმდენივე ტერიტორია მიეუზომოთ, რამდენიც, ჩვენი ანგარიშით, თითქოს მაკრონ-ჰენიოხებს უნდა სჭეოდათ, მივიღებდით, რომ ზიდრიტების ტერიტორია თავდებოდა სადღაც აქარა-ქობულეთის საზღვართან, შემდეგ იწყებოდა ლაზების მიწაწყალი, რომელიც ვრცელდებოდა დაახლოებით მდ. ხობის რაიონამდე, ხოლო შემდეგ უკვე აფსილების სამეფო იყო გადაჭიმული. მაგრამ ცხადია, ეს მეთოდი მეტად პრიმიტიულია და ჩვენ მას ვერ დავეყრდნობით, ვიდრე სხვა ცნობებსაც არ გავითვალისწინებთ.

ლაზების შემდგომი ხსენება მოეპოვება პტოლემეს. ცნობილი გეოგრაფი ამის შესახებ ამბობს: „კოლხეთის ზღვისპირა ნაწილში მოსახლეობენ ლაზები (Λαζῆς), ზევანში-კი — მანრალეები და ხალხები, რომლებიც ცხოვრობენ ეკრიკატიკეს ქვეყანაში“, გეოგრ., წ. V, თ. IX, § 5. მაგრამ რადგანაც თვით კოლხეთი პტოლემეს ძველებურად ესმის (კოლხეთის სამხრეთი საზღვარი მას კაბადუკიის პონტომდე ჩააქვს), ამიტომ მისი ცნობა ჩვენი საკითხისათვის არაფერს გვაძლევს, გარდა იმისა, რომ თითქოს მიუთითებს სახელწოდება „ლაზის“ გაზრდილ მნიშვნელობაზე, რომელიც ეხლა, საფიქრებელია, უფრო ფართო მოსახლეობას გულისხმობს, ვიდრე თუნდაც არიანეს დროს, რომელიც რამდენადმე წინ უსწრებს პტოლემესას. პტოლემეს განხილული ცნობის მართებული გაგებისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ მისი მეორე ჩვენება, ჩართული სარმატიის მოსახლეობის საერთო აღწერილობაში: „პონტოს გასწვრივ (περὶ τὴν Πόντον), — ამბობს პტოლემე, — (ცხოვრობენ) ახეები, კერკეტები, ჰენიოხები და სუანოკოლხები“<sup>2</sup>. რას ნიშნავს ეს ცნობა? პონტოს სანაპიროს რომელ ნაწილს გულისხმობს იგი? თუ მხოლოდ იმას, რომელიც საკუთრივ სარმატიას ეკუთვნოდა და კოლხეთის ჩრდილოეთით მდებარეობდა, თვით პტოლემესაცე განსაზღვრით (ე. ი., დაახლოებით, მდ. ბზიფის ხეობიდან მოყოლებული ქერჩის სრუემდე), მაშინ რანაირად მოხდენენ იქ, კოლხეთის გარეთ, ეს „სუანოკოლხები“? თუ „სუანოკოლხების“ ადგილ-სამკვიდრებელი აქ შეცთომითაა განსაზღვრული და ისინი სანაპიროს უფრო სამხრეთით მდებარე ნაწილში, კოლხეთის ტერიტორიაზე, უნდა გადავიყვანოთ, მაშინ მცთარი ყოფილა აგრეთვე პტოლემესაცე შემომოყვანილი ცნობა, რომ „კოლხეთის ზღვისპირა ნაწილში მოსახლეობენ ლაზები“. ერთი სიტყვით პტოლემეს არ ჰქონდა, როგორც ჩანს, მთლად ნათე-

<sup>1</sup> ფორმალურად (დასახელების რიგის მიხედვით) გამოდის, რომ არიანეს ზიდრიტები უდრიან პლინიუსის ამპრეეტებს. რეალური ურთიერთობის გარკვევა, ზიდრიტ-ამპრეეტებს შორის, მომავლის საქმეა.

<sup>2</sup> გეოგრ., წ. V, თ. VIII, § 24.

ლი წარმოდგენა კოლხეთის მოსახლეობაზე. — სტეფანე ბიზანტიელის განმარტებით, „ლაზები (Λαζῆς) სკვითური ტომია“<sup>1</sup>, მაგრამ ასევე სკვითურ ტომად სთვლის სტეფანე აფსილებს და სანიგებსაც. რაზეა დამყარებული ასეთი გაგება, არ ჩანს.

გათვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოებაც რომ, გარკვეული დროიდან მოყოლებული (ბიზანტიურ ხანაში თითქმის უკლებლივ), ძველ ბერძენსა და რომელ მწერლებს „ლაზი“ კოლხების ახალ სახელად მიაჩნდათ, და ამ სახელწოდებათა მატარებელ ტომებს ერთსადანიმევე ხალხად სთვლიდნენ. ასე მაგ., არიანეს უსახელო რედაქტორი მეხუთე საუკუნისა (ახ. წ.) ამტკიცებს: „დიოსკურიდიდან ანუ სებასტოპოლიდან მდ. აფსარამდე წინათ ცხოვრობდა ხალხი, რომელიც იწოდებოდა კოლხებად და რომელსაც ახლა შეერქვა ლაზები (Λαζῆς)“<sup>2</sup>.

მემონი, რომელიც, როგორც ფიქრობენ, I—II სს. მიჯნაზე ცხოვრობდა, მითრიდატისა და რომაელების ბრძოლის ისტორიაში მოგვითხრობს, რომ როცა ლუკულმა ალყა შემოარტყა სინოპს და სანოვავე მოუწყვიტა გარემოცულებს, ამ უკანასკნელთაგან ის პირები, რომელთაც ხელისუფლება ჰქონდათ ქალაქში მითვისებული, თავის შველის მიზნით „ხომალდებით გაიქცნენ პონტოს შინაგან ადგილებში, რომლებიც დასახლებულია სანიგებითა და ლაზებით“-ო<sup>3</sup>. სამწუხაროდ, არც ეს, სხვა მხრივ ფრიად საყურადღებო, ცნობა იძლევა მტკიცე დასაყრდენს ჩვენი ტერიტორიული საკითხის გადაწყვეტისათვის. თუ ტერმინს „პონტ“-ის აქ ადმინისტრაციული მნიშვნელობა აქვს, მაშინ ეს ოლქი სრულიად გარკვეულ ადგილას უნდა გვეძებნა. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ესაა ნათელი.

საინტერესოა რომ ზემოხსენებული იპოლიტე პორტელი თავის „შთამომავლობათა წიგნში“, იაფეტის ტომთაგან იხსენიებს კოლხებს, საკუთარ ენის მქონე ტომთა შორის კიდევ — კოლხებსა და სანებს, ხოლო ლაზებს — არსად<sup>4</sup>. ასევე იქცევა ევსევიც<sup>5</sup>. სამაგიეროდ ეპიფანე, რომელიც თანამედროვეა ევსევისა, მხოლოდ ცოცხლობს ევსევიზე დიდხანს (ეპიფანე დაიბ. 314 წ. მახლობლად, გარდ. 403), ლაზებს საპატიო ადგილს უთმობს ერთა ფილიაიაში (სემის შთამომავალთა შორის), სამაგიეროდ სანებს სულ არ იხსენიებს (კოლხები იაფეტთანა შორის ჰყავს მოქცეული)<sup>6</sup>. საყურადღებოა რომ ეპიფანეს მოხსენებული აქვს უკვე ქვეყნის სახელი ლაზია (Λαζία), რომელიც, უფრო იშვიათად, გვხვდებ-

<sup>1</sup> ლექსიკონი, სიტყვის ქვეშ. XII ს. მწერალი იოანე ცუცუ კიდევ ამტკიცებს, რომ „კოლხები ინდოელი სკვითები არიან, იწოდებიან აგრეთვე ლაზებად და ცხოვრობენ აბასგების მუხობლად“, S C I 400, აგრეთვე 404, 405 („კოლხები ლაზური ტომია“).

<sup>2</sup> ანონიმის პერიპლი § 48, S C I 275. იხ. აგრეთვე წინა შენიშვნა.

<sup>3</sup> I, IV, S C I 510.

<sup>4</sup> S C II 445—7.

<sup>5</sup> იქვე, I 667—9.

<sup>6</sup> S C I 707—8. ეს სიები ეპიფანეს თავისებური წესით აქვს შედგენილი: მოსინიკები (სანებს ხომ არ გულისხმობენ ისინი?) მოხსენებულნი არიან როგორც სემის, ისე ქამის და ისევე იაფეტის შთამომავალთა შორის, ლაზები ორჯერ იხსენიებიან ერთ სიაში და სხვ. თვით ეპიფანე ამას ხსნის საერთო სახლებრებით, მიგრაციებით და ქამის ძალმომრეობით, იქვე.

ბა შემდეგშიაც (სხვათა შორის, იგი ნახმარი აქვს თამარ მეფის ისტორიკოს-საც), იმიტომ რომ გაბატონებული ფორმა არის „ლაზიკე“. — პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ტერმინს „ლაზები“ ეპიფანესთან შემდეგ ფრაზაში, სადაც ეპიფანე კითხულობს: ვინ იცის თუ რამდენი მწვალებლური დასია „კასპიაში... ან სარმატიაში... ან ზიქებთან, ამაზონელებთან, ლაზებთან, იბერებთან“...<sup>1</sup> თეოდორიტე კვირელი (V ს. პირველი ნახევარი), როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ-მოტანილ ციტატაში, ჯერ კიდევ ერთმანეთში არჩევს ლაზებსა და სანნებს. მაგრამ მეხუთე საუკუნეში მაინც საბოლოოდ დამკვიდრდა „ლაზის“ ახალი მნიშვნელობა ტერმინ „ლაზიკესთან“ ერთად: „ლაზი“ უდრის თანამედროვე „მეგრელს“, „ლაზიკე“ კიდევ აღნიშნავს საკმაოდ დიდ სამეფოს, რომელიც შეიცავდა გურიას, ქვემო-იმერეთს, რაჭა-ლეჩხუმს, სამეგრელოს, სვანეთსა და აფხაზეთს, და რომელიც ჩამოყალიბდა IV ს. დამლევს. ამ გარემოებამ განსაზღვრა, ძირითადად, მოცემული ტერმინების სემანტიკური ფუნქციის ახალი ფარგლები<sup>2</sup>. ამის შემდეგ სანიცა და ზანიც, სამეგრელოს ტერიტორიის მიმართ, უკვე სავსებით ან მეტწილად, ქრება: პირველი (და, მასთან ერთად, სხვა, ზემოთგარჩეული ტერმინებიც) ჩაყლაპა ლაზმა, მეორე — მეგრელმა-მარგალმა. ზანი მხოლოდ სვანურს შერჩა. შემდეგ ხდება კიდევ ერთი საინტერესო ამბავი: უკვე ლაზიკის სამეფოს დაშლის შემდეგ ტერმინი ლაზი გადადის ჭანებზე, რომელნიც მანამდის ასე არასოდეს არ იწოდებოდნენ. ეს უკვე სხვა რიგის ისტორიული საკითხია, და მის შესახებ ჩვენ სპეციალურ ნარკვევში გვექნება საუბარი.

აქ მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ რომ ტერმინი „ლაზის“ ორიგინალური ეტიმოლოგია თავის დროზე წარმოდგენილი ჰქონდა აკად. ნ. მარს. ამ განმარტებით „ლაზი“ არის ელინიზებული ფორმა „ზანების“ ქვეყნის სახელწოდებისა, „ლაზი“ მოდის „ლა-ზან“-იდან, ეს უკანასკნელი კი არის ადგილის სახელის სვანური ფორმა<sup>3</sup>. გეოგრაფიულ-ტერიტორიულმა ტერმინმა ეთნიკური მნიშვნელობით „შუესაბამო“ (несурзное) გამოყენება ჰპოვა არა იაფეტილებში, არამედ ბერძნებშიც, ამტკიცებდა მარი<sup>4</sup>. გარდა ამისა, მარი ფიქრობდა რომ ლაზი და მეგრელი ერთიდაიგივე არ არის, რომ ტერმინი სამიცი-კი, s-ს z-დ გამჟღერებით, გადატანილი იყო ჩრდილოეთში, მეგრელებზე<sup>5</sup>. შემდეგში მარმა რადიკალურად უარჰყო ეს ეტიმოლოგია, რომელსაც იგი, როგორც ვნახეთ, მრავალი წლის სიგრძეზე იცავდა; ავტორმა წინანდელი ასხნა შეცთომად აღიარა და „ლაზ“ ეხლა უკვე „ლაზ-გ“-ისა (ლეკისა) და „პე-ლას-გ“-ის ფუძის ერთ თავისებურ სახედ მიიჩნია<sup>6</sup>.

ჩვენ არა დამაჯერებლად მიგვაჩნია როგორც პირველი, ისე მეორე ეტიმოლოგია. პირველისთვის მთავარი დაბრკოლება ის კი არ არის, რომელსაც

<sup>1</sup> იქვე, 710.

<sup>2</sup> ამის შესახებ იხ. ჩვენი წერილი „ვერისის სამეფოს წარმოშობა“, ტფ. უნ. შრომები, V.

<sup>3</sup> Н. Марс, Крещение армяни, грузин, абхазов и аланов... ЗВО XVI (1905), 165—166; მისივე, Из поездки в Турецкий Лазистан, ИАН, 1910, 571; მისივე, Из поездки в Сванию, X В, т. II, вып. I, 32, შენ.

<sup>4</sup> Из поездки в Сванию, 23, შენ.

<sup>5</sup> Крещение, 166; Из поездки, 32, შენ.

<sup>6</sup> ნ. მარი, რით ცხოვრობს იაფეტური ენათმეცნიერება? 1923 წ., გვ. 38.

თავის დროზე მარი აღიარებდა — ტერიტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინის გადაქცევა ეთნიკურად. ამგვარი ტრანსფორმაციის უტყუარი ფაქტების დასახელება ადვილად შეიძლება. აი, თუნდაც ქართული „სვანეთი“, „ჯეჭეთი“ და მისთანანი რუსებმა რომ სატომო სახელებად აქციეს: XIX საუკუნეში რუსული მწერლობა ძალიან დიდხანს ხმარობს *СВАНЕТЬ*-ს, სვანის მნიშვნელობით, *ДЖИГЕТЬ*-ს, ჯიჭის მნიშვნელობით, და ა. შ. მოცემულ ახსნის საწინააღმდეგოდ, უწინარეს ყოვლისა, ისტორიული უკუთქმეები ჩნდება: ასახსნელია (თუ აუხსნელი), როგორ მოხდა, რომ ზღვისპირა ტომის, სან-ზანების, სახელწოდებისათვის ბერძენ-რომაელთა მწერლობამ, ამ დროს (I—II სს., ახ. წ.) უკვე ზანების მიღმა, მთებში მცხოვრები, სვანების ტერმინი შეითვისა, და არა თვით სან-ზანების საკუთარი სახელწოდება? კიდევ უფრო მიუღებელია, ისტორიულად, მოქალაქეობრივ სარბიელზე ეთნიკურ ტერმინზე ადრე ტერიტორიულის გამოყვანა: როცა ტერმინი ლაზი პირველად ჩნდება მწერლობაში, მაშინ ეს ტომი ისეთ საზოგადოებრივ ფორმაციაში იმყოფება, რომ მისი ტერიტორიის აღსანიშნავად ეთნიკურის (მორფოლოგიურადაც!) ტერმინის ხმარება მოსალოდნელი, და არა ტერიტორიულ-გეოგრაფიულია. განა დამახასიათებელი და ანგარიშ-გასაწევი გარემოება არ არის ის, რომელიც აღნიშნული აქვს თვით აკად. მარს რომ ფორმა „ლა-ზან“ დღესაც უნობია სვანებისათვის და რომ სამეგრელოს ისინი მარტივად „ზან“-ს ეძახიან? ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის, არამედ უძველესი ხანის გარდმონაშთია, როცა მოცემული სტრუქტურის ტერმინს კრებითი სატომო სახელის მნიშვნელობა ჰქონდა და იმავე დროს ტომის გავრცელების არესაც აღნიშნავდა. ჯერჯერობით დაუსაბუთებლად მიგვაჩნია ჩვენ აგრეთვე ლაზის დაკავშირება ლაზგასა და პელაზგთან<sup>1</sup>.

რა ურთიერთობაა მეგრელთა სატომო სახელის ამ ძველს, ადგილობრივ და უცხოურ, ფორმათა შორის? აქ უწინარეს ყოვლისა, გასარკვევია ზან-ისა და ბერძნ.-ლათ. სან-ის ურთიერთდამოკიდებულება, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ის მიმართება, რომელიც არსებობს ამ სიტყვების თავკიდურ თანხმოვანთა შორის. აქ თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ რომ ბერძნ. z-სა და ლათინ. s-ის გადმოცემა ქართ. ს-ანით უბრალო ტრანსლიტერაციაა. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რა ბგერითს შინაარსს სდებდნენ ამ ასოში ბერძნები და რომაელები უცხო ენის უფრო მდიდარი ფონეტიკური მასალის გადმოცემისას თავისი ნაკლული (ამ უცხო ენის ფონეტიკის თვალსაზრისით) ანბანით. z-სა და s-ს შეიძლება ეტვირთა ქართველური ენების როგორც მარტივი სპირანტების, ისე რთული აფრიკატების გამოსახვა. თუ რომელი მათგანისა, სახელობრ, ეს საძიებელია. ადგილობრივი მასალები, როგორც ვნახეთ, არჩევანს შემდეგ 3 ბგერაზე მიაგდებს: ზ, წ, ჭ. აფრიკატებში, ჩვენ ვფიქრობთ, სისინათა შანსები, ამ შემთხვევაში, მეტია, ვიდრე შიშინათა. გასათვალისწინებელია რომ ბერძნულს (და ლათინურსაც) არ ჰქონდა არა მარტო შიშინა აფრიკატები, არამედ ამ უკანას-

<sup>1</sup> მყარს საფუძველს მოკლებულია აგრეთვე ისეთი დანალოებანი, როგორიცაა: აზრა || აგრუა (მეგრელი), ხაზრან (მასული) || კაძარ (ეითომც მეგრელთა თვითწოდება) || კაჯარ (?). აჭარ, სადაც გაუფებრობას შემთხვევითობა ემატება და ფაქტიური მასალაც სინამდვილეს ძალიან დაშორებულია, იხ. ბ რ უ ნ ი ს შენიშვნები ევლიას თარგმანისათვის, ЗОИИД, IX (1875), 173.

ქნელთა ძირითადი კომპონენტიც—ბგერა შ. შიშინა აფრიკატები ბერძენ-რომაელ-თათვის აკუსტიკურად ორმაგად რთული უნდა ყოფილიყო. ამიტომაც რომ როცა სახელწოდება „ჭანი“ შედის ბერძნულ მწერლობაში, ჳ-ს აქ ორი ასო-თი, აჲ, გადმოსცემენ. ასევეა როგორც ვნახეთ, ლათინურის შემკვიდრე იტა-ლიურშიაც, სადაც ქართ. ჳ-ს (ხმოვნის წინ) გადმოცემას აგრეთვე ლიგატურით რჩებოვენ<sup>1</sup>. რაც შეეხება წ-ს, მისი აღნიშვნის მოვალეობა-კი შეიძლებოდა ეკის-რათ „სიგმა“—„ეს“-საც. ამის მშვენიერი მაგალითია პტოლემეს *Ἐσθιασμοί* (წ. V, თ. VIII, § 25, რომელიც უდრის ქართულს „წანარებს“<sup>2</sup>. საინტერესოა რომ არაბებიც ამ ფუძეს ას-სახით გადმოსცემენ<sup>3</sup>, სადაც ქართულ წ-ს და ბერძნ. თ-ს უდრის არაბ. ა-საექვოდ მაგვანჩია ჩვენ აგრეთვე ა || s-თი ქართ. ზ გადაე-ცათ. ამისათვის უფრო შესაფერისი იყო ბერძნ. ζ და ლათ. z, და ეს ფაქტიუ-რადაც ასეა. უკვე სტრაბონის გეოგრაფიაში ქართ. „ალაზანი“ გადმოცემულია Ἰλαζάνης სახით<sup>4</sup>, ხოლო ქართლის დედაქალაქის არმაზის ანუ არმაზის-ციხის სახელი Ἄρμαζι-ტი-<sup>5</sup>. აქ ორივეგან, მაშასადამე, ზ=ζ. ლათინური შესატყვისე-ბიდან s=ზ პლინიუსთან, ალაზნის სახელში, რომელიც მას საერთოდ და-მახინჯებულად აქვს მოცემული (Cazane)<sup>6</sup>.

ამიტომ, ვფიქრობთ ჩვენ, ბერძნების და რომაელების „სანი“ ზანად არ უნდა წაეიკითხოთ. რაც შეეხება „წანის“ საკითხავს, ის, როგორც ვთქვით, შეუძლებელი არ არის, მაგრამ ზემოთმოტანილ მასალებს უნდა დავერწმუნები-ნეთ რომ ეს ფორმა ადგილობრივი გავრცელების ყველაზე მცირერიცხოვან, სხვა ფორმებთან შედარებით, ფაქტებშია გამოხატული. ისეთი აზრიც გავიცა-ნით, რომ წ მეორეულ მოვლენად და ჳ-ს განვითარებად არის მიჩნეული.

ყოველივე თქმულის ნიადაგზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საკითხი საბო-ლოოდ ჯერ ვერ გადაწყდება, მაგრამ მოცემული ფაქტიური მასალის მიხედ-ვით ყველაზე ბუნებრივი ჩანს ბერძნ.-რომ. „სანი“ სწორედ ასე წაეიკითხოთ. ამ შემთხვევაში მივიღებდით რომ ბერძნ.-რომაულ მწერლობას შემონახული აქვს სატომო სახელწოდების უფრო ადრინდელი საფეხური, მეორე საფეხური კი ადგილობრივი ზან-ია: ხ-ს განვითარება ზ-დ შეუძლებელი არ არის. შეადრ. მეგრ. სიტყვა || ზიტყვა, ზაზანდარი (აქ ასიმილაციის წესიც მოქმედებდა ალ-ბათ), ზირტუა — ხსლეტა, ზისხირი — სისხლი.

<sup>1</sup> იტალიურში ქართულ შ-საც ლიგატურით sc, ან კიდევ უფრო რთულად—sci გადმოს-ცემენ: sciauscus: უდრის „შეშულს“, მაგ. იხ. თამარაშვილი, გვ. 420—786 და სხვ.

<sup>2</sup> ნ. მარი „წანარ“-საც სვანების სახელად სთვლის, Из походов в Сванию, 32, შენ. მაგრამ ეს დებულება დაუმტკიცებელი რჩება. რაც შეეხება ავტორის განცხადებას, წანარ-ს სვანებს ეძახდნენო; იქვე, ეს უკვე ფაქტიურადაც არ არის სწორი.

<sup>3</sup> იხ. მაგ. ბალაძორი, ქუხეს გამოც., ბაქო, 1927, გვ. 4.

<sup>4</sup> Strabo, Geographica, ed. Meineke, L., B. I., 1925, წ. XI, თ. 3, § 2, გვ. 702; აგრეთვე თ. 4, § 5, გვ. 706.—ქვემოთ ყველგან ეს გამოცემა ნაგულისხმევი.

<sup>5</sup> იქვე, § 5, გვ. 703.

<sup>6</sup> Nat. hist., VI, 29. რომ აქ მართლაც ალაზანი იგულისხმება, უეჭველია, რადგანაც იგი საზღვრადაა გამოცხადებული იბერებსა და ალბანელებს შორის.—რაც შეეხება არმაზის სახელ-წოდებას რომაელ ავტორებთან, ამის შესახებ სპეციალური მსჯელობაა საჭირო.

ზემოთაღნიშნული ფაქტები მჭიდროდ აკავშირებენ, — სატომო სახელთა სფეროშიაც, სადაც ყველაზე ძლიერია ცვალებადობა, — ჩრდილოეთისა და სამხრეთის „მეგრელებს“, ანუ საკუთრივ მეგრელებსა და დღევანდელ ლაზებს (ჭანებს). ცხადი ხდება, რომ ამ არსებითად ერთს, მთლიანს, ტომს, თავის დროზე სატომო სახელწოდებაც ერთი ჰქონდა.

ამ მხრივ ყველაზე ადრე ყურადღებას იქცევს ისეთი უძველესი ლიტერატურული ფაქტი, როგორცაა შეექვსე საუკუნის (ძვ. წ.) ცნობილი ბერძენი მწერლის, ჰეკატეს, ჩვენება რომ „მაკრონები ამ ჟამად სანნები (Μακρονες)“ არიანო (ფრ. 191). როგორც ზემოთ ვთქვით, ეს ცნობა მეტად პოპულარული გახდა შემდეგდროინდელს ბერძნულ-რომაულ მწერლობაში. როგორც მაკრონთა შესახებ არსებული ცნობები (მაგ. მეხუთე საუკუნის დამლევის ქსენოფონტეს აღწერილობა), ისე მერმინდელ მწერალთა და კომენტატორთა განმარტებანი გვაგულისხმებინებენ რომ ჰეკატეს სანები სამხრეთ კოლხეთში არიან საგულვებელნი, და არა ჩრდილოეთში. სტრაბონი, მაგალითად, პირდაპირ ამბობს რომ ტრაპეზუნტსა და ფარნაკიას ზემოთ ცხოვრობენ ტიბარანები (Τιβάραιες), ხალდეები (Χαλδαίους) და სანნები (Σανναι), რომელთაც წინეთ მაკრონებს (Μακρονας) ეძახდნენ<sup>1</sup>. პლინიუსი, როგორც ვნახეთ, პირდაპირს ეთნიკურ კავშირს აბანს კოლხეთის მოსახლეობის ამ ორ დიდ ნაწილს შორის, როცა ასახელებს სანნებს როგორც სამხრეთში (იქ ისინი ჰენიოხებთან კავშირში იმყოფებიან), ისე ჩრდილოეთშიაც. ანალოგია თავს იჩენს იმ მოვლენაშიაც, რომ სახელწოდება „სან“-მა, ს-იანი ფორმით, ვერ გასძლო სამხრეთშიაც: თუ ჩრდილოეთში იგი თითქოს ადგილს უთმობს „ზანს“-ა და „ლაზს“ (უცხოელთა ნომენკლატურაში), სამხრეთში შემკვიდრის როლში ჭანი გამოდის, სადაც თავკიდური აფრიკატი ძველ ბერძნ. მწერლებს აჲ-თი აქვს გადმოცემული. ზემოთვე მოტანილი და განმარტებული სხვა ცნობებით ძველი მწერლებიდან ჩვენ შეგვეძლო სამხრეთისათვისაც განვითარების თითქმის იგივე რიგი დაგვედგინა, თითქოს, რაც ჩრდ. კოლხეთისათვის მივიღეთ: სანი — (ზანი, ეს ფორმა იქ არ შენახულა, მაგრამ საგულსხმებელია) — ჭანი. მაგრამ ჩვენ აქ ერთი შენიშვნა უნდა გვაკეთოთ: ჰეკატეს ააო-ისათვის შეუძლებელია იმის მტკიცება რომ შეექვსე საუკუნის (ძვ. წ.) ამ მწერლის ტექსტში ა არ შეიძლება აღნიშნავდეს უცხოურ ზ-ს: სპეციალისტები ამტკიცებენ რომ მეხუთე საუკუნის დამლევაძე, ძვ. წ., ა-ს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ზ-ს მნიშვნელობა (იგი აღნიშნავდა „ზდ“ კომპლექსს) და ამიტომ უცხოურ ზ-ს იპრობინდელი ბერძნები „სიგმათი“ გადასცემდნენ.<sup>2</sup> მხოლოდ ის გარემოება რომ მერმინდელი ბერძენი მწერლებიც იმ ხანაში, როცა ჯ შექველად უდრის ზ-ს, დაჟინებით სწერენ ა-ს, ამ სიტყვაში, ა-ს-კი — არასოდეს, გვაფიქრებინებს რომ ზ ბგერა ბერძნებს აქ არ ესმოდათ არც მერმინდელსა და არც ადრინდელს, ჰეკატეს, დროში.

<sup>1</sup> გეოგრ., XII, 3, 18, დასახ. გამოც., გვ. 770.

<sup>2</sup> М. Фасмер, Исследование в области древне-греческой фонетики, М. 1914, გვ. 10, 23, 29, 43 და სხვ. ამ სპეციალურ მონოგრაფიაზე მიმითითა პროფ. გრ. წერეთელმა, რისთვისაც მას მადლობას მოვასხენებ.

სამხრეთული ფაქტების სია სრული არ იქნებოდა, თუ აქ არ მოვიგონებდით მოსინიკებს, კარგად ცნობილთ ანტიკურ მწერლობაში, რომელთაც ჩვეულებრივად ქართველ ტომად სთვლიან<sup>1</sup>. შესაძლებელია მართლაც, ამ სახელის ფუძეც ჩვენს ბუდეს ეკუთვნოდეს, ხოლო თავსართოვანი მარცვალი ცნობილი ქართველური პრეფიქსი მა || მე || მო || მუ იყოს, რომელიც, როგორც ზევით ვნახეთ, დღესაც სვანურში სატომო სახელიდან საინდივიდო, კერძობით, ფორმას აწარმოებს (მუშუან = ერთი სვანი, მე - ზან || მუ-ზნი — ერთი მეგრელი). ასეთი გაგებისათვის საყურადღებო საარგუმენტაციო მასალა იქნებოდა სკილაკისა (IV ს., ძვ. წ.) და პლინიუსის მიერ დაცული ფორმა ამ სახელისა. სკილაკი, ტიბარნების ჩრდილოელ მეზობლებად, იხსენიებს „მოსსენ“-ებს (Μεσασηαι. 86-87, S C I 86); ხოლო პლინიუსი, მდ. თერმოდონტს ჩრდილოეთით, ჩვეულს ეთნიკურ წრეში, ასახელებს ტომს Massyni, რომელსაც ტანი მოხატული ჰქონია (VI § 11)... ეჭვს გარეშეა რომ ეს ქსენოფონტეს მოსინიკები არიან, რომელთაც, ქსენოფონტეს ცნობით, ტანი აგრეთვე მოხატული ჰქონიათ (V 4-32). საყურადღებო ამ ორ ცნობაში ის არის, რომ სატომო სახელს აქ ჩამოცილებული აქვს -იკ- დაბოლოება, რომელიც არც ერთს ზემოგანხილულ ფორმაში ჩვენ არ შეგვხვედრია. მაგრამ სათანადო ფუძეში — *masy*<sup>2</sup> განსამარტავი რჩება ორი *as*, რომელიც შესაძლებელია ბერძენისათვის უცხო სპირანტს ან აფრიკატს აღნიშნავდეს, და, განსაკუთრებით რთული, *h*-ს საკითხი. ჩვენს ხელთ არსებული მასალები *h*-ს ადგილობრივ კანონზომიერ შესატყვისს არ იძლევა.

შემდეგ საყურადღებოა სატომო სახელი *kaeni*. იგივე პლინიუსი (VI § 11) მდინარე თერმოდონტის ჩრდილოეთით პირველ რიგში ასახელებს „კაენების ტომს“, *gens Caenarum*. ბიზანტიელი მწერლები, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, იცნობენ ჰანების ერთ-ერთ შტოს — ჰანებს ოკაენიტებს, სადაც თითქოს იგივე ფუძე ჩნდება, ტომონიმიკური ფორმით (*ka-*) შემოსილი. ლიტერატურაში პროკოპი კესარიელის „ოკაენიტების“ სახელი სწორედ ასეა განმარტებული<sup>3</sup>.

ჩვენთვის საინტერესო სატომო სახელწოდების პარალელებიდან სამხრეთ-კოლხეთში აღნიშნავთ აქ მხოლოდ „წან“-ს, რომელიც სამხრეთელ ჰანების მიმართ ჯერჯერობით მხოლოდ სამეგრელოშია დაცული (იხ. ზე-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერ. ისტ., I<sup>2</sup> 25.

<sup>2</sup> ქსენოფონტე, ანაბაზისი, V, თ. 4.

<sup>3</sup> А д о н ц, Армения в эпоху Юстиниана, 63, 64, სადაც გამოთქმულია მოსაზრება რომ „კენა“ „ჰან“-ის უფრო ძველი ფორმაა და რომ უკანასკნელი მიღებულია პირველისაგან კ-ს პალატალიზაციით. გ, კ, ქ-ს პალატალიზაცია და ამ გზით აფრიკატების მიღება ამჟამად ახსიათებს ჰანურის ათინურ კილოკავის ზოგიერთ უბნებს, ა. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, 15, 26. მაგრამ ჰანურის თანამედროვე ფაქტები კ-სა და ქ-ს შენაცვლების სფეროდან მრავალ შემთხვევაში თითქოს პალატალიზაციის გარეშე დგას. შეადრ. კახი || ჰახი — ბელურა, ჰაკი || ჰაკი — თხილის ნედლი ჩენჩო, კერფი || მჭეფრი — კანაფი, კოხა || მჭოხა — კუჩი (მკუხე ყურძენი); კ-სა და წ-ს შენაცვლებიდან: კამწამი || წამწამი — წამწამი. პალატალიზაციის გზა ნათლად ჩანს ისეთ ფაქტში, როგორიცაა: კაფუ || ჰაფუ — ტურა. იხ. H. M a p p, I p a s s. u a s. ავ., ლექსიკონი.

მოს)¹ და აქაურსავე „ჭანთან“ ერთად გვხვდება², და შემდეგ ძველი სომხური მწერლობის ცნობებს, რომლებშიაც „ჭან“ ფუძე გართულებულია — ივ სუფიქსით, რომელიც, როგორც სამართლიანად აღნიშნული აქვს აკად. ნ. მარს, მრავლობითი რიცხვის ნიშანი უნდა იყოს³, ადგილობრივი წარმოშობის ფორმანტი. ეს ფორმა დაცული აქვს მოსე ხორენელს, იმპერატორის ტაციტის მოკვლის შესახებ თხრობაში. მოსეს თქმით, იმპერატორი მოუკლავთ „პონტოს ჭანივში, რომელნიც არიან ხალდები“-ო⁴. თუმცა სინტაქსურად ტექსტის ეს მტკიცება მთლად ნათელი არ არის, მაგრამ ყველაზე ბუნებრივია ვიფიქროთ რომ აქ ხალდები ჭანებთან არიან გაიგივებულნი, რაც საყურადღებო ცნობაა თავისთავად⁵. შემდეგ ისევე, როგორც ჩრდილოეთში მოცემული ფუძის ეიანი ვარიანტები დავადასტურებთ (ჭენ, წენ), ასევე შესაძლებელია ამ ფორმის არსებობა სამხრეთშიაც ვიგულოვოთ. აქ გასათვალისწინებელია, ლიტერატურაში მრავალგზის განხილულ-კომენტირებული, გარდმოცემა ძველი სომხური მწერლობისა ნახარარ მამიკონიანების წარმოშობის შესახებ. ამ გარდმოცემით, მამიკონიანები შთამომავლობით ჭენ-ები არიან, ამ ფეოდალურ საგვარეულოს წინაპარი სომხეთში მამუღნი ჭენ-ია, „ჭენ-გვარის“ ანუ „ჭენ-თესლისა“ (*Ճենազի*)⁶. თუმცა უეჭველია რომ ამ გარდმოცემის უშუალო მომთხრობელთ „ჭენ“ აქ ესმით, როგორც „ჩინ“-ი და ეს ფუძე ძველ სომხურ მწერლობაში მართლაც ჩინეთსა და ჩინელზე მიუთითებს, მაგრამ საფუძვლიანი უნდა იყოს ლიტერატურაში არა ერთგზის გამოთქმული მოსაზრება, რომ ეს მწიგნობრული კონსტრუქციაა, სადაც ხალხური თქმულებების რეალური „ჭანი“ შეცვლილია „ჭენ“ ო „ჩინ“-ით, რისთვისაც, დავუმატებთ ჩვენ, იქნებ ხელი შეეწყოს „ჭან“-ის ადგილობრივს ცოცხალ ვარიანტს „ჭენ“-საც. მამიკონიანები რომ მართლაც წარმოშობით ჭანები იყვნენ, ეს საესებით სარწმუნოა: ამას გვარის სახელის ფუძის მამიკის (-მამა+კინილობითი სუფიქსი⁷) გარდა დაბოლოება — ონ, ჭანურ-მეგრული აფიქსი, ადასტურებს.

ამრიგად, მოცემული სატომო სახელის ისტორიული ფორმების განხილვა უკვე ამჟღავნებს იმ უმჭიდროეს კავშირს, რომელიც ჩრდილოეთისა და სამხრეთის კოლხებს, მეგრელებსა და ლაზებს, შორის, არსებობს. სატომო სახელის ამ ფორმათა მრავალნაირობა შემდეგნაირად ჯგუფდება:

¹ ისე კი წ-სა და ჭ-ს შენაცვლება თვით ჭანურში საკმაოდ ჩვეულებრივი ამბავია. შეადრ წარბა ო წარბა | ჩარხი (სა.), წიწი | ჭინჭყალა — შიგნული, წუკალი=ჭუკანი — დიდი ქვაბი, წუბუტი ო ჭუბუტა — პაწაწა, წუტა ო ჭუტა — პატარა. ჭანური წ შესატყვისება მეგრ.-ქართ. ჭ-ს: წუ — მეგრ. ქა—ჩალა, წიპა — ქართ. ჭიპი. იხ. Н. Марр. Грам. члн. яз., лექსიკონი.

² ჭანი — ტერმინში „ჭანური“, რაც სამეგრელოში სპალენძის ქვაბს აღნიშნავს. Кипини-дзе, Грам. мингр. яз., лექსიკონი, სიტყვა „ჭანი“.

³ О положении лев. аз. средн. яфетических, 17

⁴ *Պատմություն Հայոց, Մովսես Խորենացի*, გვ. 215.

⁵ სხვა მკვლევარნი ამას უყაყმანოდ ჩადაბ. ემონი მაგ. ასე სთარგნის: „в Джанике Понтийском, т.а е. в Хахтике“, — Ист. Арм. М. Хоренского, М. 1893, გვ. 122.

⁶ მ. ხორენელი, სომხ. ტექსტი, ივე, გვ. 90, 221-223, 227.

⁷ ეს ფუძე ქართველურ წარმოშობისად და მამიკონიანებიც ჭანებად მიჩნეულია, მაგ., ნ. აღონცის მიერ.

I. ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი : ს ა ნ - ზ ა ნ - წ ა ნ ; და დ ი ა ლ ე ქ ტ უ რ ი ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი : ჭ ა ნ , ჭ ე ნ , წ ე ნ (?)

II. ს ა მ ხ რ ე თ ი : ს ა ნ - ჭ ა ნ — (კ ე ნ , კ ა ნ ?) , და დ ი ა ლ ე ქ ტ უ რ ი ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი : ჭ ე ნ , წ ა ნ ? ა ქ ჩ ე ნ ი მ ი ს რ კ ე ვ ე ა ს ვ ე რ გ ა მ ო ვ ე ლ დ ე ბ ი თ , თ უ რ ო გ ო რ ი ი ყ ო ა მ ფ ო რ მ ე - ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ძ ი რ ი თ ა დ ი ხ ა ზ ი (ე ს ჩ ე ნ ი ა მ ო ც ა ნ ი ს ა თ ე ვ ი ს ა მ ქ ა მ ა დ ს ა ჭ ი რ ო ა რ ა რ ი ს) , — ვ ი ტ უ ე თ ი მ ხ ო ლ ო დ რ ო მ თ ი თ ქ ო ს ყ ე ვ ე ლ ა ზ ე უ ფ რ ო ს ა რ წ მ უ ნ ო უ ნ დ ა ი ყ ო ს : 1. ა მ ო ს ა ვ ა ლ ი ფ ო რ მ ა ა რ ი ს „ს ა ნ“ , 2. ჩ ე ნ ი წ ე ლ თ ა დ რ ი ც ხ ე ვ ი ს პ ი რ ვ ე ლ ს ა უ კ უ - ნ ე ბ ე შ ი ყ ა ლ ი ბ დ ე ბ ა , რ ო გ ო რ ც ს ა კ უ თ ა რ ი ს ა ტ ო მ ო ს ა ხ ე ლ ე ბ ი , ჩ რ დ ი ლ ო ე ლ ი კ ო ლ - ხ ე ბ ი ს ა თ ე ვ ი ს , ზ ა ნ ი , ს ა მ ხ რ ე თ ი ს კ ო ლ ხ ე ბ ი - ს ა თ ე ვ ი ს — ჭ ა ნ ი .

ბუნებრივი იქნებოდა ამიტომ ამ ორი შტოს საერთო სახელად სანი მი- გვეჩნია, ენისათვის კიდევ — ს ა ნ უ რ ი <sup>1</sup> .

ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებით საყურადღებოა ამ სატომო სახელების სტრუქტურა. ძნელი შესამჩნევი არ არის რომ დასავლელ ქართველი ტომების სახელწოდებათა ყველა განხილულ ფორმას ერთნაირი აღნაგობა აქვს: ფუძე+ ან, ვარიანტებით. ფუძის სახით, ერთი მხრივ, გვევლინება სუ || შუ, მეორე მხრივ ს, ზ, ჭ, და ამათი ვარიანტები წ, კ (?)<sup>2</sup>. სახელწოდების მეორე ნაწილი თავიდანვე აფიქსის შთაბეჭდილებას ახდენს. რა აფიქსია იგი?

აქ შესაძლებელია ორგვარი პასუხი: 1. ეს არის ცნობილი ქართ. წარმო- ბობის სუფიქსის, -ელ-ის ვარიანტი; შეადრ: ყვით-ელ-ი, მო-ყვით-ან-ო, ყვიც- ი-ან-ი; წით-ელ-ი, მო-წით-ან-ო... ასეთი განმარტება ჩვენ ნაკლებ დამაჯერებ- ლად მიგვაჩნია. გაცილებით უფრო სარწმუნოა რომ ეს არის 2. ქართველურ ენებში ფართოდ გავრცელებული — ან სუფიქსი (ფონეტიკურ ვარიანტების მქონე, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები), რამდენიმე, ურთიერთშორის მჭიდ- როდ დაკავშირებული მნიშვნელობით: ა) კრებითობისა, მრავლობისა, კორპო- რაციული, ბ) თვისების ქონებისა (კითხვაზე: რიანი?), გ) წარმოშობა-სადაურო- ბისა, დ) ტოპონიმიკური, ე) სიტყვათ - წარმოებითი, კერძოდ, კნინობითობისა.

სიტყვათწარმოების მექანიზმის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს რომ ან სუფიქსი უკავშირდება ფუძეს ზოგჯერ უშუალოდ, უმეტეს წილად-კი — ი, ე, ო, უ ინფიქსების საშუალებით. ამ ინფიქსებსა და სუფიქსს შორის ხშირად ჩნდებ- ბა თანხმოვანი ვ, რომელიც ზოგჯერ შეცვლილია ბ-თი.

სუფიქსის ფონეტიკურ ვარიანტებში განსაკუთრებით აღსანიშნავია -ონ ფორმა, ხოლო შემდეგ — ენ-იცა და -უნ-იც.

რადგანაც ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას დეტალურად განვი

<sup>1</sup> ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამ. ანალიზი, ასეთს ფუნქციას „ზან“ ტერმინს აკისრებს რ ამდენადაც ტერმინოლოგია პირობითია, აქ მთავარია, რათქმუნდა, შეთანხმება, რომლის ნიადაგზე ზან-ტერმინის ასეთ ხმარებას ხელს არაფერი შეუშლის. მხოლოდ: 1. ისტორიულად ტერმინი „ზანი“ სამხრეთისათვის არც ერთი წყაროთი დამოწმებული არ არის; 2. ზან-ის სა- ერთო, ზოგად, ტერმინად მიღებისას საკუთარი სახელი კვლავ დაეკარგებოდა ჩრდილოეთის შტოს. ს ა ნ ს-კი ამ მხრივ აშკარა უპირატესობა აქვს; იგი საერთო სახელა ზანებისა და ჭ ა ნ ე ბ ი ს ა თ ე ვ ი ს , ისევე როგორც ს ა ნ უ რ ი ს გ ა ნ ა ტ ო ტ ე ბ ი ი ქ ე ნ ე ბ ო დ ჭ ა ნ უ რ ი და ზ ა ნ უ რ ი .

<sup>2</sup> ცალკე უნდა დაისვას საკითხი სუ-(შუ-) და ს- ფუძეების ურთიერთობის შესახებ.

ხილოთ აქ -ან სუფიქსის საკითხი<sup>1</sup>, ამიტომ ქვემოთ წარმოდგენილი იქნება მხოლოდ საერთო და წინასწარი ხასიათის ანალიზი.

სუფიქსის მნიშვნელობათაგან განსაკუთრებით საყურადღებოა პირველი კრებითი. ამ მნიშვნელობის გამოხატვაში ჩვენ ვხედავთ სუფიქსის პირვანდელსა და უძველეს ფუნქციას. ეს მნიშვნელობა ფორმანტისა ნათლად არის წარმოდგენილი ქართველურ გვარისსახელებში, რომელთაც სათანადო დაბოლოება მოეპოვებათ. გვარისსახელების ეს დაბოლოება თავდაპირველად გავრცელებული იყო, ჩანს, ყველა ქართველ ტომში, და ქართველურს პატრონომისტიკულ მორფოლოგიაში იგი ერთი ყველაზე ადრინდელ მოვლენათაგანია. დროთა ვითარებაში ეს ფორმა ზოგს ქართველ ტომში დასუსტდა, ზოგჯერ თითქმის მთლად დაიკარგა. ყველაზე კარგად ამჟამად იგი სვანეთშია დაცული, სადაც საერთოდ ბევრი არქაული ფორმა ინახავს თავს. აი სვანური გვარების ნიმუშები.

-ან: ჩარკსელან, ლვარან, მარგველან (შეადრ. ქართ. მარგველაშვილი), ფანგან, ხეისტან, ქალდან, ხეიბლან, ფირცხელან (შეადრ. ქართ. ფირცხელაიშვილი, ფიცხელაური), გიგან, გვიდნ, გოშტელან, ჩართოლან, ნაკან (შედრ. ქართ. ნაკაიძე), ხოჯელან, გულედან, ფილფან, ხაფთან, ნანსყან, აბდელან, გაზდელან, ცალან, გაბულდან, ცინდელან, კიბოლან, დაჩქელან, პაკელან, მილდან, ვადრან.

-ი-ან: რატიან, ჩარკვიან, დავთულიან, ასათიან, ხარზიან, გასვიან, ჩოფლიან, ავალიან, გიგლემიან, თამლიან, ანსიან, კეებლიან, ლეკჩაყიფიან, გუჯიჯიან, მარგიან, ნავერიან, ზურებიან, კახიან, ქოჩგიან, ჯაჭვილიან, დედდერიან, იოსელიან, ჟორჟოლიან, ქურდიან, გაბლიან, წიფიან, ბერიან, მიტულიან, ხერგიან, \*მუშკვიან, ფალიან, ჭედლიან, გვარლიან, უდესიან, მერლიან, წიფიან, ფარჯიან, გირგვიან, წერედიან, კვანჭიან, გვიჭიან, სიდიან (შეადრ. მეგრ. სიდავა), იეფიან, ნიკლეზიან (=ნიკოლოზიანი, ნიკოლოზიშვილი), ჩორგოლიან, თამლიან, კვიციან (შეადრ. მეგრ. კუციას), შომპრიან, ვერცვიან, ვიბლიან, გერლიან, გურჩიან, უმფრიან, ჩარკვიან, მურღვიან (შეადრ. მეგრ. მურღულია), არღვიან, გუგუსიან, ჩხეტიან, (შეადრ. ძველი ჩხეტის-ძე და თანამედრ. მეგრ. ჩხეტია), ჩხვიანი, მიქიან (შეადრ. მეგრ. მიქა, მიქავა, ქარა, მიქაძე, მიქიაშვილი), წულუკიან (შეადრ. ქართ. წულუკიძე, მეგრ. წულიკია), ანსიან, დავითიან.

-ვ-ან: გელვან (აქედან — ქართ. გელოვანი), დოდვან, ხორგუან (?) || ხორგვან, დადვან (შეადრ. ქართ. დადვაძე), შუკვან, გოშვან (შეადრ. ქართ. გოშაძე, მეგრ. გოშუა), უშვან.

ამ ფორმებში ზოგან ვ შესაძლოა დეჟასეულიც იყოს, ამას ცალკე ჩხრეკა საჭიროა.

სვანეთში არის თითქოს ენ-ზე დაბოლოებული გვარის სახელები — ვეზდენ. თუ ეს შემთხვევითი ფაქტი არ არის<sup>2</sup>.

სვანურ გვარის სახელებში მოცემული დაბოლოება სავსებით გაბატონებულია, და ეს ფორმები იქ უკვე XI—XII ს-იდან არის დადასტურებული, ისეთ

<sup>1</sup>-ან სუფიქსი, ისე როგორც სხვა ანალოგიური სუფიქსები, ავტორს განზილული ექნება სპეციალურ ნარკვევში. — გენეტიკური თვალსაზრისით, მაგ., შესაძლოა სულ სხვაგვარად გაშუქდეს ინფიქსური ვ, ბ, მაგრამ ამის შესახებ სხვაგან.

<sup>2</sup> აქ გასათვალისწინებელია სვანურში ძლიერად მომქმედო რუდუქვიას წესი და მისი შედეგები, კერძოდ, ფუძის შეკუმშვა. ა-ს გაგრძელებაც მეორადი ფონეტიკური მოვლენა უნდა იყოს.

გვარებში, როგორცაა დადიანი, ფარჯანიანი და სხვ. შტო-გვარის სახელები სვანეთში სხვაგვარად იწარმოება, მაგრამ მათი ფორმა ჩვენთვის ამჟამად საინტერესო არ არის.

იშვიათი არ არის ასეთი გვარები ქართულში:

-ი-ან: ბაგრატიონიანი (ძველი ფორმა ბაგრატიონის), ავალიანი (შეადრ. ავალიშვილი), ასათიანი (შეადრ. ასათისძე, თამარის მეფობაში), იოსელიანი, კახიანი (შეადრ. კახიძე, კახაძე, კახიშვილი), ბერეჟიანი, ქურდიანი (შეადრ. ქურდაძე, ქურდოვანიძე), ჟორჯოლიანი (შეადრ. ჟორჯოლაძე), ყიფიანი, ორბელიანი (ორბელისძე, ორბელიშვილი) და სხვ.

-ო-ვ-ან: ბაგრატოვანი (ბაგრატიონის ერთ-ერთი ვარიანტთაგანი), გელოვანი, ჩიქოვანი || ჩიქუანი.

-ი-ონ: ბაგრატიონი (ყველაზე ახალი ფორმაა ამ გვარის-სახელის ვარიანტებიდან; უძველესია ბაგრატიონიანი).

-ონ: გაბაონი (გაბაშვილი, როგორც სჩანს ხელოვნურად გაკეთებული ფორმა).

ამ წარმოების გვარების განსაკუთრებული გავრცელება დასავლ. საქართველოში, ყველაზე მეტად სვანეთთან ახლო მდებარე რაიონებში (მაგ. ლეჩხუმში), ზოგიერთი მათგანის აშკარა წარმომავლობა სვანეთიდან (ყიფიანი, გელოვანი, ჟორჯოლიანი, ბერეჟიანი...), ზოგის კიდევ ნათელი სვანური ეტიმოლოგია (ბერეჟიანი: ბერეჟ. სვან.—რკინა), ისტორიული მოსახრებები (თავისუფალი მთიელების დაწინაურება სამეფო სამსახურის გზით, კერძოდ, იმერეთის მეფის კარზე, და აზნაურობამდე აღზევება) ადამიანს აფიქრებინებს რომ -ან (-ონ)-ზე დაბოლოებული ყველა გვარი სვანური წარმომავლობისაა. მაგრამ ასეთი დასკვნა არ იქნებოდა სწორი. ჯერ ერთი, ზემოთჩამოთვლილ გვარებშიაც არის ისეთები, რომელთა ისტორიასაც ჩვენ კარგად ვიცნობთ (ისინი, ასე ვთქვათ, ჩვენი ისტორიული მხედველობის არეში ჩამოყალიბდნენ) და რომელთა შესახებაც ვადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი მორფოლოგიურად მთლიანად ქართულ ნიადაგზე არიან აღმოცენებულნი. ასეთებია, მაგ., ორბელიანი—ბარათაშვილების ერთი შტოს სახელწოდება; ასეთი ფორმა საბოლოოდ ჩამოყალიბებულია არა უადრეს მე-18 საუკუნისა, წინათ გვარი გაფორმებულია სხვაგვარად (ორბელისძე, ორბელიშვილი), ბაგრატიონი, გაბაონი. მოცემული გვარისსახელის ფორმა ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული საქუთრივ ქართველებშიც, და იგი აქ ფეოდალიზმმა (ფეოდალურმა ინდივიდუალიზმმა) ამოაგდო, როდესაც, კერძოდ, ფეოდალური საქუთრება საბოლოოდ დამკვიდრდა. ამის უტყუარი საბუთია არაოფიციალური, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხმარება ამ ფორმისა იმ შემთხვევაში როცა საგვარეულო მთლიანად, კრებით, კოროზირაციულად, არის წარმოდგენილი.

ასეთი წარმოება საყოველთაოდ გავრცელებულია, როგორც ცნობილია, მთელს აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ამ ფუნქციით, ფორმანტის ყველა ვარიანტული სახეობა გვხვდება:

-ან: ოთარაანი („ოთარაანთ ქერივი“), თოროზაანი („თოროზაანთ თეკლე“), მაყაანი (მაყაშვილები), გიგაანი (გიგას შვილები, გიგას შთამომავლობა) და მრავალი სხვა.

-ი-ან: ჯავახიანი (ჯავახიშვილები), თარხნიანი (თარხნიშვილები), ციციანი (ციციშვილები)<sup>1</sup>. ფორმა „ციციანი“ დაედო საფუძვლად რუსულ „ციციანოვს“. ამავე ფორმით, „ციციანი“, შეითვისა ამ საგვარეულოს სახელწოდება გულდენ-შტედტმა, მისი ქართლში ყოფნისას მე-18 ს. სამოცდაათიან წლებში.

ხშირია ძალიან -ან ფორმის გამოყენება შტო-გვარის სახელებსათვის. აი, მთიულეთის მაგალითები.

ჩოხელთა შტოები: ლაზარინი და შელლიანი.

ბუჩუკურთა შტოები: ოქრუანი (-ან!), მამუკიანი, ბერიანი, ქუშიანი, ქოჩიანი, ობლიანი...

ამირიძეთა შტოები: ხუტიანი (შეადრ. მეგრული ხეტი), პაპიანი, გივიანი, მჭედლიანი.

კობაიძეთა შტოები: ბეჟანიანი, მგლიანი, მახარიანი, ლაბიანი...

ბურდულთა შტოები: პოვლიანი, შოუკიანი, ხოსრიანი, ვარდანიანი, ჭაბუკიანი (ტექსტში ალბათ შეცთომით: ჭაბუკიანი), ჭიჭლიანი, ვაჟიკიანი, ბეჟანიანი, თადულიანი, აფთიანი, ლეგანი...

წამალაძეთა შტოები: ყაზბეგანი, მახარობლიანი, ბიანი, ყატყვიანი, აეწიანი, ჯაბიანი...

ქავთარაძეთა შტოები: ხიზნიანი, ათილიანი, დეგილიანი, ქოჩორიანი, გორძიანი, ვერთაულიანი, გოჭიანი, თადლიანი, სეხნიანი...

გიგაურთა შტოები: გოგანი, სიჯანანი, ნადირიანი.

წიკლაურთა შტოები: ლომიანი, ნატანი, ვაიდაგანი, კოტორიანი.

აფციანურთა შტოები: მირიანიანი, ივანიანი, ბასილიანი, ასპანიანი (შეადრ. ძვ. ქართ. ფეოდალ. საგვარეულო სახელი ასპანისძე), მამუკიანი...

ბექაურთა შტოები: აფთარაანი, გულოიანი, შარვანიანი, ბაინდურიანი, დათვიანი, ლომიანი, ბატარაანი<sup>2</sup>. აღვილად შესამჩნევია რომ ზოგი ამ სახელთაგან საოცრად იმეორებს სვანურ გვარებს, მაგრამ, რათქმუნდა, დამოუკიდებლადაა წარმოშობილი.

ეს ფორმა ნაკლებ გავრცელებულია დას. საქართველოში (კერძოდ იმერეთსა და გურიაში), უფრო ხშირია იგი იქ ჩრდილოეთის რაიონებში, კერძოდ, რაჭაში, სადაც გვხვდება -ენ ვარიანტიც. მთა რაჭაში, მაგ. გვხვდება შემდეგი შტო-გვარის სახელები:

ე-ენ. ლობჯანიძეების საგვარეულოში: ლაშხენი, ზვიადენი, ჯოტენი, სვანენი.

გობეჯიშვილების საგვარეულოში: ერმილენი, გოგენი, ნინენი, დეტუენი.

გაეაშელიშვილების საგვარეულოში: ქაოზენი, ნასხიდეენი, ქუტუნენი, ჯამოენი, ოთუკენი.

<sup>1</sup> მაგ., ხალხურ ლექსში:

ციციანთ სუფრა შერცხვეს,  
ჯავახიანთ გალობაო,  
კარებამდის არ მიგყვება  
თარხნიანთ წყალობაო.

<sup>2</sup> ს. მაკალათია, მთიულეთი, ტფ. 1930, გვ. 78 79.

გოგრიჭიანების საგვარეულოში: ჩხუტეენი, გოჩიეენი, ლეჩუმელეენი, საგიეენი.

ცხადია, ამგვარი ფორმების წარმოებაში მნიშვნელოვანი როლი დაკისრებული აქვს ასიმილაციის წესს.

აქვე გვხვდება ჩვეულებრივი ი - ან ფორმები.

-ი - ან: გვარის სახელი გოგრიჭიანი და მისი შტო-გვარის სახელი მამუჩიანი. გაეაშელაშვილების შტო-გვარის სახელები: გოტოიანი, გივიტიანი.

გობეჯიშვილების შტო-გვარის სახელებიდან: შალიკიანი. ლობჯანიძეების შტო-გვარის სახელები: ხოშიტიანი, ნანუკიანი<sup>1</sup>.

ამ კატეგორიის მაგალითების გამრავლება ადვილად შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ ზედმეტია.

აღსანიშნავია რომ როცა ამ საგვარეულო კოლექტივებს შიგნით ცალკე ინდივიდის აღნიშვნა ჰსურთ, მაშინ ზემოთ წარმოდგენილი გვარის ფორმები ძველი მრავლობითის ირიბ ბრუნვათა -თ სუფიქსს დაირთავენ:<sup>2</sup> ოთარა-ან-თ ქვრივი. ზოგჯერ ეს ორმაგ-სუფიქსიანი სახელები თითქოს ცალკე არსებობის უნარსაც იძენენ. დიდი რაოდენობით ვხვდებით ჩვენ ამ ფორმებს წერილობითს ძეგლებშიც<sup>3</sup>.

გაბატონებული უნდა ყოფილიყო გვარისსახელების ეს ფორმა სამეგრელოშიაც, მაგრამ იქ შემდეგში (და საკმაოდ ადრე, როგორც წერილობითი ძეგლები ადასტურებს) ამ სუფიქსმა იმდენად იცვალა სახე, რომ მას დღეს ველარაჟინ ცნობილობს. ვგულისხმობთ მეგრული გვარების ჩვეულებრივ დაბოლოებებს -ია-სა და -ვა-ს. ნ. მარი მათ უყოყმანოდ აფხაზურიდან შენათვისებ ელემენტებად სთვლიდა, — მეგრულ ნიადაგზე სახეცვლილი აფხაზური სიტყვა ზა !! ფა („ძე“) არისო. მეგრულ -ვა-ს სრულ სახედ მარს ვარ მიაჩნდა<sup>4</sup>.

ამ მოსაზრების განიარება შეუძლებელია. ჯერ ერთი, არ არის ნაჩვენები ნაგულისხმევი გადასვლის ფონეტიკური კანონზომიერება. შემდეგ, ანგარიში არ

<sup>1</sup> ს. შაკალათია, მთის რაჭა, ტფ. 1930, გვ. 37.

<sup>2</sup> აქ ჩვენ არ ვიხილავთ ისეთ შემთხვევებს, როცა -თ უშუალოდ აწარმოებს გვარისსახელებს. ამ კატეგორიის ფაქტი მრავლად გვაქვს დადასტურებული როგორც ისტორიულად (მაგ. ლიპარიტეთი/თი, კლდე-კარის ერისთავების, ბალუაშთა ერთი შტოს სახელი), ისე ეთნოგრაფიულად, აღმ. საქართველოში და მესხეთში (მესხური, მაგ. თამარათი — თამარაშვილი; თუშური: ქოთილთა განა=განა ქოთილაძე, შველათ კოჭაურ=კოჭაურ შველაძე, ჩეთათ გორგაი=გორგა ჩეთაძე, ბექურათ ქალი=ბექურაძის ქალი, გულუხვათ ბიჭები=გულუხვაძის ბიჭები და სხვ. იხ. „ხალხური სიტყვიერება“, ტ. I. გამოც. საქ. საისტ. და საეთნ. საზ-ბისა, წ. I, დამატება, გვერდი 16.

<sup>3</sup> იხ. მაგ. მ. თამარაშვილის მიერ გამოცემული ძველი ქართული და იტალიური საბუთები XVII—XVIII სს., სადაც ბევრია ასეთი ფორმები: ტლუკანთ, ბალინანთ, ჯიგნიანთი, ორბელიანთ, გოდაკანთი, თუმანიანთი, ხუციანთი, ზოჯოანათ ბატონჯანა, ვარამანთი და სხვ. იტალიურ ტრანსკრიპციაში: Davitianti (Antonio, ანტონ კათალიკოსი; დავითიან-ბაგრატიონი), Gabanti, Navrozanti და სხვ., „ისტორია კათოლიკობისა“ გვ. გვ. 343—356, 372—382, 388—421 და სხვ.

<sup>4</sup> О положении абхаз. яз. среди яфетических, გვ. 5; რეცენზია ი. ყიფშიძის მეგრულ გრამატიკაზე ЗВОРАО, т. XXIII, 214, და სხვ. მარის აზრი გაიზიარა ყიფშიძემაც, იხ. გრამ-ლექსიკონი, ვა — ა.

ეწევა მოცემულ ფორმანტების ფუნქციონალურ სხვაობას: აფხაზურში იგი აღნიშნავს გვარისსახელის მხოლოდ მამრობითი სქესის მატარებელს, მეგრულში — ორივე სქესისას, დაბოლოს, არც სესხების ისტორიული პირობებია გარკვეული — როდის უნდა ყოფილიყო შესაძლებელი ასეთი წამლექავი გავლენა აფხაზურისა მეგრულზე?

ნამდვილად, როგორც ვთქვით, აქ საერთო ქართველური ფორმანტია, რომელიც, სხვათა შორის, საფიქრებელია, აფხაზურშიაც იჩენს თავს გვარისსახელთა კრებითობის ფორმის აფიქსში — აა (თუ: ა), მაგ., კოზმაა (კოზმავები), ეენიაა (ყვანიები), მარშანაა (მარშანიები) და სხვ.

მეგრ. - ია -იან-ის ნაშთია. ეს ცხადი ხდება, კერძოდ, ცნობილ გვარისსახელთა ისტორიულ (და მასთან ერთად, ლიტერატურულ) და ცოცხალ ფორმათა შედარებით. ამრიგად, ისტორიულსა და ლიტერატურულს დადიანს, ლიპარტიანს, რატიანს, ბედიანს მეგრულს ცოცხალ მეტყველებაში უდრის: დადია, ლიპარტია, რატია, ბედია. ისტორიული ფორმები დატული აქვს ქართულს არა მარტო იმიტომ რომ იგი მწერლობასთან ახლოს იდგა, არამედ იმიტომაც რომ იგი საერთოდ მთლიანი სახით იცავს თვით სუფიქსს სხვა შემთხვევებშიაც. საგულისხმოა აგრეთვე მეგრულ-ქართული და მეგრულ-სვანური შესატყვისობანი გვარისსახელთა სფეროში. ასე, მაგ.,

მეგრ. ბერია — სვან. ბერიან

მეგრ. ჩხეტია — ქართ.-სვან. ჩხეტიანი(ი)

მეგრ. ჯაშკელა<sup>1</sup> — სვან. დადშკელან, ქართ. დადშკელიანი

მეგრ. ჯორჯოლა (იწერებიან ქართულად: ჟორჯოლიანი<sup>2</sup>) =

= სვან. ჟორჯოლიან

= სვან. გაბლიან და სხვ.

მეგრ. გაბელია

არნ. ჩიქობავამ მიაქცია ჩვენი ყურადღება იმ ფაქტს, რომ ქართ. დარეჯანს მეგრულში უდრის დარჯა. ეს შემთხვევა, ბოლოკიდურ ნ-ს დაკარგვა, ნიშანდობლივია მეგრულისათვის. -ნ (და არა მარტო იგი, არამედ -ლ-ც) იკარგება ჩვეულებრივად ზმნის ფორმებში: რენ ფორმამ მოგვცა რე, და მისთ. -ლ-ს დაკარგვისათვის შეადრ. ისეთი ფორმები, როგორცაა ჯა, უძველესი ჯალ-ის ნაცვლად (ძველი ფორმა აღდგება მრავლობითში: ჯალეფი), სქუა || სქუალი (სქუალეფი) და მრავ. სხვა, რაც კარგადაა ცნობილი ლიტერატურაში.

-ია-ც სწორედ ამ გზითაა მიღებული -იან-ისაგან. ასეთივე წარმოებისაა, ჩვენი აზრით, მეგრულ გვარების -ვა დაბოლოება: აქ უკვე შეიკვეცილი ვან უნდა გვქონდეს. ამრიგად ფალავა, გალდავა და მისთანების ისტორიული სახე იქნება: ფალავან, გალდავან "... თუ რატომ ეკვეცება ამჟამად მეგრულ გვარებს ეს ვა დაბოლოება ცოცხალ მეტყველებაში, — საინტერესო საკითხია, მაგრამ ჩვენს თემას არ ეხება და მას აქ ვერ განვიხილავთ. ცხადია მხოლოდ, რომ ეს მოვლენა მეორადი ხასიათისაა.

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავას ცნობით, ასეთი ფორმა იხმარება სოფ. ჯვარში.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავას ცნობით.

<sup>3</sup> არის ერთეული ფაქტები, რომელიც საწინააღმდეგო ჩვენებას იძლევა; შეადრ. ჩიქვანი.

-ან სუფიქსს, როგორც კრებითობის, მრავლობის, ფორმანტს, აქვს ონ და უნ ვარიანტებიც. გვარისსახელებშივე ჩვენ ვპოულობთ ისეთ ფორმებს, როგორიცაა ხუხუნე (მეგრული გვარი), გაბუნია (ორმაგი სუფიქსაციით), და მისთანებს. კრებითობის ფორმანტია -ონ სუფიქსი ისეთ ფორმებში, როგორიცაა: მაყრიონი, ვარიანტული ფორმა ნაკლებ გავრცელებულის მაყრიანისა — მაყართა კრებული, მძლიონი -ქალის „მაყარი“ (სულხან-საბა, ლექსიკონი, სიტყვის ქვეშ), საყდრიონი (ალბათ საყდრიშვილების მნიშვნელობით), ჯვარიონი — „ჯვარის ანუ ხატის მოსამსახურენი საზოგადოდ“, ხევსურეთში, ხატიონი — ხატის მსახურთა კრებული ხევსურეთშივე<sup>1</sup>.

2. -ან სუფიქსი სხვადასხვა წინამავალი ხმოვნით, და მისი ვარიანტები, აღნიშნავს თვისებას. ეს კარგად ცნობილი ფორმანტია და ჩვენ აქ მცირეოდენი მაგალითებით დავკმაყოფილდებით.

-ი-ან: შზიანი, ღრუბლიანი, ყვავილიანი...

-ო-ან: ლერწმონი<sup>2</sup>, სახელოანი<sup>3</sup>, იმედოანი<sup>4</sup>, დარბაზოანი<sup>5</sup>, ოქროანი<sup>6</sup>.

-ო-გ-ან: მეტად ჩვეულებრივია — ყვავილოვანი, სახელოვანი, გულოვანი...

-ე-ვ-ან: სახარულევანი (ჩვეულებრივი ფორმაა ძველი ქართლისათვის)<sup>7</sup>.

-ონ ქანურში და მეგრულში. ქანურში: ბულუტონი — ღრუბლიანი, ილონი — ძელიანი, შექერონი — შაქრიანი, ჯუმონი — მარილიანი და სხვა მრავალი<sup>8</sup>. ეგევე სუფიქსი დადასტურებულია მეგრულშიც არნ. ჩიქობავას სპეციალური გამოკვლევით; ავტორის სათანადო მაგალითებია: გვიმარონი, ჭუბურონა (ადგ. სახ.), კორთონა, ჭველეთონა (ადგ. სახ.), ქელონი (ადგ. სახ.)<sup>9</sup>. ამ მაგალითების გამრავლება ადვილად შეიძლება. ტეხურის ხეობაში, მაგ., ჩვეულებრივია სიტყვა „ჯალონი“ („ჯალი“ || „ჯა“ — ხე) ხეებით დაფარული ადგილის, ტყის მნიშვნელობით. ბლომად გვხვდება აღნიშნული აღნაგობის გეოგრაფიული სახელებიც (მაგ. მდინარის სახელი „ქვიშონი“<sup>10</sup>). ივ. პეტროვის ტექსტებსა და ლექსიკონში დადასტურებულია ისეთი ტერმინები, როგორიცაა: „თხმულონა“ — თხმელის ტყე (თხომუ = თხმელას), „ხვიმონა“ — ხურმის ტყე (?), „ნემონა“ — კაკლის ტყე (ნემი = კაკალი, ნიგოზი), „ჰყონა“ — მუხის ტყე (ჰყონი — მუხა; ფორმა ალბათ მიღებულია „ჰყონონ“ — ისაგან<sup>11</sup>).

<sup>1</sup> ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, ლექსიკონი შედგენილი ავ. შანიძის მიერ, „წელიწადული“, I-II.

<sup>2</sup> ჯუანშერ, მარ. 176, ორჯერ

<sup>3</sup> ისტორიანი და აზმანი, მარ. 446, 451.

<sup>4</sup> იქვე, 460.

<sup>5</sup> იქვე, 511.

<sup>6</sup> იქვე, 391.

<sup>7</sup> იხ., მაგ. ამილახვრების სიგელი XVI ს. დამლევისა, ისტ. საბ., II 47; სვიმონ მეფის სიგ. 1595 წ., ისტ. საბ. III 84.

<sup>8</sup> Н. М а р р, Грам. запск. языка, 73 და ლექსიკონი.

<sup>9</sup> არნ. ჩიქობავა, ონ სუფიქსი მეგრულში, ტფ. უნ. მოამბე, VI, 306.

<sup>10</sup> ლაგვილავე, „წინ მივდივართ“, გაზ. „კომუნისტი“, 1926 წ., 8 დეკემბრის № 281.

<sup>11</sup> СМОИИК, т. X, стр. II, ტფ. 1890 წ. — საყურადღებოა არნ. ჩიქობავას მოსაზრება რომ ქართლის ცნობილი ველის „ტირიფონას“ სახელი ამავე სუფიქსით შეიძლება იყოს ნაწარმოები (ტირიფისაგან), დასახ. წერ., 306.

-უნ ვარიანტია ქანურ-მეგრულ -ონ-ისა. გვხვდება ისეთს ქანურ ტერმინებში, როგორიცაა: ბინეხეფუნა — სავენახე, ვენახოვანი, თხირეფუნა — სათხილე, თხილოვანი, ლიმხეგანაფუნა — საგვიმრე, გვიმრიანი, სადაც არნ. ჩიქობავას სახეებით სამართლიანი განმარტებით, ფუძედ უკვე მრავლობითი რიცხვის ფორმაა აღებული<sup>1</sup>.

-უ-ან გვხვდება მეგრულში: გემუანი — გემრიელი. აქ -უ-ან შეესატყვისება ქართ. -ოანს.

თვისებისა და წარმოშობის, წარმომავლობის, ნიშანთა გარჩევა ზოგჯერ კირს, ან პირველი მეორის შედეგია. ამიტომ ესევე სუფიქსი წარმოშობასა და წარმომავლობას აღნიშნავს. სუფიქსის ამ მნიშვნელობის განვითარებას უთუოდ ხელს უწყობდა მისი პატრონომისტიკული ფუნქცია, როდესაც კრებითობის ფორმანტი იმავე დროს რეალურად საერთო წარმოშობაზედაც მიუთითებდა. წარმოშობას, წარმომავლობას, აღნიშნავს სუფიქსი თავისი ვარიანტებით შემდეგ შემთხვევებში:

-ი-ან: ნერსიანი ნერსე, ადარანსიანი ადარანსე, ჯუანშერიანი ჯუანშერ<sup>2</sup>; ეს ნამდვილი გვარისსახელები ჯერ კიდევ არ არის, აქ მხოლოდ სათანადო პირთა შთამომავლობაა აღნიშნული. იმავე ავტორის მიერ მოხსენებულ აზნაურთა სახელი „გოდერძიანი“<sup>3</sup> ასეთივე ხასიათისაა (შეადრ. რომ მათივე გვერდით იხსენიებიან „ტბელნი“), ჩანს, თუმცა აქ საგვარეულო სახელად გადაქცევისაკენ მეტი მიდრეკილებაა უკვე გამოჩედიანებული. „გორგასლიანი“ = გორგასლისეული, „დავითიანი“ = დავითისეული (იგულისხმება დავით აღმაშენებელი, თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობაში რომ მეფემ „მოიღო დროშა სვიანად კმარებული გორგასლიანი და დავითიანი“)<sup>4</sup>.

-ე-ან: მამეანნი: „მოვიდეს ღამესა მას გოდერძიანი, ტბელნი, მათ თანა სხუანიცა აზნაურნი მამეანნი“<sup>5</sup>.

ო-გ-ან „მეფენი ხუასროვანი“<sup>6</sup>, ე. ი. ხუასროს შთამომავალი მეფეები; ან დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის ცნობაში რომ დავითმა გელათს შესწირა „ხუასროვანთა მეფეთა ტახტნი და საყდარნი“<sup>7</sup>.

-ი-ონ ხევსურულში, ჩვეულებრივი ქართ. — ელ სუფიქსის ფუნქციით:

ამლიონი — ამლელი

არხოტიონი — არხოტელი

როშკიონი — როშკელი

შატილიონი — შატილელი<sup>8</sup>.

<sup>1</sup> დასახ. ნაშრომი, 306-307.

<sup>2</sup> ჯუანშერ, მარ., 208, 215.

<sup>3</sup> იქვე, 215.

<sup>4</sup> მარ., 516.

<sup>5</sup> ჯუანშერ, მარ., 215.

<sup>6</sup> იქვე, 214.

<sup>7</sup> მარ. 294.

<sup>8</sup> გაბუური, დასახ. შრ., ლექსიკონი, გვ. 278.

ზოგჯერ, როგორც ვთქვით, თვისებისა და წარმოშობის ნიშანთა გარჩევა ქირს. ციხიანი || ციხოვანი, მაგ., ძველ ქართულში ნიშნავს როგორც „ციხიან“-ს, ისე აგრეთვე „ციხეში მდგომ“-ს, „მეციხოვნეს“ (ახ. ქართ.)<sup>1</sup>. აქ პროფესიონალური ნიშანია გამოხატული.

ქრისტიანი (ძვ. ქართ.) || ქრისტიანი (ახ. ქართ.) - ქრისტეს მიმდევარი. შეადრ. ჭანური დაცივნითი „მუნდიკუნდონი“ (= „ქრისტიანი“).

სანატრიონი = სანატრელი, შავთელის ლექსში: „აქვე მას ტრიონი სანატრიონი საწმისისაგან სამოსად გარეთ“<sup>2</sup>.

მსოფლიონი, ძველ ქართულში, სოფელის მნიშვნელობით.

უკვე ზემოთხსენებულ მაგალითებშიაც ჩვენ შეგვხვდა ტოპონიმიკური სახელები, ნაწარმოები მოცემული სუფიქსითა და მისი ვარიანტებით. მართლაც, მათი რაოდენობა ძალიან დიდია:

-ი-ან: ვაზიანი, თელიანი...

-ო-ან: ქუმელოანი, ხლოანი<sup>3</sup>, წყალშატროანი<sup>4</sup>, წაბლოანი<sup>5</sup>, კრცხილოანი<sup>6</sup> (კრცხილოვანი, ქცხილვანი, ცხინვალი).

-ო-ვ-ან გოროვანი<sup>7</sup>, წეროვანი, თელოვანი (|| თელოვნა), თხილოვანი (|| თხილოვნა, -ა აქ მასუბსტანტივებელი ნაწილაკია)<sup>8</sup>, წაბლოვანა<sup>9</sup>.

-ე-ვ-ან რატევანი, სოფ. ქართლის სომხითში<sup>10</sup>. მეთრევანა, სოფ. თრი-ალეთზე<sup>11</sup>, ბარევანი<sup>12</sup>.

-უ-ვ-ან სხლუენი, სოფ. კლარჯეთს<sup>13</sup>.

-ვ-ან სხლოვანი, იმავე კლარჯეთის სოფლის სახელის დიალექტური ფორმა, როგორც ჩანს<sup>14</sup>; ბალახვანი (შეიძლება მოდიოდეს „ბალახოვანი“-დან; ასეთი ფორმა მოხსენებულია ფხოტერის მთავარანგელოზის ხატის წარწერაში 1646 წ., Бақраძე, Сванетия, 63).

-ი-ონ: საყდრიონი (ერწო), ბახტრიონი (კახეთი), სოფლიონი<sup>15</sup>.

<sup>1</sup> „ციხიანი“ ფორმა იხ. მაგ., „ქართლ. ცხ.“, მარ., 267, სადაც „ციხოვანიც“ პარალელურად გვხვდება. უკანასკნელი ნახ., აგრეთვე, იქვე, 227, 266 და სხვ.

<sup>2</sup> აბდულმესიანი, მ. ჯანაშვილის გამოც., 1915 წ., გვ. 27 (ხანა 21).

<sup>3</sup> ნიკორწმინდის სიგ. XI ს., ქრნკ. II 47.

<sup>4</sup> გიორგი III სიგ. 1170 წლ., საქ. სიძვ. III დამატ. გვ. 5—6. 1806 წ. ეს ადგილი უკვე „წყალშეტრონი“-ად იწოდება, შიო-მღვიმის საბ., 87.

<sup>5</sup> როსტომ მეფის სიგ. 1642 წ., საქ. სიძვ. II 234.

<sup>6</sup> ამირეჯიბ სიმონ გაბელისძის სიგ. 1451 წ., ისტ. საბ. 8—9, აქ ფორმა „კრცხილოანი“ ნახმარია 3-ჯერ.

<sup>7</sup> გიორგი III-ის სიგ. 1170 წ., საქ. სიძვ. III დამატ., 3.

<sup>8</sup> კონსტანტინე მეფის სიგ. 1466 წ., საქ. სიძვ. II 2. აქ „თხილოვნა“ ნახმარია ორჯულ თხილოვანი — ერთხელ.

<sup>9</sup> როსტომ მეფის გადაწყვეტილების წიგნი 1634, საქ. სიძვ. II, 231.

<sup>10</sup> ბაგრატ მეფის 1468 წ. სიგელი, საქ. სიძვ. II.

<sup>11</sup> გიორგი მეფის სიგ. 1678 წ. ისტ. საბ., III 59—61.

<sup>12</sup> საქ. სიძვ. II 4.

<sup>13</sup> მელქისედეკ კათალიკოზის სიგ. XI ს. პირველი ნახევრისა, ქრნკ. II 33.

<sup>14</sup> ქრნკ. I 185.

<sup>15</sup> იხ. მთ შესახებ ЗКОРГО, кн. XI вып. 2, Р а д л е, Хевсурия и хевсуры, გვ. 49-

-ონ || -უნ, ჰანურში და მეგრულში, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი და ნაჩვენები, ბევრს გეოგრაფიულ სახელს აწარმოებს. აქ ჩვენ დავუმატებთ მხოლოდ რომ ტოპონიმიკაშიაც ზოგჯერ ონ მრავლობითი რიცხვის ფუძეს ერთის. ასეთია ჯიქეფონი და მიქელფონი (სოფლები ტობანიერისა და საპაიქაოს სასოფლო საბჭოებში)<sup>1</sup>. პირველი იხსენიება უკვე დავით ნარინის სიგელში (XIII ს. მეორე ნახევარი)<sup>2</sup> და მისი ქართული, წარმოების თვალსაზრისით, შესატყვისია ჯიქთ-უბანი, აგრეთვე კარგად ცნობილი წყაროებში. ჯიქეფი = ჯიქთ (ჯიქნი)! ასევეა ნაწარმოები, ჩვენი აზრით, მიქელფონი — მიქელეფი (ალბათ საგვარეულოს სახელი).

გვარისსახელები, საერთოდ, დიდ როლს თამაშობენ ტოპონიმიკაში, კერძოდ, -ან-იანი სახელებიც. ისინი ზოგჯერ პირდაპირ ქვედებთან გეოგრაფიულ (სოფლის; სოფელი = საგვარეულო!) სახელებად:

-ან ოზანანი (ოზაშვილები), მელანანი (მელაშვილები, მელაძეები), ტიბანანი (კახეთში), სვიანანანი, ქიმბარიანი, შარუმიანი (მთიულეთი) და სხვა მრავალი. ზოგჯერ კი ჰქმნიან კომპოზიტს. ასეთია მთაში (და ბარშიც) მრავლად გავრცელებული სოფლის სახელები, რომელთა ერთს კომპონენტს (საზღვრულს) „კარი“, „სოფელი“, „უბანი“ და მსგავსი სიტყვები შეადგენს, მეორეს (მსაზღვრელს) — კი — გვარისსახელები, ჩვენი სუფიქსით ნაწარმოები, მაგ., მთიულეთში: ბენიანთ-კარი, ცხოვრობენ ბენიანიძენი, ნალიბანთ-კარი — ნალიბანიძენი<sup>3</sup> და სხვ. ზოგჯერ ასეთ სახელებში საზღვრული სიტყვა იკარგება და რჩება მხოლოდ მსაზღვრელი.

ზემოთმოტანილ მასალაშიაც აქა-იქ შეამჩნევდა მკითხველი, რომ მოცემული სუფიქსი საერთოდ სიტყვათმწარმოებლის როლში გამოდის (მაგ. სანატრიონი). ასეთი შემთხვევები იშვიათი არ არის. შეადრ. დიდროანი || დიდრუანი (= დიდრონი). მაგ., თამარ მეფის ისტორიკოსის ტექსტში: „დიდრუვანი სოფლები“<sup>4</sup>.

ჯეროვანი || ჯეროანი (მეორე ფორმა ჩვეულებრივია ძველ ქართულში, იხ. „ქ. ცხ.“, 242), ფეროვანი || ფერვანი (თეთრფერვანი), სახარულევანი (იხ. ზემოთ), მტკივანი (? ტკ ძირიდან), სამწღონი („სამწღონნი პატიოსანნი“, დ. აღმაშენებლის ისტორიკოსი, მარ., 282) და სხვ.

საყურადღებოა რომ ჰანურში -ონ სუფიქსი აწარმოებს მოქმედის სახელს ზმნის ფუძისაგან: ქარონი — მწერალი || მწერელი<sup>5</sup>.

ამავე კატეგორიას განეკუთვნება მოცემული სუფიქსის, როგორც კნინობითი სახელების ფორმანტის, ფუნქცია:

-ან: ყაჩალანა, ქაჯანა, ცუგანა, გოგუცანა...

<sup>1</sup> იხ. „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა“, საქ. ცაკის გამოც., 1930 წ., 71.

<sup>2</sup> ქრქ. II 162.

<sup>3</sup> ს. მაკალათია, მთიულეთი, 78

<sup>4</sup> მარ., 494.

<sup>5</sup> მარი, ჰან. გრამ, 73

-უნ: დათუნა, ციკუნი, ეშმაკუნა<sup>1</sup>...

მოცემული სუფიქსის ასეთი საყოველთაო გავრცელება და მრავალვარიან-ტიანობა<sup>2</sup> ქართველურ ენებში მოწმობს რომ იგი ამ ენების საკუთარი მორფოლოგიური ელემენტია. ხოლო როცა ჩვენ მას ვხვდებით უცხო ენებში, ბუნებრივია, რომ იქ ეს სუფიქსი ქართველურ ენებიდან შენაძენად მივიჩნიოთ. ასეთია, მაგ., ძველი სომხური გვარისსახელების -იან (მოდის — ეან-იდან) და უნი ფორმანტები: მამიკონიან, ბაგრატუნი, ფაჰლავუნი და მრავ. სხვ. ასეთივე ოსური წარმოშობის ფორმანტი -ონ: ქასაგონ = ქაშაგი, ჩერქეზი (ჩერქეზელი!) და მისთანანი, მაგრამ მათ შესახებ სხვაგან.

ბუნებრივია აგრეთვე ვიფიქროთ რომ მოცემულ სუფიქსთან უშუალოდ კავშირში იმყოფება ძველი მრავლობითის -ნ ფორმანტი ქართულში. რიგი მეცნიერნი ფიქრობენ რომ ეს მრავლობითის ფორმანტი თავდაპირველად წინამავალი ხმოვნით იყო წარმოდგენილი<sup>3</sup>.

მოცემული სუფიქსის „ქართველურობისათვის“, ასე ვთქვათ, საყურადღებო საბუთია კიდევ მისი საოცრად სრული ანალოგიები იმავე დანიშნულების მქონე სხვა სუფიქსებთან (-ელი || -იელი, -ერი || -იერი, -არი და სხვ.). ის გარემოება კი, რომ -ან სუფიქსის გაბატონებული ვარიანტი ერთგვარი მატერიალური სახისაა ქართველურ ენათა უმრავლესობაში, საყურადღებო და სპეციალური განხილვის ღირსი ფაქტია. იგი, ალბათ, მოწმობს ერთ-ერთი ქართველური ენის კულტურულ უპირატესობასა და ზემოქმედებას გარკვეულს, საკმაოდ ძველს, დროში.

ამრიგად შეიძლება შექცევლად მივიჩნიოთ რომ რიგი (უმრავლესობა) ქართველი ტომები ატარებდნენ (და ზოგი ეხლაც ატარებს) ისეთს სატომო სახელებს (სე-ან-ი, ზ-ან-ი, ჭ-ან-ი (ჭ-ენ-ი) და მათი პროტოტიპები თუ ვარიანტული ფორმები — ს-ან-ი, წ-ან-ი (წ-ენ-ი) და სხვ.), რომელთაც ერთგვარი სტრუქტურა, კერძოდ ერთგვარი ფორმა, ჰქონდათ. შეიძლება ამიტომ ვიფიქროთ, რომ განვითარების გარკვეულ საფეხურზე ეს ფორმა საერთო ქართველური ფორმა იყო სატომო სახელთა წარმოებისათვის.

რა შეიძლება ითქვას აღმოსავლეთის ქართველების, საკუთრივ ქართველის, სატომო სახელის შესახებ ზემოთგანხილული ფაქტების კავშირში და მათ სინათლეზე? მათი ადგილობრივი, ძირითადი, სატომო, ცნობილი უკვე ისტორიულ ხანაში, სახელწოდება — „ქართველი“, ისეთივე წარმოშობის და ხასიათისაა, როგორც „მეგრელი“. აქაც ჩვენ პოლიტიკურ-ტერიტორიული წარმოების ტერმინი (ქართ-ველ-ი, შეადრ. მეგრ-ელ-ი) გვაქვს. ამასთან დიდი ყურადღე

<sup>1</sup> კნინობითობის ფორმანტები ქართულში ავტორს განხილული აქვს სპეციალურ ნარკვევში.

<sup>2</sup> ჩვენ აქ განზე დავტოვებთ — ოსან სუფიქსის სადაურობის რთული საკითხი: ცხენოსანი და მისთანანი; გვხვდება პირისა და გვარისსახელებშიაც: წითლოსანი (საგვარეულო პირისსახელი ქსნის ერისთავებში), წილოსანი, ვარდოსანიძე, კილოსანიძე და სხვ. განუხილველს ვსტრუქტურით აგრეთვე -ბან-იან ვარიანტს.

<sup>3</sup> Н. М а р р, Крещение..., გვ. 167: -ნ სუფიქსის სრული ფორმა არისა -ენ. ასეთივე აზრი გამოსთქვა და უფრო ვრცლად დაასაბუთა არნ. ჩიქობავამ, ონ სუფიქსი მეგრულში, 308 — 309.

ბის ღირსია ის გარემოებაც, რომ ტერმინი „ქართველი“ იხმარებოდა და იხმარება თითქმის მხოლოდ ქართველსავე ტომებში (მეგრ. „ქორთუ“, მეგრული გზით არის ალბათ აგრეთვე შეთვისებული აფხაზური „ა-ქრთ-უა“; საინტერესოა რომ აფხაზებმა მეგრელების მიმართაც მხოლოდ ეს ტერიტორიულ-პოლიტიკურ წარმოშობის ტერმინი — აგრუა — შეინახეს; ეს გარემოება ადვილად აიხსნება ისტორიული პირობებით, რომელიც თითქმის ორი ათასი წლის მანძილზე აფხაზებისათვის საერთო იყო დანარჩენ ქართველ ტომებთან). თვით ფუძე სატომო სახელწოდებისა „ქართველი“ თავისთავად უაღრესად საინტერესოა და სპეციალური განხილვის ღირსია. იგი დიდ სიძველეს აჩენს. ჩვენ აქ მხოლოდ იმას ვამბობთ რომ „ქართველი“ არ დგას ქართველ ტომთა სატომო სახელების ზემოთგანხილულ რიგში, მაშინ როცა ამ წერილში მოტანილი მთელი მასალა უნდა გვარწმუნებდეს რიგის ამ წარმომადგენლის ოდინდელ არსებობაშიაც.

ამ მხრივ, უკვე ის გარემოებაც იქცევა ყურადღებას რომ ყველა სხვა ხალხი, რომელთათვისაც აღმოს. ქართველები ცნობილი იყვნენ ან არიან, ხმარობენ ქართველთა ტომის და ეროვნების აღსანიშნავად არა ტერმინს „ქართველ“-ს, არამედ სხვა სახელწოდებებს, რომლებიც სათანადო ანალიზის შედეგად, ყველა ერთ ფუძეზე დადის. ეს არის იბერი.

ყველაზე ადრე ეს ტერმინი მწერლობაში ბერძნებმა შემოიტანეს. სამწუხაროდ, სათანადო ხანის ბერძნული წყაროები მხოლოდ ფრაგმენტალურად არის ჩვენს დრომდე მოღწეული, და ამიტომ ჯერ-ჯერობით შეუძლებელია იმის ზუსტი განსაზღვრა, თუ კონკრეტულად როდის შეითვისეს ბერძნებმა ხსენებული ტერმინი<sup>1</sup>. ყოველ შემთხვევაში უკვე მეორე საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვით ეს სატომო სახელწოდება ბერძნულ მწერლობაში შესულია და იქ იგი კავკასიელ ხალხს აღნიშნავს. ეს სჩანს აპოლოდორის (მეორე საუკუნის დამლევი, ძვ. წ.) დიდად მნიშვნელოვანი ცნობიდან, რომელიც შენახულია არა დამოუკიდებლად, არამედ სტრაბონის გეოგრაფიაში (წ. I, თ. 3, § 21). ამ ცნობით „დასავლელი იბერები (აქ იგულისხმება პირენეს ანუ იბერიის ნახევარკუნძულის უძველესი მოსახლეობა, რომლის შთამომავალი არიან ბასკები; ს. ჯ.) გადმოსახლდნენ პონტოსა და კოლხეთს ზემოთ მდებარე ადგილებში, რომელსაც, აპოლოდორის სიტყვით, არმენიისაგან მდინარე არაქსი ჰყოფს“. მაშასადამე, მეორე საუკუნის გარკვეულ პერიოდში, თუ იქნება უფრო ადრე, აპოლოდორის ცნობით, იბერების ტერიტორია სომხეთს მდ. არაქსის ხაზზე ემიჯნებოდა. იმავე დროს ეს ტერიტორია პონტოსა და კოლხეთს ზემოთ, ე. ი. ჩრდილო-აღმოსავლეთით, მოდიოდა. სრულიად ნათელია, რომ აქ მერმინდელი იბერია ანუ ქართლი იგულისხმება. აპოლოდორის ცნობის ხანაში მას მხოლოდ გაცილებით უფრო ვრცელი

<sup>1</sup> პ ლ ა ტ ო ნ ი თავის „კანონებში“, წ. I, თ. IX (SC I 361) იხსენიებს „იბერებს“ იმ „უმომარ ხალხთა“ (სკვითები, სპარსები, კართაგენელები, კელტები, იბერები, თრაკიელები) შორის, რომელნიც სვაშენ უწყლო ღვინოს. არისტოტელე კი ამბობს („პოლიტიკა“, წ. VII, თ. II, § 6): „იბერების მემომარი ხალხი საფლავის გარშემო იმდენ სარს არჭობს ხოლმე, რამდენი მტერი მოკლული ჰყავს მიცვალებულს“-ო. საფიქრებელია, რომ აქ ქართველები იგულისხმებიან, მაგრამ გადაჭრით ამის თქმისათვის დამატებითი მასალა საჭირო.

ტერიტორია სკერია სამხრეთისაკენ, ვიდრე ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგისთვის, რაც სტრაბონს სპეციალურადაც აქვს აღნიშნული. სტრაბონის ტექსტში მოცემული სატომო სახელი ყველგან „იბერა“—(Ἰβηρίς) ფორმითაა ნახმარი, იბერთა ქვეყანაც, ქართლი, იბერიადაც (Ἰβηρίς) იწოდება, იხ. წ. XI<sup>1</sup>. ამავე სახელწოდებასა და ამავე ფორმით ხმარობს ყველა მომდევნო ბერძენი მწერალი (მაგ., პლუტარქი, „პომპეოსი“, XXXIV, XXXVI, XLV და სხვ.; პტოლემე, წ. V, თ. VIII, თ. X—XII, წ. VIII, თ. XIX და სხვ.; აპიანე, „მითრიდატეს ომები“, 101, 114 და სხვ.)<sup>2</sup>. ესევე სახელი შეინახა ბერძნულმა მწერლობამ გვიანდელი ბიზანტიური ხანამდე, და სხვა ტერმინი, ქართველების აღსანიშნავად, ბიზანტიელებს არც მოუპოვებოდათ. ამასთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანი გარემოებაა რომ რომაელებმა აგრეთვე თავიდანვე მიიღეს ეს სახელწოდება „ქართველთა“ აღსანიშნავად, მაგრამ ყოველთვის ხმარობდნენ მას თავკიდური ჰ-თი: ჰიბერი. უეჭველია, ეს შემთხვევითი ფაქტი არ არის, არამედ იგი რომელიმე ძველ ტრადიციასა და მყარებული. „ჰიბერი“ ფორმა (Hiberi) აქვს ნახმარი უკვე ტ. ლივიუსს (გარდ. 17 წ., ახ. წ.),<sup>3</sup> პომპონიუს მელასს (წერდა 44 წლის მახლობლად, ახ. წ.)<sup>4</sup>, პლინიუს სეკუნდს<sup>5</sup> და ყველა სხვა, მომდევნო ხანის, ავტორს, ვინც-კი ლათინურად წერდა<sup>6</sup>.

გრამატიკოს., პრისკიანი პირდაპირ წერს: „საკუთრივ „Hiberes“ იწოდება ჰიბერებისაგან გამოყოფილი ტომი, რომელიც ცხოვრობს არმენიის გადაღმა და რომლის (სახელის) მხოლოდობითი რიცხვის სახელობითი (ბრუნვა იქნება) Hiber, აქედან ნათესაობითი იწარმოება Hiberis, ხოლო ბერძნებთან „Ἰβηρίς, (ნათ.) Ἰβηρίς; სხვებს კი ისინი ეძახიან Ἰβηრია, (ნათ.) Ἰβηრია“<sup>7</sup>. აქ ავტორი პირდაპირ აღნიშნავს მოცემული სახელის ლათინური და ბერძნული დაწერილობის სხვაობას. შემდეგ იგივე ავტორი ამბობს: „...ითქმის აგრეთვე Hiber, (ნათ.) Hiberi, ესპანელის (Hispanus) მნიშვნელობით, და Hiber, Hiberis, როცა ვლპარაკობთ იმ ტომზე, რომელიც არმენიელების მახლობლად ცხოვრობს“<sup>8</sup>.

განსაკუთრებით საინტერესოა ის შემთხვევები, როცა ერთსადაიმევე ძეგლში ბერძნულ „იბერს“ შეესატყვისება ლათინური „ჰიბერი“. ასე, მაგ., ისეთს შესანიშნავ ოფიციალურ დოკუმენტში, როგორცაა ეგრეთწოდებული „ანკვი-

<sup>1</sup> მ ა ი ნ ე კ ე ს ზემოთნაჩვენები გამოცემა, გვ. 690 და შემდ.

<sup>2</sup> ასევეა გვიანდელ ბერძენ ავტორებთან, იხ. მაგ. თეოპროქტია, SC I 691—3, 695, 697; ევსტათი ანტიოქიელი, იქვე, 700; ეპიფანე კვიპრელი, იქვე, 710; თეოდორიტი კვირელი, იქვე, 773, 780—1; პრისკე პანიელი, იქვე, 843 შემდ. და სხვ.

<sup>3</sup> Periochae, ex lib. Cl, S C II 50.

<sup>4</sup> გეოგრაფია, წ. I, § 13; წ. III, § 41; იქვე, 116, 125.

<sup>5</sup> ნატურ. ისტორია, წ. VI, § 12, 29, 30 და სხვ., იქვე, 178, 181—2...

<sup>6</sup> იხ. მაგ. ს. იტალიკი; იქვე, 216; ტაციტი, 234—5, 241—3 შემდ.; ი. სოლინი, 273; ე. სპარტიანი, 293; ფლ. ვოპისკი, 305—6; ი. ვალერიუსი, 311; ავრ. ვიქტორი, 317; ფესტი, 323; ამ. მარკელინი, 324..., ვ. სექსტორი, 390, და სხვებო „იბერი“ ფორმა ლათინურ ტექსტებში გვხვდება მეტად იშვიათად, ასე აქვს მაგ. ევტროპის იქვე, 320 და რუფინუსს, 362, თუ აქ გადამწერთა და გამომცემელთა შეცთომასთან არა გვაქვს საქმე.

<sup>7</sup> „გრამატიკის სახელმძღვანელო“, წ. VI, VIII 44; SC II 435.

<sup>8</sup> იქვე, წ. VII; III, 12; გვ. 435.

რიის ძეგლი“, ე. ი. წარწერა, ამოკრილი ბერძნულსა და ლათინურ ენებზე, პარალელურად, მცირე აზიის ქალაქ ანკირის ტაძრის კედელზე, იმპერატორ აგუსტუსის (გარდ. 14 წ., ახ. წ.) ბრძანებით. ეს იმპერატორი ამბობს რომ რომაელთა მეგობრობას „თხოულობდნენ“ „ალბანელების, იბერებისა და მიდების მეფეებთან“. ლათინურ ტექსტში აქ ფორმა ჰიბერია (Hiber...) ნახმარი, ბერძნულში-კი — Ἰβήρη..., იბერი<sup>1</sup>. ასევე, ბერძნულიდან ლათინურად ნათარგმნ ძეგლებში ჩვენ იმავე „ჰიბერ“ ფორმას ვხვდებით<sup>2</sup>.

ამიტომ უეჭველია რომ ლათინური ძეგლების „ჰიბერ“ ფორმა შემთხვევითი არ არის.

„იბერ“— ფუძემდებ დადის, როგორც ვთქვით, ქართველების თითქმის ყველა უცხოური სახელწოდება, ხმარებული აზიისა და ევროპის ხალხების მიერ. სათანადო ლიტერატურაში აღნიშნულია და უდავოდ უნდა მივიჩნიოთ, მაგ., რომ სომხური „(ი) ვირ-ქ“ (Վիրք) — „ქართველი“, მრავლობითი რიცხვის ფორმით, ამ ფუძის ერთი ნაყართაგანია. ძველი სომხური სახელწოდების ნათესაობითი ბრუნვის ფორმიდან მოდის ახალი სომხური „ერაკი“. იმავე მნიშვნელობით, სავსებით სამართლიანად, მოცემულ ფუძესთანა დაკავშირებული აგრეთვე, საკითხის მეცნიერულ ლიტერატურაში, ძველი სპარსული „ერკ-ან“ და „ერჯ-ან“ (?), სირიული „გურზ-ან“, ახალი სპარსული „გურჯ“<sup>3</sup>, არაბული „ჯურჯ“, თურქული „გურჯ“. ირანელებისა და თურქების მეშვეობით ფორმა გავრცელდა მრავალ სხვა ხალხშიაც, კერძოდ, ჩრდილოეთ-კავკასიაში. აქედან მოდის ოსური „გურძე“ (თუ: გურძე?) = საქართველო, „გურძ-იავ“ = ქართველი და იქნებ „გურჯენ“ — ტანადი, ახოვანი<sup>4</sup>; ჩერქეზ. „ჭურჯ“ = ტფილისი (ჩვენი ჩანაწერით; შეადრ. მეგრული და აფხაზური „ქართ“ = ტფილისი) და სხვ.

ამავე აღმოსავლური ფორმიდან მოდის რუსული Үрүз-ин, რომლის უძველესი ფორმა Үрүз-ин: ასე, მაგ., XVI ს. ერთს რუსულ მატიანურ კრებულში საქართველო წოდებულია „გურზა“-დ, Үрүз-ин<sup>5</sup>.

უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ ქართველთა ევროპული სახელწოდების წარმომავლობაზე აღნიშნული ფუძიდან, იმიტომ რომ აქ კავშირი ისე ნათელი არ არის. ცნობილია, რომ ქართველებს ევროპელი ხალხები ერთსადა-იმევე სახელს ეძახიან, ოღონდ სხვადასხვანაირად გამოთქმულს, ეროვნულს ენობრივ არტიკულაციასა და სათანადო ორთოგრაფიის მოთხოვნილებებთან შეფარდებით. ევროპული ფორმების სათანადო ფუძეებია „ჟეორჟ“, „ჯორჯ“, „გეორჯ“, „გიორჯ“ და სხვ. (ფრანგ. Gèorgien, ინგლის. Georgian, გერმ. Geor-

<sup>1</sup> SC II 41.

<sup>2</sup> იხ. მაგ. ეპიფანეს „თვალთა“-ს ლათინ. თარგმანი, SC II 712 და სხვ.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, I<sup>2</sup> 24. — უნდა ითქვას, რომ მიუხედავად აღნიშნული კავშირების თვალსაჩინოებისა, სათანადო გადასვლების ფონეტიკური ისტორია ჯერ დადგენილი არ არის. აღმოსავლურ ფორმებში მოცემული ფუძის ბოლოკიდურა „ბ“ ა „ჯ“. „გ“ ალბათ სომხური მრავლობითობის ფორმანტის „ქ“-ს განვითარებაა. ამ შემთხვევაში მივიღებთ რომ ეს ფორმები სომხურზეა დამოკიდებული.

<sup>4</sup> В. С. Миллер, Осетинско-русско-немецкий словарь, სათანადო სიტყვის ქვეშ.

<sup>5</sup> В. Бартольд, История изучения Востока в Европе и России, изд. II, т. 1, 1925 г., 175.

გიერ და სხვ.). ამ ფუძის გარეგნულმა ახლო მსგავსებამ პირისსახელის გეორგ-გეორგის ფუძესთან დიდი ხანია უკვე რაც გააჩინა სახელის სათანადო ხალხური ეტიმოლოგიაც,—თითქოს ქართველების ევროპული სახელწოდება წმ. გეორგის სახელთან იყოს დაკავშირებული, კერძოდ, ამ წმინდანის კულტის ფართოდ გავრცელების ნიადაგზე საქართველოში, ხოლო, მეორე მხრივ, რადგანაც ადამიანის სახელი „გეორგი“ ბერძნული (Γεωργίος) და ეტიმოლოგიურად სიტყვა „მიწის-მომქმედს“ (γεωργός) უკავშირდება, აქედან ისეთი აზრიც გაჩნდა, რომ ქართველების ევროპული სახელწოდება აღნიშნულ ბერძნულ სიტყვასთანაც არის გენეტურად დაკავშირებული. აი, როგორა აქვს ეს გავრცელებული აზრი ვახუშტის გამოხატული: „...„ქვეყანა ესე იწოდების სახელითა სამითა: პირველად—საქართველო, მეორედ—ივერია, მესამეთ—გიორგია... კვალად გიორგიაცა მკნედ მომჭირნეობისა მუშაკობისა ქართველთათა ეწოდა (რამეთუ „გიორგი“ მუშაკად ითარგმნის). კვალად, ვინათგან იცნეს სამება ერთარსება ქეშმარიტი ღმერთი წმიდის ნინოს მიერ, რამეთუ შაბა ნინოსი იყო ზაბილონ და ესე ზაბილონ იყო კაბადუკიელი, ნათესავი წმიდისა დიდის მოწამის გეორგისა, ამისთჳს, მიერ ჟამითგან, ნიშნი და სასწაულნი უმრავლესნი არიან მთავარმოწამისა გეორგისანი ყოველსა ივერიასა შინა. რამეთუ არა არიან ბორცუნი ანუ მაღალნი გორანი, რომელთა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმიდისა გეორგისანი. და ესეცა ამის მიერ იწოდა. არამედ ევროპელნი და ბერძენნი უხმობენ ჯორჯიანსა და რუსნი გრუჟსა, და მაჰმადიანნი გურჯსა, მათითა ორფოლრაფიის გამო, არამედ იგივე გეორგიავე არს“<sup>1</sup>.

ნამდვილად - კი, ევროპული ტერმინის ფუძე ჩნდება, ძირითადი იბერ-ფუძის აღმოსავლური ფორმის აღრინდელ იტალიურ გამოთქმა-ტრანსკრიპციის ნიადაგზე, XII—XIII ს-ში, მანამდის და ზოგჯერ ამის შემდეგაც ევროპელი ხალხებიც იმავე იბერ-იბერიას ხმარობდნენ. ახალი სახელწოდება, როგორც ვთქვით, საშუალო საუკუნეების დამლევისათვის ჩნდება. ასე, მაგ., იოანე დე პლანკუარპინი, პაპი ინოკენტი IV-ის ელჩი, ფრანცისკანელი ბერი, რომელმაც მონღოლეთში იმგზავრა 1246 წ., საქართველოს უკვე „გეორგიანია“-ს ეძახის, ქართველებს „გეორგიან“-ებს ანუ „ობებს“-ებს (მოდის „აფხაზ“-იდან)<sup>2</sup>. „გეორგიანია“-სთან

<sup>1</sup> გეორგაფია, მ. ჯანაშვილის გამოცემა, 30—31. საინტერესოა ვახუშტის დაკვირვება ორთოგრაფიისა და ამ ფორმების ურთიერთ კავშირის შესახებ. ჯანაშვილი, იქვე, შენიშვნაში, უარაყუფს ვახუშტის ეტიმოლოგიას და, თავის მხრით, ევროპულ ფორმებს და ქართ. „ქართ“—ფუძეს ერთი ფესვისად სთვლის, რაც დაუმტკიცებელია. განათლებული ავტორი წიგნის „Историческое изображение Грузин в политическом, церковном и учебном ее состоянии“, რომელიც გამოვიდა პეტერბურგს (ამჟამად ლენინგრადი) XIX ს. პირველ წლებში, ეჭვს გამოსთქვამს „გეორგიას“ წმ. გეორგისთან კავშირში, რადგანაც გეორგების ტომი უკვე მოხსენებული ჰყავთ პომპონიუს მელასა და პლინიუსსაო, და უფრო, როგორც ჩანს, „მიწისმოქმედის“ ვარიანტისკენ იხრება, გვ. 3—4.—ამ საკითხის შესახებ ბევრს უწერია. ლიტერატურის მომთხოველ ნახე J. M. Меликсет-беков, Страна св. Георгия.

<sup>2</sup> Плано Карпини, История монголов; Рубрук, Путешествие в восточные страны. Введение, перевод и примечания А. И. Малеина, С. Пб., 1911, გვ. 26, 35, 35—36, 50.—ჩვენ, სამწუხაროდ ზელთ არ გვქონდა ამ ავტორთა ტექსტების დედნები.—საკონტროლად აქვე მოგვყავს ნაწყვეტი ჩვენი ძველი ამონაწერიდან, რომელიც გაკეთებული გვაქვს კარპინის ძველი რუსული იახიკოვისეული გამოცემიდან, Путешествия к Татарам, С. Пб., 1825

ერთად კარპინი ხმარობს ფორმა „გეორგიას“-საც<sup>1</sup>, ამავე დროს მისთვის ცნობილია ტერმინი იბერ-იც<sup>2</sup>, რაც შეიძლება იმერ-იმერელს აღნიშნავდეს. დომინიკანელი ბერი ასკელინი, რომელმაც იმგზავრა მონღოლებთან 1247 წ. იმავე პაპის დაავალებით, ქართველებს აგრეთვე „გეორგიან“-ებს (Georgiani) ეძახის<sup>3</sup>.

კიდევ უფრო საყურადღებო ცნობები აქვს დაცული ვილჰელმ დე რუბრუკს, რომელიც საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო IX-ის ელჩი იყო და რომელმაც იმგზავრა მონღოლეთში 1253—5 წწ. რუბრუკი ხმარობს ფორმა „გეორგიან“-საც<sup>4</sup>, „გეორგია“-საც<sup>5</sup>, ტერმინ „იბერ“-საც. რადგანაც მისი ცნობით, „იბერია არის გეორგიის ოლქი“<sup>6</sup> და „იბერები არ ემორჩილებიან თათრებს“<sup>7</sup>, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ იბერია აქ იმერეთს ნიშნავს, ხოლო იბერი—იმერელს. ამასთან ერთად „ქართველის“ აღსანიშნავად რუბრუკი ხმარობს ტერმინს „კურგი“, რომელიც, როგორც ეს მალკინის გამოცემისათვის დართული რუკის ლათინური წარწერებიდან ჩანს, Curgi-ს სახით იწერება. რომ „კურგი“ რუბრუკის ტექსტში მართლაც ქართველს აღნიშნავს, ეს ყოველ ექვს გარეშეა. ერთ ადგილას რუბრუკი ამბობს: ...„ჩვენ გავედათ უზარმაზარ ველზე, რომელიც მონად იწოდება: აქ დის კურა, Cura, რომელმაც სახელწოდება მისცა კურგებს, Curgi, ჩვენ რომ გეორგიანებს ვეძახით. იგი მიმდინარეობს კურგების მთავარი ქალაქის, ტეფილისის, შუა... ამ ველზე მიმდინარეობს არაქსიცი... ამ ულამაზესი ველის დასავლეთით არის კურგია. ველზე წინათ ცხოვრობდნენ კროსმინები. მთების შესავალთან არის დიდი ქალაქი, სახელად განგეს, მათი წინანდელი დედაქალაქი, რომელიც ხელს უშლის კურგებს ჩამოვიდნენ ველზე“<sup>8</sup>. სავსებით ნიშანდობლივი აღწერაა: მონანის ველი, რათქმაუნდა, შულანია, კურა—მტკვარი, ტეფილისი—ტფილისი, განგესი—განჯა. აქ საინტერესოა მითითება რომ „გეორგიანი“ რუბრუკისათვის დასავლეთ-ევროპული ტერმინია, ხოლო კურგი, როგორც ჩანს, აღმოსავლური. საქართველო, როგორც მოყვანილ ადგილას, ისე სხვაგანაც, იწოდება „კურგიად“ ან „დიდ კურგიად“<sup>9</sup>. სხვა ადგილას რუბრუკი იხსენიებს საგენსას (Carenca, ლათინურ ტექსტში, ალბათ, „საჰენსა“<sup>10</sup>), „ოდესღაც უძლიერეს კურგს“, რომელიც იმ დროს უკვე თათრების მიხარკე ყოფილა. საჰენსას მამას, ზაქარაის, ეს სომხების მიწა გაუთავისუფლებია სარკინოზები-

სადაც მოცემულია თარგმანთან ერთად ორიგინალიც; იმ სახითა სიაში, რომელნიც ცხოვრობენ კომანთა მიწაწყლის ახლომახლო, კარპინი აღნიშნავს «a meridie habet Alanos, Circassos... ac terram quoque Cithorum atque Georgianorum, გვ. 24; შეადრ. მალეინი, გვ. 50; Obesi siue Georgiani, იხ. იაზიკოვი, გვ. 190.

<sup>1</sup> იაზიკოვი, 34, იხ. აგრეთვე იქვე, გვ. 102; მალეინის ეს ტერმინი პირდაპირ „Грузия“-დ გადმოტულია, გვ. 54.

<sup>2</sup> მალეინი. გვ. 50; იაზიკოვი, გვ. 24 და აქვე, გვ. 224, შენ. 2.

<sup>3</sup> იაზიკოვის დასახ. გამოც., გვ. 229 და სხვ.

<sup>4</sup> მალეინის დასახ. გამოცემა, გვ. 95, 170 და შემდ.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 66

<sup>6</sup> იქვე, გვ. 66.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 66—67.

<sup>8</sup> მალეინის გამოც., გვ. 170.

<sup>9</sup> იქვე, 170, 171. ვეფრატის სათავეებიც კურგიის მთების ძირთანაა ნაჩვენები, გვ. 171.

<sup>10</sup> ამას ადასტურებს ხსენებული რუკის წარწერა Land of Sahensa.

საგან და შეუძენია. შემდეგ რუბრუკი იხსენიებს საჰენსას შვილს ზაქარიას და საჰენსასავე ციხე-ქალაქს აინი-ს<sup>1</sup>. ცხადია რომ აქ იგულისხმებიან მხარგრძელები შანშე-შაჰანშა (=საჰენსა), ზაქარია (პაპა და შვილიშვილი), მათი სამფლობელო სომხეთში და, კერძოდ, ქალაქი ანისი<sup>2</sup>.

უკვე კარპინისა და რუბრუკის ზემოთმოტანილ ფაქტებს შეუძლიათ გააჩინონ ბუნებრივი და კანონიერი საკითხი ამ უცხო სახელთა ლათინურ ტრანსკრიპციაში მოცემული ფორმების რეალური ბგერითი შინაარსის შესახებ. მთარგმნელების ტექსტი ამ შემთხვევაში, ბოლოსდაბოლოს, უბრალო ტრანსლიტერაციას წარმოადგენს. ლათინური ანბანის ნაკლოვანება, კავკასიურ, კერძოდ — ქართულ, ფონეტიკასთან შედარებით, გვაფიქრებინებს რომ ამ უცხო გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელების გადმოცემისას ევროპელები ლათინურ ასოებს ახალ ფუნქციასაც აკისრებდნენ, ჩვეულებრივის გარდა. ასე მაგ., შაჰანშა-ში ბგერა შ რუბრუკის მიერ s-თია გადმოცემული, იმიტომ, რომ ლათინურს შ არ მოეპოვება. ქალაქის სახელში. Caxgas = განჯა აშკარაა რომ ლათინ. გ, ე ხმოვანის წინ, ჯ-ს მნიშვნელობითაა ნახმარი. იქნებ აქ ე, ადგილობრივ ა-ს მაგიერ, სწორედ აღნიშნული მიზნითაა გამოყენებული? ამიტომ, საფიქრებელია რომ Curgi აღმოსავლურ გურჯი-ს გადმოსცემს და ასევე უნდა იკითხებოდეს ჩვენ მიერაც! ამის შემდეგ საკითხავია, როგორ უნდა წავიკითხოთ ფუძე დეორი, აქაც ხომ აფრიკატები არა გვაქვს?

სათანადო შუქს დასმულ საკითხს ჰფენს ის მასალა, რომელიც ძველს საქართველოში ნამყოფ და მოქმედ იტალიელ მისიონერთა მიერ დატოვებულ დოკუმენტებშია დაცული. თუ ძველს ხანაში პაპი საქართველოს იბერიას უწოდებს<sup>3</sup>, შემდეგ, XII—XIII სს. უკვე ფუძე დეორი—ჩნდება. ასე, მაგ., რუსუდანი, თამარის ასული, თავის თავს Rex Georgianorum უწოდებს<sup>4</sup>. პაპიც, თავის საპასუხო წერილში, 1224 წლისა, ამავე ტერმინს ხმარობს<sup>5</sup>. შემდეგშიაც იგი ხშირია<sup>6</sup>. მაგრამ ამასთან ერთად ვხვდებით სხვა ფორმებსაც. სხვათა შორის, აქვე ვპოულობთ ზემოთგამოთქმული აზრის დადასტურებას რომ XIII ს. მეორე ნახევარში ევროპელები იბერიას ეძახიან დასავლეთ საქართველოს, ხოლო გეორგიას— აღმ. საქართველოს. ასე, პაპი ნიკოლოზ IV თავის 1289 წ. წერილში იმერეთის მეფეს დავით ნარინს უწოდებს David Rex Hiberorum, აღმ. საქართველოს მეფეს დიმიტრი თავდადებულს-კი—Rex Georgianorum<sup>7</sup>. შემდეგ ჩნდება კიდევ უფ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 173—174.

<sup>2</sup> შანშე მოხსენებულია მისი ბიძის, ივანე მხარგრძელის, ლათინურ წერილშიაც, იქ ეს სახელი იწერება Sanna! იხ. მ. თამარაშვილი, ისტ. კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 565.

<sup>3</sup> მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ. 1902, გვ. 24 და 575.

<sup>4</sup> იქვე, 7 და 563.

<sup>5</sup> იქვე, 10 და 565.

<sup>6</sup> ასე, მაგ., 1321 წ. იხსენიება „დიმიტრი ტფილელი, ტომით გეორგიანი“, natione Georgianus, იქვე, 29 და 578.

<sup>7</sup> იქვე, 18—19 და 572. იბერ-მა აღნიშნული გამოყენება ჰაოვა, უეჭველია, „იმერ“-თან გარეგნული მსგავსების გამო.

რო თაეისებური დაწერილობანი. პაპი იოანე XXII, თაეის 1328 წ. ლათინურად დაწერილს დოკუმენტში, რომლითაც ტფილისში გადმოტანილ იქნა სავსისკოპოსო კათედრა ქალ. სმირნადან, ამბობს რომ „ტფილისი, ქართველთა სამეფოს შუაგული ადგილი, საუკეთესო, მეტად შესანიშნავი, ერთი სავსე, მარჯვე და სიმდიდრით უხვი ქალაქია“. ლათინურ ტექსტში ვკითხულობთ: ...Iohannes Thelicensis in regni Iorgianorum mediatullo<sup>1</sup>. უცილობელი უნდა იყოს რომ j, რომელიც გაჩნდა აქ ძველი g-ს ნაცვლად, მოცემულ სახელში ჩვეულებრივი ლათინური ფონეტიკური მნიშვნელობის (ჟ!) მატარებელი არ არის. ასეთივე ფორმა jorg-, კვლავ არის განმეორებული იმავე პაპის 1329 წ. ორს სხვადასხვა დოკუმენტში<sup>2</sup>. მაგრამ იმავე წელს საქართველოს მეფისადმი მიმართულ წერილში პაპი საქართველოს Georgia-ს უწოდებს<sup>3</sup>. ცხადია, რომ აქ ჩვენ გვაქვს ორთოგრაფიული მერყეობა ერთდამთავრე უცხო ფონემის გადმოცემისას. შემდეგ, როგორც ლათინურს, ისე იტალიურ ტექსტებში გვხვდება მესამე ვარიანტიც: Giorgi...<sup>4</sup>.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამსავე დაწერილობაში, j, g, gi, ლათინური ასოებისა და მათი კომბინაციების საშუალებით ამ უცხოელებს, უმეტეს წილ შემთხვევაში---იტალიელებს, უნდოდათ გადმოეცათ ადგილობრივი ჯ-. მთლიანად, ჩვენი ფუძის ის აღმოსავლური ფორმა, რომელიც საფუძვლად დაედო იტალიელების და, საერთოდ, ევროპელების ფორმას, გამოითქმოდა, როგორც ჩანს, ჯორჯ II ჯურჯ. თუ სად შეითვისეს ევროპელებმა ასეთი ფორმა, ეს ჯერ კიდევ საძიებელია, მაგრამ წინასწარ შეიძლება ვარაუდით ითქვას, რომ ეს არის უფრო დასავლეთი წინა აზია, იქნებ---მცირე აზია, და რომ პროტოტიპული ფაქტი, თავკიდური ჯ-ს მიხედვით, უფრო არაბთა მეტყველებას განეკუთვნებოდა, ვიდრე რომელიმე სხვა აღმოსავლეთის ხალხისას, მაგ., ირანელებისას (თურქები გამოირიცხულნი არიან, რადგანაც შეითვისება, როგორც ჩანს, ხდება უკვე XII ს-ში როცა მცირეაზიელი თურქების მნიშვნელობა, კერძოდ კულტურული, მეტად მცირეა). არაბული ფორმა ჩვენი ფუძისა, ჯურჯ, ასეთი ფონეტიკური გადასვლის შესაძლებლობას არ უარყოფს. რაც შეეხება ბოლოკიდურ ჯ-ს გაჩენას, იქნებ მას საფუძვლად დასდებოდა არაბულ (ჯურჯ) და ირანულ (გურჯ) ფორმების კონტამინაცია. საყურადღებოა რომ ფორმა „ჯურჯი“, ქართველას მნიშვნელობით, დადასტურებული აქვს ქანეთში ი. ყაფშაძეს (იხ. აქვე, გვ. 170). რუბრუკის ფორმა, caxgi, რაც ჩვენ „გურჯად“ წავიკათხვით, უკვე ახალ ირანული ფორმიდან მომდინარეობს. ძალიან საყურადღებოა ჩვენთვის, რომ თავკიდური გ რუბრუკს ლათ. c-თი აქვს გადმოცემა, და არა g-თი!<sup>5</sup>

იმ გარემოებას, რომ აღნიშნული აღმოსავლური ფორმების პირველი შემთავისებელნი ევროპელთაგან იტალიელები იყვნენ, ის მნიშვნელობა აქვს რომ იტალიელებს, რომაელებისა და ზოგ სხვა ევროპელ ხალხთაგან განსხვავებით, ცოც-

<sup>1</sup> იქვე, 32 და 580.

<sup>2</sup> იქვე, 33 და 581, 35 და 582.

<sup>3</sup> იქვე, 38 და 584.

<sup>4</sup> იქვე, 585, 588, 591, 592 და სხვ.

<sup>5</sup> გავრის, ძვ. ქართ. გაგარ-ის, სახელშიც ძველ იტალიურ რუკებზე ვ თათქის ყველათვის c-თია გადმოცემული, სრუი, Периодичес, и. II.

ხალ მეტყველებაში ჰქონდათ სათანადო აფრიკატები, კერძოდ ჯ. მათ მხოლოდ, ამ ბგერების გამოსახატავად, სპეციალური ასო-ნიშნები არ გააჩნდათ.

რომ ეს ევროპელები, აღებულ შემთხვევაში, არარეალურ ფორმებს კი არ სთხზავდნენ, არამედ ადგილობრივ ტერმინოლოგიას ეგუებოდნენ, ამის საილუსტრაციოდ იმავე მასალაში ერთი მეტად საინტერესო ფაქტია დაცული.

XIII ს. ოციან წლების დამდეგს, დედოფალ რუსუდანთან ერთად, ათაბაგს ივანე მხარგრძელსაც მიუწერია წერილი რომის პაპისათვის. ამ წერილში ივანე თავის თავს „მთელის საქართველოს და სომხეთის მხედართმთავარს“ უწოდებს (თამარაშვილის თარგმანით)<sup>1</sup>, დედანში-კი ეს ტერიტორიულ-პოლიტიკური ცნება გამოხატულია სიტყვებით: *totius Bratiae sive Armeniae*. პაპის საპასუხო წერილში-კი ივანეს უფრო მარტივად *Comestabulus Bratiae* ეწოდება, თამარაშვილის თარგმანით — „საქართველოს მხედართმთავარი“<sup>2</sup>. თამარაშვილის თარგმანი სწორია და *Bratia* მართლაც „საქართველოს“ ნიშნავს; ჩვენ ვფიქრობთ რომ აქ ფუძეა სომხური ნათესაობითი ბრუნვის ფორმა — „ვრაც“ (*վրաց*) = ქართველთა. *ti* ჯგუფი აქ ც აფრიკატს გადმოსცემს ბუნებრივად. აღნიშნულ ფაქტს სხვა ინტერესიც ახლავს თან, მაგრამ აქ მასზე ვერ შევჩერდებით.

საილუსტრაციოდ აღვნიშნავთ, დასასრულ, იტალიური ორთოგრაფიის ცნობილი ისტორიის ფაქტებიდან, რომლებიც იმავე მასალაში გვხვდება, რომ ბგერა ჯ თანაბრად არის გადმოცემული *j* და *g*-თი (ეს უკანასკნელი, ამ შემთხვევაში, შესაფერი ხმოვნის წინ დგას) ისეთს ფორმებში, როგორცაა *Gesú*<sup>3</sup> = იესო, *Gesuita*<sup>4</sup> = იეზუიტი, *Gerusalimme*<sup>5</sup> = იერუსალიმი, *Gennaro*<sup>6</sup> = იანვარი; ჯ = *gi*: *Giuseppe*<sup>7</sup> = იოსები და მრავალი სხვა. რადგანაც ასეთი იყო, საერთოდ, ფონეტიკური ბედი თავიკიდური *g*-სა იტალიურში, ამიტომ ქართული „იესე“-ც (კაცის სახელი) *Giessé*-დ იქცა!<sup>8</sup>

დასასრულ, შევნიშნავთ რომ „გეორგ“ — ფორმა ახალს ევროპულ ენებში (მაგ. გერმანულში) მიღებულ იქნა იტალიური დაწერილობის ლათინური წაკითხვიდან, რაც შემდეგ საფუძვლად დაედო უწყებულ მცთარ ეტიმოლოგიასაც.

ასეთი საყოველთაო გავრცელება იბერ-ფუძისა მოწმობს მისს დიდ სიძველეს და მნიშვნელობას. თუ, ამის შემდეგ, მოვიგონებთ ჩვენს ზემოთმიღებულ დასკვნას იმის შესახებ, რომ გარკვეულ ხანაში სატომო სახელების საერთო ქართველური მაწარმოებლის როლში — ან სუფიქსი გამოდის, საფუძველი გვექნება ვიფიქროთ რომ ქართვების აღნიშნულ სახელსაც ოდესღაც თან ახლდა ეს ფორმანტი და მთელი სახელი გამოითქმოდა, როგორც იბერ-ან-ი თუ ჰიბერ-ან-ი

<sup>1</sup> დასახ. გამოც., გვ. 8, დედანი — გვ. 564; რომ ეს მართლაც ივანე მხარგრძელია, იმითაც მტკიცდება რომ წერილში ივანე თავის ძმისწულს „შანშას“, ცნობილ ისტორიულ პიროვნებას, იხსენიებს.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 11 და 567.

<sup>3</sup> იქვე, 707, 720

<sup>4</sup> იქვე, 706

<sup>5</sup> იქვე, 628

<sup>6</sup> იქვე, 685

<sup>7</sup> იქვე

<sup>8</sup> იქვე, 726 და 317.

(ლათინურში დაცული ფაქტის მიხედვით). იქნებ არ იყოს უცხოური, ქართული მორფოლოგიის თვალსაზრისით, ის -ან სუფიქსიც, რომელიც ამ ტერმინის ზოგიერთ აღმოსავლურ ფორმას ახასიათებს (ვრკ-ან, ვრჯ-ან, გურჯ-ან და სხვ.)? მაგრამ ეს—სხვათა შორის.

მას შემდეგ, რაც ჩვენ ქართების სატომო სახელწოდების ეს უძველესი -ან-იანი ფორმა მივიღეთ, ბევრად უფრო დამაჯერებელი უნდა გვეჩვენოს ის მოსაზრება, რომელიც მრავალგზის უოფილა გამოთქმული სხვადასხვა მეცნიერის (პროფ. ივ. ჯავახიშვილი<sup>1</sup>, აკად. ნ. მარი<sup>2</sup> და სხვ.) მიერ იბერ-ის ნათესაობის შესახებ ტიბარენ-თან. პროფ. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „ენი“ დაბოლოებაა, „ტიბარ“ ფესო არის“-ო. ჩვენ ვნახეთ რომ ასეთი დანაწევრებისათვის საკმაო საფუძველი მოიპოვება. გარდა ამისა, „ტიბარენი“ ვაცილებით უფრო დამარწმუნებლად უახლოვდება ჰიბერან || იბერანს. ეს სიახლოვე კიდევ უფრო ცხადი გახდება, როცა ტიბარენის ვარიანტებს გავითვალისწინებთ და ამ გზით სახელწოდების ისტორიას აღვადგენთ.

ჯერ ერთი, უნდა შევნიშნოთ, რომ ტიბარენები ის ტომია, რომელიც უკვე მეექვსე საუკუნიდან მოყოლებული, ძველი წელთაღრიცხვით, იხსენიება ანტიკურ მწერალთა მიერ, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, ქალ. ტრაპეზუნტიდან დასავლეთისკენ. ამავე დროს, სხვადასხვა მწერალს ეს სატომო სახელი სხვადასხვა, ჩვენთვის საინტერესო, ფორმით აქვს მოხსენებული.

უძველესი ამ წყაროთაგან, ჰეკატე მილეთელი (VI ს., ძვ. წ.) მე-193 ფრაგმენტში, რომელიც სტეფანე ბიზანტიელს აქვს დაცული, ამბობს: „ტიბარებს (Τιβάρηται) მზის აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრებიან მოსკნიკები“ (Μοσκονικαί). აქ სახელის ფუძე -ან სუფიქსის გარეშეა მოცემული, და ტიბარები მოსნიკების დასავლეთელ მეზობლებად არიან გამოცხადებულნი.

ჰეროდოტე-კი (V ს.) შემდეგს ცნობას გვაწვდის: „მოსხებს, ტიბარენებს (Τιβάρηται), მაკრონებს, მოსინიკებს და მარებს გამოცხადებული ჰქონდათ (ხარკად) 300 ქანქარი; ეს მეცხრამეტე ოლქია“<sup>3</sup>. მაშასადამე, ჰეროდოტეს დროს ტიბარენები აქემენიდთა სახელმწიფოს XIX ოლქში შედიოდნენ მოსხ-მესხებსა, მოსინიკებსა, მაკრონებსა და მარებთან ერთად. აქ მოცემულია, მაშასადამე, ახალი ცნობები ტიბარენების ტერიტორიის განსაზღვრისათვის: მოსინიკებს გარდა მათ კიდევ სამი სხვა, ჰეროდოტეს მიერ დასახელებული, ტომიც მეზობლობდა. ჰეროდოტეს ცნობაში გარდა ამისა, ახალია სახელის ფორმაც—აქ პირველად ჩნდება სუფიქსი -ენ.

<sup>1</sup> ქართ. ერის ისტ., I<sup>2</sup> 22—23

<sup>2</sup> იხ. მაგ. მისი «Абхазоведение и абхазы», სადაც ავტორი ამბობს: ...«Кимеры или иберы, они же тубалы, или тибарены», Избр. соч., т. V 175.

<sup>3</sup> SC I 3.

<sup>4</sup> III 94; SC I 9; ტიბარენებს იხსენიებს ჰეროდოტე აგრეთვე იმ ხალხთა აღწერილობაში, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ქსერქსეს ლაშქრობაში. ტიბარენები, მაკრონები და მოსინიკები მოსხებივით ყოფილან შეიარაღებულნი. ამას გარდა, ტიბარენები და მოსხები ერთს-სამხედრო რაზმს შეადგენდნენ, VII, 78; იქვე, 57.

ტიბარენების ტერიტორიას კიდევ უფრო ნიშანდობლივ განსაზღვრავს ჰეროდოტეს უმცროსი თანამედროვე, ქსენოფონტე, რომელმაც ამ ტომების მიწაწყალი საკუთარი ფეხით მოიარა 401 წ., ძვ. წ. ქსენოფონტეს ცნობით, ქალაქი ტრაპეზუნტი არის ელინური ქალაქი, სინოპელების კოლონია, კოლხების ქვეყანაში<sup>1</sup>. შემდეგ ქალაქი კერასუნტიც, სინოპელების მიერ დაარსებული, კოლხეთში მდებარეობს<sup>2</sup>. კერასუნტის შემდეგ, დასავლეთისაკენ, უკვე მოსინიკების მიწაწყალი იწყებოდა<sup>3</sup>. მოსინიკების ტერიტორია ქსენოფონტემ და მისმა რაზმელებმა 8 გადასვლაში გაიარეს და ხალიბების ქვეყანაში მივიდნენ; ხალიბები მცირე ხალხია, მოსინიკებს ემორჩილება და მისი უმრავლესობა მდნის დამუშავებით ირჩენს თავსო, ამბობს ქსენოფონტე<sup>4</sup>. აქედან ბერძნები უკვე ტიბარენების ქვეყანაში (ἐξ Τίβαρηνός) გადასულან. ტიბარენებს უფრო ვაკე ადგილი უჭირავთო. მას შემდეგ, რაც ტიბარენების ტერიტორიაზე შესდგეს ფეხი ბერძნებმა, მათ კიდევ ორი დღის სიარული დასჭირდათ, ვიდრე ქალაქ კოტიორამდე მიაღწევდნენ. ქალაქი კოტიორა ელინური ქალაქია, სინოპელების კოლონია, ტიბარენების ქვეყანაშიო, ამბობს ქსენოფონტე. სახელი ტიბარენიც მას ყოველთვის ამ ფორმით აქვს მოცემული, -ენ სუფიქსით<sup>5</sup>. გარდა ამისა, ქსენოფონტეს ცნობით, ტიბარენები და მათი მეზობლები (მოსინიკები, კოლხები, მაკრონები და სხვები) უკვე აღარ ემორჩილებოდნენ მეფეს, ე. ი. ირანის მბრძანებელს<sup>6</sup>. შემდეგ სკილაკიც (IV ს. უკანასკნელი მეოთხედი, ძვ. წ.) იხსენიებს ტიბარენებს და მისი ცნობა, ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანია, არ ჩანს წინა წყაროებზე დამოკიდებული. ჩამოსთვლის რა ხალხებს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიყოლებით, სკილაკი ამბობს: „მოსინებს იქით (μὲν δὲ Μοσινῶν) ცხოვრობს ხალხი ტიბარენები (Τίβαρηνός). ტიბარენებს იქით ცხოვრობს ხალხი ხალიბები; (ἀπ' αὐτῶν) დახურული ნავთსადგური ვენეტი, ელინური ქალაქი სტამენია და ელინური აკროპოლისი იასონია“<sup>7</sup>. სტრაბონი ხმარობს პარალელურად როგორც ტიბარენ-ს<sup>8</sup>, ისე ტიბარან-საც<sup>9</sup>. ამას გარდა ტიბარენების ქვეყანას სტრაბონი ტიბარანისა (Τίβαρηνός) ეძახის<sup>10</sup> და ამრიგად მაინც თითქოს უბრატესობას -ან-იან ფორმას აძლევს. სტრაბონი საკმაოდ დეტალურად განსაზღვრავს ტიბარანის ადგილმდებარეობასაც; ქალ. ტრაპეზუნტი ტიბარანისა და კოლხეთის საზღვარზე იმყოფება<sup>11</sup> (შეადარე კოლხებისა და იბერების მეზობ-

<sup>1</sup> წ. IV, თ. V, § 22; შეადრ. § 23; SC I 76—77.

<sup>2</sup> წ. V, თ. III, § 2; იქვე, 79.

<sup>3</sup> წ. V, თ. IV, §§ 1—2; იქვე, 79.

<sup>4</sup> წ. V, თ. V, § 1; იქვე, 83.

<sup>5</sup> წ. V, თ. V, §§ 1—3; იქვე 83.

<sup>6</sup> წ. VII, თ. VIII, § 25; იქვე, 84.

<sup>7</sup> 87 და 88; SC I 86.

<sup>8</sup> გეოგრაფია, წ. XII, თ. I, § 3, მაინკე, გვ. 750; იქვე, თ. III, § 28, გვ. 779 (2-ჯერ), § 29, გვ. 780

<sup>9</sup> იქვე, წ. XI, თ. XIV, § 1, გვ. 740; წ. XII, თ. III, § 1, გვ. 759; წ. XII, თ. III, § 18, გვ. 770; წ. II, თ. V, § 31.

<sup>10</sup> წ. VII, თ. IV, § 3, გვ. 425.

<sup>11</sup> გვ. 425.

ლობა კავკასიაში). კავკასიონის ქედი (იგულისხმება სამხრეთის მთაგრეხილი) ეკვრის სომხურს, კოლხურსა და მოსხურს მთებს ტიბარანებამდე<sup>1</sup>. მითრიდატ ევპატორის სამეფო ისაზღვრებოდა მდ. ჰალისით ტიბარანებსა და სომხებამდე<sup>2</sup>. ტრაპეზუნტსა და ფარნაკიას ზემოთ ცხოვრობენ ტიბარანები, ქლდეები და სანნები<sup>3</sup>, ფარნაკიასა და ტრაპეზუნტის სანახებთა ზემოთ ცხოვრობენ ტიბარანები და ქალდეები მცირე არმენიამდე<sup>4</sup>, რომლის მფლობელთ ხელქვეით ჰყავდათ ხოლმე აგრეთვე ქალდეები და ტიბარანები, ასე რომ მათი სამფლობელო ვრცელდებოდა ტრაპეზუნტსა და ფარნაკიამდე<sup>5</sup>, სტრაბონის ცხოვრების ხანაში, ტიბარანებსა და ქალდეებს, ვიდრე კოლხეთსა, ფარნაკიასა და ტრაპეზუნტამდე, ჰფლობდა პითოდორიდა<sup>6</sup>. სპეციალური ყურადღების ღირსია, გარდა ამისა, სტრაბონის ცნობა, რომ ჰირკანიის ზღვასა და პონტოს შუა მდებარე ყელს (=ამიერ-კავკასია!) სამხრეთით ძვეს არმენიის უდიდესი ნაწილი, კოლხეთი და მთელი კაბადუქია ექესინის პონტოსა და ტიბარანულ ხალხებამდე<sup>7</sup>. მაშასადამე, ტიბარანები, სტრაბონისათვის, ხალხთა მთელ ჯგუფს წარმოადგენდნენ.

ტიბარან-თა სახელის აფიქსაციის ორი პარალელური ვარიანტის (-ენ II -ან) რეალურ არსებობას ბერძნულ მწერლობაში ადასტურებს სტეფანე ბიზანტიელი, რომელსაც, გარდა ამისა, მოჰყავს ეფორის ცნობაც, რომ ტიბარანების მეზობლები არიან ხალიბები და ლევკოსირებიო<sup>8</sup>.

ფორმა ტიბარენი ძალიან ადრე გაჩნდა რომაულ მწერლობაშიაც. იგი მოეპოვებათ, მაგ., ოვიდი ნასონსა და პლინიუსს<sup>9</sup>. მაგრამ უკვე პომპ. მელას მოეპოვება ფორმა ტიბარანი (Tibarani<sup>10</sup>). მეტიც: მელას აქვს ფორმა ტაბერენ-იც (Taberani<sup>11</sup>).

ფორმა ტაბარენი ჰქონია ევსევი კესარიელსაც. სამწუხაროდ, დედანი შენახული არ არის. ლათინურ თარგმანში კი მოცემულია ბერძნ. -ჟ-ს გვიანდელი წაკითხვა ი-დ (Tavarini)<sup>12</sup>. შემდეგს საუკუნეებში ტიბარანების ხსენება თითქოს სულ უფროდაუფრო მწიგნობრულ ხასიათს ატარებს. ამ მხრივ დამახასიათებელია ამ. პარკელინის ცნობა, რომელიც ტიბარანებს რომაელთათვის „სრულიად უცნობი ხალხების“ რიცხვს მიათვლის (ბიზარებსა, საპირებსა, მოსინიკებსა, მაკრონებსა და სხვებთან ერთად)<sup>13</sup>. მიუხედავად ამისა, ცოცხალი სინამდვილიდან მომდინარე მოწმობის შთაბეჭდილებას სტოვეებს ევსტათი თესალონი-

<sup>1</sup> გვ. 740.

<sup>2</sup> გვ. 759.

<sup>3</sup> გვ. 770.

<sup>4</sup> გვ. 779.

<sup>5</sup> იქვე

<sup>6</sup> გვ. 780.

<sup>7</sup> წ. II, თ. V, § 31.

<sup>8</sup> ლექსიკონი, სათანადო სიტყვის ქვეშ.

<sup>9</sup> SC II 77 და 178; პლინიუსიც ტიბარანებს ქალ. კოტიორასთან აკავშირებს.

<sup>10</sup> იქვე, 116.

<sup>11</sup> იქვე, 117.

<sup>12</sup> S C I 667.

<sup>13</sup> S C II 325.

კელის (XII ს.) ცნობა: „ტიბარენები, რომელთაც ჩვენ ტიბრან-ებს ვეძახით, ცხვართა და საქონლით მდიდარნი არიან“-ო<sup>1</sup>.

ზემოთმოტანილი ჩვენებები, პირველ წყაროებიდან, იმდენად მრავალფეროვანია თავისი წარმოშობისა და შემადგენლობის თვალსაზრისით რომ შეუძლებელია ეს ვარიანტული ფორმები გადამწერთა შეცთომებს მიეწეროს. უფრო ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, და ამაში ქვემოვანხილული სხვა ფაქტებიც დაგვარწმუნებს, რომ აქ საქმე გვაქვს რეალურ ფაქტებთან. მათი მიხედვით ირკვევა: 1) სუფიქსი წარმოდგენილი იყო ან -ან-ის, ან -ენ-ის სახით; ასეთი შესატყვისობა ჩვენ ზემოთაც დავადგინეთ, ჭან-ზანის სინამდვილეში; 2) პარალელური ფორმები ჰქონდა ფუძესაც—ტიბარ-ისა, ტაბარ-ისა და ტაბერ-ის სახით; დამოწმებულია რედუცირებული ფორმა ტიბრ-იც, ამიტომ დასაშვებია აღნიშნული ფორმების გვერდით, ტიბერ- ვარიანტის არსებობაც (შეადრ. დამოწმებული ტიბარ- და ტაბერ-). ხოლო თუ ეს ასეა, სათანადო ფორმით შემოსილნი, უშუალოდ მიუდგებიან ერთმანეთს, ჩვენ მიერ აღდგენილი, ფაქტები: ჰიბერან (კავკასიაში) და ტიბერან (შავი-ზღვის სამხრეთ სანაპიროზე). მივიღებდით რომ ეს არის ერთისადიმავე ხალხის ორი ნაწილი.

იმავე ხალხის შესამე ნაწილი, ძველი წელთაღრიცხვის დამლევისათვის, დოკუმენტალურად ნაჩვენებია უკვე, როგორც ადგილობრივი ტომი, მცირე აზიის შუაგულ რაიონში. აქ, 51 წელს ძვ. წ., ციკერონი, როცა იგი კილიკიის პროკონსულად იყო, ეოკებოდა ტაბარან-ებს<sup>2</sup>.

ეს ძვირფასი ცნობა, ჯერ ერთი, ადასტურებს ტაბარ ფორმის რეალურ არსებობას (რომ ტაბარანები და ტიბარანები ერთიდაიგივე ხალხია, ეს ხომ ექვს გარეშე უნდა იყოს), და შექმნევა აშუქებს გზებს ამ სამად გაყოფილი ხალხის უძველესი ისტორიის ძიებისათვის.

აქ დავგრძენია კიდევ ერთი შენიშვნა: როგორც ვნახეთ, ჰეკატეს მოცემული სატომო სახელი „წმინდა“ ფუძის სახით აქვს წარმოდგენილი („ტიბარ“-). სამწუხაროდ, ეს ფაქტი განცალკევებით დგას და იგი მხოლოდ სტეფანე ბიზანტიელის ლექსიკონშია დაცული, რომლის ზოგიერთი ხელნაწერი ამ ადგილას ტიბარენ-ის საკითხავსაც იძლევა<sup>3</sup>. ამ ფაქტის დადასტურებისას სხვა გზით, მომავალში, შესაძლებელი გახდება მოცემული მორფოლოგიური მოვლენის მიახლოებითი დათარიღებაც: -ან სუფიქსი ამ სატომო სახელში ჩნდება არა უადრეს მეხუთე საუკუნისა, ძვ. წ. ამჟამად, ამის გადაჭრით თქმა, ცხადია, არ შეიძლება.

ჩვენთვის საინტერესო სატომო სახელის ფუძის, ზემოთ, დოკუმენტურად, დამოწმებული თუ კანონზომიერად აღდგენილი, ვარიანტები—ტიბარ, ტაბერ, ტაბარ, ტიბერ, ჰიბერ, იბერ და ამ სახელწოდებათა მატარებელი ტომების გავრცელების არე, განსაკუთრებით მცირე აზიის შინაგანი ოლქები, აუცილებლობით და სავსებით დამარწმუნებლად უკავშირდება, ერთი მხრით „დაბადების“ თუბალსა

<sup>1</sup> S C I 209.

<sup>2</sup> S. Forrer, Die hethitische Bilderschrift, 55.

<sup>3</sup> SC I 270.

და თობელ-ს, მეორე მხრით, ასურული წარწერების ტაბალ-ს (როგორც ჩვეულებრივად სწერენ), ანუ თაბალ-ს. „დაბადების“ ფაქტები, უკვე დიდი ხანია, რაც სპეციალურ განმარტების საგნად იქცა. ჯერ კიდევ ცნობილი სწავლული ებრაელი, იოსებ ფლაბიოსი (I ს., ახ. წ.), ამტკიცებდა რომ იაფეტის შვილის თუბალ-თობელ-ის შთამომავალი მის დროს იბერებად იწოდებოდნენ<sup>1</sup>. არ ჩანს, ფლაბიოსი ამ მოსაზრებას მარტო სახელთა მსგავსებაზე ამყარებდა, თუ მას სხვა მასალაც რამე ჰქონდა. შემდეგში, ფლაბიოსს ხშირად იმეორებდნენ ძველი მწერლები, განსაკუთრებით, ბიბლიურ გენეალოგიათა განმმარტებელი. მაგრამ ახალმა მეცნიერებამაც ეს დებულება თითქმის უყოყმანოდ მიიღო. წარსული საუ უნის სახელკანთქმული ორიენტალისტი, ვივიან დე სენ-მარტენი, მაგ., პირდაპირ ამბობს, რომ „დაბადების“ „თუბალს ან თუბელს ბერძნები უწოდებდნენ ტიბარენებად ანუ ტიბარებად“, და როგორც პირველს, ისე მეორეს უკავშირებს იბერ-ს, იბერიას, იმერ-იმერეთსა და ქართველთა ერთერთ ეთნარქს, „ქრთლის ცხოვრებით“, — უფლოს. შავი ზღვის „ტიბარენი“ მას ლაზების ძველ, კრებითი წინაშენელობის, სახელად მიაჩნია<sup>2</sup>. ცნობილი კიპერტიც უეჭვოდ აკავშირებს „დაბადების“ თუბალს ტიბარებს (ტიბარენების) ქვეყანასთან<sup>3</sup>. უეჭველად მიაჩნიათ ეს კავშირი აკად. ნ. მარს, პროფ. ივ. ჯავ ხაშვილს, პროფ. ი. ყიფშიძეს და სხვებს, როგორც ეს ქვემოთაც იქნება ნაჩვენები. განსაკუთრებით განმტკიცდა და გამდიდრდა ეს შეხედულება ასურული ლურსმული წარწერების ამოკითხვის შემდეგ. ამ ძეგლებში იპოვეს ვრცელი ცნობები ხალხის „ტაბ ლ“-ის შესახებ. ჩვენ აქ ამ ცნობებს აღარ მოვიჭნოთ, — მკითხველი მათ იპოვის პროფ. ივ. ჯავახიშვილთან<sup>4</sup>. აქ მხოლოდ შ მდ გს აღვნიშნავთ: ასურული ცნობებით ტაბალები 24 „სამეფოდ“ იყოფოდნენ; ამ „მეფეებთან“ მოყვრობას დიდი ასურეთის მბრძანებელიც არ თაკილობენ; ტაბალებს მეთ-ნეობა მად ლ დონ-ზე დგას — კერძოდ, ძალიან აქებენ ასურელები ტაბალურ ცხენებს; განვითარებული აქვთ ტაბალებს აგრეთვე, როგორც ჩანა, მეტალურგია; მათი მთავარი ნი ქაყე ნა, გელცერის განპარტ ბოთ, რომელაც ასურელი ცნობების ანალიზზე დაჰყარებულა, მკრპინ ელს დად კ.ბადუკ ახე (მინ-გან) ძკიოე აზია) მოდის. თავისთავად ცხ დაა რომ ტაბალების ქვეყანა ასე ისაზღვრება ასურული ცნობების ხანისათვის (პირველი ათასწლეულის პირველი საუკუნეები). როგორია ტაბალების გავრცელება უფრო აღრინდულ ხანაში, ეს ჯერ კიდევ საძიებელია.

<sup>1</sup> Flavii Josephi opera. I. P. 1845. თ. VI, გვ. 14. И. Книпш и др., Грам. мингр. яз., XIII.

<sup>2</sup> V. de S.-Martin, Recherches sur les populations du Caucase, ქართ. თარგმანი, აღ. ტყონია, ისტორიული ნარკვევი. ტფ. 1892, გვ. 93 შემდ.

<sup>3</sup> H. Kiepert, Manuel de Géographie ancienne, P. 1387, p. 59. — თუბალ-ტიბარ-იბერის კავშირის შესახებ ვრცელი მსჯელობა და სათანადო ლიტერატურის განხილვა იხ. ბ. უსლართან, Древнейшие сказания о Кавказе, T. 1881 г., 293—312.

<sup>4</sup> ქართვ. ერის ისტორია, I<sup>2</sup> 36 შემდ.

კელის (XII ს.) ცნობა: „ტიბარენები, რომელთაც ჩვენ ტიბარან-ებს ვეძახით, ცხვართა და საქონლით მდიდარნი არიან“-ო<sup>1</sup>.

ზემოთმოტანილი ჩვენებები, პირველ წყაროებიდან, იმდენად მრავალფეროვანია თავისი წარმოშობისა და შემადგენლობის თვალსაზრისით რომ შეუძლებელია ეს ვარიანტული ფორმები გადაწერთა შეცთომებს მიეწეროს. უფრო ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, და ამაში ქვემოგანხილული სხვა ფაქტებიც დაგვარწმუნებს, რომ აქ საქმე გვაქვს რეალურ ფაქტებთან. მათი მიხედვით ირკვევა: 1) სუფიქსი წარმოდგენილი იყო ან -ან-ის, ან -ენ-ის სახით; ასეთი შესატყვისობა ჩვენ ზემოთაც დავადგინეთ, ჭან-ზანის სინამდვილეში; 2) პარალელური ფორმები ჰქონდა ფუძესაც—ტიბარ-ისა, ტაბარ-ისა და ტაბერ-ის სახით; დამოწმებულია რედუქცირებული ფორმა ტიბრ-იც, ამიტომ დასაშვებია აღნიშნული ფორმების გვერდით, ტიბერ- ვარიანტის არსებობაც (შეადრ. დამოწმებული ტიბარ- და ტაბერ-). ხოლო თუ ეს ასეა, სათანადო ფორმით შემოსილნი, უშუალოდ მიუდგებიან ერთმანეთს, ჩვენ მიერ აღდგენილი, ფაქტები: ჰიბერან (კავკასიაში) და ტიბერან (შავი-ზღვის სამხრეთ სანაპიროზე). მივიღებდით რომ ეს არის ერთისადამივე ხალხის ორი ნაწილი.

იმევე ხალხის მესამე ნაწილი, ძველი წელთაღრიცხვის დამლევისათვის, დოკუმენტალურად ნაჩვენებია უკვე, როგორც ადგილობრივი ტომი, მცირე აზიის შუაგულ რაიონში. აქ, 51 წელს ძვ. წ., ციცერონი, როცა იგი კილიკიის პროკონსულად იყო, ეომებოდა ტაბარან-ებს!<sup>2</sup>.

ეს ძვირფასი ცნობა, ჯერ ერთი, ადასტურებს ტაბარ ფორმის რეალურ არსებობას (რომ ტაბარანები და ტიბარანები ერთიდაიგივე ხალხია, ეს ხომ ექვს გარეშე უნდა იყოს), და შეჰდევ აშუქებს გზებს ამ სამად გაყოფილი ხალხის უძველესი ისტორიის ძიებისათვის.

აქ დავგრძენია კიდევ ერთი შენიშვნა: როგორც ვნახეთ, ჰეკატეს მოცემული სატომო სახელი „წმინდა“ ფუძის სახით აქვს წარმოდგენილი („ტიბარ“-). სამწუხაროდ, ეს ფაქტი განცალკევებით დგას და იგი მხოლოდ სტეფანე ბიზანტიელის ლექსიკონშია დაცული, რომლის ზოგიერთი ხელნაწერი ამ ადგილას ტიბარენ-ის საკითხავსაც იძლევა<sup>3</sup>. ამ ფაქტის დადასტურებისას სხვა გზით, მომავალში, შესაძლებელი გახდება მოცემული მორფოლოგიური მოვლენის მიახლოებითი დათარიღებაც: -ან სუფიქსი ამ სატომო სახელში ჩნდება არა უადრეს მეხუთე საუკუნისა, ძვ. წ. ამჟამად, ამის გადაჭრით თქმა, ცხადია, არ შეიძლება.

ჩვენთვის საინტერესო სატომო სახელის ფუძის, ზემოთ, დოკუმენტურად, დამოწმებული თუ კანონზომიერად აღდგენილი, ვარიანტები—ტიბარ, ტაბერ, ტაბარ, ტიბერ, ჰიბერ, იბერ და ამ სახელწოდებათა მატარებელი ტომების გავრცელების არე, განსაკუთრებით მცირე აზიის შინაგანი ოლქები, აუცილებლობით და სავსებით დამარწმუნებლად უკავშირდება, ერთი მხრით „დაბადების“ თუბალ-სა

<sup>1</sup> SC I 209.

<sup>2</sup> S. Forrer, Die hethitische Bilderschrift, 55.

<sup>3</sup> SC I 270.

და თობელ-ს, მეორე მხრით, ასურული წარწერების ტაბალ-ს (როგორც ჩვეულებრივად სწერენ), ანუ თაბალ-ს. „დაბადების“ ფაქტები, უკვე დიდი ხანია, რაც სპეციალურ განმარტების საგნად იქა. ჯერ კიდევ ცნობილი სწავლული ებრაელი, იოსებ ფლაბიოსი (I ს., ახ. წ.), ამტკიცებდა რომ იაფეტის შვილის თუბალ-თობელ-ის შთამომავალი მის დროს იბერებად იწოდებოდნენ<sup>1</sup>. არ ჩანს, ფლაბიოსი ამ მოსაზრებას მარტო სახელთა მსგავსებაზე ამყარებდა, თუ მას სხვი მასალაც რამე ჰქონდა. შემდეგში, ფლაბიოსს ხშირად იმეორებდნენ ძველი მწერლები, განსაკუთრებით, ბიბლიურ გენეალოგიათა განმარტებელნი. მაგრამ ახალმა მეცნიერებამაც ეს დებულება თითქმის უყოყმანოდ მიიღო. წარსული საუ უნის სახელკვანტქმული ორიენტალისტი, ვივიან დე სენ-მარტენი, მაგ., პირდაპირ ამბობს, რომ „დაბადების“ „თუბალს ან თუბელს ბერძნები უწოდებდნენ ტიბარენებად ანუ ტიბარებად“, და როგორც პირველს, ისე მეორეს უკავშირებს იბერ-ს, იბერიას, იმერ-იმერეთსა და ქართველთა ერთერთ ეთნარქს, „ქ რთლის ცხოვრებით“, — უფლოსს. შავი ზღვის „ტიბარენი“ მას ლაზების ძველ, კრებითი წინაშენლობის, სახელად მიაჩნია<sup>2</sup>. ცნობილი კიპერტიც უეჭვოდ აკავშირებს „დაბადების“ თუბალს ტაბარებას (ტიბარენების) ქვეყანასთან<sup>3</sup>. უეჭველად მიაჩნიათ ეს კავშირი აკად. ნ. მარს, პროფ. ივ. ჯავ ხაშვილს, პროფ. ი. ყიფშიძეს და სხვებს, როგორც ეს ქვემოთაც იქნება ნაჩვენები. განსაკუთრებით განმტკიცდა და გამდიდრდა ეს შეხედულება ასურული ლურსმული წარწერების ამოკითხვის შემდეგ. ამ ძეგლებში იპოვეს ვრცელი ცნობები ხალხის „ტაბ ლ“-ის შესახებ. ჩვენ აქ ამ ცნობებს აღარ მოვიტნით, — მოკლევლი მათ იპოვის პროფ. ივ. ჯავახიშვილთან<sup>4</sup>. აქ მხოლოდ უ მდ გს აღვნიშნავთ: ასურული ცნობებით ტაბალები 24 „სამეფოდ“ იყოფოდნენ; ამ „მეფეებთან“ მოყვრობას დიდი ასურეთის მბრძანებელიც არ თაკილობენ; ტაბალები მეთ-ნეობა მალ ლ დონჯე დგას — კეძოდ, ძალაან აქებენ ასურელები ტაბალურ ცხენებს; განვითარებული აქვთ ტაბალებს აგრეთვე, როგორც ჩანა, მეტალურგია; მათი მთავარი ნი ქვეყნა, გელცერის განმარტ ბოთ, რომელაც ას ერ ჯლი ცნობებს ანალიზზე დაჰყარებული, მკრპინ ელს დად კბადუკახე (მინგანი ძკიოე აზია) მოდის. თავისთავად ცხ დაა რომ ტაბალების ქვეყანა ასე ისაზღვრება ასურული ცნობების ხანისათვის (პირველი ათასეულის პირველი საუკუნეები). როგორცა ტაბალების გავრცელება უფრო ადრინდელ ხანაში, ეს ჯეო კიდევ საძებელია.

<sup>1</sup> Flavii Josephi opera. I. P. 1845. თ. VI, გვ. 14. И. Книш и д а е, Грам. мингр. яз., XIII.

<sup>2</sup> V. de S.-Martin, Recherches sur les populations du Caucase, ქართ. თარგმანი. აღ. ტყეონია, ისტორიული ნარკვევი. ტფ. 1890, გვ. 93 შემდ.

<sup>3</sup> H. Kiepert, Manuel de Géographie ancienne, P. 1887, p. 59.—თუბალ-ტიბარ-იბერიის კავშირის შესახებ ვრცელი მსჯელობა და სათანადო ლიტერატურის განხილვა იხ. პ. უსლართან. Древнейшие сказания о Кавказе, Т. 1881 г., 293—312.

<sup>4</sup> ქართ. ერის ისტორია, I<sup>2</sup> 36 შემდ.

ასურული წარწერებს „ტაბალი“ მრავალმა მეცნიერმა (პროფ. ივ. ჯავახიშვილი, აკად. ნ. მარი, პროფ. ი. ყიფშიძე და სხვ.) დაუკავშირა ტიბარენს და იბერს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთს დებულებას სრული საფუძველი აქვს, და მის ს.ს. რეგებლად, გარდა ზემოთმოტანილი ახალი მასალისა, გვინდა კიდევ ერთი საბუთი წარმოვადგინოთ.

ცნობილმა თანამედროვე ევროპელმა ორიენტალისტმა და ხეთოლოგმა, ე. ფორერმა, გამოსთქვა მოსაზრება რომ ასურული წარწერების „ტაბალი“ არის საერთო სახელწოდება ყველა იმ ზემოხსენებული 24 სამეფოსი, რომელნიც, ფორერს ლოკალიზაციით, ტაერის მთების ჩრდილოეთით მდებარე ბდნენ, და რომ ხეთური ჰიეროგლიფური (ხატოვანი) დამწერლობა სწორედ ამ ტაბალებს ეკუთვნის, როგორც ცნობილია, ხეთური კულტურული სამყარო, და წყარობის მხრივ, ორ დიდ წრედ იყოფა: ერთი ხმარობს ლურსმულ მარცვლოვან დამწერლობას, ჩეორე-კი—ჰიეროგლიფებს. ეს ხატოვანი დამწერლობა, მამა ადამე, ფორერის აზრით, ტაბალების დამწერლობაა. ასეთივე აზრი გამოსთქვა პავლე ინგორაყვამ თავის სპეციალურ მოხსენებაში, რომელიც წაკითხული იყო საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში 1911 წ. პ. ინგორაყვამ მაშინ ამ დამწერლობას ქართული წაკითხვის ცდაც წარმოადგინა, მეფე თარხუდიმეს ცნობილი ბექდის წარწერის ამოშიფრვის მაგალითზე. დებულება იმის შესახებ, რომ ხეთური ჰიეროგლიფური ძეგლები ტაბალებს უნდა ეკუთვნოდეს, სრულ ლოგიკურ თანხმობაში იმყოფება ყოველივე იმასთან, რაც ზემოთ იყო ნათქვამი.

მაგრამ ჩვენთვის კიდევ უფრო საინტერესოა ფორერის ერთი დაკვირვება და მოსაზრება. ფორერმა მიუთითა რომ ტაბალებს ხატოვან წარწერებში, კარხემიშიდან, მთელი მათი ქვეყანა აღნიშნულია იდეოგრაფიით, რომელიც იხსნება, როგორც „წყალი“. მთლიანად ქვეყნის სახელი უნდა ამოშიფროდეს იქნას, როგორც „წყლის ქვეყანა“, ხოლო ამ ქვეყნის ხალხის სახელწოდება როგორც „წყლის, ანუ ზღვის, ქვეყნის ხალხი“. იქვე მოცემულია იდეოგრაფიანი კომპოზიტი.—რომელიც აგრეთვე იხსნება როგორც „ზღვის ქვეყნის ხალხი“. ამოდის რა იმ მოსაზრებიდან, რომ ასურული წარწერები არ იცნობენ ასეთს ეთნიკურ ტერმინს, თუმცა ისინი სირიულ სანაპაროსა და ზოგჯერ ამ ქვეყნის შინაგან რაიონებსაც „ზღვის ქვეყანას“ ეძახიან, ფორერა, კარხემიშის წარწერის ფაქტების ასახსნელად, იგონებს ცნობილს ძველს სატომო სახელწოდებას „პელასგ“-ი. ფორერის აზრით, ეთნიკური ტერმინი „პელასგ“ ბერძნული ეტიმოლოგიის სახელია, სიტყვიდან „პელაგ“-ოს, რაც ბერძნულად „ზღვა“ ნიშნავს. პელასგებიც (უძველესი ფორმით—„პელაგ-სკოა“) ამიტომ სწორედ „ზღვის ხალხ“-ად უნდა ითარგმნოსო. ამრავალ ჰიეროგლიფურა წარწერებს „ზღვის ხალხი“- პელაგები იყვენენო, დაასკვნის ფორერი. თავისი ჰიპოთეზის ისტორიული დასაბუთებისათვის ფორერს მოჰკავს ორი ძველი ბერძნული გარდმოცემა: 1) ბეორე ათას ულის დაწლებს, ქრ. წ., ზღვაზე ბატონობენ პელასგები; 2) პელასგების დამწერლობა განირჩეოდა ფინიკიურისაგან, და უძველესი პოეტები, ლინე,

ორფეოსი და პრონაპიდი, ჰომეროსის მასწავლებელი, სწორედ პელასგიურ დამწეოლობას ხმარობდნენო<sup>1</sup>.

ფორერის ეს განმარტება მიუღებელია: 1) ისტორიული საბუთიანობა ძალიან სუსტია, არსებითად ის ავტორს არც მოეპოვება: არც ერთი ისტორიული წყარო პელასგება ხატოვანი დამწეოლობის არეში არ უჩვენებს, ხოლო ზღვაზე ბატონობა ჯერ კიდევ სარია-კაბადუქიაში მკვიდრობას არ მოასწავებს; 2) სუსტია ეტიმოლოგიური საბუთიც: პელასგები, როგორც ცნობილია, ინდო-ევროპული მოდგმისანი არ ყოფილან, და ჯერ ესაა დასამტკიცებელი რომ მათ სახელს მართლაც ბერძნულ ეტიმოლოგია ჰქონდა.

გაცილებით უფრო ბუნებრივი იქნებოდა ამ საიდუმლოს გასაღების სხვა გზით ძიება: რაკი, ფორერისავე მიხედვლით, ხატოვანი დამწეოლობა იმ ხალხს ეკუთვნის, რომელსაც ასურელ ბი „ტაბალს“ ეძახიან, რაკი ამ სახელის ახსნა სემიტურ ნადაგზე შეუძლებელია, მარტივი ლოგიკა მოთხოვს ტაბალების ხატოვან დამწეოლობაში მოცეული თვითსახელწოდება (თავისთავის აღნიშვნის ტერმინი) და ეთნიკური სახელწოდება ერთმანეთს დაუკავშირდეს, ე. ი. იდოგრანა „წყლის, თუ ზღვის, ხალხი“ „ტაბალის“ საშუალებით აიხსნას, ხოლო „ტაბალი“ გაგებულ იქნას, როგორც, „ზღვის, წყლის, ხალხი“.

ესჯგეობის განვითარების ამ პუნქტში სრულიად ბუნებრივია ის ახსნა, ჩვენ რომ მუშაობის პრაქტისში გვაკარნახა პროფ. აკ. შანიძემ, როელსაც ჩვენს მოსაზრებებს ეუზიარებდათ: „ტაბალი“ იშლება ქართ. სიტყვა „ტაბად“-დ, რაც ნიშნავს „ზღვას“ (ძველად), „ტბას“, მამასადამე, საერთოდ „წყლის დიდ საცავსა“ და „წყალს“ და ქართველურსავე სუფიქს -ალ-ად.

მართლაც, შექვევლია რომ ქართ. „ტბა“-ს ადრინდელი ფორმა „ტაბა“-ა. ამას მ-წმობს ამ ფუძის შესატყევიები სხვა ქართველურ ენებში (იხ. ქვემოთ). ეს ფორმა შენახულია დღემდე საქართველოს ტოპონომიკაშიც:

„ტაბა-ხმელა“, სამს სხვადასხვა ადგილას, ნიშნავს „ამომშრალ ტბა“-ს; „ტაბაწყური“ ანუ „ტაბისყური“<sup>2</sup> ეწოდება დიდ ტბას თრიალეთში, და ამ სახელწოდების პირველ ნახევარში ჩვენ იმავე სიტყვას ვპოულობთ; — „ტაბაყურა“ ეწოდება ერთს ტბას დასავლ. საქართველოში და სხვ.

-ალ-იც, თავისი დიალექტური ვარიანტით, -არ-ით (-ელ-იც, შექვევლია, ამ ჯგუფს ეკუთვნის) კარგად ცნობილი სიტყვათმწარმოებელი ქართველურ სუფიქსია, როელიც, კერძოდ, წარმოშობას, წარმომავლობასაც, აღნიშნავს, შეადრ. მალ-ალ-ი, დაბ-ალ-ი, მ-არგ-ალ-ი (მეგრელი), ობიზ-არ-ი (ობიზელი), ოდიშ-არ-ი (ოდიშელი), სომხთ-არ-ი (სომხთელი), სამშვილდ-არ-ი (სამშვილდელი) და სხვ.<sup>3</sup> ამრიგად, სწორედ ქართველური ენების მასალაზე ტაბალი შეიძლება ახსნილი იქნას, როგორც ტაბელი,

<sup>1</sup> Die hethitische Bilderschrift, 57—58.

<sup>2</sup> ვახუშტი, გეოგრ., ჯან. გამოც., გვ. 55, ამ ტბას „ტბის-ყურს“ ეძახის.

<sup>3</sup> А. Шанидзе, Два чано-шингрельских суффикса в грузинском и армянском языках, ЭВРАО, т. XXIII (1916).

ტბელი, ე. ი. ტბის ანუ ზღვის, მაშასადამე, საერთოდ, წყლის კაცი, ხალხი. კაზხემიშის იდეოგრამა ქართულად იხსნება.

უნდა ითქვას, რომ მოცემულ ეთნიკურ ტერმინის ფუძეში სიტყვა „ტბის“ ძირს სხვა მკვლევარნიც ეძებდნენ. მ. ჯანაშილი, მაგ., სწერდა:

„ტბეთი—ტბანი აღილი. ტობა—ტაბა-ტბა და აქედან სახელები ტბათა და სოფელთა... ამავე სახელს ჩვენ ვუკავშირებთ მეშხების (მესხების) მეზობლად მცხოვრებ ერის ტუბალებს (თობელების) სახელს. ტბეთის ეპისკოპოსებს ერქვათ ტბელი, ტბევარი, ძველის გამოთქმით იქნებოდა ტობელი—ტაბალი და ეს კი უახლოვდება ლურსმულ წარწერების ტაბალს—ბიბლიის თობელს (ტუბალს)“-ო<sup>1</sup> და სხვ. ჯანაშილის მსჯელობა, რათქმუნდა, ზუსტი არ არის, მაგრამ საერთო მოსაზრება საყურადღებოა.

ასევე აკად. ნ. მარს სახელწოდებანი „შუმერი“, „იბერი“ და მათი მთელი მრავლსახეობა, ტუბელი და სხვა შესაძლებლად მიაჩნდა „წყლის“ მნიშვნელობამდე დაეყვანა. მაგრამ მარს თავისი აზრი მეტად ბუნდოვანი ფორმითა აქვს გამოთქმული და ფუძის სემანტიკურ მნიშვნელობათა წრე შეუწყნარებელ ფარგლებამდე აქვს გაფართოებული<sup>2</sup>.

მართლაც, ეთნიკური სახელების ამგვარი წარმოშობა შეუძლებელი სრულებით არ არის. სხვა არა იყოს რა, საქართველო და კვკასია ამის მრავალ მაგალითს იძლევა. გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიული წარმოშობისაა ისეთი ქართული სატომო სახელები, როგორცაა „მთიული“—მთისაგან, „მოხევე“—ხევის გან, იქნებ „ხეესური“—აგრეთვე ხევისაგან, „იმერელი“ და სხვ. დალისტინის უძლიერესი ტომი, ავარიელები, თავის თავს „მაყარულაუ“-ს ეძახის, რაც ნამდ ილად „მთიელს“ ნიშნავს. ამგვარი მაგალითების გაძრავლება შეიძლება. მაგრამ ისეთი შემთხვევებიც არა ჰქირება, როცა ხალხი შეცთომით ხსნის თავის სახელს, გეოგრაფიული თუ სხვა მნიშვნელ-ბის, ფუძის საშუალებით. აფხაზები, მაგ., დარწმუნებული არიან რომ „აჟს-უა“—აფაზი, და „აფს-ნე“—აფხაზე იი, დაკავშირებულაა სიტყვა აფსგ-სთან (-სული), რომ აფსნე, ამრიგად, „სულის ქვეყანას“ ნიშნავს. მაგრამ ეს შეცთომბა, სათანადო ფუძეების შემთხვევითი გარეგნული

<sup>1</sup> ეახუშტი, გეოგრაფია, ჯანაშილის გამოც, ტფ. 1904 წ., შენ. 412.

<sup>2</sup> «Но вместе со сипрантными u-bag || u-ba-†-n сохранили свое существование разновидности сибирянского типа subar || su-beg, именно, tu-bag || tu-bel, откуда рядом с нарицательным значением 'воды' из 'неба + воды', так в м. to-ba озеро, г. ti-ba, а в связи с его космическим значением 'неба' и астрально 'солнца' или 'луны'—племенные названия с сохранением исходного извонного (I || r) ობ-bag (to-bel), ობ-bag-en'y, все разновидности шмер'a или ибер'a, а затем по связи микрокосма с частями космоса 'глаз-светило', так например г. ობ-wal глаз' и г. ობ-war-ე 'луна', 'месяц' по увязыванию 'металлов' с 'педом' в s-pil || a-rar', что в составе скрещенных слов грузинского s-pil-en-ს и арм. a-rar-an-ჭან 'браслет (бронзовый)', 'бронза' и т. п.» ЯС VII, 208.—ეს ამონაწერი გადმომცა არ. ჩიქობავამ, რისთვისაც მას მადლობას მოვასხენებ.

მსგავსების ნიადაგზე აღმოცენებული, როგორც ეს სხვაგან იქნება ჩვენ მიერ ნაჩვენები.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთსავე გარეგნულ მსგავსებასთან გვაქვს საქმე ტაბალის შემთხვევაშიაც. კარხემიშის იდეოგრამაში წარმოდგენილი ვაგება უფრო ხალხური ეტიმოლოგიაა, ვიდრე ნამდვილი.

საქმე ისაა, რომ მოცემული სატომო სახელის ფუძის თავკიდური ბგერა, რიგი ცნობების მიხედვით, არის მშვინივერი წინაენისმიერი თ, და არა მკვეთრი ტ, როგორც ეს წარმოდგენილია „ტბა“-ში. ასეა ეს „დაბადების“ თუბალ-თობელში, საიდანაც იგი ბერძნულმაც შეითვისა „თეტას“ ფორმით, და სხვა ენებმაც, რომელთაც ეს გრაფიკული შესაძლებლობა ჰქონდათ, სათანადო ასოთი გამოხატეს, მაგ. ქართულმა „თან“-ით<sup>1</sup>. ასევეა ასურულშიაც. ასურულს ლურსმულ ტექსტებში, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთ მათგანში, რომელზედაც მკვლევარს ტფილისში ხელი მიუწვდება, იკითხება „თა-ბა-ლი“<sup>2</sup>. ხალხური ახსნისათვის მოცემული ფუძეების ეს ფონეტიკური სხვაობა დიდ დაბრკოლებას არ შეადგენდა, რეალური ეტიმოლოგიის ძიებისას-კი მას სრული ანგარიში უნდა გაეწიოს. ჩვენ მიერ წარმოდგენილი განმარტება კარხემიშის წარწერის იდეოგრამისათვის, რომელიც ცხადია სწორედ ხალხური ახსნის ნაყოფია და არა ლინგვისტური ანალიზისა, ამიტომ მთლიანად ძალაში რჩება.

ასურული წარწერების „თაბალი“ და დაბადების „თუბალ“-„თობელ“ რომ რეალურად ერთსადაიმევე ხალხს გულისხმობს, ეს ჩანს სათანადო გეოგრაფიული წარმოდგენებიდან ამ ხალხის ადგილსამყოფელის შესახებ: თუ ასურელებისათვის თაბალების ტერიტორია ჩრდილო-დასავლეთისაკენ მოდიოდა, ებრაელი ავტორების მიერ თუბალ-თობელთა მიწა-წყალი უკვე ჩრდილოეთითაა ნაგულისხმევი, ხმელთაშუა ზღვის მონაპირე ხალხთა მეზობლად. ეს ცხადი ხდება სათანადო ბიბლიური ადგილების განხილვიდან, რაც, გარდა ამისა, ააშკარავებს თაბალების სატომო სახელის ახალს დიალექტურ ფორმებს და უაღრესად საყურადღებო ნიშნებს სათანადო ტომთა კულტურული ვითარების შესახებ.

როგორც ცნობილია, ჩვენთვის საინტერესო სატომო სახელი „დაბადებაში“ ჩვენ გვხვდება, უწინარეს ყოვლისა, გენეალოგიურ სიებში. „შესაქმეთა“ წიგნის IV თავში, ადამის მეექვსე შთამომავალს ლამეხს ერთი ცოლისგან ჰყავს შვილები აბალ და აუბალ, ხოლო მეორე ცოლისაგან ჰყავს ვაჟი თუბალ-კაინი (იგივე თობელი) და ასული ნოემა<sup>3</sup>. ხოლო იმავე წიგნის მეათე თავში წარ-

<sup>1</sup> იხ. W. Gesenius, Handwörterbuch über das Alte Testament, bearbeitet von D-r F. Buhl, s. v., S. 865. აქ სხვათა შორის, აგრეთვე აღიარებულია კავშირი ებრ. თუბალ-სა, ასურ. ტაბალსა და ბერძნ. ტიბარენს შორის. ცნობა გეზენიუსიდან, ჩვენი თხოვნით, მოგვაწოდა გ. წერეთელმა, რისთვისაც, ისევე როგორც ქვემოთ მოტანილი ასურული ლურსმული ტექსტებიდან სათანადო ცნობის ამოღებისათვის, მადლობას მოვახსენებთ.

<sup>2</sup> Une relation de la huitième campagne de Sargon (714 av. J. C.). Texte assyrien inédit, publié et traduit par Francois Thureau-Dangin. Paris, 1912, p. p. 54-55, 78-79.

<sup>3</sup> ჩვენ სამწუხაროდ დღემდე არ მოგვეპოვება ქართული „დაბადების“ ოდნავ ხეირიანი გამოცემა, ამიტომ იძულებული ვართ სხვა თარგმანებს მივმართოთ, ამ ჩვენთვის საყურადღებო სახელების მართლწერის დაცვისას.

მოდგენილია უკვე განსხვავებული გენეალოგიური შტო: თუბალი უკვე ლამების უშუალო შთამომავალი კი არ არის, არამედ მისი შვილისშვილის იაფეტისა. თობელის ძმებადაც აქ მოხსენებული არ არიან დაბალი და აუბალი, არამედ სხვები (მათ შორის იავან და მესეხი).

მეცნიერებაში უეჭველად არის მიჩნეული რომ ადამის შთამომავლობის ამ სიებში „შესაქმეთა“ წიგნის შემდგენელნი ცდილობდნენ, განპიროვნებული სახით, წარმოედგინათ ის ხალხები, რომელნიც ცნობილი იყვნენ ძველი ებრაელებისათვის. მეცნიერთ არა ერთგზის უცდიათ აგრეთვე ამ ეთნარქების ვინაობის ამოხსნა. ამ მეცნიერთა უმრავლესობა ფიქრობს რომ კერძოდ „თუბალი“ ტიბარენების წინაპარია. ჰოლციენგერის მტკიცებით, სახელები „ლამებ“, „აბაბალ“, „აუბალ“ ებრაულში სხვაგან არსად გვხვდება და რომ, კერძოდ, „ლამებხს“ ებრაულად ახსნა შეუძლებელია. გუნკელმა დაბალ, აუბალ და თუბალ-კაინი მონათესავე სახელებად მიიჩნია და უძველეს სახედ თუბალი გამოაცხადა<sup>1</sup>.

საკითხის ერთი უკანასკნელ მკვლევართაგანი, I. Dhomme, რომელმაც იაფეტის შთამომავლობას („შესაქმეთა“, X) სპეციალური გამოკვლევა უძღვნა<sup>2</sup>, ცდილობს ამ მრავალრიცხოვან იაფეტიან ძმებს (გომერ, მაგოგ, მადაჲ, აჲვან, თუბალ, მეშექ, თირას) თვითიუღს თავისი ისტორიული და ეთნოლოგიური ადგილი მიუჩინოს, კერძოდ, ბიბლიური ცნობების ლურსმული მწერლობის ჩვენებათა საშუალებით განმარტების ნიადაგზე. აი, ავტორის ზოგიერთი მოსაზრება.

გომერ, ნამდვილად უნდა იკითხებოდეს „გიმირ“ (სებტანტ. „გამერ“, სირ. „გომორ“, ვულგ. „გომერ“ მიუთითებენ რომ ხმოვანთა გამოთქმა არ იყო ერთგვარი), უდრის ლურსმულის „გიმირრი“, რაც შემდეგში ბერძნებმა „კიმერიელის“ სახით გადმოსცეს (დასახ. ნაშრ., 29-30).

მადაჲ, ასურ. მადნ, მიდიელებს აღნიშნავს. ზოგიერთი მკვლევარის, მაგ., ჰროზნის, ცდას, დაინახონ მადა-ში მიტა, მიტანი, დორმი სახითათო ეტიმოლოგიების კატეგორიას მიაკუთვნებს (იქვე, 32-35).

იავან იონია. დორმი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას რომ ზოგან სებტ-ს ეს სიტყვა შეცვლილი აქვს „ელადითა“ და „ელინით“. ტრადიცია სცნობდა რომ ებრ. ტექსტის თანხმონები ღენ შესატყვისება ბერძნ. იონ-სო (იქვე, 35-36). საყურადღებო პარალელია ი. ფლაბიოსის მიერ დაცული ტრადიციისათვის—თუბალ—იბერ!

თუბალ სებტანტა: *Thubal*, *Thubal*, ზოგჯერ—*Thubal* (sic! ს. ჯ.); ვულგ. *Thubal*, რაც მისდევს ებრაულს. ნარამ-სინის ხანაში გვხვდება მთა ტი-ბა-არ. ტიბარ შესატყვისია ხეთური ტექსტების ტიბალ-ის და ასურული ტექსტების ტაბალ-ის. ბიბლიის „ტუბალ“ უნდა გაიგივებულ იქნას იმ ქვეყნებთან, რომელნიც იწოდებიან ტიბარ, ტიპალ, ტაბალ. შემდეგ ავტორი, ასურული ცნობების ანალიზით, მიდის, ტაბალის ტერიტორიის შესახებ, იმავე დასკვნამდე, რომელიც ზემოთ იყო გადმოცემული. დორმს უეჭველად მიაჩნია ტაბალისა და ტიბარენის კავშირი, მხოლოდ პირველს, ჩანს, ქვეყნის სახელად სთვლის, მეო-

<sup>1</sup> იხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., 30-31.

<sup>2</sup> Les peuples issus de Japhet d'après le chapitre X de Genèse, «Syria», t. XIII, P. 1932. Premier Fascicule, p. p. 28-49.

რეს-კი- ტომისად. ტიბარენების ეთნიკური ვინაობის შესახებ მას სათქმელი არა-ფერი აქვს (იქვე, 37-39, 49).

ასევე უეჭველად მიაჩნია დორმს ბიბლ. მეშეხის კავშირი ასურ. მუსკუ II მუშკუ-სა და ბერძნ. მოსსებთან. შემდეგში მოსხები ტიბარენების აღმოსავლელი მებობლები იყვნენ და მათ ეჭირათ არმენიის ჩრდილო-დასავლეთი, პონტოს აღმოსავლეთ საზღვრამდე, და, ჩრდილოეთი „კოლხეთამდე“ (იქვე, 39-40, 49). შემდეგ საყურადღებოა რომ თირას, ჰიეროგლიფური ცნობების საშუალებით, დორმს შესაძლებლად მიაჩნია დაუახლოვოს ტირსენებს ანუ ტირრენებს, ე. ი. ეტრუსკებს (იქვე, 40-41, 49).

დასასრულ აღენიშნავთ რომ დორმი, აშკენაზი საკა-სკვიოს უკავშირდება (41-42), ხოლო თოგარმა (ასურ. „ტილგარიმუ“, ბოლან-ქოის ტექსტების „ტიგარა“, „ტაგარა“, „ტაკარამა“) საძიებელია კარხემიშისა და ხარრანის მებობლად, კარხემიშ-ხარრანის დიდი გზის ჩრდილოეთით, იგი უახლოვდებოდა მელიდისა და ტაბალის ქვეყნებს, და ისტორიულად უკანასკნელთან იყო დაკავშირებული (იქვე, 42-44). ავტორის საერთო დასკვნით, იაფეტის სახელს ქვეშ ბიბლია აერთიანებს ყველა იმ ხალხს, რომელნიც ესაზღვრებოდნენ ფინიკიურ სანაპიროს და რომელთაც ეჭირათ სირიის ჩრდილოეთის სანახებნი და მესობოტამიის აღმოსავლეთი, და რომელნიც ამავე დროს განსხვავდებოდნენ სემიტური ტიპისაგან ფიზიკური გარეგნობით, ენითა და ზნეჩვეულებით (იქვე, 49). ეს დასკვნა საეროდ სამაროლიანია, რაოქმუნდა. ბიბლიის ავტორებს ჩვენ ვერ მოგსთხოვო ზუსტ ენათმეცნიერულს, ეთნოლოგიურსა და სხვ. განზოგადებას. მიუხედავად ამისა, „დაბადების“ ცნობებს დიდი მნიშვნელობა აქვთ. ცალკე, ერთმანეთთან განსაკუთრებით ახლო მდგომ, ტომთა ნათესაობის შესახებ ბიბლიის ავტორებს ცნობები უთუოდ ჰქონდათ.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ ბიბლიის ორი სხვადასხვაგვარი ცნობის შეთანხმება ძნელი არ უნდა იყოს. ის გარემოება რომ ერთ შემთხვევაში თუბალი მარტოა დასახელებული, ხოლო მეორე შემთხვევაში მას ძმებიც ჰყავს — დაბალი და ჟუბალი, მოწმობს, ჩვენი აზრით, იმ გარემოებას, რომ პირველად ხალხი მთლიანი სახითა წარმოდგენილი, მეორედ-კი — თავისი მთავარი ტომების სახით. ადვილად იხსნება თუბალის ორმაგი სახელიც თუბალ-კაინი და თობელი: „კაინ“ II „კენ“ აქ ეპითეტია, რომელიც, სათანადო სემიტური ძირის საშუალებით, „მკედელს“ აღნიშნავს<sup>1</sup>.

თუბალი ხომ უპირატესად მკედელი და მეტალურგია. შესაძლებელია ისიც (მარი, ჯავახიშვილი) რომ აქ გვექონდეს სათანადო სატომო სახელის გააზრინებაც („კაენებს“, როგორც ვნახეთ, იხსენიებს პლინიუსი, და შემდეგში ცნობილი არიან ჭანნი-ოკაენიტნიც).

მეოთხე თავის ცნობაში საყურადღებოა ფუძის ახალი ფორმები, რომლებიც ჩვენ წინათ არ შეგვხვედრია — თავკიდური თ II ტ-ს ნაცვლად მ. ეს, უეჭველია, ახალი საფეხურია ამ სახელის განვითარებაში. ამ ცნობით მოცემული შესატყვისობანი: თ II ტ-ს II მ-ს ( ) საფუძველს აძლევენ ივ. ჯავახიშვილსა და

<sup>1</sup> R. Eisler, Das Qainszeichen und die Qeniter, „Le Monde Oriental“, 1929, vol. XXIII, fasc. 1-3.

ი. ყიფშიძეს თუბალ-თაბალი და იბერი, შუალედი რგოლებით, ერომანეთს დაუკავშირონ<sup>1</sup>. პროფ. ივ. ჯავახიშვილი ამასთანავე გამოსთქვამს მოსახრებას რომ ტაბალ ქართების გამოთქმაა, ტუბალ-ტობალ - მეგრულ-ქანური; ხოლო ტიბარ-კი სვანურ გამოთქმას უახლოვდებაო (იქვე).

საკმარისია მოვიგონოთ ასურული ცნობა ტაბალების 24 სამეფოს არსებობის შესახებ, რომ პარალელური ფორმების ასეთი სიმდიდრე სავსებით ბუნებრივად მივიჩნით და სხვა დაკარგული ფორმებიც ვივარაუდოთ.

თაბალ, თუბალ, ტაბარ-ტიბარ-ის ურარო-ურარეთისათვის საინტერესოა გავიკვლით წინათ სწორედ იმ სიტყვის ისტორია ქართველურ ენებში, რომლის საშუალებითაც, ჩვენი აზრით, კარხემიშის წარწერა ხსნის „თაბალი“-ს მნიშვნელობას.

ახალ-ქართული „ტბა“ მოდის ძველი ქართული „ტაბა“-დან (შეადრ. თაბალი || ტაბარი!); მეგრულში მას შეესატყვისება „ტობა“ (თობელ-თუბალი!); სვანურში, ფორმა ტომბ-ის (ტბა!) გარდა, გვხვდება ტვიბ (ტუბ), ტვიბრა (ტუბრა). მდინარე, ლელე რაც, უეჭველია, ამავე ძირისაა, რომელსაც აქ თავისი უძველესი მნიშვნელობათაგანი, „წყალი“, აქვს დაცული, როგორც კარხემიშის იდოგრამაშია წარმოდგენილი<sup>2</sup>, შეადრ. აუბალ! ქანურში-კი, ტობას გვერდით და იმავე მნიშვნელობით, გვაქვს „ტიბა“<sup>3</sup>; შეადრ. ტიბარ, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა. ყველაფერი გვიჩვენებს რომ ამ გადასვლებისათვის ქართველურ ენებში კანონზომიერი საფუძველი არსებობდა.

დასასრულ, მოვიგონოთ, როგორ ახასიათებს ამ ქართველურს მოძმე ტომებს „შესაქმეთა წიგნი“-ს ავტორი. თობელის ანუ თუბალ-კაინის შესახებ აქ ნათქვამია: „ესე იყო კვერით ხუროდ, მქედელი რვალისა და რკინისა“ (IV 22). თუ ამას დავეუკავშირებთ, თანამედროვე არქეოლოგიის მიერ დადგენილ ფაქტს რომ ბრინჯაოს შესანიშნავი კულტურა, რომელსაც წინათ ყობანის კულტურას ეძახდნენ, ნამდვილად კოლხეთის კულტურაა, რომ ამ კულტურის აყვავების ხანა სწორედ თაბალ-თუბალის ეპოქაზე მოდის, რომ კოლხური ბრინჯაოს კულტურა, უახლესი აღმოჩენებით, ვრცელდება შორს სამხრეთით მცირე აზიისაკენ (ვეფლისხმობთ ართვინისა და ორდუს განძებს) მაშინ ბუნებრივად შეიძლება დავსვათ საკითხი: ხომ არ არის კოლხური ბრინჯაოს კულტურა ნამდვილად თუბალების ანუ იმავე თუბალ-კაინების კულტურა?

აბალების შესახებ ნათქვამია: „ესე იყო მამამ მკვიდრთა კარეებისათა, სუცხოვარისა მზრდელთა“ (IV 20). აქ ქართული მესაქონლეობის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი ცნობაა მოცემული, რომელიც სპეციალურად უნდა იყოს შესწავლილი.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტ. I 23-24; ყიფშიძე, მეგრ. გრამ. XIII-XIV; თაქვ. დური წინაენისმიერის დაკარგვისათვის ვ. თოფურიამ ჩვენი ყურადღება მიიქცია ქართ. ტყეშლისა და მეგრ. ყომურის შესატყვისობაზე.

<sup>2</sup> სვან. ტვიბრა სრული სემანტიკური შესატყვისობაა ქართ. ხევ-ის, სადაც აგრეთვე სიტყვა „წყალი“ ხე მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი.

<sup>3</sup> მარი, ჭან. გრამატიკა, ლექსიკონი.

განსაკუთრებით საინტერესოა ცნობა აუბალის შესახებ. აქ, სახელდობრ, ნათქვამია: აუბალ „იყო გამომაჩინებელ საფსალმუნისა და ებნისა“ („*Имя отца всех праищих на гудях и чиреех*“, IV 21). უძველეს სამყაროს თვალში, განათლებულ ებრაელთა მოწმობით, ქართველ ტომთა ხელოვნება, კერძოდ, მუსიკა, უმაღლეს საფეხურზე იყო ასული. თუ მოვიგონებთ ძველ ბერძნულ გარდმოცემას, რომ ყველაზე ადრინდელი ბერძენი მწერლები, მათ შორის, ჰომეროსის მასწავლებელი, პელასგიური, ე.ი. იმავე წინააზიური, დამწერლობით სარგებლობდნენ, ჩვენთვის ცხადი გახდება ამ კულტურის საკაცობრიო მნიშვნელობა და ისიც, თუ რამდენად დავალებულია ბერძნულ-რომაული სამყარო წინააზიის უძველესი ხალხებისაგან.

ამ ხალხების ისტორიაში, რომელთა უშუალო მემკვიდრენი კავკასიის იბერიები არიან, თაბალ-თუბალური ხანა განვითარების მხოლოდ ერთი ეტაპთაგანია. თაბალ-თუბალური ხანის ეთნიკურ-კულტურული შინაარსის მეშვეობით, კერძოდ თვით ტერმინის თაბალ-თუბალის გზით, ჩვენ ავდივართ უფრო ადრინდელ საფეხურამდე, სუბარ-შუმერამდე, მაგრამ ამის შესახებ - სხვა დროს\*.

\* ჩვენ აქ არ ვეხებით მრავალ საკითხს, რომელთაც აღძრავს ჩვენს წერილში წამოყენებული მოსახრებები, კერძოდ ბიბლიის სხვა ეთნარქების გინაობას. უკანასკნელის საკითხის გამო გაკვირით ვიტყვიტ მხოლოდ რომ არამცირედი ინტერესი ახლავს თან დაბალის, აუბალისა და თუბალის მამის ლამეხის გინაობას. რაც დღემდე განუმარტებელია. ხომ არ უდრის „ლამეხ“ „სომეხ“-ს, იმ ქართველ ტომს, რომელიც არმენიის უძველეს მოსახლეობას შეადგენდა და რომლისგანაც მნიშვნელოვანი კულტურული ფენა შესულია არმენიის შერმინდელ მკვიდრთა, ჰაიგის, ენაში? შესატყვისობა ლა II სო სრულებით არ არის შეუძლებელი ქართველურ ენებში. რთულია ამ „წინართის“ (?) ფუნქციის საკითხი. მაგრამ რომ ფუძე აქ სწორედ „მეხ“-ია, და რომ ეს ფუძე ზოგჯერ წმინდა სახითაც იხმარებოდა, ეს ჩანს მიქელ მოდრეკილის „საგალობელთა“ წიგნის მრავალგზის კომენტირებული ფაქტიდან, როცა დაჟინებით „სომეხი“ „მეხ-ად“ იწოდება, „სომეხური“-კი -- „მეხ-ურ“-ად. ქრნკ. I 112. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა „შესაქმეთა“ წიგნის V თავის ცნობა, რომლის მიხედვითაც ლამეხს კიდევ ჰყავს ერთი შვილი — ნოე. ნოე-კი, ბიბლიური ლეგენდით, ასე მკვიდროდ არის დაკავშირებული არმენიის ტერიტორიასა და, კერძოდ, არარატის მთასთან.

С. Н. ДЖАНАШИА

ТУБАЛ-ТАБАЛ, ТИВАРЕЦ, ИБЕР

(РЕЗЮМЕ)

I. Устанавливается обще-картвельская структура племенных названий: основа + суффт. -ан || -ен, что аргументируется соответствующим оформлением западно-грузинских племенных названий, сохранившихся до настоящего времени или восстанавливаемых, путем исторического анализа: св-ан (шу-ан, шо-ан), з-ан (первоначальное название мегрелов), ч-ан (ξ-ан, собственное название лазов). Специально обсуждается история и взаимоотношение з-ан'а и чан'а: устанавливаются их варианты: цан (цап, название до-абхазского населения Абхазии), ч-ен (ξ-ен) ц-ен (ς-ен), ка-ен, и восстанавливается, предположительно, общая форма данного племенного названия -с -ан. Исследуется вопрос о происхождении названия «лаз» и его связи с местным термином «клардж» (κλαρτζ). Специально рассматривается вопрос о передаче картвельских звуков (з, ц-ς, ч-ξ) в транскрипции античных писателей и устанавливается, в данных названиях, σ = с, ζ || з = з, τ ζ = ч-ξ (сан, зан, чан). Привлекаются древние греческие, римские, грузинские, армянские, русские, итальянские и пр. источники, этнографический материал, а также научная литература вопроса (Марр, Джавахишвили, Кипшидзе, Чикобава).

II. Рассматривается вопрос о существовании суффикса -ан || -ен, который признается собирательным суффиксом картвельских языков, носщим также вторичные значения (обладания определенным признаком, происхождения, топонимического названия), а также словообразовательную функцию (в частности, образования уменьшительных имен). Исследуются указанные значения суффикса, прилагаемого к основе или непосредственно или через посредство инфиксов -и-, -е-, -о-, -у-, -в- (-в-, в данном случае, является развитием одного из указанных гласных); -в- ( || -б-), в большинстве случаев, по-является между данными гласными инфиксами и суффиксом.

1) -ан, со своими вариантами, в качестве собирательного (корпоративного) форманта, указывается:

а) в окончаниях картвельских фамильных имен: *сван.*: Калд-ан, Рат-и-ан, Гел-в-ан... *груз.* Орбел-и-ан-и, Багра-т-о-в-ан-и; собирательные: Циц-и-ан-и, Отар-а-ан-и, Зинад-с-ен-и; окончания мегрельск. фамильных имен на -иа и на -ва, рассматриваются, как усеченные -иан и -ван (Бер-иа из Бер-и-ан и Чхет-иа из Чхет-и-ан-и, Галд-ава из Галд-а-в-ан-и; ср. мегр. народп. Дадиа, Липартия и литературно-историч. (ставшие официальными формами)—Дадяни, Липартиани...); в этих же окончаниях имеем варианты суф-фикса -он, -ун (Габа-он-и, Хух-ун-и...).

б) в окончаниях корпоративных обозначений, -ан и -он: макр-и-ан-и || макр-и-он-и, свадебные дружки; хат-и-он-и, служители «хати», святилища...

2. В качестве форманта обладания признаком:

а) мз-и-ан-и, солнечный; пмед-о-ан-и, обладающий надеждой; сахел-о-в-ан-и, именитый; сахарул-с-в-ан-и (др.-груз. форма), радостный;

б) вариант -он, в мегрельском и чанском: булут-он-и, облачный (чан.), гвимар-он-и, место, покрытое папоротником (мегр.);

в) -ун, в мегр. и чан.: бнхеп-ун-а, виноградник.

3. В качестве форманта происхождения:

а) -и-ан: Джуаншер-и-ан-и, Джуаншерид;

б) -с-ан: Мам-с-ан-и, Мамаев, Маманд;

в) -(о)-в-ан: Хуасро-в-ан-и, Хосроид;

г) -и-он: Шатил-и-он-и, Шатилец (хевсур. ф.).

4. В качестве топонимического форманта:

а) -и-ан: Ваз-и-ан-и;

б) о-ан: Цабл-о-ан-и;

в) -о-в-ан: Тел-о-в-ан-и;

г) -с-в-ан: Раг-с-в-ан-и;

д) -у-в-ан: Схл-у-в-ан-и;

е) и-он: Бахтр-и-он-и;

ж) -он || -ун (в чанск. и мегр.): Квал-он-и.

Суффикс -он порой нарастает на основу, представленную в форме множественного числа: Джик-ш-он-и (от Джик-еп-и) ср. Джик-г-убан-и (в груз. оформлении) (ср. 2 в: бнхепуна). Некоторые географические названия (назв. деревень) являют собой окаменелые фамильные прозвища: Оза-ан-и (от: Оза-швилеб-и), Бен-и-ан-г -кар-и...

5. В качестве словообразовательного форманта:

санатр-и-он-и (Шавтели), ср. санатр-ел-и, желанный; джер-о-в-ан-и || джер-о-ан-и, должный; уменьшительные имена: качаг-ан-а (от качаг-и), эшмак-ун-а (от: эшмак-и).

Данный суффикс указывается в некоторых соседних, находившихся в длительном культурном взаимодействии с картвельскими, языках: в армянск. фамильных окончаниях -уни (Баграту-ни) и -шан (от еан: Мамикониан) и в осет. суффиксе происхождения -он: касг-он—черкес (ср. др. русск.—касог).

Предполагается, что с данным суффиксом находится в связи др.-груз. формант множ. ч. -н-, усеченный (Марр, Чикобава) от -ни (|| -ан, С. Д). Привлекаются исторические (др. грузинские), диалектологические, этнографические источники.

Цитируются: Марр, Кипшидзе, Чикобава, Шанидзе, Макалатиа и др.

III. Подробно рассматривается история племенного названия восточных грузин, «ибер», с основой которого научная литература вопроса связывает арм. *Իբր-ը*, др. перс. *вр-к-ан*, сир. *гур-з-ан*, и.-перс. *гур-дж*. Указывается происхождение от той-же основы, через посредство восточных

форм: русск. груз-ин (первонач. «гурз-ин»), осет. гурдз-иаг, черк. курджи и др. Указывается значение (древность) формы, засвидетельствованной римск. источниками— *hiber*. Доказывается происхождение от данной основы ново-европ. названий Грузии (фр. *Géorgien*, англ. *Georgian*, нем. *Georgier*) и отвергается их греч. этимология (от *γεωργος*). Указывается возникновение этой формы из контаминированной араб.-перс. формы джурдж (*جورج*) через итальянское ее написание: *Georgi*, *Giorgi*, *Jorgi*, что документировано показаниями источников XIII-XIV вв. Латинское чтение итальянского написания кладет начало форме «Георг» (напр., немецкой).

Привлекаются древние греческие, латинские, армянские, итальянские источники.

Цитируются Джавахишвили, Бартольд, Вахуштий, Тамарашвили...

IV. Согласно вышеустановленной общекартвельской структуре племенных названий на -ан восстанавливается форма ибер-ан || *hiber-an*, что делает более вероятной генетическую связь кавк. иберов с южночерноморскими тибаренами, предполагаемую многими авторами (Джавахишвили, Марр, Сен-Мартен, Киперт, Услар и др.).

Делаются размышления в области распространения и истории названия «тибарен-ов» и устанавливаются следующие его исторические и диалектологические формы: тибар, тибаран || тибарен || табарен || табарен, тибран, что дает параллельные формы, как для суффикса -ан || ен, так и для основы: тибар || табар || табар и, предположительно, тибер.

Устанавливается существование третьей части того же народа, под названием табаран'ов, в I в. до н. э., во внутренних районах Малой Азии, что рассматривается, как указание на древнейшую территорию расселения племени и подтверждение формы табар.

Привлекаются древние греко-римские и византийские источники. Цитируются Джавахишвили, Марр, Сен-Мартен, Киперт, Услар и др.

V. На основании всего привлеченного материала и восстановленных форм вновь аргументируется связь иберов-грузин, через тибар-табаров, с табал-ами, ассирийских источников, с одной стороны, и тубалами Библии, с другой. Делается попытка объяснить установленный E. Forger'ом (*Die hebräische Bilderschrift*), предположившим, что «табал» ассир. клинописн. надписей есть общее название для всех хетских племен, носителей пероглифического письма, — факт передачи названий своей страны и родного народа, в хетских пероглифическ. («табальских») надписях (из Кархеминна) посредством идеограммы «воды», «морья» («страна воды, морья», «люди страны воды, морья», «люди воды, морья»). Название, передаваемое через идеограмму, фонетически звучало, как «табал» (что осталось незамеченным для Форрера), а «табал» (по клинописи и еврейскому тексту, начальн. согласный—*t* придыхательный, а не *t*), по народной этимологии, игнорировавшей различие между *t* и *ṭ*, объяснялся именно, как «человек воды, морья» при по-

мощи картвельского языкового материала: груз. «таба» (древняя форма для современ. «тба») (озеро, море); мегр. «тоба»—озеро, глубокая вода; чанск. «тоба» || «тиба»—озеро; сванск. «томб»—озеро, «тюб», «тюбра»—ущелье, речка; суфр. *-ал*; вариант *-ар*, *-аг*—формант происхождения; таба-ал || тоба-ал || таба-ар—человек воды, моря. Отвергается объяснение Форрера, предлагающего читать кархемшинскую идеограмму, как «пеласг», с греческой этимологией последнего (от «пеласг-ос»—море).


Наконец, комментируются библейские генеалогия и характеристики табальских племен («Бытия», гл. IV, V, X)—Иабала, Иубала и Тубал-Каина или Тобела, различных ветвей одного и того же народа (24 царства «табало», по ассирийским сообщениям!). «Каин» рассматривается, как эпитет «кузнец» (от соответств. семитич. корня), и на основании библейских сообщений о роде занятий Тубала, в свете данных современной археологии (Кобанская бронзовая культура есть, на самом деле, Колхидская—мысль, высказываемая акад. Мещаниновым и др.; находка памятников «кобанско-колхидской культуры в Арвшине, Орду...), делается предположение, что, в действительности, «кобанско-колхидская культура есть культура тубалов или тубал-каинов. Сообщение об Иубале, что он—отец всех играющих на гуслях и свирели», сопоставляется с др. греческим преданием о том, что древнейшие греческие поэты, Лин, Орфей и, учитель Гомера, Пронапид, пользовались отличным от финикийского, пеласгийским (т. е., по существу, древне-переднеазиатским, хетским) письмом, что рассматривается как указание на высокий уровень хетско-табальской культуры и ее роль в формировании греческой и римской цивилизации. Указывается, что «табальская эпоха» есть лишь один из этапов развития данных племен, и что через культурное содержание табало-тубальской эпохи и при помощи самих этнических терминов *tabal* || *tubal* мы восходим к более ранним ступеням развития (к «субарам» и «шумерам»). Наконец, делается предположение, что имя этнарха, Ламеха, отца Иабала, Иубала и Тубала, соответствует грузинскому этническому термину «Сомех», первоначально—названию до-армянского населения Армении, перенесенному впоследствии на «хайев»; указывается на употребление чистой основы данного названия «мех» в др.-груз. литературе в значении «армянин», что делает вероятным формальный характер начального слога «ла», а звуковое соответствие «ла» || «со», с точки зрения сравнительной фонетики картвельских языков, допустимо (остается разъяснить функциональное значение выделяемого префикса).

Цитируются Сен-Мартен, Услар, Киперт, Марр, Кипшидзе, Джавахишвили, ██████████ Forger, Джанашвили, Dhorm, Eisler.



რაჭაში სოფლის მეურნეობის ამ იარაღის ზოგადი სახელწოდებაა — „სახენელი“ (სოფლებში: ღარი, ზნაკვა, ბარი, ღები, ჭიორა, გლოლა და სხვ.) და „სახნელი“ (ს. სორი), თუმცა მასვე სოფ. წესში საგანგებო სახელი ჰქვია: „წეწენა“<sup>1</sup>. ძველად ამავე სახენელის სახელი „სამგრევი“ ყოფილა (ს. ჟაშქვა).

„სახენელის“ || „სახნელის“ ანუ „წეწენას“ ერთი ეგზემპლარი ჩამოტანილია ს. ღარიდან საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების დავალებით მხატვარ უ. ჯაფარიძის მიერ 1932 წ. და ამჟამად ექსპონირებულია იმავე განყოფილების მიერ მოწყობილ სვანეთის ეთნოგრაფიულ გამოფენაში (კოლექციის № 30—32), ხოლო სახენელი იარაღის ამავე სახის ერთ-ერთი ვარიანტის მოდელი სოფ. ზნაკვიდან ამავე განყოფილების დავალებით მასწავლებელ ლ. ტურძელაძის მიერ 1929 წელს არის გადმოგზავნილი და საქ. მუზეუმის (კოლ. № 97—29) იმავე განყოფილებაშია დაცული. ამ კოლექციებიდან უკა-



სურ. 1

რაჭული სახენელი (საქ. მუზ. კოლექცია)


ნასენელი, მოდელი, ჩემ მიერ აღწერილი და დაბეჭდილი იყო საქ. მუზეუმის მოამბეში<sup>2</sup>. ხოლო ღარის კოლექცია პირველად ქვეყნდება აქ (იხ. სურ. სურ. 1—7) უმთავრესად იმ მასალებზე დაყრდნობით, რომელიც შევაგროვეთ რაჭაში ჩვენი მუშაობის დროს 1931 წელს.

ეს სახენელი დამზადებულია სოფ. ღარში გლეხის პ. ალიხანაშვილის მიერ. სახენელის სიგრძე უღვეოდ 170 სმ. სახენელს აქვს: „ხელა“, „რიკები“, „სატარი“, „ფიცარი“, „ერქვანი“, „სოლი“, „სახნისი“ და „ღველი“:

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი იწმეორ, საქ. ეკონ. ისტ., წ. 1<sup>2</sup>, 1930, გვ. 198, დასახელებული ტერმინი «თჩოჩა» (სოფ. წესი) რაჭაში ზმარებული სახენელი იარაღის მეორე ძირითად ტიპს აღნიშნავს.

<sup>2</sup> გ. ჩიტაია, მასალები საქ. სახენელი იარაღების ისტორიისათვის, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. V, 1930, გვ. 282 და შმდ.

სახენელის „სატარი“ წარმოადგენს თელისაგან დამზადებულს ოთხკუთხედად გათლილ მოხრილ ხეს, რომელიც ბოლოში განიერია, ხოლო თავში ვიწრო. სატარის სიგრძე 142 სმ, ხოლო უდიდესი სისქე  $6 \times 9$  სმ. მოხრილ კუთხესთან ქუსლში გაყრილი სატარის ნაწილის სიგრძე 34 სმ. სატარისათვის საჭირო და.



სურ. 2

სატარი და ხელა

გამოსადეგ მასალას გლეხები ტყეში ჰპოულობდნენ ბუნებრივად მოხრილი ხეების სახით, ან კიდევ აღრიდანვე ახალგაზრდა ხეს მოხრიდნენ, მის წვერზე დვლერკით სიმძიმეს ჩამოჰკიდებდნენ, რის გამო ხე მოკაული იზრდებოდა.



სურ. 3

ფარფლიანი ქუსლი, ხემოდან

სატარის თავზე ქვემოდან მიმაგრებულია „ხელა“. სატარის ბოლომოკაული ნაწილი „ფიცარი“-შია ჩამჯდარი.

სახენელის „ფიცარი“, ცალკეულად აღებული, გვერდიდან კეხს მიემსგავსება, რომელსაც ოვალურად ამოქნილი გვერდები („ფარფლები“) აქვს, ერთ ბოლოზე (თავში) წაწვერილი და დათხელებული, ხოლო მეორე ბოლოზე გაგანიერებული

და შუაზედ ნაწიბურიანი. „ფიცარს“ ბოლოში აქვს ოთხკუთხედი ნაჩვრეტი სატარის და „ერქვან“-ის გასაყრელად. ქვემოდან „ფიცარი“ ამოღარულია. მას აქაც შუაში ნაწიბური ჩაუდის<sup>1</sup>. „ფიცარი“ მთლიანი ხისგან კეთდება. ამ შემთხვევაში ის თელაა. ზომა 140×30 სმ.

„ხელა“ მოკალი ოთხკუთხედად გათლილი კავია, რომლის სიგრძე 40 სმ, ნოლო კბილის—32 სმ. კბილს აქვს სამი „კლობილი“. „ხელა“ თავისი გრძელი



სურ. 4

ფარფლიანი ქუსლი, მარცხენა გვერდიდან

ნაწილით დაკრულია სატარის თავზე ქვემოდან ორი „რიკის“ შემწეობით. თითოეული რიკის სიგრძე 18 სმ და 20 სმ, მათი დიამეტრები ქვემოთ 3 სმ, ზემოთ 2 სმ. „ერქვანი“ კაპიანი კეტია, რომლის სიგრძე 44 სმ; კაპისა—20 სმ. რიკინის სახნისი სამკუთხის სახისაა. მისი უდიდესი სიგრძე 25 სმ, უდიდესი განი 20 სმ, აქვს „წვერი“, „ფრთები“ და „ყუა“. სახნისი წამოცმულია ფიცრის წვერზე. ფიცრის ნაჩვრეტში ჩასმულ სატარ-ს და ერქვანს სოლი იჭერს. ხელაზე გამობმულია „ღველი“, რომლის მეორე ბოლო უღელზეა მიბმული. ხშირად „ღველს“ (მას „ჯამბარაც“ ეწოდება) „ღველჭი“ (წნელისა) სცვლის. იმისათვის რომ „ხელა“ მტკიცედ იყოს „სატარ“-ზე მიმაგრებული, ღველქს ან ღველს იყენებენ ხოლმე.

სახენელი იარაღის ამ ტიპის შემადგენელი ნაწილების სახელები სხვადასხვა სოფელში რამდენიმედ ნაირნაირია. ამის ნათელ სურათს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი იძლევა:

<sup>1</sup> ლეჩხუმში ქუსლის ასეთ ნაწიბურს მამაკაცის ასოს სახელი ეწოდება; სვანეთში „ყურ-ნა“ ქუსლის სოლს ჰქვია. სახენელის ნაწილების არა ნაკლებ საინტერესო ტერმინები შემოუნახავს აქარულს: „კაცაჲ“, „ძალდაჲ“; თუშურს: „კვიცი“, „საშრუე“, „კანწა“, „კაა“ (მდრცხრის, ქვემოთ გვ. 251). ასევე სასქესო ორგანოს სახელი ჰქვია წალკაში გუთნის კორას—„ტაშუაბ“.



როგორც ვთქვით, სახენელი დამზადებულია ადგილობრივი გლეხის მიერ ადგილობრივი მასალისაგან, ხოლო სახნისი მოხელის მიერ არის გაკეთებული.

აღრინდელი ცნობების მიხედვით ზემო-რაქაში, სახელდობრ ს. წედისში, რკინის მადანი იყო, რომელსაც მახლობელი სოფლის მცხოვრებნი იღებდნენ, აღნობდნენ და ნაღობიდან ამზადებდნენ: თოხს, ცულს, ბარს, სახნისსა და სხვას<sup>1</sup>. წედისის რკინის მადანის, რკინის გამოღობის და რკინის იარაღების დამზადების შესახებ ცნობები ჯერ კიდევ Gildenstädt-ს (XVIII ს.)<sup>2</sup> აქვს მოყვანილი, ხოლო სახნისი და რკინის ზოდი XI საუკუნის რაქაში დამოწმებულია როგორც მიწის ღირებულებაში მისაცემი გადასაცვლელი ობიექტი<sup>3</sup>.

ჩვენს სახენელთან წარმოდგენილი „სახნისი“ თავისი ჯურა ობიექტების საუკეთესო ნიმუშია.

ასევე სანიმუშოადაა გაკეთებული სახენელის ხის ნაწილებიც, კერძოდ სახენელის „ფიცარი“. ის ხეზედ ხურობის საუკეთესო ნიმუშია. თავისი სიმეტრიულობით, დამთავრებული ხაზებით და სტრუქტურით „ფიცარი“ ხუროს მიერ


<sup>1</sup> A. Petzholdt, Der Kaukasus. Eine naturhistorische land- und volkwirtschaftliche Studie, I Bd., Lpz. 1866, გვ. 317 და 319. Petzholdt-ი სხვათა შორის აღნიშნავს: „Am morgen kommt der Mann mit einem Körbchen Eisenerz zum Hütte, und noch länger vor Abend verlässt er die Hütte mit der fertigen Hacke (oder was er sonst sein mag)“, გვ. 319—320.

<sup>2</sup> J. G ü l d e n s t ä d t, Reise durch Russland und im Caucasische Gebürge, [I], St.-Petersburg 1787, გვ. 310; აგრეთვე, ვახუშტი, საქ. გეოგრა., გვ. 286.

<sup>3</sup> თ. ქო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. II, გვ. 46. ნიკორწმინდის სიგელი; ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქ. ეკონომიური ისტორია, ტ. I, გვ. 101. G ü l d e n s t ä d t-ისა და Petzholdt-ის გარდა (პეტუპოლდტი თავის ნაშრომში წედისის საღნობი ქურების სურათებიც აქვს მოყვანილი) წედისის რკინის მადანს ეხებიან: Koch, Reise durch Russland nach dem kaukasischen Isthmus etc., ტ. II, გვ. 84; Abich, Prodrornus etc., გვ. 63; E. Вейденгауа, Заметки об употреблении камня и жеталлов у Кавказских народов. Изв. Кав. Отд. Р. Г. О-ва, 1877, ტ. IV, გვ. 257; Акты Археологическои комис., ტ. IV, 61, № 231, გვ. 186—288; Раппе: Зап. КОРГО, ტ. VII, გვ. 187- და შემდ. და სხვები. უნდა აღინიშნოს, რომ წედისის რკინის მადნის ამოღების და დამუშავების ტექნიკის შესწავლას უაღრესი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს წედისის მადანთან დაკავშირებული ხალხში ალაგობრივ შემონახული გადანაშთების შეგროვება; სამწუხაროდ, 1935 წელს ლენინგრადში დაბეჭდილ მონოგრაფიაში, Г. Деген-Ковалевский—К истории железнорого производства Закавказья. По материалам раскопок Чыберскои железнорогого завода—В. Свания (Изв. ГАИМК, ნაკ. 120), ავტორი წედისს წინაშეაღმდეგ არ იხსენიებს და არც მის მიერ დასახელებულ ლიტერატურაში პეტუპოლდტი, გიულდენშტედტი და სხვები აღნიშნული არ არიან. საკვირველია აგრეთვე, რომ ავტორი არ იცნობს მის თემასთან უშუალოდ დაკავშირებულ სვანეთის ეთნოგრაფიულ მასალებს, კერძოდ, არა აქვს აღნიშნული ის დიდი როლი, რომელიც მჭედელს აქვს სვანების რიტუალში განკუთვნილი და არ იცის სვანი ტქრომედეელი ქალების არსებობა (სურ. 8), აგრეთვე არა აქვს გამოყენებული სვანური პანთონის ღვთაება სოლაში || სოლოში, რომელიც ითვლება ხელოსანობისა და ხელოვნების მფარველად, კერძოდ, სამუშაო იარაღების და მათ შორის სახენელ-სახნისის მფარველად. ერთ-ერთ ღებენდაში სოლაში გამოყვანილია მჭედლად, რომელსაც მიმართავს ჯგჯრაგი ისეთი ისრის წვერის გამოსაჭედად, რომელსაც კეთების დროს სილა არ უნდა შეერთოს. ლეგენდა ჩაწერილია ცხუმარის საზოგადოებაში, ს. სვიფს, 63 წ. დიმიტრი ჯაკუელიანისაგან 1936 წ. ზაფხულში დოც. ვ. ბარდაველიძის მიერ, რომელსაც აგრეთვე ეკუთვნის ზემოთმოყვანილი სოლამის ბუნების დადგენა, შდრ. И. Кашиндзе, Грам. минер. яз., ლექს.

ნათლად გამიზნულ და მიღწეულ ნაქნარს წარმოადგენს. ცნობილია რომ რაკულები საზოგადოდ კარგი ღურგლებია, ხის ხუროები. ამას მრავალი ფაქტი ადასტურებს<sup>1</sup> და აგრეთვე პეტოკოლდტი და სხვებიც აღნიშნავენ<sup>2</sup>.

მაგრამ რაკულ სახენელში არა მარტო ფიცარია კარგად დამუშავებული და დამზადებული სახენელი იარაღის ნაწილი, არამედ ამავე იარაღის სხვა ნაწილებიც: ხელა || წეწენა, სატარი და ერქვანი. სახენელის ეს ნაწილები ყველაერთად იმდენად კარგად არიან ერთიმეორესთან შეწყობილი, რომ ადამიანი გაკვირვებას ეძლევა ამ სახის სახენელი იარაღის არსებობის გამო. გაკვირვებას



სურ. 5

ფარფლიანი ქუსლი, მარჯვენა გვერდიდან


იწვევს სწორედ ოს გარემოება, რომ სახენელი თავის ძირითად ნაწილებში გამოსულია პრიმიტიული სახის სახენელისაგან, ხოლო პრიმიტიული სახენელის ნაკლი მასში დაძლეულია ამ სახენელი იარაღის ელემენტების შინაგანი გაუმჯობესების გზით. კიდევ მეტი: გაუმჯობესება შეფარდებულია სახნავი მიწის აღნაგობასა და ძალასთან. საერთოდ კი ყველაფერი ამჟღავნებს, რომ ამ იარაღის შექმნაზე არა მცირედი შრომა და დროა დახარჯული, რაც უთუოდ გამართლებული უნდა ყოფილიყო ამ იარაღის კონსტრუქციაზე და მის ნაწილებზე დაკისრებული ფუნქციით.

<sup>1</sup> გ. ჩიტაია, გლეხის სახლი ქვაბლიანში, მიმოძიებული, ტ. I, გვ. 139.

<sup>2</sup> Petzholdt, op. cit., ტ. I, გვ. 320; Обзорение Российских владений за Кавказом, 1836, ნაწ. II, გვ. 105. ბობილევი აღნიშნავს, რომ ნიკორწმინდის მცხოვრებნი ამზადებენ ქარებს, ჩარჩოებს და მოაჯირების მოწარხულ რიკებს და გასაყიდად გააქვთ ბახარზე, Ф. Бончев, Несколько мыслей об Имеретии в сельско-хозяйственном отношении: Зап. Кавказского о-ва сельск. хозяйства, 1836, გვ. 248.

როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ამ სახენელის სახის იარაღი ზოგიერთ ქართველი ტომის გარდა არსად მოიპოვება, რამდენადაც ეს ცნობილია ლიტერატურაში.

პეტეცჰოლდტმა, რომელმაც ეს სახენელი 1864 წ. ივლისში ქ. ონის მახლობლად ერთ-ერთ სოფელში ნახა და მისი სურათი თავის ნაშრომში დაბეჭდა, აღნიშნა რომ რაჭული სახენელის კონსტრუქცია მეტისმეტად ორიგინალურია. ორიგინალურია იგი თავისი ხელათი, ქუსლით და მხარისა, ქუს-



სურ. 6  
უარფლიანი ქუსლის ძირი

ლისა და ხელას ურთიერთთან დაკავშირებით. მასვე აღნიშნული აქვს, რომ ეს სახენელი შშენიერი სახენელი იარაღია<sup>1</sup>.


რ. ბრაუნგარტიც აღიარებს, რომ რაჭული სახენელი უაღრესად საინტერესო სახენელთა ტიპს ეკუთვნის<sup>2</sup>. თავის ნაშრომში ბრაუნგარტი ცდი-

<sup>1</sup> Petzholdt, op. cit., ტ. II, გვ. 129—30; შდრ. მისივე, op. cit., ტ. I, გვ. 220. Petzholdt-ს სხვათა შორის ნათქვამი აქვს: «Ich sah hier ausser dem mir von der Reise hier bereits Bekannten noch manches Neue und Interessante, namentlich erregten, ganz abgesehen von dem eigenthümlichen Pfluge der Ratscha, verschiedene zur Bearbeitung des Holzes bestimmte Handgeräthe meine Aufmerksamkeit» (ტ. I, გვ. 320) და შემდეგ: «Ein ganz merkwürdiges Geräth». Die Construction dieses Hackens (ავტორს სახენელი იარაღის ტერმინები არეული აქვს—გ. ჩ.) ist durch und durch originell, man mag auf die Stellungsrichtung, oder auf die Art und Weise, wie der Pflugbaum und die Sterze mit der Sohle in Verbindung gebracht worden ist, oder die Form der Sohle selbst hinblicken» (ტ. II, გვ. 129).

<sup>2</sup> R. Braungart, Die Urheimat der Landwirtschaft aller indogermanischen Völker, aus der Geschichte der Kulturpflanzen und Ackerbaugeräte in Mittel- und Nord-europa nachgewiesen, Heidelberg 1912, გვ. 264.

ლობს რაჭულ სახენელს გამოუნახოს მსგავსი სახენელი იარაღები, ერთის მხრით, ბერძნულ ქალ-ღმერთის კორას სახენელ იარაღში<sup>1</sup> და, მეორე მხრით, ირანულ სახენელში, თუმცა ამავე დროს თვითვე აღიარებს, რომ რაჭული ირანულთან შედარებით ათასი წლების მანძილზე დაწინაურებული და სახეცვლილი იარაღია<sup>2</sup>.

ბრაუნგარტს მოყავს აგრეთვე ცნობა იმის თაობაზე, რომ მას რაჭული სახენელი იარაღის მსგავსი სახენელი თითქოს ტიროლში უნახავს; ხოლო ოცდაათი წლის შემდეგ მას ის ვეღარ უპოვია<sup>3</sup>. ეს ცნობა იქვე იწვევს იმის გამო, რომ ბრაუნგარტს სხვა ადგილას გამოთქმული აქვს აზრი, რომელიც გაგებულ იქნდა იქნას ისე, რომ მას რაჭული სახენელი იარაღის მსგავსი იარაღი შუა ევრო-



სურ. 7

ერქვანი, სატარი და ხელა და სახნისი

პაში არ ეგულება. სახელდობრ, ბრაუნგარტს პეტცჰოლდტის მოსაზრებაზე რაჭული იარაღის იშვიათი ორიგინალობის შესახებ, ნათქვამი აქვს, რომ ეს მოსაზრება ეხება ჩვენში, ევროპაში, უცნობ ირანული (საზგასმული ჩემია—გ. ჩ.) სახენელის ტიპს<sup>4</sup>. ამგვარად რაჭული სახენელის ტიპი ავტორისათვის თითქოს ირანულ სახენელშია საქებარი. ამასთან დაკავშირებით იგი ქართველების ირა-

<sup>1</sup> Braungart, op. cit., გვ. 104.

<sup>2</sup> Braungart, op. cit., გვ. 264.

<sup>3</sup> Braungart, op. cit. გვ. 265. შდრ. P. Leser, Entstehung und Verbreitung des Pfluges, Anthropos—Ethnologische Bibliothek, ტ. III, ნაკ. 3, Münster, W. 1931, გვ. 446.

<sup>4</sup> Braungart, op. cit., გვ. 264. ის სწერს: «Petzholdt nennt die Konstruktion dieses Hakens durch und durch originell (es handelt sich eben um einen uns in Europa nicht bekannten iranischen Pflugtypus)».

ნელობის თეორიას ჰქმნის და როდესაც ამისდა მიუხედავად რაჭული სახენელის ჩამომავლობის საკითხის დამაჯერებლად გადაწყვეტაში თავს დარწმუნებულად ვერ გრძნობს, ახლა სხვა გზას მიმართავს და სხვა აზრს გამოთქვამს. ის ამბობს, რომ რაჭული სახენელი, ცხადია, გარდამავალი ფორმაა კორასა და პაპაუს სახენელ იარაღსა, ერთის მხრით, და სოლისებური<sup>1</sup> სახენელი იარაღის ტიპთა (Keilflugtypus) შორის, მეორე მხრით<sup>2</sup>. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, თუ რამდენად მცდარია ბრაუნგარტის შეხედულებები რაჭული სახენელის შესახებ და ვუჩვენებთ, რომ რაჭულ სახენელს საერთო არა აქვს რა არც ირანულთან კერძოდ, და არც ინდო-ევროპიულ სახენელთან, საზოგადოდ.



სურ. 8

სვანი ოქრომჭედელი ქალი სახელოსნოში, სოფ. ჰაგრეში, საქ. მუხ. კოლექცია

ლეზერს თავის ნაშრომში (Entstehung und Verbreitung des Pfluges etc., გვ. 553) მოყავს პეტეჰოლდტიდან რაჭული სახენელის აღწერა და სურათები. მხარის მიხედვით<sup>3</sup> ის რაჭულ სახენელს მისი კლასიფიკაციით დადგენილ<sup>4</sup> Jochflug-ის ტიპს მიაკუთვნებს. ამგვარი მიკუთვნება მხედველობაში იღებს სახენელი იარაღის მხოლოდ ერთ ნაწილს და უგულვებელს ჰყოფს ამ იარაღების სხვა არსებით მხარეებს. კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში, რაჭული სახენელი იარაღისათვის ადგილის მიკუთვნება სახენელი იარაღების საკლასიფიკაციო სის-

<sup>1</sup> სოლისებური სახენელის შესახებ იხ. Braungart, op. cit., გვ. 96. K. Rau, Geschichte des Pfl., გვ. 16 და 65, შდრ.: Leser, op. cit., გვ. 24, იქვე, შენიშვნა 44.

<sup>2</sup> Braungart, op. cit., გვ. 338.

<sup>3</sup> Leser, op. cit., გვ. 353.

<sup>4</sup> Leser, op. cit., გვ. 6—7.

ტემაში შეუძლებელი იქნება, თუ ჩვენი სახენელი იარაღის ქუსლის კონსტრუქცია არ იქნა მხედველობაში მიღებული. ამას გარდა, ლეზერის კლასიფიკაცია არაფერს იძლევა რატული სახენელი იარაღის წარმოშობის საკითხებისათვის. ამავდროს ლეზერი შეცთობაშია შეყვანილი პეტცჰოლდტის მიერ სახენელის მხარის ყალბი აღწერილობით. მაგრამ ამაზე ჭევემოთ.

ივ. ჯავახიშვილს თავის კაპიტალურ ნაშრომში (საქართველოს ეკონომიური ისტორია I<sup>2</sup>, ტფ. 1930 წ.) რატული სახენელი დასახელებული არა აქვს და იგი არც რატულის მინამსგავსი სახენელების საკითხს ეხება. მას მხედველობიდან გამოპარვია პეტცჰოლდტის აღრინდელი მასალა რატული სახენელის შესახებ, ხოლო კორესპონდენტს რაჭიდან მისთვის ცნობა მიუწოდებია სახენელი იარაღის სხვა ტიპის (ოჩოჩას) შესახებ<sup>1</sup>.

ივ. ჯავახიშვილის მიერ დასახელებული რატული ოჩოჩა საკმაოდ განსხვავებულ სახენელ იარაღს წარმოადგენს რატულ სახენელთან შედარებით. მისი ქუსლი უფარფლოა; განსხვავებულია აგრეთვე ამ ორი იარაღის მხრებიც. იმდროს, როდესაც ოჩოჩას მთლიანი გრძელი მხარი აქვს, რომლის თავზე უღელია გამობმული, რატული სახენელის მხარი მოკლე სატაროს წარმოადგენს, რომელსაც სპეციალური იარაღი, „კაკუჟა“, მოეპოვება ჯამბარას გამოსაბმელად<sup>2</sup>.

რატულ სახენელთან კონსტრუქტიულად უფრო ახლო დგას რაჭის ზოგიერთ სოფლებში (უბირატესად სს. მთის-ძირი, შქმერი, ღები, ქიორა) ხმარებაში მყოფი — „ორხელა“. ორხელა თავისი „კაკუჟა“-თი (ქართულები უწოდებენ „კოკოშა“-ს<sup>3</sup>, ოსები „კოკოსა“-ს) და მოკლე მხარით (რაჭელები — „სატარო, სატარე“) რატული სახენელის მინამსგავსი იარაღია. ორხელა ჩვეულებრივად ყევარს და მეტს ხარს შეიბამს, ოჩოჩა ერთ უღელს — ისევე როგორც რატული სახენელიც; მაგრამ გამწევი ძალის სიმრავლისა და თანტოლობის მიუხედავად, რატული სახენელი<sup>4</sup> ორხელასა და ოჩოჩასთან შედარებით თავისი კონსტრუქ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი ი. ა. ც. ტ. I<sup>2</sup>, გვ. 198, შდრ. აქვე ზემოთ, გვ. 248, შუნ. 1.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილის მიერ (op. cit., ტ. I<sup>2</sup>, გვ. 198) ოჩოჩას ქუსლისათვის დასახელებული ტერმინი „ორნატი“ პარალელით „არნადი“ ზემო რაჭაში აღნიშნავს საკალოე იარაღს არნადს. შდრ. „არნადი“ (საბა), „არნაბი“ (საბა) და „არნავი“ (ხევისურული). რატული არნადი II ორნატის შესახებ ცნობა მოგვაწოდა დოც. შ. ძიძიგურმა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებო.

<sup>3</sup> შესხეთში „კოკოშაკი“ ერდოს აღნიშნავს (იხ. ვ. ჩიტაია, გლეხის სახლიკვაბლიანში, მიმოხილვები, ტ. I, გვ. 146).

<sup>4</sup> ი. ბახტაძე (ИЮБИКЗК, 1886 წ., ტ. II, გვ. 50) რაქისათვის მხოლოდ ერთი ტიპის (იმერული კავის) სახენელი იარაღის არსებობას ამოწმებს, რაც არც თანამედროვე და მით უფრო არც ოთხმოციანი წლების რაქის ეთნოგრაფიულ სინამდვილეს არ შეეფერება. ბახტაძისათვის ისევე როგორც ვერმიშევისთვის (СННБІКЗК, 1888 წ., ტ. IV) უცნობია რატული სახენელი, აღწერილი პეტცჰოლდტის მიერ სამოციან წლებში. საფიქრებელი კი იყო, რომ ეკონომიური ყოფის შესახებ ნაკრებ ნაშრომში ყურადღება მიექცეოდა სახენელი იარაღების ყველა სახეს. პეტცჰოლდტის მოგზაურობის წინასწარი ანგარიში დაიბეჭდა სოფლის მეურნეობის საზოგადოების ჩანაწერებში (Записки Кавказского общества, 1864 წ. ნაკ. I, გვ. 1—34), ხოლო ანგარიშის ზოგიერთი დებულების კრიტიკა იმავე ჩანაწერების მეორე ნაკვეთში გვ. 35—62. ზემოთ მოხსენებულ სახენელ იარაღებიდან ნიშანდობლივ რომელი ერთი იგულისხმება Gùldenstädt-ის ცნობაში რატული სახენელი იარაღის შესახებ (Reise etc.) ძნელი გადასაწყვეტია (შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ეკონომ. ისტორია, ტ. I<sup>2</sup> გვ. 199).

ენიკი-ს მოამბე, ტ. I.

ციისა და დაკისრებული ფუნქციის მიხედვით მათზე მალლა სდგას. ამას რაჭუ-  
ლი სახენელის ძირითადი ნაწილების ყოველმხრივი ანალიზი ნათლად დაგვა-  
ნახებს.

## II

რაჭული სახენელის ხის ნაწილების დამზადება შემდეგი იარაღების შემ-  
წევობით წარმოებს: „ცული“, „ნაჯახი“, „ჩულუხი“, „თეგი“, „პირთხელი“, „პო-  
ბოსანი“, „სატეხი“, „ეჩო“ და „კვერკვეშო“. ამ იარაღებიდან ზოგიერთი მეტად  
საყურადღებო ობიექტია მეცნიერული კვლევისათვის<sup>1</sup>. კერძოდ, რაჭაში ხმარე-  
ბული ცული, „ქართულ ცულის“ სახელწოდებით, გავრცელებულია მესხეთში<sup>2</sup>.  
ნაჯახი მეგრულ-იმერული ტიპისაა. დიდი ზომის ნაჯახისათვის რაჭაში ძველად  
„აფთი“<sup>3</sup> ანუ „ცულ-აფთა“ უწოდებიათ (იხ. სურ. 9).

ასევე მნიშვნელოვანია „ჩულუხი“-ც<sup>4</sup>, რომელიც ერთ-ერთი მთავარი ია-  
რალია რაჭული სახენელის „ფიცარის“ ანუ როგორც მას სხვაგვარადაც უწო-  
დებენ—„სახენელი ფიცარი“, „ქუსლი“, „სახენის ქუსლი“ და „სახენის ფიცარი“—  
დასამზადებლად. „ფიცარის“ გასაკეთებლად ჩვეულებრივად ისეთ ხის ძირს  
შეარჩევენ ხოლმე, რომელიც ბუნებრივად ცოტათი მოხრილი და „უროკო“  
იქნება. ხის ასეთი ნაჭრისაგან ცულით ჯერ „მორს“ დაამზადებენ, შემდეგ მას  
გათლიან ნაჯახით, „გამოაკობიტებენ“, ჩაუთლიან გვერდებს, „ამოფარფლიან“  
და ჩულუხით ძირს ამოტეხენ. ასე დამზადებული „ფიცარი“ ჩინებული „ქუს-  
ლია“, რომელიც გამოირჩევა სახენელი იარაღების სხვა ქუსლებისაგან არა მარტო  
თავისი ფორმით, არამედ ფუნქციითაც. ის კარგად ასრულებს იმ მოვალეობას,  
რომელიც დაკისრებული აქვს გუთნის ფრთას.

როგორც ცნობილია, გუთნის არსებითი დანიშნულება მდგომარეობს: პირ-  
ველი—გაავლოს ღრმა კვალი, მეორე—აჭრილი მიწის ბელტი გადააბრუნოს და  
დაფშენას,—მესამე—თავისი კონსტრუქციის გამო რვილის თავს მყარი სადგარი  
მისცეს, რაც გამწვევ ძალას მუშაობაში ხელს უწყობს და მას მუშაობას უადვი-  
ლებს.

ასევე ცნობილია, რომ ბელტის გადაბრუნებას დიდი მნიშვნელობა აქვს  
მოსავლისათვის, ვინაიდან გადაბრუნებულ ბელტზე ეფექტიურად მოქმედობს  
მზე და წვიმა. მხოლოდ მზისა და წვიმის მოქმედება ინტენსიური ქიმიური პრო-


<sup>1</sup> ხის დასამუშავებელი იარაღების შესახებ რაჭაში ზოგადი მოსაზრებები იხ. Petzholdt,  
op. cit., ტ. I, გვ. 420 და ტ. II, გვ. 47—48, შდრ. ზემოთ გვ. 253; შდრ. Бахталадзе, Этно-  
мический быт гор. крестьян Рачинского уезда, Кут. губ.: МИНИСТРК, ტ. II, გვ. 107,  
აგრეთვე გვ. 51, სადაც ბ ა ხ ტ ა ძ ე ამჟღავნებს რაჭული შრომის იარაღების სრულ შეუფასებლო-  
ბას პ ე ტ ც ჰ ო ლ დ ტ ი ს აზრის წინააღმდეგ.

<sup>2</sup> გ. ჩიტაია, მასალ. საქ. სახენელი იარაღების ისტორიისათვის, ს ა ქ. მ უ ხ. მ ო ა მ ბ ბ,  
ტ. V, გვ. 274 და სურ. 6.

<sup>3</sup> შდრ. ს ა ბ ა: „აფთი—მახვილია ბრტყელი და ტარგრძელი (ტარდასხმული, ტაროსანი“;  
ჩ ი ტ ა ი ა, ხევესურული საცერული, ს ა ქ. მ უ ხ. მ ო ა მ ბ ბ, ტ. V, გვ. 294—95: „ხევესურული  
აფთარი“ საცერულის ერთერთი სახეა.

<sup>4</sup> „ჩულუხი—დიდი საჭრეთელი“ (ს ა ბ ა). შდრ. ხევესურული „საჭრეთელი“.

ცესების გამო საყანე მიწას ანოციერებს და მოსაეაღს აუმჯობესებს. მესხების თქმით გუთნით ან ჯილდით ხნულზე „მიწა უფრო დაწულია, მას ჯანი მიეცემა მზისაგან“<sup>1</sup>. ამ მოვალეობას გუთანი ფრთის შემწეობით აღწევს. იმის მიხედვით, თუ რამდენად მოხერხებულად არის ფრთა გუთნის ქუსლსა და მანკვაზე მირგებული: სწორად, ირიზად ან კიდევ იგივე ფრთა ოვალური სახისაა—



სურ. 9

სახენელის საკეთებელი იარაღები

იმდენად ის უკეთ აბრუნებს ბელტს და უკეთ ფშენის მას. უკანასკნელი სახის ფრთა შედარებით ახალი შენაძენია ევროპის სახენელი იარაღების ისტორიაში. ბურჟუაზიული მეცნიერები ევროპაში ოვალური ფრთის გაჩენას შორეული

<sup>1</sup> გ. ჩიტაია, ირ. cit., გვ. 269.

აღმოსავლეთის გავლენას მიაწერენ და XVII—XVIII საუკუნეებს მიაკუთვნებენ<sup>1</sup>. მაინც და მაინც არც შორეული აღმოსავლეთის სახენელი იარაღის ოვალური ფრთა უნდა იყოს თავისი წარმოშობით დიდად ხნიერი ევროპის ოვალურ ფრთასთან შედარებით<sup>2</sup>.

სულ სხვა სურათს ვხედავთ ჩვენ ქართველი ტომების სახენელ იარაღებში. აქ სახენელი იარაღების ქუსლის ნაირნაირი სახეობაა დამოწმებული. ამავე დროს ქუსლის ელემენტების შინაგანი გაუმჯობესება ისე შორს არის წასული, რომ ზოგიერთი მათგანი იმავე როლს ასრულებს, რომელიც დაკისრებული აქვს გუთნის ფრთას. კერძოდ, თუ დაკვირვებით შევისწავლით რაჭული სახენელის ქუსლს, მეტად საგულისხმოდ შედეგს მივიღებთ. აღმოჩნდება, რომ ამ სახენელი იარაღის ქუსლი შემძლეა, თავისი მოწყობილობის გამო, გუთნის ფრთის მოვალეობა შეასრულოს და კიდევ მეტი—გუთნის დაწინაურებული ფრთის მოვალეობა, ოვალური ფრთის ფუნქცია. აღმოჩნდება აგრეთვე ისიც, რომ ის თავის კონსტრუქციის გამო გამწვევ ძალას მუშაობას უმსუბუქებს.

მართლაც ამ სახენელი იარაღის მუშაობის პროცესში სახნისის მიერ აჭრილი ბელტი ქუსლის ეშვიდან თანდათან მიყვება ქუსლის ფარფლს ზემოთ და ქუსლის ოვალური მოყვანილობის გამო მის ზემო ნაწილიდან გადაბრუნებული ქვემოთ ეცემა. ამ პროცესში სამი გარემოებაა საყურადღებო: ერთის მხრით, ქუსლის ოვალობა, რომელიც ხელს უწყობს აჭრილი ბელტის მოძრაობას ქუსლს ზემოთ, აადვილებს თვით ამ მოძრაობას და ბელტის გადაბრუნებას; მეორე მხრით—გადაბრუნებული ბელტის დაცემა ქუსლის ბოლონაწილის სიმძლიერე აადვილებს ბელტის დაფშვანას; ხოლო, მესამე მხრით, მხედველობაში მისაღებია ის, რომ მუშაობის პროცესში სახენელის ქუსლი ჰორიზონტალურად კი არ ძვეს მიწაზე, არამედ წაგვერდილია ისე, რომ აჭრილი ბელტი ქუსლის ერთ გვერდს მიჰყვება ხოლმე, ხოლო მეორე გვერდი ბელტის გადაბრუნებაზე მუშაობს სახენელი იარაღის ნაკვალევის გავლისას შემობრუნების შემდეგ.

პეტცჰოლდტს თავის ნაშრომში<sup>3</sup> აღნიშნული აქვს, რომ რაჭული სახენელის სახნისის მიერ აჭრილი მიწა ქუსლის ორივე გვერდზე თანაბრად აჰყვება ხოლმე და რომ ქუსლის ნაწიბური ხმალას მსგავსად მიწას ჰკვეთს და მას ქუსლის ორივე გვერდზე ანაწილებს. ეს აშკარა შეცთობაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახენელის ქუსლი წაგვერდილი მუშაობს: აჭრილი ბელტი ცალ გვერდზე მოძრაობს მაშინ, როდესაც მეორე გვერდი მიწას პირად მიყვება (შდრ. აქვე სურ. 11)<sup>4</sup>. ამ შემთხვევაში რაჭული სახენელის ქუსლი ისევე მოძრაობს, როგორც კავის ქუსლი. ეტყობა Petzholdt-ის მუშაობის პროცესში არ უნახავს რაჭული სახენელი და თავისი დასკვნა თეორიულ მოსაზრებაზე დაუყვარებია. Petzholdt-ი ამოწმებს, რომ რაჭული სახენელი და სხვა იარაღები მან გაიცნო იმ გამოფენაზე, რომელიც

<sup>1</sup> Leser, Entstehung und Verbreit. d. Pfluges, გვ. 442—458; მისივე, Westöstliches Landwirtschaft, Wien 1928, გვ. 444 და შმდ.


<sup>2</sup> Thomson, Illustrations of China and its people etc., London 1873—74, ტ. 2, სურ. № 5.

<sup>3</sup> Petzholdt, op. cit., გვ. 360.

<sup>4</sup> ფოტო-სურათი ეკუთვნის ასპირანტ დ. კოყევიკოვას.

ონის მ ხლობლად ერთ-ერთ სოფელში მას ონის მაზრის უფროსმა მოუწყო<sup>1</sup>. იმის გამო, რომ Petzholdt-ს რაჭული სახენელი მუშაობის პროცესში არ უნახავს, მას დაშვებული აქვს მეორე უფრო მნიშვნელოვანი შეცოთმაც, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

რაჭული სახენელის ქუსლის ამ სახით მუშაობის გამო კვალის გავლება რაჭაში აქ მოცემული სქემის მიხედვით წარმოებს.



სურ. 15

კვალის გავლება

ზემოთქმულით მართო არ ამოიწურება რაჭული სახენელის ქუსლის უპირატესობა მის ფუნქციასთან დაკავშირებით. როგორც ს. ლარის სახენელის ქუსლის აღწერის დროს აღნიშნული გვქონდა, ქუსლის ძირი გულ-ამოდებულია, რაც სახენელ იარაღს დამატებით უპირატესობას ანიჭებს. ერთი ის, რომ ამოლარულში დვილად გადის ძირის მიწა. მიწა არ ედება ქუსლის ძირს. ეს უადვილებს ხარებს მუშაობას. მეორე მხრით, ქუსლის მოყვანილობის გამო მასში ჩამჯდარი მხარის ბოლო არ ეთრევა მიწაზე, როგორც თვით ეს ბოლო ისე არც სოლები, რომლებიც ერთი ზემოდან, ხოლო მეორე ქვემოდან ამაგრებენ მხარს ქუსლში (ზემო სოლს ს. ხეითში „დიდი სოლი“ ეწოდება, ხოლო ქვემოს „საჩოჩი“). როგორც თავის ადგილზე ვნახეთ, სოლებს მხარის ქუსლში დამაგრების გარდა ეკისრებათ სახენელის მიერ გასაველები კვალის დაღრმავება და დაეკება.

იმის გამო, რომ არც მხარის ბოლო, არც სოლის თავ-ბოლოები მიწაზე არ ეთრევიან, გამწვევ ძალას მუშაობა უადვილდება. გარდა ამისა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ქუსლი ფარფლიანი და გულამოლარულია, მაშ.სადამე მსუბუქი, და ცალგვერდზე მუშაობს და არა ორივეზე—აშკარაა თუ რამდენად უმსუბუქდება მუშაობა სახენელის გამწვევ ძალას.

ზემოთქმული ადასტურებს, რომ რაჭული სახენელის ქუსლი სახენელი იარაღის დაწინაურებული, განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი ელემენტი, რომელიც გუთნის ფრთის მოვალეობის შესრულების შემძლეა და სახენელის გამწვევი ძალის მუშაობის შემამსუბუქებელი. ცხადია, ასე დაწინაურებული ქუსლი ერთბაშად არ გაჩნდებოდა. მას უნდა გაეელო განვითარების სხვადასხვა საფეხურები, ვიდრე თავის სრულ სახეს მიაღწევდა. ამ ქუსლის წინამორბედი სახეები ქართველ ტომთა სახენელ იარაღების ქუსლის ტიპებში უნდა ვეძიოთ.

<sup>1</sup> Petzholdt, op. cit., ტ. I, გვ. 320, შდრ. ზემოთ, გვ. 254, შენ. 1.

პროფ. ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ ჩვენში მრავალნაირი სახენელი იარაღების ნაირნაირი სახეების დიდი რაოდენობით შემონახვის გამო — შეიძლება საქართველოს სახენელი იარაღების ცოცხალი მუზეუმი ვუწოდოთ<sup>1</sup>.



სურ. 11  
ხენა ღენწიშ-ით

კიდევ მეტი უფლებით ჩვენ შეგვიძლია საქართველოს ასეთი სახელი მივაკუთნოთ აქ შემონახული სახენელი იარაღების ქუსლების ნაირნაირობის გამო.

თუ რამდენად მრავალრიცხოვანია ქუსლების სახეები ჩვენში, აშკარად ჩანს იმ მასალიდან, რომელიც ჩვენ ხელთ გვაქვს. ქართველ ტომებს სახენელი იარაღის ქუსლების ფორმისათვის დიდი ხანია ყურადღება მიუქცევიათ და მათი მრავალნაირი სახე შეუქმნიათ.

სამწუხაროდ, დღემდე ჩვენში შემონახული სახენელი იარაღის ქუსლის ყველა სახე ფიქსირებული არ არის. არ ჰქონია ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება მიქცეული სპეციალურ ლიტერატურაში<sup>2</sup>. აქა-იქ მითითებულია ყურიან და უყურო ქუსლზე, არის მიქცეული ყურადღება ქუსლის ზოგიერთ სახეზე, მაგრამ ქუსლის სახეების დეტალური შესწავლა, მათი გამოყენების ეფექტიურობა, შეფარდება ნიადაგთან, გამწვევ ძალასთან დაკავშირება და სხვა არავის უწარმოებია. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ქუსლი სახენელი იარაღის კომპლექსის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია.

ერთს ჩვენს ადრინდელ ნაშრომში ქართველი ტომების სახენელი იარაღის ქუსლის სახეების სქემა გვქონდა მოცემული<sup>3</sup>. ამჟამად მასალა გაცილებით მეტია შეგროვილი, ვიდრე სქემის შედგენის დროს იყო. ამ მასალაში წარმოდგენილი სახენელი იარაღების ნაირნაირი სახის სიუხვე ადვილად დააარწმუნ-


<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, *op. cit.*, ტ. 1<sup>2</sup>.

<sup>2</sup> იხ. თუნდაც Leser-ის, Braungart-ის, Ed. Hahn-ის, Rau-ს და სხვა ნაშრომები.

<sup>3</sup> გ. ჩიტაია, მასალები საქართველოს სახენელი იარაღების ისტორიისათვის, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. V, გვ. 285.

ნებს მკვლევარს, რომ ქართველ ტომებს დიდი და ხანგრძლივი სამიწათმოქმედო კულტურა ჰქონიათ და რომ მათ ბევრი უზრომიათ სახენელი იარაღის გაუმჯობესებისათვის საერთოდ და კერძოდ ქუსლის გაუმჯობესებისათვის.

მართლაც, ჩვენ გვაქვს (იხ. სურ. 12), ერთის მხრივ, ისეთი ქუსლი, რომელიც მხართან ერთად მთლიან ხვს წარმოადგენს ისევე როგორც ქუსლი, რომელიც ხელნასთან ერთად მთლიანი ხეა. მეორე მხრივ, საკუთრივ ქუსლად დამზადებულ ნიმუშებიდან ზოგიერთი სამკუთხედის სახისაა, ზოგიერთი ოთხკუთ-



სურ. 12  
ქუსლის სახეები

ხედისა, ან პრიზმატულია, ზოგს კიდევ აქვს ეშვი, ლაშები, ფრთები, ყურები, ხის საკვეთელი გვერდზე და საქლეშები. განსაკუთრებული ყურადღება ჰქონიათ მიქცეული ქუსლის ძირისათვის. აქაც ნაირნაირობაა დამოწმებული. თუ მათგან ერთ ნაწილს ბრტყელი ძირი აქვს, მეორეები ზემოთ ბრტყელია, ხოლო ქვემოთ მომრგვალებული. ქუსლის ეს სახე იმერულ კავს ახასიათებს. ამ ქუსლის განივი

ჭრილი შემდეგი  სახისაა. ამ სახის ქუსლი სპეციალურ ლიტერატურაში,

რამდენადაც ჩვენ მას ვიცნობთ, არსად შეგვხვედრია. ის დეტალური დაკვირვებისა და შესწავლის ღირსია<sup>1</sup>.

ქუსლის ძირის შემდეგ სახეს წარმოადგენს გვერდებში ამოღარული ქუსლი, რომელსაც შუაში ამოღარული ზურგი აქვს (იხ. სურ. 13)<sup>2</sup>, ამ სახის ქუსლი მიწას უმთავრესად ძირის ზურგით ეხება, რაც გამწვევი ძალის მუშაობის შემამსუბუქებელია.

არსებობს აგრეთვე ისეთი ქუსლი, რომელსაც ძირი ოთხკუთხედად აქვს ამოღარული (თუშური აჩაჩა).

<sup>1</sup> შდრ. ამ ქუსლზე Petzholdt-ის ზერეფე დაკვირვებები, ირ, cit., ტ. II, გვ. 127—129.

<sup>2</sup> შდრ. გ. ჩიტაია, მასალები etc., საქ. მუხ. მოამბე, ტ. V, გვ. 282, სურ. 10 a და b.


რაჭაში ისეთი სახენელი იარაღიცაა დამოწმებული, რომლის ქუსლი თავის კონსტრუქციის გამო სახნისით გაჭრილ კვალს აგანიერებს და მიწის დაფშვნას



სურ. 13

ღენჭიშის ქუსლის ძირი

უწყობს ხელს. ამ ქუსლს ბოლოზე განიერი ყურები აქვს. ეს სახენელი იარაღი აქ „ორხელა“-ს სახელითაა ცნობილი და დამოწმებულია სოფ. მთის-კალთაში, სოფ. შქმერში და ზოგიერთ სხვა სოფელშიც.



სურ. 14

ძებგრის ქუსლის ძირი

ორხელა მრავალმხრივ საინტერესო იარაღია<sup>1</sup>, მაგრამ ამჟამად ჩვენ მასზე არ შეგჩერდებით. შევეხებით მხოლოდ მისი ქუსლის ყურებს, რამდენადაც მათ კავშირი აქვთ რაჭული სახენელის ქუსლთან.

<sup>1</sup> „ორხელა“-ას შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 257 და ქვემოთ, 270.

ორხელას ისევე, როგორც ქართველი ტომების სხვა სახენელ იარაღებს, ყურები ქუსლის ბოლოში აქვს ხოლმე და ქუსლთან ერთად მთლიან ხეს წარმოადგენს. ამ გარემოებას მცირედი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს და სათანადოდ უნდა შეფასდეს. პირველ-ყოველსა ეს ამტკიცებს იმას, რომ ყურები ამ სახენელ იარაღში დამატების სახით როდია მოცემული, როგორც ამას ადგილობრივ



სურ. 15


ორხელა, სოფ. ყორნბაი

ჰქონდა რომაულ სახენელ იარაღებში; აგრეთვე ეს ამოწმებს, რომ ყურები ქუსლის ბოლოშია ხოლმე და არა მის შუა წელზე, როგორც ჩვენ ამას ვხედავთ იმავე რომაულ სახენელებში. კიდევ მეტი შეიძლება ითქვას: ყურები ქუსლის ტიპების მთლიან სახესთან არის დაკავშირებული და ამდენად უთუოდ ქუსლის შინაგანი განვითარების შედეგია. ქართველი ტომების სახენელი იარაღების ყურების შესახებ საერთო წესს თითქოს ერთი შემთხვევა არღვევს, რომელიც არ ეთანხმება ზემოთ ყურების შესახებ მოყვანილ ფაქტიურ მასალას. ეს შემთხვევა ჩვენ გვაქვს აჭარული ჯილდის ერთ ქვე-სახეში, რომელსაც ყურები ქუსლზე აქვს დამატებული. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ეს დამატება მაინც ქუსლის ბოლოშია მოქცეული.

შეიძლება ითქვას, რომ არც მესხური არონაის, არც მესხური ჯილდის, არც ქართლური ორხელას, არც ფშაური აზაჩის და აჭარული ჯილდის ყურებს რომაული *binac aures*-თან<sup>1</sup> კავშირი არ აქვს. ამდენადვე პროფ. ივ. ჯავახიშვილის

<sup>1</sup> იხ. Leser, Entst. und Verbr. etc., გვ. 476, 238 და შემდ.

მოსაზრება მესხური ყურიანი არონაის და რომაული ყურიანი სახენელის იგივეობის შესახებ, ყურების მსგავსების მიხედვით, მცთარი უნდა იყოს<sup>1</sup>. თუნდაც



სურ. 16

ორხელა, ს. პატარა ტუსრები

რომ დამტკიცდეს ტერმინი არონაის ინდოევროპულობა, ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით იმ გარემოებას, რომ ინდოევროპული ტერმინით სომხებში დამოწმებული სახენელი იარაღის „არორის“ არც ერთ სახეს ყურები არ აქვს<sup>2</sup>. მეორეც, თვით რომში ყურიანი სახენელი ციზალპიის გალიიდან შეტანილი ჩანს და რომაული კულტურის ელემენტი არ უნდა იყოს. ხოლო ჩვენი სახენელი იარაღის ყურები ქუსლის შინაგანი განვითარების შედეგად არის მიღებული.

ზემოთდასახელებული ქუსლის სახეებს შორის რაჭული სახენელის ქუსლი იშვიათ მიღწევას წარმოადგენს. ის, როგორც დავინახეთ, ძირში ამოღარულია, ხოლო ზემოთ ოვალური სახისაა. ამ მთავარი თვისებების და სხვა დეტალების გამო ის საუცხოოდ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას:



სურ. 17

ჭაბური ორხელა, Parrot-ით

ხურს სოფ. ზნაკვის სახენელი იარაღის ქუსლი<sup>3</sup> უნდა წარმოადგენდეს, ერთის მხრით, ხოლო მეორე მხრით, მესხური ჯილდის და აჭარული ჯილდის ქუსლები (იხ. აქვე სურ. 12)<sup>4</sup>. შორის გამოყენება სახენელი იარაღის მთლიანი მხარისა

აქვე უნდა ითქვას, რომ ეს იშვიათი ქუსლი იზოლირებული არ არის ქართველი ტომების სახენელი იარაღების ქუსლის სხვა სახეებიდან. იგი მიღებულია სახენელი იარაღის ქუსლების თანდათან განვითარებით. ამ სახენელი იარაღის ქუსლის განვითარების წინასაფე-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქ. ევ. ისტორია, ტ. 1<sup>2</sup>, გვ. 257-58.

<sup>2</sup> გ. ჩიტაია, მასალები, საქ. მუხ. მოამბე, ტ. V, გვ. 280-81.

<sup>3</sup> გ. ჩიტაია, მასალები etc., საქ. მუხ. მოამბე, ტ. V, გვ. 282, სურ. 10 ა და ბ.

<sup>4</sup> შდრ. გ. ჩიტაია, მასალ. etc., საქ. მუხ. მოამბე, ტ. V, გვ. 274 და 276 და სურ. 6 და 7

და ქუსლისათვის (იხ. აქვე სურ. 12), ხოლო შემდეგში ცალკე გამოყოფილი ქუსლის თანდათან განვითარება — ასეთია რაჭული სახენელის ქუსლის განვითარების გზა. ცხადია რაჭული სახენელის ქუსლის ასეთი განვითარება უნდა უპასუხებდეს სათანადო სამეურნეო დაკვეთას და დაკვეთის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდეს.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ რაჭული სახენელი ანალოგს პოულობს მესხური ჯილდის ქუსლში. მესხური ჯილდის ქუსლი, მსგავსად რაჭული სახენელის ქუსლისა, ბოლოსაკენ თანდათან განიერდება, ზემოთ არის ახრილი და ორი ფრთით ანუ ყურით ბოლოვდება. ბელტის გადასაბრუნებლად ისიც საკმარისად არის მოწყობილი. ამ ქუსლის ქვემო ნაწილიც, მსგავსად რაჭული სახენელის ქუსლისა, მორკალულია და არა სწორი<sup>1</sup>.

არც აქარული ჯილდის ქუსლთან რაჭული სახენელის ქუსლის შეხვედრაა შემთხვევითი. ეს იმის დამაპტიკებელია, რომ სახენელი იარაღის ქუსლის გაუმჯობესებაში მონაწილეობა 'სხვადასხვა ქართველ ტომს' მიუღია და თავისი წვლილი შეუტანია.

ყოველ შემთხვევაში, რაჭული სახენელის ქუსლი ქუსლების განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, განვითარების ეს საფეხური მიღწეულია მარტივი სახენელი იარაღების ფარგლებში. იგი ძალზე უკან სტოვებს სახენელი იარაღების სხვა სახის ქუსლებს — ისეთებსაც კი, რომლებიც დამატებული ფრთებით და ყურებით არის წარმოდგენილი.

ამიტომ ეს ქუსლი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ გარდამავალ ტიპად კორა-პაპაუს სახენელი იარაღის ქუსლიდან სოლისებური სახენელი იარაღის ქუსლზე, როგორც ამას Braungart-ი ფიქრობს. ჩვენი სახენელი იარაღის ტიპი გაცილებით მაღლა დგას თითოეული ზემოთდასახელებული სახენელი იარაღის ქუსლების ტიპზე და ამდენად ის არ შეიძლება მოექცეს მათ შუა. არც კორას სახენელს, არც პაპაუს და არც ეგრეთწოდებულ სოლისებური სახენელის ქუსლებს რაჭის სახენელი იარაღის ქუსლის მაღალგანვითარებული და სრულყოფილი ნაწილები არ გააჩნიათ, კერძოდ მათ არ აქვთ ფარფლები. ეს კი რაჭული სახენელი იარაღის ქუსლის ერთ-ერთ დამახასიათებელ ელემენტს წარმოადგენს. ამიტომ მცთარია Braungart-ის შეხედულება. Braungart-ი ჯეროვნად ვერ აფასებს რაჭული სახენელის ქუსლის კონსტრუქციას და მის ფუნქციას, ამის გამო ის მცთარ დებულებას აყენებს<sup>2</sup>.

როგორც ითქვა, რაჭულ სახენელს ახასიათებს ფარფლიანი ქუსლი. ფარფლების შემწეობით ეს სახენელი იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც გუთნის ფრთა, რასაკვირველია, მარტივი სახენელი იარაღის ფარგლებში. როგორც ვიცით, რაჭული სახენელის ფარფლები ოვალური სახისაა და ამდენად ის შემძლეა შეასრულოს ის ფუნქცია, რომელიც გუთნის ოვალური სახის დაწინაურებულ


<sup>1</sup> Petzholdt, op. cit., ტ. II, გვ. 127, სურ. 4.

<sup>2</sup> Braungart-ის მიერ სოლისებური სახენელის ცნების დაუდგენლობის შესახებ იხ. Lescr, Enst. und Verbr. etc., გვ. 339.

ფრთას აქვს დაკისრებული. მაშასადამე, ჩვენი სახენელის ფარფლები გაცილებით მაღლა დგას გუთნის ჩვეულებრივ ფრთებზე. რამდენადაც ოვალური ფრთა ევროპის სახენელ იარაღებში შედარებით ახალი შენაძენი ელემენტი, ხოლო იმავე ფუნქციის ფარფლიანი ქუსლი რაჭულ მარტივ უძველესი ხანის იარაღს ახასიათებს — კიდევ უფრო მეტად გვაძლევს საბუთს დავასკვნათ, რომ ფარფლიანი ქუსლი ქართველ ტომებში შექმნილი სახენელი იარაღის ორიგინალური ელემენტი, რომელსაც ანალოგი არა აქვს არც ირანულ და არც სხვა ინდო-ევროპულ სახენელ იარაღებში.

### III

რაჭულ სახენელს თავისებურება ახასიათებს მხარის — იგივე „სატარი“-ს || „სატარე“-ს || „ხელას“-ს || „კავი“-ს (იხ. სურ. 2) მიხედვითაც. იმ სახენელ იარაღებთან შედარებით, რომელთაც მხარი უღლამდე მიუღიფ და რომლის თავზე უშუალოდ უღელრა დამავრებული — რაჭული, სახენელის მხარი შედარებით



სურ. 18  
ინგუშური სახენელი

მოკლეა, იგი უღლამდე არ წვდება და უღელთან გრძელი ჯამბარას, ღვლეკის ან ღვედის შემწეობით არის დაკავშირებული.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ რაჭული სახენელის მხარის ბოლო ისე მოხერხებულად არას ჩასმული ქუსლში, რომ მხარის თავი ქვემოთაა დახრილი<sup>1</sup>,

<sup>1</sup> Petzholdt-ის ჩანახატზე (იხ. cit., ტ. II, გვ. 129, სურ. 6) რაჭული სახენელის მხარის თავი აშვებულია. ეს შეცთომავა. მძიმე შეცთომავა აგრეთვე ის, რომ Petzholdt-ის აზრით რაჭულ სახენელში უღელი უშუალოდ მხარის თავზეა დაკრული, რომ მას ხარები ასე დაკრულ უღლიდან ეზიდებან. ეს სახენელის კონსტრუქციის მიხედვით შეუძლებელია. სახენელი რომ ისე მუშაობდეს, როგორც Petzholdt-ს აქვს აწერილი, სახენელის ქუსლის ეში და სახისი ავირავდებოდა და ხვნას ვეღარ შეიძლებდა. Petzholdt-ის მცთარ აღწერას შეცთომავში შეუყვანია Lasser-იც (იხ. მისი, იხ. cit. გვ. 353, ხოლო აქვე ზემოთ, გვ. 257).

მაშინ როდესაც გრძელმხარიანი სახენელის მხარის თავი პირიქით ზემოთ არის აშვერილი. სახენელი იარაღის ერთიცა და მეორე სახეც გარკვეულ მიზანს ემსახურება და სათანადო დანიშნულებით არის გამართლებული. გრძელი მხარის თავის საყრდენს უშუალოდ უღელი წარმოადგენს, რომელშიც ხარება შეგებული და ამიტომ მხარის თავის სიმაღლე ხარის სიმაღლესთან უნდა იყოს შეფარდებული. წინააღმდეგ შემთხვევაში სახენელის სახნისი და ქუსლი აყირავდება და მიწას ვერ მოხნავს.

იმ მიზნით რომ სათანადო სიმაღლეზე მოვიდეს სახენელის მხარის თავი — სხვადასხვა ტომებში სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ ხოლმე: ან ირჩევენ სათანადოდ მოხრილ ხეს და მისგან გამოთლიან მხარს (იხ. სვანური ღენწუბიში



სურ. 19

ოსური ძებურ-ი

სურ. 11), ან მხარს ორი ნაწილისაგან ამზადებენ, ნაწილებს ბოლოებით ერთმეორეს გადააბამენ იმ მიზნით, რომ მხარის თავი ალმა მოვიდეს (იხ. მოხეური<sup>1</sup>, მთიულური<sup>2</sup>, ინგუშური<sup>3</sup> სახენელები და ოსური ძებურ (ირონულად) || ძებური<sup>4</sup> (დიგორულად) — იხ. სურ. 18 და 19).


<sup>1</sup> მოხეურში შედგენილი მხარის წინა ნაწილს „წერწენი“ ეწოდება.

<sup>2</sup> მთიულურში „ნარწენი“ ეწოდება მხარის თავში ამოჩრვტილ საბეწვე ადგილს.

<sup>3</sup> ინგუშური სახენელის სურათი გადაღებულია ინგუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ქ. ორჯონიკიძე) 1936 წ. მუზეუმის დირექციას მადლობას მოვახსენებთ კოლექციის სურათით სარგებლობისათვის.

<sup>4</sup> ძებურ-ის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონ. ისტ., ტ. 1<sup>2</sup>, გვ. 63. ოსური ძებურ-ის სურათი გადაღებულია ოსეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ქ. ორჯონიკიძე). კოლექცია № 24. მუზეუმის დირექციას მადლობას მოვახსენებთ კოლექციის სურათით სარგებლობისათვის.

მაგრამ არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც მოკლე მხარის თავში გაყრილია ჯამბარა და ეს უკანასკნელი თავის მეორე ბოლოთი მხარის თავიდან საჭირო მანძილზე უღელზეა მიბმული. ამ შემთხვევაში მხარის თავს არავითარი საყრდენი არა აქვს, რის გამოც ის მუშაობის პროცესში აქეთ-იქით ქანაობს და მით ცუდად მოქმედობს სახენელის გამწვევ ძალაზე, ხარების ქედზე. ამგვარი სახენელი ჩვენში ორხელას სახელითაა ცნობილი (დამოწმებულია ჩვენ მიერ სოფ. ყორნისში (ქართლი, იხ. სურ. 15). სახენელი იარაღის ამ ტიპს უნდა ეკუთვნო-



სურ. 20

მეგრული სახენელი, Serena-თი

დეს ის სახენელი, რომლის საკმაოდ ბუნდოვანი სურათი, ჩხატული XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში კახეთში, მოიპოვება Parrot-ის წიგნში Reise zum Ararat, Berl. 1834, გვ. 58 (იხ. აქვე სურ. 17).

აქ მოცემული ორხელას სურათი ამ სახენელი იარაღის ერთ სახეს წარმოადგენს. მისი მეორე, უფრო მეტად გავრცელებული სახე, ფიქსირებულია ზემო-რაჭაში (სოფ.სოფ. შქმერი, მთის-ძირი, ცხმორი) და სოფ. პატარა ტუსრებში (ს. რეხას ზემოთ) და ლიტერატურაშიც ცნობილია<sup>1</sup>. ამ უკანასკნელში ორხელა აღწერილია მეტად ბუნდოვანად, ნაკლულევანად და არა ზუსტად<sup>2</sup>.

რაჭაში აქა-იქ ხმარებული ორხელა შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: „ქუსლი“, „სატარი“, „ხელა“, „კაკუქა“, „რგოლი“, „ფთე“, „საკვეთელი“, „სახნისი“. სოფ. პატარა ტუსრების ოსებში ხმარებულ „ორხელა“-ს შეადგენს: „ქუსლი“, „უური“ „გეინონ“ (მხარი), „ხელა“, „კებალ“ (რიკი), „ვსენ“ (სახნისი), „მძერლა“ (საკვეთელი<sup>3</sup>) და „კოკოსა“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> С. Мачабели, Описание экон. быта госуд. крестьян Горныйск. уезда, Тифл. губ.: МИЭБГКЗК, т. VI, гв. 208; X. В е р м и ш е в, Земледелие госуд. крестьян Закавказского края: СМНЭБГКЗК, т. IV, гв. 261—62.

<sup>2</sup> შდრ. ივ. ჯავახიშვილი, op. cit., ტ. I<sup>2</sup> გვ. 194.

<sup>3</sup> ძორღას შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, op. cit. ტ. I<sup>2</sup>, გვ. 235.

<sup>4</sup> A. Haxthausen (Transkaukasien etc., Berl, ტ. II), მოყვანილი აქვს ისევე ნახული ორხელა, რომელსაც «Sibir»-ს უწოდებს. ის ამბობს, რომ ამ სახენელი იარაღის მზავსი მას, ოსებს გარდა, კავკასიის სხვა ხალხში არ უნახავს და რომ «Sibir»-ი მეკლენბურგის სახენელს მიაგავს. მეკლენბურგისა (მეკლენბურგის სახენელის სურ. იხ. Leser, op. cit., გვ. 112, ტაბ. 3)

ეს სახენელი იარალი განკუთვნილია შედარებით მძიმე მიწების სახნაველად; ჩვეულებრივად ის ორ-სამ ულელს შეიბამს ხოლმე. ორხელა, რასაკვირველია, თავისი კონსტრუქციით განირჩევა აჩაჩისა და ოქოქისაგან. ამათგან განსხვავებით მას განსაკუთრებით განსხვავებული „კოკოშა“ (ქართლში ასე ეწოდება), „კოკოსა“ (სოფ. პ. ტუსრები), „კაკუტა“ (რაჭა) აქვს. ეს განსხვავებული ელემენტი ამ სახენელ იარალს გამოყოფს სხვა ასეთ იარალიდან და უფრო მეტად მას რაქული სახენელის ტიპს მიაკუთვნებს.

ორხელას კოკოშა || კოკოსა || კაკუტა, რასაკვირველია, სახენელი იარალის ხმალას არ უდრის, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა სახენელი იარალის ამ ნაწილის ლიტერატურაში ბუნდოვანი აღწერილობის მიხედვით<sup>1</sup>. ეს შეუძლებელიც არის. ვინაიდან კოკოშა მოკაული ტოტია (მოკაკუტებული<sup>2</sup>), რომელიც ხმალას მოვალეობას თავისი მოყვანილობით ვერ შეასრულებს. კოკოშა || კაკუტა მხარის თავშია გაყრილი და არა მხარის თავზე დაკრული, როგორც წყენა || წინმავალა (ამის შესახებ ქვემოთ). ორხელას კოკოშას დანიშნულება მდგომარეობს მასში, რომ მისი აწვევ-დაწვევით ხნულის გაღრმავებას ან დავაკებას ხელი შეეწყოს. ზომიზე დაყენებული კოკოშა სახენელის მუშაობის პროცესში ხელს უშლის სახენელის მხარის თავის დახრას, რაც თავის მხრივ აძნელებს სახენელის ქუსლის ეშვისა და სახნისის ზომიზე მეტად ღრმად ხვნას.

ზემოთ აღწერილი სახენელი იარაღების მხრების ტიპებისაგან განსხვავებით სხვაგვარადაა მოწყობილი რაქული სახენელის მხარი. როგორც აღნიშნული გვექონდა, მისი თავის საყრდენს ულელი კი არ წარმოადგენს, არამედ მასზე მიმაგრებული მოკაული კდობილი კეტი წყენა || წინმავალა, რომლის ქვემო ნაწილი მიწაზე ცოცავს ხოლმე და ამავე დროს მხარის თავის საყრდენია. სწორედ იმის გამო, რომ რაქული სახენელის მხარის თავი დახრილია და არა პარალელური სახენელის ქუსლთან, როგორც ამას ადგილი აქვს ორხელაში, რაქული სახენელის წყენა || წინმავალა ორხელას კოკოშასთან შედარებით მოკ-

სურ. ა, ბ, ც) და ორხელას მსგავსებაზე ლაპარაკი ზედმეტია, ვინაიდან კონსტრუქტიულად ისინი განსხვავებული სახენელი იარაღებია. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მეკლენბურგის სახენელის მხარი გრძელია და მისი თავი უშუალოდ ულელზეა დამაგრებული. ხოლო რაც შეეხება Haxthausen-ის მოსაზრებას: თითქოს ორხელა ოსებს გარდა კავკასიის სხვა ზაღებში არ მოიპოვება, დაუკვირებლობის შედეგია. Haxthausen-ი ის ავტორია, რომელმაც რუსეთში თავის დროზე სასოფლო თემი აღმოაჩინა, შდრ. K. Marx, F. Engels, Kommunistisches Manifest, Moskau, 1932, გვ. 6, შენ. 1; იხ. Haxthausen, Studien über die inneren Zustände, das Volksleben und insbesondere die ländliche Einrichtungen Russlands, Brl 1847.

ბ რ ა უ ნ გ ა რ ტ ს დაუსაბუთებლად Haxthausen-ის მიერ მოყვანილი «Sibir»-ი გუთურ-სახენელად აქვს გამოცხადებული (Braungart, op. cit., გვ. 265).

ტერმინი «Sibir»-ი ძებურ || ძუბურ-ის არა ზუსტი ტრანსკრიფცია უნდა იყოს (იხ. W. Miller, Ossetisch-deutsches Wörterbuch herausg. und erg. v. Freiman, Leningrad 1927, ტ. I, გვ. 539 და 616).


<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 194—195; შდრ. С. Мачабели, Эконом. быт. рос. крестьян Горинского у., Тифл. губ.: МИЖБГКЗК, ტ. VI, გვ. 208; Веряшнев, Земледелие госуд. кр. Закавказск. края: СМЖБГКЗК ტ. IV გვ. 262.

<sup>2</sup> „კაკუტა: მოკაკუტება, მოლუნვა, მოკაკვა“ (ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა, СИБ 1912, МЯЯ, VI).

ლეა და თითქმის მუდმივად მიწაზე. მავალი, კოკოშა კი შედარებით გრძელია და მხოლოდ დროდადრო ეხება მიწას. ამის გარდა წეწენა || წინმავალა კლობილების შემწეობით არეგულარებს ღრმად და პირად ხენას. ამა თუ იმ კლობილში გამობჟული ჯამბარა || ღვედი || ღვლეკი ზომაზე აყენებს სახენელის მხარს და მის ქუსლ-სახნისსაც.

მაგრამ ხენის რეგულირება რაჭულ სახენელში არა მარტო წეწენა || წინმავალას კლდეების შემწეობით ხდება, არამედ ქუსლის სოლების დაშველებითაც. მხარის ძირის აწეე-დაწეევით, რაც სოლების («დიდი სოლი» და «საჩოჩი») საშუალებით ხდება, დიდდება ან პატარავდება მანძილი მხარსა და ქუსლს შორის. ამის შემწეობით სახენელა სათანადოდ აღრმავებს ან ავაკებს კვალს.

ამგვარად წეწენა || წინმავალას დანიშნულებას შეადგენს: 1. იყოს საყრდენი სახენელის მხარის თავისათვის. ამის და იმის გამოც რომ ის მიწაზე ცოცავს, გაუადვილოს ხარებს მუშაობა და 2. ხელი შეუწყოს სახნავის დავაკებას და დაღრმავებას. ამ დანიშნულებიდან ჩვენს ყურადღებას, განსაკუთრებით წეწენა || წინმავალას პირველი ფუნქცია იპყრობს. ვინაიდან წეწენა || წინმავალა



სურ. 21

ოჩოჩა ურემი. ერისთავის მიხედვით

ამის მიხედვით მარტივი სახენელი იარაღის პირობებში დაახლოვებით იმავე როლს ასრულებს, რასაც გუთანში ფამფალაკი. როგორც ცნობილია, გუთნის ფამფალაკის ძირითადი დანიშნულებაა იყოს საყრდენი გუთნის რვილა-მხარის თავისათვის და მით გაუადვილოს გამწეე ძალას მუშაობა. დაახლოვებით ამავე როლს ასრულებს რაჭული სახენელის წეწენა || წინმავალა. მაშასადამე ამ შემთხვევაშიც რაჭული სახენელი გუთნის ერთ-ერთ ფუნქციას, მარტივი სახენელის პირობებში, მეტნაკლები შედეგებით ასრულებს.

ცხადია რაჭული სახენელის წეწენა || წინმავალას, ისევე როგორც მის ფარფლებიან ქუსლს (იხ. ზემოთ) თავისი სახე ერთბაშად არ მიუღია და მასაც მისი სტრუქტურის განვითარების სხვადასხვა საფეხური უნდა გაეცლო. ერთის მხრით, საფიქრებელია რომ წეწენა || წინმავალას წინა საფეხურს ორხელას კოკოშა შეიძლება წარმოადგენდეს; კონსტრუქტიულად ეს შეუძლებელი არ არის, ოღონდ იმ წინასწარი პირობით, რომ თავდაპირველადვე მოცემულა უნდა ყოფილიყო სახენელი იარაღის მხარის თავდახრილობა, რაც, როგორც ვიცით, დაკავშირებულია რაჭული სახენელის ქუსლის სახესთან.

მეორე მხრით, ჩვენ ანალოგი გვაქვს მეგრულ სახენელში. ამ სახენელს მხარი დაყრდნობილი აქვს წინმავალ მოწყობილობაზე, არა ფამფალაკის თვლები-

ან მოწყობილობაზე. Carla Sereta-ს თავის ნაშრომში *Un tour en Mingrèlie (Le tour du Monde, ტომი XLI, გვ. 411)* მოცემული აქვს მეგრული სახენელი იარაღის სურათი, რომელიც მას გაუკეთებია ერმაკოვის ფოტო-გადაღების მიხედვით<sup>1</sup>. სურათზე მოცემული მარტივი სახენელი იარაღის მხარის თავი წინამავალ ფრჩხილზეა დაყრდნობილი (იხ. სურ. 20). ფრჩხილის ბოლო მიწაზე მიცოცავს, ხოლო მისი თავი ხარების უღელზეა დამაგრებული. ყოველ შემთხვევაში აქ იგივე პრინციპია დაცული, რომელიც ე. წ. იმერულ მთის ფრჩხილებიან ურემშია გამოყენებული (შდრ. აქვე სურ. სურ. 21 და 22). როგორც ვიცით, იმერული მთის ურემის ხელნების თავები მაღალ ფრჩხილებშია გაყრილი. ფრჩხილების ბოლო მიწაზე ეთრევა, ხოლო მათი თავები უღელზეა მიმაგრებული. სხვათაშორის, აქვე უნდა ითქვას, რომ ამ სახის ურემი სამეცნიერო ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში დასავლეთ საქართველოს გარდა სხვაგან დამოწმებული არ არის, ისევე როგორც მეგრული ფრჩხილებიანი სახენელი იარაღი<sup>2</sup>.

ამგეარად, რაჭული სახენელის წყწენა || წინამავალს განვითარების გზა ისევ ქართველი ტომების შრომის იარაღების ნაწილებშია მოცემული და ამ იარაღების ნაწილების განვითარების შედეგად ან მათი აგებულობის პრინციპის გამოყენებით არის მიღებული. ისევე როგორც რაჭული სახენელის ფარფლიანი ქუსლი, მისი წყწენა || წინამავალა ქართველი ტომების მიერ შექმნილი სახენელი იარაღის თავისებურებაა. რაჭული სახენელის სხვა ნაწილებიც სათანადოდ შეწყობილია მის ძირითად ნაწილებთან, ყველა ერთად კი ქმნის იმ სახენელ იარაღს, რომელიც, როგორც დავინახეთ, იშვიათია თავისი კონსტრუქციითა და თავისი ფუნქციით.



სურ. 22  
ჩოჩიალა ურემი, Byhan-ით

<sup>1</sup> მეგრული სახენელი იარაღის შესახებ Serena, სხვათა შორის, წერს: «La charrue du paysan mingrèlien est d'une simplicité toute biblique: elle consiste en un morceau de bois horizontal, recourbé à angle aigu, auquel on adapte un bout de fer large comme la main; une branche d'arbre torse est le timon où s'attelle la paire de bœufs ou de buffles» (გვ. 412).

<sup>2</sup> ამასთან დაკავშირებით საინტერესო შესაძარებელ მასალას წარმოადგენს აჭარული «ციგა», მაგრამ ამაზე შემდეგ კავკასიური ურემის შესახებ იხ.: Parrot, op. cit., გვ. 250—51; Perzholdt, op. cit., ტ. II, გვ. 154—157; Haxthausen, op. cit., ტ. I; В. Норса, Албаниен. Bauten, Trachten und Geräte, Br.—Lpz. 1925, გვ. 225; Р. Эристов, Ишеретия в сельско-хозяйственном отношении: ЗКОСХ за 1876, გვ. 14—15; Бобылев, Несколько

ყოველივე ამის შემდეგ ბუნებრივად იბადება საკითხი, რა სახის მეურნეობას უპასუხებს ეს სახენელი, უკეთ რა სამეურნეო პირობებთან არის ის შეთანხმებულ-შეგუებული?

პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ ძველი წყაროების მიხედვით შედგენილ ბოტანიკურ-აგრონომიულ რუკაზე<sup>1</sup> რაჭა სამ ზოლშია მოქცეული: ვენახ-ხილიანსა, უვენახ-ხილოსა და ბალახ-ყვავილიანში. როგორც ცნობილია ვაზის კულტურა საერთოდ მიწისმოქმედების უმაღლეს საფეხურს მიეკუთვნება<sup>2</sup>. რაჭაში საყანე კულტურაც მაღალ დონეზეა.

დასვენებულ მიწას აქ „ყამირი“ ეწოდება, ხოლო გაუტეხავ მიწას „მოუძვრელი“. აქვე აღვნიშნავთ, რომ „ყამირი“ ის ტერმინია, რომლითაც ქართველი ტომების ძველი მიწისმოქმედების რაული სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი აღინიშნება. ამ სისტემის მიხედვით ერთი წლის დასვენებულ მიწას „ნაცვარალი“ ეწოდება, ორი წლისას — „რცხალი“, სამისას — „ნაჩხატი“, ოთხისას — „ყამირი“, ხოლო ხუთისას — „კორდი“<sup>3</sup>.

როგორც ჩანს, რაჭაში ადრე ტყის გატეხა სცოდნიათ საყანედ — «მოახობა». ამ მიზნით წინწინ ხეებს „შეყვერავენ“, კანს გააცლიდნენ. შეყვერილ ხეებს გახმობის შემდეგ დაწვევდნენ ხოლმე. ფერფლსა და ნაცარს იყენებდნენ მიწის საპოხად<sup>4</sup>. იცოდნენ აგრეთვე ყანის განოყიერება საქონლის პატივით, „ნეხვით“, რომელიც ზამთარშივე გაჰქონდათ მოწნული «ხვირით» ყანაში. არსებობდა თესლის შენაცვლება: ქერი, პური, დიკა, აგრეთვე ანეული და საგაზაფხულო ხენა, გადახენა და აღმა-ჩაღმა ხენა სისტემიდან — «გათერძვა», «გაოშვა» და «გახარვა»<sup>5</sup>. აქ ხენას წინ უსწრებდა საყანეს „მოკარება“ — ქვებისაგან გაწმენდა. მხენელს ხენის დროს თანვე მიჰყვებოდა «მთოხნელი», რომელიც „თოხით ბელტს ამტვრევდა“, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ოჩოჩით

маслей и замечаний об Насертин в с-н. отношении: ЗКОСХ за 1886, გვ. 105; Ed. Hahn, Die Haustiere und ihre Beziehungen zur Wirtschaft des Menschen, Lpz. 1896 (ეტრუსკული ურემი); Byhan, Kaukasien, Ost- und Nordrussland, Fienland.—Buschan-ის Illustrierte Völkerkunde-ში, Stuttgart 1925, გვ. 107 და შმდ., 747; E. Zichy, Voyages au Caucase et en Asie Centrale, Budapest 1897, ტ. I, გვ. 20.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონომ. ისტორია, ტ. I<sup>2</sup>, დანართი.

<sup>2</sup> ქართველი ტომების ვაზის კულტურა დაკავშირებულია დიდ კულტურულ-ისტორიულ პრობლემებთან. იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკ. ისტ., ტფილისი 1936, ტ. II, მევენახეობა, გვ. 249 და შმდ.

<sup>3</sup> „ქურცხალი (კრჩხალი) — ორწელ უთესველი ნარბილი“ (საბა); შდრ. გ. ჩიტიია, მასალები etc.: საქ. მუხ. შობამე, ტ. V, გვ. 209.

<sup>4</sup> იხ. Описание русских владений за Кавказом, СИБ 1836, ტ. II, გვ. 60; შდრ. საბა: „კორდი“, „ნაკორდალი“, „ყამირი“. მოიგონეთ ხალხური ლექსიდან:

ყანა ხარ, ყანა ყამირი,  
ჯერ კორდი გაუტეხელი!

<sup>5</sup> შდრ. Цветков, Сел. Мухури, გაზ. «Кавказ» 1851, № 15.

<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკ. ისტ., ტ. I<sup>2</sup>, გვ. 256-57; გ. ჩიტიია ადიგენის რაიონი ეთნოგრაფიულად. შდრ. წინააზიის უძველესი მიწისმოქმედების კულტურის ხენის სისტემა — A. Deimel, Ackerbau in sumerischer Zeit, Reallexikon der Assyriologie, Berl.—Lpz. 1929, ტ. I, ნაკ. 1.

ხნავდნენ. ყანა ითესება მოხვნის უმაღლვე<sup>1</sup> ზემოთქმულს უნდა დავსძინოთ, რომ რაჭა-ლეჩხუმში ენდემური პურეულებია დამოწმებული (ასლები—მახა, ზანდური და სხვ.)<sup>2</sup>. როგორც საფიჭრებელია, ეს ენდემური პურეულები ქართველი ტომების უძველეს კულტურას ეკუთვნიან. ქსენოფონტეს ცნობით ასლები ქანებშიც (თუბალები) ყოფილა გავრცელებული<sup>3</sup>. დამახასიათებელია, რომ რაჭაში ამ ენდემური პურეულების „საკრეფავად“ განსაკუთრებული წესი არსებულა. ხოლო ლეჩხუმში ეს წესი დღემდე შემონახული. ამ წესის მიხედვით ლეჩხუმში მახა და ზანდური იკრიფება იარაღით, რომელსაც „შანკვი“ ეწოდება<sup>4</sup>. „შანკვი“ და მისი გამოყენება ასპ. ნ. რეხვიაშვილს ასე აქვს აღწერილი<sup>5</sup>: „ს. ოყურეში, 1936 წ. ივლისის 10. მახა და ზანდური საცეხვი პურია, რომლებიც შანკვით იკრიფება. შანკვი შესდგება ორი თანატოლი ჯოხისაგან, რომლებიც გადაბმულია ერთ თავში მოძრავად თოკით. გახსნილი შანკვი რამდენიმე თავთავს მოიყოლებს ჯოხებს შუა და ჯოხებით ლეროებს გადაამტკრებს თავთავის ქვემოთ. მოკრეფილ თავთავებს იქვე კალათში აწყობენ, კალათიდან ბოცვში და შემდეგ ურმით ეწიდებიან შინ. ამას მოკრეფას ეტყვიან, ხოლო ღომისა და მქადის აკრეფას, რომელთაც დანით ჭრიან — „მოჭრა“ ეწოდება. მახასა და ზანდურის დარჩენილ ღეროს — „კორომა“ — ს ძირიანად ხელით ჰგლეჯენ, მათ ძნებად ჰკრავენ და მით სახლებს ხურავენ“<sup>6</sup>.

ზემოთაღწერილი მეურნეობის, რომელიც წინა კაპიტალისტურ ხანაშია ჩამოყალიბებული, შემადგენელი კომპონენტები შეგუებული იყო რაჭის ჰავის, რელიეფის და ნიადაგის კონკრეტულ და საკმაოდ თავისებურ პირობებთან და განსაზღვრული იყო მოცემული საზოგადოებრივი ფორმაციის საწარმოო ძალთა დონით. აქ იხვენება და ითესება ვაკეზე, ხოლო უფრო მეტად ფერდობებზე, განსაკუთრებით, ზემო რაჭაში, ჩვენი სახენელის გავრცელების არეში. ფერდობის ზედაპირის მიწა, ერთის მხრით, ჩვეულებრივად ნიაღვარს ჩამოაქვს ხოლმე, ხოლო, მეორე მხრით, მისი ზედაპირი ამასთანავე შედარებით მშრალია. ამის გამო ძველი მეურნეობის პირობებში, როცა მოწინავე სოციალისტური მეურნეობის აგრო-კულტურული ღონისძიებები განხორციელებული არ იყო, შემდეგ

<sup>1</sup> შდრ. წინაახის უძველეს მიწისმოქმედებაში დამოწმებული თესვის წესები: Deime!, op. cit.; Eid. Hahn, Die Haustiere und ihre Beziehungen zur Wirtschaft des Menschen, Lpz. 1896, გვ. 96 და შმდ.; Braungart, op. cit.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკ. ისტ. ტ. 1, გვ. 394-95; Декапрелевичи Менделеев, К научному полюху культуры Зап. Грузии, ტ. 1, გვ. 236; ა. აბესაძე, ხარბლის ახალი სახის Triticum Timopheevi Zhuk-სა და საქართველოში მისი გავრცელების შესახებ, გვ. 56-57; Вавилов, Мое путешествие в Испанию, Новый мир, 1937, № 2, გვ. 217.

<sup>3</sup> Anabasis, წ. 1, თავი 14, § 27.

<sup>4</sup> „შანკვი“ ასპირანტ რეხვიაშვილის ჩანაწერის მიხედვით. ხოლო სუპატაშვილს, ლეჩხუმის მახრის ასლები: ექსპ. ავრონ. ინსტიტუტის მოამბე, 1929, I, გვ. 38 დამოწმებული აქვს „შანკვი“. შდრ. ივ. ჯავახიშვილი op. cit., ტ. I, გვ. 345.

<sup>5</sup> ასპირანტ ნ. რეხვიაშვილს აღწერილობის და სურათის გადმოცემისათვის მადლობას მოვასხენებთ.

<sup>6</sup> საბა: «კორომი — ხენი ჯგუფად მდგარნი». როგორც ირკვევა, შანკვი II შანკვი სოფლის მეურნეობის აგრეთვე დამახასიათებელ და იშვიათ იარაღს წარმოადგენს, რომლის ანალოგი, მხოლოდ ესპანეთში, ასტურიაში, მოიპოვება (იხ. Н. Вавилов, Путешествие в Испанию, Новый мир, 1937 წ., № 2, გვ. 247, 249 და 250 (სურათები).

სურათს ხედავდა დამკვირვებელი. ფერდობზე აუცილებელი იყო მიწის ღრმად მოხვნა, რომ ფერდობს ნიადაგი უკეთ დაემარგებინა და მასთანვე მარცვალისათვის საჭირო სინესტე შეენახა. ეგვევ პირობები იწვევდნენ ფერდობზე ხვნის უმაღლეს თვისებას. ვაკეზე მიწის შედარებითი სინესტის გამო ღრმად მოხვნა აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენდა. მხოლოდ იქ, სადაც გვალვის საშიშროება არსებობდა, ღრმა ხვნა მაგარ და რბილ მიწაზე აუცილებელი ხდებოდა.

ასეთ ბუნებრივ და სამეურნეო პირობებთან, ზემოთდასახელებულ სოციალურ-ეკონომიურ წყობაში, რაჭული სახენელი სათანადოდ შეწყობილი შრომის იარაღი იყო. ეს სახენელი იარაღი, რომელიც ერთი უღელი ხარით მუშაობს, თავისი სიმსუბუქით, თავისი ქუსლის და წეწენას კონსტრუქციით, ხნულის გასაღრმავებელ და დასაფაკებელ საშუალებებით, კარგად ეგუებოდა ფერდობისა და ვაკის პირობებს. განსაკუთრებით იგი ზედგამოჭრილი იყო ფერდობის მოსახნავად. სხვათაშორის, რაჭული სახენელი კარგად მუშაობს ფერდობის ამოკორდილ ადგილებზე, ვინაიდან წეწენა ოწინმავალს შემწეობით ადვილად ეგუება ნიადაგის რელიეფს. სახენელის მუშაობის ასეთ თვისებებს აგრეთვე ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ის ფერდობის პირობებში გუთნის მსგავსად მუშაობს, ვინაიდან ბელტებს აბრუნებს, ფშენის და გამწვევ ძალას მუშაობას უმსუბუქებს. არსებითად ეს სახენელი იარაღი თავისი შემადგენელი ნაწილებით სახენელი იარაღების მარტივ სახეობას მიეკუთვნება, თუმცა მას თავისი ძირითადი ნაწილები იმდენად გაუმჯობესებული და დაწინაურებული აქვს, რომ უკან სტოვებს მისი სახის ყველა სახენელებს და თავისი ტიპის განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს. თავისი დაწინაურებული კონსტრუქციის გამო რაჭული სახენელი — მთის გუთანია. იქ, სადაც გუთანი ვერ მუშაობდა, ხოლო ნიადაგი შედარებით ღრმა ხვნას და ბელტის გადაბრუნებას საჭიროებდა — რაჭული სახენელი გუთნის ფუნქციას ასრულებდა და სათანადო შედეგებს აღწევდა. იმდენად, რამდენადაც გუთანი ბარის მიწისმოქმედებასთან იყო დაკავშირებული, რაჭული სახენელი მთის, ზეგანის მეურნეობის იარაღად იყო მიჩნეული. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ამ სახენელ იარაღს ჩვენ რაჭა-ლეჩხუმში და მესხეთის პლატოზე ვპოულობთ. ქართველი ტომების, მუსკების და ტაბალების, დაწინაურებული მიწისმოქმედების შესახებ მოგვითხრობენ ასურული წყაროები. როგორც ირკვევა, ეს დაწინაურება გამოიხატებოდა არა მარტო პურეულისა და ვაზის კულტურების ხაზით, არამედ მიწისმოქმედების იარაღების, კერძოდ, სახენელი იარაღების გაუმჯობესების მხრივაც. რაჭული სახენელიც თავისი ორიგინალური ფარფლიანი ქუსლით და დაწინაურებული წეწენა ოწინმავალათი ქართველი ტომის მიერ შექმნილი სახენელი იარაღია. ამიტომ ამ სახენელის ინდოგერმანულ სახენელ იარაღად მიჩნევა ყოველად დაუშვებელია.

#### IV

როგორც ზემოთ (გვ. 255) იყო ნათქვამი, Braungart-ს რაჭული სახენელი ეგრეთწოდებული ბერძნული ქალ-ღმერთის კორას სახენელის მინამსგავსად ჰქონდა მიჩნეული<sup>1</sup>. მაგრამ თუ ამ ორ სახენელს ერთიმეორეს შევადარებთ.

<sup>1</sup> კორას სახენელის სურათი იხ. აქვე გვ. 277.

დავრწმუნდებით რომ ის თავისებურებანი, რომლებიც რაჭულ სახენელს ახასიათებს (ფარფლიანი ქუსლი, წეწენა, გულამოდებული ქუსლის ძირი), კორას სახენელს არ მოეპოება, ამიტომ ამათი მსგავსების შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება. აქ შეიძლება აღნიშნულ იქნას, რომ როგორც ერთს, ისე მეორეს მოკაული მხარი აქვს და ეს გარემოება მათ, მხრების სახის მიხედვით, სახენელების ერთ ვარკვეულ ტიპში აქცევს<sup>1</sup>. მაგრამ სახენელების ეს ერთ-ერთი ძირითადი ტიპი,



სურ. 23

კორას სახენელი, Braungart-ით


რომლის განვითარებულ სახეს რაჭული სახენელი წარმოადგენს — თავისი წარმოშობით წინააზიური ტიპია და ამდენად ინდოევროპულ სახენელთან საერთო არა აქვს რა. ასევე კორას სახენელიც არა ინდოევროპული წარმოშობისაა (იხ. ქვემოთ).

მეორე მხრით Braungart-ი უცილობს ამავე იარაღს ანალოგი მოუნახოს ირანულ სახენელში. მაგრამ აქაც, ინდოევროპული თეორიით გატაცებული ავტორი, შეცთობას უშვებს. ამ შემთხვევაშიც ირანულ სახენელს არ მოეპოება არც ფარფლიანი ქუსლი და არც წეწენა || წინმაველა. მას აქვს ოთხკუთხედა ქუსლი, რომელიც რაჭული სახენელის ქუსლისგან დიამეტრალურად განსხვავდება. ამ უკანასკნელში ჩვენ გვაქვს ოვალურად ამოთხრილი ქუსლის ძირი, რომელსაც შუაზე ნაწიბური ჩაუდის და რომლის მსგავსი ირანულ სახენელს არ მოეპოება. კიდევ მეტი, რაჭული სახენელის ქუსლის ძირის გულამოდებულობა ემსახურება არა მარტო იმას, რომ შეამსუბუქოს ქუსლი, როგორც ამას ირანულ სახენელშიც ვხედავთ, არამედ იმასაც, რომ სახნისის მიერ აჭრილ მიწის ნაწილს გასავალი მისცეს ქუსლის ძირში და მით ხელი შეუწყოს კიდევ უფრო მეტად სახენელის გამწევე ძალას, ხარებს, მუშაობაში. ამას მსგავსი Braungart-ის ირანულ სახენელს არაფერი არ მოეპოება. ესეც რომ არ იყოს, ზემოთ ჩვენ დავინახეთ, თუ ქართველი ტომები რა დიდ ყურადღებას აქცევენ სახენე-

<sup>1</sup> გ. ჩიტაია, ეთნოგრაფ. მოგზაურობიდან etc., საქ. მუზ. მოამბე, ტ. IV, გვ. 216-218: «ხევსურული» და «ფშაური» სახენელები.

ლი იარაღის ქუსლების დაწინაურებას საერთოდ და კერძოდ ქუსლის ძირებს. აქ მოცემული ქუსლის სახეები, ირანული პრიმიტიული ქუსლის სახესთან შედარებით, მაღალგანვითარებული ქუსლის ტიპებს ეკუთვნიან, რომელნიც საკუთარი სახენელი იარაღის ქუსლის შინაგანი განვითარებით არიან შექმნილნი და არა სესხების გზით მიღებულნი. ირანელების მიმართ შეიძლებადა პირუკუ დასმულიყო საკითხი, რამდენადაც ირანში ქართული გუთანია გავრცელებული<sup>1</sup>.

აგრეთვე განსხვავებულია ირანული სახენელის მხარი რაჭული სახენელის მხარისაგან კერძოდ, ხოლო საერთოდ მოხრილი მხარის ტიპისაგან („ხევსურული სახენელი“)<sup>2</sup>. როგორც ვიცით, რაჭული სახენელის მხარი, ისევე როგორც ქართველ ტომებში გავრცელებული „ხევსურული აჩაჩი“-ს ტიპის მხარი, თავისი ბოლოთი ჩასმულია ქუსლში, სადაც სოლების შემწეობით შეიძლება ქუსლის და მხარის აწვე-დაწვევა სახნავის დასაავაკებლად ან დასალრმავებლად. ირანულ სა-



სურ. 24  
სპარსული სახენელი, Braungart-ით

ხენელს კი მხარის ბოლო დაკრული აქვს ზემოდან ქუსლის ბოლოში, ან კიდევ სახენელის ხელნებში უძრავადაა გაყრილი. ამის გამო ეს სახენელი მოკლებულია კვალის დასალრმავებელ და დასაავაკებელ საშუალებას. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც ირანულ სახენელს და რაჭულ სახენელს შორის განსხვავება არსებითია. საერთოდ, ირანული სახენელი ჩიფტის სახელით ცნობილი სახენელი იარაღის ტიპისაა უფრო მეტად, ვიდრე რაჭული

მოხრილი და ქუსლში ჩამჯდარი მხრიანი სახენელი იარაღის ტიპისა<sup>3</sup>. რაც შეეხება ამ ორი სახენელი იარაღის ხელნებს — მათი მსგავსების შესახებ ლაპარაკი კი არ შეიძლება.

ამგვარად, Braungart-ის როგორც პირველი, ისე მეორე მოსაზრება, როგორც დავინახეთ, დაუსაბუთებელი და მიუღებელი შეიქნა. დავგრჩა განვიხილოთ იმავე Braungart-ის მესამე მოსაზრება, რომლის მიხედვით რაჭული სახენელი გარდამავალი სახეა კორა-პაპაუს<sup>4</sup> სახენელიდან სოლისებურ სახენელზე<sup>5</sup>.

<sup>1</sup> Leser, op. cit., გვ. 36; Braungart, Urheimat, etc., გვ. 296, სურ. № 222; Goldenstätt, op. cit., ტ. II, გვ. 482. ივ. ჯავახიშვილი, op. cit.; ტ. I<sup>3</sup>, გვ. 232, ცნობას ირანში ქართული გუთნის არსებობის შესახებ საკუთარ ხდის. ეს უთუოდ შეცთობაა.


<sup>2</sup> გ. ჩიტაია, ეთნოგრაფ. მოგზაურობიდან etc.: საქ. მუზ. მონაშტე, ტ. IV, გვ. 218.

<sup>3</sup> ჩიფტის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, op. cit., ტ. I<sup>3</sup>, გვ. 244. ჩიფტის უძველესი სახე დამოწმებულია ფრიგიაში, Leser, op. cit., გვ. 351, სურ. 200. აღსანიშნავია, რომ Schrader-ი, Reallex. der Indogerm. Altertumskunde, Ackerbau — ირანულში სახენელისათვის საერთო ინდოგერმანული ძირის სიტყვას ვერ პოულობს.

<sup>4</sup> პაპაუს სახენელის სურ. იხ. Leser, op. cit., ტაბ. 5 და გვ. 472.

<sup>5</sup> Braungart, Urheim. etc. გვ. 338. ის წერს: «Wer bei diesen Pflügen (სოლისებური სახენელი—Keilflugtypus) einen Zweifel hegen sollte, der wolle nur den Pflug der Raça in Transkaukasien (fig. 204) als den offenbaren Uebergangspflug zwischen dem Pflug der Kora und von Papau und dieser Gruppe ansehen».

Braungart-ის ამ მოსაზრების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ მის მიერ აღიარებული, სოლისებური სახენელის ტიპი მყარად დადგენილი არ არის<sup>1</sup>; როგორც ჩანს ავტორსაც ეპარება ეჭვი ამ ტიპის არსებობის შესახებ (იხ. აქვე, გვ. 278, შენ. 5). კიდევ მეტი. ავტორი ფიქრობს ამ ტიპის დადგენას რაჭული სახენელის შემწეობით, იმ სახენელი იარაღის, რომელიც თვით მოითხოვს სახეობის თვალსაზრისით სათანადო სატიპოლოგიო კლასიფიკაციაში გარკვეული ადგილის მიჩენას (იხ. ზემოთ, გვ. 55—56). ამასაც რომ თავი დაეანებოთ,



სურ. 25

გუთნით ხენა (სპარსეთი)

Braungart-ის განსაზღვრა კორასი, პაპაუ-ს და ეგრეთწოდებული სოლისებური სახენელებისა დამყარებულია ამ სახენელების ქუსლების ზოგად სხვაობაზე. როგორც ვიცით, კორასი, პაპაუს და ეგრეთწოდებული სოლისებური სახენელები და მათი ქუსლების სახეები პრიმიტიულ საფეხურს არ გასცილებიან. რაჭული სახენელის ქუსლთან შედარებით ისინი კონსტრუქციით და ფუნქციით მეტად ჩამორჩენილი სახეებია. როგორც ზემოთ დავრწმუნდით (გვ. 267) რაჭული სახენელის ქუსლი, სახენელი იარაღების ქუსლების განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს. ეს ქუსლი თავისი დაწინაურებული ნაწილების გამო,

<sup>1</sup> კრიტიკა სოლისებური სახენელის ტიპის არსებობის შესახებ იხ. Leser, Entst. und Verbr. des Pfluges.

მეტად რთული დანიშნულებისაა და რთულ ფუნქციას ასრულებს, რომლის შესრულება კორას, პაპაუს და ეგრეთწოდებულ სოლისებური სახენელის ქუსლებს არ შეუძლია. ამიტომ, არ შეიძლება რაჭული სახენელის ქუსლის კორა-პაპაუს და ეგრეთწოდებულ სოლისებური სახენელის ქუსლებს შორის დაყენება და ამით შორის გარდამავალ სახედ წარმოდგენა, ასევე მთლიანად რაჭული სახენელი მეტად დაწინაურებული სახენელი იარაღია კორა-პაპაუს და ე. წ. სოლისებურ სახენელებთან შედარებით.

ამგვარად, როგორც პირველი ორი, ისე ეს მესამე მოსაზრებაც რაჭული სახენელის შესახებ Braungart-ს დასაბუთებული არ აქვს და მიუღებელია.

რაჭული სახენელის შესახებ Braungart-ის ზემოთდასახელებული შეცთომები დამყარებულია ავტორის იმ ყალბ დებულებაზე, რომლის მიხედვით სახენელი იარაღის დაწინაურებული სახეები მხოლოდდამხოლოდ ინდო-გერმანელების მიერ არიან შექმნილნი. კერძოდ სახენელი იარაღის ის ტიპი, რომელიც მოცემულია ქუსლში ჩამჯდარი მხარის სახით (იგივე კორას, იგივე პაპაუს, ჩვენებული ხეფსურული აჩაჩი-ის ტიპი) ირანელების მიერ<sup>1</sup> არის კავკასიაში შემოტანილი საშუალო ევროპიდან, საიდანაც ეს სახენელი იარაღი ბერძნებმაც მიიტანეს საბერძნეთში<sup>2</sup>.

Braungart-ი ფიქრობს, რომ ამ ტიპის სახენელი იარაღის წარმოშობა ძველ ბაბილონსა და წინა-აზიაში არ შეიძლება მომხდარიყო, რადგანაც ეფრატსა და ტიგროსზე შექმნილი სახელმწიფოები, მხედრობაზე, გრძობის კულტზე და ხელოვნებაზე დამყარებულნი, — მოკლებული იყვნენ სასოფლო მეურნეობის საფუძველს. ამიტომ აქ შეიქმნა განვითარების უნარს მოკლებული ფალსისებური სახენელი იარაღი, ხოლო გერმანელებმა წარმოშვეს განვითარების უნარის მქონე სახენელი იარაღის ეს ტიპი, რომელმაც განვითარებული გერმანული გუთნის სახით მთელი მსოფლიო დაიპყრო<sup>3</sup>.

ძველ ბაბილონში სოფლის მეურნეობის ბაზისის არსებობის უარყოფა ეწინააღმდეგება ისტორიულ სინამდვილეს და ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. როგორც ცნობილია, ძველ ბაბილონს ახასიათებდა ირიგაციის რთული სისტემა, ხენა-თესვის და მოსავლის აკრეფა-მომარაგების რთული წესები და უაღრესად განვითარებული მიწის, ხენა-თესვის და მოსავლის კულტი, რაც უდაოდ ამტკიცებს მის სოფლის მეურნეობაში მიწისმოქმედების უდიდეს როლს და მნიშვნელობას<sup>4</sup>. ამდენად ამ მეურნეობაში გარკვეული როლი სახენელ იარაღ-

<sup>1</sup> ირანში ამ ტიპის არსებობა დამოწმებული არ არის.

<sup>2</sup> Braungart-ი წერს: «Ja (ირანელები) hatten sie (აჩაჩები) von der Mitteleuropa mitgenommen, woher auch die Griechen diese Geräte haben» (Urchinat etc., გვ. 264).

<sup>3</sup> Braungart, op. cit., გვ. 392: «Der altbabylonische phalusartige Pflug war ungeeignet und unentwicklungsählig... Die nur auf Kuns, Sinneukultus und Armee begründeten Euphrat-Tigris Staaten waren sehr kurzlebig, weil die landwirtschaftliche Basis fehlte. Der ganz andersartige, entwicklungsfähige und höchst gefahrte germanische Pflug herrscht heute in der ganzen Welt».

<sup>4</sup> შტრ. Herodot., I, 193, IV, 198; Deimel, Ackerbau in sumerischer Zeit; მისივე, Ackerbau in altbabylonischer Zeit — ორივე მოთავსებულია Reallexikon der Assyriologie, ტ. I; Ed. Meyer, G. d. A.; Ed. Hahn, op. cit., გვ. 96-97; მისივე, Von der Hake zum Pflug, I, p.

საც უნდა ჰქონოდა. სხვა არის თუ ვიტყვი, რომ ძველი ბაბილონის მეურნეობის პირობებში, მიწის ნიადაგის თავისებურების გამო (მორწყული რბილი მიწა), ეგების რთული იარაღის არსებობა აუცილებელ საჭიროებას არ წარმოად-



სურ. 26

ბაბილონური სახენელი, Leser-ით

გენდა, როგორც ამას მოითხოვდა წინააზიის სხვა მხარეების მაგარი და მალალი აგროზოლის ნიადაგი (მაგ. კაბადუკია, პონტო და სსვა.) კერძოდ არ ჩანს, რომ ბაბილონის სახენელ იარაღებს ლითონის ნაწილები ჰქონოდა<sup>1</sup>. ყოველ შემ-



სურ. 27

ბაბილონური სახენელი, Prinz-ით

თხვევაში სახენელი იარაღის ის ტიპი, რომლის აღმოჩენას Braungart-ი გერმანელებს მიაწერს, ძველ ბაბილონსა და წინააზიის სხვა მხარეებშიც დამოწმებულია უძველეს ხანიდან. ეს სახენელი იარაღის ის ტიპია (Pflug mit Krümmel),

1915, მომყავს Seler-ის რეცენზიის მიხედვით: Z. f. Ethn., Jhr 1915, გვ. 380; V. Scheil, La charrue Symbole de Ningirsu: Revue d'assyriologie et d'archéologie orientale, Paris 1937, ტ. 34, № 1, გვ. 42. Древний Восток, М. 1936, გვ. 74 და შმდ.; განსაკუთრებით H. Prinz, Babyloniens Landwirtschaft: Weltwirtschaftliches Archiv, 1916, ტ. II, 1, გვ. 1-42, В. Ты-  
 цев, Классич. Восток, М. 1924, ტ. I, გვ. 144, 158;

<sup>1</sup> Prinz, op. cit., გვ. 16, შენიშვნა 1.

რომელიც მართლაც გინეითარების უნარის მქონე შეიქმნა და რომლის განვითარების უმაღლეს საფეხურს რაჭული სახენელი წარმოადგენს.

რაჭული სახენელის უახლოესი კავშირი სახენელი იარაღის ამ ტიპთან სვამს საკითხს ამ ტიპის წარმოშობილობის შესახებ.

Braungart-ის მტკიცებით ძველ ბაბილონში მხოლოდ ერთი სახის სახენელი იარაღია დამოწმებული, სახელდობრ ფალოსისებური; მაგრამ იქვე მოცემულია, ფალოსისებურ სახენელ იარაღს გარდა, სახენელი სათესავი მოწყობილობით<sup>1</sup> და აგრეთვე სახენელი მოხრილი და ორნაწილედინი მხარით (იხ. სურ. 26



სურ. 28

ხეაური სახენელი, Weber-ით

და 27). ეს უკანასკნელი ხელების ქვეყნიდანაც არის ცნობილი (იხ. სურ. 28)<sup>2</sup> და მისი ქვე-სახეებიც მოიპოება<sup>3</sup>. წარმოშობილობით ეს ტიპი წინა აზიის კულტურული მონაპოვარია და ინდო-გერმანულ საშუალო ევროპასთან საერთო არაფერი აქვს.

Paul Leser-ი, რომელიც ევრეთწოდებული კულტურულ-ისტორიული სკოლის მიმდევარია და, მამასადაამე, მას ვერ დაეწამებთ ინდო-გერმანელების როლის მიჩქმალვის სურვილს, ეკამათება Braungart-ს ამ ტიპის სახენელის წარმოშობის შესახებ და ფაქტების ზეგავლენით იძულებულია აღიაროს, რომ სახენელი იარაღის ეს სახე თუმცა აქვთ ძველ ბერძნებს, რომაელებს, გერმანელებს და სხვა ინდო-გერმანელ ტომებს, მაგრამ ის ფაქტი, რომ ეს სახენელი მოეპოვებათ ბაბილონელებსა და ეტრუსკებს, ამფლავნებს ამ სახენელი იარაღის არა ინდო-გერმანულ წარმოშობილობას, რომ ეს იარაღი აქ წინა-აზია-

<sup>1</sup> ამგვარი იარაღი დამოწმებულია თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ვანის ვილაიეთის ალჯევაზისა და არტიშის მახრებში (ჟურნალი *Wurp*, 1904 წ., № 3, გვ. 47 — *Wurp*-ის წერილში). ეს საინტერესო იარაღიც წინააღმოსავლეთის კულტურის მონაპოვარს წარმოადგენს, მაგრამ ამაზე შემდეგ.


<sup>2</sup> O. Weber, *Die Kunst der Hethiter*, *Orbis pictus*, წ. 8, Br. [1920 r.], ტაბ. 48.

<sup>3</sup> Prinz, *op. cit.*, გვ. 8-9.

ში ინდო-გერმანელებამდე არსებობდა. კიდევ მეტი — Leser-ის შეხედულებით სახენელი იარაღის ეს სახე ხმელთაშუა ზღვის აუზიდან (უნდა ვიგულისხმოთ ამ ზღვის აღმოსავლეთის კუთხე) ვრცელდება ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით<sup>1</sup>.

დაახლოებით ამავე აზრის არიან B. Nopcsa<sup>2</sup> და Ed. Hahn-ი<sup>3</sup>. ამათგან პირველი ამ ტიპის სამშობლოდ შუამდინარეთს სთვლის, სოლო მეორეს ამავე შუამდინარეთიდან გამოყავს მიწისხენის კულტურაც. სხვათა შორის, Nopcsa ამოწმებს, რომ ამ ტიპის სახენელი იარაღი დღემდე შემონახულია კავკასიასა, არაბეთსა და სირიაში.

ამგვარად, Braungart-ის მტკიცების წინააღმდეგ, ირკვევა, რომ სახენელი იარაღის ეს ტიპი არამც თუ არ არის გერმანული და საერთოდ ინდო-გერმა-



სურ. 29.

ეტრუსკული სახენელი, Leser-ით

ნული წარმოშობილობისა, არამედ ის წინააზიასა შექმნილი, უთუოდ მის უძველეს აბორიგენ მოსახლეობის იმ ტომებში, რომელთაც დაწინაურებული მიწისმოქმედება ჰქონდათ და რომელნიც საერთოდ ცნობილნი არიან კულტურული მბღწევებით. ტერიტორიალურად ამ ტიპის სახენელი იარაღის შექმნა იქ უნდა მომხდარიყო, სადაც მიწის ნიადაგი სახენელის მუშაობას მეტ მოთხოვნილებას უყენებდა.


<sup>1</sup> Leser-ი სხვათა შორის სწერს, op. cit., გვ. 483: «Erster zu nehmen ist die Ansicht Braungarts, die Pflüge mit Krümmel seien indogermanischen Ursprungs. In der Tat könnte man bei flüchtigem Zusehen diesem indogermanischen Gedanken anhängen, sind diese Pflüge doch etwa von den alten Griechen und Römern und in der von Slaven, Germanen und Romanen, von Armeniern und Indern belegt. Aber ich glaube, dass man bei eingehenderer Prüfung sehr schnell von dieser Auffassung abkommen muss. Das Vorhandensein dieser Pflüge bei Babylonern und Etruskern beweist, dass sie zum mindesten hier schon vorindogermanisch sind. Und ihre Verbreitung glaube ich am zwinglosesten durch die Annahme erklären zu können, dass diese Pflüge von den Ländern um das Mittelmeer aus nach Norden und Osten ausgestrahlt sind».

<sup>2</sup> B. Nopcsa, Zur Genesē der primitiven Pflugtypen: Z. f. Ethn., 1919, N. 4-6, გვ. 239.

<sup>3</sup> Ed. Hahn, Von der Nake zum Pflug, Lpz. 1915 (იხ. აქვე შენ. 3, გვ. 280).

საკვირველ მსგავსებას ამჟღავნებს ეტრუსკული და მეგრულ-იმერული სახენელები. აქ მოტანილი ეტრუსკული სახენელი (სურ. 29) სრულ ანალოგს პოულობს მეგრულ სახენელში (იხ. სურ. 30, 3). მსგავსება იმდენად ყოველმხრივია, რომ იგი აშკარადება სახენელების ყველა ძირითად ნაწილსა და დეტალებში, კერძოდ, მათი მხარი, ქუსლი და ხელნა ერთი და იმავე სახისანი არიან.


ეს ეტრუსკული სახენელი აგრეთვე კარგად ემსგავსება მეგრულ აგაფა II ოგაფას და ეგრეთწოდებულ „იმერულ კაეს“ და ოჩოჩას. მსგავსება აქაც არა მარტო ტიპოლოგიურია, არამედ უფრო მეტიც. როგორც ერთს, ისე მეორეებს მოხრილი მხარი, ტოტიანი ხელნა და ეშვიანი ქუსლი ახასიათებს<sup>1</sup>. განსხვავებას



სურ. 30

მეგრულ-აფხაზური სახენელები, მიღებით

წარმოადგენს მეგრულ-იმერული სახენელის ამ სახის განაწევრებული მხარი და ქუსლი, რაც სახენელი იარაღის ამ ტიპის განვითარების შედეგია, ისევე როგორც ამავე მეგრულ-იმერული სახენელების ოვალური სახის ქუსლის ძირები



სურ. 31

ეტრუსკული სახენელი, Leser-ით


(სურ. 30, 1). მეორე სახის ეტრუსკული სახენელიც (სურ. 31) აგრეთვე მეგრულ სახენელს (სურ. 32) ემთხვევა. ორივე შემთხვევაში ქუსლი და მხარი მთლიანი სახისაა და ზოგადი ფორმითაც ერთმეორეს სავსებით ემსგავსებიან. ამავე ეტრუსკული სახენელის ანალოგია ქართლური ჩუთი<sup>2</sup>. მართალია სურათზე მოცემულ ეტრუსკულ სახენელს ხელნა არ აქვს, მაგრამ ეს გარემოება გასაგები გახდება

<sup>1</sup> შდრ. Leser, *Entst. und Verbr.*, გვ. 354, 226 და 461.

<sup>2</sup> გ. ჩიტიია, *ეთნოგრ. მოგზაურობიდან etc.*, საქ. მეზ. მოაზმბე, ტ. IV, გვ. 213, სურ. 4.

ჩვენთვის, თუ მოვიგონებთ, რომ ამ სახის სახენელს ძველად სარმარ იარაღად იყენებდნენ ხოლმე. ცხადია, ამ მიზნით გამოყენებულ სახენელ იარაღისათვის ხელნა არავითარ საქროებას არ წარმოადგენდა<sup>1</sup>.

ეტრუსკული სახენელის ორივე სახე, ისევე, როგორც მეგრული სახენელები ოგაფა || აგაფა, ოჩოჩა, „იმერული კავი“, ქართლური ჩუთი და „ხევსურული აჩაჩა“ სახენელი იარაღის იმ ძირითად ტიპს ეკუთვნიან, რომელიც ხასიათდება მოხრილი და ქუსლში ჩამჯდარი მახარით. ამ ტიპის შესახებ დაწვრილებით ზემოთ გვქონდა საუბარი, სადაც დადგენილი იყო, რომ სახენელი იარაღის ამ ტიპის ზედმიწევნით განვითარებულ სახეს ჩაქული სახენელი წარმოადგენს; ამა-



სურ. 32

მეგრული სახენელი, Mourier-ით

ვე დროს სახენელი იარაღების ეს ერთ-ერთი ძირითადი ტიპი ყველა ქართველ ტომშია გავრცელებული და მათთვის დამახასიათებელ სახენელი იარაღის ტიპს წარმოადგენს<sup>2</sup>. ამიტომ მცდარია Leser-ის მტკიცება, თითქოს სახენელი იარაღის ეს ტიპი მხოლოდ დასავლეთ საქართველოში იყოს გავრცელებული, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ოთხმხრიანი სახენელი (Vierseitige) ახასიათებდეს<sup>3</sup>, ეგრეთწოდებული „ფშაური აჩაჩი“<sup>4</sup>. ფშაური აჩაჩის ტიპი აღმოსავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში „ხევსურული აჩაჩის“ ტიპთან შედარებით ნაკლებად არის გავრცელებული, ხოლო „ხევსურული აჩა-

<sup>1</sup> შტრ. Leser, *Entst. und Verbr.*, გვ. 220-222; მოიგონე საბრძოლველი სახნისი, ვეფხის ტყაოსანი, ტ. ტ. 1037 და 1042 (კაც. გამოც.) და საბრძოლველი საკვეთელი, მსაჯულთა 3, 31.

<sup>2</sup> მესხური სახენელის სახეები ცალკე განხილვას მოითხოვენ.

<sup>3</sup> Leser, *Entst. und Verbr.* გვ. 525, შენ. 116.

<sup>4</sup> „Der vierseitige Pflug-ის განსაზღვრისათვის იხ. Leser, *Entst. und Verbr.* გვ. 4. „ფშაური აჩაჩის“ შესახებ იხ. გ. ჩიტიანი, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან etc., გვ. 218. ამ სახის სახენელ იარაღს წაღველ ურუმებში „შეიტან ჩიფტი“ (ეშმაკის ჩიფტი) ეწოდება.

ჩი“ (სახენელი მოხრილი და ქუსლში ჩამჯდარი მახარით) მრავლად და სხვადასხვა სახითაა მოცემული<sup>1</sup>.

წინააზიის უძველეს აბორიგენ მოსახლეობას სხვა ტომებთან ერთად ეტრუსკებიც ეკუთვნიან. ამიტომ<sup>2</sup> შემთხვევითი არ არის, რომ მათ შემონახული ჰქონიათ სახენელი იარაღის ეს სახე (იხ. სურ. სურ. 26 და 28).

ეტრუსკები ცნობილი არიან სახელწოდებით ლათ. Etrūsci, Tusci, ბერძნ. Tyrsenoi, Tyrrēnoi. ხოლო თავის თავს ისინი უწოდებდნენ Rassenā, Rasna. ფარაონ მენეპტაჰ-ს ცნობაში ეტრუსკები მოხსენიებულია Turša-ს სახელწოდებით Aquīwasa, Luka, Šardana და Šakaruša-სთან ერთად, როგორც «ხალხი ზღვის ქვეყნებიდან», «ჩრდილოეთის ქვეყნიდან მოსული ხალხი», ხოლო რამზეს III ხანაში იგივე Turša ორ ტურშა დასახელებულია Šerdana, Šakaruša, ფარისეველებთან და სხვებთან ერთად<sup>3</sup>. ჰეროდოტეს<sup>4</sup> ცნობით ეტრუსკების წინაპარი ტირსენი ყოფილა შვილი ლიდიის მეფის Atys-ის. ამავე ლეგენდის მეორე ვარიანტით ეტრუსკების წინაპრად დასახელებულია ტარხონი, შვილი ტირსენისა<sup>5</sup>. ტარხონსაც გარკვეულად იმავე წინააზიის, უკეთ მცირე-აზიის კულტურულ წრესთან მივყავართ ღვთაებთა თარხონთან დაკავშირებით<sup>6</sup>. ამიტომ მეცნიერთა

<sup>1</sup> „ხეცურული აჩაჩის“ ტიპიდან „ფშაური აჩაჩის“ ტიპის განვითარების შესახებ ჩვენთვის მიუღებელი მტკიცება, იხ. ივ. ჯავახიშვილის საქ. ევ. ისტ., I, გვ. 170-71. სახენელი იარაღის ამ ორი ტიპის წარმოშობის შესახებ საწინააღმდეგო აზრი იხ. Leser, Inst. und Verh., გვ. 500 და შმდ.; Nopcea, op. cit., გვ. 234; შდრ. ჩიტაია, ეთნოგრაფ. მოგზაურობა, საქ. მუხ. შოამბე, ტ. IV, გვ. 216-17.

<sup>2</sup> Ed. Meyer, Geschichte des Altertums, St. und Brl. 1928, ტ. II<sup>3</sup>, ნ. 1, გვ. 555-56; შდრ. D. Fimmen, Die Kretisch-Mykénische Kultur, Lpz. und Brl. 1921, გვ. 191; Pauly, Realencyklopädie des class. Altertums, N. B., St. 1909, ტ. VI; Fr. Hommel, Gr. Geogr. und Geschichte des Alten Orients, München 1904, Erst. Hälfte, გვ. 63-70; მისივე, Ethnologie und Geogr. d. Alten Orients, München, 1926, გვ. 63-70 და 1001-1004, სადაც უკანასკნელი ხანის ლიტერატურაცაა დასახელებული, იხ. აგრეთვე წინასიტყვაობა, გვ. VII.

<sup>3</sup> Herodot, 2, 94.

<sup>4</sup> Strabo, Geographica, ed. A. Meineke, Bibl. Teubneriana, Lpz. 1913, გვ. 219 და შმდ.


<sup>5</sup> პროფ. ს. ჯანაშია, ხეტების ისტორიისა და ენის საკითხებისათვის, გახ. კომუნისტი, 21 დეკ. 1936 წ.; შდრ. Fr. Hommel, Grundriss d. G. etc., გვ. 63. Hommel-ი ამ ღვთაების სახლს Tarquinius-ს და Tarquini-ს უკავშირებს; შდრ. B. Hrozný, Weiteres zu den Ländern Churri und Mitanni: Das Land Maiteni: Archiv Orientalni, vol. I, № 2, გვ. 253, შენ. 1; მისივე, Die Länder Churri und Mitanni und die ältesten Jnder: Archiv Orientalni, vol. I, № 2, გვ. 109.

Hrozný-ს შესაძლებლად მიაჩნია ეს სახელი დაუკავშიროს მეოტიელი დედოფლის Targitao-ის და სკვითების მითური წინაპრის Targitas-ის სახელებს. საყურადღებოა, რომ ივ. ჯავახიშვილი სკვითების იმავე ლეგენდაში მოხსენიებული ტარგიტაის შვილის ეპონიმურ სახელწოდებებს — „კოლაქსა“-ს კოლხთა ტომის „კორაქს“-ის გაპიროვნებულ სახელად მიიჩნევს (ივ. ჯავახიშვილი, ეკონ. ისტ., ტ. I<sup>2</sup>, გვ. 264). ამის შესახებ აქვე ქვემოთ გვ. 289.

სახელწოდება ტარხონი უძველეს ცნობებში სხვადასხვა სახითაა ცნობილი: Tarku, Tarchu, Tarchunasi, Tarchušima, Tarchuniššāš და Tarchunda (შდრ. Forrer, ZDMG. 76, 1922 და Hommel, op. cit., გვ. 1000). ჩვენთვის მეტად საყურადღებო ადგილის სუფიქსი —nda-ს შესახებ, პარალელებით —inda, —anda, იხ. A. Christian, Altkleinasiatische Völker: Reallex. der Assyriologie, ტ. I. ნაკვ. 1-2.



საუბარო. ამათი კულტურული მოქმედების ასპარეზი, განსაზღვრულ პერიოდში, თარსენ-ეტრუსკების მახლობლად იყო. ამას უნდა დაეძინა ის აზრი, რომ ამავე ტომებს ეხება ცნობა ლითონის დამუშავების მაღალი კულტურის შესახებ<sup>1</sup>, ისევე როგორც საზოგადოდ ქართველ ტომებს განეკუთვნება ვაზის დაწინაურებული კულტურა<sup>2</sup>. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ ჩვენ ზემოთმოხსენებული მოხრილი მხრიანი სახენელის წარმოშობას ამ ტომებს მივაკუთვნებთ, ვინაიდან ბაბილონთან შედარებით აქ, მცირე-აზიაში, მიწის ნიადაგი სახენელ იარაღს მეტ შოთხ უწილევას უყენებს და მისგან მეტ ეფექტურობას მოითხოვს; ხოლო სახენელი იარაღი ამ სახისაგან განვითარებულს რაჭულ სახენელს თუბალურ ტომებისად მივიჩნევთ<sup>3</sup>, რომელთაც სათანადო მეურნეობა ახასიათებდა და სათანადო დაწინაურებული სახენელი იარაღის მოთხოვნილება ჰქონდათ.



სურ. 34

იმერული ფარცხი, რ. ერისთავის მიხედვით

ამ უკანასკნელ დებულებას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ ეს დაწინაურებული სახენელი იარაღი იზოლირებულა მიღწევა კი არ არის, არაქედ აქვს ამავე ტომებში დამოწმებულია (ხვა მიღწევებიც სოფლის მეურნეობას დარგში. ასეთ დაწინაურებულ ობიექტებიდან დასავლეთ საქართველოსათვის ამჟამად ჩვენ შევიძინა დავასახელოთ: იმერული ფარცხი (იხ. სურ. 34 და 35), ჩოჩიალა ურემი, სვანური კვერი<sup>4</sup>, შნაკვი II შნაკვი (იხ. ზემოთ), «იმერული კავა», აგრეთვე სელას მაღალი კულტურა და მოწინაურებული ენდემური მარცვლეულები.

<sup>1</sup> იხ. მარი, ჯავახიშვილი.


<sup>2</sup> იხ. მარი, ჯავახიშვილი, Schrader-ი.

<sup>3</sup> ცნობილია, რომ ცნება თუბალი, ისევე როგორც კალხი, ცალკეული ტომების გაერთიანებას შეიცავდა.

<sup>4</sup> კვერის შესახებ, იხ. ჯავახიშვილი op. cit., ტ. II, გვ. 92-93; აგრეთვე სტ. მენ-თეშაშვილი, კვერი: საქ. მეზ. მოამბე, ტ. V, გვ. 83-88.

სახენელი იარაღის შესახებ ჩვენ კიდევ მეტის თქმა შეგვიძლია. ბერძნული ლეგენდა კოლხებს უკავშირებს ანდამატის საუკეთესო სახენელ იარაღს, რომელიც თითქოს ჰეფესტოსმა კოლხთა მეფეს აეტს გაუკეთა. ბერძნების ჰეფესტოსი სვანების სოლამია, რომელიც გამომგონებლობისა და ყოველგვარი ნაქნარის სიკარგის ღმერთ-კაცი და სახენელ-სახნისის მფარველია (იხ. ზემოთ გვ. 252). იმავე აეტს ცეცხლმქშინავი სპილენძის ჩლიქებიანი ხარები ჰყოლია. ეს მითი მთლიანად კოლხების მიწისპოქმედების მალაღმარისხოვანი კულტურის დამამტკიცებელი და სახენელი იარაღის საუკეთესო ხარისხის მაჩვენებელია<sup>1</sup>.

პროფ. ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად სკვეთურ ლეგენდას, ციდან ჩამოვარდნილი ოქროს სახენელის შესახებ, კოლხების ტომს უკავშირებს („კორაქსი“)<sup>2</sup>. არა ნაკლებ საყურადღებოა ოსური ლეგენდა, რომელიც პირველი გუთნის გაჩენას ქართველებს მიაწერს<sup>3</sup>. ოსური ლეგენდა საკმაოდ ქრისტიანიერებუ-



სურ. 35

იმერული ფარცხი (კაბლა), რ. ერისთავის მიხედვით

ლია. ხოლო ამავე ლეგენდის წარმართული უძველესი სახე კახელებს აქვთ შემონახული. კახურ ლეგენდაში: გიორგის და სოლომონის ნაცვლად მომქმედ პირებად კაცი, მზის დედა და მზეა გამოყვანილი<sup>4</sup>. გაძნელებული მშობიარობის პროცესში მელოგინე ქალის ერთი ვინმე ჭირისუფალთაგანი მიემგზავრება ზეცაში, რათა მზის დედას გასაჭირი მოახსენოს და შეეღა სთხოვოს. გზად ის მხენელს შეხვდება, რომელიც რკინის გუთნით ხნავს და მიუხედავად იმისა, რომ მეტად კარგი ხარები ყავს, მოხნული მცირე გამოჟღის. მხენელი მგზავრს სთხოვს გადასცეს მისი გაჭირება მზის დედას და შეეღა სთხოვოს. ზეცაში ირმის ზურგით და რკის საშუალებით ასული მგზავრი მზის დედას მოახსენებს: მშობიარის, გუთნისდედის, ცხვისის, მეცხვარის, მგლის და ირმის გასაჭირზე. მზის დედა მგზავრს გადააქცევს ნემსად, კედელზე მიამაგრებს და მგზავრობი-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. ოპ. cit., ტ. I<sup>2</sup>, გვ. 263; ს. ჯანაშია, საქ. ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს. (კონსექტი): ტფ. უნივერსიტეტი, ტ. V, 1936, გვ. 62.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი ოპ. cit., I<sup>2</sup>, გვ. 264.

<sup>3</sup> იხ. ჩვენი ჩანაწერი: ეთნოგრაფ. მოგზ. etc., საქ. მუხ. მოამბე, V, გვ. 119.

<sup>4</sup> Н. Степанов. Поверия грузин Тбилистского края: СМОЛНИК, XVII, ნაწ. II, გვ. 129-35.

დან დაბრუნებულ მზეს ჰკითხავს, თუ რა ნახა მან დედამიწაზე. მზე მოუყვება მშობიარის, გუთნისდედის, ცხვრის, მეცხვარის, მგლის და ირმის გასაჭირს და თანვე მათა გასაჭირის საწინააღმდეგო საშუალებებს ასახელებს; მზე გუთნისდედის თაობაზე ამბობს, რომ მეგუთნეს ვერ მოუფიქრებია, რომ გუთანს რკინისა უნდა ჰქონდეს მხოლოდ სახნისი და საკვეთელი (რუსულ ტექსტში შეცდომით თარგმნილია „ружьи и стрелы“), მაშინ გუთანი შემსუბუქდება და ხარები ბევრს ორნატს გააელებენ და ბევრს მოხნავენ. ამ ლეგენდაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული რკინის საკვეთელსა და სახნისს. ეს რთული სახენელი იარაღის არსებობას ჰგულისხმობს. როგორც Prinz-ს აქვს გამოკვეთილი ძველ ბაბილონში სახენელებს სახნის-საკვეთელი არ გააჩნდათ. ხეთის სამეფოში ხატოვანი დამწერლობის მქონე ტომებში ლითონის სახნისის არსებობა სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ (იხ. ზემოთ, გვ. 287). ლეგენდების მიხედვით და ქართველ ტომებში ლითონის კულტურის და განვითარებული მიწისმოქმედების არსებობის პირობებში სადაო აღარ უნდა იყოს სახნის-საკვეთელის წარმოშობის<sup>1</sup> საკითხი, მაგრამ ამჟამად ამ საკითხზე ჩვენ არ შევჩერდებით. არ შევჩერდებით აგრეთვე ზემოთმოყვანილ ლეგენდაზე. აღენიშნავთ მხოლოდ, რომ ლეგენდებიდან აშკარად ჩანს ის, რომ სახენელი იარაღების გამოგონება-დაწინაურებაში ქართველ ტომებს საპატიო დამსახურება მიუძღვით. ამდენად სავსებით ბ.თილდება რაჭული სახენელის ინდო-გერმანული წარმოშობილობა და ირკვევა, რომ არა თუ რაჭული სახენელი არ არის ინდო-გერმანული წარმოშობილობისა, არამედ სახენელი იარაღის ის ტიპიც, რომლისაგან ძირითადად განვითარდა რაჭული სახენელი გერმანული არ არის, იგი წინააზიური წარმოშობილობისაა და მიეკუთვნება ალაროდიელ-სუბარელ ტომებს, და ამ ტომთა დღევანდელ წარმონაღმდენებს — ქართველებს.

ამგვარად, ყველა ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ რაჭული სახენელი თავისი ფარფლიანი ქუსლით და წიწვნა || წინმავალათი მეტად თავისებური სახენელი იარაღის სახეა, რომელსაც ქართველ ტომთა სახენელი იარაღების გარეშე ანალოგი არა აქვს სხვა ხალხთა სახენელებში საზოგადოდ, და ინდოევროპული ტომების სახენელ იარაღებში კერძოდ. Braungart-ის მტკიცების წინააღმდეგ, რაჭული სახენელი არც ირანულ და არც საშუალო ევროპის სახენელებისაგან დამოკიდებული არ არის, არამედ ის მიღებულია ქართველი ტომების (კერძოდ თუბალური ტომების) სახენელი იარაღების ძირითადი ელემენტების შინაგანი გაუმჯობესების გზით და უძველესი სახენელი იარაღის ტიპის განვითარების უმაღლეს საფეხურს, მის გვირგვინს წარმოადგენს.

ამასთანავე რაჭული სახენელი თავისი მეტად დაწინაურებული ფარფლიანი ქუსლით და წიწვნა || წინმავალათი უძველეს სახენელთა მარტივი კონსტრუქციის ფარგლებში იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც რთული სახენელი იარაღი, გუთანი თავისი ფრთითა და ფამფალაკით. კიდევ მეტი, რაჭული სახენელი თავისი ოვალური (ფარფლიანი) ქუსლით რამდენიმე საუკუნით წინ უსწრებს ევროპული გუთნის შედარებით ახალ შენაძენს — ოვალურ ფრთას. რაჭული სახენ-

<sup>1</sup> საკვეთლის შესახებ, იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკ. ისტ., ტ. I, გვ. 253-55.

ნელი უმეტესად „მთის გუთანია“, შეფარდებული ფერდობის ნიადაგთან, რელიეფთან და სპეციფიკურ სამეურნეო პირობებთან.

არსებითად რაჭული სახენელი, როგორც სახენელი იარაღების გარკვეული სახე, წარმოადგენს სახენელთა იმ ძირითად ტიპს, რომელიც შექმნილია წინა-აზიაში და ეკუთვნის წინააზიის უძველეს კულტურულ მოსახლეობას — ქართველ ტომთა წინაპრებს ალაროდიელ-სუბარელი ტომების სახით საზოგადოდ, ხოლო თუბალ-მუსკ-თირსენებს (ეტრუსკებს) კერძოდ. სახენელი იარაღის ეს ტიპი კავკასიაში მრავალი სახით, ქვესახითა და ვარიანტებით არის დამოწმებული. ამავე დროს ქართველ ტომებში სახენელი იარაღების მაღალი კულტურის არსებობას სხვა მონაცემებს გარდა ბერძნული, სკვითური და ოსური ლეგენდები ადასტურებენ ისევე, როგორც საკუთრივ ქართული გადმოცემები.

დასასრულ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რაჭული სახენელი დასაველეთ საქართველოს ქართველ ტომთა ერთად-ერთი მიღწევა კი არ არის, არამედ მათში დამოწმებულია მრავალი სხვა კულტურული მონაპოვარი. მაგ.: „იმერული ფარცხი“, ჩოჩიალა ურემი, სვანური კვერი, სამკელი იარაღი „შნაკვი“, ენდემური პურეულები და სხვ.

UN INSTRUMENT ARATRIFORME DE RAČA

(RÉSUMÉ)

L'auteur nous fait la description d'un instrument aratriforme de Rača, exposé par la Section Ethnographique du Musée de la Géorgie à l'Exposition Svane (voir fig. fig. 1-7). Les recherches exécutées par l'auteur dans les régions mêmes où l'on se sert de cet instrument lui ont permis de fixer les confins de son emploi (voir la cartogramme).

C'est une étude bien scrupuleuse des parties diverses de cette espèce d'araire de Rača qui a permis à l'auteur de relever les défauts de l'unique description de cet instrument faite par Petzholdt et dont Braungart et Leser se servent ensuite.

Après avoir étudié soigneusement le pied de cette espèce d'araire, l'auteur trouve la possibilité d'en tirer la conclusion que cet instrument, d'une construction particulière et originale, ainsi que rare, est capable de remplir des fonctions complexes. Il est évident que cet instrument, pouvant servir de charrue, par suite de sa construction très pratique, facilite le travail de sa force tractive.

Les recherches de l'auteur sur les pieds des instruments employés à labourer la terre par les tribus géorgiennes l'ont persuadé que le pied de cette espèce d'araire de Rača ne résulte que de l'évolution, ainsi dire intérieure, des pieds de semblables instruments géorgiens.

Le devant de l'araire de Rača (qu'on appelle *çeçena*) assez particulier, fut à son tour l'objet d'une étude spéciale de l'auteur et fait croire que cette partie répond aux principes de construction dont se servent les tribus géorgiennes pour leurs instruments de travail. Grâce à cette partie (*çeçena*), l'extrémité du timon de l'araire possède un appui qui facilite la besogne des boeufs.

Cet instrument possède pourtant d'autres particularités: elle est inclinée, ce qui distingue essentiellement cet instrument d'une autre espèce d'araire des tribus géorgiennes qu'on appelle «*orxela*».

L'auteur fait aussi des recherches sur les conditions économiques relatives à l'araire de Rača.

L'auteur examine en détail des thèses douteuses de Braungart qui maintient que l'araire de Rača est pareil à ceux de l'Iran et de Kora, ou

bien, n'est qu'un type transitif entre celui de Kora-Papau et l'araire cunéiforme («Keilpflug»). L'auteur affirme que ni par son pied, ni par son devant (çecena), ni par son timon, ni par la corrélation entre le timon et le pied, l'araire de Raça ne possède aucune ressemblance avec les instruments cités par Braungart; par suite on rejette une autre fausse conception de Braungart d'après laquelle les géorgiens sont d'origine iranienne.

L'auteur maintient qu'entre l'araire de Kora et celui de Raça il n'existe qu'une ressemblance assez éloignée: les deux se rapportent l'un à l'autre comme deux types de parenté provenant d'un prototype commun d'instrument à labourer de l'Asie Antérieure. Les instruments de pareille espèce existaient chez les anciens babyloniens, hétéens et étrusques. Le pied de l'araire de Raça diffère de celui de Kora, tandis que le devant du premier n'existe point chez les deux autres.

Pareillement inadmissible et incorrect semble à l'auteur l'avis de Braungart que l'araire de Raça présente un instrument du type transitif entre celui de Kora-Papau et l'araire cunéiforme («Keilpflug»). L'auteur maintient que l'existence d'un type d'araire cunéiforme supposée par Braungart n'est pas encore établie avec certitude (cf. Leser). Donc, il doit être une chose assez difficile de se servir d'un instrument, dont le type n'est pas encore établi, pour déterminer la place d'un autre instrument (l'araire de Raça) dans une classification typologique des araires.

Si on prend en considération ses parties de devant, l'araire de Raça appartient à un type supérieur en comparaison de celui de Kora-Papau comme du soi-disant araire cunéiforme. Il est, donc, absolument inadmissible de le placer parmi ces derniers appartenant aux types beaucoup plus primitifs.

L'auteur n'admet pas non plus que l'araire de Raça appartienne au type Joch-Pflug car Leser dans ses opinions ne prend en considération qu'une seule partie de cet instrument —son timon court—tout en négligeant ses autres parties essentielles.

Les recherches de l'auteur aboutissent à la conclusion suivante:

L'araire de Raça, grâce à son pied ovale et son devant (çecena), présente une espèce d'araire bien particulière; on ne trouve d'instruments analogues que parmi les araires employés par les tribus géorgiennes; il n'y a pas d'instruments semblables ni parmi les araires chez les autres nations en général, ni parmi ceux qu'on connaît chez les tribus indo-européennes en particulier.

Malgré l'opinion de Braungart, l'araire de Raça ne possède rien de commun avec ceux de l'Iran et ceux de l'Europe Centrale provenant des instruments des tribus géorgiennes auxquelles il est redevable de ses principales parties intégrales qui ont subi des perfectionnements à l'intérieur

du pays-même. L'araire de Rača présente un modèle supérieur de l'évolution des anciens instruments à labourer et peut-être considéré comme un véritable chef-d'oeuvre parmi ses précédents.

En outre, l'araire de Rača avec son pied ovale, se projetant très en avant et son devant (čečena), quoique appartenant aux types des araires les plus primitifs, remplit les mêmes fonctions qui sont exécutées par une charrue compliquée possédant une «oreille» et un avant-train. En plus, l'araire de Rača, grâce à son pied ovale, devance de quelques siècles un des détails constructifs comparativement récents des charrues européennes—c'est leur «oreille» ovale. Ainsi, l'araire de Rača est une véritable «charrue des montagnes», adaptée aux particularités du sol, du relief et aux conditions économiques locales.

L'araire de Rača, étant une espèce d'instrument à labourer la terre bien défini, appartient au type fondamental d'instruments aratoires, créés jadis en Asie Antérieure; il date de la culture de la plus ancienne population de l'Asie Antérieure, des alarodo-soubaro-japhétique, en général et des tribus Toubale-Moskhe-Tirséennes (étrusques) en particulier. On trouve ce type d'araire au Caucase, représenté par de nombreuses espèces, sub-espèces et variantes. L'existence d'une culture bien avancée des instruments à labourer chez les tribus géorgiennes, en plus d'autres preuves, est confirmée par les légendes grecques, scythes et ossètes aussi bien que par les traditions des géorgiens mêmes.

En dernier lieu il faut ajouter que l'araire de Rača n'est plus le seul instrument si bien perfectionné subsistant chez les tribus géorgiennes occidentales: on y trouve un nombre d'autres produits de la culture matérielle non moins perfectionnés, à savoir: 1. le traineau imétretien, 2. le chariot à patins, 3. la batteuse svane, 4. l'instrument à moissonner «chnakvi», 5. les plantes céréales endémiques, etc.

შუა აზიის არაბული დიალექტები

(წინასწარი ანგარიში)

Записки Коллегии Востоковедов-ის V ტომში მოთავსებულია ცნობა, რომელიც სპეციალისტთა აზრით ებოქალური მნიშვნელობისაა არაბული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის. ლენინგრადელმა მოგზაურებმა ნ. ბურიკინამ და მ. იზმაილოვამ აღმოაჩინეს შუა აზიაში, ბუხარისა და კაშკა-დარჩის მიდამოებში, არაბულად მოლაპარაკე არაბები<sup>1</sup>. შუა აზიის არაბების შესახებ ცნობები ლიტერატურაში კარგა ხანია არსებობს, მაგრამ სულ უკანასკნელ დრომდის არ იყო გამოჩვეული, რომ მათ აქამდის შეუხანავთ არაბული ენა. თუ რა მნიშვნელობა აქვს შუა აზიაში არაბული დიალექტების აღმოჩენას, ეს ნათელია ყველასათვის, ვისაც არაბული დიალექტოლოგიისა და სემიტოლოგიის საკითხები აინტერესებს და ვისაც გათვალისწინებული აქვს არაბული დიალექტების წარმოშობისა და ჭანვითარების გზები. როგორც ცნობილია, არაბული დიალექტებია წარმოიშვენ და ვითარდებოდნენ ორი სხვადასხვა მიმართულებით. თუ არაბეთის უდაბნოსა და შოაზღვრე ველების ბედუინთა მეტყველება ისლამის წინააღმდეგი მოსახლეობის ენის განვითარების შემდეგ სათეხურს წარმოადგენს, ე. წ. „არაბიდული“ დიალექტები<sup>2</sup>, ე. ი. ირაყისა, სირიისა, პალესტინისა, ეგვიპტისა და არაბული აღმოსავლეთის სხვა მხარეების ძირითადი მოსახლეობის ენა წარმოადგენს შედეგს ძველი არაბული დიალექტების აღრევისას არაბთა მიერ დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის ენებთან. შემდეგში, სოციალურ-კულტურულ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად, იზრდება მნიშვნელობა და როლი სალიტერატურო არაბული ენისა. იზრდება კლასიკური ენის გავლენა დიალექტებზე. ეს გავლენა უფრო საგრძნობია არაბეთის აღმოსავლეთის იმ მხარეებში, სადაც უფრო დიდია განათლება, სახელდობრ სირიასა და ეგვიპტეში. ამით აიხსნება რომ სირიული და ეგვიპტური, რომლებსაც საფუძვლად უცხო სუბსტრატია უდევს, ზოგჯერ უფრო უახლოვდებიან სალიტერატურო

<sup>1</sup> იხ. Н. Буркина и М. Измайлова. Некоторые данные по языку арабов кишлака Джугурты Бухарского округа и кишлака Джеинау Канжа-Дарьинского округа Узбекской ССР. Записки Коллегии Востоковедов, V. Ленинград, 1930, г.г. 527—549.

<sup>2</sup> J. Vilenčik-ის ტერმინი. იხ. მისი Zur Genesis der arabischen Zweisprachigkeit OLG, Dezember, 1935. გ. 721 და შპდ.

არაბულს, ვიდრე უფრო დამოუკიდებლად განვითარებული და „წმინდად“ შენახული დიალექტები ცენტრალურ არაბეთის უდაბნოს ბედუინებისა<sup>1</sup>. ყურადსაღებია აგრეთვე ის გარემოება, რომ ეგვიპტესა (და სირიაშიაც) მუშავდება *حيوي* ნებისაგან, რომლის გავლენა ვრცელდება გაცილებით შორს, ამ ქვეყნებას გარეთ<sup>2</sup>. ამ ვითარებაში გასაგებია ინტერესი პერიფერიულ არაბულ დიალექტებისადმი, რომლებიც ესოდენ დაშორებიან არაბული კულტურის ცენტრებს. კლასიკური ენისა და სხვა არაბული დიალექტების გავლენა არაბულს სამყაროს მოწყვეტილის უმწიგნობრო შუააზიელი არაბების ენაზე თითქმის გამოორიცილებულია. მეორე მხრით ბუნებრივია, თუ უცხო ენათა მეზობლობაში მყოფი არაბული, ამ უცხო (ტაჯიკურ-თურქულ-უზბეკურ) ენათა გავლენის ქვეშ მოექცეოდა. ამ პირობებში ჩვენ უფლება გვაქვს ველოდეთ ძველი ფორმების შენარჩუნებას, ხოლო მეორე მხრით ტენდენციას ახალი ფორმების განვითარებისაკენ სწორედ აქ, შუა აზიის არაბულში, სადაც მეტყველება არ არის „წმინდა“ და „სანიმუშო“ საყოველთაო სტანდარტის თვალსაზრისით<sup>3</sup>.

სამწუხაროდ ნ. ბურიკინას და მ. იზმაილოვას მიერ ჩაწერილი მასალა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ თუნდაც ზერელე წარმოდგენა შევიძინოთ შუა აზიის არაბულის შესახებ. მასალის უმნიშვნელო რაოდენობას რომ თავი დაეანებოთ (სულ ჩაწერილია ოცდაათამდის სტრიქონი გაბმული ტექსტისა და რამდენიმე ცალკე სიტყვა), თვით ხარისხი ჩანაწერებისა ისეთია, რომ შვედი მეცნიერი H. S. Nyberg-ი იძულებული იყო აღენიშნა, რომ ნ. ბურიკინასა და მ. იზმაილოვას შრომა ნიმუშია იმისა, თუ როგორ არ უნდა ვსწავლობდეთ დიალექტებს<sup>4</sup>. ნ. ბურიკინასა და მ. იზმაილოვას მიერ გამოქვეყნებულის, მეტად არა სანდო მასალების მიხედვით H. S. Nyberg-ი და ლენინგრადელი არაბისტი ნ. ვ. იუშმანოვი იმ დასკვნამდის მივიდნენ, რომ შუააზიური არაბული უფრო სწორად, სოფელ ჯეანაუს კილო<sup>5</sup>, საერთოდ, შეიძლება დახასიათებული იქნეს, როგორც „გატაჯიკურებული და ნაწილობრივ გაუზბეკურებული მესობოტამიური დიალექტი თანამედროვე არაბული ენისა“<sup>6</sup>.

ნ. ბურიკინასა და მ. იზმაილოვას მიერ ხსენებული წერილის გამოქვეყნების შემდეგ ჩვენ რამდენჯერმე მოგვიხდა შუა აზიაში მოგზაურობა, უკანას-

<sup>1</sup> შდრ. J. Vilenčik, *ibid.*, 724.

<sup>2</sup> შდრ. Г. Штумме. Арабский язык. Грамматический очерк в обработке Л. И. Жиркова, *Москвов*, 1922, გვ. 22--23.

<sup>3</sup> ასეთ სტანდარტად, როგორც ჩანს ამჟამად სირიული დიალექტია მიჩნეული. იხ. Г. Штумме, *ibid.*, 23; აგრეთვე *الشرق الأوسط* 15 ოქტომბერი, 1929, გვ. 26.

<sup>4</sup> იხ. მისი რეცენზია ЗКВ-ის V ტომზე. *Le Monde Oriental*, Vol. XXIV fasc. 1—2, 1930, გვ. 121.

<sup>5</sup> Nyberg-სა და იუშმანოვს შეეძლოთ მსჯელობა მხოლოდ ჯეანაუს კილოს შესახებ, რადგან ჯაგარჯ კილოზე ნ. ბურიკინასა და მ. იზმაილოვას ჩაწერილი აქვთ მხოლოდ ორნახევარი სტრიქონი გაბმული ტექსტისა და რამდენიმე ცალკე სიტყვა.

<sup>6</sup> ნ. იუშმანოვის გამოთქმა; შდრ. მისი *Арабское наречие советского Востока. Культура и письменность Востока*, წიგნი X. *Москвов*, 1931, გვ. 77.

კნელად გასული წლის შემოდგომაზე, ორი თვით. წინამდებარე წერილი წარმოადგენს წინასწარ ანგარიშს შუა აზიის არაბულზე ჩვენი მუშაობისას.

ნ. იუშმანოვის აზრი, რომ შუა აზიის არაბები თემურის მიერ (XIV ს.) უნდა იყვნენ გადასახლებული შუა აზიაში, საეპეო ხდება. თვით იუშმანოვი, ემყარება რა თემურის ისტორიკოსის იბნ ყარაბშაჰის ცნობას, აღნიშნავს, რომ თემურს ჩვეულება ჰქონდა დაპყრობილი სირიისა და მესოპოტამიის ქალაქებიდან ხელოსანთა გადასახლებისა შუა აზიაში<sup>1</sup>. მაგრამ საეპეოა, რომ შუა აზიის ქალაქებში გადასახლებულს ხელოსნებს მიეტოვებინათ ეს ქალაქები და ნომადურ ცხოვრებას დაჰბრუნებოდნენ, ან კიდევ, გადასახლებულიყვნენ სოფლებში და მეცხვარეობისათვის მოეკიდათ ხელი. შუა აზიაში ჩვენი პირველივე მოგზაურობისთანავე აშკარა იყო ჩვენთვის, რომ შუა აზიის არაბები არიან ბელუნიები რომლების ტიპი და ხასიათი დღემდის შენახულა. მიუხედავად იმისა, რომ შუა აზიის არაბთა ყოფა-ცხოვრება, ტანსაცმელი და სხ. ტაჯიკურისა და უზბეკურის გავლენის ქვეშ მოქცეულა, ამ მხრითაც არის კვალი შენახული მათი კავშირისა ბელუნიებთან. ასე მაგ., მოხუცებულებს კიდევ ახსოვთ ბელუნითათვის დამახასიათებელი თავსაბურები და საკმარისია უჩვენოთ ბელუნიის სურათი, რომ მათ იმ წამსვე შეიძახონ, რომ ასეთს თავსაბურავენს ჩვენი ძველები სმარობდნენო. შუა აზიის არაბები მაჰმადიანებად ითვლებიან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ძალიან ნაკლები წარმოდგენა აქვთ ყურანზე და საზოგადოდ ინდიფერენტულად არიან განწყობილნი რელიგიისადმი, რაც ბელუნიებისათვის დამახასიათებელია. გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას: ჩვენი არაბები რომ თემურის მიერ გადასახლებულ არაბთა შთამომავალნი იყვნენ, მაშინ მოსალოდნელი იყო, რომ მათ სირიისა და ირაკის ქალაქელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი მოვლენები ჰქონოდათ შენახული. H. S. Nyberg-ისა და ნ. იუშმანოვის მოსაზრება შუა აზიის არაბულის კავშირის შესახებ მესოპოტამიურთან, შეიძლება ნაწილობრივ მართალი; იყოს, მაგრამ Nyberg-ის მიერ მოყვანილი მაგალითები ამის დასამტკიცებლად საკმარისი არაა, რადგან დიდი ნაწილი მოვლენებისა, რომლებსაც იგი აღნიშნავს, დამახასიათებელია არა მარტო შუა აზიურისა და მესოპოტამიურისათვის, არამედ ცენტრალური არაბეთის უდაბნოს ბელუნითა მეტყველებისათვისაც. ასე მაგალითად, შუა აზიური *fad* (H. S. Nyberg-სა აქვს *fad*) განუსაზღვრელი ნაწილაკის მნიშვნელობით (ფრანგ. un გერმ. ein) მესოპოტამიური *fār(e)d* (B. Meissner, *Neuarabische Geschichten aus dem Irak, Beiträge zur Assyriologie und semitische Sprachwissenschaft*, hrsg. von Friedrich Delitzsch und Paul Haupt, vol. V, Leipzig, 1906, გვ. XXVII; აგრეთვე გვ. 74, XLV, XLII, XLVIII და შმდ.) *ferd*, *fard* (A. Socin, *Der arabische Dialekt von Mösul, und Märdin*, ZDMG, XXXVI, გვ. 4—5, 1; 10—11, 1 და შმდ.) ჩვეულებრივია აგრეთვე ბელუნითა მეტყველებისათვის: *fard* (A. Socin, *Diwan aus Centralarabien*, III, § 69, b, გვ. 96; შდრ. აგრეთვე I, 26, 14; 32, 16; 37, 17; 36, 18; 44, 22a და შმდ.); ბელუნიური *fard wāhid* (A. Socin, *ibid.*, წ. III, § 69 და ტექსტები), რომელიც მესოპოტამიურშიაც გვხვდება

<sup>1</sup> H. B. Юнманов, *ibid.*, 76.

(B. Meissner, *ibid.*, გვ. 6, IV; 8, VI; 10, VIII და შმდ.; Socin, ZDMG, XXXVI, გვ. 11<sub>1</sub> და შმმდ.) ჩვეულებრივია აგრეთვე შუააზიური არაბულისათვის (*fad ahud*); შემდეგ *ʿugub „ensuite“* ირავის *ʿag (u) b*, რომელსაც აღნიშნავს Nyberg-ი ბედუინთა ენაშიაც გვხვდება სწორედ იმ ფორმით; *ʿgub*; (B. Socin, *Diwan*, I, გვ. 26, 14), რომელიც უფრო ახლოსაა შუააზიურ *ʿugub*-თან, ვიდრე ირავის *ʿag(u)b*. ამგვარადვე *zūn „beau, bon“* ირავის *zūn*, ბედუინთა ენაშიაც საკმაოდ ხშირია (B. Socin, *Diwan*, III, ლექსიკონი, s. v. *zūn*; სადაც მოყვანილია გამოთქმა: *beẓūn*, „wohl, in gutem Zustand“, შდრ. აგრეთვე I. C. Wetzstein, *Sprachliches aus den Zeltlagern der syrischen Wüste*, ZDMG, XXII, გვ. 77, 1); აგრეთვე შუააზიური *anta< ʿat „donner“* (H. S. Nyberg, *ibid.*, გვ. 126), ირავის *anti*, გვხვდება პალესტინაშიაც, კერძოდ ნაბლუსსა და მის მიდამოებში და აგრეთვე ბედუინთა მეტყველებაში *anti*-ს სახით (იხ. Leonhard Bauer, *Das Palästinische Arabisch. Die Dialekte des Städters und Fellachen*, Leipzig, 1913, § 5, 1, f, გვ. 7). Nyberg-ის მიერ აღნიშნული *maki* (მესობოტ. *mākū*) მართლაც კარგი მაგალითი იქნებოდა შუააზიურისა და მესობოტამიურის კავშირის საილუსტრაციოდ, რომ შუააზიურში ასეთი ფორმა გვხვდებოდა. მაგრამ B. ბურიკინასა და M. იზმაილოვას მიერ აღნიშნული ფორმა შუააზიურში არ დადსტურდება. უარყოფის აღსანიშნავად იქ ჩვეულებრივ იხმარება *māhu* (მამრ.), *mā-hi* (მდედრ.) (ს. ჯაგარჯ-სში) და *māhaw* (მამრ.), *mā-hay* (მდედრ.) (სოფ. ჯეჰანაჟში). აქიდან პირველი მათგანი იდენტურია პეტრას ბედუინთა დიალექტებში ხმარებული სათანადო ფორმისა (B. Musil, *Arabia Petraea*, III, 350), ხოლო მეორე — (*māhaw*, *māhay*) უჩვენებს შუააზიური არაბულის კავშირს ახალ არამეულ დიალექტებთან, რომლებთანაც შუააზიურს ბევრი რამა აქვს საერთო.

ამგვარად, Nyberg-ის მიერ აღნიშნული მსგავსებებიდან რჩება მხოლოდ *a*, მესამე პირის მამრობითი სქესის მხოლოდობითი რიცხვის ნაცვალსახელოვანი სუფიქსი. მაგრამ ეს სუფიქსი მხოლოდ ჯეჰანაჟს კილოს ახასიათებს, მაშინ როდესაც ჯაგარჯ-სში მის ნაცვალად *u* იხმარება მსგავსად არაბულ დიალექტთა დიდი ნაწილისა<sup>1</sup>. სამაგიეროდ შუააზიურ არაბულში გვხვდება ისეთი ფორმები და მოვლენები, რომლებიც მხოლოდ ბედუინთა დიალექტებშია ცნობილი. ასე მაგ., აღსანიშნავია მახვილი, ერთმარცვლიანი სიტყვები, თუ ისინი დამოუკიდებლად არიან ხმარებული, ჩვეულებრივ ატარებენ მახვილს (შდრ. ანალოგიური მოვლენა ბედუინურში Wetzstein, *ibid.*, 179): *h̄ȳt*, *kā̄b*, *kā̄n*, *kā̄n* და *sb*. ორ-და მეტმარცვლიან სიტყვებში მახვილი დაისმის ბოლოდან პირველ მარცვალზე, თუ ეს მარცვალი გრძელია (ღია, გრძელი ხმოვნით, ან ორმავად დახურული, მოკლე-ხმოვნით) *ḥā̄n*, *ḥā̄n*, *ih̄nār*, *kab̄ir*, *mib̄ih* (<ع\*) *ḥāiet̄n*, *isā̄net̄n*,

<sup>1</sup> ეს განსხვავება ჯეჰანაჟსა და ჯაგარჯ-ს კილოთა შორის შემთხვევითი არ არის. საკმარისია სულ ზერეულ გაცნობა შუა აზიის არაბული დიალექტებისა, რომ ერთბაშად თვალში ეცეს ადამიანს განსხვავება ამ კილოთა შორის. განსხვავება თვალსაჩინოა არა მარტო ლექსიკაში, არამედ ფონეტიკაში და მორფოლოგიაშიაც. (ამის შესახებ იხ. ქვევით).

šawhari, muwakkilīn, kāmīn, zahākt და სხ. არის თითო ოროლა შემთხვევები იმისა, რომ მახვილი გვხვდება ბოლოდან პირველ მარცვალზე, თუნდაც ეს მარცვალი მოკლე იყოს: kāfīn < kāfetu < كاف, šarakūn < šaraketu < شر and სხ. მოკლე ხმოვნებიან ორმარცვლოვან სიტყვებში მერყეობასა აქვს ადგილი. ერთი მხრით გვხვდება wālad, haṭāh და სხ., მეორე მხრით ḥalād, farās და სხ. Nomina singularia მეორედი ხმოვნით ბოლოდან მეორე ადგილზე, უპირატესობას აძლევს მახვილს პირვანდელ ხმოვანზე: nahar < نهار, izīn < اذن, šaiar < شاعر, zaḥīr < حذر, zaḥīr < حذر, bātan < باتان და სხ.

აღსანიშნავია აგრეთვე განუსაზღვრელი ნაწილაკის ხმარება. შუააზიურში წინააღმდეგ კლასიკური ენისა, განუსაზღვრელობის მაჩვენებელი in (კლას. u) მხოლოდ არსობით სახელს ახლავს, მაშინ, როდესაც ზედსართავი წარმოდგენილია ფუძის სახით: waḥīn salī „ლოცვის დროს, დილას, განთიადისას, ხვალ“. farasīn aswad „შავი ცხენი“, devīn āyāz „თეთრი ღვევი“, haṭīnīn (sic) kabīr „დიდი ხატიები“ და სხვა მრავალი. ეს მოვლენა, ძალიან გავრცელებული შუააზიურ არაბულში, მხოლოდ ბედუინთა დიალექტებს შემოუნახავთ, მაშინ, როდესაც დანარჩენ არაბულ დიალექტებისათვის ის სრულიად უცნობია. ამავე დროს შუააზიური არაბულის ჯაგარჯ-ს კილოს, ისე, როგორც ბედუინურს<sup>1</sup>, არ ახასიათებს სხვა არაბულ დიალექტთა მსგავსად ზმნისართებში ნუნაციის ხმარება (როგორც მაგალითად ḥālan va saḥlan, marḥabān და სხვ.) და ეს ფორმები იქ ჩვეულებრივად უნაროდ გვხვდება: marḥabān (კლ. رحبا).

ზმნებში აღსანიშნავია მესამე პირის ფორმა მრავლობითი რიცხვისა. მამრობითისა და მდედრ. სქესისა, მეორე პირის ფორმა იმავე რიცხვისა, ორივე სქესისათვის პერფექტში, იმპერფექტის წარმოება გუტურალ თანხმოვნიან ზმნებში (yahafar); დაბოლოებანი: in II. პ. მდ. სქ. მხ. რიცხ.; īn III და II პ მამრ. სქ. მრ. რიცხვისა და in II პ. მდრ. სქ. მრ. რიცხვისა. სავანგებოდ ყურადღების ღირსია აგრეთვე ბრძანებითის წარმოება ისეთს ზმნებში, რომლებსაც მესამე ძირეულ თანხმოვნად სუსტი რადიკალი მოუღის. ასეთს შემთხვევებში კლასიკური ფორმის მოკლე ხმოვანი i (أى. اى და სხვ.), რომელიც სხვა არაბულ დიალექტებში გრძელს ī-ს იძლევა, შუააზიურში სრულებით იკვეცება და ბედუინურის მსგავსად ვლბულობთ: īna, īnk და მისთ.

სხენებულ მოვლენათა გარდა, კიდევ შეიძლებოდა მიგვეთითებინა მავალითებზე, რომლებიც გვიჩვენებენ შუააზიურის კავშირს ბედუინთა დიალექტებთან, მაგრამ უკვე მოტანილი მაგალითებიც ცხადყოფენ ამ კავშირს. სხენებული მსგავსება კიდევ იმის მაჩვენებელია, რომ შუა აზიის არაბები ბედუინები არიან და რომ მათ დღემდე შემოუნახავთ ბედუინთათვის დამახასიათებელი ენობრივი მოვლენები.

ამასთან დაკავშირებით საფიქრებელია, რომ ისინი გადმოსახლებული არიან შუა აზიაში თემურზე გაცილებით ადრე, შეიძლება დიდი დაპყრობების ეპოქა-

<sup>1</sup> G. G. A. Wallin, Bemerkungen über die Sprache der Beduinen, ZDMG, Leipzig, 1858, XII, 33, 674.

ში. როგორც ცნობილია იმ დროს დამპყრობელ არაბთა ლაშქარი შედგებოდა ცალკე ტომებისაგან, რომლებსაც შეახები მეთაურობდნენ. მეომრებს თან ახლდა ცოლშვილი და ხშირად სახლდებოდნენ ხოლმე დაპყრობილ ადგილებში თავიანთი ოჯახებით. ჩვენი არაბებიც ამგვარ კოლონისტთა შთამომავალნი უნდა იყვნენ. მათ დღემდის შემოუნახავთ ტომობრივი გარჩევა<sup>1</sup>. ამგვარად, ენობრივი განსხვავება შუა აზიის სხვადასხვა ადგილას მოსახლე არაბთა შორის მარტო იმითი კი არ უნდა აიხსნას, რომ ეს არაბები სხვადასხვა გავლენის ქვეშ არიან მოქცეული, არამედ აგრეთვე იმითი, რომ სხვადასხვა ტომებს ეკუთვნიან.

შუა აზიაში როგორც ჩანს, არაბთა დიდი რაოდენობა ყოფილა. არა მარტო უზბეკისტანში, არამედ ტაჯიკისტანსა და თურქმენისტანშიაც საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება არაბები. მათ ჯერ კიდევ ახსოვთ თავიანთ ტომთა სახელები და თავიანთ თავს ხშირად არაბებს უწოდებენ. ამგვარადვე უწოდებს მათ ადგილობრივი მოსახლეობა. მაგრამ დროთა ვითარებაში შუა აზიაში დამკვიდრებული არაბები ადგილობრივ მოსახლეობაში გათქვეფილან და სრულიად დაუკარგავთ თავიანთი ენა. მხოლოდ უზბეკისტანის ზოგიერთ მიდამოებში შენახულა არაბული.

ამჟამად არაბულად მოლაპარაკე მოსახლეობის რაოდენობა, მეტად არა ზუსტი სტატისტიკური ცნობების მიხედვით<sup>2</sup>, რამდენიმე ათასს აღწევს. ნაწილი ამ არაბებისა დასახლებულია ყოფილ ბუხარის ოლქის რამდენიმე სოფელში. ჩვენთვის ამჟამად ცნობილია არაბულად მოსაუბრე შემდეგი სოფლები: 1) აქმალბადის (ყოფ. ლიჯდუფანის) რაიონში: ჯაგარჯ, ჩარდარჯ (ანუ ჩალდარჯ), შაჰანბაგი და 2) ვობქენდის რაიონში: სოფ. ყარაბ-ხანე, ან ყარაბნ, რომელსაც შეცდომით ხან მირ-სულეჰმანს უწოდებენ, ხან კიდევ როსბადანი-ს.

მეორე ცენტრი არაბულად მეტყველი მოსახლეობისა უფრო საზრებით არის, ქალაქ კარში-ს (ბექ-ბუდის) ჩრდ. დასავლეთით, სამოცდაათი კილომეტრის მანძილზე, სახელდობრ კაშკა-დარის ოლქის ბექქენდის რაიონის სოფლებში: კამაში და ჯეჰანაუ. ხსენებულ სოფლების გარდა, ბუხარისა და კაშკა-დარის არაბებიც ასახელებენ ადგილებს, სადაც თითქოს შენახული უნდა იყოს არაბული ენა, მაგრამ ამ ცნობების შემოწმება ვერ მოხერხდა. ჯეჰანაუს არაბები, გარდა ამისა, აღნიშნავენ, რომ ავღანისტანში, ანდხოიში, მაიმონის მხარეზე ოხჩასა და შუბურდანის მახლობლად არაბები სცხოვრობდნენ და რომ თვით

<sup>1</sup> მაგალითად სოფ. ჯაგარჯ-სა და ჯეჰანაუში გვხვდება ტომები: საყნანი, ჰაშიმი, შაჰბანი, შაჰბანი და სხ., თავის მხრით ტომები მ ა ჰ ა ლ ლ ე ბ ა დ „ნათესავებად“ დაიყოფიან. მკვ. სოფ. ჯეჰანაუში არაბთა ექვსი მახალაა: ბავარა, ყავანა, ჰარრუქ, ანდხოე, ჩუკურკული, ქათაფაი. აქიდან პირველი სამი არაბულად ლაპარაკობს, მეორე—უზბეკურად. აქ დასახლებული ერთ-ერთი ტომი, შაჰბანი საკმაოდ ცნობილია არაბულს ლიტერატურაში. ეს ტომი ენათესავება ბანუ ჰანიფას ტომს, რომელიც ემამაში მოსახლეობდა და მასთან ერთად ბექქრბენ ვაილის ძლიერ ტომში შედიოდა. (ნ. მ. ჯ. დე გოჯე, Encyclopädie d. Islām. 7. Lieferung, გვ. 395). შაჰბანის ტომის ცენტრალურ აზიაში აღმოჩენა ერთგვარ მნიშვნელობას არაა მოკლებული ჩვენ არაბთა ისტორიის გასათვალისწინებლად.\*

<sup>2</sup> В. Шибяев. Туркменский состав населения Европейской части СССР, Ленинград 1930, გვ. 124, 289.

კაშკა-დარიელი არაბები თითქოს იქიდან ყოფილან მოსულნი. ჯეანაუელი მოხუცები აღნიშნავენ, რომ მათ ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ ამა თუ იმ პირის ვადმოსახლების ამბავი და რომ მაგალითად ერთი ახალგაზრდა კოლმეურნის  $\chi o\dot{\zeta}a\ muer\ddot{a}d$ -ის პაპა 'asir barfak არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ავღანისტანიდან მოვიდა. ჯეანაუში გავრცელებულია ლეგენდა, თითქოს შუა აზიის არაბები თემურმა მოიყვანა ავღანისტანიდან. შეუძლებელი არაა ეს ლეგენდა სინამდვილეს შეეფერებოდეს. შესაძლებელია დიდი დაპყრობების ეპოქაში ავღანისტანში დარჩენილმა არაბებმა შემდეგში ჩრდილოეთისაკენ ინაცვლეს ადგილსაყოფელი, თემურის მეოხებით, ან რაიმე სხვა მიზეზების გამო. ყოველ შემთხვევაში რომ ჩვენს არაბებს ავღანისტანთან კავშირი ჰქონიათ, ამას ისიც ადასტურებს, რომ მათს მეტყველებას გაცილებით უფრო ემჩნევა ავღანურის გავლენა, ვიდრე ადგილობრივ უზბეკურსა და ტაჯიკურს.

ჩრდილოეთისა (ბუხარის ოლქის) და სამხრეთის (კაშკა-დარიის ოლქის) არაბები ერთმანეთისაგან მოწყვეტილად ცხოვრობენ და იშვიათად თუ აქვთ ერთმანეთში მიმოსვლა. განკერძოებული არიან აგრეთვე ეს არაბები ადგილობრივ მოსახლეობისაგან. ცოლად მხოლოდ არაბის ქალები მოჰყავთ. მხოლოდ სულ უკანასკნელ დროს დაიწყეს საქორწინო კავშირი მეზობელ ტაჯიკებთან და უზბეკებთან.

ჩვენი მუშაობა სწარმოებდა უმთავრესად ერთი მხრით აქმალაბადის რაიონის სოფ. ჯაგარჯსა და ვობკენდის რაიონის სოფ. ყარაბ-ხანეში, ხოლო მეორე მხრით—ბეშქენდის რაიონის სოფ. ჯეანაუში. გარდა ამისა ჩავიწერეთ მცირეოდენი ტექსტები სოფ. ჩარდარჯ-სა, შაჰან-ბაგსა (აქმალაბადის რაიონი) და კამაში-სში (ბეშქენდის რაიონი), გამოირკვა, რომ ჩრდილოეთით (ბუხარის ოლქში) მცხოვრებ არაბთა ენა საკმაოდ განსხვავდება სამხრეთის (კაშკა-დარიის ოლქის) არაბული მოსახლეობის ენისაგან. განსხვავება იმდენად დიდია, რომ თამამად შეიძლება ორი დამოუკიდებელი დიალექტის გამოყოფა. მაგრამ ვინაიდან ბუხარისა და კაშკა-დარიის ოლქების არაბული დიალექტები უფრო ახლოს არიან ერთმანეთთან ვიდრე რომელიმე სხვა დიალექტთან, ამიტომ ჩვენ ვამჯობინეთ მათთვის გვეწოდებინა ერთი საერთო სახელი: შუა აზიური არაბული დიალექტი. ეს დიალექტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შედგება ორი კილოსაგან, რომელთაგან ერთს (ჩრდილოეთის კილოს) ბუხარულს ვუწოდებთ: ხოლო მეორეს (სამხრეთით მოსახლე არაბთა ენას) კაშკა-დარიულს. განსხვავება ბუხარულსა და კაშკა-დარიულს შორის უმთავრესად შემდეგში მდგომარეობს:

ბუხარულს უფრო ტაჯიკურის გავლენა ემჩნევა, კაშკა-დარიულს უზბეკურისა. ფონეტიკიდან აღსანიშნავია, რომ ბუხარულს უკეთესად აქვს შენახული ემფატიკური ბგერები, ვიდრე კაშკა-დარიულს. ინტერდენტალი მჟღერი  $\dot{\zeta}$  და ყრუ  $\dot{\zeta}$  ბუხარულში იძლევა  $\dot{\zeta}$ -სა და  $\dot{\zeta}$ -ს, ხოლო კაშკა-დარიულში— $\dot{\zeta}$ -სა და  $\dot{\zeta}$  !-ს. უფულარი  $\dot{\zeta}$  ბუხარულში გამოითქმის ყრუდ, როგორც  $\dot{\zeta}$ , კაშკა-დარიულში, მსგავსად ბედუინურისა და ფელლანურისა—მჟღერად:  $\dot{\zeta}$ .  $\dot{\zeta}$  ბუხარულში უფრო ხშირად იძლევა  $\dot{\zeta}$ -ს, ვიდრე კაშკა-დარიულში.

ნაცვალსახელში აღსანიშნავია III პირის ნაცვალსახელი duk dik, (duki) ბუხარულისა და zāik, zika კაშკა-დარიულისათვის, მრავლობით რიცხვის II, პირში ბუხარულშია intū და intin; კაშკა-დარიულში intuwāt და intinna. III პირის მრავლ. რიცხვის ნაცვალსახელი ბუხარულში წარმოდგენილია ამგვარად: dukānā, dukānān კაშკა-დარიულში: ziklānāt, ziklanna.

დიდი არის განსხვავება აგრეთვე უღვლილებშია. პერფექტს ბუხარულში შემდეგი სახე აქვს: zihak, zihakt, zihakti, zihakt; zihkū, zihkin, zihaktu zihaktin, zihakna (ჩარდარჯ), ან კიდევ zahab, zahabet, zahabl, zahabū, zahabt; zahabū, zahabūn, zahabū, zahabūn (ჯალდარჯ); კაშკა-დარიულში იგივე ფორმები იქნება ამგვარად: zahak, zahakat, zahakt, zahakti, zahakt; zahakaw, zahakna, zahaktu (|| zahaktuwāt), zahatkinna, zahakna.

განსაკუთრებით აღსანიშნავია იმპერფექტი. იმპერფექტში უმთავრესი განსხვავება წინსართებში მდგომარეობს<sup>1</sup>. ბუხარულში გაჩენილია m-ma პრეფიქსი, ურომლისოდ თითქმის შეუძლებელია იმპერფექტის წარმოება: mishak < كمش, mashak < كمش, mishakūn, mishakin (كمشون, مشكين) და სხვ. ეს ნაწილაკი კაშკა-დარიულისთვის სრულიად უცნობია და ჯედანუელი არაბები დასცინიან კიდევ ბუხარულს ამ ნაწილაკის გამო. ამავე დროს კაშკა-დარიულისათვის დამახასიათებელია ერთი მოვლენა: ზმნის ფორმის წინ ხმარებული a-ზე დაბოლოებული ნაწილაკები ჩვეულებრივ ჰკარგავენ ამ a-ს, თუ ზმნა პირველ პირშია (aa || aā ~ a). სისტემატურად იკარგება ეს a კერძოდ ma (<ma) უარყოფით ნაწილაკში და ნაცვლად ისეთის ფორმისა, როგორცაა, ma adri „არ ვიცი“, კაშკა-დარიულში ეღებულობთ ფორმას „madri“. ეს ფორმა კი სავსებით ემთხვევა ბუხარულის დადებით ფორმას იმპერფექტში. ამგვარად, შემთხვევითი დამსგავსების წყალობით ერთი და იგივე ფორმა madri ბუხარულში იქნება: „ვიცი“, კაშკა-დარიულში კი „არ ვიცი“.

გარდა ამისა, აღსანიშნავია განსხვავება ლექსიკაში. ზოგიერთი ზმნები, ზმნისართები და სხვ. ხმარებული ბუხარულში, სრულიად უცნობია და გაუგებარი კაშკა-დარიულისათვის. ამიტომ გასაკვირალი არაა, რომ ბუხარისა და კაშკა-დარიის არაბებს ერთმანეთის არ ესმით და უზბეკურად საუბარს ამჯობნიებენ.

ზემოხსენებულ განსხვავებათა გარდა, აღსანიშნავია აგრეთვე ის განსხვავება. რომელიც ბუხარელისა და კაშკა-დარიულის შიგნით არსებობს სხვადასხვა კილოკავთა შორის. არა მარტო სხვადასხვა სოფლები, არამედ თვით ერთს სოფელში მცხოვრები ერთისა და იმავე ტომების სხვადასხვა „ნათესავნი“, როგორც მაგალითად სოფ. ჯედანუს ბავრა, ყავნა ფარაშკი, ხშირად, განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობენ. ეს განსხვავება მართალია საერთოდ უმნიშვნელოა, მაგრამ საკმაოდ საგრძნობი იმისათვის, რომ ამას ადგილობრივი მოსახლეობა ატყობდეს.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ შუააზიური არაბული ისტორიულად ბედუინთა დიალექტებთან არის დაკავშირებული. მაგრამ თავისი განვითარების

<sup>1</sup> განსხვავება არის აგრეთვე დაბოლოებებშიაც, როგორც მაგ. iktibū (ჯავარჯ) და iktibinna (ჯედანუ), tiktibu (ჯავარჯ) და tiktibuwāt (ჯედანუ) და სხ.

ახლანდელი მდგომარეობის თვალსაზრისით, იგი წარმოადგენს სრულიად განცალკევებულ დიალექტს და არ შეიძლება მიეკუთვნოს დღემდის ცნობილ არაბულ დიალექტთა რომელიმე ჯგუფს. იმთავითვე მოწყვეტილი არაბულს სამყაროს, იგი სულ სხვა გზით ვითარდებოდა, ვიდრე რომელიმე სხვა არაბული დიალექტი და გასაკვირალი არ არის, რომ შედეგად მივიღეთ სრულიად თავისებური, სემიტური მასალისაგან შექმნილი, მაგრამ უცხო გავლენის წყალობით ძლიერ სახეცვლილი დიალექტი. ამ მხრივ შუა აზიური შეიძლება მალტის არაბული დიალექტისათვის შეგვედარებინა.

შუააზიურში შენახულია არაბულისათვის დამახასიათებელ ბგერათა დიდი ნაწილი, მაგრამ უცხო გავლენა ამ შემთხვევაშიაც საკმაოდ ძლიერად იჩენს თავს. პირვანდელ მარაგთან შედარებით მომატებულია ორი ბგერა *ქ* და *ჯ* რომლებიც უმთავრესად უცხო სიტყვებში იხმარებიან. ცალკე შემთხვევებში *ქ* და *ჯ* გვხვდება თვით არაბულ სიტყვებშიაც *ხ*-სა და *გ*-ს დაყრუვების შედეგად: *harap* < *حار* *vaḥ* < *وَح*, და სხ.

კბილისმიერ ბგერათაგან აღსანიშნავია ა) ხ მუღ - მსკდ ომნი *t, d, ḏ* აქიდან, *t* < *ت* და ზოგჯერ *ḏ* (სიტყვის ბოლოს, ან მფშენიანი თანხმოვნის მეზობლად); *d* < *د* და *ذ* (ჯავარჯში; ჯეანაუში *ذ* > *z*-ს); *ḏ* (ყრუ მელია), ისე როგორც *h*, ჩნდება სიტყვის ბოლოს, ან ყრუ თანხმოვნის მეზობლად: *wald*, *ka'ad* და სხვ., ბ) ღრიკოვანი: *s, z*. აქიდან *s* < *س* და *ث* (ჯეანაუში *ث* ზოგჯერ იძლევა *t*-ს დანარჩენ არაბულ დიალექტთა მსგავსად); *z* < *ز*, *ذ*, *ذ* ემფატიკური ბგერებიდან შენახულია მხოლოდ *z* და *s* ა; შენახულია აგრეთვე *z* *z*-ს კვალი.

ლატერალი *l* ძალიან დასუსტებულია და *y*-ს უახლოვდება. ამით აიხსნება, რომ ზოგჯერ იგი ენაცვლება კიდევ ამ *i*-ს (*lihi* < *lihiya* „წვერი“). უკანაენის მიერ ბგერათაგან აღსანიშნავია *k* და *g*. აქედან *g* ხშირად მიღებულია *k*-საგან, მკლერ ბგერებთან ასიმილაციის შედეგად (*yigbis* < *يغيب*) ხოლო ჯეანაუში *-k*-საგანაც.

ფარინგალ ბგერებიდან კარგადაა შენახული *h* და *ʕ*; შენახულია აგრეთვე გლოტალი *χ*; ჰამზა ჩვეულებრივად დაკარგულია. მეტისმეტად საყურადღებოა შემთხვევები, როდესაც პირვანდელი ჰამზა იძლევა *g*-ს: *miḥ* „ასი“; *gā* < *ع* და სხვ.

ხმოვანთაგან აღსანიშნავია ჩვეულებრივი *a*; *ā* (საშუალო *a*-სა და *o*-ს შორის); *ai* (საშუალო *a*-სა და *e*-ს შორის); *i*; *u* (მაგარი *i*, უახლოვდება რუსულ *u*-ს; ჩვეულებრივ იხმარება *ʕ*-ისა და *h*-ს მეზობლობაში); წმინდა *e*; *o* (ცარიელი ხმა, მსგავსი სომხური *o*-სა); *o*, *ö* (პალატალიზირებული *o*); *u* და *ü* (შუაენისმიერი, პალატალიზირებული ხმოვანი, საშუალო *e*-სა და *i*-ს შორის). იგივე ხმოვნები შეიძლება გრძელიც იყოს. გრძელ ხმოვანთაგან აღსანიშნავია *ā*, მიღებული პირვანდელი *ā*-საგან (ალბათ ტაჯიკურის გავლენით). სიგრძეს პირვანდელი მნიშვნელობა აღარა აქვს და ზოგჯერ *ā* < *a*-ს (*ras* < *rās* < *rā's*).

<sup>1</sup> სტამბაში სათანადო ნიშნების უქონლობის გამო ყრუ მედიებს კურსივით აღვნიშნავთ.

დიფთონგებიდან აღსანიშნავია ay, ey, aw, ow. გარდა ამისა მესოპოტამიურის მსგავსად გვხვდება შემთხვევები, როდესაც პირვანდელი ay და aw იძლევა გრძელ ხმოვნებს ვიწრო ბგერებით  $\bar{a}y$ ,  $\bar{a}w$ <sup>1</sup>.

სახელებში აღსანიშნავია ზემოხსენებული in; al მსაზღვრელი ნაწილაკი მენახული არ არის.

საყურადღებოა ჩვენებითი ნაცვალსახელის წარმოება შუააზიურში. duk, diki (ჯაგარგ; ცარაბ-ხანეში; dūki)  $\bar{a}ik$ , zilka (ჯეანაუ) (მხოლ. რიცხვი) dukānāw, dukānān, (ბუხარ.); ziklānāt, ziklauna (კაშკა-დარიული) (მრავ. რ.). მრავლობითი რიცხვის ბუხარული ფორმა, როგორც ჩანს ნაწარმოებია მხოლოდობით რიცხვის ფორმისაგან: duk (<du-k < dā-k < zā-ka?) + ānāw ānān (კლასიკ. 'ulā: ha -'ulā, 'ulā -'ika და სხვ.).

ჩვენს დიალექტებში ფართოდაა გავრცელებული აგრეთვე, hay, hat, hal და სხვ. ფორმები, ცნობილი სხვა დიალექტებიდანაც, მაგრამ შუააზიურს ამ მხრით ახლავს ერთი თავისებურება, რომელიც ჯერჯერობით სხვაგან დადასტურებული არაა და რომლის მნიშვნელობა არ არის სავსებით ნათელი. ხსენებულ ნაცვალსახელებში ხშირად ჩნდება ია ნაწილაკი: ha-ia-y; ha-ia t, ha-ia-l და სხ. საკითხი იმის შესახებ, არაბულია ეს ია (კლასიკ. iā?)<sup>2</sup>, თუ უცხო ენიდან შემოტანილი<sup>3</sup>, ჯერ კიდევ გამოსარკვევია. ჩვენი აზრით იგი სემიტური წარმოშობის უნდა იყოს.

ზმნებში აღსანიშნავია ბუხარულის ზემოხსენებული ia || iai, რომლის მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ არის გარკვეული. იუშმანოვის მოსაზრება<sup>4</sup>, რომ ეს ნაწილაკი ნამყო უწყვეტლის „მე“ ფორმაშია გაჩენილი, ვითარცა საშუალება ანტიჰიატუსისა, უმართებულო ჩანს, რადგან იგივე ელემენტი გვხვდება არა მარტო პირველ პირში, რომლის ნაცვალსახელი ხმოვანზე ბოლოვდება (ana), არამედ მესამე პირშიაც, სადაც ნაცვალსახელად duk იხმარება და მაშასადამე ანტიჰიატუსის საკირობაც არ არის. საეჭვოა აგრეთვე, რომ ეს ნაწილაკი სირიულსა და ეგვიპტურში გავრცელებული დამოუკიდებელი უსრული სახის ფორმის მაწარმოებელი იყოს. ერთი შეხედვით შუა აზიური ia || iai თითქოს ირანული ა-ს მნიშვნელობის მატარებელია, მაგრამ ჩვენ უფრო შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ იგი მიმდებარა ანალოგიით იყოს განვითარებული უსრული სახის ზმნის ფორმებში.

ბუხარულშიაც და კაშკა-დარიულშიაც აღსანიშნავია გარდამავალი ზმნების ხმარება ნაცვალსახელოვანი ნაწილაკებითურთ. იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც წინადადებაში დამატება წარმოდგენილია რომელიმე სახელით, ზმნაში ნაჩვენებია ეს ობიექტი ნაცვალსახელოვანი ნაწილაკის საშვალებით, რომელიც, მაშასადამე, ამ შემთხვევაში ობიექტური სუფიქსის ფუნქციებს ასრულებს. მაგ.  $\bar{a}n\bar{a}z\bar{a}$  šarar rīha kaḫaheta „დებდებრმა თავისი თმა შეიკვეცა“; rasa (sic)  $\bar{a}n\bar{a}$ -

<sup>1</sup> იხ. H. B. Юшманов, *ibid.*, გვ. 97.

<sup>2</sup> ასეთი შესაძლებლობაც არ არის გამორიცხული.

<sup>3</sup> H. B. Юшманов, *ibid.*, 79.

tu „მისი (ქალის) თავი დაინახა (ქალმა)“; ilčyk maqzuhak „შენ დაგიჭერა“; i bint kalčta „ქალი შექამა“; zagir wahdum šālu „ყმაწვილი [ერთმა მათგანმა აიყვანა“; hint kaiylān abūk ma sawcūtu „შენ მამაშენის სიტყვები არ გააკეთე“; hazzayir šāfu „ყმაწვილი, დაინახა“ და სხ.. ამასთან დაკავშირებით, ზოგიერთს გარდამავალს ზმნაში, ყოველთვისაა ხოლმე ობიექტი ნაჩვენები, თუნდაც ცალკე იყოს ეს ზმნა ხმარებული. ეს მოვლენა არ არის შუააზიურში სისტემატური თანამიმდევრობით გატარებული, მაგრამ ისე ხშირად იხმარება, რომ შეიძლება ითქვას გარდამავალი ზმნა ორპირიანობის გზაზე დამდგარა (სუბიექტის გვერდით ნაჩვენებია ობიექტის პირიც).

აღსანიშნავია აგრეთვე მიმღეობებისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელების საშუალებით ზმნის ფორმების წარმოება ჩვენი თურმეობითის მნიშვნელობით: ma šāifinni „არ მინახავს“; ma šāibinnak „არ მოგიტანია“; ma zārbinni „არ მიცემია“; nahna ma ‘arfinna „ჩვენ არ გავვიგია“; hinti ilai nasib kāšīninnik „შენ (ქალო) ჩემი მეზობელი ყოფილხარ“. ამგვარად განუსაზღვრელ მდგომარეობაში მყოფს მიმღეობის ფორმას ემატება ნაცვალსახელოვანი ნაწილაკი და ამ გზით იწარმოება ზმნის ფორმა. ამავე დროს ორკეცდება n განუსაზღვრელობის მაჩვენებელ in დაბოლოებისა (šāifinni šāibinni, zārbinni), თუ სუფიქსი ხმოვნით იწყება. ამგვარი წარმოება ზმნის ფორმებისა, დამახასიათებელი კავკასიური ენებისათვის, სემიტურ ენათაგან ცნობილია მხოლოდ არამეულში, განსაკუთრებით ურმიის მიდამოების ახალ არამეულ დიალექტებში, ხოლო ინდოევროპულიდან—თანამედროვე ირანულ ენებში. როგორც K. Brockelmann-ი ამტკიცებს<sup>1</sup>, არამეულის ეს მოვლენა უნდა იყოს კვალი წინააზიური სუბსტრატისა, რომელსაც ძლიერი გავლენა მოუხდენია არამეულ ენაზე. წინააზიური გავლენის შედეგადაა იგი მიჩნეული ირანულშიაც. ამავე მოვლენის შუააზიურ არაბულში დადასტურება გვიჩვენებს, რომ ერთ დროს იგიც იმავე გავლენის ქვეშ მოქცეულა. საკითხი იმის შესახებ, თუ რა გზით შეითვისა შუააზიურმა არაბულმა ხსენებული ფორმები, უშუალოდ, რომელიმე წინააზიური ენისაგან, თუ არამეულის მეშვეობით—სპეციალური კვლევის საგანია.

ზმნაში აღსანიშნავია აგრეთვე ერთი მეტად საინტერესო მოვლენა. ზმნები: ʔ- „მოვიდა“ და ʔ- (კლასიკ. „გაემგზავრა დილით ადრე“) „გაემგზავრა, წავიდა“, მესამე პირის მხოლოდობითი რიცხვის მამრობითი სქესის ფორმაში k-ს იჩენენ: šāk „მოვიდა“<sup>2</sup>, ʔadik „წავიდა“<sup>3</sup> და სხ. შესაძლებელი იყო გვეფიქრა, რომ k აქ მესამე პირის ნაცვალსახელიდან (duk) არის გადმოტანილი, მაგრამ სინამდვილესთან უფრო ახლო იქნება თუ ამ 'k-ს kān ზმნის მიმღეობის (კლასიკ. kā'inun შუააზიური kā'in || kā'in) ფორმისაგან მიღებულად მივიჩნევთ.

სირო-პალესტინურისა და მესოპოტამიურის მსგავსად მყობადის ფორმები ნაწარმოებია ta-<sup>4</sup> ნაწილაკის საშუალებით: ta-nīʔdi „წავიდე“ ta-(y) yikūn „იქნება“; ta-yisū „იზამს“ და სხ.

<sup>1</sup> იხ. მისი Gibt es einen hamitischen Sprachstamm? Anthropos, ტ. XXVII, ვენა, 1932, გვ. 807.

<sup>2</sup> სხვა ფორმები იქნება ამ ზმნიდან: šat, šit, šau, šān.

<sup>3</sup> სხვა ფორმებია ʔat (<ʔatt <ʔadt<ʔadat), ʔadet, ʔadu || ʔadaw და სხ.

ენიმკი-ს მოამბე, ტ. I.

იმპერფექტში შენახულია *in* დაბოლოება მეორე და მესამე პირის მამრობითი სქესის მრავლობითი რიცხვის ფორმაში; მდებლობითი სქესის *an* დაბოლოება მესამე და მეორე პირის მდებლობითი სქესის ფორმებში წარმოდგენილია *in*-ის სახით, ბედუინურის მსგავსად.

ჰამზიან ზმნებში დაკარგულია ჰამზა: *χadā* < *حاد*, *kala* < *كل* მაგრამ ბრძანებითი ჩვეულებრივი *χud*, *kul*-ის ნაცვლად, სამთანხმოვნია ზმნების ანალოგიით მიღებულია *inχud*, *ukul*.

ბრძანებითი კილოს მრავლობით რიცხვში იმპერფექტის ანალოგიით შენახულია *in*, *in* დაბოლოებანი.

წინსართები და ნაწილაკები შუა აზიურ არაბულში თითქმის სრულებით დაკარგულია. ძალიანაა გავრცელებული *il* (კლასიკური *إلى*), რომელიც ხშირად ჰკარგავს თანხმოვანს (1) და მხოლოდ ხმოვნითაა ხოლმე წარმოდგენილი: *i abūk* „მამაშენს“; *fad yōm i hatīb amīr kālki* „ერთ დღეს ხატიბს უთხრა ამირმა, რომ...“; *dawa kēcīna i adrīnu* „წამალი ყოფილა შიგნით (*i=إلى*): *i sandūk 'ayyan ūbrīhu* „ზანღუკში ჩაიხედა თვითონ“; *'ayyan, ki i adrīn nāim zō, ummu* „დაინახა, რომ შიგნით მისი დედის ქმარს სძინავს“ და სხვ.

უფრო ხშირად იხმარება რთული შედგენილობის კითხვითი და უარყოფითი ნაწილაკები: *ēšv* (ჯაგარტ) < *أليس* „არა (არის) ის?; *ēš* (ჯეანაუ) < *أليس* „არა?; *mā-hu*, *mā-hi* „რა არის (ის)“ (ჯაგარტ); *ma-haw*, *ma-hay* „რა არის (ის)“ (ჯეანაუ); *maen-wa* (< *maen huwa*) „ვინ არის (ის)?“ *ešk* „სად?“ (ჯეანაუ); *hinu*, *hina* „სად?“ (ჯაგარტ).

ყველაზე უფრო შელახული ძველი სემიტური მასალიდან, ლექსიკის გვერდით, სინტაქსი არის. ტაჯიკურისა და უზბეკურის ვაგლენა ამ მხრით იმდენად დიდია, რომ შესიტყვების პირვანდელი არაბული აგებულებიდან მხოლოდ კვალია დარჩენილი<sup>1</sup>.

*Status constructus*-ის პირვანდელი სქემა დარღვეულია და ხშირად მსაზღვრელი საზღვრულის წინ არის დასმული: *haṭabmibih* „შემის გამყიდველი“. ამ ნიადაგზე შუააზიურში განვითარებულია სემიტური ენებისათვის უცნობი წარმოება კომპოზიტებისა; ამის გვერდით არის შენახული პირვანდელი რიგიც: *bint pāšā* „ასული ფაშისა“.

სიტყვათა თანამიმდევრობა წინადადებაში სრულიად შეცვლილია: პირველ ადგილზე არის ქვემდებარე, შემდეგ შემასმენელი და დამატება; დამატება შეიძლება შემასმენელის წინაც დაისვას. ასეთს შემთხვევაში ზმნაში ყოველთვისაა ნაჩვენები ნაცვალსახელოვანი ნაწილაკის საშუალებით დამატების ადგილი ზმნასთან. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო, ჩვენი აზრით, ზმნაში ობიექტის სუფიქსების გაჩენას.

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება არ არსებობს. „რომელიც“ სიტყვის ნაცვლად დამოკიდებული წინადადება ირანიდან ნასესხები *ki* „რომ“

<sup>1</sup> ჩვენ გადაჭარბებულად მიგვაჩნია H. S. Nyberg-ის სიტყვები, თითქოს სემიტური ხასიათი სინტაქსშიაც აშკარა იყოს, *Le monde Orientale* Vol. XXIV, fasc. 1—2, 1930, გვ. 125—126. შდრ. სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრება ნ. იუშმანოვისა, *Культура и письменность Востока*, книга X, Москва, 1931, გვ. 80

სიტყვის საშუალებით არის დაკავშირებული: *Diki k̄alet ki „ana arba’ uḡwa ‘aenni* „მან (ქალმა) თქვა, რომ მე ოთხი ძმა მყავს“; *ḫilāf k̄āl ki „intu ʿasīb toḡdū* „შემდეგ უთხრა, რომ თქვენ სად მიდიხართ“; *ḫilāf amir k̄āl ki „yāyūdu, il sayyād ʿāibūh* „შემდეგ ამირმა უთხრა, წადით, მონადირე მოიყვანეთ“; *umma ʿala’et, k̄alet ki „ʿaš mitḫūnū“* „დედა მისი გამოვიდა, უთხრა, რომ „თქვენ რას იტყვით?“. *sayyahet ki „barra itlah, adamin amir ʿāim iwārak* „დაუძახა, რომ „გარეთ გამოდი, ამირის კაცები მოსულან შენთვის“.

შეთანხმება რიცხვსა და სქესში არაბულ ნორმებს არ მისდევს: *hayyetēyu* (მდ. სქ.) *mit’a(r)akin* (მამრ. სქ.); *kullu ʿāak* „ყველა შოვიდა“, მაგრამ *kullum ʿāak* „ყველანი შოვიდა“.

კითხვისათვის გამოყენებულია თურქული ნაწილაკი *mi*, რომელსაც ფართო გავრცელება მოუპოვებია შუააზიურ არაბულში: *ild-mi?* „შობს?“; *yimūt-mi* „კვდება“; *bazar narban hastmi?* „კიბების ბაზარი არის?“ და სხვ.

შუა აზიური არაბულის ლექსიკონი ძირითადად სემიტური მასალისაგან შედგება. კავშირი ბედუინთა დიალექტებთან ლექსიკის მხრივაც ჩანს. ბუხარული უფრო ცენტრალური არაბეთის უდაბნოს დიალექტებს უახლოვდება, კაშკა-დარიული—სირიისა და ირაკის ბედუინთა ენას. გარდა ამისა გვხვდება საკმაო რაოდენობა სიტყვებისა (სახელებისა და ზმნებისა), რომლებიც შუა-აზიურს არამეულთან აკავშირებს. საკმაო დიდი რაოდენობით მოიპოვება აგრეთვე უზბეკური და ტაჯიკური, ნაწილობრივ ავღანური სიტყვები. მეტად საყურადღებოა შემთხვევები არაბული სიტყვების სესხებისა არაბულსავე დიალექტებში, უცხო ენების მეშვეობით. შუა აზიურში ბევრი არაბული სიტყვა შესულა უზბეკურისა და ტაჯიკურის საშუალებით. ამგვარ სიტყვათა რიგს პირველყოფლისა ეკუთვნის კულტურულ მოვლენათა აღმნიშვნელი სიტყვები, როგორცაა „სკოლა“, „სამკითხველ“, „საბჭო“, „სოციალიზმი“, „შეჯიბრება“, „თავმჯდომარე“ და სხვ.

ამგვარად ჩვენმა მუშაობამ ბუხარისა და კაშკა-დარიის მიდამოებში იმ დასკვნამდის მიგვიყვანა, რომ შუააზიური არაბულის სახით დღემდის ცნობილს არაბულ დიალექტებს მიემატა კიდევ ერთი ახალი დიალექტი, რომელიც ისტორიულად ირაკისა და ცენტრალურ არაბეთის უდაბნოს დიალექტებს უკავშირდება, მაგრამ რომელიც, მისი განვითარების დღევანდელი მდგომარეობის თვალსაზრისით, სრულიად განკერძოებით დგას. ამ დიალექტების შესწავლას შეუძლია ახალი ნათელი მოპოვინოს არაბული დიალექტოლოგიისა და სემიტოლოგიის ბევრს მნიშვნელოვან საკითხს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ცოტა ხნის წინათ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ცენტრებში დაწყებული მუშაობა, ამ მიმართულებით, წინ წასწევს ამ ახალი არაბული დიალექტების შესწავლის საქმეს<sup>1</sup>.

<sup>1</sup> წინამდებარე წერილში აღძრული მთელი რიგი საკითხები სპეციალური კვლევის საკანია და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ უახლოეს ხანებში უფრო დაწვრილებით შევხვებით ხსენებულ საკითხებს.

**Professor J. L. Myres, A modern 'kernos' vessel from Tiflis, Man, February, 1937, London, № 30, with Plate B.**

უძველესი კერამიკის, კერძოდ ძველი აღმოსავლეთის კერამიკის სპეციალისტი პროფ. J. L. Myres-ი ზემოთდასახელებულ სტატიამი აქვეყნებს ქართული მარანის სურათს ბაზელის მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში დაცული ეგზემპლარის მიხედვით და აღნიშნავს, რომ ეს სასმისი თუმცა ახალ დროშია გაკეთებული, მაგრამ უძველესი ხანის ნიშნებს ატარებს და რომ იგი თავისი ფორმით წინაისტორიული და კლასიკური ხანის მრავალკორპუსიანი კერნოსების სახისაა.


ავტორი გამოყოფს ამ სასმისის სამ ელემენტს: 1. წრე-მილს; 2. ჰინკილებს და 3. ცხოველის (ყოჩის) სახის სასმისის პირს; მოყავს ანალოგები კრეტა-მიკენის კულტურიდან, ასახელებს ბერძნული მართმადიდებლური ეკლესიის რიტუალში არტოკლასიის („პურის გატეხის“) დროს ხმარებულ ჭურჭელს და ასკენის, რომ ტფილისური მარანი შეიძლება ხმარებული ყოფილიყო სომხურ ეკლესიაში მე-IX-ე საუკუნეში გადავარდნილი ცხოველის მსხვერპლად მიტანის რიტუალის დროს.

როგორც საზოგადოდ ბურჟუაზიულ მეცნიერებს სჩვევიათ — MYRES-იც მათ კვალს მისდევს და მის განკარგულებაში მყოფი მარანის მარტოდ მარტო ფორმის მიხედვით მსჯელობს. მან არ იცის ქართულ მარანთან დაკავშირებული მასალა, ის არ იცნობს მარანის ნაირ-ნაირ სახეებს, გავრცელების არეს და მის გამოყენებას.

ავტორისათვის ცნობილი რომ ყოფილიყო მარანთან დაკავშირებული ქართული ეთნოგრაფიული მასალა, ეგების ის არ მისულიყო ამ სათუო დასკვნამდე, ვინაიდან მარანს ქართველ ტომების ყველა მონაცემების მიხედვით ქრისტიანებზე ადრინდელ სარწმუნოებასთან აქვს კავშირი და ამის კომპლექსში შედის.

სომხურ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მარანი დამოწმებული არ არის. ჩვენ მას ვადასტურებთ კახეთსა და ქართლში, სადაც მარანი მზადდება კიდევ-საქ. მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში სამი მარანია დაცული, სამივე შიდა და გარე-კახეთიდან.

მარანის ხმარების ჩვეულება ქართლში დაცული იყო შემდეგი სახით: ქორწილში, ნეფე-დედოფლისათვის „საჯვარისწერო პურის“ მიტანის დროს, მარანით მიჰქონდათ ღვინო და ნეფე-დედოფალს მით შესამევენენ ხოლმე. ისევე როგორც „საჯვარისწერო პური“ თავისი ატრიბუტებით (ვაშლი, თხილი, კაკალი) და მასზე ამოქერწილი სახეებით (ფრინველები) — მარანიც თავის ორნამენტებით და სხვადასხვა სახეებით ნაყოფიერების სიმბოლოს გამოხატველი იყო.



მარანი (საქ. მუზ. კოლექცია)

იგი ქართული წარმართული ქორწილის კომპლექსში შედიოდა და ქორწილის წესების შესრულებაში მონაწილეობდა.

ესეც ცოტაა. იმდენად, რამდენადაც მარანი სმის დროს სხვა შემთხვევაშიც არის წარმოდგენილი -- მისი რიტუალური დანიშნულება კიდევ უფრო მეტად აშკარავდება.

ქართველ ტომებში უდიდესი ყურადღება ექცეოდა რიტუალურ სმასა და სასმისებს<sup>1</sup>. მათში ბოლო ხანამდე რიტუალური სასმელისა და სასმისების გარეშე არც ერთი დღეობა არ ტარდებოდა, განსაკუთრებით მთიელებში. რიტუალური სასმელების დამზადება ხატში წარმოებდა ხატის კაცების მიერ სახატო მამულის მოსავლიდან. აქ სმა კოლექტიურ ხასიათს ატარებდა და დიდ ცოდვად იყო მიჩნეული თუ რომელიმე მედლეობე გამორჩებოდა და თუნდაც ერთ ყლუპს რიტუალურ სასმელს რიტუალურ ჭურჭლით არ დაღვედა („კათხა“, „თასები“, „მიდიმიმართა“, „ოთხთვალა“, „დაჭრელებული ყანწები“ და სხვ.).

სვანებში დღემდე შემონახული რიტუალური სმის ძველი წესებიდან ეს კიდევ უფრო ნათელი ხდება.

უპირველესად სუფრაზე „ხოშა ღწრთჳშიშ“ მოსახსენებელი უნდა დაეღლიათ „ხოშა ღწრთჳშიშ კათხ“-ით ან „ფაკან“-ით, შემდეგ „მეკემ თარინგზელ“-ის, მისივე „კათხ“-ით, მესამედ „ჯგჯრანგ“-ისა, ეგრეთწოდებულ „ლაკუამიალ“-ი. „ლაკუამიალ“-ს „სარტაში“ მოყვებოდა („სარტაში“-თან გველეშაპის მოკვლის ლეგენდა დაკავშირებული). „სარტაში“-ს შემდეგ „საყან“-ის მოსახსენებელი დაიღეოდა შემდეგი წესით: სუფრის წინ წამოდგებოდა ორი კაცი ხელში ორორი არყით სავსე კათხით; ხელიხელ გაყრილები ერთად დაილოცებოდნენ, ხელიხელ გაყრილებივე გამოცილიდნენ კათხებს და ერთმანეთს გადაკოცნიდნენ. არყის სმის დროს მათ „წმინდა“ (თეიურისგან თავისუფალი) ქალი წვრილად დაჭრილ ყველს აწვდიდა. შუასმის დროს „კაქილჭარ“-ის წესი სრულდებოდა. ხალხის შემოსავალ კართან დაიდგმოდა „ფიჩქ“-ი და მასზე ან პირდაპირ მიწაზე გააწყობდნენ ოთხს კათხას, რომლებიც უნდა აეღოთ წყვილ-წყვილად მოსულ ქალსა და კაცს და სუფრის წინ დაჩოქილებს დაეღლიათ. „კაქილჭარის“ შემდგომ ლამარია კათხ“-ი დაიღეოდა. „ხოშა ღწრთჳში“-იდან „ლამარია“-ს სასმისამდე დასაღვეებს „სახსიგელი“ ეწოდებოდა, რომლის შემდეგ სუფრის უფროსი („ტაბგათხუმ“) თამადობას სხვა პირს გადაულოცავდა და ამას მოყვებოდა უფროს-უმცროსების სადღეგრძელოები (ამოლებულია დოც. ვ. ბარდაველიძის ხელნაწერიდან «სვანური დღეობების კალენდარი»).

ხელოთმოყვანილი წესი, მიუხედავად მასში დაცული ზოგიერთი ქრისტიანული სახელებისა, ქრისტიანობაზე აღრინდელია და მასში მოცემული რიტუალი წინაქრისტიანობის ხანისაა. აღსანიშნავია, რომ სვანურ „სახსიგელ“-ში

<sup>1</sup> შტრ. Тиандер, К., Культурное пьянство и древнейший напиток человечества, ЖМНПР, 1908, март; Ebert, M., Südrussland im Altertum, Bonn-Leipzig, 1921; Ed. Meyer, Gesch. des Altertums, 1, 2-те Aufl., გვ. 810 შმდ. და 826 შმდ.; Ф. Розенберг, О вине и пире в персидской национальной эпопее: Сборник Музея Антроп. и этногр., т. I, с. 1, Петров. 1918. გვ. 375-397.

ზოგიერთი სადღეგრძელო ოთხი ან ორი სასმისით დაილეოდა ხოლმე, ისევე როგორც ხევსურეთში წმინდა გიორგის სადღეგრძელოს „ოთხთვალა“-თი (ოთხ თასიანი სასმისია) სვამდნენ, ან კიდევ დაკურთხების დროს იმდენ სასმისს („თას“-ს) დადგამდნენ ხოლმე, რამდენიც ღვთაება ყავდათ მოსახსენებელი. ამის მიხედვით მარანში ჩვეულებრივად მოცემული 4-6-8-10 ჭინჭილა ბუნებრივ ახსნას პოულობს და მათი დანიშნულებაც გასაგებია. ამიტომ მარანის «Vexier-trinkgefässe»-დ დასახელება, როგორც ის ბაზელის მუზეუმის საკატალოგო დავთარშია მოხსენებული — დაუშვებელია<sup>1</sup>.

მარანის რიტუალური დანიშნულება აშკარაა მისი გარეგანი სახითაც. ჩვენ აქვე ვაჭვეყნებთ მარანის ერთ ეგზემპლარს (იხ. სურათი), რომელზედაც ერთ ზოლში მოცემულია მცენარის ორნამენტი, მეორეში — გამოხატულია ცხოველები და ფრინველები, ხოლო სასმისის პირი წარმოდგენილია მატყლოვანი ყოჩით. ამ შემკულობის დანიშნულება სავსებით ნათელი და ცხადია. ამას უნდა დავძინოთ, რომ ზოგიერთ მარანზე ანთროპომორფული სახეებიცაა გამოყვანილი.

რაც შეეხება მარანის ანალოგებს კრეტა-მიკენის კულტურის ნიმუშებთან — უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ეთნოგრაფიული ჭურჭლის არა ერთი სახე პოულობს შეხვედრას უძველეს წინა-აზიის, კერძოდ დასავლეთ წინა-აზიის კერამიკასთან (შდრ. (O. Weber, Die Kunst der Hethiter, Orbis pictus, Bd. 9, სურ. 47 და საქ. მუზ. ეთნოგრაფ. განყოფ. კოლექცია, კერამიკული სასმისები ირმის, ვერძის და სხვა ცხოველების სახის); ეს შეხვედრა მარტოდ მარტო კერამიკით არ განისაზღვრება და უფრო შორს და ღრმად მიდის, რაც თავის ასახსნელად კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს<sup>2</sup>.

### 3. ჩიტაია

<sup>1</sup> იმავე დავთარში სახელწოდება მარანის ნაცვლად Marsané წერებულა, რაც აშკარა შეცდომაა. სახელი „მარანი“ ცალკე განხილვას საჭიროებს.

<sup>2</sup> კრეტა-მიკენისა და ქართველი ტომების კულტურული ურთიერთობისა და კავშირის შესახებ იხ. პროფ. ს. ჯანაშია, «ხეთების ისტორიისა და ენის საკითხებისათვის», კომუნის-ტი, 1936 წ., № 294.

სატრანსკრიფციო ნიშნები, ხმარებული აკად. ნ. გარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მიერ<sup>1</sup>

TRANSCRIPTIONS EMPLOYÉES PAR L'INSTITUT MARR DES LANGUES, D'HISTOIRE, HISTOIRIEN ET DE CULTURE MATÉRIELLE

TRANSCRIPTION EMPLOYÉE PAR L'INSTITUT MARR DES LANGUES, D'HISTOIRE ET DE CULTURE MATÉRIELLE<sup>1</sup>

I. ქართული ანბანის რიგში—В ПОРЯДКЕ ГРУЗИНСКОГО АЛФАВИТА—  
PAR L'ORDRE DE L'ALPHABET GÉORGIEN

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	ც	თ	ი	კ	ლ
a	b	g	d	e	v	z	ṭ(ḡ)*	t	i	k	l
მ	ნ	ქ	ო	პ	ჟ	რ	ს	ტ	ჭ	უ	ფ
m	n	j	o	p	ž	r	s	ṭ	y*	u	p
ქ	ღ	ყ	შ	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	კ	ჯ
k	γ	q	š	č	c	ḡ	č	č	x	q	ž
			ჰ	ჟ	წ	ფ	გ	ც			
			h	ḡ(ḡ)*	w	f	g	c			

II. ჯგუფები—ГРУППЫ—GROUPES

1. ხმოვნები—гласные—Voyelles: ა ე ი ო უ ჯ—a e i o u a

2. ნახევარ-ხმოვნები—полугласные—Semivoyelles:

ა ჟ—j w

3. თანხმოვნები—согласные—Consonnes:

მ ნ რ ლ ჰ გ m n r l h a

ფ ვ f v ს ზ s z , შ ჟ š ž ბ დ x γ

პ ფ ბ p p b კ ჰ ჯ ც ც წ

ტ თ დ ṭ t d კ ქ გ k k g

წ ც ძ ც ც წ ყ კ— გ გ—

<sup>1</sup> ტექნიკური მიზეზების გამო, ამ სისტემის გატარება მთავრის I ტომში მოხერხდა მხოლოდ 79 გვერდიდან.

По техническим причинам, данная система в I т. «Известий» проведена лишь со стр. 79.

Par raisons de l'ordre technique le système donné n'est employé au premier volume qu'à partir de la page 79.

\* ძველი ქართული ტექსტებისათვის. Для древне-грузинских текстов. Pour les textes du vieux géorgien.

საენათმეცნიერო ექსპლიციები<sup>1</sup>

1. მ. ხუბუა 1933 წ. (მეგრული).
2. კ. დონდუა. ვლ. ფანჩიძე 1934 წ. (მეგრული).
3. ა. შანიძე 1926 წ., ქ. ლომთათიძე 1937 (აფხაზ.).
4. არნ. ჩიქობავა 1929 წ. (ქანური)
5. მ. ხუბუა 1933 წ. (მეგრული).
6. ვლ. ფანჩიძე 1934 წ. (მეგრული).
7. მ. ხუბუა 1933 წ. (მეგრული)
8. მ. ხუბუა 1933 წ. (მეგრული).
9. მ. ხუბუა 1933 წ. ფანჩიძე 1934 (მეგრული)
10. თ. გონიაშვილი 1934 წ. (მეგრული)
11. მ. ხუბუა 1933 წ. ფანჩიძე 1934 (მეგრ.)
12. ქ. ლომთათიძე 1935, 1936 წ. (აფხაზ.), ვლ. ფანჩიძე 1934 წ. (მეგრული).
13. მ. ხუბუა 1932 წ. (მეგრ.)
14. მ. ხუბუა 1932 წ. (მეგრ.)
15. მ. ხუბუა 1932 წ. (მეგრ.)
16. მ. ხუბუა 1933 წ. კ. გუგუშვილი 1932 წ., ა. ჯიშიაშვილი 1937 წ. (მეგრ.)
17. მ. ხუბუა 1923 წ. (მეგრ.)
18. ვლ. ფანჩიძე, თ. გონიაშვილი 1931 წ. (მეგრ.)
19. მ. ხუბუა 1923 წ., ა. ჯიშიაშვილი 1937 წ. (მეგრ.)
20. მ. ხუბუა 1932 წ. (მეგრ.)
21. მ. ხუბუა 1923 წ. (მეგრ.)
22. მ. ხუბუა 1923 წ., კ. გუგუშვილი 1932, ა. ჯიშიაშვილი 1937 წ. (მეგრ.)
23. ვლ. ფანჩიძე, თ. გონიაშვილი, 1932, კ. გუგუშვილი 1932 (მეგრ.)
24. მ. ხუბუა 1921 წ. (მეგრ.)
25. მ. ხუბუა 1921 წ. (მეგრ.)
26. მ. ხუბუა 1921 წ. (მეგრ.)
27. მ. ხუბუა 1921 წ. (მეგრ.)
31. შ. ძიძიგური 1929 წ. (იმერ.)
32. შ. ძიძიგური 1929 წ. (იმერ.)
33. შ. ძიძიგური 1929 წ. (იმერ.)
34. შ. ძიძიგური 1929 წ. (იმერ.)
36. ვ. თოფურია 1927 წ. თ., გონიაშვილი 1934 (სვან.)
37. თ. გონიაშვილი 1934 (სვან.)
38. ა. შანიძე 1923 წ. (სვან.)
39. ა. შანიძე 1923. წ. (სვან.)
40. ა. შანიძე 1923 წ. (სვან.)
41. ვ. თოფურია 1927 წ. (სვან.)
42. ა. შანიძე 1923 წ., ვ. თოფურია 1927 (სვანური.)
43. ა. შანიძე 1921, არნ. ჩიქობავა, 1925 ვ. თოფურია 1926 (სვ.)
44. ა. შანიძე 1921, ვ. თოფურია 1926, 1928, გაჩეჩილაძე 1937 (სვ.)
45. ვ. თოფურია 1925, 1926 (სვან.)
46. ვ. თოფურია 1926 (სვან.)
47. ვ. თოფურია 1926 (სვან.)
50. სტ. ჩხენკელი 1923, ვ. თოფურია 1927, თ. გონიაშვილი 1934 (სვან.)
51. შ. ძიძიგური 1930 (რაჭ.)
52. შ. ძიძიგური 1930 (რაჭ.)
53. შ. ძიძიგური 1930 (რაჭ.)
54. მ. ხუბუა 1926, ვლ. ფანჩიძე 1935 (იმერ.)
55. ვლ. ფანჩიძე 1925 (იმერ.)
56. მ. ხუბუა 1926 (იმერ.)
57. ვლ. ფანჩიძე 1935 (იმერ.)
58. ვლ. ფანჩიძე 1935 (იმერ.)
59. ვლ. ფანჩიძე 1935 (იმერ.)
60. მ. ხუბუა 1929 (გურ.)
61. ქ. ლომთათიძე 1934 (გურ.)
62. ქ. ლომთათიძე 1934 (გურ.)
63. შ. ძიძიგური 1929 (აჭარ.)
64. ჯ. ნოლაიდელი 1930 (აჭარ.)
65. არნ. ჩიქობავა 1927. (ქან.)
66. არნ. ჩიქობავა 1926, 1927 (ქან.)
67. არნ. ჩიქობავა 1928 (ქან.)
68. სტ. მენთეშაშვილი 1933 (აჭარ.)
69. ქ. ლომთათიძე 1935 (აჭარ.)
70. სტ. მენთეშაშვილი 1933 (აჭარ.)
71. სტ. მენთეშაშვილი 1933 (აჭარ.)

<sup>1</sup> ნახე კარტოგრაფია.

72. სტ. მენტეშაშვილი 1933 (აქარ.).
73. კ. ლომთათიძე 1935 (აქარ.).
74. მ. ხუბუა 1926, სტ. მენტეშაშვილი 1933 (აქარ.).
75. ქ. ლომთათიძე 1935 (აქარ.).
76. 77. შ. ძიძიგური 1933, 1934 (მესხ.). ს. ჯიქია 1930 (თურქ.).
78. ვ. თოფურია 1923 (მესხ.).
79. შ. ძიძიგური 1933, 1934 (მესხ.).
80. ვ. თოფურია 1923
81. ვ. თოფურია 1922.
82. ვ. თოფურია 1923.
- 83, 84, 85, 86, 87. ვ. თოფურია 1923, ივ. გიგინეიშვილი 1937 (ქართლ.).
88. ი. შილაკაძე, შ. გაფრინდაშვილი 1937 (ქართლ.).
89. შ. გაფრინდაშვილი 1937 (ქართლ.).
90. ი. შილაკაძე, შ. გაფრინდაშვილი 1937 (ქართლ.).
- 91, 92, 93, 94. ვ. თოფურია 1923 (ქართლ.).
95. ვ. თოფურია 1923, შ. ძიძიგური 1937 (ქართლ.).
96. ვ. თოფურია 1923 (ქართლ.).
- 97, 98. სტ. ჩხენკელი, შ. ძიძიგური 1937 (ქართლ.).
99. სტ. ჩხენკელი 1937 (ქართლ.).
100. არნ. ჩიქობავა 1922 (მთიულ.).
- 101, 102, 103, 104, 105, 106, 107. კ. გუგუშვილი 1937 (მოსხ.).
108. გ. წერეთელი 1925 (ხვეს.).
109. შ. ძიძიგური 1934 (გულამაყ.).
110. ა. შანიძე 1925, 1934, სტ. მენტეშაშვილი 1932 (წოცა-თუშური).
- 111, 112, 113, 114, 115, 116. სტ. ჩხენკელი 1933, 1934 (ქისტ.).
117. სტ. მენტეშაშვილი 1932 (თუშ.).
- 118, 119, 120, 121, 122 არნ. ჩიქობავა 1923 (გარეკახ.).
- 123, 124, 125, 126, 127, 128, 129, 130, 121, 132, 133, 134, 135. სტ. მენტეშაშვილი 1935 (ქიზიყ., კახ.).
- 136, 137. სტ. მენტეშაშვილი 1930 (ინგილ.).
138. ე. თოფურია 1933, 1934 (ლაკური).
- 139, 140. არნ. ჩიქობავა 1933 (ხუნძური).
141. არნ. ჩიქობავა 1929 (ხუნძური). ს. ჯანაშია (1929).
- 142, 143. არნ. ჩიქობავა 1933 (ხუნძური).
- 144, 145, 146, 147 სტ. ჩხენკელი 1928, 1929 (ციხლარ-მოხდოკური)
148. თ. გონიაშვილი 1937 (ჩანჭური).
149. არნ. ჩიქობავა 1923 (ფერეიდნული).
150. ს. ჯანაშია 1921 (აფხაზური ენის აბეუური კილო).
151. ს. ჯანაშია 1922, 1923 (ქართლ.).
152. ს. ჯანაშია 1929 (ადილეური ენის კიხური კილო).
153. ს. ჯანაშია 1929 (ყაბარდოული).
154. ს. ჯიქია 1932 (თურქულის ახალციხ. კილო).
155. ს. ჯიქია 1930 (თურქ.).
156. ს. ჯიქია 1926 (თურქ.).
157. ს. ჯიქია 1930 (თურქ.).
158. ს. ჯიქია 1927, 1930, 1936 (თურქ.).

შეცნობათა ბასწორება—ОПЕЧАТКИ

გვ.დი Стр-ისა	სტრიქ. Строка	დაბეჭდილია Напечатано	უნდა იყოს Должно быть
49, 51, 53	კოლ. ტიტულში	„ზოგადი“-ს	„ზოგი“-ს
97	12 ქვემ.	დო-ბ-ის ია,	დო-ბ-ის ია,
97	11 „	ჰე-ბ-ის	ჰე-ბ-ის
107	4 ქვემ.	в то же	в то же
109	12 ზემ.	მეღერებას	მეღერობას
112	8 ქვემ.	Zugeben	zugeben
112	5 „	Analyse	Analyse
112	4 „	Forschern	Forscher
112	3 „	Schleiern	Schleier
117	13 ზემ.	ბ=11	გ=11
211	11 ქვემ.	ფუძისეულიც	ფუძისეულიც
211	10 „	საჭირთა	სჭირთა
247	1 „ (შენიშვნ.)	იკუთვნება	მიკუთვნება
280	7 „ „	unentwicklungsähig	unentwicklungsähig
280	7 „ „	Kuns	Kunst
286	5 „ „	ტართხონი	ტარხონი

ტექნიკური რედაქტორი შ. ბუმბუშრიძე

კორექტორი პ. თოდუა, შ. ბუმბუშრიძე

გამომწვები პ. თოდუა, მ. კოციაძე

მთავლ. № 103

ტირაჟი 1.000

შეკვ. № 120

ბეჭდვ. ფორმა 22<sup>1</sup>/<sub>2</sub>

საავტ. ფორმა 29<sup>1</sup>/<sub>2</sub>

52 ათ. ს. ნ. 1 ბეჭდვ. ფორმაში

ანაწ. ზომა 7×11

ქალაქის ზომა 72×105 სმ—1<sup>1</sup>/<sub>16</sub>

გადაეცა წარმოებას 23/V—37

ხელმოწ. დასაბეჭდათ 4/I—38

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სტამბა, ტფილისი, წერეთლის ქ. 7.